

114
1961/3

ქართული



მეტეორები



9

9

6



საბჭოთა



საბჭოთა კავშირის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 38-ე

№ 9

სექტემბერი, 1961 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

პარტიას მიუყვართ კომუნისმისაყენ	3
ირაკლი აბაშიძე — სმა დარდანელთან. ლექსი	6
აკაკი ბელიაშვილი — შვიდკაცა. გაგრძელება	7
რევაზ მარგიანი — ლექსები	17
კოლაუ წაღირაძე — ომარ ხაიამ. ლექსი	19
გიორგი ლეონიძე — კონსერვატორი. მოთხრობა	21
ვარლამ ფურული — ლექსები	36
ვრიგოლ ცეცხლაძე — მღელვარე წლების ქრონიკა. ლექსი	37
ლიანა სტურუა — ლექსი	41
ნინო აბაშიძე — მერცხალა. მოთხრობა	42
ელიზბარ ზედგინიძე — გაზაფხული დაიწყო აღრე. რომანი	53
ი. ბუნიანი — მსუბუქი სუნთქვა, თარგმანი ნანუელი ცაგარეიშვილისა	72
ჯერომ ზელინჯერი — თამაში ქვეის ყანაში. რომანი. დასასრული. თარგმანი ინგლისურიდან ეახტანგ ქელიძისა	76

შვიდწლადის მოწინავენი

კლიმენტი გოგიავა — ადამიანები და მათი საქმეები	94
ქაბუა ამირჯიბი — იყავნ ქალაქნი	99


(იხ. მეორე გვ.)

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“



კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ალ. შირცხულავა — კომუნისტური პარტიის ფუძემდებლური დოკუმენტები	106
ზორის ბახტაძე — პლენარული — დეკლარაციების კრიტიკოსი	118
ვლ. ჯიბუტი — ალექსანდრე გომიაშვილი	125
გურამ კანკავა — ანტიკომუნისტური ისააკიანი და ქართული მწერლობა	138
გრ. ზერხეულიძე — მართალი ლექსი	144
გივი კილერაძე — საქართველო-იტალიის ურთიერთობიდან	144



მოგზაურობა, მოგონებანი

ვახტანგ ბერიძე — თურქეთში. დასასრული	154
პ. შამათავა — ზალხის შვილი	165
გიორგი რაზიკაშვილი — ცოტა რამ მამაჩემ-ბიძაჩემებზე. ვაგრძელებ	169

წიგნების მიმოხილვა

ნუნუ ზომერიკი — გრ. ჩიქოვანის მოთხრობები	180
საგვის ცაიშვილი — იოანე მოსხი (მესხი) და მისი „ლიმონარი“	183
ალ. ლლონტი — ახალი ტექსტოლოგიური გამოკვლევა	187
ა. ხოკოლავა, ნ. წერეთელი — წიგნი ქართველ იურისტებზე	188
ახალი წიგნები	192

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

- დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
 ე. მაღრაძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ყლენტი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/X-61 წ. ქალაქის ზომა 70x108, ანაწყობის ზომა 7 1/4 x 12 1/2.
 ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 0099.
 ტირაჟი 5.600. შეკვეთა № 1460

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის
 ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.



გ. ს. გოგოვი და ი. ა. გაგარინი

„...ჩვენი წარმატებანი კოსმოსური სივრცის შესწავლაში ასახვენ საბჭოთა ხალხის დიად მიღწევებს სოციალისტური სამშობლოს მძლავრი საწარმოო ძალე-
ნის განვითარებაში. ასახვენ სოციალიზმის დიდ უპირატესობებს, იმას, რომ სო-
ციალიზმი სჯობს კაპიტალისტურ სისტემას“.

ნ. ს. ხრუშჩოვი

პარტიას მივყავართ კომუნიზმისაკენ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა ჰეშმარიტად მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა. სკვპ პროგრამის პროექტმა, ისტორიაში ამ უმაგალითო დოკუმენტმა, რომელიც ყრილობის წინაპერიოდში გამოქვეყნდა და რომელსაც პარტიის XXII ყრილობა დაამტკიცებს, მთელ მსოფლიოს უჩვენა, რომ კომუნიზმს მოაქვს კაცობრიობისათვის ხალხთა ბედნიერება, მშვიდობა, თანასწორობა, თავისუფალი შრომის სუფევა.

სკვპ პროგრამის პროექტი, ეს ეპოქალური დოკუმენტი, ჩვენი დროის კომუნისტური მანიფესტია, იგი მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანს უნერგავს ხალხთა დიადი მომავლის რწმენას, უჩვენებს დიადი, ნათელი, თავისუფლების სხივებით განათებული, ყველაზე ჰუმანური საზოგადოების — კომუნიზმის აშენების რეალურ სახელმძღვანელო გეგმასა და პერსპექტივებს.

საუკუნეთა განმავლობაში კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენელი ოცნებობდნენ იდეალურ საზოგადოებრივ წყობილებაზე, ხალხთა ბედნიერებაზე, პიროვნების ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებაზე. დღეს, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, ეს ოცნება ფრთებს ისხამს. ჩვენი ბრძენი მესაჰე — კომუნისტური პარტია სახავს ასეთი საზოგადოების აშენების გზებს, შეჰყავს საბჭოთა ხალხი კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, იძლევა დიად პროგრამას, რომელიც ლენინის გენიითაა შთაგონებული ჰეშმარიტად,

ჩვენ ვამბობთ — ლენინს
და ვგულისხმობთ
მუდამ პარტიას,
ვამბობთ —
პარტია
და ვგულისხმობთ —
ლენინი ჩვენი.

ჩვენი თანამედროვენი, კომუნისტური მომავლის გზის გამკვლევი ადამიანები, იქნებიან კომუნიზმის მშენებლები.

კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით ჩვენ ავაშენეთ ისტორიაში არნახული, ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან თავისუფალი საზოგადოება, რომელმაც თავისი არსებობის მხოლოდ ოთხი ათეული წლის მანძილზე დაამტკიცა, თუ რა საარაკო საქმეების ჩადენა შეუძლია თავისუფალ მშრომელ ადამიანს.

უბრალო საბჭოთა ადამიანი, იყო, რომ გადასერა პოლუსი, ათვისა ყამირები და უდაბნოები, ელექტროსადგურთა ფართო ქსელით დაფარა მანამდე ჩამორჩენილი ქვეყანა, ააგო მძლავრი ქარხნები და ფაბრიკები, ააყვავა საკოლმეურნეო მინდვრები, მოიგერია ფაშისტური ურჩხული, საკუთარ ბუნავშივე განგმირა იგი, დალუპვისაგან იხსნა მსოფლიო ცივილიზაცია და უჩვეულოდ მოკლე დროში მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები.

კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი, საბჭოთა ადამიანი დაეუფლა მეცნიერულ-ტექნიკური აზრის საუკეთესო მიღწევებს, ჩასწავდა ატომის საიდუმლოებას. საბჭოთა ხალხის შემოქმედებითაა გენიამ შექმნა ჩვენი დროის საოცრება — კოსმოსური თანამგზავრი

ხომალდები „აღმოსავლეთი-1“ და „აღმოსავლეთი-2“. ამ ხომალდთა მმართველთა მფრინველებმა, სახელოვანმა კოსმონავტებმა იური გაგარინმა და გერმანეტროვმა თავისი გასაოცარი გმირობით მკაფიოდ გამოავლინეს კომუნისტის მაღალი ზნეობრივი ნიშან-თვისებანი, რომელსაც უნერგავს საბჭოთა ადამიანებს მათი ბრძენი ბელადი და ყველა გამარჯვებათა ორგანიზატორი — კომუნისტური პარტია.

საქართველოს მშრომელები, მუშები და კოლმეურნეები, მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები სულ ახალი და ახალი გამარჯვებებით პასუხობენ მშობლიური პარტიის მზრუნველობას ხალხის კეთილდღეობაზე. ამის ნათელი დადასტურება იყო საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობა, რომელმაც შეაჯამა ჩვენი რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის განვითარების შედეგები, დასახა შემდგომი წინსვლისა და პროგრესის ამოცანები. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მონაწილეობამ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოწინავეთა თათბირის მუშაობაში, აგრეთვე საბჭოთა საქართველოს ეროვნულ ზეიმში, მისმა საუბრებმა და შეხვედრებმა ქართველ მშრომელებთან, იმან კიდევ, რომ ნ. ს. ხრუშჩოვმა მაღალი შეფასება მისცა ქართველი ხალხის შემოქმედებით შრომას, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, — უფრო აღაფრთოვანეს საქართველოს მშრომელები მათ ყოველდღიურ საქმიანობაში.

საქართველოს კომუნისტების XXI ყრილობამ გამოავლინა ჩვენი ხალხის ურღვევი ერთიანობა, მისი მტკიცე დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. ქართველ ხალხს თავდადებული შრომით თავისი წვლილი შეაქვს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად საქმეში.

ქართველი მწერლები მთელი სიღრმითა და გატაცებით სწავლობენ უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტებს —

საკვ კომუნისტური პროგრამისა და წესდების პროექტებს, რთმელები: ყოველ ქეშმარიტ შემოქმედს — მთავრობებს ახალი მაღალმხატვრული ნაწარმოებების შესაქმნელად. განა შეიძლება იყოს მწერლისათვის, მხატვრისათვის იმაზე უფრო მაღალი შთაგონების წყარო, ვიდრე საბჭოთა ხალხის არნახული შრომითი გმირობა და სიმაჟაცე, კომუნისტებისათვის მისი ბრძოლა, ხალხთა დიადი მომავლის — კომუნისტებისათვის ბრძოლა?!

ქართული საბჭოთა მწერლობა ყოველთვის მხარს უსწორებდა ეპოქალურ მოვლენებს, ეხმარებოდა და მხატვრულ ტილოებზე ასახავდა მათ. მას ახასიათებდა და ახასიათებს ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპისადმი, სოციალისტური რეალიზმისადმი ერთგულება, შეურიგებელი ბრძოლა რევიზიონიზმის, უიდეობისა და დოგმატიზმის ყოველგვარ გამოვლინებებთან.

ქართველმა მწერლებმა ჩვენი გმირული დროის ადამიანთა არაერთი მხატვრული სახე შექმნეს, დღესაც ისინი თავის ძალას არ იშურებენ იმ დიდ მოთხოვნათა განსახორციელებლად, რომელიც ასეთი სიკხადითაა ჩამოყალიბებული პარტიის პროგრამის პროექტში, სადაც ნათქვამია:

„ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში მთავარი ხაზია კავშირის განმტკიცება ხალხის ცხოვრებასთან სოციალისტური სინამდვილის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების მართალი და მაღალმხატვრული ასახვა, ახლის, ნამდვილად კომუნისტურის, შთაგონებული და მკაფიო წარმოსახვა და ყოველი იმის მხილვა, რაც ხელს უშლის საზოგადოების წინსვლას...“

სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებაში, რომელსაც საფუძვლად უდევს ხალხურობის და პარტიულობის პრინციპები, გაბედული ნოვატორობა ცხოვრების ასახვაში შეხამებულია მსოფლიო კულტურის მთელი პროგრესული ტრადიციების გამოყენებასა და განვითარე-

ბასთან. მწერლების, მხატვრების, მუსიკოსების, თეატრისა და კინოს მოღვაწეების წინაშე ისახება ფართო ასპარეზი პირადი შემოქმედებითი ინიციატივის, მაღალი ოსტატობის გამოვლინებისათვის. შემოქმედებითი ფორმების, სტილისა და ენარის მრავალფეროვნებისათვის.

მხოლოდ ამ გზით შეუძლია იაროს ჩვენი დროის კეთილშობილური შემოქმედს, თუკი მას სურს ახალ მხატვრულ ფასეულობათა შექმნა, კომუნისტების მშენებელ ადამიანთა მდიდარ სულიერ სამყაროში ღრმად ჩახედვა და მისი მხატვრული გამოსახვა.

კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი წინსვლის მანათობელ შექმნისათვის გვიჩვენებს კულტურის ნამდვილი მიღწევების გზებს, გვინერგავს მომთხოვნელობის, ხალხისა და პარტიის წინაშე მხატვრის პასუხისმგებლობის გრძნობას. ურომლისოდაც შეუძლებელია კომუნისტების გაშლილი მშენებლობის ღირსეულად ამსახველ ნაწარმოებთა შექმნა.

კომუნისტური პარტია მრგვიწოდებს მწერლებსა და ხელოვნების მოღვაწეებს ვიცხოვროთ, ეუბრომით ხალხთან ერთად. განვაძტკიცოთ ცხოვრებასთან კავშირი, ღრმად შევისწავლოთ თანამედროვეობა. მივადწიოთ მის სრულ-

ფასოვან ასახვას მხატვრულ კმნილებებში. და, მართლაც, იმდენად მძიმედ ველია ჩვენი სინამდვილე, იმდენად დაბალია საბჭოთა მუშებისა და კოლმეურნეების, მეცნიერებისა და ინჟინრების მიღწევები, რომ ხელოვნების მოღვაწეებს თავის უპირველეს მოწოდებად უნდა მიგვაჩნდეს თანამედროვეობის მოვლენათა მხატვრული აღბეჭდვა. რომლის მიხედვითაც შთამომავლობა იმსჯელებს ჩვენს დიად ეპოქაზე.

ქართული საბჭოთა მწერლობა თანამედროვეობის ისტორიული პროცესების აქტიური მონაწილეა. ქართველი მწერლები მტკიცედ ივლიან დიად ლენინური პარტიის გზით, რომელსაც მივყავართ კომუნისტების მოკავშირე მწვერვალებისაკენ. ისინი ესწრაფიან ახალი, იდეურ-მხატვრულად სრულფასოვანი ნაწარმოებების შექმნას, დაუღალავად იშრომებენ ახალი, კომუნისტური ფსიქიკური წყობის მქონე ადამიანის აღსაზრდელად.

მუდამ ვიყოთ ხალხთან, პარტიასთან ერთად, ვიბრძოლოთ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის სიწმინდისათვის. კულტურის ახალ მწვერვალთა დაპყრობისათვის! ამ რწმენით იბრძვიან, იღწვიან და კვლავ იბრძოლებენ ქართველი მწერლები — ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ერთგული თანამემწეები.



ირაკლი აბაშიძე

ხმა დარღანელთან

ციკლიდან: „რუსთაველის ნაველებზე“.

შენ გვედრები,
სადაური სად წამოსული,
გულით მლოცველი,
ხანდაზმული,
მონა, ყარიბი:
არ დაუკეტო საქართველოს
პონტის კარები,
არ მომიწყვიტო მიწა ჩემი
თარგამოსული.
რად მეჩვენება
ჟამი ჭირთა მოახლოების,
რისხვა განგების,
შემოწყრომა მაღალ სამართლის,
რატომ ჩანს შავად
უსაზღვრობა აღმოსავლეთის,
რად მესმის რეკვა
შეშფოთებულ სამრეკლოების.
რად მესიზმრება
ხმალი, ტარში გადამსხვრეული,
გოდება, ტანჯვა,
ურჯულობა, ცრემლი მალული,
რად მომდევს ლანდად
ბედწამხდარი ჩემი მამული,
მამული, მადრიბს მოწყვეტილი
და დამწყვედული.
აქმარე ჭირი.
მტრის მონობა,
სპარსი, არაბი:
აშორე ცრემლი,
ბედშავობა,
წარღვნა, ქარაფი:
შენ გვედრები,
შენს დიდ გზაზე
ლოცვით მარები:
არ დაუკეტო საქართველოს
პონტის კარები.

აკაკი ბალიაშვილი

მ მ ი რ კ ა ტ ა *

• •

ბევრჯერ მსმენია და წიგნებშიაც წა-
მიკითხავს, როდესაც ადამიანები შემ-
თხვევით წააწყდებიან ხოლმე ასეთ
სურათს, თავზარდაცემულნი თურმე
შინით ადგილზე ქეავედებიან და ძარღ-
ვებში სისხლი ეყინებათო. მე კი, მარ-
თალი გითხრათ, არაფერი ამის მსგავსი
არ ვანმიცდია. მართალია, მიწის ქვეშ
ვიყავი და ამ ბნელ ჯურღმულში ყოვე-
ლი კუთხიდან წყვდიადი მიბრიალებდა
თვალებს, მაგრამ დავინახე თუ არა ეს
საშინელი სურათი, უნებურად წამოვი-
ძახე, რა უქნია გოგოს-მეთქი და მაშინ-
ვე მივვარდი საშველად. ღია ისე დაბლა
ეკიდა, რომ ფეხები იატაკზე აბრუული-
ვით მოჰკეცოდა. ორივე ხელი იღლიებ-
ში ამოვდე, ავწიე და, მკერდზე ავიხუტე.
მომჩვენარული სხეული საოცრად დამძი-
მებოდა. შევეცადე, ცალი ხელით მომი-
ხსნა თმის ბოლოში გამობმული მავთუ-
ლი, მაგრამ ვერ მოვახერხე, მასში ნაწ-
ნავის ყულფი მოვასუსტე. გამოვხსენი
და თავზე დიდი გაჭირვებით გადავაძ-
ვრე, თმა ნებზე დავიხვიე და დავიწყე
ჯაჯგური, იქნება ჩამოვგლიჯო-მეთქი.
ვერ შეიძელი. უმწუროდ მიმოვიხედე.
გოგო კი მთელი სიმძიმით მაწვებოდა
გულ-მკერდზე და წაქცევას მიპირებდა.
ბოლოს, როგორც იქნა, ნაწნავი გამოვ-
გლიჯე მავთულის ნასკვიდან, დამხრჩ-
ვალი ქალი ძირს დავაწვინე და ტელე-
ფონს მივეარდი. აი მაშინ კი მივხვდი,
რა დღეშიც ვყოფილვარ. ხელები ისე
მიკანკალებდა, ტელეფონის მილის ჩა-
მოსხნაც ძლივს მოვახერხე.

— ჩქარა, ექიმი, — ჩაეხზავლე მიკ-
როფონში და გამიკვირდა, ჩემი ხმა მე
თვითონ არ მესმოდა.

შემდეგ ყველაფერი ბუნდოვნად მახ-
სოვს. ავეყვირდი, მგონია, მიშველეთ
ჩქარა-მეთქი, თუ როგორ იყო, აღარ
ვიცი, ეს კია, ჩემს გარშემო ხალხი გაჩ-
ნდა, თეთრხალათიანი ექიმიც, რომელიც
თურმე მაღაროში მორიგეობდა. შეიქნა
ერთი ფუსფუსი. გავიგონე, ცოცხალია,
ცოცხალიაო და... მერე მე დამიწყეს
მობრუნება. გონს რომ მოვედი, დავინა-
ხე, ჩემთან რამდენიმე კაცი ტრიალებ-
და. ღია უკვე წაეყვანათ.

— შენ რაღა მოგივიდა, ბიჭო, შე
რჯულძაღლო? — მითხრა პარმენმა.

— პაპიროსი! — წავილულულუღე უმ-
წუროდ და მაშინვე აქეთ-იქედან მომავო-
დეს. ვილაცას კოლოფში ხელი ისე
უხერხულად ვტუნტრე, სულ დავეუბნიე.
დავიხარე, მინდოდა ამეკრიფა, კინაღამ
გაღმოვვარდი მერხიდან.

ხელი შემაშველეს. დამსვეს. პაპირო-
სი პირში ჩამიდეს და ცეცხლიც მომა-
წოდეს. მოვწიე. ფშულით გამოვაბოლე
და მიმოვიხედე.

— ცოცხალია თუ მკვდარი? — ვიკით-
ხე ჩურჩულით.

— რა ვიცი. ცოცხალიაო, ექიმმა
თქვა. გრძნობაზე არ იყო მოსული, —
მითხრა სინუსამ — ჩვენ გვეგონა,
დენმა დაარტყა. მართლა თავი ჩამოუხ-
რჩია? გვითხარი, რაღა იყო?

— წამოთ, წამოთ, სამუშაო მოვათა-
ვოთ, — უყვირა პარმენმა სინუსას, —
გამიმართე ახლა აქ დავითხვა!

ეტყობოდა, არ სურდა ამ ამბავზე
გველაპარაკა. მგონი მე მხოდავდა, რო-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 8.

დესაც ყველანი წინ გაიგდო, მომიბრუნდა და დაყვავებით მითხრა:

— შენ თუ გინდა, წადი, დაისვენე. სულ ერთია. მუშაობის თავი აღარ გექნება. რაღა დაგვრჩა, ერთი საათი აღარ იქნება ცვლის დამთავრებამდე. მიდი შინ, ჩვენც მალე მოვალთ.

მე კიდეც ლიას ამბავის გაგება უფრო მსურდა და ლასლასით გავემართე გარეთ. სიარულში უფრო მოვლონიერდი და გული, როგორც იქნა, დამიმშვიდდა. გვირაბიდან რომ გამოვედი, თავისუფლად ამოვისუნთქე და მაშინვე ამბულატორიისაკენ მოვუსვი. საღამო ეპირი იყო. ცას პირი გაეხსნა და მინასავით გამჟღავნებულ გუმბათივით დამხობოდა გულჯავრიანად აყუდებულ მთა-გორებს. ნაწვიმარზე ფეხი სსლტებოდა.

ამბულატორიაში ორი თეთრხალათიანი ექთანი დამიხვდა. ერთი მაგიდას უჯდა და წიგნში რაღაცას წერდა. მეორე იქვე იდგა, გულზელდაკრფილი და პირველს ეუბნებოდა:

— რაგარი საქმეა, ქალიშვილი ქალი რო შეცდები და მერე ბიჭი უარს გეტყვის, მარა ახლა უარესად მეექვრა თავი იმ უბედურს. რო მომკვდარიყო, გონია, ჯობდა იმისთვის.

გულზე მომეშვა და თავისუფლად ამოვისუნთქე.

— გადარჩა, ხომ? — ვიკითხე ხალისიანად.

ქალებმა მოიხედეს. გულდასმით შემათვლიერეს.

— მოვაბრუნეთ, როგორც იქნა, — მითხრა მაგიდასთან მჯდომმა, — შენი ხომ არაფერია ის გოგო?

— არაფერი. მე ჩამოვხსენი ყულფიდან.

— უი, შენ ხარ ის? — რაღაც უჩვეულო ცნობისმოყვარეობით წამოიძახეს ორთავემ და ხელახლა დამჩხვლიტეს თვალებით.

— მე ვარ, რაგა, რა იყო?

— არაფერი, — რაღაც გაჭიანურებით მითხრა პირველმა, — შენ ხარ ის ტყეშალაძე?

— რომელი ის, ვერ გამიგია.

— რომელი და ნიშა ^{ტყეშალაძე} ბიჭო, თუ შეპირდი შეგირთავო, მერე რა ხადას ატყუებდი, შე უგამჩნეო, შენ.

ახლაც მიკვირს, მეორედ რომ არ შემიწუხდა გული. ბატს რომ თავში სახრე მოხვდებოდა, ისე დაეიწყე ყვირყვიცი.

— მე შევპირდი? — დავბრაწე თვალები.

— შენ, შენ შეპირებიხარ, შეგიცდენია, და, აბა, რა ექნა იმ უბედურს. ასე იცით ახლანდელმა ახალგაზრდებმა, გაფუჭდით და გათახსირდით ყველა?

— თითონ თქვა ეს ყველაფერი? —

— თითონ რაზე იტყოდა. ხმა არ გაუღია, მარა ქვეყანა ასე ლაპარაკობს. რაგა, ტყუილია?

— ტყუილიაო... — მუშტები სიბრახისაგან ისე მავრად შევკარი, თითის ძვლები მეტკინა. ეს უფროსები რომ გვარიგებთ, ნუ ივინები, ცუდ სიტყვას ნუ იტყვიან, ახლა რა მექნა, არ უნდა შემეგინებია? — რა ვუყოთ, რომ ქალების წინ ვიდექი და უკადრისი სიტყვა პირიდან არ უნდა ამომსვლოდა. რომ მოგეკალით, თავს ვერ შევიკავებდი. — მე იმისი მკვდარი და ცოცხალი... — დაეხეთქე ზემო იმერელი კაცისათვის ყველაზე უფრო სამინელი გინება, — ვინც ეგ ხმა გაავრცელა. თუ ჩემის ხელით არ წავგუდო კატასავით, ბიჭი არ ვიყო. ჩვენ კი არა, თქვენ ხართ გათახსირებული. რამდენი გოგო ბიჭს დაელაპარაკება, იმ წამშივე წაიგდებთ ენას და რაფერ გაქორთოთ, აღარ იცით.

— აბა, რაზე იხრჩობდა ი გოგო თავს, თუ ტყუილია! — ისეთი სიცხარით შემომიბტია მოთლოდნელად პირველმა ექთანმა ქალმა, რომ ძალაუფლებურად წავხდი და უკან დავიხიე. — იქნება, შენ იცი და, გვითხარი მართალი.

დავიბენი. საიდან ვიცი, რაზე იხრჩობდა თავს. მართალია, არაფერ შუაში ვიყავი, მაგრამ გული მაინც მეუბნებოდა, რომ შეიძლება მიზეზი მაინც ჩემგან მომდინარეობდა. მე ხომ ვგრძნობდი, რომ იმ გოგოს თავიდანვე გულში ჩა-

უფარდი, მაგრამ მას ჯერ ცისანამ გადა-
 ულობა გზა, მერე ლეტიციამ, მეც კიდევ
 ჯერ იმდენად გამოცდილი არ ვიყავი,
 რომ ადამიანი გარეგნობით კი არ შემე-
 ფასებია, არამედ მის გულში ჩამეხედა
 და იქ დამენახა ყველაზე უმშვენიერესი
 და მომხიბლავი სილამაზე ამ ადამიანი-
 სსა. მაშინ რა ვიცოდი ამდენი! ქალიშვი-
 ლი პომადით თუ მოიდღლაბნიდა ტუ-
 ჩებს და ყვავის ბუდესავით აიჩეჩავდა
 თმას, ის მეგონა ყველაზე ლამაზი სუ-
 ლიერადაც და ხორციელადაც. განა
 ბევრს გაეგება, რომ ყოველ ჩვენგანს
 შეიძლება ორგვარი სილამაზე ახასია-
 თებდეს, გარეგნული და შინ-განი?! ან
 განა ბევრია ჩვენს შორის ისეთი, რო-
 შელიც ნათლად ხედავდეს ადამიანის
 შინაგან სულიერ სილამაზეს და მას
 აფასებდეს! ჩვენ მხოლოდ გარეგნუ-
 ლით ვიხიბლებით, ისე როგორც პატარა
 ბავშვი ფოჩიანი კამფეტით. იმას კი
 აღარ ვუყურებთ, რომ ამ ფოჩიანმა კამ-
 ფეტმა შეიძლება ისე მოგვწამლოს, ვე-
 რავეითარმა სასწრაფო დახმარებამ ვე-
 ლარ გვიშველოს. განა მე თვითონ ასე
 არ დამემართა?!

— რაზე იხრჩობდა, ბიჭო, თავს,
 რაზე? — არ მეშვება ექთანს ქალი.

— აი, ჰირი და გაწყვეტა თქვენ და
 თქვენს ჯილაგს. რა ვიცო მე, რაზე იხრ-
 ჩობდა.

— აბა, მე არ გამოიგონია, ადამიანმა
 ტყუილუბრალოდ ჩამოიხრჩოს თავი.

— კი, მარა მე რაზე ამომიჩემეთ, რო
 არაფერ შუაში ვარ.

— ახლა აგრე იტყვი, აბა, იმას ხომ
 არ იტყვი, ჩემი გამოისობით იკლავდა
 თავსო. კაი მამაძაღლები ხართ ყველა.

— ვინც ჩვენ შორის მტყუანი იყოს,
 მე იმისი ასე და ისე. — რანაირადაც არ
 უნდა დამძრახოთ, ერთი კიდევ დავუ-
 თათრულე ქალებს და გარეთ გამოვვარ-
 დი.

— შენ, ბიჭო, ზრდილობას რო არი-
 გებდნენ, სად იყავი მაშინ? — მომამახა
 ექთანმა ქალმა. — შენ კი ვაგინმა მავ
 უნა.

გახელებული გავეშურე საავადმყო-
 ფოსაკენ, მინდოდა მენახა ავადმყოფი,
 ისიც დამემშვიდებია და ჩემი თვით.
 მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იქ უკვე
 ყოველი დარაჯი და მომვლელი ქალი
 მიცნობდა, მაინც არ შემეშვეს. როცა
 შესაძლებელი იქნება ჩვენ თითონ გეტ-
 ყვით, ისე ავადმყოფი თავს კარგად
 გრძნობს, ოდნავ დაზიანებული აქვს
 კისრის ძარღვები და ექიმები ლაპარა-
 კის უფლებასაც არ აძლევენო. მგონი,
 ხორხის ხრტილიც უნდა ჰქონდეს გატე-
 ხილიო.

დაებრუნდი უკან. შინ არაფერ დამიხ-
 ვდა. ცვლა, მართალია, დამთარებული
 უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩემი ბრიგა-
 დის წევრები ჯერ არსად ჩანდნენ. ლო-
 გინზე მივეგდე, მეგონა, დავმშვიდდე-
 ბოდი და ცოტას დავისვენებდი, მაგრამ
 აფორიაქებულს თუ შემეკრავდნენ და
 ტახტზე დამაგდებდნენ, თორემ ისე რა
 გამაჩერებდა. სული მეხუთებოდა. ისევ
 ანიკოსთან ვარჩიე მისვლა. ვხედავ, კა-
 რებში ნაწევარა ახტა და კისერზე ჩა-
 მომეკიდა, მკოცნის, მეხევევა, სახლში
 მიმიწვია. ანიკოც იქაა. სკამი მომაგებეს.

— რას შვები, ბიჭო? რავე ხარ? —
 მეკითხება ჩემი ნაწევარა.

მას ბრეზენტის სპეცტანსაცმელი აც-
 ვია, თავზე კაუჩუკის სოკოსავით ქუდი
 ახურავს, ხოლო ყბები დაფარულია გაუ-
 პარსავი ღინღლით.

— შენ თითონ რას შვები. ვაზრდილ-
 ხარ, შე სახეძალო!

— მე რა მიჭირს. დავრბივარ ამ გვი-
 რაბში ნაზამთრალ ვერთხასავით და ვაწ-
 ვები ამ ცხოვრებას გულბოყვით.

— მერე.

— მერე რა, ჩემისთანა პატარა კა-
 ცისთვის ამ ცხოვრების მორევა აღვი-
 ლია? — დუდღუნებს ნაწევარა. — წუ-
 ხელი ვერ გნახე, ამ დილას რო მოვბ-
 რუნდი, გაგესწრო.

— რა გიჭირს, ძამია, ხომ ელი ვაე-
 კაცს? — ვეკითხები და ცალი თვალით
 ანიკოზე ვანიშნებ. — ახლავ ეტყობა,

ის რო დაიბადება, მაშინვე იქნება შენ-
ხელა.

ანიკო კისკისებს, ნაწევარაც ხალი-
სიანად იღიმება. სამივენი ვსხდებით
პატარა მაგიდის გარშემო და მე იმ
წუთში ისე ვგრძნობ თავს ამ ორ მეგობ-
ბართან, როგორც დედის მკერდში ჩა-
ხუტებული პატარა ბავშვი. ორივეს შე-
ხედვა ისე მათობის და მელამუნება,
როგორც ზამთარში მოლულუნე ბუხარი.
ყველაფერი მავიწყდება ამ ღარიბულად
მორთული ოთახისა და ამ ბედნიერი
ცოლ-ქმარის გარდა.

— რაეა საქმე, დააგრიალე ელმავე-
ლებს? — ვეკითხები ნაწევარას.

— დაეაგრიალე, მარა...

— რა, მარა. არ მოგწონს?

— მოწონებით რაეა არ მომწონს,
მარა ჩემს ელმავალს რას დავეძებ, შენი
ამბავი მითხარი. გუშინ კინალამ მოგკა-
ლი ანიკო, რაეა გაგიშვა სახლიდან...
სიყვარულით გადახედა თავის ცოლს ამ
ცუროდენა მეოჯახემ და საყვედურით
უთხრა: — ადე, ქალო, ზეზე, რაღას
უყურებ, თუ გვაქ რამე სახლში, მოი-
ტანე, ამაზე უკეთესი ვინ მეწვევა.

— ოპო, პო, პო, გახდი მეოჯახე? —
ვიგულები სიცილით, — ვიცით, რო
გაქვს ყველაფერი. ერთი ოცი საბალნე
ღვინო გისხია, ალბათ, ჭურბში...

— ოცი საბალნის რა მოგახსენო,
მარა შენი დასათრობი მაქვს ერთი
დოჭი ქვიშხური, მამაჩემმა ჩამომიტანა
ამ დილას... შენც ჩამოგიევა, ალბათ,
ხვალ, თუ გაიგვს თქვენებმა შენი ჩამო-
სვლა, მარა მამაჩემი აუტანს დღეს
ამბავს, სახლში რატო არ ადი?

— კვირას ავალ.

— შენ მოყვები ახლა, რაფერ შეირთე
მილიონერი ქალი.

— ე, ბიჭო, აღარ მკითხო მაგ, თვარა
გავგიყდები. ღრანჭი მაქ მოქცეული
მოყოლით. შენ მითხარი, გეგმებს რო-
გორ ასრულებთ და...

— ყოველთვიურ გეგმას ას ოცი
პროცენტით...

— კი არ გეხუმრები, მართლა გეკით-
ხები.

— მეც მართლა გეუბნები. გაზეთის
კორესპონდენტებთან ლაპარაკით ღრა-
ნჭი მე მაქვს მოქცეული, თუ მაქვს.
დედას გეფიცები, თუ ჩამორჩენა არ
მერჩიოს ამ მოწინავეობას, მოსვენება
აღარ მაქვს. სამჯერ ვიყავი დახატული
რაიონის გაზეთში, ერთხელ „ზარია
ვოსტოკაში“. ზედ ეწერა: „მოწინავე
მეელმავლე“... რათი გამომიყვანა ფო-
ტოგრაფმა მაინც იმისთანა ვაქცატი, გა-
გებას არა ვარ. რო განახვო... მოიცა,
აქა მაქ სადღაც. არსენა ყაჩალი გეგო-
ნები. მალე შენც მოგდგებიან, ალ-
ბათ...

— შენ ეს მითხარი, ადვილია ელმა-
ვალზე მუშაობა?

— ადვილი რაეა. ამსიგრძე შემად-
გენლობა რო მოგყავს, ერთი ჩაგივარ-
დეს სადმე ვაგონი, ისე შეაჯღებთან
ერთმანეთს დანარჩენები, სულ გამოტე-
ნიან გვირახს. უნდა გააჩერო მთელი
მოძრაობა. როდის მოვა საავარიო ბრი-
გადა და გაწმენდს გზას, რა იცი! ცარი-
ელი ვაგონების შეყენება ლიანდაგზე
არაა ძნელი, შენ თქვი სავსე ვაგონების
გასწორება. ხანდახან სუყველა თუ არ
დაცალე, ისე ვერაფერს ვერ მოუხერ-
ხებ. მთელი ჩვენი სიმარჯვე იმაშია,
უავარიოდ ვატაროთ მატარებელი. მე
ჯერ ერთი ავარია არა მქონია.

— რაფერ, შე ასმუშეა, შენ!

— რაფერ და ელმავალზე რო ზიხარ,
სულ უნდა გრძნობდე და განიცდიდე
მოძრაობას, თითქო შენ თითონ გარ-
ბიხარ და ყრთხილობ ან არაფერს დაე-
ჯახო, ან ფეხი არ გადაგიბრუნდეს, ან
არსა ჩავარდე. როცა ასეთი გუნებია
დაჯღები ელმავალზე, მთელ გზას ისე
შეისწავლი შენებურად და ისე გრძნობ,
სად უნდა შენელო სვლა. სად უნდა
აუჩქარო, ხელი თავისთავად მართავს
სახელურს. მერე ეს ჩვენი გვირახბე ეა-
ვიდან ბოლომდე სწორი მანეც იყოს,
ჯერ, რო შედიხარ, პატარა თავდაღმარ-
თია შიგნით მერე სულ აღმა მიდიხარ,

მერე ისევ ვაკეა, მერე ყოველ ას მეტრზე, ხან მაღლა აღის ხან დაბლა.

— რას მიედ-მოედები, ბიჭო? თითქოს არ ვყოფილიყო იმ გვირაბში, ლარივითაა გაკვიმული.

— ეგ შენ აგრე გგონია, ფეხით რო მიდიხარ მაგას ვერ გრძნობ. აგრე მეგონა მეც, მარა, რო დაჯდები ელ-მაველზე და წამოიყვან იქიდან სავსე შემადგენლობას, მაშინ ნახავ! დაღმართში რო მოგაწვებიან ვაგონები და მუხრატუებს რო ბოლი აუვა, მიხვდები, რაც თავდაღმართებია.

— აბა, კი ყოფილხარ მართლა გასაწერი გაზეთში.

— ნეტავი სხვა დაპირებებს მისრულებდნენ ისე ხშირად, რავარც გაზეთში მწერენ, თავი მაქ ვასიებული ამდენი ქებით.

— შენ გარდა იყო ვინმე გაზეთში ჩვენთან?

— იმე, აბა! პარმენის ბრიგადა მიდის წინ, მარა ახლა ინციენტს უთქვამს, ვინაიდან ამ ბრიგადაში უმრავლესობა დაუსწრებელზე აპირებს სწავლას და ზოგი კიდევაც სწავლობს, ამიტომ სულ სხვადასხვა სამუშაოზე უნდა ვამუშაო მაგენო. ერთ წელიწადს შებიგებდად რო იმუშავეთ, მეორე წელიწადს ლიანდაგის დაგებაზე გადაგიყვანენ, მერე მნგრეველებად, მერე ამწმენდებად, კარგი ინჟინრები თუ გინდათ იყოთ, თითონ უნდა გამოცადოთ და შეისწავლოთ ყოველი სახის სამუშაო, რაც სამთამადნო პრაქტიკაში შეგხვდებათო. ეგ კარგია, იცი, მარა... დეედა, აწმენდაზე მუშაობა...

— შენ?

— რა მე?

— შენ არ აპირებ დაუსწრებელზე შესვლას?

— რა ვიცი, ჯერ კარგად მოვეწყვე ამ ელმავალზე და მერე ვნახოთ. მომწყინდა ამ სახელმძღვანელოებში კირკიტი და ფორმულების ზეპრობა. ვაითუ უმაღლეს მათემატიკას ვერ მოვერიო.

ანიკომ, რაკი შეატყო, რომ ჩვენს

საუბარს სულ სხვა ხასიათი ჰქონდა და მე ჯერ არ ვაპირებდი ჩემი თავყვდასაელის მოყოლას, დიასახლისობას შეუდგა. გარეთ გასვლის წინ მაინც გამაფრთხილა.

— შენ გაფიცებ, ვინც შენთვის ძვირფასია, უჩემოდ არ მოუყვე ამას შენი ამბავი, კარგი?

— ნუ გეშინია, დაიკო, — დაემშვიდე მე.

ანიკო გარეთ გავიდა, ჩვენ კი განვაგრძეთ საუბარი, მაგრამ არ გასულა ათიოდე წუთი, რომ დიასახლისის სახლში დაფეთებული შემოვარდა და მოგვახალა:

— ეს რა გავიგე. ღია მართლა იხრჩობდა თავს? ნოდარ, შენ იცოდი ეს ამბავი?

— ვიცოდი კი არა, მე თითონ ჩამოვხსენი თოკიდან!

— რას მელაპარაკები! — გაიკვირვანაწვეარამ, — გადარჩა?

— კი, ცოცხალია.

— სად არი ახლა? — მკითხა ანიკომ.

— საავადმყოფოში წაუყვანიათ.

— რატო არ მითხარი ეს ამბავი, ღმერთო კი მომეძალი, რა უქნია ეს იმ სულელს, რა?! — აწუწუნდა ანიკო.

კოტახანს უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ნაწვეარამ დამნაშავესავით განზე გაიხედა და გაუბედავად მკითხა:

— ნოდარ, შენსა და იმას შორის მართლა იყო რამე?

— არ გამითენდეს ხვალ დილა, მე ვიყო უკანასკნელი აღამიანი, თუ ჩვენ შორის რამე ყოფილიყოს.

— ბიჭო, აბა რაშია საქმე?

— რა ვიცი. რავა, ჩემს მეტი სხვა კაცი არავინაა ქვეყანაზე!

— მე ვიცი, მაგ ვისი ბრალიცაა ყველაფერი, — თქვა ანიკომ და პალტოს ჩაცმა დაიწყო, — მე ვიცი...

— სად მიდიხარ, ქალო? ჩვენც წამოვალთ.

— თქვენ მოიცათ. იქ, სულ ერთია, თქვენ არ შეგიშვებენ ახლა. მე კი მოვახერხებ ნახვას.

— მოიცა, ჩვენ გავიგებთ ამბავს. ეს ორსული ქალი რაფერ გაგიშვა. ჩვენ წავალთ, — არ ეშვება ნაწევარა, — მოიცა, შენ გენაცვალე.

— რას ლაპარაკობ, რას! ამხანაგი ამ დღეში მყოლია და სახლში რა დამაჯენს. თქვენ იყავით აქ. მე მალე დაებრუნდები. აგერ, თენგიზას ვეტყვი და ის წამიყვანს თავის მანქანით. ახლავე დაებრუნდები და გასადილებთ.

წავიდა თუ არა ანიკო, ნაწევარა მაშინვე მომიბრუნდა და მკითხა:

— ე, ბიჭო, ახლა მარტო ვართ და არ გაგამხელ. მართალი მითხარი, მართლა არაფერი ყოფილა თქვენ შორის?

— ბიჭო, რა ჯენა ახლა, ვინ დავიფიცო...

— მართლა არაფერი?

— მე ვიყო უკანასკნელი ადამიანი...

— ი?

— ჭკუაზე აღარა ვბრკავი.

— მგელს მგლობა დასწამდა და ტურამ ქვეყანა დააქციაო. ალბათ, ვიღაცამ შეაქცინა, იმან თუ გაგივრცელა ეს ხმა.

— იქნება არავისაც არ შეუცდენია და ტყუილა ჭრიან ქალს თავს.

— ეგეც არი, მარა რალა შენ ამოგირჩიეს...

— ერთი გამაგებია, ვინც ეგ ხმა დაარხია და თუ ჩემი ხელით არ დაეკლა, მე ვიყო თავსლადანხმული და დეთისპირისაგან შეჩვენებული...

ისევე შემიპყრო კეთილშეიქნება, ისევე ამიფორიაქდა გუნება. იმ წუთს რომ მომხვედროდა ხელში ის არამზადა, ვინც ასე დაგვეგესლა ორივენი, მეც და ის ბედკრული ქალიშვილიც, მართლა წარბშეუხრელად ან მოვკლავდი ან შევაკვდებოდი.

* * *

სალამოს ჩვენი ბრიგადის წევრებში დიდი ბჭობა გაიძარტა. ყოველი მათგანი სრულიად უდანაშაულოდ მთვლიდა, მაგრამ ეს სულაც არ მამშვიდებდა. უნებლიე მიზეზი მაინც მე ვიყავი.

— ერთი ეს მაკოდინა, პირველად ვინ გაუვრცელა იმ უბედურს ეს სახიზლარი მონაჭორი, — წარმოთქვა პარმენმა და ბიჭებს გადახედა.


— ვინც გაუვრცელა, იმაში კი არაა საქმე, ჩვენ რატომ ვიჯერებთ ასეთ ტყუილს, ისაა მთავარი, — თავისებური სიმძიმით ჩაილაპარაკა ნეტარიძემ, — რამდენი სულელი რაღაცას იტყვის, ყველაფერი უნდა დაიჯიროს ადამიანმა?

— რატომ ვიჯერებთ და რო წახდით და გაფუქდით ყველა, იმიტომ, — გულჯავრიანად ესროლა პარმენმა, — რავე, არ იყო დასაჯერებელი?

— რა ვითხრა, იცი, — არ ეშვება ნეტარიძემ და ჯიუტად განაგრძობს. — ასში ერთი როცაა ასეთი ამბავი, ჩვენ ყველა გვეგონია ასეთი, ესაა უბედურება, რავე, ცოტა იყო, როცა ბიჭი თუ გაივლიდა გოგოსთან, მობრუნდებოდა და იწყებდა ტრაბახს, მე იმ გოგოსთან ასეო და ისეთო... ჭრიდა თავს უბედურს, რავე, ასე არ არი, ხოლმე?

— არი კი არა, მასში ოთხმოცდაცხრამეტი აგრეა ყოველთვის. ვისაც ნამდვილად აქვს შნო, საქმე გოგოსთან დაიჭიროს, ის არც დაიტრაბახებს და არც გაამხელს მავას. ვინც ტრაბახობს, ისაა, რომ ტყუილს ამბობს, მარა სად ვარკვიოთ ახლა ჩვენ, ვინ ამბობს ტყუილს და ვინ მართალს. მაგისთვის გეცალია? ამ ჩვენ ნოდარზე ჭორი, შეიძლება, არავის დაეჯერებია, მაგრამ იმისთანა ამბებში გაება, ჯერ იყო და მზეთუნახავი ყავდა სატრფო, მერე იყო და, მეორე მზეთუნახავი საყვარელი თუ ცოლი და... ახლა, ამისთანა ავტორიტეტიან კაცზე დეიჯერა ყველამ. მეც გავიფიქრე. იქნება ეს საწყალი გოგო მართლა მიმწყვდია-მეთქი ტუნელში სადმე...

პარმენი ცდილობს საქმე შეაბრუნოს და ხუმრობისაკენ გადაუხვიოს, მაგრამ ბიჭები არ აყენენ. არც ერთს არ გახსნია სახე.



— მარა, კიდე იღბალი, ტყუილი გამოდგა, — განაგრძო სერიოზული კილოთი პარმენმა, როგორც კი მიხვდა, რომ არავინ არ ფიქრობდა, ხუმრობაში აპყლოდა, — ის კია მოსაჩეჩქვი, ვინც ეგ ხმა დაარხია. კინაღამ შეეწირა ქალი.

— კაცო, შენც ერთი გააქირე საქმე, — აუწია ხმას პიერკვადრატამ, — ალბათ ვიღაცა სხვაა დამნაშავე და იმიტომ იხრჩობდა თავს, ალბათ, ის ქალი. ნოდარი რა შუაშია. ისაა მოსაძებნი და იმას უნდა გაუსივო ცხვირი.

— საიდან გავიგოთ მერე, ვინაა? — იკითხა სინუსამ, რომელიც აქამდე სულ ჩუმად იყო და ერთხელ ხმა არ გაუღია.

— თითონ ის გოგო იტყვის.

— რო არ ამბობს.

— დააცალეთ და დაამღერებს. ერთი სიტყვით, ამაზე ლაპარაკი მოვსპოთ, ეს ნოდარა არაფერ შუაშია, ეს ცხადზე უცხადესია. თუ ის გოგო დაასახელებს, ვინც შეაცდინა, ხომ კარგი და, თუ არ იტყვის, რავარც თითონ ერჩიოს, ისე ბრძანდებოდეს. უნდა ამორტი ვაიკეთოს, უნდა ერთი კაი ბიჭი, სულიწმინდით შთასახული შეძინოს ამ ჩვენს ქვეყანას, რავა იტყვიო? ასე არ არი?

ახლა მე ჩავერიე და პიერკვადრატას ცდა, პარმენის შემდეგ მას გადაეხვია ხუმრობისაკენ, ძირშივე მოკვეთე.

— დაიცა, აგრე არაა, ბიჭო, საქმე. ის გოგო ადამიანია, ჩვენ შორის მუშაობს, ჩვენი კოლექტივის, ჩვენი ოჯახის წევრია. რისთვის უნდა მივიყვანოთ იგი იქამდე, რომ თავს იხრჩობდეს. რატომ? ან იმან რა დაგვიშავა ან ჩვენ რა დავუშავეთ? არ უნდა გავიგოთ და ვავერკეოთ ამაში? თქვენ იცით, ის რა კარგი გოგოა, რა შესანიშნავი ადამიანია? წარმოდგენაც არა გაქვთ. ნეტავ ჩვენ ყველანი, ერთობლივ თავიდან ბოლომდე, ისეთი ადამიანები ვიყოთ და ჩვენს ბედს ძალლი არ დაჰყფოდა. აი მაშინ იქნებოდა...

— აუჰ, რა იქნებოდა! — ცინიკურად გამკრა პიერკვადრატამ, — ვინც ხელს

დაგიქნევს და ყველას რო დაუწევბა ქალი...

— კაი, ნუ გააქირე, ბავშვო, საქმეს მტანს ყოჩური ვაქეცობით.

— ...იმისთანა თუ იქნა ყველა, — განაგრძობს პიერი და ჩემს შემახილს ყურს არ უგდებს, — აუჰ, რა საზოგადოებას შევქმნით.

— ადამიანი უერ უნდა გაიციო, შეისწავლო და მერე შეაფასო მისი ღირსება. შენ, როცა არ იცი, რატომ ლაპარაკობ მაგრე, რო იჭაჭები, სამშობლო მიყვარსო, ჩაის ჰქვას რო დაავლებ ხელს და გაუმარჯოს ამ ჩემს ლამაზ, ტურფა პატარა საქართველოსო, მერე ძალღვიით თუ დაუწყე ღრენა ყველას, რადა უნდა დავიჯერო შენი. დაავლებ ყანწს ხელს და ღრიალებ: გაუმარჯოს ქართველ დედას და ქართულ მანდილს... შენ თითონ თუ არ შეუნახავ ნამუსს ამ ქართველ ქალს და ამ მანდილს თავზე გადააძრობ, შენ თითონ თუ არ დაიცავ შენს ვაქეცურ ღირსებას, მარტო ამ ქალმა რალათი შეინარჩუნოს ეს ღირსება!

— მაჩვენე ასეთი ქალი და, თუ იმისთვის თავი არ გაეწირო...

— წადი, დაიკარგე. შენთვის ყოველი ქალი კახაა და სხვა თვალსაზრისით არც უყურებ. ასევე ხარო თითქმის ყველანი და ამიტომაა, რომ ასე ადვილად მოქერით იმ გოგოს თავი და გააბახეთ საქვეყნოდ, მართალი რომ თქვას კაცმა, სანამ ის თავს ჩამოიხრჩობდა. თქვენ ჩამოაბრჩევთ წინდაწინ. ალბათ. როგორ აგონებდით და ხმამალა წამახოდიო...

— რაც მართალია, მართალია, — იყო მაგრე, — დამეთანხმა უცხად რადიომოყვარული ედიშერა ფხალაძე, — აგონებდნენ ბიჭები, რავა იყო, ნოდარამ რო ასეო და ისეო, ახლა ერთ ბიჭს არ დაახვედრებ, რო დაბრუნდებო,.. ასე წამახოლდნენ, დედა ნუ მომიკვდება.

— ეგ არის მერე საქმე? სინდისი რას გუბნებოდათ. თუ საქმე არაფერი გქონდათ მერე? რატომ აიჩემეთ და აითვალ-

წუნეთ, დაგიშავათ რამე? თუ დაგავიწყდათ, რომ ისიც ადამიანი შეილია, მასაც აქვს გული და გრძობა, მასაც შეუძლია უყვარდეს ვინმე, მასაც უნდა ჰყავდეს კარგი მეგობარი, რომელსაც მთელი თავისი არსებით მიენდობა. დასცილნოდით? რატომ დასცილნოდით, ვინ მოგცათ ამის უფლება...

— ჩვენ რას მოგვდექი ყველას, — გაიღიმა პარმენმა.

— მარტო თქვენზე არ ვლაპარაკობ, ყველაზე ვლაპარაკობ. აბა, თქვენზე უფრო ვლაპარაკობ. თუ კარგი კაცები ხართ, რატომ არ დაუთათრულეთ იმათ, ვინც ამ გოგოზე ასე უმიზეზოდ ცუდს ამბობდა.

— ყველას ხომ ვერ აუკრავ პირს, ჩვენ რა უნდა გვექნა, — სცადა თავის მართლება ნეფარიძემ.

— არა, შეგეძლოთ! შენ რომ დაუცავხანებ ერთს, შენ მეორეს, ის მესამეს, როცა დაინახავენ, რომ არ აყვები. ზოგიერთი ამისთანა რამეებს, მერე ძალაუწებურად ყველა მოკეტავს პირს. აბა, რაში უნდა გამოვადგეთ ერთმანეთს ამხანაგები, თუ ერთიმეორის ნამუსს არ დავიცავთ და ერთმანეთს ნამდვილ ამხანაგობას არ გავუწევთ? რისთვის დავესხით თავს პიერკვადრატას კარტის თამაშის დროს? რაში მჭირდება, აბა, ეს ჩემი შეიდეკაცა ბრიგადა, აქ რომ ბედმა ასე შეგვეყარა ერთად, თუკი ვერ შევძლებთ წესიერ ადამიანებად აღეზარდოთ ერთმანეთი? აბა, რისთვის მომიხაროდა თქვენთან, როდესაც ასეთ უბედურებაში გახლართულმა ადამიანმა თავი დავალწიე იმ საშინელებას და აქეთ გამოვიქეცი? ჩემს სახლში არც კი აესულვარ, თქვენთან იმიტომ მომიხაროდა, რომ ნამდვილი ამხანაგების წრეში ეს მოლაცხაყებული მუხლები გამემაგრებია და თავი ისევ კაცად მეგრძნო.

— ჩვენ, რაფა, ხელი არ გამოგიწოდეთ თუ? — წაიდუღღუნა სინუსამ და პირველად შემომხედა თვალებში. აქამდე სულ განზე იხედებოდა და მე გვივი

მეპარებოდა, ამან ხომ არ გამოერცხლა ამ გოგოზე ეს კორი-მეთქნ.

— გამომიწოდეთ და მხარია სწორედ. ამხანაგობა ესაა, მაგრამ მეც თუ არ მივხვდი ამას, მე თუ ვერ გავიგე და ვიგრძენი თქვენი ძმობის ძალა, მეც თუ არ დაგიფასეთ ეს, მაშინ რალა აზრი აქვს თქვენი ხელის გამოწოდებას?

— სწორია, მაგას რალა ლაპარაკი უნდა, — მეთანხმება პარმენი, — ახლა უნებურად ვფიქრობდი, ეს შეიდეკაცა რომაა, სიმღერაზე ვამბობ და მომღერლებზე, ეს ხომ ხალხური, ჩვენს ხალხში დაბადებული ანსამბლია. ყანაში იკრიბებოდა ნაღზე, ალბათ, მეზობლობა, კვირაში შეიდი დღეა და რიგ-რიგობით ყოველდღე მოიყრიდნენ თავს სამუშაოდ დღეს ერთის ყანაში, ხვალ მეორეში, ერთმანეთს ეხმარებოდნენ. სიმღერაც შეაწყვეს შეიდ ხმაზე და ალბათ ძმობაც კარგი ჰქონდათ, მეზობლობაც, ერთმანეთის გატანაც იცოდნენ, ყადრიც, ლხინშიაც ერთად იყვნენ და მტერსაც ერთად იგერიებდნენ.

— კი მარა, ევირას ხო არ იმუშავებდნენ... — ბრიყულად იკითხა სინუსამ.

— კვირასაც ერთად დაისვენებდნენ. ძმობა და მეზობლობა, ბიჭო, მარტო მუშაობაში ხომ არ შეიძლება!

— აბა, ძველდაც ყოფილა კომუნისმი და ეგ არი! — წამოიროხროხა პიერამ.


— შენც იტყვი, საშუალო დავამთავრო. პირველყოფილი კომუნისში არ გავიგონია? — უთხრა სინუსამ.

— ეგ, როდის იყო! მაშინ ტყეში ცხოვრობდა ხალხი.

— შენ, ბიძია, ახლაც ტყის ცხოველი ხარ, — უთხრა პიერს ღიმილით პარმენმა, — შენ თუ გგონია ბევრად წინ ხარ იმათზე. ბევრი კი აღარ გიკლია ქვის სროლას.

სიცილმა ერთად იფეთქა და ყველაზე პეტად თვითონ პიერკვადრატა იცინოდა. პარმენი კი ადგა, მომეხვია და მითხრა:

— მართალი ხარ, ჩემო ნოდარ, ყველაფერში მართალი ხარ. შენზე ათი



წლით უფროსი ვარ, მაგრამ ვხედავ, ბევრი რამე შენგანაც უნდა ვისწავლო. თუ ასე პირდაპირ შევხედავთ ერთმანეთს თვალეზში, დაუზოგველად ვამსიხლტები და მოვდგებით ერთმანეთს, ყოველნაირ ჭირს ადვილად მოვიშორებთ. აბა, რავე გინდათ. ყოველი ადამიანის ცუდი თვისება ავადმყოფობასავით არი, თუ არ უშკურნალე, სულ უარესად და უარესად ხდება. მარა თქვენ, გატყობთ, იმისთანა ბიჭები ხართ, რაც არ უნდა გადაგველობოს წინ, ყველაფერს მოვერჩევით.

დამით ანიკო მოვიწახულე. საავადმყოფოდან გვიან დაბრუნებულიყო და ის-ის იყო დასაძინებლად ლოგინს შლიდა.

— როგორაა ავადმყოფი? — ვკითხე მე.

— როგორ იქნება, — ცოტა არ იყოს უკუწებოდ მითხრა ანიკომ და ქმარს გადახედა, თითქოს უნდოდა ეკითხა, როგორ მოვეპყრა ამ დაგვიანებულ სტუმარსო, და მაგიდასთან ჩამოჯდა.

!უ კი ისე დავიბენი ამ ცივგულა შეხვედრით, რომ აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავ. ერთი სიტყვით, დამურა რომ ჩაგაფრინდება თმებში და ვეღარაფრით ვერ მოიწიწენი, ისე მომაკრეს ეს ყოვლად საჯაყი ამბავი და ვატყობ, მართლა მომაკვლევიებს ვიღაცა თავს.

— შენზე ასე მითხრა, ჩემო ნოდარ. — ანიკო შედგა, ეტყობა, უჭირდა თქმა, — თვალთ არ დამენახოსო, აბაბაბა, თვალთ ნუ დამენახებთო. მაგან ვადამარჩინაო? ცოცხლათ დამმარჩა და ახლა მაგით უნდა ჩემი გული მოიგოსო, მაგ უსინდისო, თითონ მაგ იყო ჩემი ხელით მოსაკლავი და...

— კი, მარა, არ უთხარი, რომ მე არაფერ შუაში ვარ?

— რავე არ ვუთხარი, მარა, არ ჯერა. ახლა რო შეეშინდა, არაფერი დამბრალ-

დესო, იმიტომ იმართლებს, ალბათ, თავსო.

— რა ვქნა, მოვიკლა ^{არაფერი} მკვლელობა ვატყობ, არაფერი დამრჩენია. — ისეთი გულწრფელობით აღმომხდა ეს სიტყვები, ანიკო, შევატყვე, თუ აქამდე ლიას მიერ იყო ამხედრებული ჩემს წინააღმდეგ. ახლა მოლბა და უფრო გულთბილად შემომხედა.

— ახლა შენ გადაგვრიე. რატო უნდა მოიკლა თავი?

— ბიჭოს, აბა რა ვქნა, მითხარი. ათას ხატზე დავიფიცავ, რომ არაფერ შუაში ვარ. მაგ გოგოსთან დამძური სიყვარულის მეტი არაფერი მაკავშირებდა; ერთი ცუდი სიტყვა ჩემს სიცოცხლეში არაფერ მაგაზე, არც ერთ ქალიშვილზე არ წამომკლენია და სხვამ თუ რამე თქვა, ერთი მითხარი, ჩემი რა ბრალია!

— უმიზეზოთ არავინ არაფერს არ ამბობს, ჩემო ძამია! — მითხრა ანიკომ.

— ეგ მართალია, მაგრამ, მე რომ არა ვარ ეგ მიზეზი, რა ვქნა, მე შავ დღეზე გაჩენილმა, ის მითხარი...

— მე ახლა მჯერა, რო შენ მართლა არაფერ შუაში ხარ, მარა... — ანიკო მობრუნდა და ახლა ქმარს შეხედა, — რო იბუზები მაგ კუთხეში ნაბოლარა წიწილასავით, ვერ გაიღებ ხმას! რისი ამხანაგები ხართ, თუ ვერ გაიგებთ, ვინ შევბა ამისთანა საქმეს...

— შენც ლაპარაკობ ერთი! — შეუტია ცოლს მალხაზმა. — ენას ძვალი არა აქვს და რითი გინდა ამდენ ენატარტალას მოუარო. გოგომ თუ წესიერად არ დაიჭირე თავი, იტყვიან შენზე გლახას აბა, არ იცი?!

— რა ქნა უწესო ლიამ, აგრე რო ლაპარაკობ. იმაზე პატიოსანი გოგო ამ ჩვენს რაიონში რომ არ დადიოდა, ამას კითხვა უნდა? კარგად რომ გეპყრობოდათ, იმიტომ მოჭერით თავი? ეს, რაც თქვენ მოხვედით აქ, მას შემდეგ ატყდა ასეთი ამბავი, თორემ მანამდე ჩვენ შორის ადამიანის ძვირს კაცი ვერ გაიგონებდა.

— ახლა ყველაფერი ჩვენ დაგვაბრა-

ლე. ეს კაცი ხატზე იფიცავს, მე არაფერ შეუაში ვარო, არც ის ქალი ამბობს, ჩემთან საქმე ქონდაო, ახლა ვილაყამ რაღაცა მოჰკორა, რა ჩვენი ბრალია. მოვიკლათ ამაზე თავი? გვასწავლე, როგორ მოვიქცეთ.

ანიკომ ქმარს ვერაფერი უთხრა და პირმოკუშული უძრავად იჯდა.

ალარც მე მქონდა მეტი ლაპარაკის თავი, ოთხანში სული მეხუთებოდა და გარეთ გამოვევარდი. ცივი პაერი საამოდ მომელამუნა სახეზე. ცაზე წვრილი აღმასები ციმციმებდნენ. სიჩუმე დასადგურებელიყო გარშემო. ხანგამოშვებით ისმოდა ბაგირზე დასრიალებული დაკიდული ვაგონების ყრუ ხმაური. ისეთი უცნაური ბუტბუტა შრიალით მოსრილებდნენ ისინი საღდაც ზემოდან. უფსკრულად ქვეული და ელექტრონით განათებული ხეობისაყენ, თითქოს ცოცხალი არსებები იყვნენ ცალ ხელზე დაკიდული რაღაც ზღაპრული ცხოველები. ანძაზე გადავლის დროს ერთნაირად იძახდნენ: „დაგ-დუგ“ და განუწყვეტლად მისდევდნენ ერთმანეთს.

კარგა ხანს ვიხეტიალე გარეთ. ზედიზედ ვეწეოდი პაპიროსს, ვუცქეროდი მაგიდაზე დაცურებულ ვაგონის ლანდებს და ვფიქრობდი, რომ ახლა ჩემთვის ყველაზე ახლო მეგობრები — ეს უტყვი ვაგონები იყვნენ, ასე ჩემად, საქმიანად რომ მიდიოდნენ ქვემოთ და თავისი დამძიმებული ტანით ღონივრად ზნექაედნენ ბაგირს, ხოლო, ქვემოდან ამობრუნებულნი, არხენი ღიღინ-ღიღინით მიდიოდნენ მალა და საბრჯენ ანძებს ყოველი გავლის დროს თავში თითქოს ხუმრობით უჯახუნებდნენ.

მათმა ამ დინჯმა მოძრაობამ საესებით დამამშვიდა. მე ვიგრძენი, რომ არსებობდა სხვა, მეორე დიდი სამყარო, დარბაისლური საქმიანობის, ადამიანის გონების, ძალ-ღონის და ნიჭის მოქმედების სამყარო, ადამიანის ამ გონებითვე ამოძრავებული და გაცოცხლებული ნივთები თუ საგნები, ეს მოძრავი ვაგონე-

ბი, ეს გველვეშაპებივით თვალბზობი-ალა მარგანეცის მატარებლები, ეს, ამ დაკლაკნილ გზებზე მოძამგუნე, სანარგო-აეტომანქანები, ეს გოლიათივით მხენე-შავი სარეცხი ქარხანა, — ყველაფერი ეს ცოცხლდება ადამიანის გონებით და ხელით, ჩვენი ხელით. მათს ამ ყრუ ხმაურში ისმოდა რაღაც გამამხნევებელი, სიცოცხლის დამამკვიდრებელი ხმები... და ერთნაირი ხალისით ციმციმებდნენ ცაზე მიჭედელი ვარსკვლავებიც და მთაგორებზე ასევე ვარსკვლავებივით მიმოზნეული ელექტროლამპებიც.

ეს მეორედ განვიცადე და შევიგრძენი ასეთი ღამე ამ ჭიათურის ზეგანზე, — ერთხელ, როდესაც სიხარულით ვფრენდი და ახლა მეორედ, როდესაც კაეშანი სულს მიხუთავდა! მაგრამ ორივეჯერ ამ ზვიადსა და ზღაპრულ შემოგარენში ვიგრძენი დიდი ცხოვრების იღუმალი სიმძლავრე. ვიგრძენი, რომ ამ დიდ ცხოვრებას შემექლო თამამად მივყრდნობოდი ზურგით, ისევე გულდამშვიდებით, როგორც სალ კლდეს.

კარგა მოგვიანებით დავბრუნდი ბინაში. ყველას ეძინა და შუქი ჩაქვროთ, მაგრამ გარედან შემოსული ელექტროლამპის სინათლე კმაროდა, რომ ჩემი ლოგინი ადვილად მიმეგნო. ფრთხილად გავიხადე, ასევე ფრთხილად გავეხვიე საბანში და ის-ის იყო თვალი უნდა მიმელულა, რომ მეზობელმა საწოლმა გაიჭრაჭუნა და სინუსას ჩურჩული შემომესმა:

— დავეძინა?

— არა ჯერ. რა იყო, ბიჭო? — ვკითხე მე.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. მერე მომესმა სინუსას მძიმე ამოხუნეშა და კვლავ სიჩუმე გამეფდა. მერე ჩემმა მეგობარმა სწრაფად წამოიწია, ბალიშზე იდაყვით დაეყრდნო და მითხრა:

— სულ ჩემი ბრალია, ძამია, ყველაფერი. ახლა, რაც გინდა, მიყავი, გინდა მომკალი, გინდა დამარჩინე.

კვანძ მარბინი

ოლონდ ნუ დამსჯი სიყვარულისთვის

ამ აღსაბრუნებლად ნუ ჩათვლი სხვისად,
ამირჩევია გზა ჭეშმარიტი,
ხორკლიან სიტყვით შევესება ქისა
და არა მარტო თვალ-მარგალიტით.

ეს სინანული არ მსურს დავმალო,
გთხოვ, მომისმინო, დედაშვილობამ,
ახლა მჭირია შენი მალამო,
რომ მოუშუშდეს ჩემს გულს ჭრილობა.

თუ შენი შვილი ვიყო უღირსი,
მომკალი,
მომსპე,
დამასამარე,

ოლონდ ნუ დამსჯი სიყვარულისთვის,
შევფარებივარ მე შენს საეანეს.

მხოლოდ ერთსა გთხოვ, შენ გენაცვალე,
გამომიწოდე ხელი კეთილი,
ამიერიდან ასე ჩათვალე,
რომ ცოდვებისგან ვარ განწმენდილი.

თუ შენი შვილი ვიყო უღირსი,
მომკალი,
მომსპე,
დამასამარე.

ოლონდ ნუ დამსჯი სიყვარულისთვის—
შევფარებივარ მე შენს საეანეს.

როდის მექნება ამის უფლება

როცა ოცნების ფრთები მუქდება,
ხმა მესმის, თითქოს ვიღაც მემღურია.
როდის მექნება ამის უფლება
ვთქვა:—არ მეკუთვნის ეს საყვედური!

როდის მექნება ამის უფლება
მამულთან ვიდრე მეც პირნათელი,
სომღერას ან და
გასაუბრებლად

ჩემით იწყებდეს ყველა ქართველი.
რა ხშირად მესმის ხმა გამკილავეი,
ეკ, რა მწარება სხვათა ჩურჩული,

ცეცხლი მედება თვალთუხილავი
და იმ ცეცხლზე ვარ მეც შერუჯული.

ო, რა ძნელია,
ო, რა მწველია
როცა აღმართზე მისდევ ბილიკებს,
იქ ახვალ სადაც ჯერ არ გელიან
და უცბათ ვიღაც გაგაჭილიკებს.

არა, არ მინდა, როგორც საწყალი
უხმოდ წავიდე სირცხვილ-ნაჭამი,
თუ დაღვინება ვერ მოვასწარი
ვინმეს ხსოვნაში დავრჩე მაჭარი...



მე შენს კალთაზე მინდა ვიარო,
 მინდა დამალოს შენმა სერებმა,
 შენი გულისთქმა გავიზიარო,
 გავიყო შენი ბედნიერება.

რადაც მთხოვ, იმად გადავიქცევი,
 შენს წმინდა მიწას მტლად დავედები,
 და თან წავიღებ

თავდავიწყებით
 უკნობ სიყვარულს შენი ქედების.

თუ გსურს ენგურის ტალღად ვიქცევი
 ბარში ჩამოვალ მღვრიე ფაფარით,
 რომ გავიყვებით,

თავდავიწყებით
 ჩაგიგრიალო ძველი ზღაპარი.

თუ გსურს ვენახის კიგოდ ვიქცევი,
 მხრებზე დამცვივა ცის ვარსკვლავები,
 ოღონდ ვით სატრფომ თავდავიწყებით
 ვაზმა მომხვიოს მაგრად მკლავები.

თუ გსურს ეუფუნა წვიმად ვიქცევი
 ავაშრიალეზ ლორთქო ჯეჯილებს,

ციდან ჩამოვალ თავდავიწყებით
 და ზეცის სუნთქვას გავაგებინებ.

თუ გსურს საავდრო ღრუბლად ვიქცევი
 და შეშავ ღრუბლებს შევუერთდები,
 რომ გავიყვებით, თავდავიწყებით
 ავაშრიალო ავდრის ღმერთები.

მაგრამ ავდარი შენ არ გპირია,
 გეყო თავსხმა

და გეყო ავდარი,
 გეყო, წინაპარს რაც უტირია,
 რაც შენთვის იყო სანთლად დამდნარი.

მარადეამს შენი მონა ვიქნები,
 დღესვე გაგანდობ ფიქრს სახვალის,
 შენს ორლობეში თავდავიწყებით
 მინად მაყარი სული დავლიო.

მე შენს კალთაზე მინდა ვიარო,
 მინდა ჩამიკრას შენმა სერებმა,
 შენი გულისთქმა გავიზიარო,
 გავიყო შენი ბედნიერება.

ქოლაუ ნალიკაძე

ომარ ხაიამ

შენს დიად სევდას დღეს რატომღაც
განვიციდი, ხაიამ.

ამბობ: „ფერფლი ვართ, მხოლოდ
ფერფლი, ნამსხვრევი თიხის“.

მწუხრი გეწვია, დიდი მწუხრი გეწვია,
ხაიამ.

ღამეს უმთვაროს,
უფარსკვლავოს
ხედავდი, ხაიამ!

შენ სულთან ერთად
მე პირისპირ
ვათენებ თეთრად.

შენ სულთან ერთად, ომარ ხაიამ,
მწყურია ყოფნა!

ამდენი ცრემლის სად დაგროვდა
ზღვა დაუშრეტი?

ნეტავ როგორი გერგო, ხაიამ,
ხედარი და ბედი?

შენი შეგრძნობა შემზარავი
ამაოების,

შენი განჰკრეტა უმკაცრესი
საწუთროების

„გიკრთობს სიმშვიდეს და მოსვენებას“.

წინ ღვინო მიდგას ლალისფერი
— ასე რომ გიყვარს —

შევსვათ ეს ღვინო, ომარ ხაიამ,
შევსვათ ეს ღვინო!

ჯერ დედამიწას მასზე კარგი,
ვარდების გარდა,

რა შეუქმნია?!

ო, ნუ ვიფიქრებთ ნურაფერზე,
ნუ ვიკმუნვარებთ:

ჩვენს გულში დარდი, ღვინის გარდა,
 რას გაუჭრია?
 ხომ „არარა ვართ,
 მხოლოდ თიხა
 მტვერი და ფერფლი“!
 მაგრამ... გაიღო
 შენმა გულმაც
 ამ სოფლად მსხვერპლი —
 იგი შენს ლექსში
 მოთქვამს და მღერის...
 ეგ ხომ მარადი შენი სული
 ლექსად მეტყველებს,
 ეგ ხომ მარადი შენი სული
 ჩვენ გვიწვდის ხელებს!
 მაშ, არ ყოფილხარ მხოლოდ თიხა,
 ფერფლი და მტვერი!
 ომარ, ხაიამ, კიდევ რაღაც
 დარჩა და მღერის!

ეროვნული
 ბიბლიოთეკა

გიორგი ლონიძე

კონსერვატორი

სოფლის უფროსად მინდოდი,
ამტანად ძნელ ამბებისა.
ხალხური.

სოფელს ატირდეს დედანი, —
სოფლის უფროსი კვდებო,
ნუ მოკლავ, დამბადებელი,
სოფლობა წაგვიხდებო!
ხალხური.

ბერო, ბერობას ნუ სჩივი,
დაკლებას თვალებიხას,
ჰკუას, გონებას სწიოდე,
ჩიგებას სოფლებიხას!
ხალხური.

ჩვენი სოფლის შარახე დარბაისლუ-
რი, მხნე ნაბიჯით მოაბიჯებდა გრძელ,
ჩერქეზულ ჩოხაში გამოწყობილი ახო-
ვანი, ბრგე, სახიერი, თეთრულვაშა, ცი-
ციკორე — სოფლის დარბაისელი, თავი-
სი განუყრელი ყურმნის ლიტაო ჯოხით.

ეს ჯოხი — ციციკორეს საერისმთავ-
რო კვერთხი იყო. გაჯავრების დროს მა-
ლა შემართავდა, აზრის დასამტკიცებ-
ლად მიწას დაარტყამდა დაეინებით.

მოდოდა ჩუმად და რომ არ გცნობო-
დათ, მაინც მაშინვე შეატყობდით თვა-
ლსაჩინოებას!

დიდხნის უნახავს გაეხარდებოდა ხო-
ლმე ჩემი დანახვა: არდადეგებზე სოფ-
ელში რომ დაებრუნდებოდი, თუ სადმე
მომკრავდა თვალს, გაღიმებული მეტყო-
და:

— შენის ნახვით სამი წელიწადი და
ერთი კვირა მომემატაო! ისწავლე, კარ-
გა ისწავლე, ეგებ ნასწავლებმა ჩაუყე-
ნოთ საქართველოს თვალიო!

ერთხელაც მხარზე ხელი დამკრა და
რიხიანად მითხრა:

„შენი ბიჟობის სახელი
სვეტიცხოველზე სწერიაო!“

რატომ ეწერებოდა სვეტიცხოველზე
ჩემი სახელი, ვერ გავიგე, ვერც კითხვა
გავუბედე, ისე უკი ეს ვაქაკურთ ქათი-
ნაური ძალიან მომწონდა.

... უშვილძირო იყო ძია ციციკორე.

— რათ მინდა შვილი, განა ცოტა
მყავს მოსავლელი, მთელი სოფელი
კისერზე მაწევსო!

მართალიც იყო! სოფელი ვინ? —
ერთი კაცი! მთელი დღე ტრიალებდა
სოფლის საქმეებზე, ღამე კი მის გან-
კარგებაზე ფიქრობდა. განა ტყუილა
უყვარდა გარჯა, წვართულობა, სოფ-
ლის მერჯულეს, გამგებელსა და მეუფ-
როსეს! ყველას ჰკუას არიგებდა და ყვე-
ლა გმინავდა მისი არამკითხეობის კირ-
თების ქვეშ. ციციკორე იყო სოფლის
მზრუნველი, მომვლელი, მოჭირნახე-
ლე, თუმცა ხშირად ღიმილით შენიშნავ-
დნენ, რომ სოფელი მისთვის არავის
ჩაუბარებია: — არც ღმერთს, არც ხალხს

და არც თვით ხელმწიფე-იმპერატორს! შეიძლება ეს იმის ბრალიც იყო, რომ ციციკორეს დიდი პაპა იოთამი სოფლის ნაცვალი იყო ერეკლეს დროს და ციციკორეს მემკვიდრეობით გადასცა სოფლის უფროსობა!

ციციკორე მაინც თავისას არ იშლიდა:

გულდიდობას, გულზვიადობასაც აბრალებდნენ, თავგაზიდეულიაო; ციციკორე გულბრბილი, დამთმო კაცი არ იყო — მაინც კაცური კაცი იყო, ლმოზიერი, სწორი მხედობა ჰქონდა... მოყვრისათვის, რომ იტყვიან, სწორედ გულთაგული!

ყველამ იცოდა, რომ ციციკორე გულიდან იყო მხედველი, რომ პირუტყუარი შემოცქერაც ისეთი იცოდა, თვალთ განმცდელია, რკინა დადნებოდა მისი მზერის ქვეშ. აბა, ტყუილს როგორ იკადრებდა!

დიდი ნდობაც ჰქონდა მოხვეჭილი სოფელში. სახლოსნობა და სისხლიანი საჭონელი ციციკორეს მიერ გაიყოფებოდა ხოლმე, როგორც სანდო დარბაისელ გამრიგესა და თავაყის მიერ.

გაზაფხულის პირას, აფუტუნდებოდა თუ არა დედამიწა, ამოყოყინდებოდა, თუ არა ბალახი, სოფლის არამკითხველმა და პირისუფალი ჩამოუვლიდა სოფელს კომლ-და-კომლ და აფრთხილებდა:

— ცხენი არ ამოვო ტახტისძირის მინდორზე, ხომ იცი, იქაური ბალახი ცხენსა ჰკლავს, არც იქაური თივა აჭამო, ისიცა ჰკლავს, ეს იცოდე!

— რა მიზეზია ნეტავი?

— რა მიზეზია და ჩემის ანგარიშით მანდ ხომ დიდი ომები მომხდარა და ბევრი მტერიც არის ჩახოცილი! და ის მტრის სისხლი ეკბინება დღესაც, დღესაც არა ცხრება და მუშაობს ჩვენ სამტროდ! ამშრალა, მაგრამ ჰხედავ, არც ამშრალა, ისევ მიწაში დღეს შხამიანი და გვსუსხავს, ახლა იქიდან გეგბრძვის, დახე, ცხენებსაც გვიხოცავს! ჩვენ რომ ბალახსა ვჭამდეთ, ჩვენც ამოგვწყვეტდა!

ასეთი დაკვირვება კი ჰქონდა ციციკორეს. სოფელი მარდლატ ერეკლეშვილ ტახტისძირის მინდორს!

— რას აბრაცუნებ ამ შულამით? — ეტყოდა შემთხვევით შარავზაზე შეხვედრილი დროული კაცი, მასთან შეხუმრებული, სხვა ვინ გაუბედავდა?

— სოფელს ირგვლივ შემოვლა უნდა, მტერი, მოძალე, თვალნაცემი არ შემოგვეპაროს! ათი თვალი და ათი ყური მაქვს გამომბული! ხუმრობა კი არ არის სოფლის პატრონობა, იტყოდა ციციკორე.

ციციკორე ბჭრამე სოფლის მამობასა და მეურვეობას ჩემულობდა. იმის შინაგანი დაჯერება ჰქონდა, რომ იგი გაჩენილი იყო რალაც დიდი მისიის შესასრულებლად, მიტომაც სოფლის მესვეურობას იჩემებდა. ყველას საქმეში ერეოდა, რადგან თავისი პირდაპირი მოვალეობა ეგონა.

დიდი ზეგავლენა ჰქონდა ხალხზე. ამიტომაც, არავის გაპყვირებია, როცა ერთხელ მეზობელ სოფლიდან ავადმყოფი ბავშვი გადმოუყვანეს საექიმოდ.

— გვიშველეო, სულ ავადმყოფობსო, თანაც დაგოლეილია, არ იზრდებაო! ეჭიმებში ბევრი ვატარეთ, ვერა არგეს რაო!

— ჩემთან რა ხელი გაქვთო, ქალაქს წაიყვანეთო, იქ ბაგრატიონის გვარის კაცმა სამი სილა უნდა გაართყას, ანდებზე დადგებო, ავადმყოფობა გაუვლისო!

— შენ გაულაწუნე, შენი ქირიმი, ოღონდ მორჩეს... — შეევედრა ბავშვის მამა.

— როგორ იქნება, ერეკლე მეფის ჩამომავალი უნდა იყოს, მე ვინა ვარ?

— არც შენ ჰგვეხარ ნაკლებ გვარისასო! — ასიამოვნა ბავშვის მამამ.

ციციკორემ შეიფერა, მაგრამ ბავშვისათვის სილის გაწვნა მაინც ვერ გაუბედინია...

მკათათვეში, კალოობას, უთენებელზე, სოფლის დერეფნებში ჩხუბი გაიშლებოდა ხოლმე. დედამთილები ჩხუბით აღვიტებდნენ მძინარ პატარალებს: ადექით, ძროხებს მოწველა უნდა,

ნახირში გარეგვა, ქათმებს დაპურება, ძნას ჩაშლაო. ხომ გახსოვთ სოფელში გაგონილი: „მოჯამაგირის დღე გაჰქრეს, პატარძალის დილი ძილი აღრიან წამოაგდებენ, ხომ დაუსივდება ცხვირი!“ — სწორედ იმათზე იყო თქმული.

აი, ამ დროს გამოჩნდებოდა ციციკორე, — რძალ-დედამთილის დამზავებელი. ჯერ პატარძალს ეტყოდა: სიცილით მოსულო, რა გატირებსო? დაჩუმდი, დაჩუმდი, ცხრა მაჰანკლით მოყვანილო! ახლა დედამთილს მიუბრუნდებოდა: „შე მადლიანო, შენი შვილის გვირგვინის ცოლია, ნამდომი! პატივდებაში იყოლიე! მერე ცოტა ხმას აუმაღლებდა: სულ ხომ შენ თვალქვეშ არ იქნება? ცოტა მოეშვი, მაგანაც გაიხაროს ამ ქვეყანაზე! ჰხედავ, სანაშენოდ რა კარგი ქალია, ოჯახი გაანაშენა, სამ წელიწადში სამი ბიჭი დაგიგორა! ქართველები ცოტანი ვართ, უნდა მოვპრავლდეთ! ვენაცეალე მაგის ბარაქას!

მერე ორივეს ერთად მიმართავდა:

— ერთმანეთს ია-ვარდად უნდა ეშლებოდეთ! ნებით, წადილითა და სიყვარულით იცხოვრეთო! — ასე დააწყნარებდა, თვითონაც გულს დაიმშვიდებდა სოფლის არამკითხველ მესვეურს და თავის გზაზე გასწევდა განუყრელი ყავარჯენითა თუ შინდის გჯობით.

თუ თვალს მოჰკრავდა ლაღად მიმავალ სოფლის თამამ გოგოებს, ხმას შეუმალდებდა:

— საღ, არი ნამუსი? აბა, ქალს ეგ უხდება? თავი უნდა დახარო მორჩილად და ნიავეით ჩუქად გაიარო, განა თვალები უნდა შემომამდღვრიალო?

უშიშარ ციციკორეს მხოლოდ ერთი შიში ჰქონდა, — შიში უწყობებისა, ამატომაც იყო, რომ ყველას მწყემსავდა, ჰმომღვრებდა. გარჯულვა უყვარდა, უფრო დედაკაცებისა. — დედაკაცს და ცხენს ნება რომ მისცე, სტამბოლს გადაცივიანო! — თავჩაღუნულ, უშთაგონებო ადამიანს რომ დაინახავდა, დაუტანებდა: — რას ჩასტირი მიწას, შე დალოცვილო? მიწაში ჩადებასაც მოესწრები! ცას შეხედე, მზეს შეხედე,

ღეთის მოცემულს, გაიხარე, ღეთისნიერო!

— ერეკლე მეფის ძეგლებს-მცხეთაში მირთნი ჩამოსდის, შენ კი. ცოცხალი ჰყარხარ, უსაქმურო! ორი ვაწოვა დედამ, განა ერთი! — გაფიცებნით არიგებდა ციციკორე წელიწვეტისა, დაბდურასა და დონდლოინას.

თვითონ მშრომელი ვერ იტანდა ზარმაცს, მცონარს, უსაქმურს, ცეცხლმოკიდებული ეჭვგებოდა ჩრდილში მონებიერე გლებს:

— შე ეანგიანო, სამძილა ზარმაცო, მიმკვდარებულო, ლოხო! განა არ იცი, რომ ქვეყანა საგარჯილოა?

ზოგჯერ ერთგული ცოლი ქმარს დაიფარავდა ხოლმე ციციკორეს წყრომი-საგან:

— ხდომ იცი, მაზლო, ჩემი კაცი უცოდველი, პატიოსანია.

— დიღამც, უცოდველია, უცოდველი, როგორც ყაჭიღამ გამოსული ქია — დაცინვით მიაგებებდა ციციკორე, — იქ მკედრებს აკლია, აქ — ცოცხლებს აწუხებს!

— რა ქნას, ავადმყოფობამ დარია ხელი. — შეეჯავახა ქინძურას ცოლი.

— ავადმყოფობამ? მაგას თეთრი ფურის რძის თეთრი ფაფა მიართვი! რომ კბილები შრომით არ დაეღალოს! — ასე გააბახა ციციკორემ ზარმაცი ქინძურა, რომელიც შუა მუშაობაში ცოლის სააღერსოდ ვენახიდან გამოპარულიყო.

ემართლებოდა კიდევაც!

სამართლიან და პატიოსან ციციკორეს არ უყვარდა არც ლღეტურა და, განსაკუთრებით, ქლარცი ენის პატრონი. ეჯავრებოდა ყბამოქნილის, ენამოლესილის, დაუყენებელი ყბის იკლიკანტური ბრტყელსიტყვაობა. თვითონაც როდ იყო სიტყვა-მოუგებელი კაცი?

— საქმე სიტყვის წინამავალი უნდა იყოს! აი, ვაქაცობა ამასა ჰქვიანო!

— რა ბედენაა, მოშაქრული, მოშარბათებული სიტყვები!

მოკლე სადღეგრძელოები იცოდა: მშვიდობა, მზებრძელობა, კარგად ყოფნა, შვილიანობა, ვაჟით ვაჟიანობა, პუ-

რიანობა, ლეინიანობა, საქონლის გამრავლება, ხეხილის მსხმოიარობა! — ეს იყო და ეს! მეტი არაფერი!

სოფლის მეურნოსეს სიმძიმე ჰფერობდა. მძიმე იყავ, წონაში მეტი მოხვალ!

მაგრამ ციციკორემ გამოჩაყლისებრი იცოდა, ყველა ზარმაცს როდი ემტერებოდა! აი, გინდაც, გრძელულვაშა ფაღლაურა... რა მოსალხენარი კაცი იყო! რა მომღერალი, ვერც კი ეტეოდა გრძელკახურ მრავალყამიერში! მისი სიმღერის გაგონებაზე დაუდასტურებდი ბრძნის ნათქვამს: „ხან კაცი ღმერთსაც ემსგავსისო!“

ღედაც მომღერალი ჰყოლია! მოდი და ნუ დაუჯერებ ციციკორეს თქმულს: დედის ხსენსა რაც ჩაჰყვება, სულს ის ამოჰყვება!

მაგრამ ფაღლაურა უსაშველო ზარმაცი იყო! სუფრის გარეშე არც არსებობდა. იჯდა საჩრდილობელ ხის ქვეშ და როცა ჰკითხავდი:

— როგორა ხარო? — გიპასუხებდა:

— ძველებურად: არც ვგრძელდები, არც ვმოკლდები!

ასე იყო: ქორწილიდან — ქორწილამდე, ნათლობიდან — ნათლობამდე... და უკლისად სვამდა და მღეროდა, მღეროდა და სვამდა.

სხვა რომ ყოფილიყო ფაღლაურასთან, ციციკორე ნაცარტუტას აადენდა. მაგრამ ზარმაც ფაღლაურას სიმღერისათვის დიდ პატივსა სცემდა და ერთხელ, როცა სოფლის სადალაქოში ყბედმა დალაქმა ლოქომ ფაღლაურა გაკენწლა, ყბაზე შეფიფქილმა ციციკორემ ლოქოს მშვიდად უპასუხა:

— ფაღლაურას ხმა ღვთიდან არი, პატივისცემა გემართებს, თავისი ხმით ემსახურება ქვეყანას, რას ერჩიო!

მხნედ შემოაბიჯებდა ციციკორე სახლში, ბჭეშივე ქუდს შეიქნევდა და ძალუმი ხმით შესძახებდა: სახლო ღმერთმა აგაშენოს!

ახლაც, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, თვალწინ მიდგას ყავარჯენზე ნიკაპდაყრდნობილი ციციკორე — პირ-

სუფთა, ახოვანი, ტანოვანი, მჭეხარი ხმის პატრონი.

თუ ვინმე ყურს არ ამოუგდებდა აწყენინებდა, ციციკორე ერთს ღრმად ამოიოხრებდა და დაატანდა:

— ვაი, თემო და სოფელო!

ერთხელ, მეზობელ თათრებმა ჩვენი საქონელი წაასხეს. სოფელი მდევარზე გამოვიდა. ვინც მდევარში წასვლა ვერ მოასწრო, მეორე დღეს ციციკორემ სულ ცეცხლი გადააყარა თავზე.

— ჰაი, თქვე ქალისპირებო! თქვენ გამამაგრებთ საქართველოსო?

თვითონ კი მართლაც მთელი ჩვენი სოფლის გამამაგრებელი და გამამხნევებელი იყო ყოველთვის.

განა დამავიწყდება როდისმე, ერთ საშინელ ღამეს, თუ როგორ მოეპატრონა ჩვენს ოჯახს და გაგვამხნევა?

საშინელი შავი აედარი მოვიდა, ხორხოშა-სეტყვიანი. სულ ჩამორეგვა ყველაფერი! ეზოები წყალმა აატივტივა. სოფელმა წარღვა იფიქრა. ოდნავ რომ გადაიღო ღვართქაფმა, ორღობეში გამოჩნდა თავზე ტომარაწამოსხმული ციციკორე და სახლებში ჩაეკტილებს მოგვძახოდა:

— ნუ გეშინიათ, გამაგრდით! გადაივლის აედარი! ამისთანები უნახავს ჩვენ ხალხს! ნუ შეშინდებით, გამაგრდით! — აი, მაშინ კი ვიწამე ციციკორეს ბელადობა! მაშინ ნამდვილ ბიბლიურ წინასწარმეტყველს ჰგავდა აგზნებული თვალებით.

ჩვენგან ახლა მეორე მეკომურთან შევიდა, განსაკუთრებით ქვრივ-ობოლთა უკაცო ოჯახები დაიარა, არ შეშინდნენო!

აი, რა გული, რა მხნეობა ჰქონდა ციციკორეს!

ახირებული ციციკორე ზოგჯერ სხვისი ახრების მასპინძლობას ვერ იჩენდა:

ერთხელ, შუა კამათში, ციციკორე მოკამათეს უეცრად შეეკითხა:

— მოლადური იცი?

— ვიცი!

— ტრედი იცი?

— ვიცი!

- ყანჩა იცი?
- ვიცი!
- იშხვარი?
- არ ვიცი!

— მაშ, იშხვარი არ იცი და მელაპარაკები? ჯერ წადი, გაიგე, იშხვარი რა არი, მერე მოდი და მელაპარაკე! — ასე დაამარცხა მოკვამათე.

რა იყო ეს „იშხვარი“ და რატომ აღუევდა ასე დიდ მსიშვნელობას მას ციციკორე, ახლაც არ ვიცი; მაგონი, „იშხვარი“ სულაც არ უნდა არსებობდეს ბუნებაში. ფრინველი „შხერო“ თუ ჰყავდა მხედველობაში! მაგრამ „შხერო“ რომელი არწივია, რომ მისი ცნობითა თუ ცოდნით თავი მოიწონო?

უცხო კაცი გაბედვით იტყოდა ხოლმე, ციციკორეზე: კერპი კაცია, ხერკინაო, სიტყვით მტეხელიო, მაგასთან ლაპარაკს კლდის გლეჯა სჯობიაო! ნეტავ როგორ უძლებთო, მაგ შეუბოვარსაო!

მართლაც, თავის ნათქვამა იყო ციციკორე.

ჩვენში თითქმის აღარავის ედგა მიწური, ციციკორე კი ისევ ძველებურ ბნელ დარბაზში ცხოვრობდა.

ეს დარბაზი თითქმის ერთადერთი შემორჩენილიყო მთელ სოფელში!

მეამაყება, რომ მოვესწარი ძველებურ დარბაზს და დარბაზის გვირგვინში მერცხლის ბუდეს!

მეამაყება, რომ საკუთარი თვალით მინახავს მოხარატებული დედაბოძი მზე მთვარისა და რტომრავალი ზის გამოსახულებით, ზედ უსათუოდ გატყაპნული იყო აღდგომის ჩანაჭუჭბული წითელი კვერცხი, დედაბოძზე მიკრული შინდის ჩხა, ზედ რომ ციციკორეს სუფთა წინდები და პაკიკები ეყიდა. საქარეში ზაფხულობით ნიავე სისინებდა, ზამთრობით — ქარი ღმუოდა, მაგრამ ვერას აკლებდა, დიდი შეშის სათარი კერაზე იდო. საკიდელზე ჩამოკიდებული ქვაბი შიშინებდა...

განებიერებული ვყავდით ციციკორეს ცოლს — კონიას. ახლაც მახსოვს გემო

და სურნელი მისი შემზადებულ საჭმელებისა და როგორ არ მოგდგონებოდა ხელით გაკეთებული: შინდისა და სისინის შესამანიდი, ხირხიტო, ჭინკარი, სატაცური და ქარქვეტის წნილი, ყველიერში — მახოხი!

ციციკორეს დარბაზში ძალზე ბნელადა. ხელის ცეცებით უნდა შესულიყავი და დიდხანს ვერც გაერკვეოდი სიბნელეში.

— რას იკლავ თავს ამ ბნელაში, შეკაი კაცო, გამოდი მზეზე, ერთი მზიანი ოთახი დაიდგი, რა გავჭირვებია ისეთი, უშვილო კაცი ხარ და უხარჯო! — ეტყოდნენ ხოლმე მეზობლები.

— აჰ, ამ ბნელაში სიცოცხლე მირჩენია, თქვენს მზიურობას! — იყო ციციკორეს მუღმივი პასუხი და ცოლიც მაშინვე კვერს დაუტრავდა:

— გენაცვალეთ, აჰ გავატარეთ მთელი სიცოცხლე, და ახლა რომ აქედან სადმე გადავიყარგოთ. სირცხვილია, ხალხი რას იტყვის?

ციციკორეს მართლაც შეეძლო ქვიტკირის სახლის აგება, მაგრამ ვერ ელუოდა მამაპაპურ დარბაზს.

— რა ვქნაო, უდარბაზოდ ვერ გავძლებ, სხვებმა შეიძლონო!

ძალზე უყვარდა თავისი მიწური და როცა სტუმარი მოუვიდოდა, თავისი ქოხის სადღეგრძელოს უსათუოდ დააღვივებდა და ფვითონაც შეუმღერებდა ჯამით ხელში:

— ეს სასახლე ვინ ააგო,
ვინ დახურა მუხის გული?
ამუნებლის მამა ცხონდა,
დამხრავის ღედის სული!

სისუფთავე კი საოცარი მსუფვედ: ძველ დარბაზში. თაროზედ მიჯრით ეწყო დაკრიალებული, ძველებური ჯამ-ჭურჭელი — ჩინური თუ ქაშანური, კუთხეშიც მზითვის დიდი დაჭრელებული სკივრი იდგა კონიასი.

უცნაური ზნე სჭირდა ციციკორეს, რაც უნდა აეად გამხდარიყო, ლოგინში არ ჩაწვებოდა.

— ქალი ხომ არა ვარ, ქვეშაგებში

ჩავეწე და მტერი გავაზარო?! — ავად-
მყოფობა მის თვალში დიდი სირცხვილი
იყო. სიცხიანი, თვალეზზე ცხვის ქულ
ჩამოფხატული ზამთარ-ზაფხულ სო-
ფელს ჩამოუვლიდა ხოლმე, რათა მტერს
დანახვებოდა, მტერი არ გაეზარებინა.
კარგად ვარ, ჯანმრთელად და ნებიერ-
ადო. „ვეფხვი ვინა სთქვა, მტირალი?“
შეუძახებდა თავისთავს და მართლაც
ვეფხვებოდა!

იქნებ იფიქროთ უშვილო ციციკორე
უსაქმო ყოფილა, პირადი საქმე არ
ჰქონია და მხოლოდ სხვის ჰკუთხის დარი-
გებას იყო გადაგებულიო. — არა, ციცი-
კორე შრომაში იყო დამტკბარი მისი
საყვარელი საშრომელი — კარის ბოს-
ტანი და „კარზე ვენახი“ იყო, სადაც
საამოდ სურნელობდა ნაირ-ნაირი მწვა-
ნილეულობა; სადაც ლაღობდა შეფთო-
ლილი ვაზი და მსხმოიარე მტევანი. ხში-
რად მინახავს პერანგა ციციკორე ოფლ-
ში გახვითქული, შრომით შეჯგერებული
და გახარებულიც — მადლიანი ნაყო-
ფით.

მის ცოლს კონიას, ქალური საზრი-
ანობით განთქმულს, მშვიერ-შიშველი
ეცოდებოდა, გულჩვილი იყო!

— დაეწვას საწერ-კალამი ახლანდელ
სამართალსო, — იტყოდა ხალხის ჩაგ-
ვრის ყოველდღიური მოწმე ბატონი
ბერ-დედა.

ახალგაზრდობაში კონია ლამაზი ქა-
ლი ყოფილიყო, ახლაც ემჩნეოდა გა-
დავლილი სილამაზის კვალი, მეტად სუ-
ფთა დედაკაცი იყო. — სიბერის სილა-
მაზე. — სიფაქიზეაო, — იტყოდა.

ეზოში სულ ვარდი და ედემყვავილი
ვღაპა.

სოფლის მეურნეობაშიც ფხიზლობდა
ციციკორეს თვალი. ვერ კიდევ ადრეულ
გაზაფხულზე ჩამოივლიდა სოფლის
მოლივლივე ჯეჯილებს, თვალს გადაა-
ვლებდა, შეისაყვარლებდა, შეაფასებდა
და მათს პატრონებს ამბავს მიუტანდა.

მკაშიც დაჰხედავდა. ზღვი მომკელი
ხელუერსაც მიაგებებდა.

ციციკორე თავთან ფხაში გაჰხედავ-

და და გამოიცნობდა, როგორი ხეავი
იქნებოდა წლეულს. ტყუილსავე იტყო-
და ვისიმე დასამშვიდებლად. სწორე
უყვარდა. უხაროდა, როცა კარგი მოსა-
ვლის მთხრობელი იყო და მახარობელი.
ღვთაებრივად სწამდა შრომის გამარ-
თლება:

— ოფლის თვითეული წვეთი თუ
მარგალიტად არ იქცეს, მოდით და მარ-
ჯვენა მომჭერთო! — იტყოდა ხოლმე.

სოფლის ეტიკი, უნაგარო და მამობ-
რივი მზრუნველობით აღსავსე, ვითარცა
გველეშაპს წმინდა გიორგი, ასე ებრძო-
და ვაჭრებს, ჩარჩებს, სოფლისყლა-
პიებს, — გლეხის სისხლის მართლაც
წურბელებს.

ვაჭარ პინჩუხას არშინის გაცურება
უყვარდა. ვერ იქნა და ვერ მოაშლევინ-
ნეს. საკმარისი იყო ციციკორეს მკაცრად
შენაგონარი სიტყვა, რომ პინჩუხას სა-
მუდამოდ ამოეკვეთა ეს ურიგობა.

ციციკორე ცრუმორწმუნეობასაც
ებრძოდა, შეძლებისდაგვარად.

ბოხვერა მებადურს ჩვენი უზნის გო-
გო ნინუცა შეჰყვარებოდა! ღამღამობით
იორის ზვირთებში ელანდებოდა. ბადეს
რომ მოსწურავდა, თურმე იქიდან კის-
კისით ამომხტარი ნინუცა ბადეს დაუ-
ხევედა ხოლმე. უბირ ბოხვერას გულწ-
რფელად სჯეროდა, რომ სწორედ ნი-
ნუცა იყო ის ბადიხვევია ლამაზი ქალი.
იორზე რომ ეჩვენებოდა, სჯეროდა
მტკიცედ, ურყევად. და მეორე დღით.
როცა ნინუცა სოფლის ღობესთან შეჰ-
ხედებოდა, სიცილით ეტყოდა:

— ნინუცი, გეუბნევი, მომცილდი!

ნინუცა გაიღიმებდა...

— თავი დამანებე, გოგო, რა გინდა
გოგო ჩემგან? რას მესაყვარლები იორ-
ში?

ნინუცი ხითხითებდა...

ბოხვერას გული მოსდიოდა... თან
უხაროდა.

როცა ციციკორეს შემთხვევით გაეგო
ბოხვერას ამბავი, დაეპარებინა:

— ბიჭო და... არა გრცხვენია, შე
ოტროველა, აბუეტო, მართლა გგონია,
ბნელო კაცო, რომ შენს ბადეში ნინუცა



ებმევა? თვითონა ხარ გაბმული იმის ბადეში! სირცხვილი არ არის, ტვინი ამოძრავე, რათ ეჩაგვრინები სისულელეს!

ასე კი შეარცხვინა ბოხვერა სოფლის მეუფროსემ.

განა ციციკორეს გამარჯვება არ იყო. რომ მას აქეთ ბოხვერას ნინუცა ალივით აღარ მოსჩვენებია, მხოლოდ ღვინობის-თვეში, გვერდით ამოუდგა საქორწილო გვირგვინქვეშე!

დიდი გავლენა ჰქონდა ციციკორეს და მეშურნეთა მტრობაც დიდი ეხვია: გარს. თავისუფლების ტრფიალი ხალხს სძულდა სხვის ჯოხისა თუ სიტყვის ქვეშ ცხოვრება, სხვის მიერ ნაჩვენებ კალაპოტის მიყოლა ეურჩებოდა, ხშირად გამოჰკრავდა ხოლმე წყრომის ნაპერწკლებს, მაგრამ დაფანტული ცეცხლის ძალა იქვე ჰქრებოდა!

სოფელში ზოგი ჩუმად უჩიოდა ციციკორეს იმ სუსხისათვის, რომელიც სოფელში დააყენა — ვინ არი, რომ თავზე წამოგვაჯდაო, მაგრამ, პირში თქმას ვინ გაბედავდა, ორიოდეს გარდა? და აი, მხოლოდ ერთხელ...

სოფელში ცხოვრობდა მდიდარი გლეხი სავატელი, რომლის სილადეს ვერ იტანდა ციციკორე.

— რას მედიდები, ჯიბე გასუქებულს, ოქროსქამრიანო! სოფლისყლაპია! — შესძახა მკახედ სოფლის შარაზე შეხვედრილ სავატელს, რომელიც საპირდაპიროდ თავაწეული მოდიოდა. სავატელმა აღარ დაახანა თავისი წყრომა და სცადა კიდევ ერთხელ ჩამოეხია ციციკორესათვის შარავანდედი.

— გასიბრძნებულო! რათ ხარ სხვისი ჩხრეკია, სხვისი ცხვირის მზომელა, ყველას გამკილავი, გამკენწლავი? ნეტავი როდის ჩაგაბარეთ თავი, ან ვინ დაგადგინა ჩვენს მწყემსად, რომ გიყვარს ხალხის გარჯულვა? შენის შიშით კაცი ქალს ვერ დალაპარაკებია, ქალი — კაცს, ვაჟკაცს ღვინო ვერ დაუღევია ქალს ვერ გაუცინია, ბავშვს ვერ უცელქნია! ფული-ლა გვაკლია შენს სახელზე მოკრილი!

— დამნესტრე განა, სათოკე კაცო — უბასუხა ციციკორემ და გულმოდრინებით განაგრძო გზა.

შენ ვინ ჩაგაბარა სოფელიო? ჩემმა სინდისმა, პატიოსნებამ! იესო ქრისტემ ლერწმის წბილით ამიწონა ეს სოფელი და ისე ჩამაბარა, ახლა ხომ ვაიგე! — ეკამათებოდა გულში ციციკორე სავატელს.

და განა მარტო სავატელი? აკი ყველაზე საცოდავმა და ბეჩავმა ბერიკაცმა, სიღარიბით გაწყალბულმა ჯაუნარმაც გაუბედა! ეტყობა, მის გათელილ გულში კიდევ ეგზნებოდა თავისუფლების სიყვარული!

— რომ გიყვარს „გაგვიძებ ბერო მინდილო“, მერე? ვინა ხარ, რომ ერს გაუძღვე? თვითონ ქვეყანა არ არის მადლიანად მომართული, ღმერთმა ვერ დააწყო და შენ გინდა დააწესრიგო? ეჰ, ეჰ, ბეჩავ-ბიჭო! შენ უნდა მისცე მცნება ცასა და ღედამიწას? თავს დაგვდგომიხარ ხვეისბერივით და გვექადაგები! — ასე ამხელდა ქელესში ღვინით აბორგებულ ბერიკაცი ჯაუნარი.

— იცი თუ არა, ყველა კაცი რომ არ არი ღირსი კაცობის სახელის ტარებისა! იცი, რომ ზოგი ფრინველია — სკამენ, ფრინველია რომ ზორცს აჭმევს! „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძვეს კაცით კაცამდისო“, იცი, შე ბეჩავო, შე, ცარიელილ ჯამო!

ჯაუნარი ლასლასით კარში გაიყვანეს და მინც იქიდან შემოიძახა: ვინ მისცა მავას უფროსობაო? ციციკორე იცინოდა.

ხალხს ესამოვნა წამიერად შეუხებულის შეხება. ამ შემთხვევაში ციციკორეს მცირედი მინც გაკენწვლა, განქიქება!

ერთხელ, დედაბერი მარადილ შეეხა: „სულ რომ ბობოქრობ, დამტკბარი გუნება როდისღა გაქვს? ადამიანს სიტკბო და სიწყყარე აცოცხლებს, სულ რომ სქექ და გრგვინავ, იქნებ შენა ხარ მარტო ხმელეთზეით ხორციელიო?“

ეჰ, ვის შესწევდა ძალა, გაეგო ციციკორეს ზრახვები და მიზნები. ვის, ვის

უნდა გაეზომნა მისი დღიური საზრუნავი, საყოველთაო ფიქრები სოფელზე, მისი ფიქრის სიღრმეები თუ მწვერვალები? — არავის! ვერცვის!

მაგრამ ციციკორე სოფლის გულთამხილავიც გახლდათ.

მაგალითად, მან იცოდა ის დღე, რა დღესაც დაბადებული ბედნიერი ადამიანი იქნებოდა, ის დღეც იცოდა, როდესაც დარგული ხე თუ ხეხილი იხარებდა.

იცოდა შელოცვებით ნადირის კბილის დაკეტვაც, ამაში ტოლი არ ჰყავდა. თუ ღამეობით საქონელი გარეთ დარჩებოდა, ციციკორეს შელოცვინებდნენ და სოფლის ღრმა რწმენით საქონელს არც მგლისა, არც აფთრისა და არც ქურდისაგან ზიანი არ მოელოდა. ერთი სიტყვით, მისი საიდუმლო სიტყვა მგელს პირს შეუტრავდა, ქურდს — ხელ-ფეხს.

ცხენის საიდუმლოც იცოდა: როგორ უნდა გამოიყვანო ცხენი ბოსლიდან ხანძრის დროს ისე, რომ არ დაფრთხეს არ აიგლიჯოს, არ გაგიყდეს. მარტო მიცვალებულის ზარი უნდა იმღეროს იმ დროს პატრონმაო და იმ ზარსა და გლოვის ხმაში დამორჩილებულ ცხენს გამოიყვან, თუ არადა შიგ ჩაიბუგება ცეცხლშიო!

ერეკლე მეფე უყვარდა, იმპერატორი ნიკოლოზ კი, მის თვალში არა იყო-რა, ჩალა-მეფეაო! ცხრას ხუთი წლის მოძრაობას შეერყია მისდამი პატივისცემის რწმენა!

ასე იყო თურმე, თუმც ნიკოლოზის საწინააღმდეგო სიტყვას ვერ ითმენდა:

— მაინც მეფეა, ცხებული! მორჩილება გემართებსო! ხოლო თუ მეფის სამტრო, სამუქარო, თუ სასიკვდილო სიტყვას გაიგონებდა „ცოციალებსაგან“, „მეკრამიტეებისაგან“, რაც მაშინ იშვიათი არ იყო, იტყოდა:

— ეგ როგორ შეიძლება? ვინც არწივს მოჰკლავს, თვითონაც მოკვდება!

— ღმერთი არ არიო?

— ეგ როგორ თქვი, შე შავდღიანო.

მწარე გონების კაცო; შე უნანლო? მაშ რაღა ქართველი ვარ, თუ ღმერთი არ არის?!

— ღმერთი არ არიო? მაშ, როგორღა ანათებს მზე? ხომ წაიქცა მთვარე და გადმოვარდა ციდან?

ხშირად მზის ყუდროში, ღობის ძირას მიმჯდარი ციციკორე, ვითომდა თავისთვის, იქვე მოთამაშე ბავშვების სიახლოვეს წყნარად დანით ჩხირსა სთლიდა და თან ლილინებდა:

— ვინცა კაცია, არანანო,
ჩოხა — ჯაჭვია, თარანანო,
ქული ნაბღისა, არანანო, —
— ჩაბალახია!

დაილილინებდა თავისთვის, მაგრამ ამ ჩუმ ლილინსაც კი აღმზრდელობითი მწიშენელობა ჰქონდა, გვესმოდა ბავშვებს და ძალაუნებრივ გონებაში გვებუღებოდა ციციკორეს სავაქაცო სიტყვები, თუმცა მოხუცი სრულიადაც არ გვაგრძნობინებდა ბავშვებს, რომ ჩვენ საგულისხმოდ ამბობდა. წვრილფეხობის დამწყვეტსაც უყვარდა.

— გაიგონე, რა ვითხრა, საქართველოს ცხრა კარი აბია! ეს დაიხსომე კარგად! თვითელი კარის ყარაულად უნდა გამოდგე!

ციციკორე სარდლობაშიც იჩენდა ნიჭს: ბაღების ომში ჩაერეოდა, ასე გვასწავლიდა:

— რაზმი ეგრე დაწყეთ: ჯერ წინამავალი უნდა წავიდესო, მერე უკან ამყოლი უნდა აპყვესო: აქეთ-იქიდან მოკინკლავენი მოუდგებიან, რომ მტერი არ მოასვენონ და მერე შეუკანონი მიჰყვებიანო. ზედ უნდა მიხვიდე, ზედ მისვლა უნდა იცოდე. დავლური ომიც უნდა ისწავლო, განა მარტო მოგერიებაო! წინდაწინ შენ დაჰკარი! გული საგულეს დადგება! შენ შენი ეცადე, გამარჯვება კიდე ღმერთზეაო!.. ერთი არ დაივიწყო: ომში სიმღერით უნდა შეხვიდე! ნატყვიარი არ ინადლოთო!

ციციკორეს, როგორც ყოველ ქართველ კაცს, სახელი ყველაფერს ერჩინა!

¹ ცხრასხუთი წლის მოძრაობის და შერევაქცეის დროს, სოფლად ასე ეძახოდნენ სოციალისტებს, სოციალ-დემოკრატებს.

— სახელი არ დააგდოთ მიწაზე! — გვეტყოდა ზრუნვით ახალგაზრდებს. სიტყვილი დიდი ქვა არი! სახელი არ გაასრესინოთ ამ ქვას!

ერთხელ, კუნძუზე ჩამომჯდარ მეფანდურეს შეუტია: — რას გადასცემ და რას ვადმოსცემ? კაი ბიჭები შეაქე, რომ ლაჩრებიც გაყარვდნენ!

— აწანწყარებ მაგ ჩონგურს და ის კი არ იცი, რომ ქკუა და გონება მოეთხოვება შაირის გამომთქმელს! შაირია, განა სიტყვის საგრძელბელია, შე ცუნდრუკო და უმეცარო! განა ცოტა გვაქვს სადღეღებელი და სასახელო, რომ გოგონებს უმღერი? გულის სიტყვები ამოთქვი, სავაეკაცო რამ თქვი, რომ ხელი თვითონ დაეხას ხმლის ვადას და რაში თავისით გაფრინდეს, მათრახ ამოუწნაეად!

— ვაეკაცი კარგად უნდა შეაქო! ზომაზე მეტადაც შეაქე, ღირსია. სოფელი ასახელა! სხვებიც შეეცდებიან! შენ კი ენის სისველე გაწუხებს! გულის ღარლი კი, არ არის, სიტყვაა, ღმერთს რომ მოუტია ჩვეთვის! სიტყვა ტყუილად არ უნდა დაიხარჯოს! სიტყვას ძალა აქვს! — და მკაცრად შეუტია მეჩონგურეს:

— „ლექსი მოლექსემ უნდა სთქვას, ვაემა, ვინც იზამს სახელსაო!“ — ზომ გაგიგონია, და არა შენსავით ჩანჩურამ, ჭიასავით რომ დასცოცავ! ვის რად უნდა შენი ლექსი, შე ბუხუნძელაე, და ისიც სააშიკო! გადააგდე ეხლავე ჩონგური და მეორეთ აღარ დამენახვო!

მეფანდურემ ჩონგური დააგდო და მოცხრილა...

აი, რა ძალა და გავლენა ჰქონდა ციციკორეს...

ერთხელ, ყველიერზე, ციციკორემ უწნო ლეთეთას ჩონგური გამოსტაცა ხელიდან და შეზარხოშებულებით უცნაურის ხმით წაიძღერა:

გიორგის ებრძვის სიკვდილი,
ელვა გამოდის ხმლისა,
შამაქნია სიკვდილმა,
მარჯვენას მოაჭრისა,
შამოქნია გიორგიმ, —
სიკვდილს შუაზე სჭრისა!

მახსოვს, ლექსში განსაკუთრებით გამახარა ადამიანის გამარჯვების სიტყვადილზე. ასეთი რამ მანამ არნად ვამეგრო და ციციკორემაც ჩემს თვალში კიდევ უფრო აიწია, თუმცა არც მანამდე მეშვირებოდა!

ჩვენი ციციკორე სიკაბუკეში ცხენის გამხედნელი და განთქმული მონადირე ყოფილა.

— რამდენი ირემი მოგიკლავს, ციციკორე? — შეეკითხებოდნენ მეგობრები.

— ეჰ, ვინ იცის, რამდენი ჩაეთოფე! — გააზვიადებდა ციციკორე, — სად რამდენი ჩაიჩება კლდეში, ზოგი ისეთ ღრანტეში ჩაეარდა, მზის შუქიც ვერ ჩასწვდებოდა... ვინ იცის?... ჩემი სიბერით ახლა ირემები ტყბილად იძინებენ!

დარბისელი ციციკორე ბაქრაძე მხოლოდ ნადირობის მაკეხარა იყო.

წოწრეს ეთქვა: ციციკორეს ირემი თვალითაც არ უნახავსო!

ეს რომ გაიგო, შეიუცხოვა: წარბშეკრულმა ჯერ წყნარად იკითხა:

— ეგ ვინა სთქვა? ვის მოუარაკეზბია? — მერე მუახე ხმა აუთრთოლდა: — როგორ? — და თან ხმას აუწია გამრისხანებით: — მე მოუვლი მაგას, როცა ამოვგლეჯ სახრიკო ენას!

ამის მეტი სიტყვა არ უთქვამს-რა. ეს იყო და ეს, მაგრამ ამბობენ, წოწრეს მთელი ღამეები შიშით არ ეძინაო! გაუჩნდა საჭოკმანები.

— ბოკოწინის დაუბოლოვებულ ტყეში, — გვიამბობდა ციციკორე, — დიდი ვერხვის ქვეშ, ივრის წისკვილთან, ირმის ხრო თოფის ხმას რომ არ გაეფანტა, მშვილდისრით ვნადირობდით, ჩემს ვაეკაცობაში, უნდა მოგახსენოთ, ბევრს ირემს უზიდნია კისრით ჩემი ისარი! ჩემი ანასხლელი, ანაცდენი ისარი, ტყვია არ გაგონილა! თუ ტყუილს ვამბობ, მაშ რათ არის ჩემზე გამოთქმული ლექსი:

ირემმა ირემს ახარა,
ბაქრაძე ავად გამხდარა!
თოფის ხმა აღარსად ისმის,
იქნებ კიდევ მამკვდარა!
გამოსტყვრა თოფი ამ ღრისა,

არემო ტლინკი აყარა;

— თუკი ბაქრაძე მაქედარა,
მაშ თოღი ვილამ მახალა?!

თუმცა ჩვენც კარგად ვიცოდით და თვითონ ციციკორემაც, რომ ეს ლექსი სხვა ბაქრაძეზე იყო გამოთქმული, განთქმულ მონადირეზე, მაგრამ თავისად შეიფერა, რადგან გვარად ბაქრაძე იყო და ჩვენც აღარ ვაცივდებოდით.

მონადირეს, მეთევზეს, მეწისქვილეს, პოეტებს ხანდახან უნდა აპატიოთ ოცნების გადაღულება!

რაც არ უნდა დიდი და სახელ-ნაჭნარი კაცი ყოფილიყო, ციციკორე ერთს აპხედავდა და დარიგების კილოთი ეტყოდა:

— ნუ გასდიდდები!

— ერეკლე მეფე ხომ გაგიგონია, ეგ ლომი საქართველოსი? — იმაზე დიდი ხომ ვერ იქნები! მაინც უნდა ვითხრა ჩემი: განა მარტო ხმლიანი გმირი იყო ჯაერის ამომყრელი? არა, რატომ აღარ გავგონდებიან გმირთა აღმზრდელი ძუძუები? არც ესენი უნდა დავეიწყოთ!.. მარტო ხმლის ქნევა რა ბედენაა, ამ დროში მაინც, როცა ლეკი და თათარი აღარ გვაწუხებენ? — ასე უთხრა ხმლითა და სახელით გადიდებულ, გაამაყებულ თავბერას, სამი ყაჩაღი რომ მოექალა თრიალეთზე, როცა მისს ცხვარს მტაცებელთა ბრბო დაესხა თავს! — ნუ გასდიდდებიო!

ვის ემაღლები, ეთავდიდები! ღმერთზე დიდი, ხომ იცი რომ არავინ არი! მაშ, რასა სდიდობ? მეტობა მოინდომე? გინდა რომ ღმერთს წინ გადუდგე? — ქარივით დაეცემოდა, წამოფრენილ ვეშაპივით დაეტაკებოდა, ვინმე ლალ ვაყკაცს, რომელიც შეუპოვრად მიაბიჯებდა გზაზე და სალამის თუ ჭუღის მოხდით ციციკორეს შესაფერის პატივს არ მიაგებდა. გაკვირვებული გლეხი, თავის გზაზე მიამიტად მიმავალი, უკან დაიხევდა და ციციკორეს წყრომას მოერიდებოდა:

— დაძვირდა ვაყკაცი! — ამოიოხრებდა ციციკორე. — კაცს ვერ გამოიცნობ ისე, როგორც გარედან ლებანს, კირკიტ კაკალში!

დიდი სიტყბოთი უყვარდა სამშობლო ციციკორეს, დიდი, გამოთქმული აღწერისით.

ერთხელ, წავეყითზე და ძალიანაც მოეწონა გრიგოლ ორბელიანის წერილიდან ერთი სტრიქონი: „ქვეყანაზე მხოლოდ ერთი საქართველოა და ისიც ჩვენიაო!“

— მაღაღეც! — რუსულად გამოსთქვა ორბელიანის ჭება და თავისი აღტაცება ციციკორემ.

— რა ჰქვიანად არი ნათქვამი, აი, ბრძენი კაცი ეგა ყოფილა, მაგის მთქმელს გაუმარჯოს! — ხშირად ახსენებდა გრიგოლს.

ციციკორე ვერ იტანდა გაყრას, დაცალკევებას; ნუ იტყვიო, ეს ჩემი წილიაო! გაუყრელი ოჯახი ყველაზე მტკიცეაო! ერთნი უნდა ვიყვნეთ, მაშინ იქნებით მაგრებიო!

ეს უბირი, უსწავლელი კაცი, საქართველოს ერთიანობის დიდი ერთგულიც იყო:

— არა, განთვისება ნუ გვინდა! გეთაყვა, ნუ იტყვი, მე იმერელი ვარო, მე კახელი ვარო, მე მეგრელი ვარო! ერთი ძუძუს შეილები ვართ! ერთმავე უნდა იყოს ერი, რათ ვარგა გათვითებული, განცალკევებულიო!

ხომ მქაზე კაცი იყო, მკაცრი და ზავთიანი მაგრამ დიდად კეთილი და მშრომელიც.

თუ დაინახავდა უგერგილოდ, უნდილად მომუშავეს, ხელიდან ბარსა თუ თოხს წაპგლეჯდა, თვითონ წაიმუშავებდა; თვითონ დაბარავდა სხვის მაგივრად. ან მომკიდა, მოსცელავდა და გუთანს მოეკიდებოდა, თუ გუთნიდემას გუთანნი მარჯვედ არ მიჰყავდა.

— ვიმუშაოთ, სოფელში დოვლათი დავატრიალოთო!

ისიც მინახია, ჩემს ბაღლობაში, ციციკორე რომ სხვის თავდანებებულ საქონელს აძოვებდა სოფლის პირში, რათა საქონელი ყანებსა და ვენახებში არ გადასულიყო და მოსავალი არ წაეხდინა.

მაგრამ დიდად ღირსახსოვარი იყო

ციციკორეს საქციელი მსოფლიო ომის დროს:

ერთხელ, შუადღისას, სოფლის შარაზე გამოჩნდა დედაბერი თუბალაური, რომლის პატრონი შვილიშვილი ომში იყო წასული და ყანა მოუშველი რჩებოდა. გაჰკიოდა დედაბერი და ტირილით ხელში ნამგალს ატრიალებდა:

— ბიჭო, ნამგალი დაგიყანგდა, მამხმარე არაეინ არი, შენი ყანა დაიწო! რა ვქნა, ომია, მომეკელი არაეინ არი! — თან ჰკიოდა უბედური და თან ცრემლით ზუზუნებდა. ცალკე შვილიშვილი აგონდებოდა, ცალკე მოუშველი ყანა!

— ფეხზე დაგრჩა ყანა, არ გეცოდება, რომ ომში წახველი? ცოლ-შვილი დაგრჩა, მე დაგრჩი მოხუცებული დედა! ნეტავ ვის ეომები, რა გაქვს საომარი! — გულსაკლავად ზუზუნებდა თუბალაური შარაგზაზე და მისი სიტყვები გულს უკლავდა უკაცო სოფელს.

უცბად, შარაზე გამოჩნდა თავისი განუყრელი კვერთხით ციციკორე.

— ვაი, თემო და სოფელო! მერე და თუ კაცი გამოილია ჩვენს სოფელში? მაშ, მე ვაქვაცი აღარ ვყოფილვარ!

მეორე დილით ადრე, ციციკორე თუბალაურის ყანაში ჩავიდა, თან ბიჭბუჭობა წაიყოლა! თვითონ მკიდა, ბალღებს ხელეურებს უკრეფდა, ულოს უგრეხდა. ხუთ-ექვს დღეზე მოჰკა ბერმა ციციკორემ თუბალაურის ყანა და მართლა გააკვირვა სოფელი! განა თქმა-ლა იქნება, როგორ ემადლებოდა თუბალაური?!

ისიც მოსაგონარია, რომ თუბალაურის მამითაღში, ყანა სულ ბაგა-ბუგით და ყიყინით უშკია, როგორც ძველად იცოდნენ.

მახსოვს, პირველ მსოფლიო ომში წასულები, საღვინით ხელში როგორ დალოცა ციციკორემ. რალაც ხალხური ლექსი უთხრა საიდანაც დამახსოვდა. „ნუ შეშინდებით, ქართველო ბიჭებო, გამაგრდითო, სიკვდილისა ნუ გეშინათო, ვინც მოკვდება, დავმარხავთო, სხვა კიდევ გამოჩნდებაო! ხმა და სახელი შორს გაგივარდებათ, მტერიც დაშინდებაო.“

ბაო. თუ ტყვიამ გაკოცათ, თამარ დედა დოფლისაგან ულუფა მოგვევათო!

ასეთი სიტყვით გაისტუმრა თავისი სულიერი შვილები — მერე იწაფა და საღვინე ახლა წამსვლელებს გადასცა — გზა გქონდეთ მშვიდობისა, დაბრუნებისო! — ასე ომახიანად უთხრა მამინ, როცა სხვები ტიროდნენ და დედაკაცების წივილ-კივილისაგან ყურთა სმენა აღარ იყო.

ციციკორეს თვალზე ცრემლი არავის უნახავს, მხოლოდ ერთხელ, როცა პატარა მწყემსი ბათულა მგელს დაეგლიჯა და მომკვდარიყო, — ამბობდნენ, იმ დღეს ენახათ ციციკორე ტყეში; თვალელებზე ქუდი მოეფარა და ისე ფარულად ტიროდა თურმე...

ბათულას სიკვდილმა ისე იმოქმედა, რომ მან თავისს უკანასკნელ ცხვარზე აიღო ხელი. ზვარა! ჰყავდა შეყენებული წმინდა გიორგისათვის. მაგრამ ბათულას ღარიბ ოჯახს რომ არა ჰქონოდა რა საქვლეხოდ, ციციკორეს აეხსნა თავისი ზვარა, და მიეყვანა; — ეს დაკალითო! ბათულას სულს მიუვიდეს, უფრო მადლიაო! — და მართალიც იყო!..

მაგრამ ყოველივე ამას, თავი დავანებოთ! უფრო ის მაგონდება, მკაფიოდ რომ ციციკორეს არავითარი სიახლე არ სწამდა ცხოვრებაში, არა და არა!

აი, ვზის პირად მომავალი ციციკორე დაინახავდა ვენახში გულმოდგინედ მომუშავე გლეხს. გახვითქული გლეხი როსტია შაბიამანის წამალს ასხამს ვაზის ფოთოლს.

ციციკორე შედგებოდა ლობესთან და პატრონის გასაგონად ჩაილაპარაკებდა:

— მაგ ვენახიდან არა გამოვარა!
— რათა, ძია ციციკორე?
— რათა და, დაღუპე ვენახი! აბა, ეგრე რაღა ვენახია?

— როგორ? დღე და ღამ შიგ ვმუშაობ, არას ვაკლებ, ახლაც ჰხედავ, რა ერთგულადა ვსწავმლავე!

— სწორედ ეგ არი! განა შაბიამანი

1 ზვარა — ზვარაკი. ასე ეძახიან ჩატისაღმა შეთქმულ ცხვარსა თუ მოზვერს, ა ე ტ ო რ ი.

შეიძლება? განა არ იცი, რომ ზიარებას წამალი არ მიეკარება! ნაწამლი ღვინო და ზიარება რაღა ღვინოა? — იტყოდა წარბშექმუხვნით სოფლ-ს მესჯულე და თან დასძენდა:

— ვინც მორჩილია და გამგონი, ვინც უფროსის შეუკითხავად არას იქმს, ვინც სახლისა, სოფლისა და მამულის უფროსი სწამს, იმისი ვენახი ტურფად დაისხამს! უწამლოდაც საწნახელს აავსებს და ვინაც უფროსობა არ ესმის, იმას არც ვაზი უგდებს ყურს, არც თავთავი!

ციციკორეს არა სწამდა შაბიამნისა და საერთოდ, ახალი წესების სარგებლობა. ეს ნამდვილია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ როსტისაც არაფრად მიაჩნდა ციციკორეს ეტიკობა. აი, ეს გაუტარა სიტყვებში და აგრძნობინა სოფლის უფროსმა.

იმ ხანებში კახეთის პირველი რკინიგზა გაჰყავდათ და მოლოდინშიც სულ ამ რკინიგზაზე იყო ლაპარაკი. მთლად უნდა შეცვლილიყო კახეთის ცხოვრება. აყვავებას მოელოდნენ. ყველა ღიმიით შეჰყურებდა იმ დღეს, როცა მატარებელი გამოჩნდებოდა კახეთის მიწაზე. მხოლოდ ციციკორე არ იზიარებდა საერთო სიხარულს:

— ხბოსავით კი ნუ კუნტრუშობთ! ჯერ დაფიქრდით, გაზომეთ და მერე ისე სთქვიეთ, მართლა ეგრე-რიგად სჭირდება ხალხს რკინიგზა თუ არა!

— აგიეინიათ მატარებელი, მატარებელიო! აქებთ რკინიგზას და იმას კი არა ფიქრობთ, რა უნდა ჰქნას ხარ-კამეჩმა. ცხენმა? მაშ, ურმები უნდა გადაეყაროთ? მერე და უურმით ქართველი კაცი ვაგონილა? ან ღვინის ქირაზე რითი წაივიდეთ, ან ცხენს რა ვუყოთ? ამას რატომ არ უფიქრდებთ? — იტყოდა ნაღვლიანად, და ალერსით გადაუსვამდა ხელს წაბლა ხარს, ვახრეშილ ქედზე.

— თუ ეს აღარ იქნება, ნურც მე ვყოფილვარ.

ხნიერი გლეხები უფრო ეთანხმებოდნენ ციციკორეს.

ციციკორე, როგორც შორისმხედველი, დაეინებით გაიძახოდა:

— ხალხნო, დაფიქრდით, იქნებ არც არი საჭირო ეგ რაღაც რკინის „მაშინა“! პაერი გაფუქდება, პური და მტვეანი მოიწამლება, ხალხი იავადმყოფებს, უნამუსობა ჩამოვარდება! განა გოგოები ეგრე თავისუფლად-ლა გაივლიან? — და ხელი მიაშვირა პატარა გოგონებს, სკოლიდან რომ შინ მოცანცალებდნენ.

— ხალხო, ფრთხილად, ეშმაკს არ წამოვავლოთ ხელი! რკინის გუთანზეც ასე არ იყო? გადაგვაყრევინეთ ხის გუთნები, შემოვიღეთ რკინისა და გაჭრა ბარაქაც! ხის გუთანი ღრმადა ხნავს! ბარაქაც დიდი აქვს; რკინის გუთანი სუსტია, ერთი პატარა ქვა დააბრკოლებს, სადა აქვს მადლი! რათ გვინდოდა, მაგრამ ეშმაკმა მოგვახვია თავზე! ახლაც ისე მოგვივა!

— კარგად ჩაფიქრდით, ავწონ-დავწონოთ.

უმრავლესობას კი სიცილადაც არ ყოფნიდა ციციკორეს მოსაზრებანი!

— უხატოდ გაგივებულა ჩვენი ციციკორე!

— თავისი თავის მიმდომელი!

ციციკორემ კიდევაც შეუძებნა მასწავლებელს, რომელი „ალექსა“ მაკედონელი შენა მყევხარო, რათ ურევ ქვეყანასაო!

მერე ქუდი მოიხადა, პირჯვარი გადაიწერა და განაგრძო:

— ღმერთო, შენ დაგვიფარე იმ ჯადოქრებისაგან. ხომ ვაგეგონებათ: ნუ დააგდებ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო! მამა-პაპას უთქვამს და კარგადაც! რა სჯობია გატკეპნილ გზას, ნაცადს, ნავალს! რათ გინდა ახალი გზა კლდე-ღრეშე გაყვანილი, წამისწამ სახიფათო?!

— უწინ ჩვენს დალოცვილ დროში, ექიმი რას ერქვა — ვინ იცოდა! ახლა კი სულ ავადა ხართ! რათა, ვისი მანქანებით? ეს ეშმაკიდან მოდის, ქალაქიდან! აბა, დაიკვირდით, ხალხნო, თუ მართალი არ ვარ!

ქვეყანა უპატრონო ნუ გგონიათ, ქვე-

ყანას ვიღაცა პატრონობს! ვიღაცა უჩინარი და იმისი გეშინოდეთ, ნუ გააჯავრებთ!

ამ დროს, ხალხიდან გამოერჩია ქალაქიდან ჩამოსული ქარხნის ახალგაზრდა მუშა, თბილისის გაფიცვების მონაწილე გარსია და ციციკორეს სიტყვა შეუბრუნა:

— ძია კაცო, შენ ვინა გკითხავს სოფლის საქმეს, რა პირისა და პასუხის გამცემი შენა ხარ? ქვეყანა წინ წაივია, შენ კი ადამის ჟამის ამბებს გველაპარაკები! ვისაც უნდა იცხოვროს ძველ ჰკუთხე, წაივადეს სასაფლაოზე, იქ უქადაგოს მკვდრებს, ჩვენ კი ჩამოგვეცალოს თავიდან, მოგვეშორდეს!

ასე, ერთი ხელის დაკვრით მოსპო გარსიამ ციციკორეს მპყრობელობა. მერე ვინ? ციციკორეს ნარცხადაც რომ არ გამოდგება, ქალაქში ნათრევი, ფეხშიშველა და თავშიშველა მუშა! ციციკორემ ახლა იგრძნო, რომ ძველი ცხოვრება წასულა დაუბრუნებლად, ახალი ცხოვრების სიო ზედ მკერდზე დაეტაკა!

იღგა დათუთქული ციციკორე და ხმას არ იღებდა გაოცებული, გაოგნებული, — როგორ გამიბედაო! ასე დაფასდა განა მისი ღვაწლი და მისწრაფება! ორთითზე დაბჯენილი გლეხები უსმენდნენ და ჰკვირობდნენ ციციკორეს მოთმენას, ეგონათ, სოფელი გულადმა დასცესო! შიგადაშიგ ზოგი ფრუტუნებდა კიდევ ციციკორეს დამარცხებით გახარებული. ციციკორეს მეტად ემწვავა, ემწვიტინა. განა სავატელსა და ჯაუნარს არ შეუშალღებიათ ხმა მის წინააღმდეგ, მაგრამ ისინი სხვები იყვნენ, მისიანები, ახლა თითონ ახალი ცხოვრება შეეტაკა და კიდევაც შიამსხვრია.

მიდიოდა თავისი ერთგული ჯოხით შინისკენ ციციკორე და თან გულში იფუფქებოდა. სამდღორე ცრემლი დუღდა მისს გულში, მაგრამ შიგვე შრებოდა. როგორი უკაცრაული მკადრა? — ჩემთვის ასეთი უკაცრაული და სიკვდილი ხომ ერთიაო! ხალხში ჩემი სახელის ასე იოლად გამოთრევეს ვინ გამიბედავსო.

ფიქრით სოფელი გადააბნელა. ახლა

ციციკორე გამომტვრეული ნაპრალი-და იყო, ჩვენი სოფლის მეურნეობის ურავინ აღარ დაუჯერა არც რჩევა, არც ჰკუთხა! გული სიბოროტის მტვერით ავესო! მაშ, რაღა ვყოფილვარ? ვინა მარტო სტომამის ქვაბისათვის ვარ დაბადებული? გულს სევდის ლურსმანი დამსკვალა, და ვეღარ ამოვძრო! თითქოს ფრთასა და ბოლოს ახეთქებს დაქრილი არწივიო, — ეს რა ცოდვა დაედო თავსა, რა დაამავა? დაჩუმდა მისი შემკახებული ხმა. გულზე მოკიდებული აღმური სწვავდა.

— დიდება ძალთა ღვთისათა! — ერთი ამოიოხრა ციციკორემ სიკვდილმისჯილივით, მიდიოდა თითქოს სიცხისაგან ალაკრული, თითქოს ცხელი სილა გარტყმული!

შენ შევიდა ვითომდა მშვიდი და დაწყნარებული, თითქოს პირზე რკინა ეკერა, გული კი ზღვასავით ბობოქრობდა.

— ვინღა იქნება სოფელზე თვალმიგდებით?

— რა უნდა ჰქნან, უჩემოდ!

— მერე ვის ამწყრალებ სოფელს, სოფელმა რა ჰქნას? ბრალი სოფლისა: რომ თავისი სიმაგრის ტოტი თვითონვე მოიჭრა!

ციციკორე ლოგინში ჩაწვა.

— როგორ ბრძანდები, როგორ მოგკითხო, როგორ გაისაძლისებ? — შევეკითხებოდნენ სანახავად მოსული მოკეთებები, მეზობლები. ციციკორე დინჯად, ჩამარცვლით მიუგებდა დიდი ჭირდებულივით:

— როსტომ თქვა: დღემც კრულია.

დაბადებისა ჩემისა, —

სიყრმე სიბერედ ვაქციე,

ღღე ვერა ვნახე ლხინისა,

ვერ გაიხარე კისერი,

უღელი მედგა რკინისა!

და ამას ამბობდა კაცი, რომელსაც უყვარდა წინად ამ ლექსის გამეორება:

„ჯერო, არ მოგეცე ნებასა,

გულო, არ დაგაშვეებო,

მტერო, არ შეგებუები,

ხმალო, შენ გაგაფხავებო!“

ერთი სიტყვით, ციციორეს სულს შავები ემოსა! გულზე თოვლი ედო, ტვენს ნისლი შემოეხვია, უარსებოს დაემგვანა! გეგონებოდა სიტყვის საცეხვი გამოელოათ, კბილი დაეცა. ნამდვილად, თქვენს წინ კაცი კი აღარ იდგა, არამედ დაკემსილი, გაცრეცილი ღამე!

ამის შემდეგ დარცხვენილი ციციორე სოფელში ველარ გამოდიოდა, გზაბაწარა, საცალფეხო ბილიკებით-ღა იარებოდა, სოფლის ირგვლივ-ღა ტრიალებდა. მეთებ ბიჭებს-ღა ესაუბრებოდა. იმ საცალფეხო ბილიკებზეც, სოფელზე ზრუნავდა, თუმცა მუხისა და თელის ანგელოსი დაიფიცა, სოფლის საქმეებს აღარ გაეკარებო...

ახი კი იყო ციციორეზე, ყველას რომ თავის ნებასა და სურვილს აძლებდა. ეგებ ზოგს საკუთნო სკამზე უნდოდა ჯდომა? ეგებ სხვასაც ჰქონდა ზეშთაგონების ძლიერება. სხვაც იყო გულთამბილავიც, უდრეკი და გულადიც!

ოი, საოცრება! ერთი კვირის მერე, მახარე დორეულმა სახლის შენება დაიწყო და საძირკვლის გასვენაზე რომ ცხვარი დაჰკლა, ციციორეს არ დაუძახა!

მეორე კვირას, რძიანი ძროხა დაკლა ყოღალამ, მგელს დაეგლიჯნა, არც იქ დაჰპატიყცეს!

— რას სჩადიან უგუნურები! გუნებაში იტყოდა მოხუცი.

ციციორეს წარმოდგენაში ქვეყანა იქცეოდა! სოფლის გულაგრილებამ დასულმოკლა ციციორე. პირახსნით, გულახსნით აღარავინ ელაპარაკებოდა, თუ ასე ეჩვენებოდა!

ციციორეს გულში ცხრა თონე იწოდა, მაგრამ ვინ იყო გამწვანებელი? — იმედს ვინ დამიდებს, გულს ვინ დამიამებებსო?

აღარ ისმოდა ციციორეს მჭექარე ხმა, არწიველი ყაშყაში ალმასის გამყრელი სიტყვა ახლა გარსიამ ჩააწყვეტინა.

სადღა იყო მპყრობელობა და განება! რაღა იყო სოფლის მღევი, ღვაწ-

ლის მძღე, ახლა, სულიერი გვერით განცდილი, შეძრწუნებული, შექმნისკრძალი?

უქნელი საქმე ქნა გარსიამ! გარსიამ თუ ახალმა ადამიანმა. მისს წინ კი, ციციორე უმწეო გამოდგა.

ციციორეს კი ეგონა, ხალხი ვადმოიშლებოდა განრისხებული, აზავთებული, მკლავს მკლავზე ვადააბამდა, დიხსნიდა თავის წინამძღვარს და მისთვის მიყენებულ შეურაცხყოფას ასე ადვილად არ შეარჩენდა ვილაც „მოთრეულ“ გარსიას!

მაგრამ ჩქამიც რომ არავის დაუძრავს, იო, სირცხვილო!

იდგა გულშეღეწილი; გულდამსხვრეული, განა კაცი-ღა იყო? არა, — დამბალი ქვა ფშანტალა, ოდესღაც ღონიერი და გამძრავი, გულმაგარი, ახლა დამკრთალი, თითქოს კიდევ დაღუულიყო!

სხვისი მფარველი, თვითონ დარჩა უმფარველო, თვალმტყვენეულადაც არავინ შეჰხედა, გაგონილა?

სიკვდილს-ღა ნატრულობდა ციციორე და მართლაც, ნახა, როგორ არა ჰნახა სიკვდილი! ტანთ შავი ნაბადი ეხვია, თეთრად ცელს აელვარებდა.

ციციორე არ იყო გარედ ნავალი კაცი. და ამას დიდ ნაკლადაც უთვლიდნენ. მიჭედილი იყო თავის კერასა და სოფელს.

— ჩემი ჭიბი თურმე კერას არი დაფლული, რომ სულ ჩემს კერაზე ვიდგე და სხვასავით არ გავგარეულდეთ!

თბილისი ჯერ არ ენახა. არც ელექტრო, არც მატარებელი და ეს ჰქონდა მარად საკვებარადაც.

— რა არი ეგ თქვენი ქალაქი! ათას საკვირველებას ამზობენ, მაგრამ მე არც მიკვირს, არც მეშინია და არცა ენახავ! იქ რა მესაქმება!

თუმცა ხმაში შეატყობდი, რომ სოფლის უმანკო წიაღში აღზრდილს, მისტიური შიში ჰქონდა ქალაქის ცივილიზაციისა, მაგრამ ამაყი არა ტყდებოდა.

სიბერე ღომსაც მორევიათ! მოერია ციციორესაც. ნაბიჯი გაუძნელდა. შემდეგ გაცივდა, მაგრამ სიამაყით ავად-

მყოფობას არ დაუწევა და გადაჰყვა კიდეც თან...

...და 1915 წელს, კახეთის პირველმა მატარებელმა იორის სადგურიდან რომ შეჰკვივლა პატარძელის მიდამოებს, სწორედ იმ ხანად ჰმარხავდნენ ციციკორეს.

მატარებლის ხმის გაგონებაზე მეზობლები გაკვირვებით ამბობდნენ:

— აჲ ეშინოდა, დახე, რა დროზე გაეცალაო!

ციციკორეს სიკვდილის დამით, თურმე, არც ვარსკვლავები ჩამოცვენილა, არც წყლები შხიოდნენ, არც ქარი გრილებდა, როგორც სცოდნია, ხალხის სიტყვით, დიდი კაცის სიკვდილის დროს. არც ძაღლებს უღმუფელიათ მთელი დამე! არაფერიც არ მომხდარა ამის მსგავსი.

ღამე იყო წყნარი და გრილი, ადრეული შემოდგომის დამე!

დილაადრიან, ნახირის გარეკვისას, მეზობელი ქალები, ჩვეულებისამებრ, სოფლის გზაჯვარედინზე ერთმანეთს შემოხვეოდნენ:

— ვაი და ვაი!

— რა იყო, რა მოხდა?

— მაშ, არ იცი?

— რაი?

— მაშ, არ შეიტყე ჩვენი დანაკლისი?

— არა და არა!

— ჩვენი სოფლის ბურჯი წაიქცა წუხელის! ციციკორემ სული ჩააბარა გამჩენელს!

— ვაი და ვუი! — შეიცხადა მეორემ.

— ნეტამც არ გეთქვა! ახლა, რაღა გვეშველება?

ბევრი მართლაც გულით შეწუხდა. ხნიან ქალებს ცრემლიც კი გადმოუგორდათ დანაოკებულ თვალებზე, მაგრამ აი, უცნაური! ზოგს თითქოს კიდევაც გაეხარადა, არა გულით, ისე თითქოს შეეხებოდა იგრძნესო.

სასაფლაოდან კაცები თავდადრეკილები მოდიოდნენ, რაღაც დაბნეულები.

— რა იქნება დაღმით-ჩაღმართით?

ავაი, ჩვენს უბატრონობას! რა დამწონი კაცი დაგვაკლდო!

ოჯახებში ციციკორეს შესწავლას სუამდნენ:

— ღმერთს ჩაბარდა ჩვენი ციციკორე. ახლა ცივი მიწის ტყვეა! წაივინდა! სალამი მივეცეთ, ბიჭებო, ღვინო დავეშვათ ჯამზე, — იტყოდა რომელიმე ტუხა, ბახა, ყოტა, ბირხლა თუ ზოხვერა და ჯამზე ღვინოს დაუშვებდნენ მოსაგონებლად.

— ვაი, რომ ველარ გავიგებთ ციციკორეს დარიგებას, გულშემატკივრობას!

სავატელამაც თავი მოიხარა, მივიდა, კუბოს ხელი დაარტყა და გულისტკივილით დასძახა:

— განა კიდევ გააჩენს ჩვენი სოფელი ამისთანა კაცსაო?

თუმცა მაღალი არ მოდრკა, დაბალი ვერ შესწვდა.. აჲ ამბობდნენ: ორი ყოჩის თავი ერთ ქებაში ვერ მოიხარშებაო!

ციციკორეს დამარხვის დღეს, ერთი მღიმიარი კაცი არა ჩანდა მთელ სოფელში, მხოლოდ ჰაერში, მძლარი ქვლების სული ტრიალებდა.

— ეჰ, ველარ ჩამოივლის ციციკორე სოფლის შარაზე ყავარჯნის ბჯენით!

— ველარ შეგვესუსხავს!

— სიმართლე სუსხია? ისე ღმერთმა მე მიშველა, რამდენჯერ ყავარჯნიც აყვავებულა სიმართლით! ციციკორეს ამაგი, მერე დაფასდება ოქროს წონად!

— დახე, რა გვიყო ტიაღმა სიკვდილმა, კიდურზე მიგვიყვანა!

დამარხვის დღეს, დედაბრები იცრემლებოდნენ: დასტურ, რაღაა ჩვენი სოფელი, ციციკორეს მერე ნასოფლარი-ლაო! დიახ, ნასოფლარი, მაშ, რაღაა მას მერე, რაც მიწაში ჩაწევა ციციკორეო!

ახალგაზრდებს ეღიმიებოდათ...

ბებრები ტირილით აცილებდნენ ცხედარს.

ყოველთვის ასე ყოფილა, გულშემღულარებით მხოლოდ თავისს თაობას დასტირიან, წმინდა, გულწრფელი ცრემლით თანამედროვენი!

პირად ჟიანი

იმ დღით

მე ლექსის ბაღში ვიყავი მაშინ,
ვკრეფდი სტრიქონებს ია-ვარდებად.
რას ვიფიქრებდი, თუ იმ დღეს ცაში
მსოფლიო გმირი ინავარდებდა!

ცას წაეშალა ვარსკვლავთ კრებული,
ჩაექრო მთვარეც — ღამის ჯაგარი.
ამოდიოდა მზე დიდებული —
ქვეყნად სინათლის მამამთავარი.

მეც მქონდა ჩემი სიტყვის ვენახი,
მადლით კვებავდა მიწა ქართული,

მსურდა ღამაზად პუკარშიც მენახა
ვახი ჭიგოზე შემოკვართული.

როცა ოცნებით ცად ავდიოდი,
მიმაცილებდა მყინვარი გრგვინით,
უცებ მომესმა ხმა რადიოთი:
დაქრის ვაჟკაცი სამყაროს ირგვლივ!

იმ დღით იშვა ლექსი ახალი
და ეს გამოვთქვი გულის დაკვეთით.
მიყვარს სამშობლო ისე მაღალი,
როგორც მაღლა ფრენს „აღმოსავლეთი“.

ნარიონალი

ნანად გესმოდა, კოლხეთო, ჩემი შრიალი ლერწმისა,
ცრემლს გიერთებდა ფაზისი, მხარეო ოქროს ვერძისა!

შემოგტიროდა ტირიფი: ნუთუ ქაობად დარჩები,
სადაც ტბორებში ჩახატულ მთვარეს უშზერენ ყანჩები!

კაცს რომ კანკალით აღნობდა ტანში გამჯდარი ციება,
ბოლო მოუღო ლაქაშებს ფშანებზე შურისძიებამ.

შეხედე! ოქროს ისხამენ ახლა კოლხეთის ბაღები,
კაშკაშებს ნარიონალი ნარინჯის აჩახჩახებით.



გრიგორ ცხესლაძე

მღელვარე წლების ქრონიკა

I. საბავშვო ომის მოგონება

ცა კრიალებდა,
ოქროს სხივთა უხვად მთოველი;
თვალს იტაცებდნენ:
ვარდ-ყვავილნი ფერად-ფერები,
მინდვრის ბიბინი,
ტყის სიმწვანე,
ვერცხლის ჩქერები, —
ბუნების ზეიმს შეხაროდა
არსი ყოველი.
ხმას აყოლებდა კოლმეურნე
ნიავის ნანას,
თავს ევლებოდა მისი ფიქრი
ბ:ლსა და ყანას.
მებრძოლს წარსულის სიდუხჭირის
ეკალ-ნარებთან,
უხვი მოსავლის
მოლოდინი
ანეტარებდა.
საბჭოთა ცის ქვეშ
არეინ იყო
უქმად,
პირქუშად, —
მღაროელი,
ქარხნის მუშა,
ფაბრიკის მუშა,
მეცნიერები,
ხელოვანნი
თავგამეტებით,
ახალ ცხოვრებას კმნიდნენ შრომით,
შემოქმედებით.
სიცოცხლის წყურვილს,
მის სიყვარულს,
გულით ვამხელდით...
მაგრამ სიამე ჩაგვიმწარდა
უეცარ ელდით:

— „მტერი ვერაგი თავს დაგვესხა!“...
მოულოდნელად
გვამცნო რადიომ.
თითქოს იმ ხმამ
მზეც დააბნელა.
ორმოცდა ერთ წლის
იენისის დღეს
რა დაგვაფიწყებს?...
რა დაგვაფიწყებს,
ფაშისტები დაგვესხნენ იმ დღეს.
ავი გრიგალი
უბირებდა ქვეყანას აღგვას.
ბალტიის ზღვიდან
ცეცხლის ზოლი
უწვევდა შავ ზღვას.
ხალხი აზვირთდა
ზღვიდან ზღვამდე,
მთებით მთებამდე:
— „ხმლები ვაეღვოთ,
სამშობლოსათვის,
ნაცადი ხმლები!..
მტერი ვერ შესძლებს
ჩვენს ქვეყანას
ფეხით სთელავდეს!“..
ომში მიმავალთ
აცილებდნენ
დედები, დები.
შეყვარებული შეყვარებულს
უცქერის თვალში, —
თითქოს ეცლებათ ნიადაგი,
შეცურდნენ წყალში,
თითქოს ტალღები მოაქანებთ
სხვადასხვა მხარეს...
მწუხარე მწერა
ეთხოვება
მწერას მწუხარეს.
იმედს უფსკრული ემუქრება,
მეფდება შიში.

არის პაერი გაელენთილი
 ვაებით, ვიშით.
 ყოველ ახალ წუთს
 თან მიჰყვება
 ახალი ძრწოლა:
 ბრძოლა ხმელეთზე!
 ბრძოლა ზღვაში!
 პაერში ბრძოლა!
 რუს გოლიათთა,
 უკრაინულ ვაჟაკთა გვერდით,
 მოძმე ერები
 დიდ საბჭოეთს
 იცავდნენ მკერდით.
 მტერი აფთარი,
 ცოფიანი,
 გვაყრიდა დორბლებს.
 თბილისს,
 ქუთაისს,
 ბათუმს,
 ფოთსა, —
 და ყველა სოფლებს,
 დაატყდათ რისხვა,
 მაგრამ ბედმა
 ჩვენ გაგვაკავა:
 გმირ მებრძოლთ ხმებში
 მტკიცედ სვექდა
 ქართული ვაშა...
 ხმა რადიოსი
 დღე-ნიადაგ
 ისმოდა მკახედ:
 მტერი ძლიერი,
 უღმობელი,
 იწვედა აქეთ...
 დაეტოვებოდა ტურფა უკრაინა,
 ბელორუსია, —
 ირგვლივ კენესაა,
 მწუხარება და ბურუსია.
 ფაშისტთა ურდო
 რკინის სეტყვით
 სეტყვავს მთელ მხარეს.
 ნანგრევად იქცნენ ქალაქები, —
 მოსპეს,
 მოთხარეს.
 ხანძარს, ვით ვეშაპს,
 სწადდა შთანთქმა
 ყირიმის ველის...
 ჰეი!
 რამდენი დაეცა იქ

გმირი ქართველი!
 რა დაგვაიწყებს
 ქართველ დედის
 გულმდუღარებას,
 ყოველ სახლის წინ
 დარაჯივით
 მდგარ მწუხარებას!
 მთელი ქვეყანა ირწყვებოდა
 სისხლით და ცრემლით,
 უმძიმეს წუთებს განიცდიდა
 მოსკოვის კრემლიც.
 მაგრამ
 სიმართლემ,
 თავგანწირვამ
 და ვაჟაკობამ,
 მოსკოვის ბქესთან,
 თავდამსხმელთა ურდოს აჯობა.
 შედრკა ურჩხული,
 საძაგელი
 და ავზნიანი,
 გაფანტეთ მითი,
 უძლეველობა გაჰქრა სევასტიკის.
 თუმცა შემდეგაც
 მოგვაყენა ვნება, ზიანი,
 ლუმცა კვლავ დიდხანს
 გრძელდებოდა
 ომი სასტიკი.
 მაგრამ ჩვენ მეტი ძლიერებით
 გავშალეთ მხარი;
 ჩვენი ხმა გახდა
 ცის გრგვინვაზეც უფრო მაგარი.
 და უკუჰცევა იწყო ტალღამ
 მოძალადეთა.
 ბოლო მოუღო მათ გმირობამ
 სტალინგრადელთა,
 პეი!
 რამდენი ვღვარეთ სისხლი,
 რამდენი ცრემლი!
 მაგრამ გაკაფდა ჩვენი ძალა,
 გაბრწყინდა კრემლი.
 ბოროტმოქმედთა დღე შემოკლდა,
 დაბნელდა იგი.
 მოვსპეთ,
 წავშალეთ ჩვენს მიწაზე
 კვალი სევასტიკის...
 და რაიხსტაგზე
 ძლევის დროშა
 აღვმართეთ როცა,



მზემ გაგვიღია,
გამარჯვება
ჩვენ მოგვილოცა.
ბოლო მოედო
ავაზაქურ სიმრისხანეთა;
მწეიდობას
ტაშით შეეგება
მთელი პლანეტა.

11. მშვიდობა და ატომი

როცა დამთავრდა ომი,
მშვიდობა გამოცხადდა,
თვალეზი გაუბრწყინდა,
ვისაც მშვიდობა სწადდა.
მტრედები აფართქალდნენ,
ცაში აიჭრნენ შვებით,
მწეიდობის სიმბოლოებს
ხატავდნენ გაშლილ ფრთებით.
თბილისს,
ჭუთაისს,
ბათუმს —

და ყველა ქართულ დაბას
გაშლილად აღემართა
აღამი მეწამული.
ცეკვავდნენ ჰაბუკები,
ცეკვავდა ხანდაზმული
ცეკვავდა ქალიშვილი,
აფრიალებდა კაბას.
ყოველგან სიხარული
მიეფინ-მოეფინა,
უნდოდათ ეთამაშათ,
უნდოდათ მოეღზინათ.
ომში წასული შვილის,
ომში წასული ძმების,
საყვარელ ქმრების,
მამის, —
ელოდნენ მალე ნახვას.
ზარობდა,
ზეიმობდა
ხალხი კეთილი ნების, —
ამოისუნთქეს შვებით,
რომ გადაურჩნენ ლახვარს.
ნათელ იმედის შუქი,
რომ კვლავ მოადგა კარებს,
რომ სიცოცხლის და ტრფობის
ნერგი კვლავ გაიხარებს.
და რადიოს ხმაც მკაზხ

ახლა საამო ვახდა,
გვამცნობდა,
ვადმოგვეცემდა
ზეიმს მსოფლიოს ხალხთა.
ჩვენს დიდ საბჭოთა კავშირს
ყველა უძღვნიდა ჭებას,
ურჩხული რომ ძირს დასცა,
რომ ხალხს ეღირსა შვება...
ფიქრობდნენ —
გაიმარჯვა
კაცთმოყვარულმა გრძნობამ...
მაგრამ შეაკრთო მიწა
კვლავ საშინელმა ცნობამ:
— „ფრინავს, ატომით ხელში,
უგულო ავაზაკი!
აღგავა ხიროსიმა!
აღგავა ნავასაკი!
აღარ დატოვა არსად
სიცოცხლის ნიშან-წყალი, —
აღამიანებს,
ხეებს,
მიწას —

ედება ალი!
წაქცეულს მოერივნენ,
ეკეკაცის წესს ვინ ეძებს?!..
რაინდის გრძნობა სად აქეთ
კაპიტალისტურ მხეცებს?!..
მათ მშვიდობიან მცხოვრებთ,
უმწეოთ, დაუცველებს,
თავს დაატეხეს რისხვა,
ვით საცდელ-რამ ცხოველებს.
სიჩვეს ატომის ძალა
აღამიანთა ტომზე;
ველარ ძღვებიან სისხლით,
ხელს არ იღებენ ომზე...
აღამიანურ გრძნობის
ნათელი თითქოს ჰქრება;
მრისხანე იარაღი
მსოფლიოს ემუქრება.
ანზადებს ამერიკა
ხალხთა მონობის უღელს,
ატომის საიდუმლოს
იგი არავის უმხელს.
მზროდ საბჭოთა კავშირს
იმედით უცქერს ყველა, —
ვინაც მსოფლიო იხსნა,
კვლავ შეუძლია შველა!..
ის შესძლებს,

გააკეთებს
 გასაკეთებელს ძნელად;
 ვერაგებს არ ჩაუტდება
 ხალხის ბედს საჯიჯგნელად.

III. დედამიწის თანამგზავრი და ნათელი მომავალი

როს თანამგზავრი მიწის
 აუღუშვით მალლა ცაში,
 ჩვენ ვზეიმობდით კაცის
 გონების გამარჯვებას;
 ჩვენ განვიცდიდით ქვეყნის
 უჩვევე სიზარულს, შევებას.
 საბჭოთა ქვეყნის ტაშებს
 შემოუერთეს ტაში;
 მოკეთე აღფრთოვანდა,
 დუშმანი დარჩა სახტად.
 კეთილი ნების ხალხის
 ღონე აშკარა გახდა.
 შეჯიბრი ჩვენ მოვიგეთ,
 ტექნიკამ გევისახელა.
 სხვების მიღწევა ჩვენთან
 არც კი ღირს გასამხელად...
 თუ არ სურთ სწამდეთ ფაქტი,
 მომხრეებს „ცივი ომის“, —
 ჩვენ ვერ შეგვიცვლის რწმენას
 ხმა მათი გულისწყრომის.
 მეცნიერებას
 ჩვენ სიკეთეს
 უსსახავთ მიზნად,
 გესურს ბოროტების კლანჭებიდან
 ქვეყანა ვიხსნათ.
 ჩვენ ხომ არ გავხვევთ მიწას
 შავი სიკვდილის შურში? —
 ატომი ჩავაყენეთ
 ჩვენ ხალხის სამსახურში.
 ჩვენს დრომდე, ოცნებითაც
 წარმოსადგენად ძნელი,
 ზღვაში შეიჭრა ჩვენი
 „ლენინი“ — ყინულმჭკრელი.
 ბუნების ძალებს ვებრძვით,
 გესურს გამოვსტაცოთ განძი.
 ნახტომისათვის ვზომავთ
 პლანეტებამდე მანძილს.
 ახალი ცხოვრებისთვის
 ვართ დღე-ნიადგ ცდაში
 საბჭოთა ქვეყნის შეილებს,

მეკვლევებს ვგზავნით ცაში.
 მამაცი გაგარინი
 რპურობს კოსმიურ სივრცეს,
 ემშო გონების ძალა
 გამბედაობას მტყიცეს.
 ჩვენს ძლიერებას უტეხს
 ზედავს მოყვარეც, მტერიც. —
 და კი არ ვიმუქრებით,
 ჩვენ მშვიდობაზე ვმღერით.
 აზიელს,
 ევროპელსა
 და ამერიკელ მშრომელს
 ჩვენ ყველას ძმურად ვუცქერთ, —
 ქვეყნად მშვიდობის მდომელს.
 ძლიერი,
 ვაბედული
 ოცნება დაგვირგვინდა.
 აი, ჩვენ რა გეწაღია!
 ატომი რისთვის გვინდა!
 ჩვენში ერთ მიზანს ეტრფის
 მუშა და მეცნიერი:
 ადამიანი იყოს
 გულთა,
 ბედნიერი;
 ისე გათენდეს —
 ნათელს
 სიბნელე აღარ ახლდეს!
 მშობაზე,
 ერთობაზე,
 კაცის ოცნება ახდეს!
 და ჩვენ გეწამს:
 გაიმარჯვებს
 კეთილ გონების ძალა, —
 დათრგუნავს ომს,
 აღმართავს
 ყველგან მშვიდობის აღამს.
 ომის მრისხანე წლების
 ეკლებზე ვინც იარა,
 ვისაც აჩნია წყლული,
 აჩნია კვლავ იარა,
 ისიც ვინც გადმოცემით
 იცნობს ერუანტელს ომის,
 აღსდგება დასაცავად
 მშვიდობიანი შრომის.
 წარსულის სევდას შეცვლის
 ახალი სიხარული,
 შურს მოედება ბოლო,
 მას დასძლევს სიყვარული.

წინა სურათი

რუხი ფარაჯით მოვიდა კაცი
და იმ მოკლული წლების სახსოვრად
შერჩა ყველაზე ძლიერი განცდა —
სახლები, სადაც არავინ ცხოვრობს.

მას ამ სახლებში დიდი ხნის წინათ
არ აძინებდა და აწვალებდა
გადარჩენილი ჩითის თოჯინა —
ადგილის დედა შუშის თვალებით.

და იდგნენ ბნელში ნასახლარები
სადღაც მჭვარტილიან ცაზე შალაღნი
და თოჯინების ღია თვალებით
ეძახდნენ თავის ჩითის სამყაროს.

და ჩაესმოდა ბნელში ჯარისკაცს
როგორ სტიროდა ფუძე სახლების

ბიჭებს, რომლებიც ველარ დაკაცდნენ,
ქალებს, რომლებიც სხვაგან
გათხოვდნენ.

მერე კერბოსთან წყლებობდა გლოვა
და ყუმბარებით დათხრილ მინდვრებზე
სულ იდგა სუნი გამდნარი თოვლის
და გაზაფხული ჰგავდა მშვიდობას.

მშვიდობა იყო სადღაც ცას იქით
თეთრი ბავშვებით და თოჯინათი,
მშვიდობა იყო დიდი სახლები,
რომლებშიც ენთო ბევრი სინათლე...

და მან დაძლია ეს უსაშველო
სახლებისაკენ კაცური ლტოლვა,
რომ არ ენახათ შორეულ ბავშვებს
სახლები, სადაც არავინ ცხოვრობს.

ნინო აბაშიძე

მ მ რ ც ხ ა ლ ა

ლაფანის და კაკლის ხეებში პატარა სოფელი ნიშნისანი მიმალულა. გაზაფხულზე აქ ყველაფერი ღამაში და მიმზიდველია. მაგრამ ჩემი ყურადღება ერთმა თეთრ აიენიანმა სახლმა მიიპყრო. ამწვანებული დიდი ბალი მომეწონა. მესერთან ხშირად ვჩერდებოდი და ვუცქეროდი. აუვაეებული ნარგისები ნიავისაგან როგორ ღამაზად ირხეოდნენ. მეუბნებოდნენ: — ამ სახლში ექიმი ქალი ცხოვრობსო, მაგრამ ბალი იშვიათი მცენარეებით ისე მიმზიდველი მეჩვენებოდა, რომ აქ გაელისას ადამიანები მავიწყდებოდნენ. ერთხელ, როცა მესერთან ნაბიჯი შევანელე, ნაცნობი მასწავლებელი წამომეწია, მკლავზე შემაწლო ხელი და რამდენიმე წუთში ბალში აღმოვჩნდი. მასწავლებელი მეუბნებოდა, სახლის პატრონი ჩემი ბავშვობის მეგობარია, დარიჯო ჰქვიაო, — სახელიც მითხრა. მე იონჯაში გაფანტულ ვარდებს თვალს ვაყოლებდი, ფეხის ხმა მომესმა, მოვიხედე, აიენის კიბეზე ჩქარი, მსუბუქი ნაბიჯით ჩამოდინდა ქალი, მასპინძელი მომიხლოვდა და ხელი ალერსიანი ღიმილით გამომიწოდა, ორმოცი წლისა თუ იქნებოდა, ხანს მისი სახის ფერი თითქოს ოდნავ გაეცრიცა. რაღაც ხაზებიც ეტყობოდა, მაგრამ ღიმილი და გამოხედვა ისეუ ბავშვური, ღამაში ჰქონდა. ვაშლილი შუბლის ქვემოდან, წყლით სავე წაბლისფერი თვალები მომჩერებოდნენ და ყურადღებას მთლიანად თავისკენ იზიდავდნენ. მასპინძელი გვერდით სულ ახლო მოწყვებოდა და მელაპარაკებოდა. კარებთან მეზობლის ვოკონამ მოიბინა, ეტყობოდა, წინასწარ ჰქონდა დალაგებული, რა უნდა

ეთქვა, სულმოუთქმელად დაიწყო:

— მანქანით იყენენ სოც-დაზღვევიდან, თქვენ გკითხვობდნენ, რომ გაიგეს, არავენ იყო, გაჯავრდნენ — მაშ ამოდენა სახლში კაცი არ არის, რომ ამბავი დავეტოვოთო.


— შერე პირველად იყენენ? არ იცოდნენ, ამ სახლში ჩემს მეტი არავენ ცხოვრობს? — უთხრა მკვახედ.

— თქვენ ამ სახლში სულ მარტო ცხოვრობთ? — შევეკითხე გაკვირვებულნი.

— სოფლად ექიმი მარტო არასოდეს არ არის. — მითხრა სიცილით, თითქოს უზრუნველი ხმით, მაგრამ შემატყო, რომ არ დავეთანხმე, განზე წავიდა, როგორც ეტყობოდა, ამ საგანზე ლაპარაკის გაგრძელება აღარ უნდოდა. პატარა მიმონასთან დაიხარა. ქალის სახეს ვერა ვხედავდი, მაგრამ ისე მომეჩვენა, მისი თითები მიმოზის ფოთლებს თითქოს გასაკუთრებული გრძნობით და ალერსით ეხებოდნენ.

— ეს უცხო მცენარე ამ ბალში საიდან გაჩნდა? — ჩავილაპარაკე და მასწავლებელს გადავხედე. ექიმიმა ქალმა თავი ასწია, შუქით სახვე თვალეში წისლით აევისო, ერთხანს მიცქირა და შერე თავი მომარიადა. რატომღაც გაეფიქრე, ეს პატარა მცენარე ქალის დიდი ნაღველის მიზეზი იყო და გავერიდე. ვცდილობდი, ყურადღება ისეუ ვაღებე ვადა მეტანა, მაგრამ იშვიათი ვეფილები თითქოს ჩემ წინ სადღაც ვაცურდნენ. ქალი კი დარჩა. „რად არის მარტო?“ — ვეკითხებოდი ჩემ თავს.

მერცხალა, მერცხალა. დაიძახა ვილაცამ მესერის იქით.



ქალი სწრაფად გასწორდა წელში. შუბლზე ჩამოფანტული თმა გაისწორა და მსუბუქი ნაბიჯებით გაემართა. კარებთან მოხუცი დედაკაცი გამოჩნდა, ექიმს შესჩივლა:

— ჩემი შვილი თავს იტყობს. რამე წამალი გექნება შენი ჭირიმე, მომეცი, იქნებ ტკივილი გაუყუჩდესო.

ქალმა კიბის საფეხურები აირბინა, რაღაც ფხვნილი ჩამოუტანა და მიაწოდა, ასწავლა, როგორ უნდა მიეცა ავადმყოფისათვის და ჩვენსკენ მომღიმარი სახით გამოეშურა, პატარა შაქრატელი ეჭირა ხელში, ყვავილის ტოტებს აჭრა დაუწყო, როგორც ეტყობოდა, თავიულისთვის ამზადებდა.

— მერცხალა ბავშვობისას ერჭვა, მაგრამ შინაურები ისე არიან მიჩვეულები ამ სახელს, რომ დაფიწყებას ვერ ახერხებენ, — მითხრა სიცილით მასწავლებელმა.

ჰე კი მიეჩერებოდი მის უბრალოდ შეკერილ, თაღს კაბას, სადად გადავარცხნილ თმას და თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ ცხოვრებას მერცხლის ფრთები დიდიხანია შეეკვეცა. ქალმა ჩემი დაკვირვებელი მხერვა იგრძნო. რაღაც სევდანარევედ გაიღიმა, ახლოს მოვიდა. ხელი მომხვია და თავის სახლში მიგვიპატივა.

რამდენიმე ოთახი ჰქონდა. დიდი წესრიგით დალაგებული, მაგრამ შიგ სიცივე და მიუკარებლობის იერი იგრძნობოდა. ავეჯი მივიწყებულივით იდგა, ადამიანებისათვის კი არა, თითქოს კედლებისათვის შემოვტანათ. როგორც ჩანდა, მერცხალა ამ ოთახებში სულ მცირე დროს ატარებდა. სამაგიეროდ, სიცოცხლე ექიმის კაბინეტს ეტყობოდა, ეტყობოდა, რომ ეს ერთი ოთახი კმაროდა მისთვის. ოთახში ცხელიოდა. აივანზე. გავედით, საიდანაც აკაციის და ცაცხვის ყვავილის სუნნი მოჰქონდა ნიავს. ბაღში, პატარა დაღმართზე შავ მარმარილოს ნიშს თვალი მოვკარი, დაეკვირდი: სასაფლაო იყო, შემავრეოლა, სიკვდილი და სიღამაზე, როგორც ადამიანების მუდმივი თანამგზავრები, ბაღში ერთად მო-

თავებულებენ და ამ საღამოს მუდროებაში თითქოს ერთმანეთს ირწყმოდნენ ხელს.

— მე მეგონა, ამ სახლში და ბაღში ბედნიერების და სიხარულის მეტს სხვას ვერაფერს ვერა ვნახავდი, — ჩაეილაპარაკე.

— არა, ამ ბაღს მწუხარებაც ბევრი უნახავს. — მითხრა მასწავლებელმა. — მერცხალას მამის სასაფლაოა, მამის სიკვდილმა ქალს სიცოცხლე გაუმწარა, მისი სიკვდილი ჩემი ბრალიაო, აუჩემებია და აღარ ივიწყებს.

ოთახიდან მასპინძელი შეგვეხმინა და მაგიდასთან მიგვიწვია, მაგრამ ცოტახნის შემდეგ ზარმა დარეკა.

— არ მოგვასვენებენ არც ერთი წუთით, — წაიბუზღუნა ელენემ. მერცხალა კი წამოფრინდა, კარი გააღო, ოთახში ორი ბიჭი შემოვიდა, ეტყობოდათ. შორიდან იყვნენ წამოსულები, უფროსი წინ წამოვიდა, მსუქანი ლოყები აღელვებისაგან უთროდა.

— ექიმო, დედაჩემი თუთის ხიდან ჩამოვარდა, აბრეშუმის ჭიისათვის ფურცელს ჰკრეფდა, ქვაზე დაეცა. ჩვენი ექიმი ამბობს, ოპერაციაა საჭიროო, მაგრამ დედაჩემი არა ნებდება, ნიშნაინში რომ ექიმია, ის მომიყვანეთ. ის იტყვის სისწორესო.

— საიდანა ხართ? — შეეკითხა მერცხალა.

ბიჭებმა მთის პატარა სოფელი დაუსახელეს.

— რით ჩამოხვედით?

— ცხენებითა ვართ.

— ძალიან კარგი. აბა, ცოტახანს მომიცადეთ, — ქალი კაბინეტში შეტრიალდა. ღია კარებში გარკვევით ჩანდა მისი ენერგიული ხელები, როგორ სისწრაფით მუშაობდნენ — საექიმო იარაღსა და წამლებს ალაგებდა, ჩანთაში აწყობდა. ცოტახნის შემდეგ გამოვიდა. სახე შესწითლებოდა, თითქოს ჩვენი იქ ყოფნა მაშინ შენიშნა, გაიცინა.

— მიგატოვებთ, მაგრამ თქვენთან დარჩენა არ შემიძლია, უნდა წავიდე. გათენების ხანს დავბრუნდები. — ბაღ-

ში აჭრილი თაიგული აიღო. ახლოს მოვიდა და მისი ადამიანური სითბო, დავარული ცეცხლი სიკეთისა, ვიგრძენი, ხელი წავავლე.

— ხომ ვითხარით, მარტო არასოდეს არა ვარ მეტეი, — მითხრა ღიმილით.

— მერცხალა, ნუ იმართლებთ თავს, თქვენი ხალხისათვის როგორც ექიმი საჭირო ხართ, მაგრამ ეგ არა კმარა, აი თუნდ ამაღამ დაღლილი დაბრუნდებით, კარს ვინ გაგიღებთ, ვინ შემოგხვდებათ, ვინ შეგეკითხებათ, ოპერაცია როგორ და რა პირობებში ჩაიარა, ვინ იზრუნებს თქვენზე? თქვენც უხმოდ დაწვებით, ლელვას და განცდებს, რაც გადაგზდით ავადმყოფთან, თან ჩაიყოლებთ. მე ვხედავ, რომ თქვენ ყველასათვისა ხართ, მაგრამ თქვენთვის ვინ არის?

მერცხალა უხმოდ თავდახრილი იდგა, როგორც მოწაფე, ძნელი ამოცანის წინ და პასუხის მიცემას აგვიანებდა. მერე გამიღიმა:

— იციტო, ისე ვაირბინეს წლებმა, რომ ვერც კი ვავიგე, — მითხრა და თაიგული მომაწოდა. პალტო აიღო ზღა ჩვენთან ერთად კიბეებზე ჩამოირბინა. ეტყობოდა, მიჩვეული იყო ცხენით სიარულს. სწრაფად მოზიდა ლაგამს და ცხენი ჩვენსკენ მოატრიალა. მერე კარგახანს შესმოდა სოფლის სიწყნარეში მოასფალტებულ გზაზე ცხენის ფლოქვის ხმა. ექიმის ძალას სოფლად მეც ისევე განვიციდიდი, როგორც ის ბიჭები, რომლებიც მერცხალას ავადმყოფ დედისკენ მიაქროლებდნენ.

* * *

მერცხალა მართალი იყო, როცა მეუბნებოდა — მარტოდ ყოფნა არასოდეს არ მიხდებოდა. მარტოს ვერასოდეს ვერა ნახავდით. ავადმყოფებს გარდა ხანში შესული მებაღეები და მევენახეებიც კი მოდიოდნენ, რჩევას კითხავდნენ და ისიც თავისი შრომით და საქმით გახალისებული, ხალხში ტრიალებდა. ასე თენდებოდა და ღამდებოდა მისთვის.

მეც მომეჩვია, საღამოობით შესვრთან იდგა, მელოდებოდა, ან ჩემთან რამდენიმე წუთით შემოირბენდა, ჭკის მაგიდასთან ვისხედით დიდხანს და მიაბობდა თავისი ბავშვობის, ყრმობის ამბავს, სიყვარულსა და სიძულვილზე. ელენეც შეხვედრის დროს ლაპარაკს უსათუოდ მერცხალაზე ჩამომიგდებდა. მერცხალას ცხოვრების ამბავი მეზობლებმაც კარგად იცოდნენ. მეც ყურს ვუგდებდი, იმიტომ რომ მათი ნაამბობი ამ ქალის ცხოვრებას ეხებოდა.

* * *

მერცხალას რატომღაც ეს დიდი ლაშაზი სახლი არ უყვარდა. თითქოს რაღაცას ემდურებოდა, — პაპამ დაიწყო აშენება სიბერის დროს, და დედაჩემს ძალიან ბევრი შრომა შეხვდაო — პაპამისი მოუსვენარი კაცი ყოფილა, პირქუში სახისა, ზედმეტ სახელად სოფელში, „ბალყუმს“ ეძახდნენ. მაგრამ მისი ვენახი, მისი მოვლილი ვაზი მთელ რაიონში განთქმული იყო. ორი ვაყი ჰყოლია, ჯერ კიდევ ომში მიმავალი მამა და ბიჭები მერცხალამ ბაქანზე გააცილა. თვითონ კი სწავლას მიუბრუნდა. სამედიცინო ინსტიტუტში გამოცდები ჩააბარა. ძარღვებში მამა-პაპური სისხლი ედგა, მათი შრომის უნარი გამოჰყოლოდა. უჯდა წიგნებს და დიდი ცნობის მოყვარეობით ადამიანის ანატომიას ეცნობოდა.

დედა გაუხდა ავად, გულის მწვავე შეტევა ჰქონდა. ერთ დღეს მერცხალა ზბილისიდან დაიბარა: ბევრი რამ უთხრა და მერე გვიან გაანდო ფიქრი.

— ხომ იცი, ოთარ ზელაძეს უყვარხარ. მშვენიერი ვაჟკაცია. ჩემი სიკვდილის შემდეგ ის ვიპატრონებსო. — დააფიცა: — მომეცი პირობა, რომ მის სიყვარულს არ მოირიდებ და დედაშენს მშვიდად გაისტუმრებო.

ქალი ავადმყოფ დედის სასთუმალთან ტიროდა და პირდებოდა ყველა სურვილს შეგისრულებო.

მალე მერცხალა მარტო დარჩა. ხმა-
ამოუღებელი ღიმილით მიიღო საქმრო,
მაგრამ აღარ გავდა იმ მერცხალას, რო-
მლის სიცილ-კისკისი ყველას ესმოდა.
მის ლამაზ სახეს სევდა და მორჩილება
შეეპარა. ქორწინება გადადო იქამდე,
ვიდრე ინსტიტუტს დაამთავრებდა. მაგ-
რამ სწავლის გაგრძელება ვეღარ მოას-
წრო. მამამისი დატრილი და პლევრიტით
ავადმყოფი დაბრუნდა. მამას უვლიდა
და ყოველდღე თავის სოფელთან ერთად
ომის დამთავრებას ელოდებოდა. ეს
დღეც მოვიდა. დამთავრდა ომი, მალე
სამხედრო ეშალონმა ნიშნიანის ბაქანზე
გამოიარა და მეომარი ჯარისკაცები
გადმოსხა, მათმა ფეხის ხმამ მიყრუებუ-
ლი გზები იმ წუთშივე გამოაცოცხლა.
სოფლის ბავშვები ხაყისფერ ტანსაც-
მელში გამოწყობილ მამებს ვეღარა
სცნობდნენ, მაგრამ მიინც სიხარულისა-
გან ყივივებდნენ. ყველა ამბობდა —
სოფელს სიცოცხლის ნიშანწყალი და-
უბრუნდაო. ორი დღის შემდეგ კი ხალ-
ხმა გზა-ჯვარედინზე მოიყარა თავი, ეს
ადგილი ომამდე სოფლის თავშესაყარად
ითვლებოდა. მუშაობის შემდეგ მამაკა-
ცები გამოდიოდნენ და შინაურ და საქ-
ვექრო საქმეებზე ლაპარაკობდნენ. იმ
დღეს კი ქალებიც გამოსულიყვნენ, ამის
უფლება მათთვის ომის დროს მამაკა-
ცურ შრომას მიეცა. მეომრები გზაზე
დაყრილ ლოდებზე ისხდნენ, ქალები კი
ანგარიშს აბარებდნენ, თუ როგორ მიჰ-
ყავდათ სოფლის საქმეები. კოლმეურნე-
ობის თავმჯდომარეს სწყევლიდნენ,
ჩვენი სიღარიბე მისი უნიათობის ბრა-
ლიაო. თუ თქვენ ხელშია არ ივარგა
ჩვენ საქმეებს წყალი წაიღებსო.

— წყალს იმას გავატანთ, ვინც არ
ივარგებს, — აიძულებდნენ ჩამოსულე-
ბი, — სოფლის დაჩაგვრას ჩვენ არავის
შევაჩვენო.

როგორც ეტყობოდათ, ფრონტიდან
დიდი გული ჩამოეტანათ. სალაპარაკო
ბევრი ჰქონდათ, ყურადღებას არ აქ-
ცევდნენ, რომ გადაუღებელი წვიმადა.
ტალახს საგალი გზები გადაეღესა და
საქონლის ნათესურებიც კი ტალახიან

წყალს ამოევსო: გზა-ჯვარედინზე მერ-
ცხალაც მოვიდა... იმ დღეს გენსაკვეთი
რებით ლამაზი იყო; წვიმის ბაჭყალი
თმა დაენამა. ახალგაზრდა და მოხუცი
თითქოს მოვალედ თვლიდა თავისთავს,
რომ ქალის საამებლად რაღაცა ეთქვათ
საქმაროზე, მომავალ ქორწილზე, ბედ-
ნიერებაზე. ეუბნებოდნენ, ისიც ღიმი-
ლით ეთანხმებოდა ყველას და წინ მი-
დიოდა. მამა მისიც ამ ხალხში იღვა.

— მამა, შენ საქმენელად წამოვედი,
ძალიან ცივა. — უთხრა შორიდან.

— ხომ არ დაევიარებები. რა ძებნა
მინდა? — უპასუხა მამამ და, ეტყობო-
და, ესიამოვნა, რომ შეილი ექმბდა. ნა-
ვადმყოფარ, ვაქცაყურ სახეზე კმაყო-
ფილმა ღიმილმა გადაურბინა.

— ძალიან ცივა, საძაველი ამინდია,
წავიდეთ შინ, — გაუმეორა კიდევ მერ-
ცხალამ და მამის ფარაჯის კალთასთან
მოიბუხა.

— თბილისიდან აგრონომს ელოდე-
ბიან, ჩვენი მინდერების საქმეების გა-
მოსასწორებლად მოდის. მეც შევხედავ
ერთი რა ბედენაა, დარჩი შენც, — უთხ-
რა მამამ.

მერცხალაც დარჩა. მალე ხალხში ჩო-
ჩქოლი ატყდა. ჩვენი მანქანა გამოჩნ-
დაო, — იმახდა ბავშვი.

ყველამ დაინახა, პატარა ვილისმა რო-
გორ გადაჭრა გზა და აღმართზე ამოუხ-
ვია.

— შავპალტოიანი დაინახეთო ის უნდა
იყოს, — ისმოდა ხმები.

მალე მანქანის კარი გაიღო და შავ-
პალტოიანი ახალგაზრდა კაცი გადმო-
ვიდა.

— გამარჯობათ თქვენი! — მიესალმა
ხალხს და შავი კეპი მოიხადა. ნაზი,
ფერმკრთალი სახე ჰქონდა და მოელეა-
რე შავი თვალები.

ხალხს მისი სანდომიანი გამომეტყვე-
ლება მოეწონა:

— ავაშენოს, კეთილი იყოს შენი ჩა-
მოსვლა, — უპასუხეს.

აგრონომმა ხალხისაკენ გამოიწია,
მაგრამ დებუტატებმა და საბჭოს თავმ-
ჯდომარემ რაღაცა უთხრეს და იქვე შე-

ნობაში შეიყვანეს, შოფერი კი ვილისს მიუბრუნდა. ხელბარგსა და შეკრულ წიგნებს ვადმოლაგება დაუწყო.

— ვისია, ბიჭო, ეგ წიგნები? — დაუძახა შოფერს ვილაძამ.

— ვისი იქნება?! ვინ ჩამოვიყვანე, არ იცი? — შეუტია ბიჭმა.

— ამდენი ჭებნის შემდეგ, პროფესორი არ უპოვიათ! — ჩაილაპარაკა მეორემ.

— ხოსრო, შენ სამკითხველოს გამგე ჩამოვიყვანე თუ შემინდგრე აგრონომი? — ეუბნებოდნენ შოფერს სიცილით.

ყველა მიხვდა, რომ მოლოდინისაგან გამოწვეული ინტერესი რალაცამ უცებ გააქრო.

— მამა! — მიუბრუნდა მერცხალა მამას. — რატომ არ ეტყვი ხალხს, სასაცილოდ ასავდებდა წიგნები ნახეს?

— ხუმრობენ, შეილო, — უთხრა მამამ ღიმილით შეილს.

ხანშიშესული კოლმეურნე კი, რომელიც ყველაზე მეტად ცხარობდა, მერცხალას მიუბრუნდა:

— ჩვენ არა ვხუმრობთ, ჩვენ უკან დაწეულ საქმეს ბასრი ხმალივით კაცი უნდა. მაგას კი წიგნების კაცის იერი აქვს, ვინ იცის, ფიქრობს. სააგარაკო ადგილზე მივიღივარ და ამ წიგნებით ვავერთობიო.

მერცხალას თავისი ხალხის საქციელი ეუცნაურა, მათი გალაშქრებაც ისე უსამართლოდ მოეჩვენა, რომ მოედინიდან გამოიქცა. თან რამდენიმე ქალი გამოკცა, მოსახვევში ამაღლებულ ადგილზე გაჩერდა და ტალახში გასასვლელ ბილიც ეძებდა. უცებ ვილაძის თვალები შეეფეთნენ. თავი ასწია, ის იყო, შავპალტოიანი, რომელსაც ხალხი მთელი დღე ელოდებოდა. მერცხალამაც შეხედა, მაგრამ მისი პირველი ცქერა ცნობისმოყვარეობით იყო გამოწვეული. რას გაუკეთებდა მის სოფელს ეს უცხო კაცი? ამ ფიქრებით ისე გაერთო, რომ ვერ გაიგო, თბილი თავშალი თავიდან როგორ გადაუცურდა. ყმაწვილმა კაცმა მიაწოდა და გაუღიმა. მის ფერმკრთალ გაწყობილ სახეს განსაკუთრებით უხდებ-

ბოდა ღიმილი, მერცხალას შეროდ და აკვირდა. მაგრამ, ეტყობოდა, ნელა მთვითონ ქალი მისჩერებოდა.

— გაიოზ შევლიძე, გაიცანით, — დაიძახა ბილიკზე მიმავალმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

შველიძემ ქალებს ხელი გაუწოდა. რალაც უმნიშვნელო სიტყვა უთხრა, ეჩქარებოდა. — გზაზე ხალხი მელოდებო, — გამომშვიდობების დროს თავაზიანად გაიღიმა და გზა განაგრძო.

— ხომ ლამაზი ქალია? არა მამო, ამ ატალახებულ, ნაცრისფერად ქცეულ სოფელში მაგის მსგავსს ვერაფერს ნახავ, — უთხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, როცა გზას გასცდნენ. ქალებმა გაიგონეს. მერცხალაც გაჩერდა, წამწამებში რალაც ელვამ გაურბინა, ეტყობოდა, ესიამოვნა, რომ ლამაზი იყო. თავის მეგობრებს ხელი ჩასჭიდა, თავისთან სახლში წაიყვანა. კიბეზე ლამაზმა ჩხიკვმა ჩამოირბინა და ქალს ფეხებში გაებლანდა. ეს ერთადერთი სულიერი იყო, რომელიც მერცხალას იმ დღეს დიდ ლამაზ სახლში ელოდებოდა.

— ეს შენ იჩხუბე ტალახიანი ფეხებით? ვის წაეკიდე? კრუხებს, ალბათ. — ისმოდა მისი მზიარული, ზარითი ხმა. მერე მეგობრებს მიუბრუნდა.

— მე მგონია, შველიძის პატიოსანი თვალები ხალხს შრომაში არასოდეს არ უმტყუნებენ, თქვენ როგორ ფიქრობთ?

ისინი მისჩერებოდნენ და თავის თავს ეკითხებოდნენ: რა უხაროდა იმ დღეს მერცხალას, — ის რომ გაიოზის თვალები ხალხს არასოდეს არ უმტყუნებდნენ, თუ კიდეც სხვა რალაც მიზეზი იყო?

გაიოზ შევლიძე მერცხალას პირდაპირ დაბინავდა. ღილით ადრე მიდიოდა და ლამე გვიან ბრუნდებოდა. თხელი ფარდა მის განათებულ ოთახს ვერაფერად. როგორც ჩანდა ეს ოთახი თავის წიგნებით გაიოზისთვის მეორე სამყა-

როდ ითვლებოდა. საღამოობით ამ წიგნებში ისვენებდა, დიდხანს იჯდა თავდალუნული, რალაცას წერდა.

მერცხალაც დიდხანს მისჩერებოდა თავის სარკმლიდან. ის პატარა ოთახი მიუწოდოდა, საოცნებო ადგილად ეჩვენებოდა.

ერთ საღამოს გაიოხს შუქი ჩაუქრა. მერცხალა თავის ცისფერ ლამპისკენ გაეშურა, მოუვიდა და ქვევით ჩავიდა. გაიოხის ოთახის კარი გაუბედავად დააკაკუნა, მასპინძელმა ისეთი თბილი სასიამოვნო ხმით დაიძახა. — მობრძანდიო, რომ ამ ხმისაგან მერცხალა შედგა. მერე შეაღო კარი. წიგნების გროვაში გაიოხი იჯდა. წამოიწია, გახსნილი ხალათი შეიბნია.

— თქვენ ჩემ ოთახში შუქი და სიციცხლე შემოიტანეთ, — ამ სიტყვებით შეეგება და ლამპა ხელიდან ჩამოართვა. გარეთ ციოდა, გაიოხის ოთახში სითბო და სიმყუდროვე იგრძნობოდა. მერცხალა ფიცრის თაროებს მისჩერებოდა და იმ წიგნებს, რომლებმაც ცოტა ხნის წინათ ხალხში ეჭვი და გულისწყრომა გამოიწვიეს, ცნობისმოყვარე თვლებს არ აცილებდა.

— რასა წერთ ამდენს? — კითხა ქალმა.

— ეს ჩემი სადისერტაციო სამუშაოა, იონჯაზე ვმუშაობ, ომმა დამაგდებინა კალამი, ფრონტიდან ჩამოვედი და თქვენთან გამოვეშურე, ნამდვილ იონჯას მოსაყვანად წამოვედი, მითხრეს, ის უფრო საჭიროაო.

— მართალი უთქვამთ, — ჩვენ ვადარებებულ სოფელს ნამდვილი იონჯა უფრო სჭირდება, მაგრამ იჩნება ერთმანეთს ხელი არ შეუშალან. მინდორშიაც იმუშაოთ და ქალაღღზედაც.

— არა, თქვენი საქმეები და ჩემი დიდი სამუშაო ერთად ვერ მოვლენ. კოლმეურნეობა უსათუოდ სიღარიბიდან უნდა ამოვიყვანოთ და მერე ვიფიქრებ ჩემ მომავალზე. — გაიოხს ენერგიისაგან თვალეში უელვარებდა და ფერმკრთალ სახეს ფერს აძლევდა. მერცხალა კი სევდიანად მისჩერებოდა, ეტყო-

ბოდა, იმ მომავლისა, რალაც ძალიან ეხარებებოდა.

სწორედ იმ დროს ფანჯარასთან იჯდა ფარა გამოჩნდა და ფრთები მაგრად გაატყლაშუნა.

— მე მეძებენ. — გაიცინა ქალმა და კარებისაკენ გაიწია, გამოაღო, ლამაზი ჩხიკვი ოთახში გოგმანით შემოვიდა.

— მერცხალა, როგორ შეიძლება არ მოგძებნოს, თუკი ვისმე ამის უფლება აქვს? — უთხრა გაიოხმა.

ქალს სახე შეუწითლდა. ჩხიკვი ხელში აიყვანა და, შეიძლება იმიტომ, რომ სიწითლე და სიხარული დაეფარა, ჯაფარას ბუმბულში ჩამალა სახე.

— ეს ჩემი პირველი პაციენტია. მძიმედ დაჭრილი მოვარჩინე. იმის შემდეგ სულ უკან დამდევს. — ამბობდა ის. თვლები დახრილი ჰქონდა.

— მერცხალა, ბედნიერი ხარ არჩევანით? — ჰკითხა მოულოდნელად გაიოხმა.

— მე ბედი საარჩევნოდ არა მქონია. — უთხრა ქალმა და ოთახიდან გამოიქცა.

* * *

გაიოხი მერცხალასთან შეხვედრას ერიდებოდა. ალბათ იმიტომ, მისი საქმრო შევლიძის თანამშრომელი იყო. ნიშნისაში აგრონომად მუშაობდა, სალხსაც უწყევდა ანგარიშს, რომ ზედმეტი ლაპარაკი არ დაეწყოთ. მერცხალასთან ახლო ყოფნის სურვილი კი დიდი ჰქონდა. ხანდახან, საღამოობით, როცა გიორგის ბაღში თვალს შეასწრებდა, შევიდოდა შიგ და ისე საგულდაგულოდ აძლევდა რჩევას ესა თუ ის ხე როგორ ეხებებინა, თითქოს ის ყოფილიყო მისი ფიქრის თავი და ბოლო. მერცხალაც იმ დროს ყოველთვის ბაღში იყო. მამამისთან და გაიოხთან ტრიალებდა და იცინოდა ისე, როგორც იცოდა ბავშვობისას. გიორგის ნაავადმყოფარ სახეს ეს სიცილი მალამოსავით ედებოდა. გაუცინარი კაცი იღიმებოდა, მაგრამ გულს კი ეჭვი უღრღნიდა.

მერცხალას საქმრო როცა იქ იყო, მათთან ბაღში არასოდეს არ ჩადიოდა. აივანზე იდგა და მისი ნაცრისფერი თვალები მკაცრად და ცივად დასჩერებოდნენ. მაგრამ ქალის განწყობილებებს ვერ ერეოდნენ. ქალს ვისთვისაც გული ერჩოდა, მამა და გაიოზი, იქ ბაღში ჰყავდა და იმ დროს ისე ეჩვენებოდა, თითქოს მისი ნამდვილი ცხოვრება ამ ბაღიდან იწყებოდა. ზევით აივანზე კი მოგონილი ამბავი იყო. მაგრამ გიორგი მხარზე მოხვევდა ხელს. შვილი აივნის კიბეებზე ისე აჰყავდა თითქოს ეხმარებოდა, რომ მოვალეობის მძიმე ტვირთი როგორმე ბოლომდე აეტანა.

— ფრთხილად იყავი, შვილო, ფრთხილად, — ეუბნებოდა.

* * *

ერთ დღით, ჯერ ისევ ბინდ-ბუნდი იყო, ლურჯი „ოპელი“ გიორგის ეზოში შემოსრიალდა. მანქანიდან მერცხალას საქმრო, ოთარ ხელიძე გადმოვიდა და სასიამორო გარეთ მოიხშო.

— ჩვენ „პროფესორს“ გადაეცით, რომ კოლმეურნეობაში ხეტიალი მაგისი საქმე არ არის, — უთხრა ხმამაღლა.

გიორგი სასიძოს უხმოდ, დაკვირვებით მისჩერებოდა.

— დღეს იწყებს მაიმუნობას, ორნაირი ბალახის თესვას ერთად აპირებს, ჩვენი მინდვრები ამ წესით უნდა ააყვავოს. ის კი არ იცის, ჩვენი კაცი ბალახისათვის ხვნასა და თესვას არ დაიწყებს.

— ჩვენი კაცი მიწის გასაყარგებლად უკან არაფერზე არ დაიხვევს. ორნაირს კი არა, ათნაირ ბალახს დასთესავს და კვალში ისე ჩაგიდგება, მხოლოდ ახალ საქმეში თქვენ ერთმანეთს მხარი უნდა დაუჭიროთ, რომ ხალხიც გამოგყვეს — უთხრა გიორგიმ.

— სისულელეებში მე მაგას მხარს არ დავუჭერ, — უთხრა ხელიძემ და მანქანა დიდი სისწრაფით წაიყვანა.

გიორგი დარჩა, დაფიქრებული იდგა, უღვაშის ბოლოს აწვალებდა.

თანდათან თენდებოდა, მტრედისფერ ბურუსში მზე წითელ მუქიანებაში მოიწვედა, თავის გარშემო მრლურჯო, მოწითალო ფერებსა შლიდა. გაიოზი აივანზე პაპიროსს სწევდა, დილის რიყრას და მერცხალას მისჩერებოდა. ცოტახნის შემდეგ გზაზე გავიდა. კიშკართან გაჩერებულ გიორგის მიესალმა.

— ეს დილა ადამიანს სულ სხვანაირად ახალისებს. რას იტყვი თქვენ, — ჰკითხა გიორგის.

— დილა კარგია, მაგრამ რაღაც უსიამოვნების ქარიც უბერავს, — უბასუხა გიორგიმ ღმილით, ორაზროვნად.

გაიოზი გაჩერდა, ყური დაუდგო.

— ბალახზე გაწეული შრომა რომ ზოგიერთებმა არ მოიწონონ, გული ხომ არ გაგიტყდება? — შეეკითხა მერცხალას მამა.

— ახალ საქმეს ყველა ერთად ვერ მოიწონებს, მაგრამ იმ ზოგიერთებს ყურადღებას არ მივაქცევ. მე კი ისე მგონია, მთელი ქვეყანა ყავარჯენივით მხარში მიდგას ჩემი საქმეების გასაცემებლად, — ჩაილაპარაკა გაიოზმა და წინ წავიდა. მერცხალაც ეზოში ჩამოვიდა. ისიც მინდვრისკენ გაეშურა. უნდოდათ ენახათ, როგორ დათესდნენ ორნაირ ბალახს, ან ხალხი როგორ იმუშავებდა.

გაშლილ მინდორზე ტრაქტორი ზღაზვნით დადიოდა. ცოტა მოშორებით გაიოზი იდგა. ირგვლივ კოლმეურნეები შემოხვეოდნენ, შველიძეს ბალახის თესვები ეპირა ხელში. მზისგან სახე ჰქონდა შეწითლებული და გატაცებით ლაპარაკობდა:

— თქვენც კარგად ხედავთ, გაფხვიერებულ დაღლილ მიწას, თავი აღარა აქვს, რომ ჩაყრილ თესლს მთლიანად მოერიოს, მოლონიერება, შესვენება სჭირდება, საკვების მიცემა უნდა მიწას. ამ საკვებს, აი, ეს პატარა თესვები აძლევს, — და სამყურას იონჯას და მარცლოვანი ბალახის თესვები საჩვენებლად გაუწოდა. — მაგრამ არც ერთმა იმათგანმა არ ჩამოართვა, გაიოზმა კი ისევ განაგრძო: — ესენი ერთად ითე-

სებთან და ნიადაგისთვის ერთად შეხმა-
ტებილებულები, მუშაობენ.

— ეს ჩვენც ვიცით, რომ მიწას თეს-
ლის შენაცვლება უხდება, მაგრამ სხვა
სასარგებლო თესლი დავთესოთ, —
უთხრა ერთ-ერთმა.

— ნოყიერი, გემრიელი, ნახშირწყლე-
ბით და ცილებით სავსე ბალახი სასარ-
გებლო არ არის საქონლისათვის?

— დიდი გაჭირვების დროსაც პურსა
ვთესდით და ამ სიკეთის დროს ნემსი-
წვერას თესვას როგორ შევუდგეთ, —
ამბობდა ერთი.

— ჩვენი მამა-პაპა საფლავში ვადმო-
ბრუნდებო, ბალახის თესვა დაუწყია-
თო, — იცინოდა მეორე.

— მამა-პაპისაგან გამოფიტული მიწა
სწორედ ჩვენ უნდა გამოვაკეთოთ, —
უთხრა გაიოზმა.

— ეს ჩვენებური აგრონომი რომ არ
გიმოწმებს, იმიტომ გული ცოტა არ
იყოს გვეთანაღრება, — უთხრა ვილა-
ცამ.

გაიოზმა მოიხედა. ოთარ ხელიძე უძ-
რავად იდგა, დააქცერდა, მაგრამ ხელი-
ძემ პირი მიუბრუნა.

— მოწმეების დაკითხვას მე არ დავი-
წყებ, უნდა შენდოთ, აქ იმიტომა ვარ
ჩამოსული.

— გენდობით, კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ
ამ თვალთ შეუხედავ, დაუნახავ საქმეს
ვერ ვენდობით. დღევანდელი კვერცხი
სჯობიაო... ხომ ვაგიგონია, — ისმოდა
ხმები.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეც ყო-
ყმანობდა, გაიოზს სთხოვა: ბალახის
თესვა შევაჩეროთო, მაგრამ შველიძე
თავის ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა,
ის მისჩერებოდა ფარაჯებში გამოწყო-
ბილი ვაეკაცები მხრიდან როგორ თან-
დათან ეცლებოდნენ, ოთარ ხელიძესთან
მოდოლდნენ, ეტყობოდათ, მისი აზრის
გაგებაც სურდათ. გაიოზმა მერცხალას
შეასწრო თვალი, რაღაც უნდოდა ეთქ-
ვა, მაგრამ ქალი სწრაფად გატრიალდა,
ოთარს ხელზე ხელი წაავლო. გაიოზი
მიმავალ მერცხალას ზურგს ერთხანს
უხმოდ მისჩერებოდა, ვერ მოითმინა,

დაუძახა: ქალი ერთ წუთს შემობრუნდა,
მერე საქმროსთან ერთად ისევ გზას
გაჰყვა.

— ოთარ, რაღა ხარ ჩუმაღ, როგორც
აგრონომი, მოვალე ხარ ამ საქმეში ჩაე-
რიო.

— ეგ, ისე გველოებით დაძვრება მინ-
დორშიაც და კიდევ იქ, სადაც მაგის
საქმე არ არის, რომ მე ბევრ რამეს და-
მავიწყებს.

— სუ, სუ! — გააჩუმა მერცხალამ და
გაყინული თითები ოთარს ტუჩებთან
მიუტანა, — ეგ არ ეხება დღევანდელ
დღეს, მაგაზე მერე ვრლაპარაკოთ, გენ-
ვეწები საერთო საქმეში მე ნუ გამრევე,
ხალხი შენ გიცნობს, გენდობა. დაგიჯე-
რებს, შენც თქვი სიმართლე, თუ გინდა,
რომ მე არ დამკარგო.

— რაც ეგ გამოჩნდა, მე ყოველდღე,
ყოველ საათს გკარგავდი შენ, ამასაც
ველოდი, რომ სულ დაგკარგავდი.

— ასეც რომ ყოფილიყო, დღეს შე-
გიძლია დამიბრუნო. ოღონდ თქვი ის,
რასაც გრძნობ ამ ახალ საქმეში.

— ვიღრე ეგ აქედან არ მოისპობა, მე
შენ ვერაფრით ვერ დაგიბრუნებ.

— ვერც მაშინ დამიბრუნებ, — უთხ-
რა მერცხალამ და თვითონაც გაუკვირ-
და, ეს ორი სიტყვა როგორ უბრალოდ
თქვა, მაგრამ თითქოს უცებ გადაინგრა
ის კედელი, რომელიც მდგომარეობამ
და მშობლების მოწადინებამ ამ კაცთან
საცხოვრებლად ამოუშენა. ხელიძეს
სწრაფად გამოეცალა. გაიოზის ძახილის
ხმა ყურებში ედგა. მიიხედ-მოიხედა.
შველიძე გზაზე გასულიყო, ზურგზე ხე-
ლებშემოწყობილი დაფიქრებული მი-
დიოდა. ხალხს გზაჯვარედინზე მოეყა-
რა თავი. მხიარულად იყენენ, ხმამაღლა
კამათობდნენ და ლაპარაკობდნენ. გაი-
ოზიც გაჩერდა ისე, როგორც გაჯიუტე-
ბულ ბავშვთან უფროსი ჩერდება ხოლ-
მე. მოხუცი კოლმეურნე მიუახლოვდა.

— რა იყო, შვილო, ჩვენმა ორპოფო-
ბამ ხომ არ შეგაწუხა და გული ხომ არ
გაგიტეხა? — ჰკითხა ღიმილით.

გაიოზმა არაფერი უპასუხა. თავი აი-
ლო და იმ დროს მერცხალა დაინახა.

ეტყობოდა, გაუხარდა რომ მარტო იყო, კიდევ მეორედ დაუძახა. მერცხალამ უცებ ზურგიდან გადაიყარა მოვალეობა, მორჩილება დანაპირები, რომ სიფრთხილეს გამოიჩინდა, მონადირისაგან აფრენილ ფრინველივით უცემდა გული. თითქოს გაიოზთან თავშესაფარ ადგილს ეძებდა.

— გაიოზ, ეს ამბავი მალე გაივლის, ხალხს ორ დღეში აღარაფერი ეხსომება. შენ საქმეს ხვალდანვე მოჰკიდებ ხელი.

— ვისთვის ზრუნავ, მერცხალა, ასე? ჩემთვის, ჩემი საქმეების წინ წასაწველად, ჩემ დასამშვიდებლად თუ შენი ხალხისთვისა? — შეეკითხა გაიოზი.

— რასაც დღეს ჩავდივარ და, დღეის შემდეგ, რასაც ჩავიდენ — ყველაფერს შენი სახელი დაერქმევა — უთხრა ქალმა გატაცებით.

გაიოზმა თვალები მოხუჭა. მისი აფორიაქებული გული ეტყობოდა, ამ სიტყვებით ისვენებდა. ცოტახნის შემდეგ ქუთუთოები ასწია და მის თვალებში ისეთი შუქი ჩამდგარიყო, რომ მერცხალამ ვერ მოითმინა:

— მე უშენოდ ყოფნა არ შემიძლია, — უთხრა კიდევ გატაცებით. ერთმანეთს უხმოდ მისჩერებოდნენ.

— მერცხალა, ოთარ ხელიძეს შენ თავს ისე წავართმევდი, რომ ამბზე არც ერთი წუთით არ ვიფიქრებდი, შენ არ იცი, ამ აზრით რამდენჯერ ძილი გამკრთომია, მაგრამ ოთარი შენ თავს აღვილად არ დამანებებს. აურზაური ატყდება, ხალხი ასეთ საქციელს ურიგობაში ჩამომართმევს, არ მომიწონებენ, კიდევ უნდობლად შემომხედავენ და სალაპარაკოდ გაიხდიან. სიყვარულის საქმეებისათვის ჩამოსულაო ისეთ დროს, ჩვენს მიწას დაღვრილი სისხლი არ შეშრობია და შენი გალარბებული სოფელი ჩემგან შველას ელოდება.

მერცხალა იდგა გაქვავებულივით და ისე ეჩვენებოდა, ის გული, რომელიც რამდენიმე წუთის წინ თითქოს საგულეში არ ეტეოდა, ახლა უცებ გაქვავებულია. შემოტრიალდა და შინ გაიქცა.

გაიოზიმ შვილის მარცხი ვერ აიტანა

და ლოგინად ჩაწვა. ოთარ ხელიძემ გაიოზის თხოვა, რომ მათ საქმეში ჩარეულიყო, მერცხალა მისთვის დაეხმებინა, მაგრამ გაიოზიმ უარით გაისტუმრა. რა ვქნა, ჩემი შვილის გულის საქმეებს ვეღარაფერს მოუხერხებო.


მერცხალა კი თბილისში წასასვლელად ემზადებოდა. მის სამზადისს რაღაც ციებ-ცხელების ელფერი ჰქონდა. მამასაც სთხოვა წაჰყოლოდა ქალაქში. მაგრამ გაიოზიმ შვილის თხოვნაზე ჩაიციან:

— წადი, შვილო, შენ, ჩვენი გზები ერთმანეთს როდი გვანან, რომ ერთად ვიაროთო.

მერცხალა თბილისში თავისებური თავგამეტებით ჩაუჯდა წიგნებს. მამას ყოველდღე წერილსა წერდა და ყოველდღე უბედურობას მოელოდა. ეს დღეც მოვიდა, სოფელში დეპეშით დაიბარეს, იმის შემდეგ დიდმა ღრამ გაიარა, მაგრამ ქალს ახლაც ახსოვს ეს შიში, რომელიც სადგურიდან სახლამდის გამოიარა. შინ მომაკვდავი მამა დაუხვდა.

გაიოზიმ საბანი გადაიძრო, წამოწვეა სკადა, რომ შვილს მოხვეოდა, მაგრამ ვერ შესძლო.

მერცხალამ მამა ზადში დაასაფლავა. თითქოს მცველად დაუყენა სახლ-კარს რომელთაც გაიოზი თვალს არ აცილებდა. მწუხარებისა და სინანულისაგან კარგა ხნის შემდეგ გამოერკვა. მიიხედ-მოიხედა, მისი ვენახი და კარმიდამო მოვლილი იყო. მეზობლებმა უთხრეს, გაიოზი მამას ეხმარებოდაო. მის ხსენებაზე ქალმა ფანჯრისკენ გაიხედა, ღამაში მძიმე ფარდა იყო ჩამოფარებული, მეტს არავინ არაფერს ეუბნებოდა, თვითონაც არაფერს არ კითხულობდა. იმ დღეს გადაწყვეტილი ჰქონდა, ზევით გორაზე ასულიყო. იქ აღიზის სახლში მათი მეგობარი უპატრონო მწყემსი ცხოვრობდა, ავად იყო, მერცხალამ მისი ნახვა მოინდომა. ყანაში გაჭრილი ბილიკით მიდიოდა. ზაფხული იწყებოდა, ლაფანისა და კაკლის ხეებს, ტოტები მძლავრად გაეშალათ, სოფელს მცველებივით დაჰყურებდნენ. ქერს სიყვით-



ლე შეჰპარვოდა. შემოსული ბალახის სუნი იდგა. შორიდან გაიოხს შეასწრო თვალი, ირგვლივ კოლმეურნეები ამოსდგომოდნენ. მასთან შეხვედრას თავი აარიდა, ბილიკს გადაუხვია, მეზობლის ვენახს შეაფარა თავი გამოიარეს, ხმაშლია ლაპარაკობდნენ, გაიოხს ბალახის ბლუჯა ეჭირა ხელში, ხვსთან გაჩერდნენ.

— აბა, დაკვირდით როგორი შემოსული ყვავილი აქვს. თუ ხვალიდან თიბვა არ დაეიწყეთ, დაიყვავილებს და ბალახს სინოყივრე დაეკარგება, — ლაპარაკობდა თავისებური სასიამოვნო რბილი ხმით.

— მართალი ხარ, მართალი, დროა გასათიბავად მანქანა შემოვიტანოთ. — უთხრა იმ მალაშმა ქალარა კაცმა, რომელიც გაიოხის წიგნებზე იმდენს ჯავრობდა, თვითონაც მოგლიჯა ბალახი, ხარბად უყნოსა და მერე შევლიძეს მოუბრუნდა:

— ეს მე ვიცი, მე ვატყობ, ბალახი შემოსულია. იმიტომ რომ ზაღობიდან ამ ბალახში მითამაშნია, ამ ბალახში საქონელი მიძოვებია და ამ მინდვრის ცქერაში ქალარა გამომრევი. მაგრამ შენ ნასწავლი, ქალაქელი კაცი საიდანა სცნობ ასე სწორედ ამის აესა და კარგს. გაიოხს მზისაგან აღანძულ სახეზე მერცხალას ნაცნობა ღიმილმა გადაუარა. კოლმეურნეებს არაფერი არ უპასუხა, პაპიროსი გააბოლა.

— საიდან იცის, ძია მიტრო, და იმ წიგნებიდან, შენ რომ ჯავრობდი, მაგით საკითხავად ჩამოვიდოდაო.

— ეჰ, ასეა შვილო. — უთხრა მიტრომ, — კაცის თვალი ხანდახან სამართლიანად არ იყურება, არა უშავს რა, ბოლო ხომ კეთილად დაგვირგვინდა.

მერცხალა მიხვდა, რომ გაიოხს საწადელისთვის მიედწია. კოლმეურნეები თვალბეჭდით შეჰყურებდნენ, და ენდობოდნენ. თითქოს შეხარბა ეს. თვითონაც გადაწყვიტა, თავის ცხოვრებას, აი, ასე მოაწყობდა, თავის ხალხთან ერთად იქნებოდა, იმუშავებდა. ამ ფიქრებით სახელში დაბრუნდა. გული თითქოს ოდნავ

გადაეწმინდა. გადაწყვეტილი ჰქონდა სოფელში ერთხანს დარჩენილიყო. გაიოხის ფანჯარაში ერთხელ კიდევ მანქანა ხედა. ფარდა გადაწეული იყო, ავეჯი ჩანდა, ცოტახნის შემდეგ ვიღაც ქალმა გამოიხედა და ისე მზიარული, მალალი ხმით გაიცინა, რომ მერცხალამ უკან დაიწია. სიცილი ლახვარით ეცა, იმ ოთახში, რომლისთვისაც თვითონ იმდენი უოცენებია, ახლა სხვა ქალი იყო, ის იცინოდა. მერცხალამ შეიტყო, მერე უთხრეს: გაიოხს თბილისში ადრევე ჰყოლია საცოლუ. მწუხარებისგან გაქცევა ქალმა კიდევ მეორედ გადაწყვიტა. წასვლის წინ ნათესავებმა ოთარ ხელიძე გაახსენეს: მშვენიერ სახლკარს პატრონი უნდაო. მერცხალამ ოთარის პატრონობაზე უარი თქვა სახლსა და კარს პატრონად გიორგის ამალღებული საფლავე დაუტოვა, თვითონ კი სხვა გზა, სხვა მიზანი ჰქონდა. ეს ადრევე მამამაც უთხრა, იმიტომ იყო, რომ გაშვებულნი ეკვეთა სწავლას, სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა. კლინიკაში სთხოვეს დარჩენა, მაგრამ ის ნიშნისადაც გამოეშურა. გაიოხი ორი თვის წინათ წასულიყო. სოფელი ღონივრად იყო. ხალხს პურის და ღვინის მოსავალი უხაროდა. გაიოხსაც ბევრი რამ გაეკეთებინა.

იმის შემდეგ მერცხალა ნიშნისში ექიმად იყო. თავისი ხალხისათვის დღისით მოსვენება არ იცოდა და ღამე — ძილი. იმიტომ ხალხმა ასე შეიყვარა.

აი, წარსული ამ ქალისა, რაც გავიგე მერცხალასაგან და რასაც მისი მახლობლები მეუბნებოდნენ. მაგრამ მერცხალა აღმზიანების იმ რიცხვს არ ეკუთვნოდა, ვინც მარტო თავის წარსულით ცხოვრობს. მის გამოხედვას, მის თვალბეჭდს კიდევ იმდენი ცეცხლი შემორჩენოდა, რომ მომავლისთვისაც ეყოფოდა. მაგრამ ჩუმად იყო, მომავალზე ხმას არ იღებდა. ერთ საღამოს ჩვეულებრივად ბაღში ვისხედით. შემოდგომა იყო, თეთრ ნარგოებს დიდხანია დაეყვავილაო. ბალახში ია და გვირილა აღარ მოჩანდა, ბალი მინც ლამაზი იყო. მი-

წაზე მწიფე ატმები გაფანტულიყვენ, დაბალ ვაშლის ხეებს ტოტები სიმძიმისაგან ჩამოსცვენოდა და ჩამავალ მზისაგან შაფრანები გასაოცრად ელვარებდნენ. ქვის მაგიდასთან ვისხედით. მერცხალას სიტყვა მომავალზე ჩამოვეუბდე, რასა ფიქრობდა, რას აპირებდა?

— გადაწყვეტილი მაქვს, ამ სახლში ბავშვებისათვის საავადმყოფო გაეხსნა და ჩემი სიბერის წლები იმათთან ერთად გავატარო — მითხრა და ცოტახნის შემდეგ ისევ განაგრძო: — ხომ ხედავთ მამა-პაპის სურვილებს შეილიშვილმა რა გეზი მისცა.

მის ხმას უჩვეულო დარდი დაეტყო. ჩვენ ორივემ შავ მარმარილოს ნიშს გადავხედეთ. ჩამავალ მზეში, მე სულ უმნიშვნელო ქვად მომეჩვენა იმ სურვილებთან შედარებით, რაც მერცხალას გულს ამოძრავებდა. ის კი მწუხარებით მისჩერებოდა.

გაიოზი? მინდოდა მეკითხა, მაგრამ ის უხმოდა, პირმოკუმული იჯდა.

ნიშნინიდან ჩემმა წამოსვლის დრომ მოაწია. გამოსამშვიდობებლად შევიარე მერცხალასთან. ბალში გვერდით მოწყებოდა, მის ადამიანურ სიბზოს კიდე-

ვა ვგრძნობდი. გრძელი წამწამები დახრილი ჰქონდა.

მიმოზასთან გაჩერდა.

— გახსოვთ, ამ მცენარეზე თქვენ შემეკითხეთ, — მითხრა ღიმილით, — მაშინ მე არაფერი არ გიპასუხეთ, — გაიოზი რაც აქედან წავიდა, აღარ მინახავს, იმ წყენას რატომღაც ვერ ვიფიქსებდი. პირველ ხანებში ყოველ გაზაფხულზე ქოთნებში ჩარგულ ნერგებს გზავნიდა ამ ბალისათვის. მერე შეწყვიტა. ერთ საღამოს ზარი დარეკეს, გავიღე კარი, ბიჭი იდგა, გაიოზის გამეორება იყო, თითქოს ღიმილიც კი ისეთი ჰქონდა. ეს მიმოზა გამომიწოდა, — მამამ გამოგიგზავნა. ბალში დარგეთ, იქნებ იხაროსო. — გაიოზის შვილს კიდევ შევხედე და მივხვდი, რომ დიდი დრო გასულიყო, — მერცხალა მიმოზასთან დაიხარა, ერთხანს სიჩუმე ჩამოეჭარდა.

— უყურეთ როგორ გაიხარა, — თავი აიღო ქალმა, და გამიღიმა. ამ ღიმილმა წლები უცებ ჩამოაცალა, გამოხედვა ისევ ლამაზი, ბავშვური ჰქონდა. მაშინ მივხვდი, რომ სიყვარული გაიოზის, ყვავილების და ადამიანებისა მერცხალას თვალებს არ აბერებდა.



ქიზაპა ზაფინიძე გაზაფხული დაიწყო აღრი

(რომანი)

ნაწილი პირველი

I

გაზაფხული მარტში იწყება, მაგრამ ზოგჯერ თებერვალის ისეთი გზიანი იცის, რომ ხეხილზე კვირტები სკდება, იშლება ყვავილები, მთებში თოვლი დნება და მოდის გაზაფხულის ნიაღვარი, როგორც სიცოცხლის ხელახალი დაბადება. მაგრამ სწორედ მარტში ხშირად იმდგრევა ცა, სიცივისაგან მიწა ითოშება, დაპყრავს სუსხი, მერე დაპყრავს ქარი და ნაადრევად გახარებულ ყვავილებს აცვენს და ჰვანტავს.

გაზაფხული წელს სწორედ ასე დაიწყო...

ამწვანდა მთაწმინდის კალთები. შეიფოთლა რუსთაველის პროსპექტზე ჩამწკრივებული ჰადრები. თბილმა მზემ გაახარა ხალხი და გარეთ გამოეფინა. პროსპექტი ადამიანთა მდინარეს დაემსგავსა, სადაც დილიდან საღამომდე ვაისმოდა სიცოცხლით სავსე ქრიაშული.

წაკისევი ბიჭები ჩამომდგარიყვნენ და ყიდდნენ ყოჩივარდების პატარა კონებს, ყოჩივარდა ძალიან ჰგავს იას და ამ ფერმკრთალ, სურნელმიმქრალ ყვავილებს იებად ასაღებდნენ. ხალხი ყიდულობდა მას, როგორც გაზაფხულის პირველ ნიშანს და პირველ მახარებელს.

ადამიანთა ამ მდინარეში ტალღასავით ჩნდებოდა ერთი გოგონა, ჩნდებოდა და ისევ ქრებოდა, როგორც ეს მდინარეში ემართება ტალღას. ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო და ლაღად გრძნობდა თავს. ყველაფერი ლამაზად, ეჩვენებოდა, ყველაფერი ხიბლავდა მას და უხმოდ მღეროდა გულში.

გოგონას ეცვა მოსწავლის კაბა, რომელსაც თეთრი ქათქათა საყვლო ჰქონდა შემოვლებული. კაბას უმშვენებდა გამკვირვალე ქსოვილის შავი წინსაფარი. ზურგზე ეყარა ორი მსხვილი წაბლისფერი ნაწნავი. შუბლთან წვრილი ხუჭუჭა კულულები ჰქონდა აშლილი, რაც ძალზე შეენოდა მის მოვარდისფრო პირისახეს.

მოულოდნელად ამ გოგონას წინ გაუჩერდა ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელიც დაეინებით შეაჩერდა სახეში.

გოგონას ეუტხოვა ვაჟის საქციელი. განცვიფრდა და უცებ მწყურალად შეიკრა შუბლი. უკან მიუხედავად გაიქცა. ორიოდვე წუთის შემდეგ, როდესაც ხალხში მიიშალა, დამშვიდდა და გული საგულეში ჩაუვარდა. მერე გაელიმა კიდევ...

„ნუთუ მოვეწონე?“ — გაივლო გულში.

გოგონამ კარგად დაინახა ვაჟი. უკან გადავარცხნილი შავი თმა უნებლიეთ ჩაეხატა თვალებში. ის ძალზე გააკვირვა უცნობი ვაჟის ასეთმა საქციელმა, მაგრამ სასიამოვნო გრძნობა მაინც წაპყვა თან.

ჩუმად, შეუმჩნევლად შევიდა სახლში..

— თინა, გენაცვალე, რა დაგემართა, ხომ არავინ გაწყენინა? — მაშინვე შეეკითხა დედა, დაფიქრებული რომ დაინახა.

რა უნდა ეპასუხა? დავილაღეო, უთხრა უბრალოდ.

ერთხელ, როდესაც თინა სკოლაში შეიყვანეს, უფროსკლასელებმა, დაინახეს თუ არა ეს ცისფერთვალე გოგონა.

ნა, შემოეხვივნენ და მიუღერსეს. ზოგი თმას უსწორებდა, ზოგი კაბას. თავბრუ დაახვიეს პატარას. ერთმა შეათვა-ლა გოგომ ხელში აიტაცა და ხმამაღლა შესძახა:

— ეს ხომ ნამდვილი ბელურა ჩიტია!.. ეწყინა თინას, როგორ თუ ბელურაო?! როდესაც სკოლიდან შინ დაბრუნდა, დედის კალთაში თავი ჩარგო და ატირდა:

— ჩემზე თქვეს, ეს გოგო ბელურა ჩიტიაო!

— მერე რა, რომ თქვეს, განა არ მოგწონს ბელურა ჩიტი?..

ალბათ თინა მაშინ მართლაც ბელურას ჰგავდა, ჩიტს, რომელსაც უმახკოდ უფართხალებს გული, ახლა კი დიდი თინა, შეათეკლასელი ქალიშვილი. ახლაც ხომ არ ატირდება ასეთი უბრალო შემთხვევის გამო?..

თინა აივანზე გავიდა და ეზოში გადაიხედა. გოგო-ბიჭები შეყრილიყვნენ და ფრენბურთს თამაშობდნენ. დაინახეს თუ არა თინა, მაშინვე შესძახეს:

— თინა, თინა, რაღას უყურებ? ჩამოდი, ვითამაშოთ!

თინას ასეთ თხოვნაზე არასოდეს უარი არ უთქვამს. ახლა კი, თითქოს ისინი მისი ტოლები არ ყოფილიყვნენ, უგულოდ გადასძახა, არ მცალიაო.

რა საქმე ჰქონდა?

ოთახში შებრუნდა და სარკის წინ დაჯდა, შიგ ჩაიხედა და კარგა ხანს შესცქეროდა თავის ლამაზ სახეს.

სარკის სიღრმეში მოჩანდა მწვანედ შეფოთილი ტოტები და ყურძნის მტევნებივით დაკიდებული აკაციის თეთრი ყვავილები.

ოთახში ადრინაი გაზაფხულის სურნელი ტრიალებდა.

11

კეთილი კაცი იყო თინას მამა, კოტე ჯაბადარი. ამხანაგისთვის სულს არ დაიშურებდა. თავისი პატიოსნებისა და თავმდაბლობის გამო ხშირად დაჩაგრუ-

ლა. ცოლშვილი უყვარდა, მაგრამ ამავე დროს დიდი სიყვარულზე ეყრდნობოდა ნათესავეებსა და ნაცნობ-შეგობრებს. „მე სხვანაირად ცხოვრება არ შემძლია!“, — ბევრჯერ უთქვამს კოტეს თამარისათვის, როდესაც ცოლს ჯიუტი ღუმლით სამღურავი გამოუხატავს ქმრისადმი. სიტყვით არასოდეს არ გაუციცხავს. ძლიერი იყო ამ ოჯახში ერთმანეთის სიყვარული. არ აწყენინებდნენ კოტეს. მისი სიტყვა ცოლშვილისათვის კანონი იყო. იმიტომ კი არა, რომ ეშინოდათ მისი, მხოლოდ და მხოლოდ პატივისცემის გამო. არც ერთ შვილისათვის კოტეს ხელი არ დაუკარებია, მაგრამ თუ კი გააჯავრებდნენ, ისე ეწყინებოდა, ისეთი სიმწარე ეხატებოდა სახეზე, რომ ცოლიც და შვილებიც კარგა ხანს სწუხდნენ, აღარ იცოდნენ, რით ეამებინათ მისთვის, რომ გული მოჰპრუნებოდა.

კოტე მეღვინე იყო. ამ ხელობის კაცს არ შეიძლებოდა ღვინო არ დაეღია. გრძელი, მსხვილი უღვაშები, კარგა სქელი წარბები და შავი თმა ამშვენებდა მის სანდომიან სახეს. ორმოცდახუთი წლის კაცი იყო და არც ერთი ღერი თეთრი თმა არ ჰქონდა შერეული, აბილები თეთრკენკებივით ჰქონდა ჩამწყვრივებული.

მხოლოდ სევდის ორი ღარი, ძალზე ემჩნეოდა. თუმცა ეს ღარები, ერთგვარად, აზრიანს ხდიდა მის სახეს. ქუთუთოები ოდნავ დაბერილი ჰქონდა და ესეც თავისებურ იერს აძლევდა მის თვალებსა და გამომეტყველებას. კოტეს თითქმის ყოველ დღე უხდებოდა ღვინის სმა ხან ვინმეს ხატორით, ხან მოვალეობით, ხანაც თავისი სურვილით.

ჯაბადრები დიდუბეში ცხოვრობდნენ. ახლად აგებულ ოთხსართულიან შენობაში ორი ოთახი ეკავათ. მათი აივანი გადასცქეროდა კარგა მოზრდილ ეზოს, სადაც რამდენიმე ცაცხვი და აკაციის ხე იდგა. ისინი არ იყვნენ შეძლებულნი. თვიდან თვემდე იზოგავდნენ ხელფასს. ედგათ ჩვეულებრივი და აუცილებელი ავეჯი. რომელიც თამარს ცხრა-

მეტე წლის წინათ მზითვად ჰქონდა მოტანილი. ხის საწოლები, მაგიდა და სკამები. ჰქონდათ პიანინოც, რომელიც დიდის ვაჭირვებით, დაგროვილი დანაზოგით შეიძინეს. მაშინ თინა ათი წლის იყო, მუსიკის ნიჭი აღმოაჩნდა და უყვიდეს. ამ ახალთ-ახალ, შავად აკრიალებულ პიანინოსთან ძველი ავეჯი მორცხვად მოჩანდა. პიანინოზე ეწყო ფაიფურისა და თაბაშირის ფიგურები — სპილოები, ირმები, ცხენები. აქა-იქ იღო უბრალო მუშის რამდენიმე ლარნაკი. ყველილებიც ელაგა შიგ-შაფხულობით ცოცხალი და სურნელოვანი, ზამთარში კი ნაჭრისა და სანთლისაგან გაკეთებული. ყველაფერი ეს ეწყო უცვლელად და შეჩვეული თვალი ერთგვარ კმაყოფილებას გრძნობდა ერთხელ დამკვიდრებული წესრიგით.

კოტე ყოველთვის ადრე მიდიოდა ხამუშაოზე. ბავშვები სკოლაში მიემურებოდნენ. თამარი სიყვარულით უვლიდა ქმარშვილს. თუ კი კოტე საღამოს შეიდსათამბდევნებარ არ მოვიდოდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ დაიგვიანებდა, სადმე დაპატიებულნი იქნებოდა, ოჯახში, ან სასადილოში.

კოტემ დღესაც დაიგვიანა.

ათი საათი იქნებოდა, როდესაც კოტემ კარზე დააკაკუნა. ორი კაცი მოჰყვა თან. ამ დროს ყველანი ძილს აპირებდნენ. თინასაც ეძინებოდა. ის განმარტობული იჯდა აივანზე, ფურცლავდა წიგნს, მაგრამ ჩანდა, არ კითხულობდა.

— შუბლი გახსენით, გენაცვალეთ, მეგობრები მომყავს! — შემოდგა თუ არა ოთახში ფეხი, მაშინვე მზიარულად დაიძახა კოტემ.

კოტეს ჩვეულებად ჰქონდა ლაპარაკის დროს „გენაცვალეს“ ხშირი ხმარება. ეს მისი ჩვევა ცოლშვილმაც გადაიღო. ამ სიტყვას ისინიც ხშირად ხმარობდნენ, ამიტომ მეზობლები კოტე ჯაბადარის ოჯახს „გენაცვალენით“ ოჯახს უწოდებდნენ.

თამარი ღიმილით შეეგება ქმარს. ეს ღიმილი ნაძალადევი იყო, ნაძალადევი

და აუცილებელი. სხვანაირად არ შეიძლებოდა კოტეს შეხვედრა, ეწყინებოდა, თავიც თავაზიანად ეჭირა, რომ სტუმრებს უკმაყოფილება არ შეემჩნიათ.

— აქა მშვიდობა! — წარმოთქვა ჩასუქებულმა მწითურმა კაცმა, რომელსაც მელიტონი ერქვა.

მელიტონი ამ ოჯახისთვის კარგა ხნის ნაცნობი იყო. ბევრჯერ დასწრებია აქ გაშლილ სუფრას. ის ვაჭრობის სამინისტროში მუშაობდა და თავი მოჰქონდა კიდევ ამით, პატივისცემლებიც ბევრი ჰყავდა.

— შემოდი, ლევანი! — მიმართა მელიტონმა მის უკან მდგომს, შედარებით ახალგაზრდა კაცს, რომელიც უხერხულად გრძნობდა თავს.

მოკრძალებით შემოვიდა ლევანი, კარებთან გაჩერდა, მაგრამ დიასახლისის სახეზე ღიმილის დანახვისთანავე გაბედულება შეემატა. პირველად იყო ამ ოჯახში და არ იცოდა, ვისთვის რა ეთქვა.

ორივენი მაგიდის შორი-ახლო დასხდნენ.

კუთხეში მორიდებულად იდგა სოსო. მას ძალიან გაეხარდა მამის მოსვლა ეძინებოდა, მაგრამ კოტეს მზიარულმა შექაზილმა გამოაფხიზლა. მამის მოსვლა თინასაც გაეხარდა, მაგრამ არ უყვარდა მისი სიმთვრალე და ოთახში არც კი შემოიხედა, ჯიუტად ფურცლავდა წიგნს. ის არ კითხულობდა, არც სურათები იყო ამ წიგნში, რომ დაეთვლიერებინა, ფურცლავდა მხოლოდ იმიტომ, რომ აივანზე ყოფნის მიზეზი ჰქონოდა.

— სად არის ჩემი გოგონა? — დაიძახა კოტემ ხმაშალა.

— გამოდი, თინა! — დაუძახა დედამ.

— არ მოვალ, თავი დამანებეთ! — თითქოს თავის თავს ეჩხუბებო, ბუზლუნით გაიძახოდა თინა.

ხელმეორედ მოესმა თინას დედის ხმა და წამოდგა. კარის ზღურბლზე პარარა ხანს მდუმარედ იდგა და შემდეგ ხმა-ამოუღებლად, შემკრთალივით ფრთხი-

ლი, ნელი ნაბიჯით შემოვიდა ოთახში. თვალებს ლულავდა, უნდოდა ეჩვენებინა, მეძინებო. მის გამოხედვაში მოჩანდა ბავშვური სიწმინდე და გულუბრყვილობა. თითქოს ათასი სანთელი აინთო, ისე განათდა უცებ აქაურობა.

— გამარჯობა, თინა! — მიმართა მელიტონმა და ხალი გაუწოდა. მერე ახედდა, როგორც ეს უფროსებმა იციან ბავშვების მიმართ და დააყოლა, — რამხელა გაზრდილა... უკვე ქალიშვილია! — მერე კოტეს მიუბრუნდა, — მოგესწრო შეილი, კოტე, მოგესწრო, ბედნიერი მამა ხარ!..

კოტეს უღვაშებში ეღიმებოდა და გამოუთქმელი სიყვარულით შესცქეროდა თავის მშვენიერ გოგონას.

თინამ მელიტონს ხელი ჩამოართვა, მერე ლევანისკენ გაიხედა და, რადგან ის მოშორებით იჯდა, მხოლოდ თავის დაკვრით მიესალმა.

— დაჯექი, გენაცვალე. — უთხრა მამამ თინას და პიანინოსკენ გაიშვირა ხელი.

თინა მორჩილად, გუშურა პიანინოსკენ. კოტემ ახლა ცოლს გადახედა, თვალთ ანიშნა, რაღას უყურებ, არ შემარცხენო, დატრიალდიო.

რამდენიმე წუთში სუფრა გაიშალა. მისი სიუხვე არავის თვალს არ მოსჭრიდა, მაგრამ რაც იყო, ყველაფერი სუფთად აკრიალებულ თევშებზე ელავა. თოვლივით თეთრი სუფრა სასიამოვნოს ხდიდა მაგიდას. თამარმა ვადმოიღო ვაზის ფოთლის ტოლმა; შემწვარი კარტოფილი, ბოლოკი და მწვანილი.

— სუფრასთან მოიწით! — მიმართა კოტემ ამხანაგებს და სუფრის თავში დაჯდა.

თამარმა მის თევშთან დააწყო ორი პატარა ყანწი, ორიც პატარა თიხის ქვევრი, ამ სასმისებით უყვარდა კოტეს განსაკუთრებული სადღეგრძელებობის შესმა.

თინამ ხელის ერთი შემოკვრით მრგვა-

ლი სკამის საუკდომი დაატრიალა, აამალ-ლა და პიანინოს მიუჯდა.

— ჩემი ვარსკვლავი, გენაცვალე! — სთხოვა მამამ.

თინამ იცოდა, თუ როგორ უყვარდა ეს სიმღერა მამამისს. ერთხელ, ახალ-გაზრდობის ასაკში, ვანო სარაჯიშვილისგან მოესმინა ეს სიმღერა და გულში ჩაჩენოდა. როდესაც თინა წამოიზარდა, მისი ნოტები უშოვა, სთხოვა ესწავლა და მერე ხშირად აკრეცივინებდა. თინა ისე გატაცებით და მგრძნობიარედ უკრავდა, რომ ყველანი გაინაბნენ. ღვინით საესე ჭიქები ეჭირათ ხელში, მაგრამ არ სვამდნენ. ყველა მდუმარედ შესცქეროდა თინას.

— შესვით, გენაცვალეთ, რას გაჩერებულხართ! — დაარღვია ღუმილი კოტემ.

თითქოს ტბილი ბანგისაგან გაბრუებულნი ყოფილიყვნენ, გამოერკვნენ, მაგრამ მოულოდნელი სიამტკბილობისაგან ისე სახტად დარჩნენ, რომ სადღეგრძელოს თქმაც ვერ მოახერხეს.

უსიტყვოდ გადაჰკრეს.

კოტემ ღვინის უჯანასკნელი წვეთებიც კი შესრუტა და ჭიქა მაგიდაზე დადო.

ლევანმა აღტაცებით შეხედა კოტეს. ანცივიფრებდა მისი გრძნობიერება.

მელიტონმა ხელახლა შეაგსო ჭიქა, ფეხზე წამოდგა და თავმოწონედ წარმოთქვა:

— ერთი სადღეგრძელო მინდა ვთქვა, გულწრფელი სადღეგრძელო... იცით რა? მე ის მინდა ვთქვა, რომ ძალიან მიყვარს კოტე. მართლა საყვარელი კაცია... იცით, რა მინდა გაგიზიაროთ? კაცს თუ ძმა არა ჰყავს დასამძრახისი არ არის, რას იზამ, ღმერთმა არ მისცა და არა ჰყავს! აი, მაგალითად, მე ძმა არა მყავს. ამისათვის ვერაფერ დამძრახავს, მაგრამ მეგობარი რომ არა მყავდეს, მართლა დასამძრახისი ვიქნები, ამიტომ, ჩემს ყველაზე ახლო მეგობრად, ძმასავით საყვარელ მეგობრად, კოტეს ვთვლი. დღეიდან, ჩემო კოტე, შენ ჩემი ძმაცა ხარ და მეგობარიც!..

მელიტონმა კოტეს ჰიქა მიუჯახუნა, მერე ლევანს მიუბრუნდა, იმასაც აუწყიალა ჰიქა და ღვინო გადაჰკრა.

თინა და სოსო მოკრძალებით შესუქროდნენ მელიტონს. ესამოვნათ მათი მამისადმი ასეთი სიყვარულის გამოხატვა. პატივისცემა აღძრათ ბავშვებს ამ ჩასუქებული და წითური კაცისადმი, რომელსაც ლაპარაკის დროს, მოჭარბებული გრძნობებისაგან, თვალებიც კი დაუწითლდა. თამარი იჭენეულად იღიმებოდა. მას ბევრჯერ მოესმინა მთვრალი მამაკაცების ერთმანეთისადმი ძმობისა და მეგობრობის ფიცა და მელიტონის სიტყვები არ ეუცხოვა. არც ვაჰკვირებია, არც აღფრთოვანებულა. ლევანი კი სერიოზულად გამოიყურებოდა, უმეგობრო კაცი, მართლაც, დასაძრახისნაო, ფიქრობდა გულში.

მელიტონმა გამარჯვებულის იერით გადახედა ყველას და თავმოწონედ დაჯდა სკამზე.

ამ საღვთაქმელს შემდეგ პატარა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ეს სიჩუმე თინამ დაარღვია. როგორც ნებიერმა ბავშვმა ისე სთხოვა:

— მამა, შეიძლება წავიდე?..

კოტემ კედლის საათს ახედა და წასვლის ნება მისცა.

— შენ რაღას უყურებ, ჩემო ბიჭუნი, წადი, გენაცვალე, შენც დაიძინე. — უთხრა მან სოსოსაც, რომელიც ამ ზნის განმავლობაში მავიდის შორიახლოს იდგა. ზრდილსა და ჰქვიან ბავშვს მოკრძალებულად ეჭირა თავი.

თინა უკვე მეორე ოთახში აპირებდა ვასვლას, როდესაც ლევანი წამოდგა და თინას მიმართა:

— ძალიან გთხოვთ, კიდევ დაუკარით რამე!

მაგრამ თინამ ერთი კი შეხედა ლევანს, ოდნავ გაუღიმა კიდევ და თავი ჩაღუნა. ამით უარი უთხრა და მეორე ოთახში გავიდა.

— რა მშვენიერი გოგონაა! — წარმოთქვა ლევანმა მშობლების გულის მოსაგებად, მაგრამ ისე რომ თინასაც

გაეგონა. გაიგონა კიდევ, მაგრამ თინას არაფრად მიაჩნდა მასზე ჰეგორად უფროსი კაცისაგან მოწონება და შექებდა.

ლევანი ოცდაათი წლისა მინც იქნებოდა. წვერგაუპარსავი იყო და კარგა წამოზრდილი უღვაშები, ხანშიშესული კაცის იერს აძლევდა. მას ვერაფერს კმატებდა კობხად გადავარცხნილი შავი თმა, თვალების ციმციმი და მთლად ახალთ-ახალი კოსტუმი თეთრ ქაბუჯათა პერანგზე. ლევანი გულში ბერს ნანობდა, წვერგაუპარსავი რად მოვედიო, მაგრამ რა იყოღა, თუ აქ ასეთი მშვენიერი გოგონა დახვდებოდა?.. თინა ჩვიდმეტე წლისა იყო, ლევანი კი ოცდაათისა. მიუხედავად წელთა ასეთი განსხვავებისა ლევანი თავის გულში თინას შესაფერისად სთვლიდა თავს. ეს მუდამ ასეა... როდესაც გული მღერის, გონებას ეკარგება ქამთა სათვალავი. ყოველი კაცი ამას მხოლოდ თავის თავს აპატიებს, სხვებს კი უხამსობად უთვლის.

— დაჯექი, ლევან, დაჯექი, ჯერ ზომ ფხიზელი ხარ?! — მაჯაზე ოდნავ ხელი შეახო მელიტონმა და სკამისაკენ დასწია.

ლევანი მაშინვე დაემორჩილა.

— მშვენიერად უკრავს! — ძლივს გასაგონად წაილულულა ლევანმა და გაჩუმდა. ის ისე გამოიყურებოდა თითქოს მხოლოდ და მხოლოდ მისი დაკვრა მოსწონებოდეს.

ლევანს ამის შემდეგ კრინტი აღარ დაუძრავს. იღებდა ჰიქას, ხმამაუღლებლად სცილიდა და ისევე უსიტყვოდ დებდა მაგიდაზე. მხოლოდ დროდადრო იხედებოდა იმ კარისაკენ, საიდანაც თინა გავიდა, იქნებ ისევ გამოჩნდესო, კიდევ ერთხელ დაეინახო.

შუალამედ გულთბილ ბაასში იყვნენ. ტკბილად შეეჭეცოდნენ პურ-ღვინოს. მერე სტუმრები დიდი ბოდისით დაემშვიდობნენ დიასახლისს და წავიდნენ.

ლევანს გაურკვეველი გრძნობა გაჰყვა თან. სიყვარულისა თუ მიუწვდომე-

ლისადმი სინანულისა, თვითონაც ვერ მიმხედარიყო.

გაიხურეს თუ არა სტუმრებმა ოთახის კარი, თამარმა მაშინვე საყვედურით მიმართა ქმარს:

— არც ერთი დღე არ გამოტოვო, არც ერთი. ყოველ დღე დალიე, ყოველ დღე!

კოტემ ცოტა ხანს იყუჩა, იქნებ თავისით გაჩუმდესო, მაგრამ როდესაც შეინიშნა რომ თამარი გაჩუმებას არ აპირებდა, მოწყენილად უთხრა:

— თამარ, გენაცვალე, არც ისე შეიძლება, რომ კაცმა არასოდეს არ დალიოს ღვინო და მუდამ ფხიზელი თვალით უყუროს ცხოვრებას. ასე ბევრი რამ გულს მოგიკლავს. ხანდახან უნდა დათვრე კაცი, რომ ზოგჯერ ლამაზად მოგჩვენოს ის, რაც არ მოგწონს და გულს გამწარებს!

თამარმა არ უპასუხა. ჩუმად მივიდა ჩამრთველთან და სინათლე ჩააქრო.

III

ჩვეულებისამებრ ადრე გაეღვიძა კოტეს. ადგა, გავიდა სამზარეულოში და პირი დაიბანა, შერე სარკის წინ გაჩერდა და კარგა ხანს ივარცხნიდა თმას. დამწაშავის ღიმილი არ შორდებოდა. სარკიდან თვალს ადევნებდა თამარს, რომელიც აგრეთვე ამდგარიყო და ფუს-ფუსებდა. თამარი ქმრისაკენ არ იხედებოდა. კოტეს სიჩუმე კი დანაშაულის აღიარება იყო... ჯერ ერთი, იმის გამო, რომ მთვრალი მოვიდა შინ. მეორეც, ქეიფის გასაგრძელებლად, თითქმის შუალამისას, ამხანაგები შინ მოიყვანა. გრძნობდა, რომ ვერ მოიქცა კარგად. ახლა, როდესაც ფხიზელი იყო, მშვენივრად ესმოდა ეს, მაგრამ მთვრალს ვერაფრით ვერ დააჯერებდით, რომ ღამით, ბავშვებიან ოჯახში არ შეიძლება მთვრალი ხალხის მოყვანა, მეტადრე უცხოებისა.

კოტე სწორედ ამიტომ არ იღებდა ხმას. სდუმდა და ამ დუმილით ბოდვის

უხდიდა თამარს. თვითონ ვერ ბედავდა დალაპარაკებას, ელოდა, რომ თამარმა გამცესო ხმა. კარგა ხანს გაგონებულა ეს ჯიუტი სიჩუმე. ისევე ბავშვებმა გააქარწყლეს დედის ჯავრიც და მამის უხერხულობაც. გამოედვიძათ თუ არა, საწოლიდან თავი წამოაპყვეს, მამა რომ ფეხზე დაინახეს, მაშინვე წამოცვივდნენ, ტანთ ჩაიცვეს და მამას მოუსხდნენ გვერდში... ისინი მონატრებული იყვნენ მამის ახლოს ყოფნას, მასთან ლაპარაკს. იშვიათად ხედავდნენ შინ, რადგან გათენდებოდა თუ არა, მაშინვე ქარხანაში მიდიოდა და იქვე უღამდებოდა.

— აბა, რითი გამახარებთ, გენაცვალეთ? — ხალისიანად მიმართა კოტემ შვილებს.

— მამიკო, შენ რით გაგახარებ? აბა, ჩვენ რა ვიცით, რით გაგახაროთ? — მიუგო თინამ და წელზე ხელი შემოკხვია.

— აი, მაგალითად ეს მითხარით, როგორ სწავლობთ, რა ნიშნებს იღებთ?..

— მაღლობა ღმერთს, ეგ მაინც იკითხე, როგორ სწავლობთო! — მოისმა შორიდან თამარის ხმა.


— ეს მე ისე ვთქვი, თორემ, — თავი გაიშარტა კოტემ, — ამას რა კთხვა უნდა? — მე ვიცი რომ ჩემი შვილები კარგად ისწავლიან!

— რაც არ უნდა კარგად სწავლობდნენ, მაინც უნდა იკითხო! — ისევე გამოეპასუხა თამარი.

— თქვენ რაღას გაჩუმდით? — მიმართა კოტემ ბავშვებს, — მართლა ცუდად ხომ არა სწავლობთ?

— არა, მამიკო, ცუდად რატომ ვისწავლით. ჩვენ გვინდა ხშირად იყო ჩვენთან... დიდხანს ვიყოთ ხოლმე ერთად. როდესაც შენ ჩვენთან ხარ, ისე მიხარია, ისე, რომ არ ვიცი რა ვთქვა... ასე მგონია, მაშინ ჩემზე ძლიერი მთელ ქვეყანაზე არავინ არის!..

— სწორი ხარ, ჩემო სოსო, აგრეც უნდა იყოს, მაშ! კარგი დედა და კარგი მამა შვილისთვის უღვევლი წყაროა ძალისა, იმედისა, სიყვარულისა, ყოველ-



გვარი კეთილშობილური გრძნობისა!

თამარს მოეწონა კოტეს ნათქვამი და თავი ველარ შეიკავა, ღიმილით მიუახლოვდა ქმარშვილს. მასში იფეთქა ოჯახური სიამტკბილობის გრძნობამ და გულთბილად თქვა:

— მე სხვას არაფერს ვთხოვ. აი, ასე მინდა იყო, მაშინ მაინც იყავი ჩვენთან, როდესაც თავისუფალი ხარ. შენ კი ამ თავისუფალ დროსაც არ იმეტებ ჩვენთვის!

კოტემ არაფერი უპასუხა, გაჩუმება არჩია. პასუხის ნაცვლად უღვაშებზე ხელი გადაისვა და რამდენჯერმე თავისებურად ჩაახველა, რაც მას მედიდურ იერს აძლევდა.

— მამა, შენ არ იცი, გუშინ როგორი ფეხბურთი იყო? საფრანგეთი და საქართველო! — სოსომ საუბარი ფეხბურთზე გადაიტანა. — როგორ გგონია, ვინ მოიგებდა? საფრანგეთი?.. არა, ვერც იმით და ვერც ჩვენ, თამაში ფრედ დამთავრდა. ოჰ, რა თამაში იყო, რა თამაში!.. მე ფეხბურთელი უნდა გამოვიდე, აუცილებლად ფეხბურთელი! — მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ დაასკვნა სოსომ გატაცებით.

კოტე შესცქეროდა ფეხბურთით გატაცებულ შვილს და სინანულით გააქნია თავი, რადგან ის ფეხბურთის მხოლოდ გასართობ საქმედ სთვლიდა.

— მხოლოდ ფეხბურთელი? — შეეკითხა თინა.

— განა ცუდია?

— აბა რა? განა არ იცი, რომ ჩვენს ფეხბურთელთა შორის ზოგი ინჟინერია, ზოგი აგრონომი, ზოგი ჯერ კიდევ სწავლობს!

— ინჟინერიც გამოვალ და ფეხბურთელიც, ახლა რას იტყვი? — მიუგო სოსომ.

— ახლა აღარაფერს!

კოტე გააკვირვა და-ძმის უცაბედმა შეკამათებამ.

— შენ რაღას აპირებ? — ჰკითხა თინას მამამ:

— არ ვიცი, რა უნდა გამოვიდე. ისე

კი ძალიან მიყვარს მწერლობა, ფილოლოგიურ დარგზე უნდა შევიდე, ვინ იცის შევძლებ?

— რადგან გიყვარს, აუცილებლად შესძლებ, ამას რა თქმა უნდა!.. როდესაც აღამიანს რამე უყვარს და მონდომებით ესწრაფვის მას, უსათუოდ მიაღწევს თავის მიზანს, უსათუოდ!..

თინა ჩააფიქრა მამის ნათქვამმა და წამიერი ოცნებით გაეთიშა მათ.

— მამა, დღესაც არის ფეხბურთი, წამოდი, ვნახოთ, — სთხოვა სოსომ.

— არა, მე დღეს არა მცალია:

თამარს არ ესიამოვნა ქმრის ნათქვამი და უცებ შეეცვალა სახე.

— რა დაგემართა, გეწყინა? — ახლა მას მიუბრუნდა კოტე.

— რა საქმე გაქვს, სადმე მიდინარ?

— საგარეჯოში უნდა წავიდე. თუ გინდა შენც წამოდი. ბავშვებიც წავიყვანოთ. შენს ძმასთან მივიდეთ, გარსევანი ვნახოთ. ნუთუ არ მოგენატრა?

თამარი შეეყოყმანდა, მაგრამ ბავშვებს ისე გაუხარდათ მამის წინადადება, რომ უარის თქმა აღარ აცალეს.

— აბა, ჩაიცვით, მოეშხადეთ! — ბრძანების კილოთი დაუმატა კოტემ და წამოდგა.

გარდა იმისა რომ კოტე თავის ცოლის ძმას, გარსევან ქვლივიძეს, ესტუმრებოდა, რომელიც ჩაილურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო, მანავის ღვინის ქარხანაშიც შეივლიდა. კოტე ქართული ღვინოების შესახებ შრომას სწერდა და დაწვრილებით უნდოდა შეესწავლა „მანავის მწვანის“ ტექნოლოგია. რასაკვირველია, მან კარგად იცოდა, რომ ევროპული წესით დაყენებული ამ ყურძნის ღვინო სხვა ღვინოებისაგან გამოირჩეოდა განსაკუთრებული სინაზით და თავისებური სასიამოვნო სურნელებით, მაგრამ მეცნიერული შრომისათვის ლიტონი სიტყვები არა კმაროდა. მას სურდა ადგილობრივ შეემოწმებინა და აეღო წლობით ჩატარებული ცდების საფუძველზე მიღებული მასალები. კარგა ხანია წერდა კოტე ამ

წიგნს. ვერ იქნა და ვერ მოათავა. ამისათვის მთელი საქართველო შემოიარა. არ გამოუტოვებია მევენახეობის არც ერთი უბანი, და სწორედ საგარეჯო, სადაც იგი დაიბადა და გაიზარდა, რაიონი, რომელიც თითქმის ყურის ძირში ეგულეობდა, ამ საქმისათვის ვერ ინახულა. სწორედ დღეს ეძლეოდა საშუალება ცოლ-შვილთან ერთად წასულიყო იქ. „კვიცსაც გავხედნი და მაშიდასაც ვინახულეობ“, — როგორც ქართული ანდაზა ამბობს, სწორედ ისე გამოდიოდა. ცოლშვილსაც გაასეირნებდა და თვითონაც საჭირო მასალას აიღებდა.

საჩქაროდ ისაუბრეს. ბავშვებს ჰამის დარდი არ ჰქონდათ, აჩქარებდნენ დედას, რომელიც ბავშვების თვალში ძალიან ნელა ირჯებოდა. არც კოტეს დასჯირებია დიდი დრო. ჩაიცვა თავისი საგარეო ლურჯი კოსტუმი, გადაიცვა ნაცრისფერი პალტო, ამავე ფერის შლიაბა დაიხურა და მოლოდინის თვალით მიაცქერდა თამარს. სწუხდა თამარი... „იქაც“ ღვინო, იქაც ღვინო!.. — ფიქრობდა გულში, — უამისოდ ხომ არ შეიძლება?!

სოსო მოსწავლის ფორმაში გამოეწყო. თინა თავის უბრალო ჩითის ჩალისფერ კაბაში ისეთი მშვენიერი მოჩანდა, რომ კოტე თვალს ვერ აცილებდა მას. მიხვდა, რომ ის ბავშვი კი არა, უკვე ქალიშვილი იყო.

სოსო ტანმალალი ბიჭი იყო. თოთხმეტი წლისაც არ იქნებოდა და უკვე მხრებამდე სწვდებოდა მამას, საკმაოდ ტანდასა და საშუალოზე მაღალ კაცს.

როგორც იქნა თამარმა ჩაიცვა. მან კრელი, ლამაზი ჩანთა დაიჭირა ხელში და გავიდნენ გარეთ. ისინი უნდა გასულიყვნენ ვერის ხიდს ვალმა, მარჯვენა მხრის სანაპიროზე, საიდანაც ავტობუსები გადიოდნენ სხვადასხვა მხარეს.

სახლის წინ ტაქსი გააჩერეს. სოსო მძღოლის გვერდში დაჯდა. თინა დედამას ჩაუჯდა შუაში. მანქანა ვერის ხიდისკენ გაქროლდა.

დიღხანს არ დასჯირებიათ ლოდინი.

ავტობუსი სრულ ათ საათზე გადიოდა. ნახევარი საათის შემდეგ დსინი უკვე საგარეჯოსაკენ მიჰქროდნენ.

ფიქრებმა გაიტაცეს კოტე. ის მიდიოდა მშობლიურ კუთხეში, სადაც დაიბადა, გაიზარდა, სადაც გაატარა ბავშვობის ტკბილმწარე წლები. რამდენი გაქირვება გადაიტანა, ვიდრე დავაჟიკადებოდა. მას ხომ მამა ადრე მოუყვდა. ობლობაში გაიზარდა. ის ისე კი არ იზრდებოდა, როგორც მისი შვილები, რომელთაც თავს ადგანან დედა და მამა, გარდა სწავლისა არაფერი რომ არ ეეითხებათ. ბავშვობაში კოტე საშუაოდ ყანაშიც გადიოდა, ვენახშიც, ბევრი ბნელი და სუსხიანი ღამეც გაუთენებია ცხვარში, საქონელში. როდესაც კოტე ინსტიტუტში შესასვლელად საგარეჯოდან თბილისში ჩამოვიდა, არც დამხმარე ჰყავდა, არც მზრუნველი. თავისით შევიდა მევენახეობის დარგზე.

კოტე ყმაწვილობიდანვე ცხოვრებისაგან განსწავლული მევენახეც იყო და მეღვინეც. უფრო მეტიც, მემინდვრობაშიც ყველაფერი კარგად გაეგებოდა. მშვენიერად ერკვეოდა ხორბლის ჯიშებში — უკრაინეასა და კოპერატორკაში, თეთრსა და წითელ დოლის პურში. იცოდა, სად რომელი ჯიში უკეთესად ხარობდა, იცოდა თესვის დრო და ვადები. გამომცდელებს კოტე ამას უყვებოდა უბრალოდ, გლეხურად. არც იმის თქმა დავიწყებია, რა სიახლე შეჰქონდათ აგრონომებს მათი სოფლის მიწა-წყალზე აგროტექნიკის მხრივ. მისი გამომცდელი სიამოვნებით უსმენდა და სიამოვნებითვე დაუწერა ხუთიანი, რითაც გადაწყდა მისი უმაღლესი სასწავლებელში ჩარიცხვა. სწავლობდა მონდომებით და გატაცებით. ზაფხულობით კოტე სოფელში მიდიოდა, სადაც თავის ცოდნას კოლმეურნე გლეხებს უზიარებდა. მამინ დედა ჰყავდა ცოცხალი, მერე ისიც გარდაიცვალა, რითაც ჩაწყდა ის ოქროს რგოლი, რომელიც კოტეს სოფელთან აკავშირებდა. შეერთო ცოლი. გაუჩნდა გოგონა.

მას მოჰყვა ბიჭი და ასე შექმნა საკუთარი ოჯახი თბილისში.

ახლა სიხარულით მიუწევდა გული საგარეუგოსაკენ, სოფელ თვალისკენ, როგორც მას ძველად უწოდებდნენ. თვალწინ წარმოუდგა სიყმაწვილის წლები. როდესაც მანქანამ ნინოწმინდაზე გადაიარა და გაღმავლების დაღმართს მიაღგნენ, გამოჩნდა თვალთახევი. კოტე სახეგაბრწყინებული გასცქეროდა კლდე-თა ნამსხვრევებითა და ღორღით სავსე განიერ და მშრალ კალაპოტს, რომელიც ისე საყვარელი იყო მისთვის, რომ მოწოლილი მღელვარებისაგან თვალგებიც კი დაენამა.

აგტობუსი ბაზართან გაჩერდა. კვირადღე იყო და ქუჩაშიც და ბაზარშიც ხალხი მრავლად შეგროვილიყო. კოტე ისე გადმოხტა, თითქოს ოცი წლის ახალგაზრდა ყოფილიყო. ცოლ-შვილის გადმოსვლას დაელოდა და მერე გასწია ზევით, აღმართით, ქვლივიძიანთ უბნისაკენ, სადაც მისი ცოლის ძმა ცხოვრობდა. კოტეს მიუხაროდა. ისე მიიჩქაროდა, თითქოს კი არ მიაბიჯებდნენ, არამედ ფრთები შესხმია და მიფრინავსო.

ნაკლებად არ უხაროდა თამარს ძმის, ძმისწულებისა და რძლის ნახვა, რომელთაგანაც იოტისოდენა წყენა არ ახსოვდა.

გარსევანმა აივნიდან შენიშნა კოტე. მან სიხარულით გასძახა ცოლს:

— გამოიხედე, ქეთევან, კოტე გვეწვია..

გარსევანი ნელა ჩავიდა კიბეზე და ჭიშკართან შეეგება სიძეს.

— ჯაბადარს ვახლავარ სამასი ცხენოსნით! — იხუმრა გარსევანმა და ისე დაბლა დაუკრა თავი, თითქოს მართლაც ეს ის ჯაბადარი ყოფილიყოს, ორიოდვე საუკუნის წინათ საქართველოს სამეფო კარზე საჭურველთუხუცესობას რომ ასრულებდა.

— შენს სამას ცხენოსანს ვერა ვხედავ, ჩემო გარსევან, მე კი ნამდვილად გეახელი ჩემი ერთგული ამალით, ცოლით და შვილებით. აბა, ერთი გაიხედე!

და კოტემ ხელი გაიშვირა გზისაკენ. აღმართზე ნელი ნახვილით ^{ამოღო} მარჯვენა თამარი, რომელსაც გვერდში მოჰყვებოდნენ თინა და სოსო.

— როგორა ხარ, ჩემო გარსევან, ცოლშვილი როგორ გყავს? — ხუმრობის კილო უცებ შეცვალა კოტემ და ცოლიძმას გადაეხვია.

ამასობაში თამარი და ბავშვები მოვიდნენ.

გარსევანმა დას გაუღიმა და ხელი ჩამოართვა. ეს ღიმილი სალამიც იყო და ძმური სიყვარულის გამოხატუაც. დისწულები კი, თინა და სოსო, გადაკოცნა. ბავშვები სიამოვნებით მიეკვრნენ მკერდზე ბიძას. უყვარდათ ძია გარსევანი, რადგან მან კარგი შეგებები იცოდა, გულთბილად უხვდებოდა დიდსაც და პატარასაც. სწორედ მასზე იყო ნათქვამი — ღმერთს სიკეთით სავსე გული მიუცია და ღარიბად არ მოიხსენებო.

აივანზე გამოცვიდნენ გარსევანის შვილები, კისრის ტეხით ჩაირბინეს კიბეებზე. მამიდაშვილები მოუვიდათ და გაიხარეს.

აივნიდან გადმოიხედა ქეთევანმა. თავზე ლურჯი ბაღდადი ეხვია. ასეთივე ფერის საღა საშინაო კაბა და თბილი უქუსლო ფეხსაცმელები ეცვა.

— ამოღით, თქვენ დაგენაცვლეთ, ამოღით! — ეპატიებოდა ქეთევანი.

სტუმრები კიბეზე ავიდნენ. ქეთევანმა თინას პირზე აკოცა და ალტაცებით წარმოთქვა:

— ნეტა ვისა ჰგავს ე გოგო, ასე ლამაზი?.. ერთი შეხედეთ, რა წარბ-წამწამი აქვს, რა ტუჩ-პბილი. სწორედ რომ კალმით დახატულია!..

თინას სახე შეეფაკლა, თავი ჩალუნა. ქეთევანმა თავისკენ მიიზიდა და ისევ აკოცა, თანაც ისე ნაზად, ისე ფაქიზად, თითქოს რამე ყვავილისათვის ეკოცნოსო. მართლაც მშვენიერი იყო თინა. აღმართზე ამოვლით დადლილს მთელი სახე უბრწყინავდა. ბუნებრივად მალლა

აგრეხილი გრძელი წამწამები ციმციმა სხივებივით უთრთოდა.

სამი შვილი ჰყავდა ჭეთევანს — ვაჟა, ლამარა და ერგული. მშობლებს მზე და მთვარე ამოსდიოდათ მათზე. ჰკვირავნი ბავშვები იყვნენ, გამრჯენი და გამგონნი. თავიანთ პატარა საკარმიდამო ნაკვეთში, ვენახსა და ბოსტანში, დაუხარებლად მუშაობდნენ. უფროს შვილს ისე უყვარდა ფრინველები, რომ ეზოსა და აივანზე ფრინველების პატარა სამყარო ჰქონდა მოწყობილი. რას არ ნახავდით მის გალიებში, რომელი ფრინველი არ გალობდა მათ ეზოში? რა ჰანგი არ ატკობდა ყურთა სმენას? ვაჟა ფრინველებს თვითონ იჭერდა, თვითონვე უვლიდა, აჰმევედა, ასმევედა. აკვირდებოდა და სწავლობდა მათ თვისებებს, ბუნებას, მათი ცხოვრების წესებს. ვინ არ მოდიოდა მისი ფრინველების სანახავად, ვანა მარტო ბავშვებზე, მოზრდილებიც კი ვაჟაც სხვადასხვა ამბებს უყვებოდა თავისი ჩიტების ცხოვრებიდან. ახლაც, მამიდაშვილები მოუვიდნენ თუ არა, მაშინვე აიენის ბოლოში გაიყვანა, სადაც გალიები ეკიდა.

კოტე აივანზე გადადგა, გადახედა მის წინ გადაშლილ ხეხილს და შვეებით ამოისუნთქა.

— ამას რას ეხედავ! — წარმოთქვა აღტაცებით. — ერთი შეხედეთ, რა ზღვება, ზალზო? — კოტე ახლა უკვე შორის იხედებოდა, სოფლის გაღმა, მინდვრებისაკენ, ივრის ხეობისაკენ, სახეზე კი ეხატა სინანულის გრძნობა, თითქოს რაღაც ძვირფასი და სანატრელი რამ დაჰკარგოდესო. — მე კი სადა ვარ? ღვინის სარდაფში!.. — განაგრძო მან ხმადაბლა — ეგპ, სულ სხვა არის სოფლის მარანი, წმინდა ჰაერი არასოდეს არ გამოილევა შიგ. ჩვენთან კი, ქარხანაში, ღვინოც რომ არ დალიო, მაინც გაბრუნებული დადიხარ!.. ოჰ, კარგია სოფელი, კარგი!..

— სწორედ მაგიტომ წამოვედი თბილისიდან. მშვიდად ვარ. მართალი გითხრა, აქ ნაკლები მღელვარებაა. ჭუნაში

რომ დადიხარ, განუწყვეტლივ დაჰკიმული გაქვს ძარღვები. ყოველი მხრიდან მანქანა გემუქრება!.. მერე დილიდან სალაშობლად კედლებში მომწყვდეული ხარ და ელი დაღამებას, რომ წახვიდე შინ და ისევ კედლებს შორის მოხვდე. აქ კი ბუნებაში ხარ, მიწასთან, მიწახე, აგერ ჩვენი სახნავ-სათესები, ჩვენი ვენახები, საძოვრები. ვანა იქ ვინმეს როდისმე მოეწყინება ან მობეზრდება? — თქვა გარსევანმა და ხელი გაიშვირა ივრის ხეობისაკენ.

— მართლაც რა მშვენიერებაა, რა ლამაზი და რა უცნაურია ერთმანეთის შემყურე ეს ცა და მიწა! — სიტყვა ჩაურთო კოტემ.

მათ თვალწინ გადაშლილი იყო ივრის ხეობა, ორივესათვის ასე ნაცნობი და საყვარელი.

ერთის მხრივ მწვანე გორაკები შეფენილიყვნენ ცის ასავლისაკენ, მეორეს მხრივ დაცემული ველმინდვრები უერთდებოდნენ მთებს. ივრის ნაპირებზე, ჰალბში უკვე ამწყვანებულიყო სიმინდის ყანები. ვაშლიანში და გარეჯელაში, ამ ერთმანეთზე მიკრულ მინდვრებზე, გადაშლილი იყო მწვანე ჯეჯილი. მზის სხივები დაჰხაროდნენ — „დაპურდი, გახდი ყანაო!“ შიგადაშიგ ფართო ზოლებად იყო გადაჰიმული მზესუმზირას ნათესები — ტანწერწერა ღეროები, რომელთაც ლამაზად ეხურათ თავიანთი ყვითელი გვირგვინები. დაბოლოს, მოჩანდა ვენახები და ვენახები, დიდრონი ფოთლების მწვანე ფაფანაკებით დამშვენებული ვაზი!..

აგერ სააღალო ზვრები, ხეხილის ბაღი. სააღალოს ვაგრძელებაში შეფენილები, რომლის ზევეთაც, მაღალ, მთაგორიან ადგილებში მოჩანდა ნინოწმინდისა და საგარეჯოს საზამთრო ბინები. მარცხნივ, ივრის გამოღმა, ნაივრალი, ეს სიმინდის გულუხვი ბუდე. აგერ ნაკრძალი, რომელიც თავისი სიმშვენიერით საგარეჯოს მინდვრების გულს წარმოადგენს. ნაკრძალის გაღმა თეთრად მო-

ჩანდა ჭიბებრანთ ნაგომრები, თელიანთ ხევი და ვაშლიანი.

იორი ზოგან ორ-სამ ტოტად იყოფოდა, ზოგან ისევე ერთდებოდა. ვარეკახეთის ეს საყვარელი მდინარე, ბუნების ამ დიად სურათში შორიდან წერილ დაკლანკილ ზოლად მოჩანდა, მაგრამ ახლოს ხომ საქმაოდ ფართოა, მხარგრძელი და მხარგანიერი?! იორი მიდის და ხმამალა მიიმდგრის კიდევ, ან და როგორ არ იმდგრებს, ის ხომ სულ ახლოს ჩაუდის პატარძალივით მორთულ ქართულ ვახს, ყურძნის ტყვილ მტევნებასმულს, დამატარებელი ბადაგი რომ სჩევივა?! იქნებ ამ ბადაგით ითვრება კიდევ იორი, ასე ბარბაციით რომ მიედინება თავის მიკიბულ-მოკიბულ კალაპოტში?!

გარსევანმა, თითქოს დღეს პირველად დაინახა იგრის ხეობა, ისე გაშტერებით გასქეროდა მას. მან ხომ ბავშვობაც იქ გაატარა, სიყმაწვილევ იქ მოლია, უკვე სიჭარბაგეში შევიდა და არასოდეს არ შეუხედავს ისეთი თვალით, როგორითაც დღეს უცქეროდა...

— სოფელი ბუნების წილშია გადაშლილი, ამიტომ ის თვითონაც ბუნებაა და ხალხიც ბუნებასავით წმინდა და მდიდარია! — ისე, თითქოს თავისთავს ესაუბრებო, წარმოთქვა კოტემ.

გარსევანმა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა თუ არა, მაშინვე გამოეშურა თავის სოფლისკენ. მას სამინისტროში შესაფერი თანამდებობა შესთავაზეს, მაგრამ ის იქ არ დარჩა. — აგრონომის სარბიელი მიმდგომიაო, სახნავ-სათესში, ვენახებში, პლანტაციებში, — ასე თქვა მან და იმ ბუდეს მოაშურა, საიდანაც აფრინდა. თბილისში შეხვდა ქეთევანს, ასპინძის რაიონიდან სასწავლებლად ჩამოსულ ქალიშვილს. მანაც ისწავლა, დაამთავრა, დიპლომიც მიიღო, მაგრამ შეილები შემოეხვივნენ და თავისთავად ჩამოშორდა სახელმწიფო სამსახურს. სწუხდა ქეთევანი, მაგრამ გარსევანი გულს უხალისებდა, ეუბნებოდა, განა ბავშვების აღზრდა სახელ-

მწიფო საქმე არ არისო? მართლაც, ქეთევანი თავიდანვე ერთგულსდ მოუკიდა ოჯახს. თავისი ცოდნა შეილებთან გამოიყენა მუდამ ხელს უწყობს ბავშვებს სწავლაში, თუ კი რამე გაუძნელდებოთ, ის იქვეა, აუხსნის, გააგებინებს, შთაგონებს და სულიერ კმაყოფილებას გრძნობს.

თამარი და ქეთევანი ცალკე ისხდნენ და ლაპარაკობდნენ, ისინი თავიანთ ბავშვებზე საუბრობდნენ, ვინ როგორი იყო, ვინ რას ესწრაფებოდა... უხაროდით დედებს სასიქაღულო შეილები.

გარსევანმა ქეთევანს გადახედა და ხუმრობით გადასახა:

— ქეთევან, ქალო, ლაპარაკით ხომ არ დავაუბრებთ ამ ხალხს? ერთი გვაჩვენე, როგორი მასპინძელი ხარ! პური გვაჭამე, რაღას უყურებ?

— დაიცადე, სულწასული ნუ ხარ! ახლავე თონეს გავახერებ. ცომი გაფუხებული მაჭეს, პურებს დავაცხობ და სუფრასაც გავშლი!

ქეთევანი წამოდგა და ეზოსკენ გასწია. თამარი გაჰყვა მას, მეც დაგებმარებიო. ქეთევანი დიდხანს უარობდა, სტუმარს როგორ გეკადრებო, მაგრამ თამარი არ მოეშვა, მეხალისებო.

ქვევით, ეზოში, დიდ ამბავში იყვნენ ბავშვები. ვაჟა და ერგული ერთმანეთს ექიშებოდნენ „ჯერ ჩემს ნაკვეთს ვუჩვენებ, მერე შენ შენი ჩიტების ამბავი მოუყვიო, — სთხოვდა, ერგული, მაგრამ უფროსმა ძმამ დასწლია. მას ჩიტების გალობამაც შეუწყო ხელი. მათი სტენა და ჭიკჭიკი თითქოს ეძახდა ბავშვებს, იზიდავდა თავისკენ, მოგვისმინეთო...

ვაჟამ ჯერ თავის გაკეთებული პატარა ფიტული უჩვენა.

— ეს ავაზაკი ბედურა იყო, — დაიწყო ვაჟამ, — მე ასე დავარქვი. ახლავე გიამბობთ, რატომ დავარქვი ავაზაკი. აგერ, იმ კუთხეში, ხედავთ, — ვაჟამ ხელი გაიშვირა აივნის ქერისაკენ, — მერცხლებს ბუდე ჰქონდათ გაკეთებული. გაზაფხული იყო. როგორც ჩანდა,

ჩვენი მერცხლები ბარტყების გამოსაჩეკად ეშხადებოდნენ. ბუდეებში თბილ ბუმბულს სდებდნენ. ვხედავ, ერთ დღეს ეს ბელურა ჩვენს ეზოში დაფრინავს, მერცხლების ბუდეებს თავს დასტრიალებს, ბოლოს იგი ერთი ბუდის კიდზე დასკუბდა. როდესაც ნახა, შიგ არავინ იყო, ბუდეში ჩახტა და შიგ არხებინად მოიკალათა. ცოტა ხნის შემდეგ მოფრინდა დედამერცხალი, როდესაც ნახა, რომ თავის ნაშრომ-ნაამაგდარ ბუდეში უცხო ჩიტი ჩამჯდარიყო, არ ესაიშოვნა. ჭიკჭიკით სთხოვა, ამოდით. ბელურა არ ამოვიდა. უფრო მეტად შეწუხდა მერცხალი, წივიწივი ატეხა, ბეჭობოდა ეუბნებოდა, გამოდიო. ბელურა მინც არ გამოდიოდა სხვისი ბუდიდან. მოფრინდა მამამერცხალი. ისიც შეაწუხა ამ სანახაობამ. ორივენი თავს დასტრიალებდნენ თავიანთ ბუდეს. ცხარედ წივიწივებდნენ და ეჩხუბებოდნენ, მაგრამ მერცხლის ბუდეში შეჭრილი ავაზაკი ბელურა მინც არ გამოვიდა. ბოლოს მოთმინებიდან გამოსული მერცხლები გაფრინდნენ და საკვირველი ამბავი მოხდა! მე ეს ჩემის თვალთ ვნახე! დედა არ მომიკვდეს, მართალს ვამბობ... ცოტა ხნის შემდეგ მოფრინდა მერცხლების პატარა გუნდი. თვითველ მათგანს ნისკარტით თითო ღერი ჩალის ნამსხვრევი, ბუმბული და ტალახის ნამცეცი მოეტანა. ორიოდ წამის განმავლობაში მერცხლებმა ბუდე ამოქოლეს და ის ბელურა ცოცხლად ჩამარხეს. მართალი გითხრათ მე ბელურას არ მივეშველე. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის სტყუოდა მერცხლებთან, მეორეც, ბელურა მავნე ჩიტია, ბელურები ძალიან ბევრ მარცვლულს ანადგურებენ. რამდენიმე დღის შემდეგ ბუდე ჩამოვაგდე და ვნახე, რომ ბელურა მომკვდარიყო. ასე უღმობლად დასაჯეს მერცხლებმა ეს ავაზაკი!

თინა და სოსო განცვიფრებით უყუარებდნენ ვაჟას. მათ არასოდეს არ გაეგონათ ასეთი ამბავი. უკვირდით, არც სჯეროდით, მაგრამ ლამარამ და ერ-

გულიმ დედის დაფიცებით დაუქოწმეს უფროს ძმას.

ეზოში სრული სიჩუმე იყო. ქეთევანი ახლა თავს დასტრიალებდა თონეს, სიიდანაც უკვე ცეცხლის ალი ამოგიზგიზდა. მერე სამზარეულოში შევიდა და გამოიტანა ვარცილი, რომელზეც გაღვივებული ცომი იდო. ქეთევანმა ცომი ამოგუნდა და ორომზე დააწყო. ბავშვებისათვის კოკრები დაამზადა. თამარი თონესთან შორი ახლო იდგა. კოტეს და გარსევანს თითქოს მარტოობა მობუზრდათო, ძირს, ეზოში ჩავიდნენ და ბავშვებს მიუახლოვდნენ.

მერე ვაჟამ ძია კოტესაც უჩვენა ავაზაკი ბელურის ფიტული. მასაც უამბო მისი ამბავი. აჩვენა გალიებში ჩამწყვდეული სხვადასხვა ფრინველი. იაღონი, გნოლი, წეროც კი, რომელიც კავკასიონის ქედზე იყო გადმოფრენილი, როგორც ჩვენი ქვეყნის სტუმარი და ვაჟამ შესძლო მისი იგრის ქალებში დაჭერა. ახლა ეს წერო ვაჟას ისე მოშინაურებული ჰყავდა, ისე შესწევოდა, დაინახავდა თუ არა, მაშინვე ყვირილს ატეხდა, ჩემთან მოდიო.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! — ეუბნებოდა ვაჟას კოტე. გარსევანს კი ელიმებოდა. ეამაყებოდა შვილის გონიერება, მისგან ფრინველთა ბუნების ცოდნა.

— მე მუდამ ვამბობდი და ახლაც იმ აზრისა ვარ, რომ სოფლის ბავშვი ბევრად მაღლა დგას ქალაქში გაზრდილ ბავშვზე ბუნების ცოდნით, მაშასადამე. ცხოვრების ცოდნითაც, რადგან ბუნების ცოდნა, ეს იგივე ცხოვრების ცოდნაა. სოფლის ბავშვები მუდმივ ურთიერთობაში არიან ბუნებასთან — მზესთან, მნათობებთან, მთებთან და მინდვრებთან, მდინარეებთან და ტყეებთან, ცხოველებთან და ფრინველებთან, მცენარეებთან. ყოველდღიურად უხდებათ მასთან შეხვედრა, რაც ზრდის და ასწავლის მათ. ქალაქის ბავშვი კი ჩაკეტილია ოთახში და წიგნებით ეცნობა ბუნებას.

— მართალს ამბობ, ჩემო კოტე, —

კვერი დაუკრა გარსევანმა, — რა სჯობია ამ სილაღეს. გარდა ამისა, განა სასიხარულო არ არის, ამდენ ხეხილს რომ დარგავ და ვაახარებ, ამდენ ვაზს რომ ჩაყრი?!.

უცებ მოვარდა თონის პურის სასიამოვნო და გამაბრუნებელი სურნელები.

კოტემ თონისკენ გაიხედა. სახეზე ღიმილმა გადაურბინა... ქეთევანი თონიდან პურს იღებდა, ჰაერში ერთი-ორჯერ შეატრიალებდა ხოლმე, შეუბერავდა, თითქოს დაირა ყოფილიყოს, ხელს შემოჰკრავდა და ვარცლზე ცალ-ცალკე ფაჭიზად ალაგებდა. ქეთევანმა ბავშვებს სათითაოდ დაურიგა მათთვის გამომცხვარი კოკრები. მათ სიხარულით გამოართვეს, ეწოდათ ხელები, მაგრამ სულს უბერავდნენ, აგრილებდნენ, თანაც ზეერავდნენ ერთმანეთს, ვისი უკეთესიაო.

— წამო, კოტე, ღვინის თადარიგი გაწვიოთ! — უთხრა კოტეს გარსევანმა და ორივენი მარნისაკენ გაეშურნენ.

გარსევანმა ხელები დაიბანა, კარგად გაიშრალა და ისე შევიდა მარნში. თაროდან ხელადა გადმოიღო, შეათვალიერა, სული ჩაბერა, გადმოაპირქვეა და ერთ-ერთი ქვევრის წინ დადო.

როგორი სიყვარულით ხდიდა ქვევრს გარსევანი. ჯერ ქვევრის ირგვლივ მიწა შემოასუფთავა, ნიჩბით აყალო მიწა შემოაცალა, მერე ხის სარქველი ფაჭიზად ახადა. ცალ მუხლზე დაიჩოქა, მარცხენა ხელს დაეყრდნო და ხელადა გვერდულად ჩაჰყო პირამდე სავსე ქვევრში. ხელადამ რუყრუყი დაიწყო, ღვინით იესებოდა იგი. აივსო კიდევ. მერე სწრაფად ამოიღო და კოტეს მიაწოდა, თანაც დააყოლა:

— სანამ ამ ღვინოს სული წაუვიდოდეს, თუ გინდა გემო ჩაატანო, ახლავე მოსვი!..

კოტემ ხელადა ჩამოართვა და დაილოცა:

— ეს სიკეთე ნუ გამოლეოდეს საქართველოს!..

ორიოდე წამით ხელადის ყელიდან

რაკრაკი ისმოდა, მერე ტუჩიდან მოიცილა იგი და გარსევანს მიანჭროდა.

— გამდნარი ქარვია! ეს ღვინო კი არ არის, ნამდვილი თაფლია!..

კოტე ღვინის თაიგულმა ასიამოვნა, მისმა გემომ ტუჩები ჩაუტკბო და ალტაცებით დააყოლა:

— აი, ეს მესმის! ღმერთების სასმელია, ღმერთების!

— მაშ ჩვენ ღმერთები ვყოფილვართ! — უპასუხა გარსევანმა.

— მაშ რა გგონია! — ღიმილით მიუგო კოტემ.

ჩასცქეროდა გარსევანი თავის დაყენებულ ღვინოს და უხაროდა, რომ კოტემ მოუწონა იგი.

ასე, ცალ მუხლზე დაჩოქილმა გარსევანმა ორი ხელადა აავსო და ჰკითხა:

— გვეყოფა?..

— თუ არ გვეყოფა, ეს ქვევრი ხომ არსად წაგვივა? — უპასუხა კოტემ.

ქვევრს სარქველი დაახურეს და ორივენი მარნიდან გამოვიდნენ.

კოტა ხნის შემდეგ აივანზე სუფრა გაშალეს. ისინი თან იერის ხეობას გასცქეროდნენ, თანაც ტკბილად საუბრობდნენ და ისე შეეჭკეოდნენ საუზმეს, იგონებდნენ თავიანთ ბავშვობას და ახალგაზრდობას.

— ასე უნდა, ჩემო კოტე, ნათესაობა უნდა გვიყვარდეს, მუდამ უნდა გვახსოვდეს ერთმანეთი, — თქვა გარსევანმა და სუფრიდან კურტუმო გადაიღო. მადიანად ჩაკბიჩა. ტუჩები აულაპლაპდა.

— რას შერები, რანაირად ირგები? — ხმადაბლა შენიშნა ქმარს ქეთევანმა.

— არაფერია, ჩემო ქეთევან, მამაპაპურად, ასე უფრო გემრიელია. დამიჯერე! — მიუგო გარსევანმა ხმამალა, — მე ისიც მეყოფა, სტუმრად ყოფნის დროს რომ ვინაგრები ხოლმე, თავისუფლად ვერ ვკამ. ახლა ხომ ჩემს სახლში ვარ, ჩემიანებში, ესენი არ დამძრახავენ, ამათ მე ვუყვარვარ!..

— ცხადია, გვიყვარხარ, აბა, რა? ვისაც ნათესავი არ უყვარს, ის რა კა-

ცია! — ჩაურთო სიტყვა კოტემ, — ვინც ნათესავს მოსწყდება, ის თავს იობ-ლებს.. ჭირშიც და ლხინშიც ერთად უნდა ვიყოთ!

— ერთად უნდა ვიყოთ, მაშა!

— კიდევაც ერთად ვართ! — დაუმატა კოტემ და ლორის ნაჭერი გადმოიღო.

ბავშვები ჩუმად ისხდნენ და შესცქეროდნენ თავიანთ მშობლებს, ისინი გრძობდნენ და ხედავდნენ კიდევ, თუ როგორ უყვარდათ ერთმანეთი მათ მამებს.

გარსევანმა ლურჯად მოჭიქული ჯამები გადმოიღო, ღვინის ჭიქები გვერდზე გადადო და თქვა:

— მოდი ეს საღვებგაძელო ძველებურად ჯამებით დაელიოთ.

— მაგაზე უარს როგორ გეტყვი!

ჯამები აავსეს.

— თქვენს მობრძანებას გაუმარჯოს და ჩვენს დახვედრას. იცოცხლეთ და იღვებოდეთ. ბავშვები გაგვეზარდონ და გავვაზარდონ. თავიანთი კაიკაცობით მთელი საქართველო გააზარდონ!

კოტემაც აიღო ლიცლიცად გავსებულ ჯამი, ულვაშები გადაიწია და ტუჩებთან ახლოს მიიტანა.

— მოყვარესთან თასი და მტერთან ხმალი არ გამოგელიოს! — თქვა და სრუპვით დასცალა.

ბავშვები უფროსებს შესცქეროდნენ და იღიმებოდნენ. კოტეს და გარსევანს ულვაშები ღვინოში დაუსველდათ და ეს ახარებდა ბავშვებს, მეტადრე — ერგულს და ლამარას. ესენი ყველაზე პატარები იყვნენ და გულიანად კისკისებდნენ.

კოტემ და გარსევანმა ჯამები დაწრიტეს, მერე ტუჩებზე სალოკი თითები გადაისვეს, ერთმანეთს შეხედეს და თვალით ანიშნეს, აჰა, ნახე, ძირამდე გამოვცალეო.

მათი საუბრე კარგა ხანს გაგრძელდა. კოტე და გარსევანი დილის საუზმის. აღბათ, ქეიფად გადააქცევდნენ, თამარი რომ არ ამდგარიყო და სუფრის ალაგე-

ბას არ შესდგომოდა. მართალია, კვირა დღე იყო, მაგრამ გარსევანს საჭმე ჭკონდა. კოლმეურნეობის ნაკვეთები უხდა შემოეარა, ნათესები შეემოწმებინა. კოტე კი მანავში იყო წასასვლელი. ორივენი წამოდგნენ და ერთად გაემურნენ საქმეებზე.

ბავშვებმა გადაწყვიტეს სათავისაკენ წასულიყვნენ, ენახათ და დაელიათ ის ცივი წყალი, რომელიც ცივგომბორის მთის ქვეშ პირდაპირ მიწიდან ამოდიოდა. ისინი ყრიაშულით გაეიდნენ ეზოდან, აპყვნენ თვალთახევს. გზადაგზა შესცქეროდნენ ხან ბებერ კლდეს, ხან აქაფებულ მდინარეს. კარგა ხანს ისხდნენ ცაცხვების ქვეშ, გზის პირას რომ დგანან, სადაც ყველა გამვლელი, თუკი არსად მიენქარება, უსათუოდ ჩერდება და მის ტოტებქვეშ ისვენებს. თინა შესცქეროდა ასწლოვან ხეებს. ცაცხვების მსუბუქი, სიფრიფანა ფოთლები ცაცხაბებდნენ და შრიალებდნენ ნიავის ოდნავი შერხვეის დროსაც კი. მერე ხევი გადაიარეს და ტყეში შევიდნენ. დარბოდნენ, ერთმანეთს ემალებოდნენ და ხეებზე ძვრებოდნენ. ერგული თინას და სოსოს ეკითხებოდა ხეებისა და მცენარეების სახელებს და გულიანად ეცივნებოდა, როდესაც ნეკერჩხალს თელაში ურევდნენ, ან რცხილას წიფელაში.

ბავშვები ისე გაერთნენ, რომ წამოსვლა აღარ უნდოდათ, მაგრამ სამხარმა მოატანა და სოფლისაკენ გამოემურნენ.

გზაში სოსო ერგულს შეეკითხა:

— რატომ გქვია შენ ერგული?.. ეს რანაირი სახელია?..

შავგვრემანმა, ზუჭუჭთომიანმა ბიჭმა, რომელსაც თვალეები გიშერივით უბრწყინავდა, დარცხვენლილად მიუგო:

— რა ვიცი, თურმე ერის გულს ნიშნავს, ასე დაურქმევია მამას.

— ერის გული? — გაიმეორა სოსომ,

— რა კარგი სახელი გრქმევია, მე კი არ ვიცოდი!..

თინას არ შორდებოდა ენატიტინა ლამარა. ის თინაზე ბევრად პატარა იყო.



წელზე ხელემშემოხვეული მოჰყვებოდა და ელაპარაკებოდა იმ ამხანაგების შესახებ, რომელნიც ცუდად სწავლობდნენ და ხშირად გაკვეთილები არ იცოდნენ. როდესაც შინ მივიდნენ, უკვე ბინდდევოდა. კოტე მოსულყო და ჩუმი იჯდა აივნის მოაჯირთან. თვალები უბრწყინავდა, გასცქეროდა სივრცეს. ჩამავალი მზის შუქით შეფაქლებული ღრუბლები იწვოდნენ სილურჯეში.

თამარმა ხმადაბლა, მაგრამ სამღურავით უთხრა:

— კიდევ დალიე?..

— დავლიე, გენაცვალე! — მიუგო კოტემ. მერე ფეხზე წამოდგა, შეხედა მის წინ გადაშლილ, ამწვანებულ მინდვრებსა და მთავორებს, გახედა ცას და თქვა:

— ღმერთმანი, ისე წმინდაა ეს მიწა და ისე მშვენიერია ეს ცა, რომ ამ ცის ქვეშ ქუდმოხდილი უნდა დადიოდე, ამ მიწაზე ფეხშიშველმა უნდა იარო! — მერე თამარს მიუბრუნდა და ტბილად უთხრა, — თამარ, რა გქნა, კიდევ დავლიე, მაგრამ განა მე მთვრალი ვარ? გეფიცები, არა ვარ მთვრალი. ამ ჩემი კუთხის სიყვარულმა გამაბრუა. რა ვიცი, კიდევ როდის მოვალ აქ. ან და, ვინ იცის, მოვალ კი? — ეს ისე გულნატკენად თქვა, რომ თამარმა ინანა კიდევ სამღურავი რატომ უთხარო.

ამ დროს მსუბუქი მანქანა მოადგა ეზოს. გადმოვიდა გარსევანი. ბოდიშის მოხდით ავიდა ზეით.

— მიგატოვებ, ჩემო სტუმრებო, მავტით. რომ არ წავსულიყავი, არ შეიძლებოდა. კოლმეურნეობაში საქმე არასოდეს არ იღევა. დღედაღამ ვმუშაობთ, ზამთარ და ზაფხულსულ ფეხზე ვტრიალებთ. ჩვენს ბალ-ვენახებს ერთი დღითაც ვერ მოაცილებ თვალს!

გარსევანს ისევ სუფრის გაშლა უნდოდა, მაგრამ თამარმა არ დაანება, უნდა წავიდეთო.

არც ხეწნამ გასჭრა, არც ბავშვების მუდარამ, ჩასხდნენ მანქანაში და თბილისისაკენ გამოემშრნენ. თან მოჰყვებ-

ბოდათ სასიამოვნოდ გატარებული დღის შთაბეჭდილება.

IV

ორშაბათ დილას თინა ძალიან ადრე მოვიდა სკოლაში. საგარეჯოდან თბილისამდე მთელი გზა თინა თავის მამიდაშვილებზე ფიქრობდა. როგორ უყვართ მათ ბუნება!

— განა მე კი არ მიყვარს ბუნება? — ეკითხებოდა თინა თავის თავს, — აი, თუნდაც ყვავილები?.. ნუთუ ვერაფრით ვერ უნდა გამოვხატო ეს ჩემი სიყვარული?.. მაგრამ როგორ? რით?.. რით და ყვავილნარს გავაშენებ სკოლის ეზოში! — თვითონვე უპასუხებდა თინა თავის თავს, — მივალ და მოვნახავ საამისო ადგილს...

სკოლის ეზოში შევიდა და მზრუნველი თვალი გადაავლო იქაურობას. უდაბურად ეჩვენა სკოლის ეზო. ორად ორი ხე იდგა იქ, ორად ორი! აღარ მოეწონა თინას თავიანთი საყვარელი ეზო, რომელშიც ათ წელიწადს დარბოდა. ორ კბეს შორის მოქცეული მიწის ნაკვეთი მოუკირწყლავი იყო, და წვიმის დროს იქ გუბეები დგებოდა. ტალახში ისვრებოდნენ ბავშვები. ეზოს დანარჩენი ნაწილი ქვაფენილით იყო დაფარული. ეზოში მართლაც ორად-ორი თუთის ხე იდგა, რომლებიც ბავშვებისათვის ერთგვარ თავშესაფარს წარმოადგენდა წვიმიან დღეებშიც და მცხუნვარე დარმიც. დაქვრობანას თამარის დროს, მისარბენ და ხელის დასარტყმელ ადგილებად ამ ხეებს იყენებდნენ. მხოლოდ და მხოლოდ ეს ორი თუთის ხე ამშვენებდა სკოლის ეზოს. მიუხედავად ასეთი სიმწირისა, ბავშვებს მაინც უყვართ სასწავლებლის ეზო, თუთის ხეების ირგვლივ სირბილი, ხეების დარჩევა. მეტადრე საყვარელი იყო ეს ხეები მისში, როდესაც მისი ტოტები უხვად ისხამდნენ წითლად ჩამუქებულ ხართუთას. შეარხევდნენ ხოლმე და ცვივოდა მსხვილი, ტბილი ნაყოფი. პატარები ფაქი-

ზად იღებდნენ თუთას მიწიდან, სულს შეუბერავდნენ, რომ გასკლოდა მტვერი თუ მიწის ნამცეცი, და სიამოვნებით შეექცეოდნენ. რამდენჯერ ასულან ბიჭები ამ ხეებზე, მისი ტკბილი ნაყოფი დაუტრეფიათ, ძირს ჩამოუტანიათ და გოგონებისათვის გაუზიარებიათ.

გიგლაბიჭი, თინას თანაკლასელი, არასოდეს არ დაზარდებოდა ვინმეს, მეტადრე თინას. არ იცოდა, სად დაეხარჯა თავისი უღვეველი ენერჯია, ვერც ხტომა და სირბილი, ვერც ჭიდაობა თუ კრივი ვერ ამოშმინებდა მას. მისი ცოცხალი, მოუსვენარი ხასიათი ჩანდა სწავლაშიც, თამაშშიც და ამხანაგებთან ურთიერთობაშიც.

— გინდა თუთა? — შეეკითხებოდა ხოლმე გიგლაბიჭი თინას, ისე როგორც უფროსი შეეკითხება პატარას მჯარველი და მზრუნველი კილოთი.

— არა, არ მინდა! — უპასუხებდა თინა თავმოწონედ.

— განა ტუჩებზე არ გატყობ, რომ გინდა! — გამოსაჯავრებლად უპასუხებდა გიგლა და ხეზე ასასვლელად ფეხსაცმლის გახდას შეუდგებოდა.

— რა მეტყობა ტუჩებზე, აბა, რა მეტყობა?... — მწყრალად შესძახებდა ხოლმე თინა.

ოდნავ ამობურცული პატარა ბავშვიური ტუჩები თინას მართლაც ისე მოუჩანდა, როგორც ძუძუმწოვრებულ ბავშვს, როცა დედის მკერდს შეავლებს თვალს.

მაგრამ ეს იყო წინათ, მეხუთე თუ მეექვსე კლასში, როდესაც პატარები იყვნენ, ახლა კი მეთექვსე კლასში არიან და აღარაფრად მიიჩნევიან თუთა ისინი მიჩვეული არიან ამ ხეებს და მხოლოდ ხეები უყვართ მათ.

„ათი წელიწადია ამ სკოლაში დაედღივარ, ამ ეზოში და ამ საკლასო ოთახებში გავიხარდე. აქ მასწავლიან და მზრდიან მასწავლებლები. დავამთავრებ სკოლას, წავალ აქედან და დამივიწყებენ. რამდენი რამ გამყვება აქედან კარგი, მე კი არაფერს არ ვტოვებ აქ“... —

ფიქრობდა თინა და ათვალისწინებდა ეზოს — „მეც მინდა რაღაც სახსოვარი დაეტოვო. თუ კი როდისმე მოვალ, დაე, მეც გავიხარო იმით, რასაც აქ გავაყვებ“... — ჯერ კიდევ გზაში ფიქრად მოჰყვებოდა ეს აზრი თინას. მოვიდა სკოლაში და ეზოს ათვალისწინებდა იმ განზრახვით, თუ რით შეიძლებოდა მისი განშენიერება.

„აი, სწორედ აქ, ამ ორ თუთას შორის, პატარა ყვავილნარს დაერგავ!“ — გადაწყვიტა თინამ და თვლით მოზომა ადგილი. იგი სულ რაღაც ოცი თუ ოცდახუთი ნაბიჯი იქნებოდა სივრცით. შესცქეროდა ამ ადგილს და ფიქრობდა, რა ბუჩქები და რა ყვავილები დაერგო ზედ.

„ვეტყვი კლასის დამრიგებელს, შევკრებ უმცროს კლასელებს, ვიშოვი ნიჩბებს, და ერთ დღეს დაეხარავთ ამ ადგილს. მერე დასარგავ ყვავილებსაც ვიშოვი, ხეხილის ნერგებს, პალმებს. ბუჩქებს... ამაზე უარს ვინ მეტყვის?“ — აწყობდა თინა გეგმებს.

მოულოდნელად კლასის დამრიგებელი, თამარ მასწავლებელი, წამოადგა თავზე. ის აჩქარებული ნაბიჯით შემოვიდა ეზოში. თინა რომ დაინახა, გაუკვირდა.

— სალამი, მასწავლებლო! — მიესალმა და სიყვარულით შესცინა თინამ.

— სალამი, — ტკბილად მიუგო მოხუცმა მასწავლებელმა და სათვალეს ქვეშიდან ახედა. ცოტა დააყოვნა და გაკვირვებით შეეკითხა, — ასე აღრე რამ მოგიყვანა?

— იცით, მე რა მინდა, მასწავლებლო?..

— აბა, მითხარი, რა გინდა?.. — მე გადავწყვიტე, რამე სახსოვარი დაეტოვო სკოლაში. ჩვენ ხომ წაივალთ აქედან. აი, სულ მალე, ამ ზაფხულს!

თამარ მასწავლებელი უკვე მოხუცებული იყო. ჰალარა თმა უნათებდა შავ-გერემან სახეს, რომელზეც აშკარად ემჩნეოდა ცხოვრებისაგან დაჭდეული ღარები. ძალიან დაინტერესდა, რას

აპირებდა მისი მოსწავლე და ისე მიაცქერდა, თითქოს პირველად ხედავსო.

— მაინც რა გინდა გააკეთო?..

— აი, ამ ხეებს შორის, იმ კედლამდე, ყვავილნარი მინდა გავაშენო.

თამარ მასწავლებელმა კედლისაკენ გაიხედა, შეხედა თუთის ხეებს, ჩაფიქრდა და თქვა:

— კარგი აზრია! თუ კი გადაგიწყვეტია, ასრულებასაც შესძლებ. მაშ, წამომყევი, ჩემო გოგონა!..

თინა გვერდში გაჰყვა.

— ძალიან სასიამოვნო საქმე განგიზრახავს. მე დირექტორს ვეტყვი და ყველანი დაგეხმარებით. მართლა კარგი საქმეა. ძალიან მომწონს, ძალიან! — ეუბნებოდა თამარ მასწავლებელი თინას და ნელა ადიოდა კიბეებზე. — დიდ დასვენებაზე სამასწავლებლოში შემოდი. ყვავილნარი სკოლის ეზოა მართლა დაგვიმშვენიებს. იცი, ჩემო გოგონა, ყვავილების გახარება ყოველმა ქალაქელმა უნდა იცოდეს, სწორედ ისე, როგორც წინდის ამონეშვა, გარეცხვა და კრძის დამზადება. ეს ყველაფერი სავალდებულოა ქალიშვილისათვის. პედედაგიგმა ბავშვობიდანვე მიმაჩვი: ოჯახურ საქმეებს. მერე მუდამ მადლობელი ვიყავი დედაჩემისა. რადგან, როდესაც საკუთარი ოჯახი შევქმენი, უკვე ბევრი რამ ვიცოდი და ყველაფერი რიგზე მქონდა. — მასწავლებელი უცებ გაჩერდა და ჰკითხა, — შენ, ჩემო გოგონა, ეხმარები თუ არა დედას? ოჯახურ საქმეებს ხომ არ გაუბრძინარ?..

თამარ მასწავლებელი თინას სახეში მიაჩერდა...

— აბა, ერთი თვალეში შემომხედე, ეხმარები თუ არა დედას?.. არ დამიმალო, სიმართლე მითხარი! — განუყოფრა შეკითხვა.

თინას არ უყვარდა ტყუილის თქმა და უხერხულად შეიშმუშნა.

— ჩემი ბრალი არ არის, მასწავლებლო — ძლიესძლიევობით ამოიღულულა მან.

— რა არ არის შენი ბრალი?..

— დედას რომ არ ვეხმარები, მე დედას ვეცოდები და ყველაფერს თვითონ აკეთებს!

— მერე, შენ არ გეცოდება დედა?..

— რა ეჭნა... გამოდის, რომ არ გეცოდება. ჩემი ბრალი კი არ არის, დედას გეფიცებით!

— იცი, ჩემო გოგონა, ერთხელ თვალყური ადევნე დედაშენს, ნახე დილიდან დაღამებამდე რამდენს მუშაობს, და მიხვდები, თუ რა ჯაფა აწევს მას. უნდა შეუშსუბუქო ეს ჯაფა, უსათუოდ უნდა შეუშსუბუქო. ის ხომ შენი დედაა, რომელსაც მრავალი ღამე გაუთენებია შენს გამოზრდაზე!

აივანზე ავიდნენ.

თამარ მასწავლებელი მოაჯირს დაეყრდნო და გადახედა იმ ადგილს, სადაც თინა ყვავილნარის გაშენებას აპირებდა.

— თვალს გაახარებს! — თქვა მან ღიმილით, — თვალსაც და გულსაც! ასე, ჩემო გოგონა, არ გადაიფიქრო, უსათუოდ ითავე ეს საქმე, უსათუოდ!

თამარ-მასწავლებელი სამასწავლებლოსაკენ გაეშურა. რვეულები ჰქონდა გასასწორებელი და ადრე მოვიდა, გაკვეთილების დაწყებამდე მოვასწორო.

ათიოდე წუთის შემდეგ ეზო ახმაურდა. მოდიოდნენ მოსწავლე გოგონები. მათ შორის პირველკლასელებიც, რომელთაც თინა წიწილებს ეძახდა. ისინი ძლიეს ადიოდნენ კიბეებზე. ერთ დროს თინაც ძლიეს ადიოდა ამავე კიბეებზე, ძლიეს აღგამდა ფეხს საფეხურიდან საფეხურამდე. თინას უყვარდა პატარები, ეფერებოდა და ყოველთვის ფაჭინად ეპყრობოდა მათ, სწორედ ისე, როგორც წიწილებს ეფერებიან ბავშვები.

თინამ შენიშნა, რომ ერთი პატარა გოგონა ძლიეს ამოდიოდა კიბეებზე. თინამ მაშინვე ჩაიბრძინა, ბავშვს ხელი მოჰკიდა და აღერსით უთხრა:

— წამომყევი, წიწილა, წამომყევი! მოვიდნენ უფროსი კლასელებიც. კიბეებზე ამოიბრძინა ლილიმ, ჩასუ-

ქებულმა ტანდაბალმა გოგონამ. მას ჰქონდა გაბერილი ნესტოები და ოდნავ წინწამოწეული შუბლი. თხელი, ძლივს შესამჩნევე წარბები ბრტყლად გადაჰკროდა ზედა ქუთუთოებს, თვალები გაურკვეველი ფერისა ჰქონდა. არც ნაცრისფერი, არც თაფლისფერი, რაღაც მიმქრალი ცისფერი. ლილი თინას გადაეხვია და აეოცა. მას ჩვეულებად ჰქონდა ყოველ შეხვედრაზე აოცნა.

— რა აღრე მოსულხარ! — მიიძახა და კლასისაკენ გაიქცა.

ესოში შემოვიდა ბიჭების ჯგუფი. ისინი ცხარედ კამათობდნენ. წინა დღეს თბილისის დინამოელები მოსკოვის დინამოს თეხბორთელებს ეთამაშებოდნენ, თბილისელებმა წააგეს და მეკარეს ჰკიცხავდნენ, მისი ბრაღაო. გიგლაც იყო მათ შორის.

სამასწავლებლოში თინა დირექტორს თავის განზრახვას უხიარებდა და გაკვეთილზე ბოლოს შევიდა. ის გახარებულ იყო, თავს იკავებდა, მაგრამ ღიმილს მაინც ვერა ფარავდა.

„ბარაქალა შენს ქალობასო“, — შეაქო ის დირექტორმა. რჩევა-დარიგებაც მისცა, უთხრა, ნუ მომერიდები, თუ კი რამე დაგჭირდეს, მე მომმართო.

V

კვირა დილას მეტეხის ხილთან, ვახტანგ გორგასალის ქუჩის დასაწყისში, გიგლამ მოკლოდნელად თინა დაინახა, ამ ადგილას ერთმანეთის შეხვედრა ძალზე გაუკვირდათ, მაგრამ გაეხარდათ კიდევ.

— მე ბოჩანიკურ ბაღში მივდივარ, — უთხრა თინამ, — აქ სადღაც ალაყაფის კარია. წამოყვე, გიგლა, მიმაგნებინე.

გიგლა თინას უარს როგორ ეტყოდა, მაშინვე გაჰყვა. მიაგნეს შესავალ კარს. შევიდნენ ბაღში და უცებ სიგრილე იგრძნეს. მაღალი შეფოთლილი ხეები ჩრდილადნენ გზას. გზა მიჰყვებოდა ხევს, რომელშიც სუფთა წყალი მოჩხრიალებდა. არცერთს არ ენახა ბოტა-

ნიკური ბაღი და ცნობისმოყვარედ ათვალეირებდნენ იქაურობას. ასიოდ ნაბიჯი რომ გაიარეს, ზეივანი დაიწყო. მარცხნივ, წყლის პირას, ყვავილნარები იყო გაშლილი, მარჯვნივ კი, შემადლებულ ფერდობზე ნეკერჩხლის, აკაციისა და წყავის ხეები იდგა. ამ ხეთა ფესვებზე ისე იყო სურო შეფენილი, რომ ფოთლებისაგან ნაქსოვი მწვანე ხალიჩები გეგონებოდათ. სურო ხეებზე შესულიყო და ირგვლივ შემოხვეოდა.

მიუახლოვდნენ ხიდს, რომელიც ლედეთახეზე გადადიოდა. მარჯვნივ გვირაბში შესასვლელი კარი დაინახეს.

— უკან დაბრუნებისას გვირაბში გავიაროთ, კარგი? — უთხრა გიგლამ.

— აუცილებლად, აუცილებლად, გვირაბიც ვნახოთ! — ხალისიანად მიუგო თინამ.

ლედეთახევის პირას რამდენიმე ქალი და ერთი მოხუცი კაცი მუშაობდა. ისინი მიწას ბარავდნენ. თინამ მოხუცს მიმართა:

— ბოდიში, პაპა, დირექტორის ნახვა სად შეიძლება?..

— ამ ხილზე გადადი, შეილო, აჰყევი გზას და იქ, მალა, ერთი დიდი შენობა დაგხვდებათ. დირექტორიც იქ იქნება.

— გვადლობთ, პაპა! — თინამ თავი დაუტრა და შებრუნდა.

გადაიარეს პატარა ხიდი. გაუხვიეს მარჯვნივ და შევიდნენ ტყეში. შიგადაშიგ ბილიკები მიდიოდა. ფართო გზა კი უერთდებოდა ახლად ამწვანებულ მოედანს.

„იარეთ, მხოლოდ გზებზე...“ — ხმამალა წაიკითხა თინამ ბოძზე გაკრული წარწერა.

— გესმის, გიგლა, იარე მხოლოდ გზებზე!

— ეს შენც გეხება. — მიუგო გიგლამ და გაუღიმა.

მარჯვნივ შადრევანისკენ მიდიოდა გზა. შადრევანი შორიდანაც მოჩანდა. პაერში ატყორცნილი წყალი მარგალიტების წვიმასავით ეშვებოდა დაბლა.



თინას თვალს იტაცებდა სხედასხვა ხეები.

— ნეტავი, რა ჰქვია ამ ხეებს? — გაიფიქრა. მერე ხეებს მიუახლოვდა და წაიკითხა წანაწერი: „კილიკიური სოჭი“, მეორეზე, „ესპანური სოჭი“, — გაიტაცა წარწერებმა: — „ვერცხლისფერი ჩხვლეტია ნაძვი“, „ჰიმალაური ნაძვი“...

ისინი მიდიოდნენ სელი ნაბიჯით სულ მალა და მალა. კიდევ შეავლეს თვალი იმავე წარწერას: „იარეთ მხოლოდ გზებზე!“

— გიგლა, ამას შენ გიმიორებენ! — ხუმრობით უთხრა თინამ.

— შენც!

უსურვანის პატარა ხეივანში მოხვდნენ. ორივეს ესიამოვნა ვანის ფოთლებით ლამაზად დახურული და დაჩრდილული გზა. ხეივიდან გავიდნენ და ხუთი გზა დახვდათ წინ. ორი მარცხნივ, ერთი შუაში — პირდაპირ, ორიც მარჯვნივ. ხუთი გზა! ვერ გადაეწყვიტათ, საით წასულიყვნენ... ხუთად გაიყო გზა... გაჩერდნენ და გაჰხედეს გზებს.

— ასე წავიდეთ! — უთხრა გიგლამ და პირდაპირი გზა აირჩია.

— არა, ასე, მარჯვნივ გავუხვიოთ, — მიუგო თინამ და გეზიც იქით აიღო. გიგლამ დაუთმო, გაჰყვა... ეს მთლიანად ბალი იყო და რომელი გზითაც არ უნდა წასულიყვნენ, მაინც ხეივნებსა და ყვავილნარებში მოხვდებოდნენ...

აი, გამოჩნდა თეთრი, ორსართულიანი შენობა.

— დირექტორი ჯერ არ მოსულა. დღეს კვირაა და ცოტას დაიგვიანებს. — მიუგო თინას ერთმა შუახნის კაცმა, რომელიც ფეხზეც კი წამოიწია თინას დანახვაზე.

თინას ეწყინა. ეს მას სახეზე დაეტყო. იმავე კაცმა, როგორც ბავშვს, დაუვაკებით და გულთბილად უთხრა:

— დაათვალიერეთ ბალი, თქვენ შეგიძლიათ ყვავილებიც აირჩიოთ! მშასკნი ბაში დირექტორიც მოვა!

გაეხარდა თინას, მიანათა თავისი ნათელი ცისფერი თვალები და ჰკითხა:

— რას იტყვი, ძია, მოგვეცემთ ყვავილებს?

— უსათუოდ, მაგის დარდი ნუ გექნებათ! — ის თვალს ვერ აცილებდა თინას. — „რა მშვენიერი ახალგაზრდები იზრდებიან“ — გაიფიქრა მან და ქალღმერთში თავი ჩაღუნა.

გამობრუნდა თინა და გავილილი გზით დაეშვა დაბლა. ხუთი გზის შესაყართან რომ მივიდნენ, ახლა პირდაპირ გზას გაჰყვნენ. მიდიოდნენ ყვავილნარისკენ. დიდ, ჭართო ვაკეზე მოხვდნენ, ძალიან მაღალი და შიშველი კლდის ძირში. კლდე იყო კედელივით სწორი, პირქუში.

მიუახლოვდნენ ხელოვნურად გაშენებულ პატარა ტბებს, რომლებშიც წყალმცენარეები იზრდებოდნენ. ჩაიხედეს წყალში, შიგ თავიანთი თავიც დაინახეს. ცოტა მოშორებით ლამაზი ყვავილნარი გადაეშალათ თვალწინ — წითელი, ყვითელი, პირისფერი, ყაყაჩოს მსგავსი ყვავილებით მოფენილი.

დაიღალნენ და გრძელ სკამზე ჩამოხდნენ. სკამიც მწვანედ იყო შეღებილი, როგორც ბალნარს შეეფერებოდა. სღუმდა გიგლა. ის რატომღაც ხმას არ იღებდა. თინაც სღუმდა და ასე ხმაამოუღებლივ ორივენი გასცქეროდნენ თბილისს. იქიდან კარგად მოჩანდა ბარათაშვილის აღმართი, რომელზეც ტრამვაები და ავტობუსები მიმოდიოდნენ, უფრო შორს კი გარეჯის მალღობები და მარტყოფისა და სამგორის ახლადამწვანებული მთაგორიანი ხედი.

ი. ბანინი

მსუბუქი სუნთქვა

სასაფლაოზე, აყალო მიწის ბორცვზე მუხის ახალი ჯვარი დგას; ჯვარი მძიმეა, მაგარი და გლუვი.

აპრილის უღიმღამო დღეებია. შემოძარცულ ხეებს შორის კარგა შორიდან მოჩანს მაროს სასაფლაოს ძეგლები. სუსხიანი ქარი კი ჯვრის ძირას ფაიფურის გვირგვინს ვაბშით აწკრიალებს.

თვითონ ჯვარში ფაიფურის საკმაოდ დიდი ამობურცული მედალიონია ჩასმული — მედალიონზე ფოტოსურათია გიმნაზიელი ქალიშვილისა, ბედნიერი და საოცრად ცოცხალი თვალებით.

ეს არის ოლია მეშჩერსკაია.

ბავშვობაში იგი არაფრით გამოირჩეოდა ყვეისფერკაბიანი გიმნაზიელებისაგან. რა შეგეძლოთ გეთქვათ მის შესახებ, გარდა იმისა, რომ კობტა, მდიდარ და ბედნიერ ბავშვთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომ ნიჭიერი იყო, მაგრამ დაუდევარი და მეტად დაუდევრად ეკიდებოდა კლასის ხელმძღვანელ ქალის დარიგებებს. შემდეგ ზღაპრული სიჩქარით იწყო გაფურჩქვნა და განვითარება. 14 წლისას წვრილი წელი და ჩამოსხმული ფეხები ჰქონდა; კარგად ენაკეთებოდა მეგრული და სხეულის ყველა ის ფორმები, რომელთა საშუალებლობის აღწერაც არ ძალუქს ადამიანის ენას. თხუთმეტისა უკვე ულამაზეს ქალად ითვლებოდა. რა გულმოდგინედ იკეთებდა თმას ზოგიერთი მისი ამხანაგი; რა პეწენიკები იყვნენ, როკარ ადევნებდნენ თვალს თავიანთ დინჯ მიმოხერხებს. ის კი არაფერს არ დაგიდევდათ — არც თითებზე მელნის ლა-

ქებს, არც აწითლებულ სახეს, არც გაჩეჩილ თმას, არც სირბილის დროს დაცემისას გამოჩენილ შიშველ მუხლს. სრულიად უნებლიეთ და, როგორცაა, მისდა შეუმჩნეველად, ხელთ აღმოაჩნდა ყოველივე, რაც მას ასე ანსხვავებდა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მთელი გიმნაზიისაგან — შნოიანობა, კობტა ჩაცმულობა, სიმარდე, თვალთა ნათელი ბრწყინვალეობა... მეჯლისებზე ოლია მეშჩერსკაიასავით ვერავინ ცეკვავდა, მისოდენი თავყანისმცემელიც არავისა ჰყავდა. ვერავინ სრიალებდა მასავით ციკურებზე, და არავინ უყვარდათ, რატომღაც, უმცროს კლასელებს ისე, როგორც იგი. შეუმჩნეველად დაქალიშვილდა, შეუმჩნეველადვე დაიმკვიდრა გიმნაზიური დიდება. შეიქმნა მიოქმა-მოთქმა, თითქოს თავქარიანი იყო, თავყანისმცემლების გარეშე სიცოცხლე არ შეეძლო, — თავდავიწყებით უყვარდა ვიღაც გიმნაზიელ შენშინს, ოლიასაც უყვარდა ვითომ შენშინი, მაგრამ ისეთ ცვალებად დამოკიდებულებას იჩენდა მისადმი, რომ გიმნაზიელს თვითმკვლელობაც კი განეზრახა...

როგორც გიმნაზიაში ამბობდნენ, უკანასკნელ ზამთარს მზიარულებისაგან ოლია მთლად გადაირია. თოვლიანი, მზიანი, ყინვიანი ზამთარი იდგა. მზე აღრიანად ეფარებოდა გიმნაზიის დათოვლილ ბაღში მდგარ მაღალი ნაძვის ტოტებს, მუდამ დარის მაუწყებელი, სხივოსანი, თავმდეები იმისა, რომ ხვალაც იქნება მზე და ყინვა. ტაძრის ქუჩაზე სეირნობა, ხოლო ქალაქის ბაზარ-

ში კი ციგაობა მოეწყობა, ვარდისფერ დაისზე მუსიკის ხმები გადმოიდგრება და აი ასევე ისრიალებს ყოველ მხარეს ხალხი, რომელთა შორისაც ოლია მეშჩერსკაია ყველაზე უზრუნველი და ბედნიერი მოჩანს. და აი ერთხელ, დიდ შესვენებაზე, როცა შესაყრებ დაარბაში მხიარულად მოყიყინე პირველკლასელებს თავქუდმოგლეჯილი გაურბოდა, მოულოდნელად უფროსთან დაუძახეს. მოწყვეტი შეჩერდა, ერთი ღრმად ამოისუნთქა, ჩქარი, უკვე ჩვეული, ქალური მოძრაობით თმა შეისწორა, წინსაფარის კიდევები მხრებზე გადაიწია და თვალბგაბრწყინებული ზევით გაქანდა. ქალარა, მაგრამ ახალგაზრდა შესახედობის უფროსი ქალი, მშვიდად იჯდა საწერ მაგიდასთან, მეფის სურათს ქვეშ.

— გამარჯვებთ, m-lle მეშჩერსკაია, — საქსოვისაგან თავაუღებლად უთხრა მან ფრანგულად. — სამწუხაროდ იძულებული ვარ, პირველად როდი მოგვიწიოთ აქ, რომ თქვენი საქციელის შესახებ გელაპარაკოთ.

— გისმენთ, madame, — უბასუხა მეშჩერსკაიამ და მაგიდასთან მივიდა. ნათელი, ცოცხალი თვალებითა და სახეზე ყოველგვარი გამომეტყველების გარეშე შეჭყურებდა. ისე მსუბუქად და მოხდენილად ჩამოჯდა, როგორც მხოლოდ მას შეეძლო.

— ცუდად რომ მომისმინეთ, ამაში სამწუხაროდ დავრწმუნდი, — უთხრა უფროსმა, ძაფი მოსწია და თავი აიღო, გალაქულ იატაკზე გორგალი დაბზრიალდა, მეშჩერსკაიამ ცნობისმოყვარეობით შეხედა გორგალს. — ერთსა და იმავეს აგავიმეორებთ, ვრცლად არ დავიწყებთ ლაპარაკს, — განაგრძო მან.

მეშჩერსკაიას ძლიერ მოსწონდა ეს არაჩვეულებრივად სუფთა და დიდი კაბინეტი, სადაც ყინვიან დღეებში პოლანდიური კრიალა ლუმელის სითბოთი და საწერ მაგიდაზე მდგარი შროშინების სინორჩით სუნთქავდა ყოველივე. შეხედა ახალგაზრდა მეფის პორტრეტს, რომელიც დახატული იყო მთე-

ლი ტანით, რომელიდაც ბრწყინვალე დარბაზში მდგომი, შეხედდა კუთრონის ზუსტად გაყოფილ, რძისფერ და ფაქუნად დაწყობილ თმას და მოლოდინში გაყუჩდა.

— თქვენ უკვე გოგონა აღარ ხართ, — მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა უფროსმა და ჩუმი მღელვარება დაეტყო.

— დიახ, madame, — უბრალოდ, თითქმის მხიარულად უბასუხა მეშჩერსკაიამ.

— მაგრამ არც ქალი ხართ, — უფრო მრავალმნიშვნელოვნად თქვა უფროსმა და ფერმკრთალი სახე ოდნავ შეუფაკლდა! — ჯერ ერთი, როგორა გაქვო თმა? ასე ქალები იცეთებენ!

— რა ჩემი ბრალია, madame, კარგი თმა რომ მაქვს, — უბასუხა მეშჩერსკაიამ და ოდნავ შეახო ორივე ხელი თავის ღამაზად დავარცხნილ თმას.

— ოჰ, აი, თურმე რა, თქვენ არა ბრძანებულხართ, დამნაშავე! — უთხრა უფროსმა. — დამნაშავე არა ხართ, რომ ასე ატარებთ თმას, რომ ასეთი ძვირფასი საეარცხლები გაქვთ, რომ მშობლებს ატყავებთ ოცმანეთიანი ფეხსაცმელის ყიდვით! მაგრამ, გიმეორებთ, სრულიად იგიწყებთ, რომ ჯერ მხოლოდ გიმნაზიელი ხართ...

მაგრამ აქ მეშჩერსკაიამ ისე, რომ უბრალოება და სიმშვიდე არ დაუკარგავს, მოულოდნელად, თავაზიანად შეაწყვეტინა.

— მომიტყევთ, madame, თქვენ სცდებით: მე ქალი გახლავართ, და იცით ვინ არის ამაში დამნაშავე? მამაჩემის მეგობარი და მეზობელი, ხოლო თქვენი კი—მამა, ალექსეი მიხეილის ძე მალიუტინი. ეს მოხდა გასულ ზაფხულს, სოფელში.

ამ საუბრიდან ერთი თვის შემდეგ კი უღამაზო და პლებების შესახედობის კაზაკთა ოფიცერმა, რომელსაც არავითარი საერთო არა ჰქონდა იმ წრესთან, რომელშიც ოლია მეშჩერსკაია ტრიალებდა, სადგურის ბაქანზე მატარებლიდან ჩამოსულ აუარება ხალხში ტყვიით გაჰკმირა იგი და ოლია მეშ-

ჩერსკიას განსაცვიფრებელი, დაუჯერებელი აღიარება უფროსის წინაშე სავსებით დადასტურდა. ოფიცერმა სასამართლოს გამოძიებელს განუცხადა, რომ გაიტაცა ოლია მეშჩერსკიამ, ახლოს იყო მასთან, ცოლობა შეპფიცა, მკვლელობის დღეს კი, როცა, ნოვოჩერსკში აცილებდა, სადგურზე მოულოდნელად უთხრა: ფიქრადაც არ მომსვლია თქვენი სიყვარული, ყოველივე ლაპარაკი ჭორწინების შესახებ მხოლოდ მასხარად აგდება იყო, — და დღიურის ის გვერდი მისცა, სადაც მალიუტინზე იყო ლაპარაკი.

— სწრაფად გადავიკითხე ეს სტრიქონები და ვერსოლე იქვე, ბაქანზე, სადაც იგი დასეირნობდა იმის მოლოდინში, როდის დავამთავრებდი კითხვას, — თქვა ოფიცერმა. — აი დღიური, ნახეთ, რა არის ჩაწერილი გასული წლის 10 ივლისს.

დღიურში ეწერა შემდეგი:

„ღამის ორი საათია. ღრმად ჩამეკინა, მაგრამ მაშინვე გამეღვიძა... ახლა უკვე ქალი ვარ! ყველანი—მამა, დედა და ტოლია ქალაქს წავიდნენ. დავრჩი მხოლოდ მე. ისე ბედნიერად ვგრძნობდი თავს, მარტო რომ ვიყავ! დილით ბაღში და მინდორში ვისეირნე. ვიყავი ტყეში. მეჩვენებოდა ამ ქვეყნად მე ვარ მეთქი ერთი, და ისეთი კარგი აზრები მომდიოდა, როგორც არასოდეს ცხოვრებაში. ვისადილე კიდევ მარტო. შემდეგ მთელ ერთ საათს ვუკრავდი. პანგებქვეშ დამეუფლა განწყობილება: თითქოს დაუსრულებლად ვიცოცხლებდი და ყველაზე ბედნიერი ვიქნებოდი. მერე მამის კაბინეტში ჩამეძინა, 4 საათზე კატიამ გამაღვიძა, ალექსეი მიხეილის ძე მოვიდაო. ძლიერ გამეზარდა მისი მოსვლა. რა რიგ სასიამოვნო იყო ჩემთვის მისი მიღება და გართობა. თავისი მეტად ლამაზი ვიატურის წყვილი ცხენით გვეწვია, ცხენები სულ წინკართან იდგნენ. თითონ დარჩა იმიტომ, რომ წვიმდა და უნდოდა საღამომდის ცოტა შემშრალიყო. სწუხდა, მამა არ დამიხვდაო. ძლიერ გამოცოცხლებული

იყო. მკაფალობდა, მესუშრებოდა. დიდი ხანია შენზე შეყვარებულნი ვარო. ჩაის წინ ბაღში ვსეირნობდი; ისევე მშვენიერად გამოიღარა, თუმცა საკმაოდ ციოდა, მაგრამ სველი ბაღი მთლად მზის სხივებში ლივლივებდა; მკლავგაყრილი დაყვავდი, მეუბნებოდა. მე ფაუსტი ვარ, შენ კი მარგარიტაო. 56 წლისაა, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ლამაზია და მუდამ კარგად აცვია, არ მომეწონა მხოლოდ ის, რომ მოსასხამით მოვიდა — ინგლისური ოდეკალონის სურნელი ასდის, ქაბუკური შავი თვალეები აქვს, წვერი კი მთლად ვერცხლისფერი და ორ გრძელ ნაწილად კობტად გაყოფილი. ჩაი აივანზე დაეღლიეთ. მე თითქოს შეუძლოდ ვიგრძენი თავი და ტახტზე მიეწევი. ალექსეი მიხეილის ძე კი თამბაქოს ეწეოდა. შემდეგ ჩემთან გადმოვიდა დისეთ საამო რალაცეებს მეუბნებოდა. მერე ჩემი ხელის თვალეირება და კოცონა დაიწყო. სახეზე აბრეშუმის თავსაფარი ავიფარე, მან კი თავსაფრის იქიდან რამდენჯერმე მაკოცა ტუჩებში... ვერ გამიგია, როგორ უნდა მომხდარიყო ეს, გონება დაეკარგე, ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი, რომ ასეთი ვიყავ! ახლა მე ერთი გამოსავალი მაქვს... მისადმი კი ისე თზიზღსა ვგრძნობ, რომ ალბათ, ვერ გადავიტანი!“

აპრილის ამ დღეებში ქალაქი გასუფთავდა, გაშრა, გათეთრებულ ქვებზე მსუბუქი და სასიამოვნო იყო სიარული. ყოველ კვირა დღეს წირვის შემდეგ ტაძრის ქუჩაზე, რომელსაც ქალაქის გასასვლელთან მიჰყავხართ, ძაქებში ჩაცმული პატარა ქალი მოდის. რომელსაც შავი ლაიკის ხელთათმანები აცვია და შავი ხისტარიანი ქოლგა უჭირავს. იგი გზატყვევით ბინძურ მოედანზე გადადის, სადაც მრავლადაა გამჟვარტლული სამჭედლოები და მინდვრის გრილი ნიავე უბერავს. შემდეგ მამაკაცების მონასტერსა და საპატიმროს შუა ცის ღრუბლიანი ფერდობი და გაზაფხულის რუხი მინდორი გამოჩნდება. მერე კი, როცა მონასტრის კედელქვეშ გუბებშუა გზას გაიკვლევი

და მარცხნივ შეუხვევ, თითქოს დიდ, დაბალ ბალს დაინახავ, შემოვლულულა თეთრი ღობით, რომლის ალყაფის კარებზეც ღეთისშობლის ლოცვაა მიწერილი. პატარა ქალი უცბათ იწერს პირჯვარს, ჩვეულებისამებრ დიდი ხეივანით მიდის და მუხის ჯვარს მოპირდაპირე მხარეს. მდგარ სკამზე ჯდება. ზის თითო ორი საათი ქარსა და გაზაფხულის სიცივეში, სანამ არ გაეყინება ფეხები მსუბუქ ფეხსაცმელში, ხელები კი ვიწრო ლაიკის ხელთათმანებში. უსმენს სიცივეშიც კი ხმაშეწყობით ტკბილად მოჰიკვივ ჩიტების გუნდს, ფაიფურის გვირგვინში ქარის წკრიალს და ზოგჯერ ფიქრობს, ნახევარ სიცოცხლეს მისცემდა, ოღონდ არ ყოფილიყო მის წინაშე ეს მკვდარი გვირგვინი. ეს გვირგვინი, ეს ბორცვი, მუხის ჯვარი, განა შეიძლება მის ქვეშ იყოს ის, ვისი თვალებიც ასეთი უკვდავი სხივით ანთებს ჯვარში ჩასმული ამბურცული მედალიონიდან. და როგორ უნდა შოათავსო ამ სუფთა მხერასთან ის საშინელი რამ, რაც ახლა ოლია მეშჩერსკაიას სახელთანაა დაკავშირებული? მაგრამ გულის სიღრმეში ბედნიერია პატარა ქალი, ბედნიერია, როგორც რაიმე ოცნებით გატაცებული ყველა ადამიანი. ეს არის ოლია მეშჩერსკაიას კლასის ხელმძღვანელი, ხანშიშესული ქალიშვილი, რომელიც დიდი ხანია სინამდვილის შემცველი გამონაგონი რამეებით ცოცხლობს. ასეთი გამონაგონი პირველად იყო მისი ძმა, ლარიზი და არაფრით შესამჩნევი პროზორშიკი, მთელი თავისი არსება მის მომავალს შეუერთა, რომელიც რატომღაც ბრწყინვალედ წარმოუდგინა, როცა ძმა მუკდენთან მოუკლეს, თავი დაირწმუნა, რომ იღვის მქონე მშრომე-

ლი ქალი იყო. ოლიას სიკვდილმა იგი ახალი სცენებით დაატყვევა (რატომ შემიჩერსკაია ახლა მისი მუდრმურ ფიქრისა და გრძნობის საგნად იქცა. ყოველ უქმე დღეს მის საფლაგზე დადის, საათობით არ ამორებს თვალს მუხის ჯვარს, იგონებს ოლია მეშჩერსკაიას ყვევილებში ჩაფლულ ფერმკრთალ სახეს კუბოში და იმას, რისი მოსმენაც ერთხელ მოუხდა. ერთხელ, დიდ შესვენებაზე, ოლია მეშჩერსკაია გიმნაზიის ბაღში სეირნობის დროს თავის საყვარელ მეგობარს, მაღალსა და მსუქან სუბოტინას სხაპასხუპით ეუბნებოდა.

— მამას ერთ წიგნში წაეკითხე, — მამას ბევრი ძველი და სასაცილო წიგნი აქვს, — როგორი უნდა იყოს ქალი... იქ, იმდენი რამაა ნათქვამი, რომ ყველაფერს ვერც მოიგონებ. რა თქმა უნდა, მდულარე კუპრივით ყურყუმალა თვალეები — ღმერთმანი, სწორედ ასე სწერია! მდულარე კუპრივითო! — ღამესავით შავი წამწამები, ნახი მოწითალო ცვალეზადი ფერი, წვრილი წელი ჩვეულებრივზე გრძელი მკლავები, — გაიგე, ჩვეულებრივზე გრძელი — პატარა ფეხი, ზომიერად მაღალი მკერდი, მომრგვალო წვივები, ნიქარისფერი მუხლისთავები, დაქანებული მხრები. ბევრი რამე ვისწავლე ზეპირად, ისე რომ ყველაფერი სწორეა! — მაგრამ იცი, რა არის მთავარი?

— მსუბუქი სუნთქვა, — ყური დუგდე, — როგორა ვვობრავ!

— ზომ მართლა მაქვს მსუბუქი სუნთქვა!

ეს მსუბუქი სუნთქვა კვლავ განიზნა ახლა ქვეყნად, განიზნა ამ ღრუბლიან ცასა და გაზაფხულის ამ სუსხიან ქარში.



თავაზი ჰვავის ყანაში *

24

მისტერ და მისის ანტოლინებს სანა-
ქებო ბინა ჰქონდათ სატონ პლეისზე,
ორ საფეხურს ჩაინაცვლებდი და სას-
ტუმრო ოთახში შეხვიდოდი. რაღა ეს
ოთახი და რაღა ბარი! მშვენივრად
ჰქონდათ მოწყობილი. ბევრჯერ ვყო-
ფილვარ იმათსა, რადგან ჩემი ელქტონ-
პილიდან წამოსვლის შემდეგ მისტერ
ანტოლინი ხშირად მოდიოდა ხოლმე
სადილად ჩვენთან და ჩემს ამბავს გე-
ბულობდა. მაშინ უცოლო იყო. ცოლი
რომ შეირთო, ჩოგბურთს ვეთამაშებო-
დი ხშირად მასაც და მისის ანტოლინი-
საც, ფორესტ-პილის საჩოგბურთო
კლუბში, ლონგ აილანდზე. მისის ან-
ტოლინი იმ კლუბში იყო ჩაწერილი.
ფული თავხესაყარი ჰქონდა ქალს.
ბარე სამოცი წლით უფროსი იქნებოდა
მისტერ ანტოლინიზე, მაგრამ, ეტყობო-
და, კარგად შეეთვისნენ ერთმანეთს.
ჯერ ერთი, რომ, ორივე ძალიან განა-
თლებული იყო, განსაკუთრებით მის-
ტერ ანტოლინი. ოღონდ, საუბარს რომ
გაუბამდი, ხუმრობა უფრო უყვარდა,
ვიდრე ჰკვიანური ლაპარაკი. დ. ბ.-ს
ხასიათი ჰქონდა. მისის ანტოლინი უფ-
რო სერიოზული ქალი გახლდათ. ასტმა
აწვალებდა საწყალს. ცოლსაც და ქმარ-
საც დ. ბ.-ს მოთხოვნები სულ გადა-
კითხული ჰქონდათ, და დ. ბ.-მ რომ
პოლივედში დააბირა წასვლა, მისტერ
ანტოლინიმ დაურეკა, ნუ წახვალო.
მაინც წავიდა. ვისაც დ. ბ.-სავით უჭ-
რის კალამი, პოლივედში რაღა ესაქ-
მებო. მეც სულ ამას არ გავიძახი!

ფეხით წავალ-მეთქი, ვიფიქრე, ფიბის

საშობაო საჩუქრების ფული მინდოდა
დამეზოგა, მაგრამ ქუჩაში რომ გამოვე-
დი, ცუდად შევიქენი. თავბრუ დამესხა
რაღაცნაირად. რა უნდა მექნა—ტაქსი
დავიჭირე. სხვა გზა არ იყო. ტაქსის
შოვნაც კი გაჭირდა.

ვიღაც ნაბიჭვარი მელიფტე იყო,
არასდიდებით არ მიშვებდა ლიტვში.
ბოლოს როგორც იქნა დავითანხმე.
კარი თვითონ მისტერ ანტოლინიმ გაი-
ღო. აბანოს ფლოსტებში ჩაეყო ფეხე-
ბი, ხელში კი ვისკიანი მოზრდილი ჭი-
ქა ეჭირა. მაგარი მშველი იყო.

— პოლდენ, ჩემო ბიჭო! — შესძახა
მისტერ ანტოლინიმ, — ღმერთო ჩემო,
ოცი გოჯით კიდევ გამაღლებულა. რო-
გორ გამახარე!

— როგორ გიკითხოთ. მისტერ ან-
ტოლინი? მისის ანტოლინი როგორა
ბრძანდება?

— რა გვიჭირს, დენდებივით ვართ.
პალტო მომეცი, — გამომართვა და და-
ჰკიდა. — მე მეგონა, ხელში ახალდაბ-
დებული ბავშვი გეყოლებოდა. საშვე-
ლი არ არის. წამწამები თოვლით გვესხე-
ბა. — ზოგჯერ რომ დაიჭოქება, სულ
ხუმრობს და ხუმრობს. მიბრუნდა და
სამზარეულოსკენ გასძახა: — ლილიან!
ყავა არ გაამზადე? — ლილიანი ერქვა
მისის ანტოლინის.

— მზად არის! — გამოსძახა ცოლ-
მა, — პოლდენი მოვიდა? გამარჯობა,
პოლდენ!

— გამარჯობა, მისის ანტოლინი!
ამათ სახლში მუდამ ღრიალია. იმი-
ტომ, რომ თავისდღეში ერთად ვერ
ნახავთ, სულ სხვადასხვა ოთახში არიან.
საოცარია, პირდაპირ!

* დასასრული. იხ. „მნათობი“ № 4, 5, 6, 7, 8.

— დაჯექი პოლდენ, — მითხრა მისტერ ანტოლინიმ. გადაკრულში იყო. ეტყობოდა, ახლახან დაემთავრებინათ ქეიფი: ირგვლივ სულ ქიქები და თხილიანი თეფშები ეწყო. — ბოდის ვიხიდი, დალაგება ვერ მოვასწარი, — თქვა მან, — მისის ანტოლინის ბუფალოელი მეგობრები გვეწვივნენ... მართალი თუ გინდა, თვითონაც კი გამწვევი ხარები არიან¹.

გამეცინა. მისის ანტოლინიმ სამზარეულოდან რაღაც დამიყვირა, მაგრამ ვერ გავიგონე.

— რა მითხრა? — ვკითხე მისტერ ანტოლინის.

— რომ შემოვალ, ნუ შემომხედავო. ლოგინიდან წამოდგა. პაპიროსი მოსწიე. აღარა სწევ?

— გმადლობთ, — კოლოფიდან სიგარეტი ამოვიღე, — ცოტასლა ვწევ. ათასში ერთხელ.

— ვიცი, როგორ არა! — მაგიდიდან უშველებელი სანთია აიღო და მომიკიდა, — ესეც ასე. მაშ, პენსი და თქვენ საბოლოოდ გაეყარეთ ერთმანეთს! — ამისთანა ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი იცოდა. ზოგჯერ ვერთობოდი, მაგრამ ყოველთვის არა. გადაამლავებდა ხოლმე. ენამოსწრებული არ იყო-მეთქი, როდი ვამბობ, პირიქით, მაგრამ ზოგჯერ ნერვები აგეშლება, კაცი რომ ატყდება და სულ ასე გელაპარაკება: „მაშ, პენსი და თქვენ საბოლოოდ გაეყარეთ ერთმანეთს!“ ზოგჯერ დ. ბ.-მაც იცის ხოლმე გადაამლავება.

— მაინც რა მოხდა? — მკითხა მისტერ ანტოლინიმ, — ინგლისური როგორ ჩააბარე? მაგაშიაც თუ ჩაფლავდი, იცოდე, სახლიდან გაგაგდებ, ინგლისურ წერაში ჩემი პატარა ფალავანი შენ იყავი.

— ო, ინგლისური კარგად ჩაგაბარე. თუმცა, უმთავრესად ლიტერატურას გავდიოდით. მთელს მეოთხედში ორად-

ორი თხზულება თუ მექნება დაწერილი, — ეუთხარი მე, — ზეპირად ჩაგვარდი. ზეპირიც შემოიღუნ. და ჩაფლავდი კიდევ.

— რა მოგივიდა?

— რა ვიცი. — სულაც არ მეხალისებოდა ამის ლაპარაკი. თავბრუ ხომ მესხმოდა, და ახლა საშინელი თავისტკივილიც დაემატა. მისკდებოდა თავი. მაგრამ ისე ჩანდა დაინტერესებული ჩემი გამოცდებით, რომ სხვა გზა არ იყო, უნდა რამე მეამბნა, — რაღაც უცნაური კურსია: ყოველი მოწაფე უნდა წამოდგეს და სიტყვა წარმოთქვას — სახელდახელოდ უნდა მოიფიქროს რაიმე თემა და იმ თემაზე ილაპარაკოს. თემას თუ გადაუხვია, ყველა ერთხმად შებლაღვლებს — „გადაუხვია! გადაუხვია!“ ვგიჟდებოდი. პირდაპირ სწორედ ამაში ჩაფლავდი.

— რა მოგივიდა?

— რა ვიცი. ნერვებს მიშლიდა ხოლმე ის შებლაღვლება. თვითონვე არ ვიცი, რა მომივიდა. მთელი უბედურება ის არის, რომ მე სწორედ თემიდან გადახვევა მიყვარს. უფრო საინტერესოა.

— კაცი რომ ამბავს დაიწყებს, არ გინდა ბოლომდე გიამბოს?

— მინდა, როგორ არ მინდა! თუ დაიწყებს, უნდა დაამთავროს კიდევ. მაგრამ ვერ ვიტან, როცა ააწყობენ და სულ ერთსა და იგივეს უტრიალებენ. არ ვიცი. ალბათ ჩემს ხასიათს არ ეგუება სულ ერთსა და იგივეზე ლაპარაკი. ვინც ერთი თემა აირჩია და ბოლომდე იმ თემას გაჰყვა, კარგი ნიშნებიც მიიღო — ამაზე რა შეთქმის. მაგრამ ერთი ბიჭი იყო, რიჩარდ კინსელა, მაინცადა მაინც არა ცდილა ერთ თემაზე ლაპარაკს და სამველიც აღარ მისცეს — სულ „გადაუხვია!“ უძახეს. საშინელებაა პირდაპირ. ჯერ ერთი, რომ ძალიან ნერვიული ბიჭი იყო — მეტისმეტად ნერვიული — მისი ჯერი რომ მოვიდოდა, სულ ტუნები უთრთოდა. უკანა რიგებში თუ იჯექი, ვერაფერსაც ვერ გაიგონებდი. მაგრამ, როცა დამშვიდდებოდა და ტუნებიც დაუწყნარდებოდა, ყვე-

¹ ორჯინალში სიტყვის თამაშია — Buffalo — ამერიკის ერთ-ერთი ქალაქი, და buffalo — ხარი, ბიზონი.

ლაზე კარგად ის ბიჭი ყვებოდა ხოლმე. რა გინდა, ფაქტიურად ისიც ჩაპრეს. ორიანი მიიღო პლიუსით. იმიტომ, რომ აღარ მოასვენეს „გადაუხვიას!“ ძახილით. მამამის ვერმონტში ერთი ფერმა უყიდა და ვთქვათ იმის ამბავი დაიწყო. ვინ დააეცლის — სულ „გადაუხვია-გადაუხვიას“ ბლავიან! მასწავლებელი მისტერ ვინსონიც ორიანს უწერს — რა ცხოველები გყავდათ იმ ფერმაში ან რა ბოსტნეულს იწევდით, ეს რატომ არ გვიამბეო. ეს რიჩარდ კინსელა კი ჯერ ფერმის ამბავს მოჰყვება, და უცებ ბიძის წერილზე გადახტება. დედამისს მიუღია წერილი. ორმოცდაორი წლის ბიძას თურმე პოლიომელიტი შეჰყარია, და საავადმყოფოში კაციშვილს არ უშვებს, არ უნდა ასე დამახინჯებულ ეჩვენოს ხალხს. სად ფერმა და სად ბიძის ავადმყოფობა... და მართალიცაა, მაგრამ თუკი საინტერესოა?! იმას რა სჯობს, როცა კაცი თავისი ბიძის ამბავს გვიამბობს! მით უმეტეს, მამის ფერმის აღწერით თუ დაიწყებს და უცებ უფრო საინტერესო ამბავზე გადახტება. კაცი გატაცებით ყვება, აღფრთოვანებულია, და უცებ „გადაუხვია“, „გადაუხვია!“ ამაზე მეტი საშინელება იქნება.. რა ვიცი. ძნელი ასახსენელია. — თუმცა არც კი ვცდილვარ ახსნას. ახსნის დარდი ვის ჰქონდა — თავი მისკდებოდა. იმასღა ვნატრობდი, ბარემ შემოვიდეს მისის ანტოლინი და ყავა შემოიტანოს-მეთქი. გულზე ვსკდები ზოლმე — ყავა მზად არისო, გეუბნებიან, და არ შემოაქვთ.

— ჰოლდენ... ერთი პატარა, ცოტა არ იყოს, ვიწრო პედაგოგიკური შეკითხვა მინდა მოგკე. როგორა გგონია — განა ყველაფერს თავისი დრო და ადგილი არ უნდა ჰქონდეს?! მამის ფერმის აღწერას თუ დაიწყებ, არა სჯობია ფერმაზე ილაპარაკო, და ბიძის ავადმყოფობის ამბავს კი მერე მოჰყვე? ან არა და, თუკი ასეთი მაცთუნებელია ბიძის ამბავი, რაღა ფერმას გადასწვდი, ადექი და ბიძაშენის ავადმყოფობა გვიამბე!


არც ფიქრის თავი მქონდა და არც პასუხისა. თავი მისკდებოდა და ყველა გუნებაზე ვიყავი. მართალია: ჩემს ბიძას მუცელიც წამომტყვიდა.

— ჰო... რა ვიცი. ალბათ ასეა. თუკი ბიძა უფრო აინტერესებს, მართლაც და რაღა ფერმა აიღო — ბიძის ამბავი დაეწყო! მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ მანამ უინტერესო საგანზე ლაპარაკს დაიწყებდე, ხშირად არც კი იცი, რა უფრო დაგაინტერესებს. ზოგჯერ ვერაფერს ვერ გაუგებ. ჩემის აზრით, უნდა აცალო კაცს, თუკი რამემ დააინტერესა და გატაცებით ჰყვება, გაუშვი — მოჰყვეს. ძალიან მიყვარს, როცა კაცი გატაცებით ჰყვება. ამას რა სჯობს! თქვენ არ მოსწრებიანართ იმ მასწავლებელს. მისტერ ვინსონს. გაგაგიყვებდათ, ისიც და მთელი ჩვენი კლასიც. რომ ჩაგაცივიდებოდათ — „განაზოგადე“, „გამარტივეო“, აღარ მოგცემდათ საშველს. მაგრამ ზოგჯერ ზომი შეგხვდება ისეთი რამე, ვერაფერს რომ ვერ მოუხერხებ. ესე იგი, სხვისი ხეშტურის მიხედვით ვერც განაზოგადებ და ვერც გამარტივებ. თქვენ არ მოსწრებიანართ იმ ვაჟბატონს, მისტერ ვინსონს. განათლებულიც იყო და ყველაფერიც, მაგრამ მაშინვე შეატყობდი, რომ ცოტა ჰქუა აკლდა.

— აბა, ჯენტლმენებო, როგორც იქნა გაღირსეთ ყავა, — თქვა მისის ანტოლინიმ. ლანგარით შემოიტანა ყავა, ნამცხვარი და ამისთანა რაღაცეები. — ნუ მომამტერდით, ჰოლდენ, საშინლად ჩამობრანაშული ვარ.

— გამარჯობათ, მისის ანტოლინი, — ვთქვი მე და წამოდგომა ვცადე, მაგრამ მისტერ ანტოლინიმ პიჯაკის კალთას დამწია და დამსვა. თმის დასახვევად რომ რკინის პაპილოტებს ხმარობენ, მთელი თავი იმითი ჰქონდა დაფარული მისის ანტოლინის, თან ტუჩებიც არ ჰქონია შეღებილი და ვერ იყო მაინც-დამაინც სასიკაძულო სანახავი. შებერებულიც ჩანდა.

— აგერ დაგილაგებთ ყველაფერს. მე წავალ, თქვენ კი დაბრძანდით და



შეეჩვიეთ, — ლანგარი სიგარეტების მაგიდაზე დადო, ჭიქები გვერდზე მისწია. — დედა როგორ არის, ჰოლდენ?
— კარგად გახლავთ, გამაღობთ. დიდი ხანია არ მინახავს, მაგრამ ბოლოს რომ...

— ა, გენაცვალე, ჰოლდენს თუ რა-მე დასჭირდეს, თეთრეულის კარადაში აწყვია ყველაფერი, ზემოთა თაროზე. მე დავწვები. ქანცი გამწყდა, — თქვა მისის ანტოლინიმ. ზედვე ეტყობოდა, რომ საშინლად დაღლილი იყო, — ლოგინს ხომ გაიშლით თქვენ თვითონ, ბიჭებო?

— ყველაფერს გაეაყეთებთ. შენ გაიჭეცი, დაწევი, — უთხრა მისტერ ანტოლინიმ. მერე აკოცა. ქალმა ღამე ნებისა მისურვა და საწოლ ოთახში გავიდა. ხალხს სულაც არ ერიდებოდნენ, ყველას დასანახად პროშტნიდნენ ერთმანეთს.

ცოტა ყავა მოვსვი და ქვასავით მაგარი ნამცხვარი მოგვბიჩე. მისტერ ანტოლინიმ კი არაფერს არ დააკარა პირი, ისევ ვისკი დალია. ეტყობოდა, მაგარ ვისკის ამზადებდა. ნამდვილად გალოთდება, თავს თუ არ მიხედა.

— ამ ორი კვირის წინათ მე და მამა-შენმა ერთად ვისაუბრეთ, — მითხრა მან, — არ გაგიგია?

— არა, არ გამიგია.

— ძალიან აწუხებს შენი ამბავი. ეს ძალბათ შენც გეცოდინება.

— ვიცი. ვიცი, რომ ძალიან აწუხებს, — ვუთხარი მე.

— მანამ დამირეკავდა, ეტყობა, შენი უკანასკნელი დირექტორის საღანძღავი წერილი მიეღო — არაფერს არ აკეთებსო, სკოლას აცდენსო, გაკვეთილებს არ ამზადებსო. ერთი სიტყვით, თავს არაფერზე არ...

— სულაც არ გამიცდენია. ანკი ვინ გაგაცდენინებდა! ათასში ერთხელ იმ ზეპირს თუ გავაცდენდი, მე რომ გიამბოვებ, თორემ სხვა არაფერი გამიცდენია.

ბევრი ლაილის თავი აღარ მქონია. მუცლის ტკივილი კი დამიყუჩა ცოტა-

თი ყავამ, მაგრამ თავი ისევ მისკვებოდა.

მისტერ ანტოლინიმ მეორე სიგარეტს მოუყიდა. გამწარებით ქაჩავდა. მერე თქვა:

— უნდა გამოვიტყდე, არც კი ვიცი, რა გითხრა, ჰოლდენ.

— მესმის. ძნელია ჩემთან ლაპარაკი. მე თვითონ ვხვდები.

— ასე მგონია, რალაც საშინელო უფსკრულისკენ მიჰქრინხარ-მეთქი. მაგრამ, სინდისს გეფიცები, მე თვითონ ვერ... არ მისმენ?

— როგორ არა.

ცდილობდა, სერიოზული ყოფილიყო. ამას მაშინვე შეატყობდით.

— ოცდაათი წლისა რომ გახდები, სულ ადვილი შესაძლებელია, უშიზეზოდ შეიზიზლო ვინმე: ვთქვათ ბარში ზიხარ და ვილაც შემოდის. საკმარისია რომელიმე კოლეჯის ყოფილ ფეხბურთელად მოგეჩვენოს, რომ მაშინვე შეიზიზლებ. ან იქნებ კაი განათლებაც მიიღო და უსწორო მეტყველებისთვის შეიძულხო ხალხი. მაგალითად ასე რომ ლაპარაკობდნენ ერთმანეთში: „ეს შენი და ჩემი შორის დარჩეს“. ან იქნებ კანტორაში მოეწყო სადმე და შენს მეზობელ სტენოგრაფისტს ქინძისთავეები დაუშინო. რა ვიცი. მგონი, მიმიხვდი, რისი თქმა მინდა!

— დიან. რა თქმა უნდა, — ვუთხარი მე. მართლაც მიეუხვდი, — მაგრამ ხალხს შეიძულებო, რომ მეუხვნებით, ამაში ცდებით. ფეხბურთელები რად უნდა შევიზიზლო. ამაში არა ხართ მართალი. არც იმდენი ხალხი მძულს. ისეთი ხასიათი მაქვს, ცოტა ხნით თუ შევიძულე ხალხს! პენსიში მაგალითად, ერთი ბიჭი იყო, სტრედლეიტერი, და რობერტ ეკლი კიდევ. ერთიც შემძულდა და მეორეც — არ დავფიცავ — მაგრამ ცოტა ხნით. ის კი არა და, დიდხანს თუ ვეღარ ვნახე — ან ოთახში არ შემოვიდნენ ან სასადილოში ერთი-ორი ჯერი გამოტოვეს, თვალშიც დამაკლდებიან. ნამდვილად დამაკლდებიან.

მისტერ ანტონინის კარგა ხანს არ გაუღია ხმა. მერე ადგა, ყინულის ნატეხი აიღო, ჭიქაში ჩააგდო და ისევ დაჯდა. ეტყობოდა, რაღაცას ფიქრობდა. ვინაგრე, ნეტა ახლა მომეშვას და დილით გააგრძელოს ლაპარაკი-მეტქი, მაგრამ მაგრად იყო მომართული. სწორედ მაშინ აეშლება ხოლმე ხალხს ლაპარაკის საღერდელი, როცა გუნებაზე არა ხარ.

— კეთილი და პატიოსანი. ახლა ერთი წუთით დამიგდე ყური... იქნებ ისე გარკვევით ვერ ჩამოვაყალიბო ჩემი მოსახრება, როგორც მინდა, მაგრამ ამ ორ დღეში ყველაფერს წერილით მოგწერ. მაშინ კი ნამდვილად მიმიხედები. მაინც დამიგდე ყური, — ისევ ჩაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო: — უფსკრული, საითკენაც შენ მიჰქრი — სულ სხვა უფსკრულია, საშინელი უფსკრული. იქ გადაჩეხილი კაცი თავის დღეში ფსკერს ვერ შეეხება და ვერც იგრძნობს. სულ ვარდება და ვარდება. ეს ისეთ ხალხს მოსდის ვისაც ცხოვრების გარკვეულ პერიოდში რაღაც ახალი მისწრაფება გასჩენია და ამ მისწრაფების დაკმაყოფილება მის გარემოს ვერ შესძლებია. ან ეჩვენება — ჩემი გარემო ამას ვერ დამიკმაყოფილებსო. და ამიტომ ხელი ჩაუქნევია, აღარც ცდილობს დაკმაყოფილებას. ჯერ მიღწევას არცა ცდილა და უკვე ხელი ჩაიქნია. მისმენ?

— დიახ, სერ.

— ნამდვილად?

— დიახ.

წამოდგა და კიდევ დაისხა ვისკი. მერე ისევ დაჯდა. კარგა ხანს ხმა არ გაუღია.

— არ მინდა შეგაშინო, — მითხრა მან, — მაგრამ თვალნათლივ ვხედავ, როგორ ვაქცაურად ეწირები ყოვლად უღირსსა და უმნიშვნელო საქმეს, — რაღაც უცნაურად გამიშტერა თვალს, — ერთი რაღაც რომ დაგიწერო, გულისყურით წაიკითხავ? შეინახავ მერე?

— დიახ. რა თქმა უნდა. — ვუთხარი მე. ავუსრულე კიდევ. ახლაც მაქვს ის ქაღალდი, მაშინ რომ მომცა.

საწერ მაგიდასთან მივიღე ოთახის მეორე კუთხეში და არც დაბეჯდარა, ისე რაღაც დაწერა. მერე მობრუნდა და დაჯდა. ქაღალდი ხელში ეჭირა.

— უცნაური ის არის, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის არა პოეტს, არამედ ფსიქოანალიტიკოსს — ვილჰელმ შტეკელს. ნახე, რას... არ-მისმენ?

— გისმენთ, როგორ არ გისმენთ.

— ნახე, რას ამბობს: „ადამიანის მოუშფიფებლობის ნიშანი ის არის, როცა მისწრაფვის ვაქცაურად შეეწიროს საქმეს, ხოლო მოშფიფებული ადამიანი ცდილობს მშვიდად იცხოვროს და ამ საქმეს ემსახუროს“.

გადმოიხარა და გადმომცა ქაღალდი. მაშინვე წავეკითხე, მაღლობა გადავუხადე და ჯიბეში შევიწახე. რაც არ უნდა იყოს, დიდი სიკეთე გამოიჩინა, რომ ასე შეიწუხა ჩემთვის თავი. ნამდვილად. ოღონდ, უბედურება ის იყო, რომ ფიქრის თავი აღარ მქონდა. ჰოი, ბიჭო. როგორ მოეწყვი ერთბაშად!

მისტერ ანტონინის კი სულაც არ ეტყობოდა დაღლა. თუმცა კი მაგარი მთვრალი იყო.

— მე მგონი, მალე დაგიდგება ის დღეც, როცა იძულებული იქნები გადაწყვიტო... საით უნდა წახვიდე. და მაშინ ხელადვე უნდა დაადგე არჩეულ გზას. დაუყოვნებლივ. ერთი წუთიც არ უნდა დაკარგო. შენთვისვე იქნება ცუდი.

თავი დავექნიე, იმიტომ, რომ ბირდაპირ თვალეში შემომეყურებდა. მაგრამ მისი სიტყვები მთლად კარგად არ მესმოდა. თითქოს კი ვხვდებოდი, მაგრამ მაშინ კარგად არ ჩამეწვდარე მთავარ არსს. საშინლად დაღლილი ვიყავი.

— ბევრი ჩიჩინი არ მიყვარს, — თქვა მან, — მაგრამ, ჩემის აზრით, როცა ამ გზას აირჩევ, მაშინვე სკოლაშიაც უნდა მოეწყო. ეს შენთვის აუცილებელია. შენ მეცნიერი ხარ — სულერთია, მოგწონს ეს სახელწოდება თუ არა. ცოდნას ხარ მოწყურებული. როცა იქნება, უკან მოიტოვებ ამ მის-

ტერ ვინსებს, თავიანთი ზეპირი თხზუ...

— მისტერ ვინსონი, — ვთქვი მე. მისტერ ვინსონები უნდა ეთქვა, ვინსები კი არა. მაგრამ მაინც არ უნდა შეწყვეტილებინა.

— კარგი — მისტერ ვინსონები იყოს. უკან მოიტოვებ ამ მისტერ ვინსონებს და თანდათანობით მიუახლოვდები — რა თქმა უნდა, შენ თვითონვე თუ მოისურვებ და მოიწადინებ — ცოდნის იმ საფეხურს, რაც ძალიან, ძალიან სასურველი იქნება შენი გულისათვის. ბევრ სხვა რამესთან ერთად, მაშინ იმასაც მიხვდები, რომ ხალხის უსაქციელობასა და უსულგულობას მარტო შენ კი არ შეუწუხებინარ, მარტო შენ კი არ აუფორიანებინარ და დაუშინებინარ. მიხვდები, რომ კენტად არა ხარ ამ საქმეში და ეს გაგახარებს და ძალას შეგამატებს. ბევრს, ძალიან ბევრს განუცდია ისეთივე სულიერი და მორალური აფორიანება, რასაც ახლა შენ განიცდი. საბედნიეროდ, ზოგს ჩაწერილი აქვს სოფელი ასეთი გასაქირი. შეგიძლია ისწავლო მათგან — თუკი მოისურვებ. ასევე სხვებსაც შეეძლება ისწავლონ შენგან, თუ მოიწადინებ და გაუზიარებ. ურთიერთდახმარება დიდებული საქმეა. და არა მარტო ცოდნის საქმეში. პოეზიაშიაც. ისტორიაშიაც, — შეჩერდა, კარგა ბლომად მოსვა და კვლავ განაგრძო. პოი ბიჭო, მართლაც რა მაგად იყო მომართული! კიდევ კარგი, რომ არ ვაწყვეტილებდი, — სულაც არ მინდა გიმტყიკო, თითქოს მხოლოდ განათლებულსა და მცოდნე ხალხს შეეძლოს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ცხოვრებაში. ეს ტყუილია. მაგრამ ამას კი ვიტყვი, რომ განათლებული და მცოდნე ადამიანები, თუ ამასთან ნიჭიერი და ხელოვანიც არიან — თუმცა ეს, საუბედუროდ იშვიათად ხდება ხოლმე — გაცილებით უფრო მნიშვნელოვან შემკვიდრებას ტოვებენ, ვიდრე უბრალოდ ნიჭიერი და ხელოვანი ხალხი. ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება მკაფიოდ გამოთქვან აზრი, და ფიქრი როგორმე ბოლომდე მიიყვანონ. რაც მთა-

ვარია, ათიდან ცხრა შემთხვევაში მათ უფრო მეტი უბრალოება ანასიარდობა, ვიდრე არამეცნიერ მოაზროვნეებს. ხომ მიმიხვდი?

— დიახ, სერ.

დიდხანს აღარაფერი უთქვამს. არ ვიცი, გამოგიცდიათ თუ არა ასეთი მდგომარეობა, მაგრამ ძალიან ძნელი კია იჯდე და იცადო, როდის მოიფიქრებს და იტყვის რამესო. მართლაც, რომ ძნელია. თავს ვიცავებდი, რომ არ დამემთქნარებინა. ვანა მისი ლაპარაკი მომბეზრდა, სულაც არა. მაგრამ ერთბაშად ძილი მომერია.

— ერთი უპირატესობა კიდევ აქვს აკადემიურ განათლებას: მნიშვნელოვან ცოდნას რომ შეიძენ, წარმოდგენა შეგექმნება — რა შესაძლებლობისაა შენი გონება, რა მოერგება და რა არ მოერგება. რამდენიმე ხნის შემდეგ მიხვდები, რა ფიქრები უფრო მოუხდება შენს ჰედასა და გონებას. ამით დიდ დროსაც დაზოგავ, აღარ დაგჭირდება ბევრი რჩევა და ცდა — რა უფრო მომიხდება და რა არ გამომადგებაო. შენს ჰეშმარიტ საზომს გამოიშუშავებ და ჰედას შესაფერისი სამოსით შემოსავ.

ამ დროს უცებ არ დამამთქნარა! ვიცი, რომ პირუტყვობაა ასეთი რამე, მაგრამ რა უნდა მექნა!

მისტერ ანტონისის არაფერი უთქვამს, გაეცინა მხოლოდ.

— აბა, — თქვა და წამოღგა, — შენი ლოგანი გაეშალათ.

კარადისკენ გაემართა და მეც გაეყვივი. ბევრი იწვალა ზემო თაროდან ზეწრებისა და საბნების ჩამოსაღებად, მაგრამ ცალ ხელში ვისკიანი ჰიქა ეჭირა და ვერ მოახერხა. აიღო და გამოკალა, ჰიქა იატაკზე დადო და მერე გადმოიღო თეთრეული. მე მივეშველე და სავარძლამდე მივატანიე ყველაფერი. ლოგინს ერთად ვშლიდით ორივენი. მაინცადამაინც დიდი სიმარჯვე არ გამოუჩენია. არ ეხერხებოდა ხოლმე ასეთი რამეები. მაგრამ ჩემთვის სულერთი იყო. ისე დავიქანე, რომ ფეხზე დგომელაც დავიძინებდი.

— გოგოები როგორა გყავს?

— რა უჭირთ, — ისედაც საძაგელი მოსაუბრე ვარ და ახლა მითუმეტეს დანა პირს არ მიხსნიდა.

— სალი როგორაა? — სალი ჰეისს იცნობდა. სადღაც გავაცანი ერთხელ.

— სალისაც რა უჭირს. სწორედ დღეს შეეხვდი, — ჰოი ბიჭო, თითქოს ოცი წელიწადი გასულიყოს მას შემდეგ! — ბევრი აღარაფერი დაგვრჩა საერთო.

— ღმერთივით გოგოა. მეორე გოგო როგორაა გყავს? აი, რომ მიამბობდი, მეინში გავიცანიო.

— აჰ, ჯეინ გლაპერი! კარგად არას. ხვალ ალბათ დაეურეკავ.

ლოგინის გაშლას მოვრჩით.

— აჰა, მოისვენე, — მითხრა მისტერ ანტოლინიმ. — მაგრამ ამ შენს ფეხებს რაღას უზამ არ ვიცი, სად დასტევ!

— არა უშავს რა. მივეჩვიე მოკლე საწოლებს, — ეუთხარი მე. — დიდი მადლობელი ვარ, სერ. თქვენ და მისის ანტოლინიმ პირდაპირ მიხსენით დღეს.

— სააბაზანო სადაც არის, იცი. თუ რამე დაგჭირდეს, დამიძახე. ერთ ხანს სამზარეულოში ვიქნები... სინათლე ხომ არ შეგიშლის?

— არა... რასა ბრძანებთ. დიდი მადლობა.

— მაშ კარგი. ღამე ნებისა.

— ღამე ნებისა, სერ. დიდი მადლობა.

ის სამზარეულოში გავიდა მე კი სააბაზანოს მივაშურე, გავიხადე და ყველაფერი. ოღონდ კბილები ვერ გავიხეხე, ჯაგრისი არა მქონია თან. არც პიჯამა მქონდა, მისტერ ანტოლინისაც დაავიწყდა თავისი ეთხოვეზინა. სასტუმრო ოთახში შევბრუნდი, სინათლე ჩაეაქრე და ტრუსების ამარა შეექვერი ლოგინში. მართლაც ძალიან მოკლე ვამოდგა ჩემთვის ეს სავარძელი, მაგრამ ფეხზე დგომელაც რომ ყვოფილიყავი, ისე დავიძინებდი, თვალს არ დავახამამებდი. ორიოდ წამი მისტერ ანტოლინის სიტყვებზე ვფიქრობდი — რაღაც საზომს გამოიმუშავებ და ჭკუას მოარგებო. ნამდვილად

ჭკვიანი კაცი იყო. მაგრამ თვალები და მუხუჭა და ჩამეძინა.

მერე რაღაც მოხდა. განსვენებაც კი აღარ მინდა.

უცებ გამეღვიძა. არ ვიცი, რა დრო უნდა ყოფილიყო, მაგრამ გამეღვიძა. თავზე რაღაც ვიგრძენი, ვილაყის ხელი. ჰოი ბიჭო, როგორ შემეშინდა. მისტერ ანტოლინის ხელი აღმოჩნდა. პირდაპირ იატაკზე ჩამჯდარიყო, სავარძელთან, იმ სიბნელეში, და არ ვიცი მაკოცა, არ ვიცი ხელი გადამისვა ჩემს ოხერ თავზე. ჰოი ბიჭო, ათას ფუტზე კი შეეხტი! სანაძლეოს ჩამოვიღე.

— რას შერებით? — შევძახე მე.

— არაფერი! ისე ვზივარ და შენი ცქერით ვტკბე...

— არა, მაინც რას შერებით? — ისევე ჩავეკითხე. ენა დამება, აღარ ვიცი რა მეთქვა, ერთბაშად გავვოგნდი და დავიბენი.

— რა გაღრიალებს? ისე ვზივარ ჩემთვის და...


— სულერთია, უნდა წავიდე, — ვთქვი მე. ჰოი ბიჭო, როგორ მომეშალა ნერვები! სიბნელეშივე დავიწყე ჩემი ოხერი შარვლის ჩაცმა, მაგრამ ისე ვიყავი აღელვებული, რომ ფეხი ძლივს გავუყარე. გაფუტებული ხალხის მეტი რა მინახავს, სკოლაშიაც და ყველგან. ჩემდენი ვის ეყოლება ნახული!

— სად უნდა წახვიდე? — მკითხა მისტერ ანტოლინიმ. ვითომ ძალიან დამშვიდებულად და გულგრილად ირჯებოდა, მაგრამ მერწმუნეთ, სულაც არ იყო დამშვიდებული.

— ჩემოდნები და ბარგი სადგურში მაქვს დატოვებული. ბარგმ წავალ და გამოვიტან. ყველაფერი იქა მაქვს.

— დილაშენი სად გაგქცევა! დაწე-ქი, დაწე-ქი. მეც წავალ და დავწეები. რა მოგივიდა?

— რა უნდა მომსელოდა. ფულიც და ყველაფერიც იმ ჩემოდნებში მაქვს. ახლავე დაგბრუნდები. ტაქსში ჩავჯდები და ხელად მოვალ, — ეუთხარი მე. ჰოი ბიჭო, კისერი კინალამ მოვიტეხე იმ სიბნელეში. — საქმე ისაა, რომ ჩე-



მი ფული კი არ არის, დედაჩემისაა და...

— ნუ აიხრე, პოლდენ. ჩაწეკი. მეც უნდა წავიდე და დავწეკ; შენი ფული იქვე დაგვდება დილ...

— არა, არ გეხუმრებით. უნდა წავიდე. უსათუოდ უნდა წავიდე. — უკვე ჩაცმული ვიყავი. ოღონდ ყელსახვევი ვერ ვნახე. ველარ გავიხსენე, სად დაეკიდე ჩემი ყელსახვევი. ქურთუკი ჩავიცვი. უყელსახვევოდ წავალ, რა მოხდება! მისტერ ანტოლინი ახლა დიდ სავარძელში იჯდა, ჩემი ლოგინიდან მოშორებით, და შემომცქეროდა. ბნელოდა, არაფერი ჩანდა, ხეირიანად ვერც ვხედავდი, მაგრამ მაინც ვგრძნობდი, რომ მე მიცქეროდა. ისევ ვისკის წრუპავდა. გარკვევით ვხედავდი, როგორ ეჭირა ხელში თავისი ერთგული ჭიქა.

— ძალიან, ძალიან უცნაური ბიჭი ხარ.

— ვიცი, — ვუთხარი მე. ყელსახვევი აღარც მიძებნია. ისე წამოვედი, უყელსახვევოდ. — მშვიდობით, სერ. დიდი მადლობელი ვარ. დიდი მადლობა.

კარებამდე გამომყვავა. ლიფტი რომ გამოვიძახე, ზღურბლთან შეჩერდა და სულ იმას დუღღუნებდა — „ძალიან, ძალიან უცნაური ბიჭი ხარო“. უცნაური! დიახ! მანამ ის ოხერი ლიფტი ამოვიდოდა, იქვე იდგა, ზღურბლზე. ჩემს დღეში ამდენი ლოდინი არ დამქირებია. ღმერთმანი.

აღარც კი ვიცოდი, რა ოხრობა შეთქვა, მანამ ლიფტს ველოდებოდი, ის კი ზღურბლიდან ფეხს აღარ იცვლიდა, პერე ესლა მოვახერხე:

— კარგი წიგნები უნდა შევარჩიო და კითხვა დავიწყო. ნამდვილად. — რამე ხომ უნდა მეთქვა. საშინლად დაბნეული ვიყავი.

— დაავლე ხელი იმ ჩემოდნებს და უკანვე გამოქანდი. კარებს ღიას დავეტოვებ.

— დიდი მადლობა, — ვუთხარი მე, — ნახეამდის. — როგორც იქნა ლიფტსაც ეშველა. კარი მივიხურე და დავეშვიპი ბიჭო, როგორ გიყვივით მიკანკა-

ლებდა ყველაფერი. ოფლში გეტურავდი როცა ამნაირი უხამსობა შემეძინებოდა სულ ოფლს დამასხამს ხრლმე. ერთი ოცჯერ მაინც შემომთხვევია ამისთანა სახიზლარი საქმე ბავშვობის შემდეგ. საშინელებაა!

25

გარეთ რომ გამოვედი, უკვე თენდებოდა. საშინლად ციოდა, მაგრამ მესიამოვნა კიდევც, რადგან ოფლში ვცურავდი.

არ ვიცოდი, სად ჯანდაბაში უნდა წავსულიყავი. სასტუმროში წასვლას და ფიბის დოლარების ხარჯვას გული არ მაძლევდა. ბოლოს, ლექსინგტონამდე ფეხით მივედი და იქიდან მეტროთი ცენტრალური სადგურისკენ გავემართე. იქა მქონდა ჩემოდნები დატოვებული, თან ვიფიქრე — იმ ფეთიან მოსაცდელ ოთახში ყოველ ფეხის ნაბიჯზე მერხები ყრია და ცოტას წავიძინებ კიდევც-მეთქი. ასეც ვქენი. პირველად არა უშავდა რა, ხალხი იმდენი არ ყოფილა და სკამზე ფეხის გამართვა შეიძლებოდა. მაგრამ სულაც არ მებალისება ამავეების გახსენება. საშინელებაა. ნურც გამოცდით. ნამდვილად გეუბნებით. გული გაეჩწყალდებათ.

ცხრა საათამდე მეძინა, მეტი არა. მერე კი მოაწყდა და მოაწყდა ხალხი მოსაცდელ ოთახს, და იძულებული ვიყავი ფეხები დაბლა ჩამომეშვა. ფეხები თუ იატაკზე მაქვს ჩაკიდული, რალა დამაძინებს! რა უნდა მექნა — წამოვჯექი. თავი ისევ მტკიოდა. ახლა კიდევ უფრო მეგრად. გული ისე მეწურებოდა, რომ ალბათ ჩემს დღეში არ ვყოფილვარ ასე მოკამულ გუნებაზე.

სულაც არ მინდოდა, მაგრამ მისტერ ანტოლინიზე ფიქრი დავიწყე — ნეტა რას ეტყვის მისის ანტოლინის, როცა იგი სასტუმრო ოთახში შევა და იქ აღარ დაგვხვდები-მეთქი. თუმცა ამ ფიქრს დიდად არ შევეუწუხებოვარ — მისტერ ანტოლინი ჭკვიანი კაცი იყო, და ვიცოდი, ხელად მოიგონებდა რამეს. შინ


წავიდაო, ეტყოდა. ერთი სიტყვით, ამას დიდად არ შევეუწუხებოვარ. მე იმის გახსენება მტანჯავდა — როცა გამოვლენიძე და ვნახე, თავზე ხელს მითათურებდა! ვაი თუ შარსა ვდებ, იქნებ იმ კაცს სულაც არ ჰქონია ბინძური ზრახვები-მეთქი. იქნებ ასეთი ხასიათი აქვს — შინარე ხალხისათვის თავზე ხელის სმა უყვარს! გადაჭრით ხომ ვერ იტყვი ამას? ვერ იტყვი. ის კი არადა, ერთი პირობა ვფიქრობდი, მოდი ჩემოდნებს გამოვიტან და სიტყვას არ გავტენ, უკანვე მივბრუნდი-მეთქი. კიდევ რომ იყოს გაფუჭებული კაცი, ჩემთვის კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია-მეთქი. სულაც არა სწყენია, შუალამზე რომ დაეპრეკე, პირიქით, მაშინვე ის მითხრა, თუ გინდა, ახლავე მოდიო! როგორ იმტვრევდა თავს და რა გამწარებით მიჩვენდა, ჰეშმარიტი საზოგადოება უნდა გამოიმუშაო და ჰეუსს მოარგო. ეგეც რომ არ იყოს, მე რომ ჯეიმს კასლის ამბავი ვიკითხო, ხომ ვერავინ გაბედა მასთან მისვლა, ეს კი პირველი მიიჭრა მკვდართან. ასეთი ფიქრები მიტრიალებდა თავში და რამდენსაც მეტს ვფიქრობდი, მით უფრო მეტად მეწურებოდა გული. იქნებ აჯობოს, უკანვე მივბრუნდე-მეთქი. იქნებ უბრალოდ მოგუწუნება და თავზე ხელი გადამისვა-მეთქი! რასაც მეტს ვფიქრობდი, სულ უფრო და უფრო მოვიშალე და ავფორიაქდი. ამ თვალეზმაც რომ გამამწარა: უძილობისაგან ჯოჯოხეთურად მტკიოდა და მეწოდა. ამას სურდოც დაერთო, მე კი ერთი ჭეციანი ცხვირსახოციც არა მქონია ჯიბეში. ჩემოდანში კი მეწოდა, მაგრამ დამეზარა ჩემოდნის გამოტანა და ამდენ ხალხში გახსნა.

იქვე, სკამზე, ვილაცხს ქურნალი დარჩენოდა და კითხვა დავიწყე, ვიფიქრე, იქნებ ცოტა ხნით მაინც გადამავეწყო მისტერ ანტოლინის ამბავი და ათასი სხვა ამნაირი უსიამოვნო ფიქრები-მეთქი. მაგრამ ისეთი დაწყევლილი სტატია შემხვდა, სულ მომშალა და მომათავა. პორმონებზე იყო. თუ პორმონები ნორმალურად ვაქვთ, მაშინ ასეთი

და ასეთი სახე და თვალეზი უნდა გქონდეთ და ამნაირი შესახებ დაუყოფნოთ. სწორედ ისეთი შესახებდაუი არ ვიყავი. მოშლილპორმონებიანი კაცი ნახებათ იქვე, და იმას ვგავდი. ახლა პორმონების დარღვევა შემაწუნა. მეორე სტატია წავიკითხე — როგორ უნდა მიხვდე, გაქვს თუ არა კიბო. პირის ღრუში თუ წყლული გაგიჩნდა და მალე არ მოგიშუშდა. ნამდვილად კიბო გქონიათო. მე კი მთელი ორი კვირაა, პატარა წყლული მაქვს ტუჩზე! მორჩა, კიბო მქონია-მეთქი, გადავწყვიტე. კი მხიარული ქურნალი გამოდგა! თავი მივიანებე და გარეთ გამოვედი. ორიოდ თვე და კიბო მომიღებს ბოლოს-მეთქი, ვფიქრობდი, ნამდვილად. თავი დავაჯერე, რომ კიბო მქონდა. რაღა თქმა უნდა, დიდად არც ამ ფიქრს გამოუხსოვრებია ჩემთვის გუნება.

თითქოს წვიმას აპირებდა, მაგრამ მაინც გამოვედი გარეთ. ჯერ ერთი უნდა მესაუზმნა. სულ არ მშოიდა. მაგრამ რამე ხომ უნდა ეჭამო-მეთქი. ვიტამინებიანი რამე მაინც, აღმოსავლეთ კვარტალებისკენ გავსწიე — საცაიაფი რესტორანებია. ფული არ მეძვეტებოდა.

გზაზე ორ ბიქს უზარმაზარი ნაძვისხე გადმოქონდათ საბარგო მანქანიდან. ერთი მათგანი წარამარა გაკვიროდა: „ასწი, ასწი ძალღისშვილო! ცოტა კიდევ ასწი!“ ძალიან კი უხდებოდა ამისთანა სიტყვებზე შობის ხეს. მაგრამ მაინც სასაცილო იყო და გამეცინა კიდევ. ამაზე უარესს აღზათ ვერაფერს ვერ ვიზამდი — დავიწყე თუ არა სიცილი. მაშინვე გული ამერია. ცოტას გაწყდა. არ წამალბინა, მაგრამ ისევ გადამიარა. არ ვიცი, რა მომივიდა. ამჟებელი ან ასეთი რამე არაფერი მიჭამია, კუჭიც მაგარი მაქვს. ერთი სიტყვით, გადამიარა და გადავწყვიტე რამე მეჭამა. ერთ ძალიან იათ რესტორანში შევედი და ფუნთუშა და ყავა მოვატანინე. ოღონდ ფუნთუშა არ მიჭამია, ვერ გადავყლაპე. როცა მოშხამულ გუნებაზე ხარ, ყლაპვაც გიჭირს. ოფიციალტი კაი კაცი გა-



მოდგა. ფუნთუშები უკანვე წაიღო, ფუ-
ლი არ გადაუხდევინებია. მარტო ყავა
შევხერბიე. მერე გამოვედი და მეხუთე
ავენიუსკენ გავემართე.

ორშაბათი იყო, შობა ახლოვდებოდა
და მალაზიები სულ დაელოთ. ასე რომ,
მეხუთე ავენიუსზე მოწყენილობა მაინ-
ცადამაინც არ განმიცდია. შობის სიხა-
რული იგრძნობოდა. გაწლიკული სანტა
ელაუსები კუთხეებში მიმდგარიყვნენ
და ზარებს რეკდნენ, მოხალისე ქალთა
არმიის გოგონები გამოსულიყვნენ, —
და ტურქებზე რომ არაფერის არ იცებენ
და არ ითხოვნიან ხოლმე, — და
ისინიც ზარებს რეკდნენ. ვიფიქრე, გუ-
შინ რომ საუზმზე შევხვდი, იქნებ იმ
ორ მონაზონს გადავეყარო-მეთქი, ბეგ-
რი ვაცეცე თვალები აქეთ-იქით, მაგრამ
ვერ ვნახე. ვიცოდი, რომ ვერ ვნახავდი,
აკი მითხრეს, ნიუ-იორკში მასწავლებ-
ლად უნდა ვიმუშაოთო, მაგრამ მაინც
ვეძებდი. ერთი სიტყვით, საშობაო გან-
წყობილება უცებ მეც გადმომედო. მი-
ლიონობით ბავშვები გამოსულიყვნენ
დედებთან ერთად; შედიოდნენ და გა-
მოდდიოდნენ მალაზიებიდან, ადიოდნენ
და ჩამოდდიოდნენ ავტობუსებზე. ნეტა
ფიბიც აქ იყოს-მეთქი, ვინაბრე. არც
ისეთი პატარაა, რომ სათამაშოებზე და-
ყარგოს ჭკუა, მაგრამ სერიის ყურება და
ქუჩაში ყოილი მაინც უყვარს. შარშან
მე გამოვიყვანე ქალაქში საყიდლებზე.
პოი, რა არ მოვიგონეთ! მგონი ბლუ-
მინგდეილის მალაზია იყო. ფეხსაცმე-
ლების განყოფილებაში შევედით; უსამ-
ველოდ მალაყელიანი ფეხსაცმელები
რომია, ვითომ ის უნდოდა ფიბის. აი
მილიონი თასმის გასაყრელი ნახვრეტი
რომ აქვს. გავაგიყეთ საწყალი გამყიდ-
ველი. ოცი წყვილი მაინც მოირგო ფი-
ბიმ და იმ საწყალმა ბიჭმა ოცჯერვე
ბოლომდე შეუკრა თითო ცალი ფეხსაც-
მელი. ძალიან ბინძური ხუმრობა იყო,
მაგრამ ფიბი პირდაპირ გიყდებოდა.
ბოლოს ერთი წყვილი მოკასინები ავირ-
ჩიეთ და დავავალეთ, შინ გამოვზავ-
ნით. დიდებული გამყიდველი გამოდგა.
მე მგონი, მიხვდა კიდევ, რომ თავს

ვიგდებდით, იმიტომ რომ ფიბი განუ-
წყვეტლევ ხითხითებდა.

ერთი სიტყვით, მივედიოდი და მკვ-
დიოდი მეხუთე ავენიუსზე, არც ყელ-
სახევეი მეკეთა და არც არაფერი. უცებ
უცნაური რაღაც დამემართა. კვარტალს
რომ გავივლიდი და მეორე მხარეზე გა-
დასასვლელად იმ ოხერ ქუჩაზე გადავი-
დოდი, ყოველთვის ისეთი გრძნობა მო-
მიცავდა, თითქოს მეორე მხარეს გადა-
სელას ველარ ველირსებოდი. ასე შეგო-
ნა, ვეშვები ქვეით, ქვეით, სულ ქვეით
და კაციშვილი ველარ დამინახავს-მეთქი.
პოი ბიჭო, რა დაეფეთდი! ვერც კი წარ-
მოიდგენთ. ისევ ოფლი დამასხა, პერან-
გი და საცვლები სულ გასაწური გა-
მიხდა. და უცებ რაღაც მოვიგონე.
კვარტალის ბოლოს რომ მივეუახლოვე-
ბოდი, წარმოვიდგენდი, თითქოს ელის
ველაპარაკებოდი, ჩემს ძმას. „ელი, ხე-
ლი მომაშველე, არ ჩავეარდე! ელი,
ხელი მომაშველე! ელი, ხელი მომაშვე-
ლე! შენი ჭირიმე, ელი!“ ხოლო მეორე
მხარეს რომ მივალწვდი მშვიდობიანად,
მადლობას გადავუხდიდი ხოლმე. გავც-
დებოდი მეორე კვარტალს და ისევ თა-
ვიდან ვიწყებდი. მივედიოდი და მივედიო-
დი. მგონი, მეშინოდა შეჩერებისა...
მართალი გითხრათ, კარგად აღარ მახ-
სოვს. მესამოცე ავენიუსზე ისე გავედი,
ისე გავედი ზოოპარკს და ყველაფერს,
ერთხელაც არ შევჩერებულვარ. აქ კი
სკამზე ჩამოვჯექი. სულს ძლივს ვი-
თქვამდი. ოფლი წურწურით ჩამომდიო-
და. მახსოვს, მთელი ერთი საათი ვიჯე-
ქი. ბოლოს, ვიფიქრე, ვიფიქრე და გა-
დავწყვიტე. აქაურობას გავცლოდი.
აღარც შინ დავბრუნებულყავი და
აღარც სხვა სკოლაში შევსულიყავი.
მარტო ფიბის ვნახე, გამოვემშვიდო-
ბები, საშობაო საჩუქრების ფულს და-
ვებრუნებ და შარაზე გავალ, დიდ ავ-
ტომანქანებს გადავეყრები, ჩაუჯდება
და იალა, დასავლეთისკენ მოვუსვამ-
მეთქი. ჯერ პოლანდ-ტანელში ჩავალ,
ავუწვებ ხელს მანქანას, ჩაუჯდება და
გავსწევ. მერე სხვა მანქანას ავუწვებ
ხელს და გზას გავაგრძელებ, კიდევ სხვა

მანქანას, კიდევ... და რამდენიმე დღე-ში შუაღულ დასავლეთში ამოვყოფ თავს. მშვენიერი სამყოფელია, მზე კამკამებს, კაციშვილი ჩემი მცნობი არ არის. რამე საქმეზე მოვეწყობი. ბენზინის საწყობებში სამუშაოს როგორ ვერ ვიშოვი-მეთქი, ვფიქრობდი. გამოივლის ხალხი მანქანებით, ჩავუსხამ ბენზინს და გავუშვებ. ფეხებზე მეკიდა, რა სამუშაოც იქნებოდა! მთავარი ის იყო, არც მე ვეცანი ვინმეს, და მეც არავინ მეცნო. ყველაზე კარგი იქნებოდა, თავი ყრუ-მუნჯად გამესაღებინა. ხალხთან ყოველგვარ სულელურსა და უსარგებლო ლაქლქს თავს დაეაღწევდი. თუ ვინმეს რამე დასჭირდებოდა, ქალაქს აიღებდა, დამიწერდა და მომიცემდა. ბოლოს და ბოლოს ეგეც მობეზრდებოდა და სულ გავთავისუფლდებო, ჩემს დღე-ში აღარ დამჭირდება ლაპარაკი. ყველას გაუბედურებული ყრუ-მუნჯი ნაბიჭვარი ვგონივარ და კაცი არ მაქცევს ყურადღებას. ვუსხამ ბენზინს თავიანთ ბითურულ მანქანებში, ჯამაგირს ვიღებ, ფულს ვაგროვებ, სადმე ქოხს ავიშენებ და იქ გავატარებ მთელს ჩემს სიცოცხლეს. ქოხს ტყის ნაპირას დავიდგამ, შიგ ტყეში არა, რადგან სულ მზეში მინდა ვიყო. საჭმელს მე თვითონ მოვიმზადებ. უფრო მოგვიანებით კი, ცოლის შერთვა თუ მომიხდა, გამოეძებნი ვინმე ლამაზ გოგოს, ჩემსავით ყრუ-მუნჯს, და შევირთავ. ისიც ჩემთან ერთად იცხოვრებს ქოხში, და რამეს თქმა თუ დასჭირდა, მანაც სხვებივით ქალაქზე უნდა დამიწეროს. ბავშვები თუ გავვიჩნდა, სადმე გადავმალავთ. წიგნებს ვუყიდი და ჩვენ თვითონვე ვასწავლით წერა-კითხვას.


ამას ვფიქრობდი და თან საშინლად ველავდი. მეც ვიცი, რომ ყრუ-მუნჯობის მოგონება სიგიჟეა, მაგრამ ფიქრი მაინც მსიამოვნებდა. დასავლეთისკენ გამგზავრება კი მტკიცედ გადავწყვიტე. ოღონდ ჯერ ფიბის უნდა გამოვმშვიდობებოდი. უცებ ვიშვირე ფეხი და გიჟივით შუა ქუჩაში გავიქერი — მართალი თუ გნებავთ, კინალამ თავი

გავწირე — მეორე მხარეს ვადავდი. საკანცელარიო ნიეთებზე (ქვედაპლანში შევევარი და ბლოკნოტს — ჯამაგირი ვიყიდე. მინდოდა მიმეწერა — გამო-სამშვიდობებულადა და საშობაო საჩუქრების ფულის უკანვე დასაბრუნებლად სად შევხედროდი. ამ წერილს სკოლაში მივიტანდი და კანცელარიის თანამშრომელს ფიბისთან გავატანდი. მაგრამ ისე ვიყავი აღელვებული, რომ მალაზიაში ველარ მოვახერხე დაწერა. ბლოკნოტი და ფანქარი ჯიბეში ჩავიდე და, რაც ძალი და ღონე მქონდა. მისი სკოლისკენ გავქანდი. მინდოდა მიმესწრო, მანამ შინ წავიდოდა სასაუზმოდ, დრო კი ცოტაა იყო.

რალა თქმა უნდა, მისი სკოლა ვიცოდი: მე თვითონვე იქ დავდიოდი პატარაობისას. სკოლაში რომ მივედი, რალაც უცნაური გრძნობა დამეუფლა. არ მეგონა შიგნითა მოწყობილობა თუ მესმოებოდა, თურმე მშვენიერად მახსოვდა. ისევ ისე დამხვდა ყველაფერი, როგორც დავტოვე. იგივე დიდი სპორტული დარბაზი, ოდნავ ჩაბნელებული, ფანრებზე შემოხვეული მავთულის ბადურები, რომ ბურთი არ მოხვედროდა და ნათურები არ ჩამეტვრია. იატაკი ძველებურადვე თეთრი სათამაშო წრეებით მოხატული. იგივე კალათბურთის რგოლები უზადოდ — მარტო ფიცრები და რგოლები.

კაცის ვაჭანება არ იყო — ალბათ იმიტომ, რომ მეცადინეობა მიმდინარეობდა და საუზმის შესვენება ჯერ არ დაწყებულიყო. მარტო პატარა ბავშვს მოგვარი თვალი, ზანგის ბიჭს. საპირფარეშოსკენ მიცუნიცულებდა. ჯიბეში ხის ნომერი მოუჩანდა, — სწორედ ისე, როგორც ჩემს დროს, — ეს იყო საპირფარეშოში წასვლის ნებართვა.

ოფლი ახლაც მომდიოდა, მაგრამ ისე ძალიან აღარა. კიბესთან მივედი, პირველივე საფეხურზე ჩამოვჯექი და ჯიბიდან ბლოკნოტი და ფანქარი ამოვიღე. კიბეს ახლაც ისეთივე სუნი ასდიოდა, როგორც ჩემსობას. თითქოს ახლა-



ხანს დაესვლენინოს ზინმეს. ყველგან ასეთი სუნი აქვს ხოლმე სკოლის კიბეებს. ერთი სიტყვით, დავჯექი და დაეწერა:

ჩემო ფიბი,

ოთხშაბათამდე ველარ დაეციდი, ალბათ დღეს საღამოსვე გავსწევ დასავლეთისაკენ. პირველის თხუთმეტზე, თუ მოახერხებ, ხელოვნების მუზეუმის შესასვლელთან დამხვდი, შენი საშობაო საჩუქრების ფული უნდა მოგცე. ბევრი არ დამიხარჯავს.

შენი

პოლდენი.

მუზეუმი იქვე იყო, სკოლასთან ახლოს, სასაუბროდ შინ წასული ფიბი სწორედ წინ ჩაუვლიდა. ასე რომ იმედი მქონდა, უსათუოდ შევხვდებოდი.

კიბეებს კანცელარიისკენ ავუყვები. მინდოდა ვინმე შენახა და ფიბისთან წერილი გამეტანებინა. ათად მაინც დავკეცე ქაღალდი, რომ არავის გაეხსნა. ამ ონერ სკოლებში ვის უნდა ენდოს კაცი! მაგრამ ვიცოდი, რომ ძმის წერილს უსათუოდ ვადასცემდნენ.

კიბეზე რომ ავდიოდი, ისევ ამერია გული, წამაღებინებს-მეთქი, ვიფიქრე. მაგრამ არაფერი მომსვლია. წამით საფეხურზე ჩამოვჯექი და გამიარა. საფეხურზე რომ ვიჯექი, ისეთი რამე დავინახე, ლამის გავგიჟდი. შენი ასე და ისეო, ვილაყას დაეწერა კედელზე. ცოტას გაწყდა, ჰკუა არ დავკარგე. წარმოვიდგინე, როგორ წაიკითხავდა ამას ფიბი, ან სხვა პატარა ბალები. გაუკვირდებოდათ, ნეტა რას ნიშნავსო. მერე ვილაყ ბინძური ბიჭი გამოჩნდებოდა და ეტყოდა, რასაც ნიშნავს. დაწყებენ მერე ამაზე ფიქრს და ვინ იცის, მთელი ორი დღე მოეშხამოთ. მინდოდა, ერთი წამეხრაო ამის დამწერი. ალბათ ვინმე გაფუჭებული არამზადა იყო, ღამით მოსამარდად შეიპარებოდა სკოლაში და მერე ამას წააჯღაბნიდა კედელზე. წარმოვიდგინე, როგორ ჩავაგლებდი ხელს, თავს ქვაზე მივახეთქებინებდი, სისხლში ამოვთხვრიდი და იქვე გავათავებდი. მაგრამ ისიც ვიცო-

დი, რომ საამისოდ ვაეკაცობა არ შეუფოფოდა. წინასწარვე ვიცოდი, რომ ვაიფიქრე, კიდეც უფროსი მოვიწყობოდა მართალი თუ გინდათ, ამის წაშლა კი ვერ გავბედე. შემეშინდა, ვინმე მასწავლებელი დამინახავს წაშლის დროს და ჩემი დაწერილი ეგონება-მეთქი. მაგრამ ბოლოს მაინც წავშალე. მერე ისევ კანცელარიისკენ გავსწიე, ზეით.

დირექტორი არსად სჩანდა, საბუღალტრო მანქანას კი ვილაყ ასი წლის დედაბერი უჯდა. მე-4—„ბ“ კლასელი ფიბი კოლფილდის ძმა ვარ-მეთქი, ვუთხარი, და ვთხოვე ეს წერილი გადაეცათ. ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა-მეთქი, ვუთხარი, დედაჩემი აუად გახდა და საუბრე ვერ მოუშნადა, ახლა მე უნდა წავიყვანო სასაუბრეში-მეთქი. კეთილი დედაბერი გამოდგა. ბარათი გამომართვა და მეორე ოთახიდან ვილაყ ქალს გამოუძახა. იმას გაატანა ფიბისთან. ამ ასი წლის დედაბერმა კი საუბარი გამიბა. კეთილი ქალი იყო და ვუამბე, ჩვენ სულ ამ სკოლაში დავდიოდით-მეთქი — მეც და ჩემი ძმებიც. ახლა სად სწავლობთო, მკითხა. პენსიონი-მეთქი, ვუბაღსუხე. პენსი ძალიან კარგი სკოლააო. ძალიანაც რომ მდომოდა, მაინც ვერ მოვახერხებდი მის ჰკუაზე მოყვანას. თუ კარგი სკოლა ჰგონია პენსი, ეგონოს, მე რა შენაღვლება! ასი წლის ადამიანის გარდაქმნა იქნება?! არც მოგიმგნს. ცოტა ხნის შემდეგ გამოვემშვიდობე და წამოვედი. სასაცილო კი იყო — ბებერი სპენსერივით მომადანა „გზა მშვიდობისაო!“ ღმერთო, რა საშინელებაა, როცა სადმე მიდიხარ და — „გზა მშვიდობისაო“, მოგამხებენ.

დაბლა მეორე კიბით დავეშვი და ახლა სხვა კედელზე დავინახე წარწერა — შენი ასე და ისეო. ამისი წამლაც ვცადე, მაგრამ დანით თუ რაღაცათი იყო ამოჭრილი და ვერ მოვახერხე. ან კი რა აზრი ჰქონდა. მილიონი წლის სიცოცხლეც რომ გქონდეს, რაც ჰყვანაზე „შენი ასე და ისე“ წერია, იმის ნახევარს ვერ წაშლი. ყოვლად შეუძლებელია.

სპორტდარბაზში საათს შევხედე. თორმეტს ოცი აკლდა. ფიზისთან შეხვედრამდე დრო ბევრი მქონდა, მაგრამ მაინც მუზეუმისაკენ ვავემართე. ან კი სად უნდა წავსულიყავი. ერთი პირობა კი ვიფიქრე, მანამ დასავლეთისკენ ვავეწედე, მოდი ჯეინ ვალაპერს დავუჩვენებ-მეთქი, მაგრამ ამის ვუნებაც არ მქონდა. ჯერ ერთი, დანამდვილებით არც ვიცოდი, ჩამოსული თუ იქნებოდა საშობაო არდადეგებზე. ასე რომ, პირდაპირ მუზეუმისკენ ვავსწიე და იქ დავერჩევი.

მანამ მუზეუმის შესასვლელში ვიდექი და ფიზის ველოდებოდი, ორი ბავშვი მომადგა — მუმიები სად არის, ხომ არ იცითო, მკითხეს. ერთ მათგანს, სწორედ იმას, მე რომ გამომელაპარაკა, შარვალი გახსნილი ჰქონდა. ვუთხარი, ასეა საქმე-მეთქი, და ისიც იქვე შეუდგა შეკვრას — თან მელაპარაკება და თან იკრავს, იმითაც კი არ შეუწყუბებია თავი, რომ ბოძს მაინც ამოფარებოდა. მომსპო კაცი. სიცილი ძლივს შევიკავე — შემეშინდა, ისევ არ ამერიოს გული-მეთქი.

— ჰა, სადა აქვთ ეს მუმიები? — ისევ ჩამეკითხა ბავშვი, — არ იცით?

მოდი, ცოტას გავამასხარავებ-მეთქი, ვიფიქრე.

— მუმიებიო? მუმიები რა არის? — ღკითხე მე.

— როგორ არ იცით. მუმიები — რომ მოკვლებიან და მერე აკუდამებში მარჩავენ.

აკუდამებშიო! მომსპო და მომათავი ვითონ, აკუდამებშიო.

— სკოლაში რატომ არა ხარტ, ბავშვებო? — ვკითხე მე.

— დღეს სკოლა არა გვაქვს, — მიპასუხა იმავე ბავშვმა, მე რომ მელაპარაკებოდა. მატყუებდა, თავი არ მომიკვდეს, ეს პატარა ნაბიჭვარი. მეც, ფიზის მოსვლამდე, საქმე არაფერი მქონია, და ვაყვევი მუმიების საჩვენებლად. ადრე თვალდახუჭული მივაგნებდი იმ მუმიებს, მაგრამ რამდენი ხანი ვავიდა, იქ აღარ ვყოფილვარ.

— ასე მაგრად გაინტერესებთ მუმიების ნახვა? — ვკითხე მე.

— მაშა.

— შენს მეგობარს ენა არ აქვს?

— სადაური მეგობარია — ძმა არის ჩემი.

— მერე მუნჯია?... — იმას გადავხედე, ხმას რომ არ იღებდა, — ლაპარაკი არ იცი, ბიჭო?

— როგორ არ ვიცი, — მითხრა მან, — არ მინდა და არ ვლაპარაკობ.

ბოლოს მივაგენით მუმიების ოთახს და შევედით.

— ის თუ იცით, ეგვიპტელები თავიანთ მკვდრებს როგორ მარხავდნენ? — ვკითხე იმ ერთს.

— ნწუ.


— უნდა იცოდეთ. ძალიან საინტერესოა. აიღებდნენ რამე ქსოვილს, რაღაც სითხით გაყენთავდნენ და სახეზე დააფარებდნენ. მერე წაასვენებდნენ და თავიანთ აკლამებში დამარხავდნენ — ათასი წელიც რომ გასულიყო, არც გაიხრწნებოდა და არც არაფერი. ეგვიპტელებს გარდა, არავინ არ იცის ამის გაკეთება. თანამედროვე მეცნიერებამაც კი არ იცის.

მანამ მუმიების განყოფილებაში ვახვიდოდი უნდა გავგელო ძალიან ვიწრო გასასვლელი ოთახი, რომლის კედლები ფარაონის სამარხიდან წამოღებული ქვის ფილებით იყო მოპირკეთებული. კაი. მაგარი შესაშინებელი ადგილი იყო და შევატყე ამ ჩემს გულად ბიჭებსაც წაუხლათ საქციელი. მაგრად მომეკრნენ და იმ ერთმა, ხმას რომ არ იღებდა, სახელოშიც ჩამქვიდა ხელი.

— წავიდეთ, — უთხრა ძმას, — ყველაფერი ვნახე. წამო, წავიდეთ. — მიტრიალდა და გაიქცა.

— მშიშარაა, ერთ მიღზე გაურბის ყველაფერს, — მითხრა მეორემ. — მშვიდობით! — და ისიც გაშა.

მარტოკა დავრჩი ამ სამარხში. მესიამოვნა კიდევ — სიწყნარე იყო, სიმყუდროვე. და უცებ... თქვენს დღეში ვერ მიხვდებით, ისეთი რამე დავინახე. კედელზე. ისევ „შენი ასე და ისე...“ წი-



თელი ფანქრით თუ რალაცათი დაეწე-
რათ, ზედ შუშის ყუთს ქვეშ, ქვაზე.

მთელი უბედურებაც ეგ არის. რამდენ-
ნიც არ უნდა ეძებო, მყუდრო და წყნარ
ადგილს ვერ ნახავ. ასეთი ადგილი არ
არსებობს. იქნებ მოგეჩვენოს, ვნახეო.
მაგრამ მანამ იქამდე მიადწევდე, გამო-
ძვრება ვინმე ნაბიჯვარი და ზედ ცხვირ-
წინ დაგიწერს „შენი ასე და ისეო“...
იქნებ თვითონვე ნახეთ და დარწმუნ-
დით. ზოგჯერ ვიფიქრებ ხოლმე — მოე-
კვდი უკვე, დამარხებს, გულზე საფლა-
ვის ლოდი დამადებს, ზედ ამოსჭერს
„ხოლდენ კოლფილდი“, ქვეშ — რომელ
წელს დავიბადე, როდის გარდავიცვალე.
და ამეების ქვეშ — „შენი ასე და
ისეო...“ მიაწერენ. ნამდვილად ასე იქ-
ნება.

მუმიების განყოფილებიდან რომ გა-
მოვბრუნდი, პირდაპირ საპირფარეშოს-
კენ გავქანდი. უკაცრავად სიტყვაა და,
კუჭი ამეშალა. მაგრამ დიდად არ შევეუ-
წუხებოვარ ამ კუჭის აშლას — სხვა რა-
მემ შემაწუხა. საპირფარეშოდან გამოს-
ვლისას, ზედ კარებთან, გული შემიღონ-
და. ბედი ჩემი, კარვად გადავჩი. ხომ
შეიძლებოდა იატაკზე დამერტყა თავი
და იქვე გავთავებულყავი. კიდე კარგი,
მხრით დავეცი. უცნაური ამბავი შემემ-
თხვა. გულის შეღონების შემდეგ უფრო
კარვად ვიგრძენი თავი. ნამდვილად. ხე-
ლი კი ვიტყინე დაცემის დროს, მაგრამ
სამაგიეროდ თავბრუსხვამ გამიარა.

პირველის ათი წუთი იყო და გარეთ
გამოვბრუნდი. შესასვლელში დავეუწყე
ფიბის ლოდინი. ვაი თუ უკანასკნელად
უნდა ვნახო-მეთქი, ვფიქრობდი. ფიბიც
და ყველა ჩემიანიც. ნახვით იქნება კი
ვნახო ოდესმე, მაგრამ ვინ იცის, რო-
დის. მანამ ორიდათხუთმეტი წლისა არ
გავხდები, იქნებ არც ჩამოვიდე—ვინმე
ავად თუ შეიქნა და სიკვდილის წინ მრ-
მინატრა, თორემ ისე არასდიდებით არ
მივატოვებ ჩემს ქოხს, და არ წამოვალ.
წარმოვიდგინე კიდეც, როგორი იქნე-
ბოდა ჩემი ჩამოსვლა. ეს ხომ ნაღია,
რომ დედაჩემი საშინლად ალეღდება და
ტირილს მორთავს, ხვეწნას დამიწყებს,

შინ დარჩი, იმ ქოხში ნულარ დაბრუნ-
დებო, მაგრამ მაინც წავალ. მგერომ
გაჯიქდები, მტრისას! დედას-დავამწე-
დებ. მერე სასტუმრო ოთახის მეორე
კუთხეში მივალ, ჯიბიდან სათუთუნეს
ამოვიღებ და პაპიროსს გავაბოლებ ცი-
ვად და გულგრილად. ყველას მივიპა-
ტიებ — თუ მოგეგუნებოთ მეწვიეთ-
მეთქი, მაგრამ ხვეწნას არ დაუწყებ.
ამას კი მოვაწყობ, რომ ფიბი მეს-
ტუმროს ხოლმე ყოველ ზაფხულ, და
საშობაო არდადეგებზე. სააღდგომო-
დაც. ზოგჯერ დ. ბ.-ც მეწვიოს, თუ
უნდა, წყნარი და მყუდრო ადგილი თუ
დასჭირდება სამუშაოდ, მაგრამ ჩემს
ქოხში კინო-სცენარებს არასდიდებით
არ დავაწერინებ. მარტო მოთხრობები
და წიგნები. ეს წესი უსათუოდ უნდა გა-
ვატარო—ვინც არ უნდა მესტუმროს,
არავითარ სიყალბეს ჩემს ქოხში არ მო-
ვითმენ. თუ ვინმე სიყალბეს და თვალთ-
მაქრობას მოინდომებს — იმ წუთში
ფებს ამოვაკვეთინებ ჩემი ქოხიდან.

უცებ საათს მოვკარი თვალი საგარ-
დერობოში, პირველს ოცდახუთი აკლ-
და. შიშმა გამკრა — ვაი თუ დედაბერმა
ის მეორე ქალი გააფრთხილა, წერილს
ნუ გადასცემო. ვაი თუ მაშინვე ცეცხლ-
ში ჩააგდებინა ის წერილი. მაგრად შეე-
შინდი. ძაან გულით მინდოდა ფიბის
ნახვა, მანამ გზას დავადგებოდი. რაც
მთავარია, საშობაო საჩუქრების ფული
მინდოდა დამებრუნებია.

ბოლოს, როგორც იქნა, დავინახე. მი-
ნის კარებიდან შევნიშნე. ჩემი სანადი-
რო ქუდი ეხურა და იმით ვიცანი. იმ
ქუდს ათ მილზე შენიშნავ.

გამოვედი და შესაგებებლად ქვის კი-
ბეებზე დავეშვი. ერთ რამეს ვერასდი-
დებით ვერ მივხვდი — ამოდენა ჩემო-
დანს რომ მოათრევს. ნეტა რად უნდა
ის იყო, მეხუთე ავენიუ გადმოსჭრა და
მოცოცავს, ძლივს მოათრევს იმ ოხერ
ჩემოდანს. რომ მიეუახლოვდი, ვიცანი—
ჩემი ძველი ჩემოდანი იყო, პეტრონი
ნაქონი. ოღონდ ვერ მივხვდი, რა ჯან-
დაბად უნდოდა.

— ჰეი! — შემომძახა ფიბი. სულს

ველარ იბრუნებდა ამ ოხერი ჩემოდნის თრევით.

— მე კიდევ მეწინოდა, ვაი თუ არ მოვიდეს-მეთქი, — ვუთხარი, — ამ ჩემოდანში რა ჯანდაბა გიდევს? მე არაფერი არა მქირდება. როგორც მხედავ, ასე მივდივარ. სადგურზე რომ ჩემოდნები მაქვს, ისიც კი არ მიმაქვს. მაინც რა ჯანდაბა გაქვს შიგ?

ფიბიმ ძირს დადო ჩემოდანი.

— ჩემი ტანსაცმელი, — მითხრა მან, — მეც მოგყვები. ხომ წამიყვან? ხომ?

— რაო? — ეს რომ გავიგონე, კინალამ იქვე ჩავიყეცე. ღმერთმანი. ერთბაშად თავბრუ დამესხა და ისევ გული მიღონდებოდა-მეთქი, მომეჩვენა.

— უკანა ეზოდან გამოვიბარე, რომ ჩარლინას არ დავენახე. მძიმე არ გეგონოს. ბევრი არაფერი ჩამიდგია — მარტო ჩემი ორი კაბა, მოკასინები, საცვლები, წინდები და ასეთი რაღაცეებია. ნახე! სულაც არ არის მძიმე. მოკიდე ხელი... ხომ წამიყვან? ჰა, პოლდენ? ხომ წამიყვან? შენი ჰირიმე!

— არა! ხმა ჩაიკმიდღე!

გული მიღონდებოდა-მეთქი, მომეჩვენა, თორემ როგორ დავუღრიალებდი, „ხმა ჩაიკმიდღო“. მეგონა, ეს არის გული მიღონდებოდა-მეთქი.

— რატომ არ მიგყევარ? შენი ჰირიმე, პოლდენი!.. განა ხელს შეგიშლი—წამოგყვები და ვიქნები ჩემთვის! შენ თუ მეტყვი, ამ ტანსაცმელსაც არ წამოვიღებ... მარტო ერთ...

— არაფერსაც არ წამოვიღებ. და არსადაც არ წამოხვალ. მარტოცა უნდა წავიდე. ასე რომ, ხმა ჩაიკმიდღე!

— წამიყვანე, პოლდენი! წამიყვანე, შენი ჰირიმე. ნახე, როგორი კარგი, ძალიან კარგი... შენ ვერც კი...

— არსადაც არ წახვალ. და კმარა, ხმა ჩაიკმიდღე! ჩემოდანი აქ მომეცი, — ვუთხარი მე. გამოვართვი. ისე მომინდა ერთი მიმეტყუება! ერთი წუთიც და, ასე მგონია, მიმეტყუავდი კიდევ. არ გეხუმრებო.

მაგრამ ტირილი ამოუშვა.

— მე მეგონა, პიესაში გამოდიოდი. სკოლაში. ბენედიქტ არნიჰოლტი — თანაშობს-მეთქი, ვფიქრობდი, — მეთქი მე. ძალიან ბინძურად კი გამომივიდა. — რა ღმერთი გიწყურება? პიესა აღარ გინდა?

ამაზე კიდევ უფრო ამოისკვნა გული. მაგრამ მე გამეზარდა. ნეტა იმდენი იტეროს; თვალები სულ დაითხაროს-მეთქი, ვინატრე. ლამის შემძულდა. მე, მგონი, იმან უფრო გამამწარა, რომ წარმოდგენას თავს ანებებდა და ჩემთან წამოსვლას აპირებდა.

— წამოდი, — ვუთხარი მე. ისევ მუხეუმის კიბეებს აეუყვები. გადავწყვიტე ეს ოხერი ჩემოდანი, საგარდერობოში მიმებარებინა, სამ საათზე სკოლიდან გამოვივიდა და წაიღებდა. აბა სკოლაში ხომ არ წაათრევდა ჩემოდანს. წამოდი, — გაუუმეორე მე.

მაგრამ ფეხიც არ მოიცვალა, არ გამოწყვა. მე მაინც ავედი, ჩემოდანი მეგარდერობეს მივბარე და უკანვე დაებრუნდი. ფიბიმ იქვე იდგა, ტროტუარზე, ოღონდ, მე რომ ჩამოვედი, ზურგი შემაქცია. ამისთანა რამეები მისი მოგონილია! თუ მოეხუმრებო, შეგაქცევს ზურგს და მორჩა.

— მეც აღარ მივდივარ. გადავიფიქრე გაჩუმდი, რაღა ვალრივალბეს! — ვუთხარი მე. სასაცილოდ კი გამომივიდა: უკვე აღარ ტიროდა, ეს რომ ვუთხარი. მე კი მაინც ვუთხარი. — წამოდი სკოლამდე გამოგყვები. აბა! დაგაკვიანდებ!

ხმაც არ გაუცია. ხელზე წავეპოტინე. მაგრამ გამომტაცა ხელი. სახეს მართლებდა.

— ისაუბრე? — ვკითხე მე. — უკვე ისაუბრე?

არ მიპასუხა. ქული მოიხადა — ჩემი ნაჩუქარი სანადირო ქული — და სახეში მომიჭნია. მერე ისევ შემაქცია ზურგი. ლამის გავთავიდი კაცი, მაგრამ არაფერი მიმეტყუამს. ქული ავიღე და ჯიბეში ჩავიდევი.

— წამოდი-მეთქი. არ გეყურება?! სკოლამდე გამოგყვები, — ვუთხარი მე.

— მე აღარ წავალ სკოლაში.

ალარ ვიცოდი, რა მეთქვა. ცოტა ხანს უხმოდ ვიდექი.

— უნდა წახვიდე. უსათუოდ უნდა წახვიდე. წარმოდგენაში გამოსვლა არ გინდა? არ გინდა, ბენედიქტ არნოლდის როლი შეასრულო? ჰა?

— არა.

— კი გინდა. ნამდვილად გინდა. გეყოფა ახლა, წამოდი, — ვუთხარი მე. — ჯერ ერთი, მეც ალარ მივდივარ, აკი გითხარი. შინ უნდა დაებრუნდე. მიგეყვან სკოლაში და მაშინვე შინ დაებრუნდები. ჯერ სადგურში გავივლი, ჩემოდნებს წამოვიღებ და პირდაპირ...

— შე კიდევ ალარ წავალ სკოლაში. შენ რაც გინდოდეს, ის ქენი, მე სკოლაში ალარ წავალ. — თქვა მან, — ასე რომ, ხმა ჩაიკმობდე!

პირველად გავიგონე მისგან ეს სიტყვა. საშინელება იყო. ო ღმერთო, რა საშინელება იყო! შეეცინება მერჩივნა. ჩემკენ მაინც არ იყურებოდა. რამდენს წავეპოტინებოდი მკლავზე ან მხარზე, იმდენს დამისხლტებოდა ხოლმე.

— მოიხედე. არ გინდა, სადმე გავიაროთ? — ვკითხე მე, — არ გინდა, ზოოპარკში წავიდეთ? სკოლაში რომ არ გაგიშვა და ზოოპარკში წაგიყვანო, და, ანებებ თავს ამ სულელურ გაბუტვას?

არ მიპასუხა, და ისევ გავუშეორე:

— სკოლა რომ გაგაცდენინო და სასეირნოდ წაგიყვანო, არ დაანებებ თავს ამ სულელურ გაბუტვას? ხვალ ხომ პკეიანი გოგო იქნები? ხომ წახვალ სკოლაში?

— მინდა — წავალ, არ მინდა — არ წავალ! — თქვა მან. მე რე შეტრიალდა და სირბილით გადასკრა ქუჩა — არც კი მიუხედავს, მანქანები თუ მოდისო. ზოგჯერ ასე მოუვლის ხოლმე სიგაფე.

მაინც არ გამოვედევნე. ვიცოდი, რომ თავისით გამოიყვებოდა, ასე რომ პირდაპირ ზოოპარკისკენ გავსწიე. მე ბაღის გაყოლებაზე მივდევდი ქუჩას, ის კი გადაღმა მიდიოდა. იმავე მიმართულებით. ჩემკენ ერთხელაც არ გამოუხედავს. მაგრამ დანამდვილებით შემიძლია

ეთქვა. ცალი თვალი ჩემკენ ექრო და მითვალთვალებდა, საით მივდივარ. მივადექით ზოოპარკს. მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შეეწუხდებოდი, როცა ორსართულიანი ავტობუსი ჩამოიქროლებდა ქუჩაში და ფიზის ჩამოეფარებოდა. მაგრამ ზოოპარკს რომ მივადექით, გავძახე: ფიზი მე ზოოპარკში მივდივარ! შენც წამოდი! არ გამოუხედავს, მაგრამ მაშინვე მიეხვდი, რომ გაიგონა. ხოლო, როცა ზოოპარკის კიბეებზე დავეშვი, მივიხედე და ენაზე, ქუჩაზე გადმოდიოდა, ჩემკენ მოემართებოდა.

სადაველი ამინდი იღგა და მაინცაღამაინც ბევრი ხალხი არ იყო ზოოპარკში. მაგრამ ზღვის ღომების აუზთან კარგა ბლომად მოეყარათ თავი. გვერდს აუველი-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ ფიზი შედგა და ყურება დაუწყო, როგორა კეებადენენ ღომებს — ვილაც ბიჭი თევზებს უყრიდა აუზში — ასე რომ, მეც მიებრუნდი. მარჯვე შემთხვევა მომეცა. მივედი, უკან ამოვუდექი და მხარზე ხელი ჩამოვადე. მაგრამ ჩაცუქდა და დამისხლტა — თუ მოეხუტურა, ისეთი მუდოა!.. დგას და უყურებს, როგორ კეებავენ ზღვის ღომებს, მეც უკან ვუდგევარ, მაგრამ მხარზე ალარ ვადებ ხელს, არც ვეყარები, ვაი თუ გამექცეს-მეთქი. ბავშვებს რას გაუგებ! ფრთხილად უნდა იყო.

აუხს რომ მოვშორდით, გვერდზე გამოყოლა არ ინდომა, მაგრამ არც ძალიან დამშორებია. ტროტუარის ერთ კიდეც ის მიჰყვებოდა, მეორეს — მე. ვერაფერი სასიამოვნო იყო, მაგრამ წედანდელივით ერთი მილის დაშორებით სიარულს მაინც სჯობდა. პატარა სერზე ავედით და დათვებს დაუწყეთ ყურება. მაგრამ ბევრი არაფერი ყოფილა საინახავი. მხოლოდ ერთი დათვი იყო გარეთ — პოლარული დათვი. მეორე კი, შურა დათვი, არასიდიდებით არ გამოძერა თავისი ბუნაგადან. მარტო წითელი უკანალი მოუჩანდა. ჩემს გვერდზე ერთი ბიჭი იღგა, კოვბოსი ქუდი ყურებზე ჩამოეფხატა, აუტყდა მამამისს — გინდა თუ არა გამოავდეო. მე ფიზის გადავხე-

დე, მაგრამ არ გაუცინია. შტრისას, ბალღები თუ გაიბუტნენ — წარბსაც კი არ გახსნიან.

დათევებს რომ მოეშორდით, ზოოპარკიდანაც გამოვედით, გადმოვკვირით ვიწრო ქუჩა და იმ პატარა გვირაბებში გამოვძვარი, საცა ყოველთვის შარდის სუნი დგას ხოლმე. აქედან კარუსელზე დადიან. ფიბი არც ახლა იღებდა ხმას, თუმცა უკვე გვერდში მომყვებოდა. პალტოს ქამარში ჩავეკიდე ხელი, მაგრამ არ დამანება.

— ხელი აიღე, თუ შეიძლებოდეს, — კვლავ მებუხებოდა, მაგრამ ისე ძალიან აღარა. სულ უფრო და უფრო ვუახლოვდებოდით კარუსელს, უკვე გვესმოდა მუსიკაც. „ო, მარის!“ უკრავდნენ. ორმოცდაათი წლის წინათაც სულ ამას უკრავდნენ, როცა მე პატარა ბავშვი ვიყავი. სწორედ ეს მომწონს კარუსელითა — მუდამ ერთსა და იმავეს უკრავენ ხოლმე.

— მე მეგონა, ზამთრობით კეტავდნენ კარუსელს, — თქვა ფიბიმ. პირველად დამელაპარაკა. ალბათ დაავიწყდა, რომ მებუტებოდა.

— საშობაოდ გახსნიდნენ, — ვუთხარი მე.

აღარაფერი უპასუხნია. ალბათ ახლა გაახსენდა გაბუტულობა.

— არ გინდა ჩაჯდე? — ვკითხე მე. ვიცოდი, რომ უნდოდა. სულ პაწაწინა რომ იყო და ელის, დ. ბ.-სა და მე მიგვეყავდა ბაღში, კარუსელზე პირდაპირ ჭკუას კარგავდა. ვერასდიდებით ვერ მოაშორებდით.

— რალა დროს ჩემი კარუსელია, — თქვა მან. არ მეგონა თუ მიპასუხებდა, მაგრამ მიპასუხა.

— როგორ თუ რალა დროსი. მიდი, მე აქ დაგიციდი. მიდი, დაჯექი, — ვუთხარი მე. მივადექით კარუსელს. რამდენიმე ბავშვი უკვე დაჰქროდა, სულ პაწაწინა ბაღლები, მშობლები კი გარეთ ჩამომსხდარიყვნენ სკამებზე და ელოდებოდნენ. სარკმელს მივადექი, ბილეთი ავიღე და ფიბის გადავეცი. გვერდზე შედგა.

— აჰა, — ვუთხარი მე, — დამაცა —

ბარემ ეს ფულიც გამომართვი, — მისგანვე ნასესხები ფული გაუქვოდე.

— შენთან იყოს. შეშინახე მითხარა. ცოტა ხნის მერე დასძინა: — ბარემ შეშინახე, გეხევეწები!

გული მომიკვდება ხოლმე, გეხევეწებიო, რომ მეტყვიან. განსაკუთრებით, როცა ფიბი მეტყვის. ახლაც ერთიანად მოვიშალე, მაგრამ ფული მაინც ჩავიღე ჯიბეში.

— შენ არ ჩაჯდები? — მკითხა მან. რალაც უცნაურად მიყურებდა. ეტყობოდა, ისე აღარ მებუტებოდა.

— ჯერ შეგხედო, იქნებ მეორე წრეზე ჩავეჯდე, — ვუთხარი მე, — ბილეთი შენა გაქვს?

— ჰო.

— მაშ, მიდი, ჩაჯექი... მე ეგერ სკამზე ჩამოვჯდები და გიყურებ. — გამოვბრუნდი და დავეჯექი სკამზე, ფიბი კი კარუსელთან მივიდა. ჯერ ირგვლივ შემოუარა. ერთი დიდი, გაქუცული წაბლა ცხენი აირჩია და შესესუბლა. კარუსელი დაიძრა, და მე შევეყურებდი, როგორ დაჰქროდა ფიბი. სულ ხუთი-ექვსი ბავშვი იჯდა კარუსელზე, მუსიკა „თვალი კეპლით გვესებას“ უკრავდა. მხიარული ჯახური სიმღერა იყო. ბავშვები ცდილობდნენ ოქროს რგოლისათვის ჩაველოთ ხელი. ფიბიც მათ შორის, და ცოტა არ იყოს შემეშინდა, იმ ოხერი ცხენიდან არ გადმოვარდეს-მეთქი, მაგრამ არაფერი მითქვამს. ბავშვების ბუნება ასეთია — თუ მოინდომეს ოქროს რგოლისათვის ხელის ჩაველება, არ უნდა დაუშალო, არაფერი არ უნდა უთხრა. თუ ჩამოვარდებიან, ჩამოვარდებიან, თქმით კი არაფერი არ უნდა უთხრა.

კარუსელი რომ გაჩერდა, ფიბი ცხენიდან ჩამოხტა და ჩემთან მოიბრინა.

— ახლა შენც ჩაჯექი. — მითხრა მან.

— არა. მე აქედან გიყურებ. ასე ჯობია, — კიდევ მივეცი ცოტაოდენი ფული. — აჰა. ბილეთი აიღე.

ფიბიმ ფული გამომართვა.

— მე უკვე აღარ ვარ შენზე გაბრაზებული. — მითხრა მან.

— ვიცი. ჩქარა... თორემ დაიძრება.



უცებ მომვარდა და მაკოცა. მერე ხელი გაშალა და თქვა:

— წვიმს. წვიმა მოდის.

— ვხედავ.

მერე ისეთი რაშე ქნა, რომ კინალამ მომკლა: ხელი ჯიბეში ჩამიყო, ჩემი წითელი სანადირო ქუდი ამოიღო და თავზე დამახურა.

— შენ არ გინდა?

— ცოტა ხანს შენ გეხუროს.

— კარგი. ჩქარა გაიქეცი, საცაა დაიძრება. შენს ცხენსაც სხვა ვინმე დაიპერს.

მაინც არ მშორდებოდა.

— წელან მართალი მითხარი? მართლა არსად წახვალ? შინ დაბრუნდები? — მკითხა ფიბმა.

— ჰო. — მართალი ვთქვი. არ მომიტყუებია. მართლაც დაებრუნდი შინ. — აბა ჩქარა!

ფიბი გაიქცა, ბილეთი აიღო და ძლივს მიუსწრო იმ ოხერ კარუსელს. მერე ირგვლივ შემოუარა და ისევ თავის ძველ ცხენზე შესკუბდა. ხელი დამიქნია და მეც დაეუქნე ხელი.

ჰოი, ბიჭო, რა წვიმა დაუშვა! ნამდვილი კოკისპირული. დედები, მამები, ვინც იქ იყო, სულ წამოიშალნენ და კარუსელის სახურავს შეაფარეს თავი, გაწუწვისა შეეშინდათ. მე კი არც გავნძრეულვარ — კარგახანს ვიჯექი იქვე. სულ გავილუმპე. საყელო, შარვალი გასაწურავი გამიხდა. ჩემმა სანადირო ქუდმა ცოტათი კი მიშველა, მაგრამ მაინც მაგრად გავილუმპე. არაფრად არ ჩამიგდია: ფიბი ისე დაჰქროდა კარუსელზე, რომ უცებ ბედნიერად ჩავთვალე თავი. მართალი თუ გინდათ, ისეთი ბედნიერება ვიგრძენი, რომ ცოტას გაწყდა, არ ვიღრიალე. არ ვიცი კი, რატომ. ისეთი ლამაზი ჩანდა, ისე გახარებული ჩამიქროლებდა და ჩამომიქროლებდა, ისე უხდებოდა თავისი ლურჯი პალტო! ნეტა, თქვენც იქ ყოფილიყავით.

ყველაფერი გიაშბეთ, რისი თქმაც მიბლოდა. შეიძლებოდა ისიც მეამბნა, შინ დაბრუნების შემდეგ რა გადამხდა თავს, ავად როგორ გავხდი, გაის შემოდგომაზე რომელ სკოლაში მიპირებენ მიბარებას, აქედან რომ გამოვეწერები, მაგრამ, მგონი, საჭირო აღარ არის. ნამდვილად. აღარ მაინტერესებს.

ათასი ვინმე მეკითხება, განსაკუთრებით აქაური ფსიქონალიტიკოსი, მომავალ სექტემბერს სკოლაში რომ შეხვალ, სწავლას თუ მოიწადინებო. მე რომ მკითხოს კაცმა, ყოვლად სულელური კითხვაა. ჯერ არ შესულხარ და წინასწარ საიდან უნდა გაიგო, რას გააკეთებ. არ ვიციო, უნდა უპასუხო. ალბათ, მოვიწადინებ, მაგრამ წინასწარ როგორ უნდა ვთქვა. სულელური კითხვაა, მე და ჩემმა ღმერთმა.

დ. ბ. ხომ სხვებსა სჯობს, მაგრამ შეკითხვებით ისიც აღარ მაძლევს მოსვენებას. წარსულ შაბათს ერთი ინგლისელი გოგო მოიყვანა, მის ფილში უნდა გადაიღონ. დიდი კოკობზიკა ვინმე ჩანდა, მაგრამ ძალიან ლამაზი კი იყო. ქალების ტუალეტში რომ გავიდა ეს გოგო, დერეფნის ბოლოში, დ. ბ. მეკითხება, ამ ამბებზე რას ფიქრობო — მე რომ გიაშბეთ, იმ ამბებზე. აღარ ვიციოდი, რა ჯანდაბა მეპასუხნა. მართალი თუ გინდათ, მე თვითონ არ ვიცი, რასა ვფიქრობ. ახლა ვნანობ, რომ ამდენი ვინმეს ამბავი გიაშბეთ. ვინც კი ეახსენე აქ, ახლა ყველა თვალში მაკლია. თვითონ სტრედლეიტერი და ეკლიც კი. ასე მგონია, ის ოხერი მორისიც კი მომენატრა მეთქი. საოცარია. ნურავის ნურაფერს უამბობთ, თორემ მერე ყველაზე დაგწყდებათ გული.





კლიმენტი მოხიზვა

აღმხიანები და მათი საქმეები

ცხაკია და გუდაუთი ბევრ რამეში ჰგვანან ერთმანეთს. თვალწინდელი მინდვრები და სერები დაფარულან ჩაის ჩამტეხებული ბუჩქებით. აქ წლის ყოველ დროში ზაფხულია. მიდამო მწვანეში ცურავს. უბერებულ სიმწვანეში ჰილის ქედიანი ქალები ჩაის ბუჩქებს ზღაპრული პეპელებივით თავს დასტრიალებენ. თავგამოდებით მუშაობენ სიმინდის ყანებში, ზვრებსა და ფერმებში.

ორივე რაიონი მარტო პროდუქტების სიღებისათვის კი არ იბრძვის, აქ დიდად ზრუნავენ კომუნისმის მშენებელ ადამიანთა ჯანმრთელობის დასაცავად. თუ გუდაუთი ზღვის კურორტით ამყოვს, ცხაკია საქვეუროდ განთქმულია შენჯის აბაზანებით.

ლამაზი ქალაქი ცხაკია — თავისი განიერი ქუჩებით, ქვიტკირის სახლებით, ქარხნებით. ამ პატარა ქალაქში საძირკველი ჩაეუარა ქართული ხალიჩების დიდ მრეწველობას, რომელიც პირველია ამიერკავკასიაში. ეს ქართული ხალიჩები ამშვენებენ ზვენი საშობლოს მრავალი კუბის, თეატრისა და საცხოვრებელი სახლების დარბაზებს.

ქალაქის აღმოსავლეთით თუ ხალიჩების კომბინატის მიღებია ამართული, დასავლეთით აბრეშუმის ქარხანა ასვეტილა, აქ დამზადებული პროდუქცია მომხმარებელს ახარებს.

ცხაკაიელებს ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ უნდათ დასვენება, გართობა. ამის საშუალებას ხელმასავით პატარა თეატრი არ იძლეოდა, დღემა ცხოვრებამ დიდი მოედანი მოითხოვა. ამიტომ ქალაქის შუაგულში ამართეს ახალი თეატრის დიდებული შენობა, რომლის მრავალკუთხიანი კოშკი ღამით შუქურასავით ანათებს. თეატრის შენობა გარედან ლამაზია, მაგრამ შიგნიდან უფრო მომხიბლავია.

ცხაკია ბევრ რამეში ზამჯს თბილისს. ეკის მთის ერთ-ერთ მწვერვალზე ქალაქის მშრომელებმა ვალ-ბარდები გაწმინდეს, მშვენიერი წიწვიანი ხეები და ქადრები დარგეს, ვარდ-ყვავილებით გადაპრულეს ნაყოფი, ააშენეს ეს-

ტრადა, გახსნეს რესტორანი, მოაწვეს ტბილელისა და გამაგრილებელი წყლების ფარდულები. ახლა ავტობუსები განუწყვეტლავ დაგუგუნებენ ეკის გზაზე. მუშაობის შემდეგ ლაღად ისვენებენ მთის სუფთა ჰაერზე ქალაქის მცხოვრებლები. ტუფილად კი არ შეარქვენ ამ ტყე-პარკს ცხაკიას ფენიკულიორი.

მართლაც, კარგი სანახევია აქედან ქალაქი, ტუფურის ქალები, შავი ზღვა ხელისგულივით არის გადაშლილი.

II

დიდი ძალა აქვს ადამიანის გონებასა და მარჯვენას! რასაც იგი მისწვდება, ყველაფერს სიცოცხლისა და სიღამაზის შუქს შთაბერავს, გაუჩინელს გააჩენს, აუწყავებებს ააყიავებს.

ამას ბეჭედი და დასტური აღარ სჭირდება. ამა, მობრძანდით და ნახეთ ფოცხო. ცხაკიას რაიონის ეს პატარა სოფელი არაფრით არ იყო განთქმული და საქებარი, მაგრამ მისი ადამიანების შრომა და ცხოვრება რომ გონივრულად წარიმართა, სტალინის სახელობის კოლმეურნეობას რომ მონდომებული ადამიანი ჩაუდგა სათავეში, სოფელმა ფერი იცვალა, სახელი გათქვა და საქებარ-სადიდებელი გახდა.

ფოცხოელები კამიკს კამიკზე აღებდნენ, მაგრამ ლუკმა პურის ფულს მაინც თავს ვერ უფრიდნენ. ახლა მილიონებს ატრიალებენ. გუშინ რომ პური ენატრებოდა, ის კაცი დღეს ფეხით სიარულს აღარ აცდრულობს, მუშაობის შემდეგ საკუთარ „ეოლაგში“ ჩამუჯდარი თვალს წყალს აღვივინებს და გულს იხარებს.

ჩვენ რომ ფოცხოში მივედით, შუე უკვე მთებისკენ იყო გადახრილი, შუაგულ ქალაქში გვეგონა თაფი. ფართო ქუჩა, ერთმორავზე უკეთესი სახლები, გამაღი ეზოებში თეთრი შენობები, ყველად შუქი და ლამპიონები.

ეს ყველაფერი ახლა, ჩვენ თვალწინ გაეთდა. ფოცხოელებმა გადაწყვიტეს მეტი სიმინდის, ჩაის, რძის და ხორცის მიღება და კიდე-



ვად მიიღიეს ამ პროდუქტების სიუხვეს.

ამ სამ წელიწადში კოლმეურნეობის მართო ფულადმა შემოსავალმა ხუთ მილიონ მანეთს მიიღწია. როცა კოლმეურნეობის საღარიბო მილიონები დაგროვდა, ბუნებრივად, სოფელი წელში გაიშალა, ძველებურ ოდა-სახლებში ცხოვრება ვერ დაეტია. აგრესის ორსართულიანი შენობები წამოვიშეს.

სოფლის შეაგულში ქვა, კირი და აგურია დახვეწებული, ხარხოვების ტყეში კალატონები ერთმანეთს აქვზებენ: აბა, ჩქარაო. და ამ სიჩქარეში და შეჯიბრებაში საართული საართულს ემატება.

ფოცხო შენდება და მშენებებსა უბრალო უამრავლის თვალთ კი ადვილად შეინიშნავს სოფლის უჩვეული წინსვლას, როცა წინ ცოცხალი საქმე დგას, შშრალ საბუღალტერო ქაღალდებში ჩახედვა არ არის საჭირო. ეს ცოცხალი საქმე და შემოსავლის უშრეტო წყაროა, ჩაის ჭოჩორა ბუნქები ერთმეორეს ტალღებით რომ მიპყვებიან.

დიდ შრომას მოითხოვს ჩაი, მაგრამ ძირი აქვს დალოცვილი, შემოსავალიც დიდზე დიდი იცის! ფოცხოვლებმა ჩაის მოსავალი შარშან ერთთორად გააღიდეს და მართკ მისგან მრავალი მილიონი მანეთი მიიღეს.

მაფაშა ქეთელისა საქმის სიართულე და სიძნელე არა სწამს. არც დიდი ჰაანწვევებისა და ოფლისღვრის მომხრეა. ამბობს, საქმის ცოდნა არის მთავარი, თუ ჩაის ბუნქს ჭირსა და ლბის გაუგებ, მისამეღებელს დროზე მიაშველებ, ბუნქი ოქროს ულორტებს ამოიყრის და სიუხვის კალთას დაიხურტყავს.

ამიტომ იყო, მაფაშამ პირველ მცენებად დაიხსა, ჩაის მოვლა-მოშენების აგრომეცების ზუსტად შესწავლა და ახლაც, ცოდნა საქმეს რომ მიადგა, გასჭრა, ნაკლები შრომით მეტი მოსავალი მოიწია. შარშან მან ნახევარი ჰექტარი პლანტაციიდან შეიღი ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ამით კოლმეურნეობის დიდი შემოსავალი მისცა და თვითონაც 34 ათასი მანეთი და ერთი ტონა სიძინდი მიიღო.

მაფაშა დიდი ხანი არ არის, რაც კოლმეურნეობაში მუშაობს. სკოლის დამთავრების შემდეგ პლანტაციას მიაშურა, ჩაის მოყვანის საიდუმლოებებს მალე ჩააწვდა და ახლა ამ პატარა ტანის მარჯვე ქალიშვილს რაიონში ყველა იცნობს. მაფაშას ორი წლის შრომამ იმდენი ნაყოფი მოუტანა, რამდენიც მამამისისათვის მთელ სიცოცხლეში არ მოუტანია ოფლის ღვრას. მდინარე მტერისას პირას მშენიერი ოდა-სახლი წამოვიშა. ახლა მის ეზოში ორი სახლი დგას, ერთი ძველებური ფაცხა, ძველი ცხოვრებასავით ჩაშაყებულ-ჩაღამებული და მეორე ახალი, მეგრული ოდა, ახალი ცხოვ-

რებასავით წელიწადობრივი და მშენიერი.

ამას წინათ მაფაშამ კანტორიდან სტუდენტობა დატოვა, მოღარებ ხემრობით უღმრთელობაში

— იო, უჩილ, ეს ფული შენს მზითვესაც ეყოფა და კორწილსაც!

— რა ღრის კორწილია, ბიძია, უნდა ვისწავლო!

— კი შეილო, ისწავლე, შენ ისეთი გოგო ხარ, წინ წახვალ!

და მართლაც, მაფაშა წინ მიდის, ბეჯითად ეშაბდება ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე შესასვლელად.

ახლა კოლმეურნეობის კანტორის წინ, მთელ ქუჩაზე გადაჭიმულ წითელ ტილოს ნიავი ოდნე არხვეს, მზის სხივებზე იგი უფრო წითელი ჩანს და ზედ წარწერა, „ღირსეულად შევხედეთ მშობლიური პარტიის ოცდამეორე ყრილობას!“ მძლავრ მოწოდებად ეღვრს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე გრიგოლ შონია საოცარი გონების კაცია. მართალია, ნახევარი საუკუნე უყარ ჩამოიტოვა, მაგრამ ახალგაზრდული სიმკვირცხლე მანაც ჰარბად შეტანია.

...ციფრები, ციფრები — ვინ რამდენი შრომადლე გამოიმუშავა, ვინ რამდენი კილოგრამი ჩაი მოიყვანა, ან სიმინდი მოიწია და რძე მოწველა, ყველას ზეობრად გეტყვის, ქაღალდში არც კი ჩაიხედება.

გრიგოლი კამინეტის კაცი არ არის. მართალია, კოლმეურნეობის კანტორის ორსართულიანი შენობა წამოვიშა, მაგრამ იქ იშვიათად ნახავთ. მისი გული და თვალი ბრიგადებშია, მინდორში, ფერმანში, პლანტაციებში, სადაც შემოსავლისა და მოსავლის ბელი წყდება.

ჩაის შემდეგ შემოსავლის მხრივ პირველია მეცხოველეობა. გრიგოლმა ბევრი რამ გვიჩვენა ძროხების ჯიშებზე, მათს მოვლა-პატრონობაზე, იგი საოცრად სიტყვაძნეწი კაცია, მაგრამ დღეს გარტობდაც თავის ჩვეულებას უღალატა, კარგ გუნებაზე იყო, სიტყვა თავისთავად მოსდოდა.

— ჩვენს ძროხებს ვერ დავემღვრებო. შარშან „თავი გამოიდეს“, რძე არ მოგვაკლეს, თვითოეულმა ათასის ნაცვლად ათას სამას სამოცი ლიტრი მოიწველა, მაგრამ ესეც ცოტაა. მთავარია, ჯიში და კვება.

მან თითო ვაიშვირა სასილოსე კოშკებისკენ, თან ლამილით დაუშარა:

— იო, ამ კოშკშია რძე! — მართლაც, ნოყიერი საკვები წვევადობის გაღიდების წყაროა. ფოცხოვლებმა ბევრი სილოსი ჩასდეს და რძესაც ბევრს ღებულობენ.

ყველა ძროხის აქვს თავისი „ხასიათი“, მოთხოვნილება. ზოგს შშრალი საკვები უყვარს, ზოგს წვნიანი. მისი მომვლელის სიმარჯვეც იმაშია, რომ ეს საკვები შეუტრიოს და ძროხას რძის დამამზადებელ მანქანად აქციოს.

ჩამორჩენილს, ზარმაცსა და უქნარას ვერ ნახავთ ფოცხოში. ყველა შრომობს, ღიღსა და პატარას საქმე უპირავეს ხელში და სოფელიც წელში გამართულია.

ფოცხოელები უკვე დიდი ხანია გულდასმით გაეცნენ შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებს. მრავალჯერ აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი, ასჯერ გაზომეს და ერთხელ მოჭრეს, მოჭრეს და დაადგინეს: შვიდწლეულში ისე დაახვედონ პროდუქტები, რომ შათმა წლიურმა შემოსავალმა ათ მილიონ მანეთს შეადგინოს.

ფოცხოელები გუშინდელზე უკეთესად ღღეს მუშაობენ, დღევანდელზე უკეთესად ხვალ იმუშავენ, მამინ ხარკი, რძის ნაწარმი, ზაი, სიმინდი, ხილი უფრო დახვედდება.

ასეთია ფოცხო ღღეს, შვიდწლეულის ბოლოს ის შეიძვერს უკეთესი იქნება!

შვიდწლეულის პირველ წლიდან ფოცხო და ღერაფში პროდუქტების სიუხვეში ერთმანეთს უჯობობიან. ეს ორი სოფელი ერთმანეთისაგან თითქმის სამასი კილომეტრით არის დაშორებული, ერთი შუა სამეგრელოშია, მეორე — შუა აფხაზეთში, მაგრამ ეს სრულიად არ უშლის ხელს კოლმეურნეებს შრომაში შეეჯობონ ერთმეორეს. ამას წინათ სოციალისტური შეჯობარებით ნაესარი ვალდებულებათა შესაორმეშებად აფხაზეთი ჩამოვიდნენ ფოცხოში. ორმა მძლავრმა სოფელმა წლიური ნამუშევრის ნათელი სურათები ერთმეორეს გადაუშლეს. როგორც შრომისა და გამარჯვების ციფრებმა ვეიხვენეს, ორივე სოფელს კარგად უმუშავია, შვიდწლეულის ამოცანებისათვის მხარი ვაუწყობრება და ჩიის, სიმინდის, ყურძნის ბარაქა დახვევაებია.

შეჯობება გრძელდება შვიდწლეულის ბოლომდე.

ვენახით, ვინ აღმართავს გამარჯვების დროშას.

III

ცხაკიაში სიმინდი რომ დიდ პატივისცემამაშია, ეს ერთი შეხედვით იქიდანაც ჩანს, რომ რიკომის მდივანს იპოლიდო ურუშაძეს თავის კაზინეტის გრძელ მარჯვალე ბლომად ჩამოვლავებათა ტარობია. ყველა ტარო დამაგრებუელია თეთრ მუყაოზე, რომელსაც აწერია, რამდენ მარცვალს შეიცავს, რომელ კოლმეურნეობიდანაა და ვის მიერ არის მოყვანილი.

ამ ტაროებს თვალს რომ გადაავლებო, დინახავთ, თუ ვინ როგორი შრომა და ჯაფა გასწია ჩვენი დროის ყველაზე მტკიცეული საკითხის გადასაჭრელად — მარცვლეულის სიუხვის გასაღიღებლად. ზოგი ტარო გრძელია, მტკიცეუნახვერიაანი. ყოჩაღი მის მოწყვანს გულდადებით უმუშავია, ღონე და უნარი არ დაუზოგავს. ზოგი ტარო საშუალოა და ზოგიც ჩია, ცერის ოღენა. ეს ტაროები თვითონ მტკიცე-

ლებენ თავიანთი მომყვანების შრომაზე და სინდისზე.

ურუშაძემ ცეროლებმა ტაროს გახველა და მტკიცედ მიიხრა:

— წელს ასეთი არ გვექნება!

მე ყველაზე მეტად ერთი ტარო მომივიდა თვალში. ის ძალიან გრძელი არ იყო, მაგრამ თეთრი მსხვილი მარცვლები ღამაზად ქქონდა ჩაოწიწებელი, რომ იტყვიან — საევე ტაროო, ის იყო სწორედ. ეს თვალმახარა ტარო ვალიკო სამინავს მოწვეული ყოფილა. გამეხარდა. სანამ ვალიკოს გავიცნობდი, ჯერ მისი შრომის ნაყოფი ვნახე და ჩვენი ნაცნობობაც აქედან დაიწყო.

ვალიკო შედარებით ახალგაზრდაა, მზიარული. მისი განუყრელი იარაღია თოხი. ვაგანია სიხვეში, როცა სიმინდებს სული ეხუთებათ, ძიხს შემოუთოხნის ხოლმე და მოასულიერებს. როცა ეა გამწურალია, კოკისპირულს უშენს. მაშინაც თოხით ტრიალებს ყანაში, თხრილებს წმენდს და ზედმეტ წყალს გზას აძლევს. მისი თოხი მერღამ სარკესავით პრიალებს.

ვალიკო სამშობლოს დასაცავად რომ წავიდა, შინ ახლადმეორებული ცოლი და თოთი ბავშვი დატოვა.

ვაგაკის ბედმა ცოლიც ვაგაკური შეახვედრა. მარგალიტამ ყანაში ხეავი და ბარაქა დაატრიალა. მის მოვლელ სიმინდს ვერც ქარი აქცევდა, ვერც გვალვა შემავდა და ვერც წვიმა ვენებდა. სასუქითა და სარუნეთი გასაღებული დეროები უფრო ზღადად შიღდნენ ხანჯლებივით წვეტიან ფოთლებს და ერთის მაგვირად სამი-თოხი ტარო გამოქჷინდათ. ბოლოს ამ ტაროებმა იმდენი შემოსავალი მისციეს ჯარისკაცის ცოლს, რომ ის ომში გამარჯვებულ მხარს ოჯახშიც გამარჯვებული დახვედა. ეთოში ახალი ოფისახლი ამართა.

ვალიკო ისევ თავის საყვარელ მიწას დაუბრუნდა — თველათის ნოყიერ მიწას. მისი თოხისივე გაბრიალდა, ისევ გაისმა მისი ომახიანი ხმა და სამამულო ომის დამთავრების მეორე წელს სიმინდის უხვი მოსავლის შიღებისათვის შრომის წითელი დროშის ორღენით დაიმშვენა მკერდი.

ბეჯითმა მამამ შეიღებოც ბეჯითი გამოზარდა. ახლა ვალიკოს მოსწრებელი ვაგაკები უღჯანან მხარში და მამას არაფრით ჩამორჩებიან.

მარგალიტას და ვალიკოს კოლმეურნეობაში საქმე და შრომა გაუყვიათ. ცალკე-ცალკე ამუშავებენ ნავეთს და მალულად, ყოველგვარი კრებისა და ზარ-ზეიმის ვარშე ვეჯობობიან ერთმეორეს. იციან ეს ბავშვებმა, ზოგს უნდა დედამ გამოარჯვოს, ზოგს მამის დაწინაურება უნარია. ბიჭებს დედის მხარი უჭირავთ, გოგონებს მამისა. ვერ რიგდებიან, ჩხუბი მოსდით.

ვალეოს ეცინება ზეშვების სიანხლზე. მათი მოსწრებელი სიტყვა-პასუხი გულზე შექაროვით აღწება.

გადუღლებული წვიმა იცის ამ მხარეში. ცამ ერთხელ თუ მოეშვა პირი, მერე წვიმს და კაცს სახლიდან ცხვირს არ გამოაყოფინებს. ერთი კვირის თავსხმის შემდეგ ვადალო, მაგრამ ჩაბურღილი ცა ისევ მრისხანედ იბუქტებოდა. ვალეოს უამინდობა იმდენს არ აღარდებდა, რამდენსაც მეჩხერი ყანა, გამოთესვა უკვე აღარ შეიძლებოდა, გვიან იყო. გამორგვა? გამორგვა კვებაში დაუჯდა და ის-იყო შეიღებს დასახა:

— ამა, ბიჭებო, დროს ნუ ვკარგავთ, წავიდეთ ყანაში!

— ყანაში? რისთვის?

— იქ გიტყვი, წავიდეთ!

ვალეო გარეთ გავიდა, გოგონამ ქოლგა გამოუტანა.

— არ დასველდე, მამი!

— ქოლგა და ყანა? — გაეცინა ვალეოს.

სველი მიწისა და ღორბო სინდლის სუნით გაქვნილი იყო ყანა. სიმინდის ღეროებს წვეტიანი ფოთლები აეყვებოდა. ღამნაღ იღვინე, ერთიმეორეს ზურგს უშვებდნენ, მაგრამ აქა-იქ მთით და ორ-ორი ნაბნის ვაშლის ოდენა მიწა მოცდენილი იყო. ეს იყო ვალეოს დარადი. მამამ და შეიღებმა სახელოები აიკაიწეს და საღამომდე, სანამ წვიმა დაუშენდა, ორი ათასი ძირი სიმინდი დარგეს. ამ დარგულ სიმინდს ვალეომ ფოთლები შეაჭრა და მთლად საყოფადი შესახებდავი გახადა. ეს ჯერ სოფელში არავეს გაუკეთებია, ბევრს გაუყვირდა, ზოგიერთმა ჩუმად ჩაიციხა.

— დარგული სიმინდი რა ტაროს გამოიტანს.

— ტაროს თუ არა, ჩალას ზომ მინე მივიღებ.

მაგრამ არა, ვალეოს იმ ჩარგულმა სიმინდმა სწორედ კარგი, სავსე ტაროები მისცა, ზოგმა ორიც კი გამოიტანა. ვალეომ პეტტაროდან ოთხმოცდაექვსი ცენტერი კამათელივით მსხვილი მარცვალი მიიღო.

მარგალიტამ თავისი ნაწრომ-ნადავი რომ აწონ-დაწონა, ცოტა ნაყლები გამოუვიდა, მას პეტტარმა ოთხმოცი ცენტერი მისცა.

სასახელო შრომით გატაცებულ ოჯახში ხვადი და ბარაქა ტრიალებს. შრომადღებე დაწესებულ ფულსა და მარცვლების გარდა, მარტო პრემიის სახით ვალეომ ექვს ტონამდე სიმინდი მიიღო. მაგრამ ახლა, როცა შეიღწიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებასათვის სახალხო ბრძოლა გაიანებოდა, ვალეო არც თავისი ნაკვეთის მოსავალს სჯერდება და არც თავის შემოსავალს. მას მეტი უნდა!

ვალეო სამინაემ თბილისში, მესიმინდეთა

რესპუბლიკურ თათბირზე, ბევრი მოწინავე მუშაკი გაიცნო, ბევრი ნახა და მრისხანე მანს ბიძგი მისცა. წელს ის გვიარდება პეტტაროდან 105 ცენტერ სიმინდს.

ეს უბრალო სიტყვა არ არის. ვალეო სიტყვის კაცია.

სიმინდს ახლა პოეტური სახელი „მინდერის დედოფალი“ შეარქვეს. ვალეოს ოჯახი ამ დედოფალზე შეყვარებული.

IV

...იმ დღეს თამარ გოგინავას ცხაკიაში შეგვადი, ქუჩაში ლაღად მიიბნეოდა, ოდნავ ხვეული ომა ყურებთან. ჰქონდა ჩამოშლილი, მუშაობის დროს მას ფართო ფარფლიანი ტილის ქუდი ახურავს, სახე არც კი უჩანს. მუხს ერიადება, ასე დაუზოგავად რომ აცხუნებს ჩაის ღერჯად გადაბიზნებულ პლანტაციას.

ახლაც აცხუნებს მზე, მაგრამ ქუჩაში მას ძალა არა აქვს. წოწოლა ალევები და ნაბადებით დაყუღებული გუნდისხეები გამეღუღებს ჩრდილის ხალისას უფენენ.

ამ ჩრდილო შევაჩერე თამარი. კულტურის სახლში სოფლის მეურნეობის მოწინავე ოსტატთა შეკრება იყო. თამარს აქაც გაუსწრია თანამოსაქმეებისათვის, თათბირის დამთავრებისთანავე დაბაზიდან გამოსული კარგა მანძილთ დაშორებია ამხანაგებს. ის შინ მიიჭაროდა.

ამ დროს მასთან ბოშა ქალი მივიდა, ძველი ნაყნობივით მხარზე ჩამოჰკრა ხელი და უთხრა:

— შენი ბედ-იღბალი ვინ არის, გეტყვი, რა მოგვლის, გეტყვი. როგორ წავა შენი საქმე, გეტყვი. ყველაფერს გეტყვი, თუ ერთი ღერი ტყუილი გითხრა, კამიკი არ მომცე! — თან შავი, მზით გარუჯული ხელი გაუწოდა.

— ამოლე ფული!

— რამდენი გინდა?

— რაც ბევრი იქნება, ჩემი სიპართლის ჯადო უფრო იმეშავებს.

— აია.

— ახლა შენი ხელიც მომეცი — ბედი და საქმე ხელის გულზე ვიწერია, მოიტა, წავიკითხო.

— არა, გამაღობთ, მე უფრო ვიცი ჩემი საქმისა! — ბოშას ზურგი შეაქცია და თან ჩაილაპარაკა, — შენი თავი მომეცა პლანტაციაში, ქუჩა-ქუჩა წაწაფს დაგაფიყვებდი.

— რა თქვი? ჩემი საშახტური არ გინდა?

— არა.

— მაშინ არც მე მინდა შენი ფული. მათხოვარი არ გეგონო!

თამარს მოეწონა ის ბოშა ქალი. მოეწონა მისი სიამავე.

— წამოდი პლანტაციაში, ერთად ვიმუშაოთ.

— შენ აგიტატორი ხარ? — ჩაეკითხა ბოშა და წავიდა.

ქუჩის ბოლოს, ქალაში, ბოშათა კარები ბო-
ლავდნენ.

— კარგი ქალია, მაგრამ გზას აცდენილა! —
ღარღიანად შენიშნა თამარმა.

გულში გავიმეორე ბოშის სიტყვები, ბე-
იღბალი ხელის გულზე გაწერილი, და თვალი
უნებურად თამარის ხელებისკენ წამივიდა. მარ-
ტო ხელები რა ბედენაა! მთავარია ცოდნა, გო-
ნება. განა ცოტა ხანს სწავლობდა თამარი ჩაის
პოვლა-პატრონობას, მის ბუნებასა და ნია-
დავს. წიგნი და ბარი ერთიმეორეს შეუთავსა-
წლის ყოველ დროს ის ზღაპრულ პეპელასავით
თავს დასტრიალებს ჩაის ბუჩქებს. სხლავს,
ნიადავს უფლებებებს, სასუქებით ალაღებს და
მერე ერთს ხასხასა დუეებს. ვეუფრებ თამა-
რის პატარა, ზორბლისფერ ხელებს, მოგრძო
წითლებს და თათქოს არ მჯერა, რომ ესენი
ტონობით ჩაის კრეფენ. მაგრამ სინამდვილეს
სად ვაქეცივი.

თამარს თავის თავზე ლაპარაკი არ უყვარს.
თავის მიღწევებზე რომ შეეკითხები, წითლ-
დება. ამიტომ სოფელში მივიკითხ-მოვიკითხე
მისი ამბავი, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ
შევრი რამ საგულისხმო მიიხარა ამ გამრჯე
ქალიშვილზე. თამარი თურმე ყველა თავის
ნაცნობ-მეგობარს, ახლადგაცნობილს თუ პირ-
ველად შეხვედრილს, პლანტაციის ეპატოცება:
მოწით, ვიმუშაოთო. მისი სიტყვა ჭრის. ბეე-
რი ქალიშვილი გვერდში ამოიყენა, თავისი
ცოდნა და გამოცდილება გადასცა და ჩაის
უხეი მოსაელისათვის ბრძოლაში აქტიურად
ჩააბა.

გოგინავეები ჩაის მოყვანის პიონერები არიან
სამეგრელოში. ამ მხარეში პირველად ვეგენი
გოგინავემ შემოიტანა ჩაი, გაახარა მისი პირ-

ველი ბუჩქები და მალე მშვენიერი პლანტაცია
შექმნა.

ჩაი ხალხმა შეიყვარა. სოფელში სოფელში
გადავიდა და მალე გვისა და უმაფთის გო-
რაკებზე მარადი ზაფხული დადგა, ზამთარშიც
კი მწვანედ ბიბინებენ პლანტაციები.

ამ პლანტაციებმა შეიღწელდის მესამე წელს
შრომა ერთი ორად დაუფასეს მეჩაიეებს.

ერთ კვირას დავრჩი ცხაკიაში. წამოსვლის
წინ რაიონული გაზეთის „ავანგარდის“ რედაქ-
ციაში შევიარე. ვნახე რედაქტორი ილო წირ-
ღვაძე, რომელსაც ჩემი იქ ყოფნის დროს
ორმოცდაათი წელი უეტსრულდა. აქედან ოც-
დაათი წელწაღია საბჭოთა პრესაში ნაყოფიე-
რად მუშაობს. რკინიგზის სადგურის დაჯავი
იყო, როცა უბრალო კორესპონდენტების ბეჭ-
დვით დაიწყო გაზეთებში თანამშრომლობა, მერე
ისწავლა, იშრომა და ახლა საკმაოდ გამოცდი-
ლი რედაქტორია. მის მუშაობას მთავრობამ
შალალი შეფასება მისცა, საქართველოს უმაღ-
ლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სიგელით დააჯილ-
დოვა.

ილო წირღვაძეს მივულოცე ორმოცდაათი
წელი. უცე ტელეფონის ზარმა გაიწკრილა.
ილოს რააკომში დაუძახეს.

— ჯერ მატარებლამდე ადრეა, დამიცადე,
ამ წუთს მოვალ.

ილომ სასიხარულო ცნობა მოიტანა. რაიონს
უყე 30 აგვისტოსათვის შეუსრულებია ჩაის
კრეფის წლიური გეგმა.

ჯერ კიდევ სექტემბერი წინ არის. ოქტომ-
ბერშიც შეიძლება მოიკრიფოს ჩაი, თუ ამინდმა
ხელი შეუწყო. ცხაკაიელები ამაყოვნე ჩაის
უხეი მოსაელით. ისინი იამყებენ სიმინდითაც.
მათ არც გულაუთელები ჩამორჩებიან!

ჭაბუკ პირიკაიძის იყავნ ქალაქნი

ჩუღმეტი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველი ზარი მოხვდა აქაურობას. ახლა აქ ეამთაღმწერლობისა და სამუზეუმო შრომისათვის არავის სკალია. დღევანდელი დღე და მომავალი ამოჩაყვებს ადამიანს. ალბათ, ვერც აიტანს მუზეუმის მუდღეროება რუსთავის ქვაფენილების ტუმსს. ხალხის მძღვერი ნაყადი შეუწვევებლივ მიედინება. მხნედ, გამიხნულად მიაბიჯებს ადამიანი. მერისმეტად საქმიანი იერი აქვს და მტოკე ნაბიჯი. უყოყმანოდ, ნამღვილად იცის, რაც სერს და სჯერა, რომ სურვილი სწორი აქვს. მოედინება ბარაქიანი ნაკადი. გზაჯვარედინზე იყოფა, ნაწევრდება, ოთხივ მსრივ იღვრება ქაელებად. რაღაც ძალიან ძლიერი, დაუდგრომელი, შეუპოვარი არის ამაში — მაჯისკემსავით!

ერთი გლობუსი არის რუსთავში, თეთრი, ნმელეთით, ცისფერი ზღვებით, ერთადერთი პირობითი ნიშნითა და წარწერით: „რუსთავი“, აქედან განიერი წითელი ბაფთი გამოდის, როგორც აორტა გულდან. შერე იყოფა, ნაწევრდება, ორივ მხრივ იღვრება ქაელებად. ზოგი დასავლეთ ევროპის ქვეყნებამდე აღწევს, ზოგი ინდოეთსა და ინდონეზიაში წყდება, არგენტინაში გადადის. ეს რუსთავის ინდუსტრიის ნაწარმის გზა და გეზია. აზოტოვანი სასუქები, ცემენტი, კოშკური ამწეები, ათი-თხუთმეტი სახის ნავლინი, ფოლადის მიღები.

შილონობით ჰექტარი ნიადაგი ნოყიერდება რუსთავის სასუქებით ყოველწლიურად.

ასეულ ათასი ეტობმეტრი მძიმე პეტონი, ჩადის ხრილოთა და ზათქით თვითმცლელი მანქანების ძარბუხდან ნავეობების ფაცრულჯნსა და საბირკელებში მარტო რუსთავში დამზადებული ცემენტის წყალობით!

თანამედროვე ტრანსპორტი, სხვადასხვა სახისა და დანიშნულების მანქანები, მოპოვებითი მრეწველობა, თუ აღმშენებლობა, უველაფერი, რაც ცივილიზაციის ეტთენილებად ითვლება — წარმოუდღვენელია ნაღლი ნაყეთობათა ვარეშე. მრგვალი, კუთხოვანი, ფერცლოვანი ლითონი, ორტყა კოჭი, შეღვარი — მარაგანაირი ზომისა, მარკისა მზადდება რუსთავში. აღმშენებლობის ქვაყთხედი და ფუჭე — საშენი მასა-

ლების ვერტიკალური ტრანსპორტირების პრობლემა — გადასჭრა ადამიანმა, ისწავლა ცათამბჯენი შენობების აგება. რამდენი ასეული ათასი ადამიანის შრომა შეცვალა რუსთავში ნაყეთობა კოშკურმა ამწეებმა, რამდენი სიკოცხლე და შემოქმედებითი ენერჯია დაზოგა და სხვა არხებში მიუშვა კაცობრიობის საყთილდღოდ.

ადამიანმა სხვადასხვა დანიშნულების მილსადენებისა და მილგაყვანილობების მეშვეობით განაბორციელა პერის, წულის, სითბოს, სიჯრილის, გაზის, საწვავი სითხეებისა და საყვების მიწოდების ურთულესი საქმე. აღმოსავლეთ ნახევარსფეროს მხოლოდ საქართველოსა და რუმინეთში აქვს უადრესად დედციტური, უმნიშვნელოვანესი ღირსების მიღების მწარმოებელი დანადგარები.

სასიკოცხლო მნიშვნელობის მქონე პროდუქციის წარმოება ჩვენს დროში უშუალოდ ტექნიკის უკანასკნელ სიტუვასთან არის დაკავშირებული. რამდენი კვლევითი ინსტიტუტი, საბაროქტო და საკონსტრუქტორო ბიურო და სხვა სამეცნიერო დაწესებულება ემსახურება რუსთავის ინდუსტრიას! რაიმე გამოკონებისა თუ გაუმჯობესების გზა, უმრავლეს შემთხვევაში, პრაქტიკული საქმიანობიდან, საამქროდან იწყება, სამეცნიერო დაწესებულებებს გავილის, ისევე საგანთა უშუალო წარმოების ადგილს უბრუნდება და თვდება იქ, სადაც ამა თუ იმ დანადგარის ათვისების პროცესი მთავრდება, თუ კვლავ არ იჩინა თავი შემდგომი გაუმჯობესების საჭიროებამ და, მამსადამე, იღვამ.

საამქრო ათასობით ელექტრომრავს, მექანიზმს და ავტომატს შეიცავს. ადამიანივით გონიერი მანქანები ერთდროულად ათ, ოც, ას ადგილზე ასრულებენ ნაყეთობის დამუშავების ცალკეულ ოპერაციებს. როლვანებზე ნაბერწყლის სისწრაფით დადის, საამქროს ბინდს ჰკვეთს გავარვარებული ნამზადი, როგორც კარტრიდიან ამოხეთქილი მავმა.

დგას კაცი დანადგართან. გულდასმით დაყურებს მექანიზმის მუშაობას.

განიერი მხარბევი აქვს, მალალი მუბლი, კეკიანი თვალები.

იგი ფიქრობს.

ფიქრობს იმაზე კი არა, რომ სწორად შესრულდეს ოპერაცია, რიგინი გამოუვიდეს ნაყოფი. არა, ეს კაცისავე მიერ შექმნილი სხვა მექანიზმის მოვალეობაა. იგი ფიქრობს, თუ რა გზით შეიძლება დანქარდეს ნაყოფობის დამუშავების პროცესი, გაუმჯობესდეს ხარისხი, შემოირდეს ღირებულება. ამაზე ფიქრობს ეს ადამიანი — შოაზროვნე, მუშაინტელიგენტი.

დღას კაცი, თავბრუდამხვევ ტემპში, რიტმულ ხმაურში, ახლის ძიებაში ქმნის კაცობრიობის საბრძოლველს და მომავალს.

ქმნიან, გუგუნებს მარტენის საამქრო. საცუცხლეებიდან დასლტვრილი ალს ენები კედლებს უღოშინან ღუმელებს. ღარებიდან წიდა წვეთავს.

ფოლადი დნება.

ბარათის პულტებიდან ხელსაწყოები იფურცებიან შევთვითი თვალბით. ციფერბლატებზე ისრები: ზოგი გაყურებულია, ზოგი მღორედ ირბევა, ზოგი შფოთავს და ძაგბაგებს. ამ ხელსაწყოებზე სწვრია ფოლადის ავიცა და კარგიცაქ არის დნობის ტენია.

სამამლამოლაპარაკედან ხმა ისმის — ლაბორატორია მეხუთე ღუმელის შემყველობაში ცვლილების საკიროებას აცნობებს მეფოლადებს.

ამოპრავდნენ ადამიანები.

ბარათის პულტზე რომელიღაც ღილაკს თითო დააწვა.

იხსნება ღუმელის კარი.

ბორჯაკს, ფეფქავს, ღვღს, მუშტის ტოლა ღვეთებს ისვრის ფოლადი. მხენეშარე ბული აწყვეტილით ეჭგება საამქროს.

მეფოლადები ვეებერთელა ნიშებით ჰყრიან ღუმელში დამატებით მასალას. მარდაღ, შეწყობილად მუშაობენ: ორი, სამი ნაბოჯი მღუღარე ფოლადის მიმართულებით, პართამდე სასე ნიშნის მძლავრი აქნევა და სპორტულ დახელოვნებამდე ასული სხარტი შემოტრიალება აბრანელი მცხენვარებისაკენ. ასე, რიგრიგობით, ერთმანეთის მყოფობით. რამოდენიმე კაცი მუშაობს, რამოდენიმე სხვადასხვა სახის მოძრაობა სრულდება ერთდროულად, მაგრამ ყოველი მათგანი ერთ სათვალავს ემორჩილება და უცნაურ კონტრაპუნქტში უღამაზეს სანახაობას ქმნის. ღუმელში მბორჯავი ფოლადი ბრძანებს ამ პლასტიკასა და ტემპს.

დამთავრდა შეტვირთვა.

ისევ დააპო შარტენის კარი ღილაკზე დაწოლილმა ცერმა.

ნიშები მიღავდნენ.

ნიშები ერთადერთი ხარვეზა ფოლადის დნობის პროცესში და კიდევ ეს ცოცხი, რომლითაც მასალის შეტვირთვის შემდეგ იატაკზე დაყე-

ნილ ფინახლს ზვეტენ, თორემ აქ სხვის ეველაფერს მექანიზმები და ავტომატები აცოცხლენ. ლურჯსათვლიანი, ოცდათხუთმეტოდე წლის კაცი ღუმელის სათვალავლოში იმზირება. სახეზე ოფლი სდის. ფიქრობს. უჯიათი, ჯიუტი იერი აქვს, თითქოს დავობს ყოველთვის, ყველასთან, ყველაფერზე. ამ წუთში ენაზე მისი მუშაობა. მარდი კაცია, მცოდნე, მტაცებელი აქვს და არტისტიზმამდე ასული ჩვევა.

ამ ნიჩხასაც ხომ მექანიზმი შეეცდის ახლო მომავალში და წვა საამქროდან ეს მშვენიერი სანახაობა — დამატებითი მასალის შეტვირთვის პროცესი.

ძლიერ ემოციური, დიდი გამოსახველობითი უნარის მქონე რამ არის მღუღარე ფოლადისა და მომუშავე ადამიანის დაპირისპირების სურათი. შეიძლება რითიმე იმ დიდი მნიშვნელობისა და შინაარსის უმახვილესად გამოსახვა, რომელსაც ღუმელიდან უშველებულ ბაღიაში გამომდინარე მოვარავარე, ნაპერწყლოვანი ფოლადი შეიცავს?

კაცი მობრუნდა. სათვალე შუბლზე იტანა. ერთი შემომხედდა და გასწია სწრაფი, მოფლუნუნე ნაბიჯით.

— ვინ არის ეს კაცი? — ევეთხები ჩემს მეგზურს.

— მეფოლადე გიორგი ჩაჩანიძეა. ოსტატად იყო, ოთხი ღუმელი ეხარა. მიანება თავი. ამ ერთ, მეხუთე ღუმელზე ვადმოვიდა მეფოლადე.

— ოსტატად იყო? მეფოლადე... რატომ?

— რატომ? — ფიქრობს ჩემი მეგზური, პასუხს ეძებს — რა ვიცი, დაუდევარი კაცია, ბრაზიანი!

— ბრაზიანი?

— ჰო, ისეთია... ამ ღუმელმა შარშან თორმეტი ათასი ტონა ფოლადი დაგვავლო. ვერც ამ წლის დასაწყისში ათეიდა საქმეს... მიანება თავი. აქ ვადმოვიდა.

— ახლა?

— ახლა გრაფის იცავს, ვადამეტებითაც იძლევა.

— დამალაპარაკე.

გამაცნო. ან სიტყვაქვენი კაცი იყო, ან ისეთი, ერთთავად საქმე რომ აქვთ, საითღაც მიეჩქარებოთ, მუღამ უკმაყოფილოები არიან თავისთავისა — საქმე გაუყეთებელი დამჩნაო. მიამბო პიოტრადია, ისეთივე, როგორიც აქვს ამ ათი ათას კაციანი ქარხნის ძირითად ბირთვის: სპილიზებულნი 1944 წელს, თვრამეტი წლის ასაკში. მუშაობა... ტექნიკში... დამთავრების შემდეგ ერთერთი მეტალურგიული ქარხანა სამი წლით... შემდეგ რუსთავი, ოსტატის თანამდებობა, ახლა მეფოლადეა. ცოლშვილიანი, პარტიის წევრი, საზოგადოებრივი მომუშავე.

— რატომ ვადმოვიდა მეხუთე ღუმელზე?

— მაშ ისევ ისე უნდა ყოფილიყო? თორმეტი



ათასი ტონა ხარისხიანი ფოლადი დაგვიწყ-
დათ? — შემომიტა მან.

გახეიდან ეგონე. პრესაზე, გახეიების მუ-
შაობაზე ჩამომივდო საუბარი.

— აი, სწორედ გახეიებში: ამან და ამან ამ-
დენი პროცენტით შეასრულა დავალიბაო. ეს
კარგია, მაგრამ...

მაგრამ არ მოსწონს, რომ მკითხველს არაინი
უხსნის ამ საქციელის ნამდვილ მნიშვნელობას,
იმ ნაკეთობის როლსა და დანიშნულებას, რომე-
ლიც მუშამ სამსახის მაგიერად ექვსასი გააკეთა.
გააგებინეთ, მოაგონეთ, რომ კაცი, ვთქვათ
უპანჭიკოდ, ხელპირს ვერ დაიბანდა, სამუშაო-
ზე ფეხით წასვლა მოუხდებოდა ფეხშიშვლობას.
რადგან უპანჭიკოდ არც ის მანქანა იქნება
ფეხსაცმელს რომ კერავს, არც დედამიწის
ხელოვნური თანამგზავრი, არც გუთანი და სა-
ღეწი მანქანა. მნიშვნელობა გააგებინეთ, მაშინ
ის, გახეითთ გაეცნობილი მუშა პროცენტო კ
არ იქნება, კაცი იქნება, საძირკელის კაცი.

ამას მელაპარაკებოდა, რომ რალაის მოსკო-
ლიანი. აღგლიდან მოწყდა, ბოდში მესროლა,
ამ წუთას დავბრუნდებო და მიიმალა. წუთი არ
ვასულა, იჭვე მდგომ ურეკასთან გამოჩნდა ჩა-
ქუჩით და ღოჯით ხელში.

მეც აღრევე შევნიშნე: ურეკას მსხვილი
მავთული ება ჰალზე. ბოლო გამოშვებული ჰქონ-
და მავთულს. ამ ზედმეტი ნაპრის მორტხევის
ლაშობდა ერთი მუშა. გრეხდა, აწვალბდა —
ვერაფერს ხდებოდა... ჩემმა თანამოსაუბრემ
ღოჯი მიუშარჯეა, ჩაქუჩის ორიოდ დაკვრით
მოსკოლა მავთული, იარაღი მუშას გაატანა და
ისევ ჩემსკენ გამოსწია.

— ამაში დასაძრახისი არაფერია. — მომმარ-
თა მან.

— რაში?

— იმაში, რომ მკითხველს რიგინად არ გაე-
გება უპანჭიკის მნიშვნელობა. ამის შესახებ დიწე-
რით რაიმე. კარგი იქნება. — დაამთავრა მან,
რალაც მოაგონდა და წაივიდა.

— ზომ ვითხარი, ბრახიანია. — თქვა მეც
ზურმა.

— ბრახიანი ყოფილა!

მეფოლადები კაუჭიანი ძალაყინებით შლიან
ღუმელის საცობს. ბაღია უკვე შემარჯვებუ-
ლარ, საცაა წამოვა მოვარეარე ფოლადის კველი.
მომორბებით, რეინგზის ლიანდაგზე, ბოყე-
ვით დატვირთული რონოდა დგას. ჩამოიკლება
ღუმელიდან ბაღიანი ფოლადი. ონკანი ასწევს
ამ ვეება ბაღიას, ბოყეებთან მოიტანს. ახლა
ბოყეებში გადამწილდება თხიერი ფოლადი და
ორთქლმავალი წილებს სასვე ბოყეებს შემდ-
გობი გადამუშავებისათვის სხვა სამჭროებში.

ბოყეი თუჯის სქელედლიანი კურტელია.
მაღალი, ოთხუთხედი. ჯერ კიდევ შარშანწინ
მისი სამსახურის ხანგრძლივობა ფოლადის 35-37

ჩანსებით განისაზღვრებოდა. მეტს ვერ უმალ-
და თუჯი. ამის შემდეგ ბოყეი უკონტრე მანქანო-
ში მიქონდათ. ასე ხდება მიტელ მჭრელობა
ყველგან. მარტენის სამჭროში ნიქიერი, მოუს-
ვენარი ხალხია. უბნის უფროსმა ბოყეების სამ-
სახურის გაბანგრძლივების რალაც საშუალებას
მოავნო. მუშებს გაუზიარა მოსაზრება. კარგა
ხანს იყო კამათი და ღია. ყოველღვე რაიმე
ახალი მოქონდა. ზოგი ამბებდა, ზოგი უარ-
ყოფდა, ზოგს სჯეროდა, ზოგს არა. ბოლოს
გადაწყდა: ვსინჯოთ, ვცადოთო!
სცადეს.

ბრწყინვალე შედეგი მიიღეს. ბოყეის სამსა-
ხურის ხანგრძლივობა 50 და მეტ ჩანსამდე
აეიდა. წინაწინადა გაიარა. ორი მილიონი მანეთი
დაიზოგა. ახლა ბოყეების ექსპლოატაციის აქაუ-
რი მეთოდის სხვა მეტალურგიულ ქარხნებში
დანერგვის ეკონომიური ეფექტი იანგარიშეთ!

ბოყეებთან რონოდს ზემოდან, აივანი გას-
დევს სამჭროს. იქ კარგად ჩანსმული ტანის
კაცი დგას, ბოყეებს დასცქერის, ბაღის მოსე-
ლას ელის.

— რას უყურებ? — ეკითხება მას ჩემი მეგ-
ზური.

— ამას. — კაცი ბოყეებზე ანიშნებს.

— უფრება უშველის მაგას? — ცელღტობს
მეგზური.

— უშველა უკვე — პასუხობს კაცი.

არ მოუხედა ჩემსკენ, თითქოს თაღი ვერ
გაართვა ფეჭრს. მშვიდია, ხმადაბალი.

მეგზური ილიმდა, მისხნის რა უშველა ბოყ-
ვებს უფრება და დავიარებამ: ბოყეს სარქვე-
ლი აქვს. ნამატს ეტყვიან. შიგნიდან ცეცხლგამ-
ძლე აფერის სარჩულს უყეთებდნენ წინათ.
ლითონის გაცივების შემდეგ ცეცხლგამძლე
აფერი სეცებოდა, სარჩული ზიანდებოდა, გა-
მოცვლას საჭიროებდა. ახლა ეს სარჩული თხიე-
რი წილისაგან ყეთდება და არა ცეცხლგამძლე
აფერისაგან. ამადა ნახევარი მილიონი დაზოგა.
ესეც მუშების ნახეღავია, ამ კაცის წინადაღებაა.

— თქვენ მწერალი ხართ? — მეკითხება ის
კაცი.

— ღიახ.

— იმას რას დარქმეღდით სწორი ქართუ-
ლით, რუსულად ჰქვია Барор, — კაუჭიანი
ძალაყინე მკითხება.

— ძალაყინი, კაუჭიანი ძალაყინი.

— ძალაყინი არის ათმ ეს იარაღი ძალაყინი
არ არის. „კაუჭიანი ძალაყინი“ გრძელი სახე-
ლია. მოკლედ უნდა.

წავიბორძიკე, დაფეჭრდი, შემრცხვა. ვიო-
დი, ღებრთია მოწამე, და რა არის, რომ აღარ
მაგონდება...

— ბარჯი, კვილი, ხოჭი! — მივაყარე ვახ-
რებულმა.

— ეგ ყველაფერი ნიშნავს რაღაც, იმ-
რადღეს, ვეშაპზე რომ ნადირობენ.

უხერხული სინიშე ჩამოვარდა.

— შე მაინც კვილთო დეარტვი. რაღაცას
ვეწრ, იქ შვირდება. სწორი იქნება? — მეკით-
ხება.

— ლეკსიონებში ნახეთ?

— ენახე. არველობაა. ძალი პატრონს ვერა
სცნობს. კვილთო ეხმარე, სწორი იქნება? თქვენ
როგორ იქცეობთ ხოლმე?

— თუ რამდენჯერმე დაიწერა, იქნებ შერჩეს
კიდევ ენახ-თქო.

კარგა ხანს იყო ჩუმად.

ფოლადის გადმოშვება დაიწყო, იმას შევეუ-
რებდით.

— ესამართლობა! — თქვა მან — ინტლის-
რი, გერმანული, ფრანგული წარმოშობის თერ-
მინებს ვხმარობთ. რათ უნდა იყოს ასე. ჩემი
მეოთხმოცე და მეასე წინამართი მეღითონე იყო,
იმ დროს ეს ვრები მეტაღურგიაში... „მეტა-
ღურგია“ — ეს რაღა დოხანაა. ვანა არ შეიძ-
ლება იგივე ქართულად ითქვას?

ზოდის ფოლადი. მსხვილი, ძალი კვალი
ნაპერწკლების კონებს ისერის, იესებ ბადია.
კაცი ლაპარაკობს, მშვიდად მსჯელობს. აშან
და ამისთანა კაცებმა ყველაფერი შესძლეს, იმ-
დენი, რომ მოულოდნელიც იყო მათგან. ადვი-
ლი სათქმელია, ამოღენა საქმეს მოუბეს თავი:
ქალაქი დააარსეს, ეს ინტლისტრია შექმნეს, თუ-
ჯი და ფოლადი გადმოუშვეს ღუმელებიდან.
ყველაფერს მოერიდა ამ კაცის ნიჭი, ცოლად და
მხნეობა. მოსათხოვნი აღიარებდნენ, დარჩა მის-
გან. არც სთხოვეს ვინმე რასმე და მაინც არ
ისვენებს, რაღაც წერილმანებს ჩასწიჩინებს,
ხარეუბებს პოულობს ამოწურულად აღიარებულ
საქმეში...

იუზია. საუბრის თემის შეცვლა განიზრახა.

— ნამატის მუშა-ზედამარს გრაფიტის სსნა-
როთ ეპოხადილი — თქვა მან, თითქოს ადრევე
დაწყებულ ლაპარაკი განაგრძო, — მარშალი-
ტით შევეცადეთ. ნამატის მწყობრიდან გამოს-
ვლა საგრძნობლად შემეცირდა, სხმულიდან მოხ-
სნაც ვაიოლდა. კარგი ეკონომია მოიტანა, მაგ-
რამ აქ კიდევ არის რაღაც შესაძლებლობები.
მიგებაა საქმარი.

სულ რაღაცას ეძებს, სიმონ სიხარულიც,
სამარის კარამდე ძებნასა და პოვნაში იქნება.

მილსაგლინაც საამქროსთან მივედით.

მეგზური შედგა. მიავურა.

მძლავრი, ათასმოციანი ხმადი გამოდიოდა.

— ვესმის? — მოთხრა მან — მუსიკა!

— ??

— მუსიკა. ინტლისტრიათ თავისი მუსიკა აქვს...

ჩემი მეგზური, სიკვამლის მეგობარია. ერთად
ესწავლობდით ტექნიკეში. მამამისი მზარეული
იყო. ოთხი შვილი ჰყავდა, ეს და სამი მომდევ-
ნი. არაფერი მოაკლო შეძლებისდაგვარად: მუ-


სიკაც ასწავლა, ენაც და ამასთან, ოთხთესეს
სპარტანულად ზრდიდა. გულს რეველაციებამ
შეიკლა. იმ წელს დაეამთგურქმ: ქრტიქმქმქმ-
ჯარში გაიწვეს. იომა, რვა წელი იქ იყო. ორ-
მოცდაშიდში დამბრუნდა. რუსთავენი დაიბუდა-
მას აქეთ ამ ქარხანაშია, სად რომელია აფერია —
იესს. უმაღლესი განათლება არ მიუღია, მაგრამ
წიგნი უეუარადა ბავშვობიდანვე, უმანტიარულ
საგანებისაკენ ჰქონდა მისწრაფება და მრავალ-
მზროვი ცოდნაც მიიღო წიგნიდან. დედისა და
უმცროსი და-ამის მოვლა-პატრონობას გადასჯე-
ახლა ქარხანაში მგონი არ არის საზოგადოებრივი
და პარტიული შემართვის ისეთი დარტვი, ამას
რომ ხელი არ ერის. ამასთანაში პირადი ცხოვ-
რება გამორჩა მხედველობიდან, ორმოცი წლის
კაცი უცოლშვილოა. მიხსნა: უმცროსებიც და-
ვაბინავე, ბინაც მივიღე, ახლა კი მოვიცილი,
ცოლს შევირთავ, შვილები შენატრებავო.

საოცარი. ამ უშველელე ქარხანაში თითო
საამქრო, მე რომ კომბინატად წოდებული სა-
წარმოები ვიცი, იმათვე დიდა. იქ დირექტო-
რიც არის, მთავარი ინჟინერიც. აქ საამქროს
ხელმძღვანელს საამქროს უფროსი ჰქვია, მთა-
ვარი ინჟინერს მისი თანაშემწე და იოლად ვა-
დიანი როგორღაც... ამ საამქროს უფროსის თანა-
შემწემ, ირავლი ეორადანამ, ბარე ორი საათი
მატარა. დამათვლიერებინა, ამხსნა ყველაფე-
რი, რაც მინტერესებდა. ბრგე კაცია, მარდი და,
ჩანს, თავისი საქმის კარგი მეოდნე, მიუხედავად
იშისა, რომ ოცდაათიოდე წლისაა. რამდენი
საქმე ექნებოდა; დრო არ დაინახა. მეტად თავა-
ზიანი კაცია. ეტყობა, არც პირველი ვიყავი, არც
უკანასკნელი მისი დროის წამბრთველი, მაგრამ
არაფრით შეიმჩნია. მეითხა, რა უნდა დაწე-
როთო.

— ქრთნიკალურ-დოკუმენტური ფილმის სცე-
ნარი.

გავიციან.

— ამასწინათ ენახე ერთი ასეთი ფილმი. ეკ-
რანზე ბრძმელია და თუჯი მოდიხ. დიქტორი
კი პათეტიკრად აცნობებს მაცურებებს: „მო-
დის ქართული ფოლადი! სამიოდე დღის წინათ
„ქართული ფილმიდან“ გადაამღები ჯგუფი იყო
ჩემს საამქროში. მხატვრულ ფილმს იღებენ.
მოიხდენ გამათვებელი მოწყობილობით, კიბო-
ამპრატურით, მთელი მატრიო. გადარღეს. თუდა
შეავსწარი... ვერაფერს ვიტყვი, თუ რამდენად
სწორი იყო გადაღებული კადრების კინემატო-
გრაფიული მხარე, აღნათ, ყველაფერი როგვია,
მაგრამ რაც შეეხება მსხვილი პლანებით გადა-
ღებულ მილსაგლინაც საქმეს — სრული უე-
ცობაა! შევეცადე ვეთქვა რეჟისორისთვის, ეკ-
რანზე, საქმეში ჩახედული მაცურებელისთვის
(ასეთი მაცურებელი კი მრავალია) ადვილი შე-
სამჩნევი იქნება, რომ გადაამღებს მიღების
გლინვისა არაფერი გავცემა. ერთი ისეთნარად
გადამომხედა რეჟისორმა, თითქოს მოთხრა: წაიღე,



ძმობილო, შენი საქმე ნახე! მესმის, რომ მიღების გლინვის სპეციფიკის ასახვა როდია მხატვრული ფილმის ამოცანა, მაგრამ ეკრანზე ხომ მაისც უყვლაფერი რიგზე უნდა იყოს? როცა რაიმეს ვითხვლობ ან ვხედავ, ერთი პატარა სიტყვე თუ შენიშვნა, აღარც დიდი სიმართლისა მჯერა. წვრილმანების უგულვებელყოფა არცერთ საქმეში არ შეიძლება. წვრილმანი არ არსებობს. ყველაფერი თანაბრად მნიშვნელოვანია.

მოულოდნელად ვაჩნე, ხმაერს მიყურა.

— რა იყო? — კითხვა შევხვრემა.

— მეოთხე ტრანსპორტიორია. ცუდად ხმაურობს, ალბათ, კორპუსები მოეშვა, მოჭერა უნდა.

— ჯერ ხომ არ გაფუჭებულა. რა განქარებს?

— გაელახინდარა შევხვრე.

უფროსის თანაშემწემ ნათქვამის სერაიოზულად გაგება არჩია.

— მე აქ იმისთვის ვარ, რომ მწყობრიდან არ გამოვიდეს და არა იმისათვის, რომ მწყობრიდან გამოსული შევაკეთებინო.

გამოგვეშვიდობა.

წაივდა.

— აგერ, იმ ახალგაზრდა კაცს ხედავ? ავთანდილ ლომიძეა. ხუთი წლის წინათ მოვიდა აქ. დემობილიზებული უფროსი სერკანტი იყო. უშუალოდ იმეშვა. ახლა უფროსი მგლინავია. კინდაობს ქართულს, მეორეთანრიგოსანია. წიგნი უყვარს, კითხვაზეა გადაგებული. — მაინცაა მეგზურმა.

გამაინო.

გვარი მკითხა. შეწუხდა, არაფერი წამიკითხავსო.

— ეგ ჩემი ბრალია და არა თქვენი. — გავამხნევე მე. — ერთი რამ მინდა გითხთო: როგორი წიგნი გასიამოვნებდათ, როგორი ნაწარმოების წაკითხვას ისურვებდით, რა გავგზარდებოდათ...

— მესმის, მესმის. ახლავე გეტყვით.

ცოტახანს იფუნა.

— მაგალითს გამოვიყენებ. „დიდოსტატის მარჯვენა“ ჩემი საყვარელი წიგნია. ყველაფერს სიამოვნებით წაეკითხავდი, რაც ასე მართლად იქნებოდა დაწერილი. ასე ნამდვილად. ამ წიგნში ნამდვილი ხუმროთმოძღვარია და ნამდვილი მოქანდაკე ბოდოკია. ნამდვილი მეფე და ნამდვილი კათალიკოსი და ნამდვილი მეორე მოქანდაკე, არისტოსი. მართალი წიგნია.

გამოაკა და გამახარა ამ კაცმა. უნებლად მომბოროტდა ერთი ეპიზოდი, არც თუ შორეული წარსულიდან:

პირიქითა კავასიონზე იყო ამ თხუთმეტობედ წლის წინ. სატყეო უბნის უფროსად ვიყავი. შრომითი ხელშეკრულებით დაქირავებულ მუშებს გავუსწორდი. ქართველები იყვნენ, ძველი

ხალხი, კეთილსინდისიერი, მუყაიდი მოხატემა. იცით, როგორ გაინაწილეს ფუნქციონირებზე ჩამოსხდნენ. ჯერ ასმანეთიდან დაიწყეს თაყვაცმა.

— ეს შენა, ეს შენა, ეს შენა, ეს შენ! — ასე, რამდენჯერმე, სანამ ასმანეთიანები ვთავადა.

მეუე ორმოცდაათმანეთიანები, მეტე ოცდაათმანეთიანები და ასე იქამდე, სანამ ნაშთზე არ მიღვა საქმე. აქ მე მომიშველიეს ორასორმოცდაათი, თუ ხუთი მანეთი გამოყოფინეს, თვითონ „ამდენი“ აღარ იცოდნენ.

მათი მომდევნო თაობის მუშა, მილსაგლინავი დგანების ხმაერონ, ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიულ საყობებზე მსჯელობდა.

მოსკოვში, კომუნისტური შრომის მოწინავეთა და დამკვრელთა საკავშირო თათბირზე, რუსთავის ახალგაზრდობის ინიციატივით, ჩაისახა თაოსნობა: „გადაეკეთოთ ქალაქი რუსთავი კომუნისტური შრომისა და მაღალი კულტურის ქალაქად“ რუსთავის მშრომელებმა მოიწონეს ეს სახელოვანი წამოწყება.

ყოველ ქარხანაში, ყოველ საამქროში ნახავთ ამ მოწოდებას. ყოველ ადამიანშია ეს მიზანი.

რა არ არის აღებულ ვალდებულებებში: გეგმების ვადამდე აღრე შესრულება, მილიონობით მანეთის დაზოგვა, მექანიზაცია — ავტომატიზაციის შემდგომი დანერგვა, ახალი სამრეწველო ობიექტების ექსპლოატაციაში შესვლა, ათეულ ათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართის მწყობრში შეყვანა, სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა, ახალგაზრდული კაფეების დაარსება. ქარხნების ტერიტორიების და ქალაქის ბაღნარად გადქცევა, უგამყოფელო და თვითმომსახურების საკურო დაწესებულებების შექმნა, უკონსტროქტორო კინოთეატრების შემოღება, ტრანსპორტის უკონსტროქტოროდ მუშაობა, სატაბელო აღრიცხვის გაქცევა, ხელფასის უმოლარეოდ გაქცევა, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცება, პარალელური პროფესიების შექმნა, სტუდენტთა და მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა და სხვა.

მთელი თვის განმავლობაში ვთვალეირე იქაერთობა. აღებულ ვალდებულებების შესრულება წარმატებით მიმდინარეობს. ძლიერ დიდი ახარტითა და დაყენებით იბრძვიან დასახული მიზნისათვის. ვისაც ის უზარმაზარი საქმე უნახავს, რაც უცეე ვაყეოდა, ეკვი არ შეეპარება, რომ ეს ახალი მიზანიც დაიდგევა, რუსთავი კომუნისტური შრომისა და მაღალი კულტურის ქალაქის წოდებას მიიღებს ასეო მომავალში. ეს იქნება პირველი ასეთი ქალაქი ქართულ მიწაწყალზე, ახალი ეპოქის მაინე და მასპრობელი. განა შეიძლებაოდა არ წამოჭრილიყო მიზანი რუსთავის კომუნისტური შრომისა და მაღალი

კედტერის ქალაქად გადაქცევისა, როდესაც უკვე დიდობნად იქცა ადამიანის ახალი ღირსებების ისეთი გამოვლინებები, რომელთა შესახებ უნდა უსათოდ ითქვას:

ახალგაზრდა ინჟინრებმა თბილი კაბინეტები, სასაზღველო დაფები მიატოვეს. აგრეგატებთან, ღუმელებთან, დგანებთან დადგნენ, მუშებად იქცნენ. რამდენმა ბრიგადირმა, ოსტატმა, მუშამ დასთმო გამართული, მოწინავე უბანი, ჩამორჩენილზე გადავიდა საქმის გამოსასწორებლად. ადამიანი ტოვებს ადგილს გარანტირებული საკითრო ხელფასით და ალაღებდებ მიდის იქ, სადაც, ერთმა ღმერთმა იცის, შესძლებს საქმის გამოსწორებას, წინანდელი მატერიალური დონის აღდგენას, გაუმჯობესებას? ძველ ადგილებზე ყველაფერი ჩვეული, ნორმალური კალაპოტით მიემართებოდა; ახალზე საქმე მოუწყობივებელია, მავარდნილია. ამდენი ზედმეტი ზრუნვა და გარჯა, მატერიალური მსხვერპლი და რისკი! რის გულისთვის? ხომ არავინ სთავაზობს ამას? თვითონ მოიფიქრა, თვითონვე გადაწყვიტა. ირინა, ითხოვა, ზეგმომკვანებო დაყოლია. რაშია საქმე, რატომ აიტებს ამდენი თავსატეხიანი? მოღვაწეობის ფინი, ვერგისი რეალიზაციის სურვილი, სარგებლობის მოტანის მოთხოვნილება აკეთებინებს ამას. დაიბუდეს ადამიანში ამ ღირსებებმა. საზოგადოებას — პიროვნების ნიჭი, ცოდნა, ვერგია, შესაძლებლობები. საზოგადოებისაგან — პიროვნებისთვის საჭირო, აუცილებელი სახსარი. ასეთია ამ ადამიანების სურვილიცა და საქმეც და მთავარი ის არის, რომ ასეთი სურვილი, ასეთი საქციელი — სულერიც კმაყოფილებს, საამოვნების წყარო, მოთხოვნილებად იქცა.

მეტალურგიული ქარხნის თითქმის ყოველ საამქროსთან დაარსდა „საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო ბიურო“. მუშა-მოსამსახურეების ათასობით განცხადებას რაციონალიზაციის, გაუმჯობესების, გამოგონების შესახებ განიხილავდა შემოწმება სპირდება, შემუშავება, გაანგარიშება, წარმოებაში სწრაფად, ოპერატიულად დანერგვა უნდა.

ცალკე ტექნიკური კონსულტაციის მიცემა საჭირო.

ასეთია ამ ბიუროების დანიშნულება და მთელი ამ მოღვაწეობის პრაქტიკული შედეგია შეუნელებელი ტექნიკური პროგრესი, ადამიანის შრომის შემსუბუქება და მილიონობით მანეთის დაზოგვა.

თანამედროვე ინდუსტრიაში ყოველი მექანიზმი აბაზარტო რამოდენიმე სამეცნიერო დაწესებულების ხანგრძლივი მუშაობის, ყოველმხრივი შესწავლა დაკვირვებისა და საფუძვლიანი გამოცდის შედეგია, იქნებ ვინმე მეცნიერებათა კანდიდატის თუ დოქტორის სადისერტაციო თემაც კი იყო, და უკვე იღვე ამის შემდეგ მოდის მუშა და ამბობს:

— არ არის სრულყოფილი. აი, ასე გასრულებით უმჯობესი იქნება — და მართლაც, აღმოჩნდება, რომ „აი, ასე“ აჯობს. **მეცნიერება**

ისევ ამუშავდნენ ინსტიტუტში მატერიალები, ისევ გაუმჯობესდა, ან ახალი, სხვა პრინციპზე მომუშავე მექანიზმი შეიქმნა. ალბათ, ისევ დაწერა ვინმემ სადისერტაციო თემა, მაგრამ საქმე მხოლოდ იმაში როდია, რომ ურთულეს, თითქმის სრულყოფილებამდე აყვანილ მექანიზმში გაუმჯობესების შესაძლებლობის, თუ ხარვეზის დანახვას სათანადო განათლება, განვითარება, საქმის ცოდნა, ალღო სჭირდება და ამ მუშას ეს ყველაფერი უკვე აქვს — ეს თავის თავად. მთავარი ის არის, რომ მუშას ახლის ძიება, გაუმჯობესების ენის, ის, რასაც შემოქმედება ეწოდება, სასიათის თვისებები, მოთხოვნილებად ექცა და ეს მას იური მოვლენაა, ახალი ადამიანის საყოველთაო თავისებურება. ამისი მოწმე და დასტურია ის ათასობით განაცხადი და „საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო ბიუროების“ ჩამოყალიბება.

ადამიანმა დასაბამიდან იფიქრა იმაზე, თუ როგორ უნდა ყოფილიყო მოწყობილი საზოგადოება, რომ პიროვნებაში პროგრესის სურვილი გამაჩვილებულიყო, უმჯობესი პირობები შექმნილიყო ამ სურვილის რეალიზაციისათვის, მოაზროვნედ, შემოქმედად ქცეულიყო ადამიანი. რა არ სცადა ამისათვის, როგორ არ მოაწყო ცხოვრება, რანაირი წყობა არ სინჯა. ბოლოს, ისტორიაში უმაგალითო ექსპერიმენტს მიმართა, სისხლად და ოფლად დაიღვარა, მოიშწია, მოიწყურვა, გაივირვა — მიინც მიაღწია თავისას. მოაზროვნედ, შემოქმედად, ნამდვილ ადამიანად იქცა.

ოსტატები, ბრიგადირები, უფროსი მუშები, რაციონი მუშების უმრავლესობა თავისი ცვლის შედგომამდე ნახევარი საათით აღრე მოდიან საამქროში. წესად იქცა: წინა ცვლის ახალ ამბებში ჩაბუდეა, ამხანაგების მიერ ნაცადი, თუნდ სულ მცირე სიახლის განაჩარება. ადამიანი იცლებს თავისუფალ ღროს, ნახევარი საათით მეტს მუშაობს, ვიდრე ევალება, თავისი ნებით, რაიმე და როგორიმე იძულების გარეშე. საქმის სიყვარული, ცოდნის წურვილი, პროფესიონალიზმი; პასუხისმგებლობის გრძობაა ამისი სათავე.

მარტენის საამქროს დიდ უბანზე მუშების თაოსნობით საერთოდ ვაუქმდა ტექნიკური კონტროლი და ტექნიკური ორიენტის თანამდებობები. მათ მოვალეობას თვით მუშები ასრულებენ. სინდისიერმა შრომამ კონტროლის საჭიროება მოსპო. საბრძენედ საამქროში სატაბელო დაფა ჩამოიღეს, თუნუქის ნორმები დამლაგებელის აქანდაზმა წაღო. ვაუქმდა სატაბელო სისტემა, მოსპო საშუაოზე გამოსვლის აღრიცხვის საჭიროება.

დაუშვა წინ, საბატო მიზნების გარეშე დაიგვიანო, ან არ გამოცხადდეს საშუაოზე, მიუ-

ლებელი, დაუშვებელი რამ არის. ვარიანტების სისტემა და სხვა რამ ადმინისტრაციული ზომა კი არ აკავებს კაცს — სურვილი, ბოლომდე შეგნებული პასუხისმგებლობა საზოგადოების, საქმის, ამხანაგების, თავისთავის წინაშე. ჩამოვალბდა და საბოლოოდ განმტკიცდა ადამიანში ეს შეგნება.

ინჟინერების მუშად გადასვლაში ერთი რამ არის ფრთხილ საყურადღებო: რამდენად უნდა შემცირდეს წინააღმდეგობა ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის, რამდენად უნდა დაახლოვდეს მუშისა და ინჟინერის მოვალეობების აღსასრულებლად საჭირო განვითარების დონე, რომ ადამიანი საშინაო დავას და საწერ მაგიდას დგანი და ღუმელი არჩიოს. ეს მოვლე-

ნაა და არა შემთხვევა, უდიდესი მონაპოვარია.

ხრიოკიდან ნოყიერზე გამოთქმულმა ხეხილმა იცის, გაიხარებს, მოიშხმოყვრება, დაიღვას, მოიტანს. ადამიანშიც ეს გზა აირჩია; ნოყიერ ნიადაგზე დადგა, შესაფერ ვარემოს მიაგნო, გაიხარა, მოიშხმოიარა, დოვლათი დაატრიალა — ნივთიერიც და სულიერიც.

მიღის, აჭა-იჭაა კაცი-ხამხარა, კაცი-შეკანიშვი, კაცი — ვილაყის გონებისა თუ უგუნურების ხელფები. ახალი კაცი დაიბადა, დღეისდღის ღუმე და ღედაბოძი, მომავლის მკვდელი კაცი.

კაცი — ადამიანი!

ამ ახალი კაცის ნახელავია რუსთავეც და მისი ინდუსტრიაც.



პ. მ. მახარაძე

კომუნისტური პარტიის ფუნქციონირების დოკუმენტები

სკკპ XXII ყრილობა, კომუნისტური
მშენებელთა ყრილობა შეაჯამებს პარ-
ტიის პროგრამისა და წესდების პროექ-
ტების განხილვის შედეგებს და დაამტ-
კიცებს ამ ისტორიულ დოკუმენტებს.

დებოლეზანი და დასკვნები, რომლე-
ბიც წამოყენებულია პარტიის პროგრამის
პროექტში, კანონზომიერი განგრ-
ძობაა იმ იდეებისა, რომლებიც მოგვ-
ცეს მეცნიერული კომუნისტური ფუნქ-
ციონირების — მარქსიზმისა და ენგელსისა
„კომუნისტური პარტიის მანიფესტში“
და რომლებიც შემდგომ, ახალ ეპოქაში
გამდიდრდა და განავითარა გენიალურმა
ლენინმა. ამიტომ ხალხმა ჩვენი პარ-
ტიის პროგრამის პროექტს, სავსებით
სამართლიანად, ჩვენი ეპოქის კომუნისტ-
ური მანიფესტი უწოდა. საბჭოთა
კავშირის კომუნისტური პარტიის მთელ
საბრძოლო მოღვაწეობას, მის მუშაობას
ორი ძირითადი ფუნქციონირების დოკუმ-
ენტი განსაზღვრავს — ეს არის პარ-
ტიის პროგრამა და წესდება.

ჩვენი პარტიის, მარქსისტულ-ლენინ-
ური პარტიის პროგრამა წარმოადგენს
ძირითად დოკუმენტს, რომელიც განსა-
ზღვრავს პარტიის მოქმედების მიმარ-
თულებასა და ხასიათს. იგი კომუნისტ-
ების ერთი დროის ქვეშ დარაზმების
იდეური საფუძველია, მასში ჩაწერი-
ლია ის, რაც პარტიამ მომავალ ბრძო-

ლებში უნდა მოიპოვოს. იგი აცნობს
მშრომელთა მილიონებს, როგორ დაავ-
ვირგვინებს მუშათა კლასი თავის სამკ-
ედრო-სასიცოცხლო ბრძოლას კაპი-
ტალიზმის წინააღმდეგ, რატომ არის
გარდუვალი სოციალისტური რევოლუ-
ცია, რაში მდგომარეობს მისი დედაარ-
სი და რა საკითხებს გადაწყვეტს იგი,
როგორ აწყობს პარტია კომუნისტურ
ძლიერებას გასაღებად.

პროგრამაში ჩამოყალიბებული ამო-
ცანების წარმატებით გადაჭრისათვის
პარტიას აქვს მეორე ფუნქციონირების
დოკუმენტი — წესდება. პარტიის ტაქ-
ტიკა ანუ ბრძოლის საშუალებები, ორ-
განიზაციული პრინციპები ანუ კომუ-
ნისტური პარტიის გაერთიანების ფორ-
მა ემსახურება მიზანს — წარმატებით
განხორციელებს პროგრამას. და თუ
პროგრამა პარტიის იდეური გაერთიან-
ების მტკიცე საფუძველია, წესდება პარ-
ტიის ორგანიზაციული გაერთიანების
მტკიცე ბაზაა.

პარტიის წესდებას ვ. ი. ლენინი გა-
ნიხილავდა, როგორც პარტიის ორგანი-
ზაციული პოლიტიკის განსაზღვრულ
დოკუმენტს, პროგრამასთან ერთად პარ-
ტიის ძირითად სამოქმედო კანონს —
კონსტიტუციას, სადაც ჩამოყალიბებუ-
ლია პარტიის აგებისა და წყობის ორგა-
ნიზაციული ფორმები, მისი შინაგანი
ცხოვრების სახელმძღვანელო წესები,

პარტიული ცხოვრების ურყევე კანონები, რომლებითაც ხელმძღვანელობს პარტიის ყველა ორგანიზაცია და ყველა კომუნისტი.

ვ. ი. ლენინი უდიდეს ყურადღებას უთმობდა პარტიის პროგრამისა და წესდების შემუშავებას და ახალი ტიპის პარტიის შექმნა სწორედ ამ ჩუქმედებულური დოკუმენტებით დაიწყო. იგი შემოქმედებითად ავითარებდა მარქსიზმს და უღმობლად ებრძოდა მარქსიზმის აშკარა და ფარულ მტრებს. „პროლეტარიატს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — შეუძლია გახდეს და იგი გარდუვალად გახდება კიდევ უძლეველ ძალად მხოლოდ იმის მეოხებით, რომ მარქსიზმის პრინციპებით მის იდეურ გაერთიანებას განამტკიცებს მატერიალური ერთიანობა ორგანიზაციისა, რომელიც შრომელთა მილიონებს რაზმავს მუშათა კლასის არმიად. ამ არმიას ვერ გაუძლებს ვერც რუსეთის თვითმპყრობელობის მიხრწნილი ძალაუფლება და ვერც საერთაშორისო კაპიტალის მიხრწნის გზაზე დამღვარი ძალაუფლება“ (ვ. ი. ლენინი, ტ. 7, გვ. 518).

კომუნისტურმა პარტიამ რსდმპ II ყრილობაზე მიღებული თავისი პირველი პროგრამის განხორციელების შედეგად მიაღწია შეექმნა ახალი ტიპის სახელმწიფო — საბჭოთა სახელმწიფო და ახალი ტიპის დემოკრატია. პირველი პროგრამის განხორციელების შედეგად რუსეთის მუშათა კლასი და მისი კომუნისტური პარტია გადაიქცა გადატრიალების, ძველის ნგრევისა და კრიტიკის პარტიიდან ახალი სახელმწიფოს მშენებელ, მმართველ პარტიად. რომლის წინაშე ახალი ამოცანები დადგა, ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყნის ინდუსტრიულ ქვეყნად გადაქცევისა. ამასთან ერთად პარტია ითვალისწინებდა რუსეთში სოციალიზმის მშენებლობის უდიდეს სირთულეს ქვეყნის სოციალ-ეკონომიური, ტექნიკური და კულტურული ჩამორჩენილობის გამო.

რკპ (ბ) VIII ყრილობამ 1919 წლის მარტში მიიღო პარტიის ახალი პროგრამა იმ ცვლილებათა გათვალისწინებით, რომლებიც მოხდა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიურ ცხოვრებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად. ეს იყო ძველი, ჩამორჩენილი რუსეთის ძირეული გარდაქმნის გეგმა, სოციალიზმის აშენების გრანდიოზული ლენინური გეგმა. პროგრამაში შეტანილ იქნა წინანდელი პროგრამის თეორიული ნაწილი, სადაც მოცემულია კაპიტალიზმის ანალიზი, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის, პროლეტარიატის დიქტატურის დახასიათება, პარტიის ამოცანების განსაზღვრა, აგრეთვე ის ახალი დებულებები, რომლებიც ჯერ კიდევ 1917 წელს ვ. ი. ლენინმა თავის გენიალურ „პარტიის თეზისებში“ წამოაყენა.

კლასობრივი მტრებისა და მათი აგენტურის წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლებში პარტიამ დარაზმა საბჭოთა ხალხი ლენინურ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, პარტიის მეორე პროგრამის განაღებისათვის და გიგანტური ორგანიზატორული მუშაობა გააჩაღა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოოპერირებისა და ხალხის უფართოესი მასების კულტურის ამაღლებისათვის. უახლოეს ისტორიულ ვადაში, გარედან დაუხმარებლად პარტიამ მიაღწია სოციალიზმის წარმატებით აშენებას ჩვენს ქვეყანაში. სულ რაღაც სამი ხუთწლეულის განმავლობაში (1929—1941 წლები) საბჭოთა კავშირი მოწინავე, მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაიქცა. მარქსის, ენგელსის, ლენინის წინასწარდასახულობანი წარმატებით განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში. სოციალიზმმა გაიმარჯვა არა მარტო მთლიანად, არამედ საბოლოოდაც. ვ. ი. ჩვენმა მშობლიურმა პარტიამ წარმატებით განხორციელა თავის მეორე პროგრამაც.

ჩვენი ქვეყანა შევიდა სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის ისტორიულ პერიოდში. საჭირო შეიქნა პარტიის ახალი პროგრამის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის შემუშავება.

სკკ XX ყრილობამ 1956 წლის 25 თებერვალს მიიღო დადგენილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის მომზადების შესახებ და დაავალა ცენტრალურ კომიტეტს, მოახდინოს ახალი პროგრამის პროექტი, დაეყრდნოს რა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძირითად დებულებებს, თეორიისა, რომელიც შემოქმედებითად ვითარდება ჩვენი პარტიის ისტორიული გამოცდილების, მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოცდილებისა და მიღწევების საფუძველზე, აგრეთვე გაეთვალისწინებინა კომუნისტური მშენებლობის, საბჭოთა კავშირის ეკონომიური და კულტურული განვითარების პერსპექტიული გეგმა, რომელიც იმ პერიოდში მზადდებოდა. ყრილობამ დაავალა ცენტრალურ კომიტეტს — პარტიის პროგრამის პროექტი გამოექვეყნებინა წინასწარ, პარტიის მორიგ ყრილობამდე, რათა მოწყობილიყო მისი ფართო განხილვა.

მიმდინარე წლის 30 ივლისს გამოქვეყნდა პროგრამის ეს პროექტი. რომელიც ერთსულოვნად მოწონებულია სკკ ცენტრალური კომიტეტის 1961 წლის ივნისის პლენუმის მიერ.

ახალი პროგრამის პროექტში თავის უმაღლეს გამოხატულებას და შემოქმედებით განვითარებას პოულობს მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების — მარქსისა და ენგელსის ისეთი საპროგრამო დოკუმენტების ძირითადი დებულებები, როგორცაა: „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, „გოთას პროგრამის კრიტიკა“, „1891 წლის სოციალ-დემოკრატიული პროგრამის პროექტის კრიტიკისათვის“ („ერფურტის პროგრამის კრიტიკა“), პირველი

პროლეტარული პარტიული ორგანიზაციის — „კომუნისტების კავშირის“, აგრეთვე პირველი ინტერნაციონალის პროგრამული და ორგანიზაციული დებულებები, საერთაშორისო მუშათა კლასის მთელი წინანდელი გმირული ბრძოლების შედეგები.

ახალი პროგრამის პროექტის თვითვეულ კარს წითელ ზოლად გასდევს ლენინური თეორიული დებულებების უავდავი მემკვიდრეობა, ის ახალი, რაც მარქსიზმის თეორიულ საგანძურში შეიტანეს ლენინმა და ლენინის მოწაფეებმა, ჩვენმა პარტიამ, მოძვე კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა.

პროგრამის პროექტი იძლევა ვრცელ დახასიათებას თანამედროვე ეპოქისას, რომლის ძირითად შინაარსს შეადგენს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, რაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით დაიწყო. ამ დოკუმენტში მეცნიერულადაა დასახული კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის გზები და კომუნიზმის ისტორიული გარდუვალობა. პროგრამის პროექტში ხაზგასმულია, რომ მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა მთლიანად და სავსებით მომწიფდა რევოლუციისათვის, იმისათვის, რომ ექსპლოატატორული წყობა შეიცვალოს უმაღლესი კომუნისტური საზოგადოებრივი წყობილებით. ე. ი. მოხდეს ის რევოლუცია, რომელიც წარმოადგენს კომუნისტური პარტიის მიზანს.

პროგრამის პროექტში მოცემულია მარქსისტულ-ლენინური ანალიზი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომელმაც ძირი გამოუთხარა ექსპლოატაციისა და სოციალური უსამართლობის წყობილების ეკონომიურ ბაზას რუსეთში, მოსპო მემამულური მიწათმფლობელობა, დაამსხვრია ეროვნული ჩაგვრის ბოჩკილი, საფუძველიანად შეარყია მსოფლიო კაპიტალიზმის მთელი შენობა, შექმნა ახალი მუშურ-გლეხური სახელმწიფო.

ე. ი. ლენინმა მოგვცა ღრმა მეცნიერ-

რული განჭვრეტა ახალი, პროლეტარული სახელმწიფოს პოლიტიკისა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდისათვის. პროექტში შეჯამებულია იმ სახელოვანი გზის შედეგები, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ განვლო სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როცა კომუნისტურმა პარტიამ სოციალიზმი საბჭოთა კავშირში რეალურ სინამდვილედ აქცია. ამით „კაპობრიობამ, — ნათქვამია პროგრამის პროექტში, — მიიღო რეალურად არსებული სოციალისტური საზოგადოება და გამოცდილებით შემოწმებული მეცნიერება სოციალიზმის აშენების შესახებ. სოციალიზმის მთავარი გზა გააფუძლია. ამ გზას ადგას უკვე ბევრი ხალხი, ამ გზას ადრე თუ გვიან დაადგება ყველა ხალხი“.

ჩვენი დროის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ შექმნილია მსოფლიო სოციალისტური სისტემა და იგი ადამიანთა საზოგადოების განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი ხდება. ახლა მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ მტკიცედ დარაზმული ერთ მილიარდზე მეტი ადამიანი აშენებს ახალ ცხოვრებას. წარმოიშვა საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ახალი ფორმა — სახალხო დემოკრატია.

საკუპროგრამის პროექტი შეიცავს მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის ღრმა მეცნიერულ ანალიზს. პროექტში ხაზგასმულია, რომ იმპერიალიზმი თავის შხის ჩასვენებისა და დაღუპვის პერიოდშია შესული. მან საბოლოოდ დაკარგა ბატონობა კაპობრიობის უმრავლესობაზე და მას სულ ახალი და ახალი ქვეყნები სცილდება. მისი პოზიციები შესამჩნევად შემცირდა ეკონომიურ შეჯიბრებაში სოციალიზმთან, საბოლოოდ იშლება იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა, უსაზღვროდ მწუვავდება იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობები, შრომისა და კაპიტალს შორის ბრძოლა, მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის წინააღმდეგობანი,

ულრმეს კრიზისის განიცდის ბურჟუაზიის დროშოვნილი პოლიტიკა და სისტემა. პროგრამის პროექტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ იმპერიალიზმის განვითარების თანამედროვე სტადიაზე ფართოდ ვითარდება სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმი, რომელიც სულ უფრო ცხადად ამჟღავნებს თავის რეაქციულ ანტიდემოკრატიულ არსს. ამის მაგალითს იძლევა ამერიკის ძირ-მომპალი იმპერიალიზმი, მსოფლიო რეაქციის მთავარი დასაყრდენი.

მსოფლიოს მშრომელნი სულ უფრო მეტად ირავმებიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. გაჩაღებულია ჰუმანიტარულ სახალხო ბრძოლა დემოკრატიისა და რეაქციის, თავისუფლებისა და კოლონიალიზმის ძალებს შორის. ახლა მსოფლიოში არ არსებობს ისეთი კაპიტალისტური ქვეყანა, რომელსაც საფუძვლიანად არ ეგრძნოს კლასობრივი ბრძოლების გაძლიერების შედეგად დიდი შერყევები და კატასტროფული ზიანები. ამ ისტორიული ბრძოლების აუანგარდში დგას კომუნისტური და მუშათა პარტიები. რომლებიც ამჟამად თავიანთ რიგებში აერთიანებენ 35 მილიონზე მეტ კომუნისტს და წარმატებით რაზმევენ ხალხებს იმპერიალისტური ჩაგვრისა და ექსპლოატაციის საბოლოოდ მოსასპობად, თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების დასაცავად.

პროგრამის პროექტში ჩამოყალიბებულია პარტიის ამოცანები კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, რასაც წითელ ზოლად გასდევს დებულება, რომ კომუნისში მთელი კაპობრიობის ნათელი მომავალია. ახლა ჩვენი ქვეყანა შევიდა თავისი განვითარების ისეთ სტადიაში, როცა კომუნისტური საზოგადოების აშენება საბჭოთა ადამიანების პრაქტიკული ამოცანა გახდება.

პროექტში მოცემულია კომუნისის სრული და ამომწურავი მარქსისტულ-

ლენინური განმარტება და ზაზგასმითაა აღნიშნული, რომ კომუნიზმის დროს სავსებით გაქრებიან კლასები, სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავებანი სოფელსა და ქალაქს შორის, განსხვავება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის. ყველა ადამიანს ექნება თანასწორი მდგომარეობა საზოგადოებაში, დამკვიდრდება პარმონიული ურთიერთობა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის, გაიფურჩქნება და მთლიანად გაიშლება თავისუფალი ადამიანის ნიჭი და ტალანტი, საუკეთესო ზნეობრივი თვისებები, განმტკიცდება მაღალი ორგანიზებულიობა და დისციპლინა საზოგადოებრივი მოვალეობის შეგრძნების საფუძველზე.

უახლოეს ათწლეულში (1961—1970 წლები) საბჭოთა კავშირი, რომელიც ქმნის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ გაუსწრებს კაპიტალიზმის ყველაზე მძლავრ და მდიდარ ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს. მნიშვნელოვნად ამაღლდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურულ-ტექნიკური დონე. ყველასათვის უზრუნველყოფილი იქნება მატერიალური, შეძლებულება; ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა გადაიქცევა მაღალნაყოფიერ მეურნეობად, ძირითადად დაკმაყოფილდება საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებანი კეთილმოწყობილ ბინებზე, გაქრება მძიმე ფიზიკური შრომა. საბჭოთა კავშირი ყველაზე მოკლე სამუშაო დღის ქვეყანა იქნება.

მეორე ათწლეულში (1971—1980 წლები). შეიქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მთელი მოსახლეობისათვის უზრუნველყოფილი იქნება მატერიალური და კულტურული სიკეთის სიუხვე; საბჭოთა საზოგადოება უშუალოდ მივა მოთხოვნილებათა მიხედვით განაწილების პრინციპის განხორციელებასთან, მოხდება თანდათანობით გადასვლა ერთიან საერთო სახალხო საკუთრებაზე. **მამრმგაღწის** კავშირში ძირითადად მშენებელთა კომუნისტური საზოგადოება. კომუნისტური საზოგადოების მთლიანად აშენება დამთავრდება მომდევნო პერიოდში“.

ამასთან, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განუწყვეტელი განვითარდება და სრულყოფილი გახდება კომუნიზმის სრული გამარჯვების გზაზე საზოგადოების განვითარებასთან ერთად.

ანიჭებს რა კომუნიზმის საწარმოო ძალების შექმნაში მრეწველობის შემდგომ დიდ განვითარების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, კომუნისტური პარტია თავის პროგრამაში ითვალისწინებს სამრეწველო პროდუქციის განვითარების გიგანტურ ზრდას, რომ მსოფლიოში საბჭოთა კავშირს ჰქონდეს ყველაზე სრულყოფილი და მძლავრი ინდუსტრია, განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისათვისაც კი მიუწვდომელი მწარმოებლური ძალები და მატერიალური სიმდიდრე, რომელიც ხალხის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად უხვად გადმოდინდება. პროგრამის პროექტში დიდი ყურადღება ეთმობა შრომის ნაყოფიერების გადიდებას, ელექტროენერჯის წარმოების გიგანტურ ზრდას, თანამედროვე მრეწველობის საფუძვლის — ლითონისა და სათბობის წარმოების შემდგომ სწრაფ ზრდას, ქიმიური მრეწველობის განვითარებას, მანქანათმშენებლობის განვითარებას, კომპლექსურ შექანიზაციის მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, კომუნალურ მეურნეობაში. პროგრამის პროექტში ზაზგასმულია, რომ სკკპ კვლავ წარმართავს ღონისძიებებს სახალხო მოხმარების საგნების წარმოების სწრაფი ზრდისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაქსიმალური დაჩქარებისათვის.

სკკპ პროგრამის პროექტში განვითარებული და გამდიდრებულია ლენინური კოოპერატიული გეგმა, მოძებნილია

სკკპ პროგრამის პროექტში განვითარებული და გამდიდრებულია ლენინური კოოპერატიული გეგმა, მოძებნილია

გლახობის თავისებურებათა შესაბამისი გზა კომუნისტურ მისი თანდათანობით გადასვლისათვის, დასახულია უმნიშვნელოვანესი თეორიული და პრაქტიკული ღონისძიებები მძლავრ მრეწველობასთან ერთად, აყვავებულ, ყოველმხრივ განვითარებული და მაღალპროდუქციული სოფლის მეურნეობის შესაქმნელად. იგი საშუალებას მისცემს პარტიას შექმნას კვების მაღალხარისხოვანი პროდუქტების სიუხვე კომუნისტურ მშენებელ ხალხისათვის და უზრუნველყოს ნედლეულის სიუხვე მრეწველობისათვის. იგი აგრეთვე ხელს შეუწყობს საბჭოთა სოფლის თანდათანობით გადასვლას კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, ქალაქსა და სოფელს შორის არსებული განსხვავების აღმოფხვრას.

პროგრამის პროექტში დიდი ყურადღება ექცევა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის შემდგომ სრულყოფას და დაგეგმვის გაუმჯობესებას, რათა მიღწეულ იქნას საზოგადოების ინტერესებისათვის ყველაზე დიდი შედეგი ყველაზე ნაკლები დანახარჯებით.

კომუნისტური გაშლილი მშენებლობა გულისხმობს მართვის დემოკრატიული საფუძვლების ყოველი ღონისძიებით განვითარებას, ამასთან, სახალხო მეურნეობის ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელმძღვანელობის განმტკიცებასა და სრულყოფას. პროგრამის პროექტში ხაზგასმულია, რომ კვლავაც უნდა ამაღლდეს ადგილობრივი ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა მეურნეობის მართვაში. ჩვენმა პარტიამ წამოაყენა მსოფლიო-ისტორიული ამოცანა — უზრუნველყოს საბჭოთა კავშირში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე კაპიტალიზმის ყველა ქვეყანასთან შედარებით. ეს მსოფლიო ისტორიული ამოცანა განხორციელდება ისეთ ღონისძიებათა გატარებით, როგორცაა მშრომელთა ინდივიდუალური ანაზღაურების გადიდება, საცალო ფასების შემცირება. მოსახლეობის გადასახადების გაუქ-

მება, საზოგადოებრივი ფონდების გაფართოება. მიღწეულ იქნება სახალხო მოხმარების საერთო დონის მატება, ამადღება, საბინაო პრობლემის გადაჭრა და ყოველცხოვრების კეთილმოწყობა, სამუშაო დროის შემცირება და შრომის პირობების გაუმჯობესება. თანდათან შემცირდება განსხვავება მაღალ და შედარებით დაბალ შემოსავალს შორის, არაკვალიფიციურ მუშაკთა კვალიფიციურად გადაქცევის გზით. ჩვენი ქვეყანა გახდება მსოფლიოში ყველაზე მოკლე და ამავე დროს ყველაზე ნაყოფიერი და ყველაზე დიდად ანაზღაურებული სამუშაო დღის ქვეყანა. ეს ხელს შეუწყობს საბჭოთა ადამიანების შემდგომ ყოველმხრივ განვითარებას, მათ უკეთ მონაწილეობას სოციალისტური სახელმწიფოს მართვაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში.

პროგრამის პროექტში წამოყენებულია მეტად უმნიშვნელოვანესი თეორიული და პოლიტიკური დებულება იმის შესახებ, რომ მუშათა კლასი ერთადერთი კლასია კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც მიზნად არ ისახავს თავისი ძალაუფლების საუკუნოდ დამკვიდრებას. „პროლეტარიატის დიქტატურამ, უზრუნველყო რა სოციალიზმის — კომუნისტური პირველი ფაზის — სრული და საბოლოო გამარჯვება, — აღნიშნულია პროგრამის პროექტში, — და საზოგადოების გადასვლა კომუნისტური გაშლილი მშენებლობაზე, შეასრულა თავისი ისტორიული მისია და შინაგანი განვითარების ამოცანების თვალსაზრისით იგი აუცილებელი აღარ არის სსრ კავშირში“.

ჩვენმა სახელმწიფომ, რომელიც სოციალისტური რევოლუციით იშვა, მსოფლიო-ისტორიული როლი შეასრულა და იგი გადაიქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, მთელი ხალხის ინტერესებისა და ნების გამოხატვის ორგანოდ. მუშათა კლასი, როგორც საზოგადოების ყველაზე რევოლუციური კლასი. თავის ხელმძღვანელ როლს შეასრულებს კო-

მუნიციპალიტეტის აშენებამდე და დაამთავრებს მისი აშენების შემდეგ. როცა გაქრებიან კლასები. პროგრამაში წამოყენებული დებულებები სახელმწიფოს კვდომის საკითხებზე გამანადგურებელი დარტყმა ყველა ჯურის რევიზიონისტების დემოკრატიულ ლაყობაზე.

პროგრამის პროექტში დიდი ყურადღება ეთმობა საბჭოებისა და სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიული პრინციპების შემდგომ განვითარებას. იმ მიზნით, რომ სახელმწიფოს მართვის სკოლა გაიაროს ახალმა, ასეულ ათასობით და მილიონობით მშრომელმა, ყოველი არჩევნების დროს განახლდება საბჭოების დეპუტატების შემადგენლობა, სულ ცოტა, შესამედით, სისტემატურად განახლდება აგრეთვე ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობა, განვითარდება დემოკრატიული საწყისების მმართველობაში, ყოველმხრივ განვითარდება პიროვნების თავისუფლება და საბჭოთა მოქალაქეების უფლებები.

პარტია თავისი პროგრამის პროექტში სახავს გაშლილ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვას, დანაშაულობათა ლიკვიდაციას, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პროფკავშირების, ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის, კოოპერაციის როლის ამაღლებას კომუნისტების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

პროექტში დასახულია გაშლილი ღონისძიებები საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალებისა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. პარტია, ეყრდნობა რა ხალხის მხარდაჭერას, დაუცხრომლად იბრძვის მშვიდობისათვის, ომის გამჩალებელთა წინააღმდეგ. ამასთან, პარტია კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს ზრდის სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მუდმივი მზადყოფნის, თავისი არმიის სიყვარულის სულისკვეთებით.

კომუნისტების დიადი მშენებლობა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის საქმეა.

სოციალიზმის პირობებში ხდება ერების ნამდვილი აყვავება, მათი სუვერენიტეტის განმტკიცება, მათი მშურის დაახლოება, ურთიერთდახმარება და სრული ერთობის მიღწევა. პროექტში ხაზგასმულია, რომ „კომუნისტების გამარჯვების შემდეგ კიდევ უფრო დაახლოვდებიან ერები, გაიზრდება მათი ეკონომიური და იდეური ერთიანობა, განვითარდება მათი სულიერი სახის საერთო კომუნისტური ნიშნები“. პროგრამის პროექტში დასახულია უდიდესი მნიშვნელობის ამოცანები ეროვნული ურთიერთობის დარგში.

კომუნისტების გამარჯვებისათვის ბრძოლაში იდეოლოგიური მუშაობა სულ უფრო მძლავრი ფაქტორი ხდება. რაც უფრო მაღალია კომუნისტების მშენებელ ადამიანთა შეგნებულობა, მით უფრო დიდია მათი აქტივობა კომუნისტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში და მით უფრო წარმატებით გადაწყდება კომუნისტების მშენებლობის ისტორიული ამოცანები. ჩვენს პარტიას იდეოლოგიურ მუშაობაში მთავარ ამოცანად მიაჩნია ყველა მშრომელის აღზრდა მაღალი იდეურობისა და კომუნისტებისადმი ერთგულების სულისკვეთებით. პარტიას პირველი რიგის ამოცანად მიაჩნია ბურჟუაზიულ შეხედულებათა და ზნე-ჩვეულებათა გადმონაშთების სრული დაძლევა, პიროვნების ყოველმხრივი პარმონიული განვითარება. სულიერი კულტურის ნამდვილი სიმდიდრის შექმნა. რომ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში დამკვიდრდეს კომუნისტური იდეურობა, გამომუშავდეს იმის უნარი, რომ გონივრულად ვისარგებლოთ კომუნისტების სიკეთით.

პროგრამის პროექტში ხაზგასმულია, რომ კომუნისტების კულტურა, რომელმაც შეიწოვა და ავითარებს ყოველივე საუკეთესოს, რაც მსოფლიო კულტურას შეუქმნია, ახალი, უმაღლესი საფეხურია კაცობრიობის კულტურულ განვითარებაში. პარტია სახავს საზოგადოების კულტურული ცხოვრების ყოველმხრი-

ვი განვითარების ამოცანას. საბჭოთა ლიტერატურა, მუსიკა, ფერწერა, კინემატოგრაფია, თეატრი, ხელოვნების ყველა დარგი ახალ სიმაღლეებს მიაღწევნენ იდეური შინაარსისა და მხატვრული ოსტატობის განვითარებაში. პროექტში უდიდესი ყურადღება აქვს დათმობილი ლიტერატურისა და ხელოვნების აღმზრდელობითი როლის შემდგომ ამაღლებას და მისი განვითარების მთავარ ხაზად კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში ცვლავ რჩება ხალხის ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცება. სოციალისტური სინამდვილის სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით მართალი და მაღალმხატვრული ჩვენება, ახლის, ნამდვილად კომუნისტურის შთაგონებული წარმოსახვა და ყოველივე იმის მზილება, რაც ხელს უშლის საზოგადოების წინსვლას. პარტია ყოველდღიურად ზრუნავს ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში ამ სწორი მიმართულებისათვის და წარმატებით უზრუნველყოფს იმას, რომ ჩვენი შემოქმედებითი მუშაეები ავლინებდნენ მაღალ ოსტატობას, დიდ როლს ასრულებდნენ საბჭოთა ადამიანების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში, იყენენ სიხარულისა და შთაგონების წყარო მილიონობით საბჭოთა ადამიანისათვის, გამოხატავდნენ მათ ნებას, გრძნობებსა და ფიქრებს.

პროგრამის პროექტში ჩამოყალიბებული დებულებები კომუნისტური შეგნებულობის ზრდის, მაღალი ზნეობრივი თვისებების გამომუშავების დარგში წარმოადგენს კომუნისმის მშენებლობის ნამდვილ მორალურ კოდექსს, ჩვენი ეპოქის კომუნისტური მანიფესტის — პროგრამის ძირითად მოთხოვნას.

პროექტში დიდი ყურადღება ეთმობა სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას, როგორც საერთაშორისო მუშათა მოძრაობის, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმისათვის შემდგომი ბრძოლის გაძლიერების უმნიშვნელოვანეს პირობას.

ამ მიზნით წამოყენებულია უმნიშვნელოვანესი ამოცანები პარლამენტური, ეკონომიური და კულტურული მშენებლობის დარგებში. პარტია აცხადებს, რომ იგი ყოველ ღონეს იხმარს, რათა დახმარება გაუწიოს სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ხალხს სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობაში.

აღმაფრთოვანებელი და უდიდესი მორგანიზებელი მნიშვნელობა აქვს მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის ახალი პროგრამის პროექტში გაკეთებულ დასკვნას, რომ „საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნისმის დროს“.

პროგრამის პროექტში ხაზგასმულია, რომ კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდს ახასიათებს კომუნისტური პარტიის, როგორც კომუნისმის გამარჯვების ორგანიზატორის როლის შემდგომი ამაღლება. კომუნისტური პარტიის მორგანიზებელი როლის შემდგომი ამაღლებისათვის კი საჭიროა პარტიის სამოქმედო ძირითად ენონში — წესდებაში შეტანილ იქნეს ცხოვრების მიერ ნაკარნახევი ცვლილებები, რაც მიმართული იქნება პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შემდგომი ამაღლებისაკენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება ის იარაღია, რომლის მომარჯვებით პარტია აგებს თავის ორგანიზაციებს, აწყობს თავის დიად ორგანიზატორულ, წარმართველ მუშაობას, რაზმავს თვითველ კომუნისტსა და პარტიულ ორგანიზაციას პარტიის სამპროგრამო მოთხოვნების განსახორციელებლად და ამიტომ პროგრამასა და წესდებას შორის უმჭიდროესი კავშირი არსებობს. პროგრამა განაპიროვნებს წესდებას და გამომდინარეობს მისგან.

პარტია თავისი პროგრამული ამოცანების გადაჭრისათვის ცვლის ორგანიზაციული მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, გამოიმუშავებს პარტიის წყობისა და ორგანიზაციული საქმიანობის ისეთ

წესებს, რომლებიც უკეთესად უწყობენ ხელს კომუნისმისაყენ უსწრაფეს წინსვლას.

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობა საბჭოთა კავშირში, პარტიის წინაშე დასახული ახალი რთული ამოცანები მოითხოვენ პარტიის შემდგომ განმტკიცებას და მისი ორგანიზაციების წამყვანი როლის გაძლიერებას. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიული მშენებლობის საკითხების შემდგომ სრულყოფას, პარტიის წესდების პარაგრაფების გაბასრებას, პარტიული ცხოვრების ურყევი კანონების მტკიცედ დაკავშირებას პროგრამულ მოთხოვნებთან, პარტიის უახლოეს ამოცანებთან, პარტიული მშენებლობის უმდიდრესი გამოცდილების განზოგადობას და სრულყოფას.

ამჟამად მოქმედი წესდებისაგან განსხვავებით, ახალი წესდების პროექტის შესავალ ნაწილში მოცემულია კომუნისტური პარტიის განსაზღვრება. ლენინიზმის ორგანიზაციული პრინციპების შემდგომი განვითარება მოცემული წესდების პროექტის შესავალში ჩამოყალიბებულ იმ დებულებაში, რომ კომუნისტური პარტია, მუშათა კლასის პარტია, ამჟამად მთელი საბჭოთა ხალხის პარტია გახდა. იგი თავის რიგებში აერთიანებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ყველაზე საუკეთესო აღამიანებს. შესავალ ნაწილში ხაზგასმულია პარტიის სისხლხორციული კავშირი მასებთან და აღნიშნულია, რომ პარტია ხალხისათვის არსებობს და ხალხს ემსახურება.

ლენინიზმის ორგანიზაციული პრინციპები გვასწავლის, რომ კომუნისტური პარტია მშრომელთა ყველა მასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ტიპია. ახალი წესდების პროექტი სწორედ ამ დებულებას უსვამს ხაზს და იქ პარტია განხილულია, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა, საბჭოთა საზოგადოების ხელ-

მძღვანელი და წარმმართველი ძალა, რომელიც ხელმძღვანელობს მშენებლობას ხალხის დიად შემოქმედებაში მონაწილეობას. ლენინიზმის ორგანიზაციული მოძღვრება განსაზღვრებულია პარტიული ცხოვრების ნორმებში, რომელიც პარტიული ცხოვრების კანონია. ამიტომ საესებით გასაგებია, რომ წესდების პროექტში, კერძოდ, მის შესავალში ხაზგასმულია, რომ პარტია თავის მუშაობას აგებს პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების, ხელმძღვანელობის კოლექტიური პრინციპების განუხრელი დაცვის, შინაპარტიული დემოკრატიის, კომუნისტთა აქტივობისა და თვითმოქმედების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ყოველმხრივი განვითარების საფუძველზე.

კომუნისტური პარტიის ლენინურ ორგანიზაციულ საფუძველებში უდიდესი ყურადღება აქვს დათმობილი ბრძოლას პარტიის ერთიანობისათვის, რადგანაც პარტიის ერთიანობა მისი ძალისა და ბრძოლისუნარიანობის მთავარი პირობაა. ამიტომაც, რომ ახალი წესდების შესავალშივე გამახვილებულია ყურადღება პარტიის ერთიანობისა და დარაზმულობის გაძლიერებისაყენ და აღნიშნულია, რომ „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცხოვრების ურყევი კანონია მისი რიგების იდეური და ორგანიზაციული ერთიანობა. მონოლითურობა, ყველა კომუნისტის მაღალი შეგნებული დისციპლინა. ფრაქციულობისა და ჯგუფურობის რაიმე გამოვლინება შეიუთავსებელია მარქსისტულ-ლენინურ პარტიულობასთან, პარტიაში ყოფნასთან“.

პარტია, აკანონებს რა პროგრამაში წამოყენებულ დებულებებს, წესდების პროექტში დიდ ყურადღებას უთმობს ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლას კომუნისტურ მოძრაობაში. სკკ გადაჭრით ებრძვის რევოიონიზმისა და დოგმატიზმის ყოველ გამოვლინებას:

იმასთან დაკავშირებით, რომ წესდე-

ბის პროექტის შესავალში უკვე მოცემულია პარტიის განმარტება, წესდების პროექტის პირველი თავი იწყება ასე: „პარტიის წევრები, მათი მოვალეობანი და უფლებანი“.

პარტიის წევრობის საკითხი მთავარი საკითხია პარტიის ორგანიზაციულ მოძღვრებაში, რადგანაც პარტიის შემადგენლობაზეა დამოკიდებული კომუნისტური პარტიის ძალა და ორგანიზატორული უნარი. ამიტომ ახალი წესდების პროექტის პირველი პარაგრაფი იწყება პარტიის წევრობის განმარტებით, სადაც თავის განსახიერებას პოულობს პარტიის წევრობის განმსაზღვრელი ცნობილი ლენინური ფორმულირება. ამ პარაგრაფიდან გამომდინარეობს, რომ პარტიის წევრობისათვის მართო საქმარისი როდია პროგრამისა და წესდების აღიარება, არამედ საჭიროა აქტიური მონაწილეობა კომუნისტების მშენებლობაში.

პარტიის ახალი წესდების მე-2 პარაგრაფში ახალი რედაქციითაა გადმოცემული კომუნისტის მოვალეობები, რაც უშუალოდ გამომდინარეობს პარტიის ხელმძღვანელი როლის ამალღების ამოცანიდან.

პარტიის წევრი მოვალეა იბრძოდეს კომუნისტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, იყოს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითი, ზრდიდეს შრომის ნაყოფიერებას, იყოს ყოველივე ახალის, პროგრესულის წამომწყები, მხარს უჭერდეს და ავრცელებდეს მოწინავე გამოცდილებას, ეუფლებოდეს ტექნიკას, სრულყოფდეს თავის კვალიფიკაციას, უფრთხილდებოდეს და ამრავლებდეს საზოგადოებრივ, სოციალისტურ საქუთრებას — საბჭოთა სამშობლოს ძლიერებისა და აყვავების საფუძველს.

შემდეგ პუნქტში ჩამოყალიბებულია კომუნისტის მოვალეობა, რათა მტკიცედ და განუხრელად ახორციელებდეს პარტიის გადაწყვეტილებებს, შეეძლოს განმარტოს და დაიცვას იგი. პარტიას

სჭირდება არა დახვეწებული და გულგრალი მოხელეები, არამედ მარტივისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის დაუცხრომელი და თავდადებული მებრძოლნი. პარტიის წევრი მოვალეა განუმარტავდეს მასებს პარტიის პოლიტიკას, ყოველმხრივ განამტკიცებდეს ხალხთან სისხლხორციულ კავშირს და ყოველთვის ახსოვდეს, რომ პარტიის ძალა ხალხთან განუხრელ კავშირშია. წესდება ავალდებულებს კომუნისტს, იყოს გულისხმიერი და ყურადღებიანი ადამიანებისადმი, დროზე ეხმარებოდეს მშრომელთა მოთხოვნისა და საჭიროებებს, ახსოვდეს, რომ პარტიის ძალა მასებთან კავშირშია.

წესდების შემდეგი პუნქტით პარტიის წევრი ვალდებულია აქტიურად მონაწილეობდეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახელმწიფო საქმეების მართვაში, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, იყოს მაგალითი საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებაში, ყოველნაირად უწყობდეს ხელს კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას. პარტიის წევრი ვალდებულია ეუფლებოდეს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, იმალღებდეს თავის იდეურ დონეს, ხელს უწყობდეს კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბებასა და აღზრდას.

კომუნისტი მოვალეა, ებრძოდეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველ გამოვლინებას, წარსულის ყველა ამ გადმონაშთს. პარტიის ახალი წესდების პროექტი ავალდებულებს პარტიის წევრს, აქტიურად ავრცელებდეს სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის იდეებს მშრომელთა მასებში, იბრძოდეს ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ, სიტყვით და საქმით უწყობდეს ხელს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას სოციალისტების მშენებელ

ხალხთან, ყველა ქვეყნის პროლეტარებთან და მშრომლებთან.

პარტიის წევრი მოვალეა, იცავდეს პარტიის ერთიანობას, იცავდეს პარტიას მის რიგებში ისეთი ადამიანების შეღწევისაგან, რომლებიც არ არიან კომუნისტის მაღალი წოდების ღირსნი, იყოს მართალი და პატიოსანი პარტიის წინაშე, იჩენდეს სიფხიზლეს, იცავდეს პარტიულ და სახელმწიფოებრივ საიდუმლოებას. ახალი წესდების პროექტი ავალდებულებს პარტიის წევრს, ავითარებდეს კრიტიკასა და თვითკრიტიკას, გაბედულად ააშკარავებდეს ნაკლოვანებებს და იბრძოდეს მათი აღმოფხვრისათვის, იბრძოდეს პარადულობის, თავგასულობის, თვითდამშვიდებ ი ს, კუთხურობის წინააღმდეგ, მტკიცე წინააღმდეგობას უწევდეს კრიტიკის ჩახშობის ყოველ ცდას, იბრძოდეს ყოველი მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც ზიანს აყენებს პარტიასა და სახელმწიფოს. პარტიის წევრმა უნდა აცნობოს ასეთ მოქმედების შესახებ პარტიულ ორგანოებს, თვით სკკპ ცენტრალურ კომიტეტსაც.

პარტიის ახალი წესდების პროექტი მოითხოვს თვითეული კომუნისტისაგან, განუხრებლად ახორციელებდეს პარტიის ხაზს კადრების შერჩევაში მათი პოლიტიკური და საქმიანი თვისებების მიხედვით, იყოს შეუირიგებელი ყველა შემთხვევაში, როცა ირღვევა კადრების შერჩევისა და აღზრდის ლენინური პრინციპები. იგი მოვალეა, იცავდეს პარტიულ და სახელმწიფოებრივ დისციპლინას, რომელიც თანაბრად სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისათვის. ახალი წესდების პროექტის მე-3 პარაგრაფის ხუთ პუნქტში ჩამოყალიბებულია კომუნისტთა უფლებები, რაც ხელს უწყობს პარტიის წევრთა აქტივობისა და შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლებას, პარტიის წევრებსა და კანდიდატებში იმ ლენინური აზრის განმტკიცებას, რომ პარტია პასუხისმგებელია თვითეულ წევრზე და თვითეული კომუ-

ნისტი პასუხისმგებელია თავის პარტიაზე. ახალი წესდების პროექტში განსაზღვრებულია ლენინური ზრუნვა თვითეული წევრის მიმართ და აღნიშნულია, რომ კომუნისტის უმნიშვნელო გადაცდომისათვის მიღებულ უნდა იქნეს პარტიული აღზრდისა და შემოქმედების ზომები ამხანაგური კრიტიკის, პარტიული გაკიცხვის, გაფრთხილების ან მოითხოვის სახით და არა უმაღლესი ზომა — პარტიიდან გარიცხვა. კომუნისტის პარტიიდან გარიცხვის საკითხის გადაჭრისას უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მაქსიმუმი სიფრთხილე, ყურადღება და წაყენებულ ბრალდებათა საფუძვლიანობის გულდასმით გარჩევა. გარიცხვის საკითხს წყვეტს პირველადი პარტორგანიზაცია. თუ გარიცხვას მას მისცემს კრებაზე დამსწრე კომუნისტთა, სულ ცოტა, ორი მესამედი, იგი ძალაში შედის ამ გადაწყვეტილების საოლქო კომიტეტის, სამხარეო კომიტეტის და მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცების შემდეგ.

შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი გაშლისა და პირველადი პარტორგანიზაციის როლის ზრდისაკენა მიმართული ის ღონისძიება, რომ, თუ ამჟამად მოქმედი წესდებით შემდგომ პარტიულ ორგანოს წევრის გარიცხვის საკითხს იხილავდა ის ორგანო, რომლის წევრიც ის იყო, ახლა, ახალი წესდების პროექტის მე-11 პარაგრაფით, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტის, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტის წევრების, წევრობის კანდიდატების, აგრეთვე სარევიზიო კომისიათა წევრების პარტიულ პასუხისმგებაში მიცემის საკითხს განიხილავენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჩვეულებრივი წესით. დადგენილება გარიცხვის შესახებ გამოაქვს შესაბამისი პარტიული კომიტეტის პლენუმს მის წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

შინაპარტიული დემოკრატიის შემდ-



გომი გაშლის მაჩვენებელია წესდების პროექტის მე-25 პარაგრაფი, სადაც განსაზღვრებულია ახალი პროგრამის პროექტის ძირითადი დებულებები, მიძღვნილი პარტიის როლის ამაღლებისაკენ კომუნისტური გაშლილი მშენებლობის პერიოდში. ხელმძღვანელობის კოლექტიური პრინციპების თანმიმდევრულად განხორციელების, ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში ახალი პარტიული ძალების შემატების, ძველი და ახალგაზრდა კადრების სწორი შეხამების მიზნით, ცალკეულ მუშაკთა ხელში ძალაუფლების მეტისმეტად თავმოყრის შესაძლებლობასა და კოლექტივის კონტროლიდან მათი გამოსვლის შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით პარტია თავის ახალ წესდებაში აკანონებს პარტიის ყველა არჩევითი ორგანოს აუცილებელ განახლებას გარკვეული პროპორციებით. უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია, რომ ყოველ მორიგ არჩევნებში სკვპ ცენტრალური კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის შემადგენლობა განახლდება, სულ ცოტა, ერთი მეოთხედით. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებს ირჩევენ, როგორც წესი, სულ დიდი, სამი მოწვევის ვადით ზედიზედ. პარტიის აღიარებულ, გამოჩენილ ხელმძღვანელ მუშაკთა შესახებ წესდების პროექტი უშვებს გამოჩაქისის და შეიძლება ისინი არჩეულ იქნენ უფრო ხანგრძლივი ვადით ზედიზედ, იმ პირობით, თუ ისინი დახურული (ფარული) კენჭისყრის დროს მიიღებენ ხმების, სულ ცოტა, სამ მეოთხედს.

ასეთივე განახლების ღონისძიებებია დასახული ქვემდგომი ორგანოების მიმართ. პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები შეიძლება არჩეულ იქნენ ზედიზედ, სულ დიდი, 2 მოწვევის ვადით. წესდების პროექტი აწესებს, რომ ყველა ხელმძღვანელი ორგანოს შემადგენლობიდან წევრთა გამოყვანის შესახებ დადგენილება შეიძლება მიღებულ

იქნეს მხოლოდ დახურული (ფარული) კენჭისყრით, ხმების ორი მეხუთედის რაელესობით.

ახალი წესდების პროექტი დიდ ყურადღებას უთმობს არჩევითობისა და ანგარიშგების პრინციპის გამოყენების გაფართოებას პარტიულ ორგანიზაციებში თავიდან ბოლომდე, მათ შორის საარმიო პარტორგანიზაციებშიც კი. იგი უზრუნველყოფს ხელსაყრელ პირობებს, რომ პარტიაში თავისუფლად და საქმიანად იქნეს განხილული მისი პოლიტიკისა და პრაქტიკული საქმიანობის საკითხები.

წესდების პროექტში ახალი რედაქციით და უფრო ფართოდ არის ჩამოყალიბებული პარტიის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების მუშაობის ფუნქციები და საბრძოლო ამოცანები, ჩვენი პარტიის საფუძვლის — პირველადი პარტორგანიზაციის მოვალეობები. წესდების პროექტში შეტანილია მთელი რაიონი სხვა ცვლილებები, რაც ხელს უწყობს პარტიის ხელმძღვანელი როლის შემდგომ ამაღლებას.

ახალი წესდების პროექტი აკანონებს იმ მოთხოვნებს, რომელთაც პროგრამა შეიცავს. წესდების პროექტი ავალდებულებს პარტიულ ორგანიზაციას, რომ იგი ყოველწლიურად ცდილობდეს, ისე მოაწყოს მთელი თავისი მუშაობა, რომ თვითეული კომუნისტი მთელ თავის ცხოვრებაში იცავდეს და მშრომელს უნერგავდეს სკვპ პროგრამაში ჩამოყალიბებულ ზნეობრივ პრინციპებს.

ასეთია ის ორგანიზაციული პრინციპები, რომელნიც ახალი წესდების პროექტშია წამოყენებული. ახალი წესდება, კომუნისტური მშენებლობის უძლიერესი იარაღი იქნება. იგი პროგრამასთან ერთად ჩვენი პარტიის ძირითადი ფუძემდებლური დოკუმენტია.

ბოჩის ბუნებაში

პლენანოვი — დეკადენტობის კრიტიკოსი

გ. ვ. პლენანოვის ლიტერატურულ შემოქმედებას თვალსაზრისით ბოლომდე ვასდევს ბრძოლი მაღალიდგობის რეალისტური ხელოვნებისათვის. ამასთანავე ეს უნიკალური კრიტიკოსი ყოველთვის ებრძოდა იმ უაყოფო მთავრებს, რომელნიც ხელს უშლიან ასეთი დიდი ხელოვნების გაფრთხილებას. იგი არაერთხელ მიუთითებდა, რომ ბურჟუაზიული კულტურის საერთო კრიზისი წარმოადგენს დეკადენსის ეპოქის ხელოვნების სხვადასხვა ანტირეალისტურ, ფორმალისტურ დინამიკა მასპინძლებელ წყაროს. უნდა აღინიშნოს, რომ დეკადენტობისა და მის ნაირ-ნაირ გამოვლინებათა კრიტიკაში გ. ვ. პლენანოვის თვალსაზრისი უახლოვდება ვ. ე. ლენინის შეხედულებებს ამ საკითხებზე, რაც მის ნაწერებს კემმარტ აქტუალობას ანიჭებს.

გ. ვ. პლენანოვის ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსისათვის უცხო იყო დეკადენტების სუბიექტურ-იდეალისტური ესთეტიკა და ხშირ შემთხვევაში რაღაც მანკა-გრეხვამდე დასული შემოქმედებითი ძიებანი. მსოფლიო კულტურის უდიდეს მიღწევათა სიუფთავსო მკოდნეს, შესანიშნავ ესთეტიკოსს პლენანოვს კარგად ესმოდა, რომ ბურჟუაზიული დეკადენტობის ეპოქისათვის ნიშანდობლივი უკიდურესი ინდივიდუალიზმი იჭრება ლიტერატურასა და ხელოვნებაში, უხშობს მწერლებსა და მხატვრებს კემმარტი შთაგონების ყველა წყაროს, ზურგს აქცევინებს მათ სინამდვილისაგან, რის შედეგადღაც დიდ სოციალურ სუბიექტს კარგავს, კნინდება და ჩივდება მხატვრული შემოქმედება. პლენანოვი ამბობდა, რომ დეკადენტები ამოდ აცხადებენ თავის თავს პროგრესის ბურჟუაზი, სინამდვილეში მათი „უახლესი“ ნაწარმოებები ხშირად დაიყვანება სრულ უაზრობაში, რომლის დაცვა-გამართლება შესაძლებელია მხოლოდ „შემოქმედების იდეალისტური თეორიის სოფისტური დამახინჯების გზით“. მთელ რიგ ნაწარმოებში („ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება“, „პროლეტარული მოძრაობა და ბურჟუაზიული ხელოვნება“, „რუსეთში გერეთ-წოდებულ რელიგიურ ძიებათა შესახებ“), აგრეთვე ცალკეულ ნაწარმოებებსა და ფრაგმენტულ შენიშვნებში (რომლებშიაც კრიტიკოსი ზოგჯერ

მოვლენის მთელ დედაზრს ხსნის), პლენანოვი ბრძოლას გააქრითა დეკადენტური ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებანი (ნატურალიზმი, ეტიზმი, სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი და ა. შ.).

კრიტიკოსი ყველგან აღნიშნავს, რომ დეკადენტები, მათი ხმაურითი დეკლარაციების მიუხედავად, ვერ შეძლეს ვერაფერს საკაცობრივი მნიშვნელობის მხატვრულ ღირებულებებს. თავისი დროის უახლესი მხატვრობის, სკულპტურის, პოეზიისა და პროზის ნიმუშებზე პლენანოვმა უჩვენა, რომ დეკადენტების ფორმალისტური ხელოვნებიდან ფაქტურად განდევნილია მშვენიერება, რადგანაც ეს უკანასკნელი მიუღწეველია ფორმისა და შინაარსის ერთობისა და ერთიერთ შესაბამისობის გარეშე. ამ ერთიანობას, პარმონიულობას კი ვერასოდეს ვერ აღწევდნენ დეკადენტები, რომელთაც პირველ რიგში ახასიათებთ სწორედ იდეური სოციალური, ფორმის მოწყობა შინაარსისაგან. ამიტომ ირღვევა კემმარტი ხელოვნების კანონი, რომლის მიხედვითაც „ფორმა უნდა შეესაბამებოდეს შინაარსს... ეს კანონი მნიშვნელოვანი ყველა სკოლისათვის — როგორც კლასიციზმისათვის, ისე რომანტიციზმისათვის და ა. შ.“¹

პლენანოვი მიუთითებს, რომ უახლეს ხელოვნებასა და ლიტერატურაში ერთ-ერთში ყველაზე მეტად გავრცელებულმა დინამიკამ, ნატურალიზმმა, ნამდვილ ზიზნი, „ყრუ შესახვევში, კარგადობლივ გვირაბში“ მოაქცია ხელოვნება; მან დაიყვანა იგი მოვლენათა ზედამიჭრულ აღწერაზე, ფაქტების მოსაწყენ აღწერაზე, როცა მხატვრებს ისღა რჩებათ, რომ თავისი წარმოსახვის საგნად იღონ ყველაფერი, როგორც პუნიშანი ამბობდა, „თეთ სიფილისის ჩათვლით“. ნატურალისტები ვერ ახერხებენ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების, საზოგადოებრივი ადამიანის შრავლმხრივი განცდილების განზოგადებულ საზოგადოებრივ ჩვენებას, რჩებიან მოვლენათა ზედამიჭრულ, სოციალური განკითხარების კანონზომიერებანი დაჟვთ ფიზიოლოგიურ, ბიოლოგიურ მიზეზებამდე. ისინი

¹ «Литературное наследие Г. В. Плеханова», т. III, стр. 64.



პირდაპირ რაღაცნაირად იქვეებიან ადამიანის ფიზიოლოგიასა და პათოლოგიაში. ეს ტენდენცია იგრძნობოდა ემილ ზოლას რომან „ეგრში ნალში“, საერთოდ მის შემოქმედებაშიც. ზოლამ თავისი „ექსპერიმენტული მეთოდი“ მოინდოვა ნატურალისტური რომანის თეორიისა და მხატვრული შემოქმედების მეთოდის დაფუძნება. ზოლა, შენიშნავს პლუზანოვი, ევროპობოდა საბუნებისმეტყველო მატერიალიზმის თვალსაზრისს და ამიტომაც იგი სათანადოდ ვერ ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ ფიზიოლოგია ან პათოლოგია საქმარისა საფუძვლიანობით ვერ ახსნის საზოგადოებრივი ადამიანის მოქმედებას, მიღრეკილებას, გემოვნებისა და აზროვნების ჩვევებს, რადგანაც ისინი საზოგადოებრივი ურთიერთობებით არიან განპირობებული. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ემილ ზოლა სოციალიზმისაკენ იხრებოდა, მაინც „მისი ევრეთეორიული ექსპერიმენტული მეთოდი ბოლომდე ნაკლებად გამოსადეგარი აღმოჩნდა დიდ საზოგადოებრივ მოძრაობათა მხატვრული შესწავლისა და წარმოსახვისათვის“¹. მაგრამ, ამასთანავე, პლუზანოვის თქმით, ზოლას შემოქმედებას ჰქონდა თავისი ძლიერი მხარეებიც: ეს იყო მისი რეალიზმი და, როცა მწერალი თავს აღწევდა მუქანიერ-მატერიალისტურ და ნატურალისტურ შეხედულებათა შესუფუძვლებას, იგი თავს რომანების იძლეოდა საფრანგეთის საზოგადოების ცხოვრების მართალ სურათებს.

ნატურალიზმის შემდგომმა განვითარებამ, ხსნის პლუზანოვი, მოგვცა ამ ლიტერატურული სკოლის დაკნინებისა და დაცემის სურათი. ნატურალისტური მეთოდის მიმდევარი მხატვრები, ფლობერის გამოქვეყნებულ ვიზმარით, ასახავენ ადამიანებს როგორც „მასტრონტებსა“ და „ნიანგებს“, ცალმხრედ განიხილავენ მათ, როგორც იზოლირებულ ინდივიდუუმებს და არა როგორც დიდი სოციალური მთელის წევრებს. ამ დებულების საილუსტრაციოდ პლუზანოვი მოუყავს ჰელსმანის შეხედულებანი და მისი შემოქმედებითი ევოლუცია. ჰელსმანის აზრით, ნატურალიზმი მოხედა ურდ შესახვევში და მას არაფერი არ რჩება გარდა იმისა, რომ კიდევ და კიდევ ვკაიბობს, თუ რატომ და როგორ უკავშირდებიან ერთმანეთს პირველ შეხედურისთანავე სირაჯი და მეწერიმალე მედღეენე ქალი. ჰელსმანის შემოქმედებითი ევოლუციის მაგალითზე პლუზანოვი უჩვენებს, თუ რა საფრთხის წინაშე აყენებს თუნდაც ნიჭიერ მწერალს ნატურალიზმის პრინციპებისადმი ერთგულება, თავის პირველ ნაწარმოებებში, მაგალითად, „დებეატრებში“, ჰელსმანის წმინდა წყლის ნატურალისტად გვევლინება და მისთვის უცხოა რაიმე

საზოგადოებრივი ინტერესები. მაგრამ გულთაყვებელი აღწერა სირაჯის და მედღეენე ქალის ადამიანისა ბოლოს და ბოლოს უინტერესული მხარეებზე და ზიზღის აღმძვრელადაც კი გადაიქცა მისთვის. ჰელსმანსმა ბოლოს უარყო კიდევ ნატურალიზმი, მაგრამ ამჯერადაც იგი საპირისპირო უკიდურესობაში შევირა. შემდგომ თავის ნაწარმოებში, რომელსაც მან „დებეატრებში“ დასაპირისპირებლად სიმპტომური სათაური — „პირიიტი“ უწოდა, ჰელსმანსმა გმირად აჩიხა გადაჯვარებულ არისტოკრატთა წრიდან გამოსული „ზეკაი“, ვინმე დეზესენტი, რომლის მთელი ცხოვრებაც უნდა ყოფილიყო ნატურალისტური შეწყვილმანების სრული უარყოფა. მაგრამ, ამბობს კრიტიკოსი, ჰელსმანის რეალური ცხოვრებიდან იდეალურისაკენ სწრაფვისაკენაც არა გამოუვიდა რა, რადგანაც მისი გმირის დეზესენტის „იდეალური ცხოვრება“ მოკლებულია ყოველგვარ ადამიანურ შინაარსს, იგი არ იძლევა გამოსავალს იმავე ყრუ ჩიხიდან. ჰელსმანისთვისაც უფრო აღმოჩნდა ერთადერთი რეალური გამოსავალი—საზოგადოებრივ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმა, და შექმნილი მდგომარეობიდან „იდეალური“ ხსნა ამ მწერალმა მისტიციზმში კივცა.

„მისტიციკლად გადაქცეული მხატვარი, — დასკვნის ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან და მსჯელობიდან პლუზანოვი, — არ უფლებულყოფს იდეურ შინაარსს, მხოლოდ თავისებურ ხასიათს ანიჭებს მას; მისტიციზმი — აგრეთვე იდეა, მხოლოდ გონებისადმი სამკვედრო-სისიციციკლოდ მტრული, ბნელი, ბურუსივით ამორფული იდეა. მისტიციკალი როდ გაურბის არა მარტო თბობას, არამედ მტკიცებასაც. იგი მხოლოდ მოვეითბობს რაღაც „არანამოქმედარზე“, თავისი მტკიცებების ამოსავალ წერტილად კი საღი აზრის უარყოფას ღებულობს. ჰელსმანის მაგალითი კვლავ გვიჩვენებს, რომ მხატვრულ ნაწარმოებს არ შეუძლია იდეური შინაარსის უფულებელოფა. ხოლო როდესაც მხატვრები ბრძეხად იქცევიან თავისი დროის უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ დინებათა მიმართ, მაშინ მეტად დაბლა დაბლა იწევის იმთ ნაწარმოებებში გამოხატულ იდეათა ბუნების შინაგანი ღირებულება“¹.

პლუზანოვის აზრით, იგივე ითქმის არა მარტო ნატურალისტების და სიმბოლისტების, არამედ კუბისტების, ფურერისტებისა და იმპრესიონისტების შემოქმედების შესახებ. ლიტერატურისა და ფერწერის მრავალი ნაწარმოების საფუძვლიანი ანალიზით პლუზანოვი ამტკიცებს, რომ დეკადენტთა უმეტესობისათვის ნიშანდობლივია ხელოვნების მოწყვეტა საზოგადოებრივი შინაარსისაკენ, ვაწრო, კარჩაკეტილი ინდივიდუა-

¹ Г. В. Плеханов, Сочинения, т. XIV, стр. 146

¹ იქვე, გვ. 146—147.

ღიშში, პირდაპირ ბანალობამდე დასული ეროტიკა, რომელიც ზოგ შემთხვევაში ნამდვილად პათოლოგიურ ფორმებს ღებულობს. მოდერნისტული ხელოვნების წარმომადგენელი თითქმის ყოველთვის, — სულ ერთია, ასახავენ ისინი აღამანს თუ ცხოვრების რაიმე მოვლენას, — მთავარ ყურადღებას უთმობენ სიტყვების თავისთავად თამაშს, სინათლის ეფექტებს, რითმს, რიტმს, ბგერებს და ა. შ., იბნევიან ესთეტიკური მოდერნიზმის ლაბირინთში.

კრიტიკოსი დამაჯერებლად ხსნის იმას, რომ მისტიკა ირაციონალიზმი, სუბიექტურ-იდეალისტური ფილოსოფია ზღუდავს სიმბოლისტიკის შემოქმედებას, აცლის მას საღ იდეურ შინაარსს. „ხელოვნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში“ პლუხანოვი ასაბუთებს იმ აზრს, რომ სიმბოლიზმი წარმოიშვა როგორც პროტესტის ფორმა უიდეო ხელოვნების წინააღმდეგ. მაგრამ თვითონ სიმბოლისტიკის მიერ შემოტანილი შინაარსი ქაოსური, მისტიკურია.

„იყო დრო, როცა უმაღლესი კლასები, რომელთათვისაც ძირითადად არსებობს ხელოვნება „ცივილიზებულ საზოგადოებაში“, — წერს პლუხანოვი, — წინ ისწრაფოდნენ და მაშინ იდეურობა არა თუ აფრთხილდა, არამედ იზიდავდა მათ. ახლა კი ეს კლასები, უკეთეს შემთხვევაში, ერთ ადგილზე დგანან, ამიტომ მათ სურთ არ ესაიპიროებთ იდეურობა, ან ესაიპიროებთ მინიმალურ დონეზე და ამდენად იმათი პროტესტი უიდეობის წინააღმდეგ, თუ ელახება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ უიდეო ხელოვნების სიციოტული შემქმნელი, — არაფერს არ იძლევა, ვარდა განყენებული და ქაოტური სიმბოლიზმისა“¹.

პლუხანოვი აღნიშნავს, რომ უდავოდ ნიჭიერი მწერლები არიან რუსი პოეტი ზინაიდა გიბიუსი, განსაკუთრებით კი რომანისტი დიმიტრი მერეჟკოვსკი. მაგრამ წაიკითხეთ მერეჟკოვსკის რომანი „აღექსნადრე პირველი“ და დაწვწუნდებით, რომ აგე უიდეოდ დამახინჯებულია ამ მწერლისათვის დამახასიათებელი „რელიგიური მანიით“, რომელიც წარმოადგენს ვაბატონებულ კლასების აზროვნების, საერთო დაცემულობის ეპოქისათვის ნიშანდობლივ მოვლენას. ასევე საბუღისწეროდ მოქმედებს ზინაიდა გიბიუსის შემოქმედებამდე ამ პოეტის ესთეტიკური შრწამსისათვის შესატყვისი უსაზღვრო ეგოიზმი, ინდივიდუალიზმი, ხსნის გზის ძიება რელიგიის წიაღში და განყენებული სიმბოლიკა. ამა თუ იმ საზოგადოებაში ხელოვნების სწრაფვა სიმბოლიზმისაკენ კი იმას ნიშნავს, რომ ვაბატონებული კლასის აზრი, რომელიც თავის კვალს ანეებს ხელოვნებასაც, უკვე ვერ წილება საზოგადოებრივი განვითარების დედაარსს.

„სიმბოლიზმი — ეს სიდატაკის თავისებური მოწმობაა, როცა აზროვნებამ შეიარაღებულია სინამდვილის გაგებით, მას უკვე ესაძირება სიმბოლიზმის უდაბნოში გაქრა“². — ამბობს „ხელოვნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების“ ავტორი.

თანამედროვე ბერეჟკოვილი ხელოვანი, შეინიშნავს პლუხანოვი, უბადრეკი ინდივიდუალისტიკა, რომლის ინტერესთა მთელი სფერო შემოთარავებულია ვიწრო და მიუსაფარი „შეუთი, ამგვარი ინდივიდუალიზმი მეტწილად აიძულებს მხატვრებს გაიჭრან მისტიციზმის უდაბნოში ანდა, პირიქით, ვადანის პათოლოგიზმში, შიშველ ეროტიკაში, სექსუალური პრობლემათი გატაცებაში. ეროტიკა, რომელიც, მაგალითად, უაღრესად დამახასიათებელია პოეტიკალი ზინაიდა გიბიუსისათვის, წარმოადგენს პრიმიტიული ინდივიდუალიზმის უკიდურეს გამოვლინებას. ინდივიდუალიზმის თვალსაზრისზე მდგომი დეკადენტები „სრულყოფილ უაღრესად-ყოფენ ხელოვნების ნაწარმოებთა იდეურ შინაარსს ან და უმორჩილებენ მას თავიანთი უსაზღვრო სუბიექტივიზმის კაპრიზულ და სწრაფ წარმავალ მოთხოვნილებებს“³.

პლუხანოვი ასაბუთებს, რომ სუბიექტური იდეალიზმიდან გამოტანილ უკიდურეს დასკვნებს ეყარება გიბიუსის, მერეჟკოვსკისა და ფილოსოფოვის „მისტიკური ანარქიზმი“, რომლის შრწამსი თავის დრამზე გამოხატა ფრანგმა დეკადენტმა მორის ზარესმა სიტყვებით — „ერთადერთ რეალობას ჩვენნი „მე“ შეადგენს“. ამგვარი, ბერეჟკოვილი-ინდივიდუალისტური მორალი თავის მკვათა გამოხატულებას პროლობს ქრტე პამსუნის პიესაში „ალსაღლის კართან“. პოლონელი დეკადენტის პშიბიშევესკის გმირის ერეკ ფაღვის მონოლოგში „გონებისადაში ზედმეტი ნდობის შესახებ“, აგრეთვე ზუდერმანისა და ლეონიდ ანდრეევის პიესებში, სადაც, პლუხანოვის თქმით, შემოჭრილია ინდივიდუალისტიკური ოცნება დიდებამდე და ინდივიდუალიზმის პოეტიზაციის ცდა.

მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების ბრწყინვალე მცოდნესა და შემფასებელ პლუხანოვს კარგად ესმოდა, რომ დეკადენტური ხელოვნება გამოხატავს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი სისტემის რღვევასა და დაცემას, თავისებური „სიყმაწვილის სენის“ გამოვლინებას ესთეტიკის სფეროში. ასეთი ავადმყოფურია, მისი აზრით, ზ. გიბიუსის, დ. მერეჟკოვსკის, დ. ფილოსოფოვისა და ნ. მიწსკის მისტიციზმი, ეროტიკა, მისწრაფება „იბისაკენ, რაც არ არის ამ ქვეყნად“ და ამასთანავე მათი თავხედური განცხადება, თით-

¹ იქვე, გვ. 198.

² იქვე, გვ. 108.

ქოს რესპი დეკლარებმა „მსოფლიო კულტურის მწვერვალს მიღწევს“, სინამდვილეში კი, ამბობს პლენარული, ამ ავტორთა ფილოსოფიური და მხატვრული ნაწარმოებების ღირსება მერტლ სავერთა. ისინი მოწვევებილი არიან ხალხს, საზოგადოებრივ-რეკლამური ცხოვრებას, ცდილობენ მოიგონონ რაღაც არასრულყოფილი „ფანტასტიკური“, „მიღმისეული“, დედა-მწიისაგან და ყველა მწიერ საკითხებისაგან მოწვევებილი სამუაოა.

პლენარულს საშინ, მკვე მოვლენად მიანდა მისტიკური იდეების ქადაგება, ახალი რელიგიის ქიება. მას თანაგრძობით მოჰყავდა ფრ. ენგელსის სიტყვები გოეთეს შესახებ, „რომ სწორედ ადამიანობაში, რელიგიის ბოროტებისაგან ხელოვნების ემანსიპაციაში გოეთეს დიდება“. ე. წ. „ღვთისმამებლების“ და „ღვთისმშენებლების“ წინააღმდეგ გ. ვ. პლენარული გამოერდა დიდი სპეციალური წერილით „რუსეთში ვერეთ-წოდებულ რელიგიურ ქიებათა შესახებ“; აქ იგი იქლვეა მ. გორკის „ღვთისმშენებლები“ შეედომებით სესე „ილარების“ კრიტიკას. აფრთხილებს „დიდ მხატვარს“ გორკის, რომ „გოტილი, დისტოვესკი, ტოლსტოი... — უხარ-მაზარი მხატვრული ტალანტებია“, მაგრამ ყვე-ლამ მარცხი განიცადეს რელიგიურ ქიებათა გზაზე 2. ამვე ნარკვევში პლენარული აკრიტიკებს ა. ვ. ლენინარკის შეედომებს, მის მიერ ახალი, „მეხუთ რელიგიის“ გამოცხადებას და გამანადგურებელი კრიტიკის ცეცხლში ატარებს ნ. მისკის, დ. შერეკოვსკის, დ. ფილოსოფი-ვისა და ზ. გიპიუსის მისტიკურ-რელიგიური სულისკვეთებით გამსჭვალულ ნაწერებს — ნამდვილ „დეკადანსის სახარებას“ 3.

ლიტერატურასა და ესთეტიკასთან ერთად გ. ვ. პლენარულმა დიდი ადგილი დეთმო მისი დროის მხატვრობის „უარასრულ სიტუცის“ — კუბისტებისა და იმპრესიონისტების ფერწერის კრიტიკულ შეფასებას. დეკლარებურ ესთეტიკასთან კამათში კრიტიკოსმა წამოაყენა რეალისტური ესთეტიკისათვის დიდი პრინციპული მნიშვნელობის მქონე დებულება ლიტერატურისა და ფერწერის (მხატვრობის) ამოცანების ერთიანობის შესახებ. პლენარული უარყოფს იდეალისტ-ესთეტიკოსთა მტკიცებას, თითქოს ცხოვრებისეული დრამების წარმოსახვა უცხო იყოს ფერწერისათვის და მისი ამოცანები განსხვავდებოდეს მხატვრული ლიტერატურის ამოცანებისაგან. აქედია, შენაშნავს პლენარული, ფერწერასაც აქვს თავისი სპეციფიკა; მაგრამ, ამასთან ერთად, კითხვაც იხადება, თუ რატომ

არ უნდა წარმოსახოს ფერწერამ „მსოფლიო კულტურის“ მწვერვალს მიღწევას და არა მხოლოდ მის, რასაც ლიტერატურა წარმოგვსახავს? ხელოვნების ამოცანას შეადგენს წარმოსახვის ყოველივე ის, რაც აინტერესებს საზოგადოებრივ ადამიანს და ფერწერაც ამ მხრივ გამოწვევისა რაღაცა. ლიტერატურისა და ფერწერის ესთეტიკური იდეალების გამოცენის მომხრეებთან კამათში პლენარული არყვას ბურჟუაზიულ-იდეალისტურა ესთეტიკის წარმომადგენელთა ტენდენციურობას; ისინი ცდილობენ მთელი უფსკრული გამოინახონ ფერწერასა და ლიტერატურას შორის, რათა აღიარონ ფერწერის მუსიკასთან გათქვეფის აბსტრუქული იდეა, სცნონ ფერწერა რაღაც განუყრებულ „საღებავთა სიმფონიალ“ და ყოველივე ამის სხადიან მხოლოდ ერთი მიზნით — იდეურობის ელემენტთან საბრძოლველად 1.

სტატეებში „ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება“, „პროლეტარული მოძრაობა და ბურჟუაზიული ხელოვნება“ და სხვაგან პლენარული აღნიშნავს, რომ კუბისტების იდეურად ლატაკი, მხატვრულად უსუსერი ფორმალისტური ხელოვნება ტოვებს პირდაპირ არავსთეტიკურ შთაბეჭდილებას, რადგანაც კუბისტური ტილოებზე ცუდათაა შესრულებული სხეულები, საშინელია კოლორტი. კუბისტების გამოყენი-საგან მიღებული შთაბეჭდილებით პლენარული ნაინიშნავს თავის უბის წიგნაკში, რომ კუბიზმი ეს არის რაღაც „სისულელე, აყვანილი კუბი“.

კუბისტების ფერწერასთან გაყვობა ათქვეი-ნებს პლენარულს, რომ დეკლარებმა მხატვრებმა დაიწყეს თავიანთი გამოყვლები „მშვენიერების კელტის“ აღიარებით, ხოლო მივიდნენ ნამდვილ სიმპონიკულზე. გ. ვ. პლენარულმა ახსნა, რომ კუბიზმი წარმოადგენს მოდერნი-სტული ხელოვნების უკიდურესად ფორმალისტური სახესხვაობას; მან უჩვენა კუბისტების „მხატვრული შემოქმედების“ სრული არარაობა, მისი აბსოლუტური უშინაარსობა მხატვრულ-ესთეტიკური და საზოგადოებრივ-ფილოსოფიური თვალსაზრისით. კუბისტების მთავარი შეცდომა იმაშია, ამბობს კრიტიკოსი, რომ ისინი შორს არიან ხალხის ცხოვრებისაგან, ცდილობენ დაარღვიონ ხელოვნების მწიღრო აყვობის სინამდვილესთან; შემთხვევითი რაღაცა, რომ კუბისტები მტრულად, უარსმყოფელად გაოდებან მსოფლიო ხელოვნების ერთეულ მთწველომ მწვერვალს — აღორძინების ხანის ფერწერასა და ქანდაკებას. ეს იმიტომ, რომ აღორძინების ხანის ხელოვნება რეალისტურია; იგი აღბეჭდი-ლია ადამიანის ტრანსური მისწრაფებით გამო-სახონ ცხოვრების მშვენიერება ხელოვნების ტილოებზე, ხოლო ეს უანსალი ტენდენცია

1 Г. В. Плеханов, Сочинения, т. XIV, 33, 161

2 იქვე, ტ. XVII, 33, 258 — 272

3 იქვე, 33, 272 — 309.

1 იქვე, ტ. XIV 33, 83

სრულიად უცხოა კვების მხატვრული პრაქტიკისა და მისი „ესთეტიკისათვის“.

პლუხანოვის გარდა ესმოდა ის გარემოება, რომ კვების (და საერთოდ ხელოვნების ნებისმიერი უარყოფითი მოვლენის) უარსაყოფად სრულიად არაა საკმარისი მისი პრიმიტიული გაბიზრება, „კვში აყვანილ სისულელედ“ გამოცხადება. ამიტომაც მიუთითებს პლუხანოვი, რომ აუცილებელია როგორც კვებისტერი ზელოვნების, ისე ამ ახალი ესთეტიკის თეორიული საფუძვლების კრიტიკა. ამ თვალსაზრისით არჩევს პლუხანოვი ალბერტ გლინისა და უან მენტენეს წიგნს „კვშიში“. ჰელენარი მიღის იმ დასკვნამდე, რომ კვებისტერი ესთეტიკა ვალკატური, ცდილობს დაეყრდნოს, ერთის მხრივ ჰეგელის, შოპენჰაუერის და კანტის რეაქციულ იდეებს, ხოლო, მეორეს მხრივ, ახალი დროის სუბიექტუალ-იდეალისტურ ფილოსოფიას (ფრიდრიხ ნიეშე, მანრი ბერგსონი). კვებისტერი თეორეტიკოსები—გლინო და მენტენე აცხადებდნენ, რომ მხატვარმა უნდა შექმნას გარეშე სამუაროსაგან დამოუკიდებელი და მისგან საეგუბით განსხვავებული სამუარო; ამასთან ერთად კვებისტერი ესთეტიკამ იმთავითვე გამოავლინა თავისი მტრული დამოკიდებულება მშრომელი ხალხისა და საზოგადოების მიმართ.

არჩევს რა კვებისტერი თეორეტიკოსთა ამგვარ დებულებებს, პლუხანოვი ამბობს, რომ იქ შეინიშნება როგორც აგნოსტიციზმი (სამუაროს შეუცნობლობის ქადაგება), ისე სუბიექტური იდეალიზმი, რომლის მიხედვითაც ადამიანის „შე“ არის „ერთადერთი რეალობა“; აგრეთვე მისწრაფება სოფისტური თეზისისაკენ, რომლის მიხედვითაც ადამიანი არის ყოველ საგანთა საზომი. ასეთ სოფისტურ წინამძღვრებიდან გამოდინარობენ კვებისტერი, რომლებიც მხატვრული შემოქმედება დასყუთ პრიმიტიულად, ცალკეული გეომეტრიული ნაკეთების, ფიგურების, საგანთა დეტალების ასახვა — ჩამოთვლამდე“ (კვებისტ. პოლინიერის ტერმინი), ყოველგვარ უცნაურობამდე.

„თუკ მე „ლურჯკანიანი ქალის“ ნაცვად la femme en bleu (ასეთი სახელწოდებით იყო წარმოდგენილი უიანსკერლ „სალონი“ ფ. ლეეს სურათი) წარმოსახავ ჩამდენიმე სტერეომეტრიულ ფიგურას, მაშინ ვის ექნება უფლება მიხიბოს, რომ მე დავბატო დევი სურათი? ქალები შეადგენენ ჩემგან დამოუკიდებელ გარკვენი სამუაროს ნაწილს. გარკვენი საზუარო შეუცნობელია ქალის დსახატავად ჩემთვის საკმარისია საკუთარი „პიროვნებისადმი“ აპელირება, ხოლო „პიროვნება“ ქალს ანიჭებს უწესრიგოდ ვაზნეული ჩამდენიმე კუბისა, ანუ, უფრო სწორად, პარალელპიპედის ფორმას. ეს კუბები აინებენ „სალონის“ უყუად მნახველს. მაგრამ არა უშავს რა „პირობა“ მხოლოდ იმი-

ტომ იცინის, რომ მას არ ესმის მხატვრული ენა. მხატვარმა მას არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუთმოს. მხატვარი, რომელიც ყოველთვის უყოველგვარი დამოზიხისაგან, არაფერს არ ხსნის და არ უამბობს, ამით აგრეთვე შინაგან ძალას, რომელიც მის გარშემო ანათებს ყოველივეს. ხოლო ამ ძალის მოლოდინში ისდა გვრჩება, რომ ვხატოთ სტერეომეტრიული ფიგურები“¹. ასე მხვლავიანიერად დასციინს პლუხანოვი კვებისტების ფილოსოფიურ-ესთეტიკურ კრედოს.

პლუხანოვი ასკენს, რომ კვებისტერი ესთეტიკის პრინციპების თანმიმდევრულად განხორციელებას შემოქმედებით პრაქტიკაში სრულ უაზრობამდე დასყავს ყველაზე ნიჭიერი მხატვრის მისწრაფებანიც. კვებისტების სინამდვილეს მოწყვეტილი აბსტრაქტული „თივანი“ უნაყოფია და აბსურდული, რითაც კიდევ ერთხელ მტკიცდება აბსურდულობა იმ თეორიისა, რომელიც ქადაგებს „ხელოვნების ხელოვნებისათვის“. ახლის თივა პიროვნისის ხელაერი ბერკეტი, შენიშნავს პლუხანოვი, მაგრამ უნდა იცოდე, თუ რას ეძებ. ვინც ბრმა საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ, ვისთვისაც არ არსებობს სხვა რეალობა, გარდა მისი საკუთარი „მეის“, ასეთი „ახლის მათივლი“ გარდა უაზრობისა, ვერაფერს ქაოებს. ასეთ შედეგამდე მიჰყავს ხელოვანი ბერკეტივითი დაცემულობის ეპოქისათვის დამახასიათებელ უკიდურეს ინდივიდუალურს. ეს უკანასკნელი უღვივებს მხატვრებს სიბეცეს საზოგადოებრივ ცხოვრებისადმი და მიჰყავს ისინი უნაყოფო დაცი-ფუციამდე, რომელსაც თან ახლავს უშინაარსო პიროვნული განდევნი და ავადმყოფობა ფანტასტიკური გამოზავნი. საბოლოო ანგარიშიში, ამბობს პლუხანოვი, ვღებულობთ რაღაცას, რასაც არათუ არაფერი საერთო არა აქვს კემშარტ მშენიერებასა და სილამაზესთან, არამედ წარმოადგენს აშკარა უაზრობას².

კვებისტის ეს სასტიკა და პირუთენელი კრიტიკა, რომელიც მოგვცა პლუხანოვმა ნახევარი საუკუნის წინათ, დღესაც წარმოადგენს ბასრ იფერ-მხატვრულ იარაღს, ვინაიდან კვებისტე და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სიურეალიზმი ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ ევროპისა და განსაკუთრებით ამერიკის აბსტრაქციონისტულ“ სახეთ ხელოვნებაში. იქ მასობრივი ტირაჟით იბეჭდება გ. პოლინიერის იდეალისტური „ესთეტიკა“, პლუხანოვის მიერ ვატირტიკებული ა. გლინის ახალი ნიპოლისტური ნაშრომი „კვებისტე და ტრადიციები“ და სხვა ამგვარი „ესთეტიკური“ მკელაბტრა. იქმნება ისეთი საედალოდ ცნობილი ნაწარმოებუ-

¹ Г. В. Плеханов. Сочинения. ტ. XIV. გვ. 171—172 და სხვ.
² იქვე, გვ. 173



ბი, როგორცა ე. ლიფშიციის უბადლებელი „კრიტიკის კაცო“ და მოდერნისტული ხელოვნების „ოსტატთა“ სხვა ანტიესთეტიკური ნაბეღავი. პლენანოვის ნაშრომები დღესაც უნაზღვრად მთქმნავე ხელოვნებათმცოდნეებს წარსულის კლასიკური მეგვიდრეობის დიად რეალისტურ ტრადიციათა დაცვაში, კუბიზმის, სიურრეალისმისა და სხვა ამგვარი „იზმების“ დამღებულ ხეგაეღნასთან ბრძოლაში.

ნაშრომებში „პროლეტარული მოძრაობა და ბურჟუაზიული ხელოვნება“ და „ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება“, აგრეთვე თავის ცალკეულ ჩანაწერებში ე. ე. პლენანოვმა დაგვიტოვა მუტად ორიგინალური მხატვრულ-ფილოსოფიური ანალიზი ისეთი სინტერესო მოვლენისა, როგორცა იმპრესიონიზმი. ეს მათ უფრო საყურადღებოა, რომ დღესაც, არა მარტო საზღვარგარეთ, არამედ ჩვენთანაც, სიბჭოთა კავშირში, ბევრი მხატვარი, მწერალი და ხელოვნებათმცოდნე იჩენს მიდრეკილებას იმპრესიონიზმისადმი და ხანდახან იმასაც კი შთაბეჭდივენ, რომ მას მიენიჭოს რეალიზმის თანატოლი უფლებები; სხვები კი ხელაღებით უარყოფენ ამ მხატვრულ მიმართულებას. პლენანოვის მიერ მოცემული იმპრესიონიზმის კრიტიკა დაგვიბოძარბა გავრცეეთ ამ მხატვრული მოვლენის შინაარსში და განვსაზღვროთ მისი ნამდვილი ადგილი ხელოვნების ისტორიაში.

პლენანოვი როდი მიეკუთვნება იმ კრიტიკოსთა რიცხვს, რომელთაც სჩვევით ამა თუ იმ მხატვრული მოვლენის, მიმდინარეობის ხელაღებით უარყოფა. იმპრესიონისტების შესანიშნავ მიღწევად პლენანოვს სამართლიანად მიიჩნეა მათი ბრწყინვალე ფერწერითი ტექნიკა, სინათლის ეფექტების ოსტატური გამოყენება, რის ნიმუშადაც კრიტიკოსს მოჰყავს შვედი მხატვრის კარლ ლარსონის ტილოები, სადაც გასაოცარი სიუხვით, ამასთანავე უბრალოებითა და ზუნებრიობით არის მოცემული სინათლე, პერი, სიციცხლე. იმპრესიონიზმის კრიტიკასთან ერთად პლენანოვი აღიარებს მის მიერ დაყენებული ტექნიკური საკითხების დიდ ღირებულებას.

პლენანოვის კრიტიკული ანალიზის ობიექტურობასა და სიმახვილეს მოწმობს მისი შემდგომ სტრიქონები იმპრესიონისტების შესახებ:

„სინათლის ეფექტებისადმი ყურადღება, — წერს იგი, — ზრდის იმ ტემპობის მარჯვს, რომელსაც ბუნება ანიჭებს ადამიანს. ხოლო რადგან „მომავალ საზოგადოებაში“ ბუნება, აღბათ, გაიკლებით ძვირფასი იქნება ადამიანისთვის, ვიდრე ახლა, მაშინ აუცილებელია იმის აღიარება, რომ იმპრესიონიზმიც, თუმცა არა ყოველთვის წარმატებით, ამ საზოგადოების სასარგებლოდ მუშაობს. „შინ მოგვიტანა

მზით გასხივონებული ცხოვრების აღწერა“¹ და მაგრამ ამასთან ერთად პლენანოვი² უნდა იხსენიებოდეს ნაველ მიავნო იმპრესიონიზმს „სხვათა მიერ“ და აღნიშნა, რომ იმპრესიონისტებში გამოავლინეს სრული გულგრილობა თავისი ნაწარმოებების იდეური შინაარსის მიმართ და სინათლე, შუქი გამოაცხადეს სურათის მთავარ გვირგვინად. მაგრამ, საჭე იმაშია, რომ სინათლის გვირგვინა უფრო კიდევ არ არის გრძობა, არ არის აზრი. ამიტომაც ის მხატვარი, რომელიც იზღუდება შეგრძნებათა სფეროთი, ავლენს ინდიფერენტულ დამოკიდებულებას გრძობისა და აზრის მიმართ. იმპრესიონისტები ქმნიან ბუნების შესანიშნავ სურათებს, მაგრამ იმპრესიონისტული ფერწერის ოსტატთა პეიზაჟები ხასიათდებათ „განწყობილებით“ სიღარიბით და გამოირჩევიან მხოლოდ სინათლის ნაირფერადი თამაშის ორიგინალური გადმოცემით. იმპრესიონიზმის სისტემა განსაკუთრებით შესაძინევია პორტრეტული ფერწერის განაშნ. პირველ იმპრესიონისტთა შორის იყვნენ დიდი ტალანტის მქონე პეიზაჟისტები (მანე, მონე), მაგრამ არ ყოფილა არც ერთი დიდი პორტრეტისტი. ეს გასაკვირცაა; შეუძლებელია სინათლე იყოს მთავარი გვირგვინი პორტრეტული ფერწერისა, რადგანაც ეს უკანასკნელი თხოულობს გრძობიერებასა და აზროვნების სრულ დამახტებს. პლენანოვის სწორი შენიშვნით, პორტრეტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფერწერის სხვა სახეობა შორის, რადგანაც მის მთავარ ღირსებას შეადგენს ორიგინალთან მსგავსება. მაგრამ ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მხატვრული რეალიზმის გზით, რასაც აცდენილია. ვთქვათ, ტორიოში, მისი ნამდვილად დიდი ტალანტის მიუხედავად.

პლენანოვმა დაასაბუთა, რომ სავსებით უმართებულოა პარალელი კლასიკურ ესპანურ მხატვრობასთან (ველასკესი, ვრეკო, რიბეირა, გოია), რომელსაც მიმართავენდენ თავის შემოქმედებით მოზიციათა დისაცვად. მოდერნისტული ხელოვნების დამცველები, კრიტიკოსმა მოხდენილად უჩვენა, რომ, მართალია ძველი ესპანური ფერწერა არ გაურბოდა ეფექტებს, მაგრამ მოდერნისტებს აფიწყებდათ ის „უმნიშვნელო გარემოება“, რომ ესპანელი მხატვრების შემოქმედებას ქონდა მდიდარი შინაგანი შინაარსი, იდეათა მდიდი საწყარო, რომელიც მას ანიჭებდა „ეოცხალ სულს“. გერმან ანგლადან მსგავს დეკადენტ მხატვრებს კი არაფერი არა აქვთ, გარდა ეფექტებისადმი უშინაარსო სწრაფვისა, რის გამო მათ ყურადღებას იზიდავს მხოლოდ მოვლენათა ქერტი, ზედაპირი, ბურჟუაზიული უბეღიკის გამაღიზიანებელი პარადოქსები².

¹ Г. В. Плеханов. Сочинения, т. XIV, стр. 79.

² იქვე, стр. 79.

პლუხანოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჭეშ-პარიტად მშვენიერი მხატვრული ნაწარმოები ყოველთვის გამსჭვალულია „დიადი სულის ღირსებით“, რომელიც ახასიათებდა ლენინარდო და ვინჩის და მიქელ ანჯელოს შიგავე გენიალურ შემოქმედთ და რასაც მოყლებულია მოდერნისტი მხატვრების შემოქმედება. რენესანსის ეპოქის ტიტანები ღრმად აზროვნებდნენ და მწვავედ განიცდიდნენ გარემომოცველი საზოგადოების სულიერ ტვილიებს, ხოლო თანამედროვე მოდერნისტი მხატვრები მოყლებული არიან ამ აზრსა და გრძობას, ამბობს პლუხანოვი. ლენინარდო და ვინჩი და მიქელ-ანჯელო წარმოგვიხავენ დიად აღამიანურ დრამებს, იმპრესიონისტები კი კმაყოფილებიან შექ-ჩრდილის თამაშით.

პლუხანოვის აზრით იმპრესიონისტების მთავარი შეცდომა არის ის, რომ სინათლეს, შექ-ჩრდილის ეფექტებს, „შეგრძნვებათა კომპლექსს“ და ა. შ. ისინი სწვევტენ საზოგადოებრივი აღამიანის სულიერ სამყაროსიგან. ამიტომ ხშირ შემთხვევაში მათი ტილოები შინაარსობრივად გამოცარული და არაფრის შთქმულია. „ხოლო როდესაც მხატვარი ამხეილებს მთელ თავის ყურადღებას სინათლის ეფექტებზე, როდესაც ეს ეფექტები მისი შემოქმედების აღფად და ომეგად იქცევა, მაშინ ძნელია მოველოდეთ მისგან პირველხარისხოვან მხატვრულ ნაწარმოებებს. მისი ხელოვნება, აუცილებლობის ძალით, შეიწრდება მოყლენათა ზედაპირზე. ხოლო როდესაც იგი ეძლევა ცდუნებას გაავიარვოს მახველი ეფექტების პარადოქსულობით, მაშინ გეზღება აღიარება იმისა, რომ იგი სიმბინჯისა და სასაცილოსიკენ წავიდა პირდაპირ ეზით“¹. ასეთი უცნაური „რებუსული“ ტილო-

ების მაგალითად პლუხანოვს მოყვეს ვერმან ანგლადის „მოცეკვავე ბოშა“ და გენსეკტრებით ტოტოპის „ახალგაზრდა თაობა“, რომელსაც არაფერი არა აქვს საერთო ამ დასათარჯნასთან. ამ სურათის მახველს აოცებს რაღაც უცნაური ტყის, ხეების, ქალის თავის, რაღაც ნაპრაღისა და ტელეგრაფის ბოძის სასაცილო და უცნაური აღრევა.

ორი გზა არსებობს თანამედროვე ხელოვნებაში, ამბობს პლუხანოვი, ერთია მოდერნიზმი, დეკადენტობა-სიმბოლიზმი, კუბიზმი, იმპრესიონიზმი და სხვ., რომელიც ხასიათდება ახალ-ახალი განსაცარი ხელოვნური ეფექტების ძიებით და მხადებს იმ პარადოქსულ ტილოებს, სადაც აღამიანისა და პეინსაყიე კარიკატურულ ხასიათს ღებულობს. ეს ეპიკონური ფერწერა გამყილავად დაახასიათა კამილ მოყლერმა, როგორც „სიმბინჯის კრიზისი მხატვრობაში“. მეორე და ჭეშპარიტი გზა — ეს არის იმპრესიონისტებისა და სხვათა შეცდომების დაძლევა და მიხელა იმ ერთადერთ სწორ დასკენამდე რომ სურათის, ფერწერის მთავარი მოქმედი პირია არა სინათლე, მისი ეფექტები და საღებავები, არამედ საზოგადოებრივი აღამიანი, მის მრავალმხრივ განცდათა მთელი მრავალფეროვნებით. მხოლოდ ყოველივე ამის მხატვრულ-რეალისტური შეგნება კმნის პირობებს ხელოვნების ჭეშპარიტად ღირებუელი ნაწარმოებების შესაქმნელად.

როგორც ეხედავთ, დეკადენტობის პლუხანოვისეული კრიტიკა ის ცოცხალი მეშვეიღრეობაა, რომელიც მოვეიწოდებს მხატვრული რეალიზმის ახალ მწვერვალთა დასაუფლებლად. იგი ხასი იარაღია თანამედროვე მოდერნიზმის გასაკრიტიკებლად.

¹ Г. В. Плеханов. Сочинения, т. XIV,

36. ჯიბაში

აღმსარებელ გომიანობი

აღ. გომიანობი ერთგან ამბობს:
 „ჩემი პირველი ლიტერატურული ნათ-
 ლობა (ა. გომიანობის პირველი ლექსი
 „მთების სარდალი“ დაიბეჭდა 1929
 წელს ჟურნალ „ქართული მწერლობის“
 ფურცლებზე — ვ. ჯ.) უმტკივნეულო
 როდი იყო. მაშინ მხოლოდ ჩვენ კი არ
 ვიყავით ახალგაზრდები. ახალგაზრდა
 იყო საბჭოთა მწერლობაც. ოცდაათიანი
 წლების მიჯნაზე ერთმანეთს ებრძოდა
 მრავალი ლიტერატურული მიმდინარე-
 ობა და ბრძოლის ამ ჰიდილში ყალიბ-
 დებოდა ყველა ახალგაზრდა შემოქმე-
 დის სახე“. აღსანიშნავია, რომ ლიტერა-
 ტურულ მიმდინარეობათა ამ მძაფრ
 ბრძოლებში ა. გომიანობის იმთავითვე
 სწორი პოზიცია ეკავა, ნათელი წარ-
 მოდგენა ჰქონდა მწერლობის როლზე
 საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედ
 ამით აიხსნება, რომ იგი თავიდანვე
 მკაცრად უპირისპირდება მათ, ვინც
 თვალს ხუჭავდა აწმყო წინაშე და
 მწერლობის გაუხამსებასა და ესთეტი-
 კური გრძნობების გაუბრალოებას ცდი-
 ლობდა:

გმირობისათვის გამზადებული მეომრის
 შემართებად, გრძნობათა დეღვად, ქა-
 რიშხლად, სიყვარულის მოზღვავებად,
 აღტაცებად, სიხარულად და ტკივილე-
 ბად:

პოეტო, მშაო, სანამ გული ჰყავის ვარდივით,
 სანამ ძარღვებში სიკაბუჯის სისხლი
 თქრიალებს. —
 მოსჭერი ლექსში მალა მთების ნაღმის
 წადილი
 და ყვირილობა მიახარე შორაქს...
 თრიალეთს...
 ახლა ტოლს ეძებს ხარი მთიდან
 ჩამოვარდნილი,
 მიწას ჩაბღავის ილაღზე მოხეტიალე
 და ვით პოემა თინათინის და ავთანდილის
 შესს სიმღერებში სიყვარულის ჰიანი
 წკრიალებს.

პოეტი გამოხატავს საშრობლოსათვის
 თავდადების იდეას, ადამიანის უკე-
 თილშობილეს მისწრაფებებსა და გუ-
 ლისთქმას, ხალხთა შორის სიყვარული-
 სა და მეგობრობის უწყინდეს გრძნო-
 ბას, ერთი სიტყვით, ყოველივე იმას,
 რაც თვითიულ ჩვენთაგანს აღელვებს.

ა. გომიანობის პირველი პოეტური
 შთაბეჭდილებანი დარიალის ვიწროებ-
 ში დაიბადა, იგი წერს: „იქ, ძველი სახ-
 ლის სარკმელში ცისკარივით იხედებო-
 და „ხევის პატარძალი“ და პოეზიის
 პარანასად მეჩვენებოდა მყინვარწვერი“,
 შემდეგ „ამხანაგმა მთამ აიღო სიტყვა“
 და ლექსებში გადავიდა დარიალის მთე-
 ბი და კლდეები: „ნანგრევთა შორის“
 მესახებოდა ხევის კომაგშირი, ხოლო

ვინა თქვა, თითქოს ჩიტის გული აქვსო
 მინდია,
 ვეახთან ერთად დასრულდაო დიდი ეპოსი?!
 და ჩვენს ქუჩებში დილაა თუ ღამის ბინდია,
 უნდა ვიმღეროთ კინტოური ლექსი პეპოსი.
 არა და არა! პოეზიის „ჩიტო ნიბლია“,
 ვის უნდა შენი „ყარაზიხი“ და „ანგელოსი“ —
 ახლა საფიჭუნოს ფოლადს ადნობს თავად
 მინდია
 და იქედება ხმალი ახალ საქართველოსი.

ა. გომიანობის პოეზია ესახება ვაე-
 კაცობად და სიმამაცედ, ბრძოლისა და

„ქაჯეთის ციხის აღებაში“ ვაჟა-ფშაველას მთების გაზაფხული“. — გოთხულობთ ამ სტრუქტურებს ა. გომიაშვილის ავტობიოგრაფიულ ნარკვევში, და ჩვენ თვალწინ იშლება პოეტის შემოქმედებითი ცხოვრება მისი დასაწყისიდან — დღევანდელ დღემდე. რასაკვირველია, მართო ეს ციკლები არ განსაზღვრავენ ა. გომიაშვილის ლიტერატურულ ინტერესს; მისი შემოქმედების თემატიკის სფერო უფრო ფართოა, მაგრამ უდავოა, რომ მისი პოეზიის მასაზრდოებელი და მაცოცხლებელი წყარო მაღალი მთებიდან მომდინარეობს:

ანდა — სად არის სხვა დარიალი,
ლალი სიმღერის ადგილის დედა?!
მთებია ჩემი ლექსის პარასიცი
და გამჭრიახი არწივის ხედვა.

ა. გომიაშვილის პოეზიაში ურთიერთ შერწყმულია ადამიანისა და ბუნების სუნთქვა. მის ლექსებში ჩანჩქერების ხმაურს, ირმების ყვირილსა და ბუდეებიდან აფრენილი ფრინველების ყრიაზულს შემოქმედებითი შრომის ხალისით ფრთაშესხმული ადამიანის მძლავრი ყიყინა შეერთებია. ყოველივე ეს ა. გომიაშვილის პოეზიაში ქმნის დიდსა და ლამაზ სიცოცხლეს, შეზავებულს უნაზესი ფერებითა და გულში ჩამწყვდომი სითბოთი.

ა. გომიაშვილის შემოქმედებაში იგრძნობა პერსონალური პოეზიის ამაყი სული. შემთხვევითი როდია, რომ მისი პოეტური ლექსიკა მდლდარია ვაჟა-ფშაველას პერსონაჟთა სახელებით. აქვე უნდა ითქვას, რომ ა. გომიაშვილის პოეზიაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს 1937 წელს დაწერილ ლექსს „რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა“, რომელიც აღბეჭდილია მაღალი შთაგონების მაღლით:

ღამთ წყვილადში ღვას ქაჯეთის ციხე
შაველა
შეპართულია ქიუხები ცამდე შებებად, —

მოდის მთებიდან ახალგაზრდა ვაჟა-ფშაველა
და შეიდასი წლის შოთხე მტრისმტეველი;
შეიხილა მტრისმტეველი:

— ქაჯეთის ციხეს დიდხანს სწავება ცრემლი
ნესტანის.
დიდხანს ტიროდა ნესტან — ჭალი ლერწმის
ლერქიდან

და ნესტანივით ხანძრული ზევსურის ტანიც
იმავ ქაჯების ტყეობაში იტანჯებოდა,
იმასაც თავზე დაპბრუნაედა ღრუბელი შავი.
მაგრამ მინდია არ ელოდა არაეის შევლას,
გადაწყდა უნდა უაბანოვით მოეკლა თავი
და ბოლოს მაინც გადაიქცა „გველის
შეამელად“.

გაქრა ტყეობა, აღარც ციხე, აღარც მინდია,
ესაუბრება ლალ ბუნებას ბრძენი მინდია. —

პოეტის მხატვრულ ცნობიერებაში ქართული სიტყვის ორი გოლიათი — რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა ხორცის ხანაშს თავთავიანთი პერსონაჟებით: შოთა — ქაჯთაგან დატყვევებული მშვენიერი ნესტანით, ხოლო ვაჟა — მთიელი ვაჟაკით მინდიათი, რომელიც აგრეთვე ქაჯებმა დაატყვევეს და აიძულეს, გველი ეჭამა. პოეტი უმღერის ხალხის დიდ ძალას, რომელმაც საბოლოოდ დაამხო ქაჯეთი — სიმბოლო სოციალური ბოროტებისა და ძალმომრეობისა.

ყურადღებას იპყრობს ა. გომიაშვილის ამდღევებლად დაწერილი ლექსი „შემატიანე, მითხარი რამე“, სადაც პოეტი გამოთქვამს გულისტყვიის იმის გამო, რომ „ქართლის ცხოვრებას“ დავიწყებული ჰყავს გუთნისდღეები, ქართველი მწყემსები, ე. ი. უბრალო ადამიანები, რომლებიც მტერს ხმალამოწვდილნი სამკედრო-სასიცოცხლოდ ეომებოდნენ, ერკინებოდნენ, მამაცურად იცავდნენ სამშობლოს უცხოელთა შემოსევისაგან. სწორედ ასეთ ძვირფას სახელებს აცოცხლებს და დიდების შექმნის მოსავს პოეტის შთაგონება.

შენ დუმხარ, ქართლის შემატიანე,
არ ასახელებ იმთ სახელებს,—
იმთ, ვინც მტერი ვატიალეს
და საქართველო გვლავ ასახელეს.
არ ასახელებ სამას არაგველს,

შენთვის უცხოა გუთნის დედები,
მათ გული თვისი ხმაზე ააგეს
და წინდა სისხლით მორწყეს ქედები...

პოეტი წარსულზე დიდი მგზნებარე-
ბით ლაპარაკობს. იგი ქვეყნის ვადამრ-
ჩენ ძალას უბრლო ადამიანებში ხედავს
და მათ ღვაწლს თანამედროვეობის პო-
ზიციებიდან გამოხატავს. ამავე თვალ-
სახარისით საინტერესოა ა. გომიაშვი-
ლის ლექსი „თქმულება ამირანზე“. პოეტმა მასში ის აზრი ჩააქსოვა, რომ მიჯაჭვული ამირანი ხალხის ძალამ სა-
მუდამოდ გამოსტაცა საღ კლდეს.

კონკრეტული მოვლენების მხატვრუ-
ლი განზოგადების სიღრმე და ძალა
კიდევ უფრო მკვეთრად იგრძნობა ა. გო-
მიაშვილის შემდგომი წლების ლექსებ-
ში, რომლებიც აშკარად მერყველებენ
ავტორის პოეტურ დაოსტატებაზე. ამ
ფაქტის საილუსტრაციოდ ჩვენ შევებე-
ბით ა. გომიაშვილის ბოლოდროინდელ
ნაწარმოებებს, რომლებშიც ყველაზე
უფრო რელიეფურად და ხელშესახებად
არის გამომჟღავნებული პოეტის მხატ-
ვრული აღქმის მაღალი დონე. პირველ
რიგში გავიხსენოთ ლექსი „წუთისოფე-
ლი“. ამ ლექსში პოეტი სინანულს გა-
მოთქვამს იმის გამო, რომ ადამიანის
სიცოცხლე მეტად ხანმოკლეა, ხოლო ეს
გარემოება არის იმის მიზეზი, რომ ბევ-
რი ჩვენი სანუკვარი სურვილი და გუ-
ლისთქმა განუხორციელებელი რჩება.
ამიტომ ადამიანმა თავისი სიცოცხლის
ყოველი წუთი გონივრულად და შინა-
არსიანად უნდა გამოიყენოს:

წუთი რა არის ამ საწუთროში,
რა უნდა იყოს წუთისოფელი?!
მაგრამ რადგანაც დღისით და ღამით
წამი წამწამთა არის მსწრობელი,
უნდა მზესავით გაანაწილო
აქმყო, დრო... სული მანათობელი,
რომ შეედევოს საუკუნეებს
შენგან განვლილი წუთისოფელი.

პოეტური ფერწერითა და უშუალო-
ბით გამოირჩევა აგრეთვე ლექსი „ად-
გილის დედა“, სადაც პოეტი იგონებს

თავის მამა-პაპურ კერას, იმ ადგილს,
სადაც ბავშვობის ლამაზი წყნარ
ტარებია, სადაც მშობლებს მშველს
სიყვარულით ზრდიდნენ და ავადკაცებ-
დნენ. ახლა ოცნებაში წასულს თითქოს
შორიდან მოესმის დედის ტკბილი ნახინა
და გული წყდება გაფრენილი სიყმაწვი-
ლის გამო. პოეტისათვის ძვირფასია
მშობლიური სოფლის ყოველი მტკავე-
ლი, რადგან იქ ეგულება ყრმობის ძვირ-
ფასი დღეების შუქი და ყოველივე, რის
გახსენებაც, ერთსა და იმავე დროს,
ტკივილსაც იწვევს და სიხარულსაც.

როცა ვლაპარაკობთ ა. გომიაშვილის
უქანასკნელი პერიოდის ლექსებზე, მის
პოეტურ დაოსტატებაზე, შეუძლებელია
უყურადღებოთ დაეტოვოთ, აგრეთვე,
„შავი კლდე“, „აკია არაბული“, „გუ-
დამაყარი“, „მლაშე ტბები“ და სხვ. ამ
ლექსებსაც ახასიათებს ვაჟკაციური შე-
მართება, ღრმა ლირიზმი, სულიერი
თრთოლვა და ხალხური სისადავე, რომ-
ლითაც აღბეჭდილია, საერთოდ, ა. გო-
მიაშვილის პოეზია. ყველა ამ ლექსში
კი, საერთოდ, განახლებული მთის ძა-
ლში სუნთქვა იგრძნობა.

მეგალითისათვის ავიღოთ ლექსი „შა-
ვი კლდე“. ოცნებაში წასულ პოეტს
ჩაესმის მთიელთა ძველი ხალხური სიმ-
ღერა, რომელშიც უცნობი მელექსე
გოდებს გვამთა გორებისა და ყორანთა
პარპაშის გამო. პოეტს ეს სიმღერა მრავალ-
გზის სმენია ბავშვობაში და გულს
ჩარჩენია, როგორც მშობელი ხალხის
მძაფრი ტკივილი. მაგრამ დროის ქარი-
შხალმა დალეწა ყორანთა ბუდე და
ახალი ეპოქის შვილი კლდიდან გადმო-
ჰყურებს ბედნიერი ცხოვრების შეუჩე-
რებელ სრბოლას:

მწყემსს არ აზნებს შავი კლდის ზღუდე
და ასხლტელი ზევის ხრტიანი, —
იმის წინ გღია ყორანის ბუდე
და თვით ყორანი თავგახვრტილი.
ბნელ უფსკრულებში ნისლი მოღღავს...
და არავს მისდევს დაბლა ფშანასკენ
ცხვრების ფარა და მწყემსის სიმღერა,
და მეც, ამ მთების სიმღერით საესე,

შე კლდეზე ვდგავარ მარტო ორბიეთ
და საქართველოს სამხედრო გზაზე
მლეთისკენ მიქრის ავტომობილი...

ა. გომიაშვილი ქართული საბჭოთა ბალადის ერთ-ერთი დამმკვიდრებელია. ქართული საბჭოთა ბალადა შემოქმედებითად აგრძელებს ჩვენი კლასიკური პოეზიის მაგისტრალურ ხაზს. მასში გველევებს მგზნებაზე რევოლუციური რომანტიკითა და ცხოვრებისეული სიახლით გამოწვეული მაღალი მათოსი, ცხადია, ჩვენი ბალადებისათვის მითური სამოსელი ისევე უცხოა, როგორც ჩვენთვის თვით ზღაპრულ-ფანტასტიკური ქმნილებების არსებობის რწმენა. საბჭოთა ბალადებში მოქმედებენ ჩვენი დროის ადამიანები, ბრძოლისა და შრომის გმირები, რომელთათვისაც უმთავრესია კაცობრიობის ეთილდღეობისათვის დაუცხრომელი ბრძოლის სულისკვეთება.

სწორედ ამ მხრივ იპყრობს ჩვენს ყურადღებას ა. გომიაშვილის ბალადები. აქ გამოჩნდნენ ზორცქესსმული სახეები როგორც სამოქალაქო ომის გმირების, ისე იმ ადამიანებისა, რომლებმაც თავიანთი შეუპოვარი შრომით ასახელეს სოციალისტური ზეთწლედები, ხოლო შემდეგ, როდესაც ჩვენს ქვეყანას მუხანათურად თავს დაესხნენ პიტლერელი ფაშისტები, სამშობლოს მტრებს გამანადგურებელი ცეცხლი მიაგებეს და თავი ისახელეს, როგორც ხალხის ერთგულმა და თავდადებულმა შვილებმა.

აღექსანდრე გომიაშვილის ბალადებში ისე, როგორც მის ლექსებში, თითქოს განუყოფელია მთის ბუნება და ვაკეცური სული. გმირის სულიერი სამყარო მას იმდენად ალღევებს და იტაცებს, რომ არ შეუძლია ნაფიქრნაგრძნობი ბოზოქარ სტრიქონებად არ აქციოს. ამის საუკეთესო მაგალითებია მისი ბალადები მგზნებაზე რევოლუციონერ ლადო კეცხოველზე („უკანასკნელი დღე კეცხოველისა“), სამოქალაქო ომის პირველ ცხენოსანზე („პირველი

ცხენოსანი“) და სხვ., რომლებშიც ბრძოლისა და შრომის გმირები მათოსია გადმოცემული. ამიტომ ვამბობთ, რომ ა. გომიაშვილის ბალადები ცხოვრებისეულია. სინამდვილის მხატვრული განსახიერება და ხორცშესხმა, მისი პერსონაჟები შეასაუკუნეების ბალადებისათვის დამახასიათებელ მითურ სახეებს კი არ წარმოადგენენ, არამედ ცხოვრებიდან აღებული ვაკეცური სულისკვეთებით გამსჭვალული ადამიანები არიან, რომელთაც ყოველდღიურად ვხვდებით. ჩვენ გვხიბლავს მათი ლეგენდარული გმირობა, სიმამაცე და გამბედაობა. ავიღოთ, მაგალითად, ბალადა „ღარიალი“, რომლის პატრიოტული მოტივები ესოდენ ეუფლება ჩვენს სულსა და გულს. ა. გომიაშვილი სამამულო ომის მონაწილეა. აქ გაიკნო მან ამ ბალადის მთავარი პერსონაჟი ლეგა ნადიბაიძე, რომლის მაღალმა თვისებებმა შთააგონა პოეტს საგმირო ხასიათის დასახელებული ბალადა. პოეტმა დიდი მხატვრული სიმართლით გვიჩვენა საბჭოთა პატრიოტიზმის ძლიერი, ქმედითი ძალა, მწვავე სიძულვილი მათდამი, ვინც შეპყრობილი იყო სხვისი მიწაწყლის დაპყრობის მხეცური ენით, მზურვალე თანაგრძნობა თავისი ხალხისადმი, მტერზე გამარჯვების ღრმად რწმენა:

ვინა თქვა, ვაგონარი
პროი ვინ დაიღერა:
აღმა მიქროდეს ზორანი,
მიქონდეს ზედისწერა —
არწივს ფრთას სეემდეს ყორანი
და ბუბუნებდეს ძვრას..

საბჭოთა მწერლობა ეხმაურება ყველაფერს იმას, რაც კი მნიშვნელოვანია ჩვენს ცხოვრებაში და რაც შეადგენს ადამიანის ბუნებას, მის არსს. მისთვის არაფერი ადამიანური უცხო არ არის. იგი თანაბარი ძალით გამოხატავს როგორც სიხარულს, ისე მწუხარებას, ტკივილებს. მაგრამ ჩვენი მწერლობა ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხის მწერ-

ლობა, მისი დიდი შინაგანი ცხოვრების გამომხატველი მწერლობაა და, აქედან გამომდინარე, მასში გაბატონებულია ოპტიმისტური სულისკვეთება და არა სევდიანი მოტივები, რითაც ასე აღსაყვსეა რევოლუციამდელი ლიტერატურა.

ა. გომიამშვილის პოეზიაც უაღრესად ოპტიმისტურია, რადგან მისი ამოსავალი წერტილიც ჩვენი თანამედროვეობაა. სწორედ აქ არის მისი პოეზიის ცხოველმყოფელობის სათავე.

ავიღოთ, მაგალითად, ბალადა „მონადირის სიკვდილი“. ახალმა ყოფამ, შეერთებულმა შრომამ დაასამარა ფეოდალური სევანეთის კარჩაკეტილობა, ძმათა შუღლი და საუქუნეთა მანძილზე გამეფებული ყველა ის მავნე ადათჩვევა, რომლებიც სულს უხუთავდა, ტანჯავდა ადამიანს. დამლუბველი ტრადიციებისა და შუასაუკუნებრივი ჩამორჩენილობისაგან განათავისუფლებული სევანები ახალ ცხოვრებას აშენებენ და ბეჯითად შრომობენ იმისათვის, რომ ერთ დროს მიუვალი ფეოდალური ციხე-კოშკების მხარე, სადაც ძმა ძმის სისხლს ღვრიდა, ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთ კულტურულ და მოწინავე აუთხედ აქციონ:

ასე მღერიათ ახლას
არხოტიენელი სწორები,
ასე ამტყვევენ ახლაც
მთა-გორებს კომპარსორები.
და შეც — ეს ლექსიც არჩივის
ჩრდილზე გავსკიდვ კლანჭებით, —
რომ გადუტანა მთას იქით
სიმღერა — ნაღმი გამჭრელი:
დაქარით! როგორ გაჰირდა
გარდევვა თოვლის ზეაეების,
დაქარით! (სქრიან, გზას სქრიან
კომკავშირელი სევანები...)
ნაღმი და ნაღმი!
კარგებო,
დაქარით ნაღმი კლდისათ;
— ლექსო, არ დიქარგები,
ნათქომა ომისათ.

ეს სტრიქონები ბალადის ჩინალია, სადაც გამოთქმულია ნაწარმოების ძირითადი იდეა, ამ ძირითად იდეასთან კი

ორგანულად არის შერწყმული უაღრესად დრამატული ამბავი, ეტრემულად მოგვითხრობს ომაცნობილ მხედრულ მოღვესე. ამრიგად, ბალადის დრამატული სიუჟეტი თანდათანობით ნელდება და საბოლოოდ სიცოცხლე იმარჯვებს, ახალი ცხოვრება ძველზე.

ა. გომიამშვილის ბალადებს ახასიათებს მძაფრი კონტრასტები. ამ პოეტურ სერბს იგი უმთავრეს შემთხვევაში მიმართავს ძველი და ახალი ყოფის რელიეფურად წარმოსახვის დროს. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ბალადა „ნანგრევეთა შორის“, რომელიც აგებულია მოხუცისა და ახალგაზრდის ცხოველ დიალოგზე, პირველი — ძველის, მეორე კი ახალი ყოფის დამცველად გვევლინება; მათ შორის გამართულ აზრთა ამ ჭიდილში ახალგაზრდა იმარჯვებს მოხუცზე, რაც სიმბოლოა ახალი ცხოვრების ძველ ცხოვრებაზე გამარჯვებისა:

ასე დასრულდა მთებში მათი ხმა საუბარის,
მოხუცის ლანი მიჰყვებოდა ხალხის.

განაჩენს,

ახალ სიმღერას გუგუნებდა ჩვენი უბანი,
ჩვენი უბანი გუგუნებდა: „მთები ბარბაცეს“,
იქ კი, სად მოხუცს ახალგაზრდა გაეკამათა,
აღმოსავლეთით ამოვიდა ცეცხლის ბორბალო,
დანგრულ კოშკზე შშის სხივებმა შეჰკრეს

კამარა

და მოისახა ყუაგამტყდარ ხმალი გორდაი.

როცა აღექსანდრე გომიამშვილზე ვლაპარაკობთ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი არის მთის კოლორიტის გადმოცემის საუკეთესო ოსტატი. მის პოეზიაში ურთიერთს ამდიდრებს მთის ბუნების სილალე და განახლებული ცხოვრების სისხლსავსეობა. პოეტი მთის კოლორიტის გაძლიერების მიზნით ზოგჯერ მიმართავს მშობლიური კუთხის ენობრივ კილოკავს ან პირდაპირ ხალხურ მთქმელთა ქმნილებებს, რომლებსაც ოსტატურად იყენებს კიდევ. მაგალითისათვის გვინდა დავასახელოთ ლექსი „შავი კლდე“, რომელ-

შიაც, როგორც ზემოთაც ვთქვით, მოხდენილად არის ჩართული ფრაგმენტი ზალხური ლექსისა. ეს ფრაგმენტი ახალი ცხოვრების დეტალების ფონზე ქმნის თვალსაჩინო კონტრასტის სურათს, რაც მკაფიოდ გვაგარმობინებს შავი წარსულის დასამარებით გამოწვეულ სიხარულს და ჩვენი თანამედროვეობის სიდიადეს, რაც შეეხება ენობრივ ფაქტურას, აქ მთის დიალექტი იშვიათად არის გამოყენებული და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც პოეტი მას საგანგებო მიზნით მიმართავს:

დიდხანს ზვიოდა გერგეტი
 არწივის ბედისწერასა:
 ზევსურთა შორის ეგების
 ლულსა სევას ციციველსა
 („ვაჟა-ფშაველას ხსოვნას“).

ა. გომიაშვილის პოეტური ფერწერა ნათელი, გასაგები და ემოციურია. გავიხსენოთ მისი „კავკასი“:

სად დარიალი ხრავს მოგონებას
 და თერგი იბრძვის დაპრილ ვეფხვივით,

იმდენი თქმულა მასზე პოემა,
 რამდენიც არ აქვს კავკასს გრძელსა
 ზიზღიერობისა

თანამედროვე ცხოვრებამ გაამდიდრა ჩვენი მწერლობა, საერთოდ, და კერძოდ — ა. გომიაშვილის პოეზია ახალი ემოციური სახეებით, გამოშხატეული და შინაარსიანი სურათებით:

ღვება მყინვარი ცის და ქვეყნის შუა
 დაკიდულ
 ნთების ცისკარი — დიდებულო,
 ნათელი, მშვიდი,
 და ეფინება მაღალ კლდეთა გერგატის
 კიღურს
 სილამაზისა და სოყვარულის მშენება
 დიდი
 („ხევის პატარძალი“).

ილექსანდრე გომიაშვილის ლექსები და ბალადები ჭეშმარიტი შთაგონებითაა დაწერილი. მის პოეზიაში მთა ახლებურადაა დახატული. ამ სიახლეს კომუნიზმის მშენებელი ადამიანების, მათი წარმტაცი ცხოვრების, მთელი ჩვენი ეპოქის ბეჭედი აზის.

სამეტიმ ისააკიანი და ქართული მწერლობა

ავეტიმ ისააკიანს აქვს ერთი შესანიშნავი მოთხრობა — „ერთოვნული სიმღერა“, რომელიც ვაღმოცემულია მართლაც ბნელით მოცული ხანა სომეხი ხალხის ცხოვრებისა.

„ერთოვნული სიმღერა“ პირველი პირით არის დაწერილი. ავტორი და მისი თანამგზავრი ეწვივნენ არაქსის პირად მღებარე სოფლის ერთ საიდუმლოდ გახსნილ სკოლას, დაესწრნენ გაკვეთილს და უთხოვიათ მასწავლებლისთვის, რათა მოწოდებებს შეესრულებინათ რომელიმე სომხური სიმღერა. მასწავლებლის ზღვრულად ანაღობით მოსწავლეებმა უცნაური რეაქტივით დაიწყეს მღერა: „აიბ, ბენ, ვიმ...“ აღმოჩნდა, რომ ისინი ვალბოდნენ და წარმოსთქვამდნენ მყოფებით სომხური ანბანის ასოებს, ისინი სომხურ ალფაბეტს უმღეროდნენ. ამგვარი სიმღერით მათ მთელი ალფაბეტი ჩაათავეს, გვიამბობს ავტორი. „ეს მწლავრი, მრავალბოევი და შეწყობილი ხმა, ორმოცე-ორმოცდაათი მკერდიდან რომ აღმოსკდებოდა, იყო კიდევ სომხური ენა. იგი ერთგვარად არაქსის ზეობას, იშლებოდა არარატის ქვეყანაში და, თითქოს ისწრაფვოდა ზევით — მისისისაკენ...“ უველაზე მძიმე და დღუჭირ წლებში ავეტიმ ისააკიანი თავის ხალხს აგონებდა, რომ მშობლიური ენა მისი უწმინდესი ღროშაა, რომელიც უველაზე მაღლა უნდა ეჭიროს. „იქამდე, სანამ ცოცხალია სომხური ანბანი, — ამბობდა პოეტი, — სომეხ კაცს სიყვდილი არ უწერია“.

ავეტიმ ისააკიანი სომეხი ხალხის სულიერი ზრახვების გამოხატველი იყო, მაგრამ ერთოვნული კეთილდღეობის განხორციელება მას ვერ წარმოადგინა კავკასიის სხვა მუზობელი ხალხების კეთილდღეობის გარეშე. 1903 წელს მშობლიურ სოფელ უზარაბატს შექმნილ ლექსში — „თავისუფლების ზარი“ იგი მიმართავს თავისუფლებისათვის მოგუგუნე ზარს, რათა მან საქართველოში უფრო ხშირად, ძალეშიად იგრაილოს მყინვარწვერის ამაყი მწვერვალიდან, რომ მისი მკეპარე, ამბობიანი რკვეა მისწდეს სომხეთში არარატს და ამცნოს მჭერი საბრძოლო კავშირის შექმნის აუცილებლობა. სამი წლის შემდეგ პოეტმა გამოაქვეყნა არანაკლებ საინტერესო, ამაღლებულად დაწერილი მოთხ-

რობა — „შაქრო ვალიშვილი“. ნაწარმოები შექმნილია ცხრაას ხუთი წლის რევოლუციის ზღვრებარე დღეების უშუალო გავლენით. მოთხრობის გმირია ახალგაზრდა ქართველი, თავისუფლებისათვის მებრძოლი შაქრო ვალიშვილი; მისი მეთაურობით სომეხ და ქართველ მშრომელთა რაზმები ერთიანდებან. მხარდამხარებრძვიან უსამართლობას... ამ მოთხრობაში მკვეთრად გამოჩნდა ა. ისააკიანის პოზიცია: სომხეთის ბედი მას ვერ წარმოუდგენია საქართველოს ბედიბლის გადაწყვეტის გარეშე. ქართველ ერში მას სურდა მძა დანახა. ეს იმედი და სურვილი ათბობდა ათეული წლების განმავლობაში მთელს მის შემოქმედებას, მის ცხოვრებას...

ავეტიმ ისააკიანმა კარგად იცოდა, რომ მეგობრობა და ერთობა ბედისა სომეხ და ქართველ ხალხს შორის თავისი ფესვებით საუკუნეთა სიღრმეშია ჩაზრდილი. იგი ყურადღებას აპყრობდა იმ გარემოებას, თუ როგორი სიხუსტით და გულსხმეირი დაკვირვებულობით აფასებდნენ ძველი სომეხი ისტორიკოსები ქართველი მეფეების პოლიტიკასა და სტრატეგიას ახლო აღმოსავლეთში. არც ერთი ნაბიჯი, ვადადგმულ სომეხ-ქართველთა დასახლოვებლად თუ სათანამშრომლოდ, მათ არ გამოპარვიათ და აღუნიშნავთ. დღეს, როდესაც მეგობრობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის მაღალმა აზრმა თავის აყვავებას მიაღწია და კიდევ უფრო მრავალმხრივი გამოვლინება პოეტი, დიდად დასაფასებელია ის ლეაწეი, რაც ავეტიმ ისააკიანმა დასდო ჩვენი ხალხების — კარის მუზობლებს — ურთიერთ დაახლოვების საქმეს. შემთხვევითი როდია, რომ ასეთი უანგარო სიყვარულის გრძნობით იგონებს კონსტანტინე გამსახურდია თავის ახლო სულიერ მეგობარს, სომხეთის დიდებულ პოეტს ავეტიმ ისააკიანს: „არა მარტო იღია კვაკვაივამ და აკაკი წერეთელი განამტკიცებდნენ ახალ დროში სომეხ-ქართველთა ნამდვილ შემძობას, — წერს იგი, — სომხის ერის გენიამ წარმოშვა სამი შესანიშნავი მესიტყვე სომხური მწერლობისა: ოვანეს თუმანიანი, დეკრინეი დემირჩიანი და ავეტიმ ისააკიანი, რომელთაც ნამდვილი, წრფელი სიყ-

გარეულით შეახსენეს ჩვენი ხალხებს: ქართლის და პიოს ძმები რომ იყვნენ... შე შქონდა ბედნიერება სამივეს ცნობისა, მაგრამ ამ სამთა შორის, ყველაზე მეტად მხალბობელი იყო ჩემთვის ავეტიქ ისააკიანი. ეს იყო ისეთი ვაკი, რომელსაც ხელთ ეპყრა კლიტონის სომხეთის ერის ველის საუნჯისა. ჩვენი ძვირფასი ვარპეტი იყო არა მარტო დიდი პოეტი, დიდად ვანსწავლული ადამიანი, არამედ უხუცესი მამაკაცისი პოეტთა შორის. გარნისის, ზეარტონის, გელართის ჩრდილიან თაღებს ქვეშ ტბილად ვსაუბრობდით სომეხი და ქართველი ხალხების წარსულისა და მათი საშერმისო იდეალების გამო.

ავეტიქ ისააკიანის წიგნებს როდესაც ვკითხულობთ, გვებადება აზრი, რომ ამ დიდებულ შემოქმედს სურდა გამოეგრისტალებინა ნაციონალიზმი თვისებანი საყოთარ ლექსებში, სურდა სომეხი ხალხის სულა საყუთარ პოეზიაში მოექცია, პოეტურ სტრუქტურებზე ექცია; ისე მძლავრია ეროვნულობის, ხალხურობის შეგრძნება მის ლექსებში.

„ალავიანის სიმღერებში“ ავეტიქ ისააკიანი ღირსიანთა რჩეულ რიგში შეიყვანა. ეს ცოცხლი სასიყვარულო ლექსებისა კარგად გადმოგვცემს სომხური პეიზაჟის, ყოფის და წეს-ჩვეულებათა (მაგ. „ავარდავარი“ და სხვ.) ზოგიერთ მხარეებსაც, იგი ეროვნული კოლორიტით არის გამთბარი და დამწვევებული. მაგრამ პირველი, რაც იპყრბს ყურადღებას, ეს სულიერი სიფაქიზე და სინაზია, რაც მის ღირსიულ გმირებს — მშვენიერ ზაროს და მის შეყვარებულ ვაჟს გააჩნიათ. „ალავიანის სიმღერები“ მეტად ეროვნულია და წინწეული სომეხი ადამიანის სულიერი ავებულების ვასაყნობად, მის შესაყვარებულად.

ჯერ კიდევ თექვსმეტი წლის პოეტმა იწინასწარმეტყველა, რომ სიყვარული, რომელსაც სომეხი ხალხი მის მიმართ იჩენს, დამსახურებული უნდა ყოფილიყო იმ ნამდვილი, მეგრდში მყოფი ცრემლით და სატყუარით, რაც პოეტს თავისი ხალხის, სამშობლოს მწარე ბედის გამო განეცდიო. ეს სედა მამულის ბედზე მოფიქრალი, გონიერი ადამიანის წუხილია; ხანდახან იგი ნოსტალგიის მწვევე შეტევებითაც იყო გამოწყველი. პოეტის ცნობილი ციკლები, ცალკეულ ლექსები დედაზე — წარმოადგენს მის შემოქმედების გვირგვინს. ეს არის წარუვალი მნიშვნელობის მარგალიტები, რომლებიც პოეტს თავისი დედის, აღმასტისთვის მიუძღვნია. მაგრამ უფრო გვიანდელ ხანაში, როდესაც პოეტი უფრო მეტად იყო დამძიმებული სამშობლოზე ფიქრით. იგი კვლავ წერდა ლექსებს დედაზე და ამ ნაწარმოებებში დიდი სომეხი პოეტი დედას თავის უსაყვარლეს ქვეყანას და მიწა-წყალს უწოდებდა.

საქართველოში აკაცი წერეთელთან მძლავ-

რად შეიმჩნევა ამგვარი მხატვრული გაიმიზობლობა სამშობლოს. მაგრამ, აკაცი წერეთელი თავის ქვეყანას საყვარელ, შეფიქრებულ ქალს ოცნების სატრფოს ადარებდა. და თუ სომხეთში ავეტიქ ისააკიანის შეკთხველებს უჭირავთ გაარჩიონ, თუ სად მიმართავს იგი ნამდვილ დედას და სად დედა-სამშობლოს, საქართველოში აკაცი წერეთლის ბევრი კომენტატორი იმ აზრისაა, რომ აკაცის სასიყვარულო ღირსია, მცირე გამოჩაყლისით, შეტანილ იქნას მის პატრიოტული შედეგების ციკლში!

თავის ერთ-ერთ ბრწყინვალე ლექსში — „ქარაიანი“ ავეტიქ ისააკიანს განუყოვრბით დამუშავებული აქვს სამშობლოს თემა, მხოლოდ სხვაგვარ ასექტში, სტვა ვარიანტით. ეს იმგვარი გადაწყვეტაა ამ თემისა, რასაც სიყვარულის გადაბვეწით დამტკიცება ჰქვია. ძალზე დიდი გრძობა, მით უმეტეს, როდესაც ის დღე-კმაყოფილებელია, ან ოდნე მაინც შეღალბული ითხოვს გაცლას, გადაბვეწას. ხანდახან დიდი სიყვარულის გამოაშყარაება სწორედ ამგვარად ხდება. სხენებული ლექსის ეს თემა უფრო მეკეთრად, ფართოდ, მთელი სიღრმითა და გაქიანებით მოვრდა დაამუშავა მის დიდებულ პოემაში „აბულალა-მასარი“. საერთოდ ამ პოემის ძირითადი მოტივები ავეტიქ ისააკიანს გაბნეული აქვს მრავალ ადრინდელ ღირსიულ ლექსში.



„აბულალა-მასარი“ თავისი ჩანაფიქრით ადამიანის უმაღლესიყენ სწრაფვას, დიდი მიზნისკენ მოწოდებას გამოხატავს. ამგვარი მიწრაფების დროს ადამიანი, ბუნებრივია, უკან იტოვებს ყოველფეხს, რაც მას ცხოვრების დროშოქმულ, დაბავსებულ შინაარსს აგონებს. ამიტომ „აბულალა-მასარი“ პროტესტიც არის. რამდენიმე წელიწადში პოემა თერთმეტ ვნაზე იყო ნათარგმნი.

პოემა ნამდვილად აღმოსავლური პოეზიის სამყაროთი სუნთქავს: აუტყარებული რიტმი, ფერადებისა და უღანბოს პეიზაჟის მზიური სიყაქაშე, მთავარი გმირის ნებისყოფის მებრვალება, ვანცდის სიციოველ, ნახვერად-ფეხოტრატეხი სურათოვნება, გრნობის სპეციუოტური მინორი, ცხოვრების მვერტელობითი, დრმად სეედიანი აღქმა — პოემაში ქმნის პირკელარისხოვან მხატვრულ ფონს და აძლევს მათ განუზომელი შინაგანი დრამატისის შეგრძნობას. პოემის ძირითადი მოტივი — ესაა თავაწყვეტილი, დაუსრულებელი სრბოლის თემა, რომლის უშრეტ წყურვილს გრძობდენ მსოფლიოს რჩეული პოეტები. თავისი უცვდავი უდეებით და აზრებით ისინი გამოხატავდენ იმ დიად ენერგის — მზიურ სიუხვებს — რომლითაც უპირისპირდებოდენ მათ ვარშემო მყოფ სინამდვილეს, ცხოვრებას. მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ ის დაპირისპირება უფრო მოხვენე-



მათი იყო და სინამდვილეში ისინი სწორედ საკეთარი გზებისაკენ უხმობდნენ ადამიანს. ამგვარ პოეტებს თავისი სულიერი ასპარეზი, ზნეობრივი იერში გაშლილი ჰქონდათ დედამიწის ყველაზე უნაყოფო სფეროებში, რითაც საკეთარ სულიერ წყურვილზე მიუთითებდნენ. მიცუევიჩის „ფარისისა“ და ისააკიანის „აბულ-ალა-მარის“ გმირები არაბეთისა და აფრიკის მზურვალე უდაბნოებში არიან გავრჩენი, ხოლო ბარათაშვილის „მერანის“ მხედარი დაუსრულებელი ციური სივრცის მკვიდრი ვაშლია-„აბულ-ალა-მარის“ შექმნაში თავისებური როლი შეასრულა ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანისა“, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ აღამ მიცუევიჩის „ფარისის“ გავლენაც ამ ბრწყინვალე სომხურ პოემაზე შესამჩნევია და სავარაუდებელია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ „აბულ-ალა-მარის“ და „ფარისის“ ორივე უსიძის, ე. ი. სახეიშო ქებათა-ქებების, ოდის ენობით არის შესრულებული, ამ იმიტომ, რომ ორივე არაბეთის სინამდვილიდანაა აღებული (შეხების წერტილები ვაიცილებით შორს მიდის), თუმცა მისი დაწერილობით გარკვევის საშუალება ამჟამად ჩვენ არ გვაქვება.

სომხურ ყურნალ „ტარანში“, რომელიც ტიგრან ნახარაიანის რედაქციით გამოდიოდა თბილისში, 1893 წ. 1 აპრილის ნომერში (15) დაიბეჭდა ნ. ბარათაშვილის „მერანის“ სომხური თარგმანი, შესრულებული პოე. კოსტანიაანის მიერ. ამავე ყურნალის 25 აპრილის ნომერში (17) დაიბეჭდა მოკლე ინფორმაცია ნ. ბარათაშვილის ნეშტის ვანჯიდან თბილისში ვადმოსვენების შესახებ, აგრეთვე პოეტის ბიოგრაფია, დაწერილი პარ. მარიამიანის მიერ. ამრგად, ინტერესია ნ. ბარათაშვილას პიროვნებისა და მისი შემოქმედებისადმი სომხეთა საზოგადოებაში ამ თარიღიდან იწყება¹.

მასასადამე, ამ დროს, როდესაც ავეტქ ისააკიანი გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე, სომეხ მკითხველს ხელთ ექნებოდა „მერანის“ ორი თარგმანი (ამჟამად სომხურ ენაზე არსებობს ბარათაშვილის ამ ნაწარმოების ექვსი სხვადასხვა თარგმანი): რუსული, შესრულებული ივან-და-მარიას მიერ, რომლის შესახებ წერს თვით ავეტქ ისააკიანი, და სომხური — პოე. კოსტანიაანისა.

ნ. ბარათაშვილის „მერანისა“ და ი. ისააკიანის პოემის ლიტერატურული ურთიერთობის საკითხზე არსებული გავრცელებული აზრი, ერთგვარად, ტიციან ტაბიძის სახელთან არის დაკავშირებული. „აბულ-ალა-მარის“ ტიციან ტაბიძისეულ ქართულ თარგმანს (1931 წ.) წინ

უძღოდა პოემის ავტორის, ავეტქ ისააკიანის მოკლე შესავალი წერილი — „სწავლ. მუშაობა“ „აბულ-ალა-მარის“ ქართულ ტარგმანში (სათვის“ (1929), სადაც ნათქვამია: „სულიერი ცემირი და მკვიდრობა ამიერკავკასიის სამი უმთავრესი ხალხისა.—ქართველებისა, აზერბაიჯანელებისა და სომხებისა — ყოველთვის იყო ჩემი აღიქმა და ოცნება. ურთიერთშორის სიტყვილი და შტრობა ამ საუკუნოების ერთად შეერთებულ მშათა შორის მე ყოველთვის მიმანდა ისტორიულ ამსებრად.

გარდა პოლიტიკური და ეკონომიური ფაქტორებისა, რომელიც აერთებს ხალხებს, არსებობს კიდევ ერთი ავტორლები ფაქტორი — ხელოვნება და, კერძოდ, მწერლობა.

მე შემოვიყარა შორეული ესპანელი მას შემდეგ, რაც წავიკითხე „დონკიხოტი“, სერგანტისმა მე მიძღულა შეშვეყარებია მისი საშობალო და თავისი ქვეყნის მიწა და ადამიანები. ყაზბეგის „ელგუჯამ“ და აშულ ნაპაეტ ჭეჩაყის ლექსებმა მე შემაყვარეს ქართული და მათი წყალობით საქართველო და ქართველები ჩემთვის შეიქნენ მშობლიური.

რადგან თავისებური სტილი, ტანსაცმელი და ფორმა სხვადასხვა ხალხისა მალავენ ადამიანს გულს და ეს ადამიანის გული გარმოცულია ერთნაირი გრძობებით, ბედით თუ უბედობით. ჩვენი კერძო გული განცუეყოლია ნაწილია ამ მსოფლიო, საერთო კაცობრიული გულის...

...მე ბედნიერად ვგარწობ ჩემ თავს, რომ ჩემი პოემა „აბულ-ალა-მარის“ ეზილავ უდიდეს შოთა რუსთაველის უცდავ ენაზე.

მოსარული ვარ, შეძლება მაქვს განაცხადო, რომ ჩემი უფროსი მძა ნიყო ბარათაშვილი იყო ამ პოემის შთაგონება.

მისმა უმშენიერესმა „მერანისა“ მე თავდავიწყებით გაბატავა.

აბულ-ალა-მარის ქარაყანი ბარათაშვილის მერანის კვალს მისდევს...

ავეტქ ისააკიანის ამ შესავალ წერილში ლ. მელქისედე-ბეგის ვარაუდით არის დამუშავული ლიტერატურული ლაპსუსი.

როგორც ვგახსოვს, იქ ნათქვამია: „ა. ყაზბეგის „ელგუჯამ“ და აშულ ნაპაეტ ჭეჩაყის ლექსებმა მე შემაყვარეს ქართული და მათი წყალობით საქართველო და ქართველები ჩემთვის შეიქნენ მშობლიური“.

ამ სტიქიონების მკითხველი, თვით იგი იცნობს შესანიშნავი სომეხი აშულის პიროვნებას, გაიკვირებს თუ რატომია ნაპაეტ ჭეჩაყი, რომელზეც აქ ისააკიანი ღაპარაკობს, მოსუნებულ-ი აღტკნანდრე ყაზბეგის გვერდით და მას მიეწერება ამგვარი მისია.

ნაპაეტ ჭეჩაყი (მე-16 ს.) შესაბუნებების სომხური აშუღღრა პოეზიის წარმომადგენელია, ცნობილი სომხურ ლიტერატურაში შესანიშნავი სასიყვარულო და, აგრეთვე, გნომური პოეზიის

¹ ლ. მელქისედე-ბეგი — „ბარათაშვილი და სომხური ლიტერატურა“. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. III, რუსთაველის საზ. ქართული ლიტერატურის ინსტ., 1947 წ.

ენიშენით, ეს მის შესახებ თქვა პოეტმა ვალერი ბრიუსოვმა: «Он независим в выражении своих чувств; он ближе к уличной толпе, нежели к дворцовым ступеням; его голос звучал не для «сильных мира сего», а в народных собраниях. Единственный Султан, перед которым Кучак склонял голову, была его вечная и властная повелительница — любовь...»

შეიძლება, ეს შესანიშნავი პოეტი სომხების თავისებური ფრანსუა ვიიონია, მაგრამ რა კავშირი აქვს მის საქართველოსთან, რით შეიძლო მე-16 საუკუნის მგოსანის ასეთი სიყვარული აღედგინა ავეტიქ ისაყიანს ქართველი კაცისადმი? რამდენადაც ვიცი, არაფერია.

საქმე შემდეგში უნდა იყოს. სომხური სიტყვა „ნაპაეტ“ საერთო სახელს წარმოადგენს, მაგრამ, ამასთანავე, ის ნიშნავს: პატრიარქს, მამამთავარს... ხევისბერს... ახლა თუ ჩვენ მოვფიქრებთ, რომ ალექსანდრე უახვევის მოთხრობა „ხევისბერი გონა“ სომხურად იქნება ასე: „ნაპაეტ გონა“ და მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ გონა და ქუჩაკი ფონეტიკურად მსგავსად ვლერენ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ავეტიქ ისაყიანს უნებლიეთ წასვლენია სომეხი ანდლის სახელი, ზოლო ტიციან ტაბიძეს თავის გამოცემაში აღარ შეუცდია და ქართულ თარგმანშიც ორიგინალის შეცდომა ზუსტად გაუმეორებია. მაშასადამე, შესაფერისი ადგილი უნდა იკითხებოდეს ამგვარად: „ა. უახვევის „ელგუჯამ“ და „ხევისბერის გონა“ მე შემიყვარეს ქართველი...“ და ა. შ., რაც გამართლებული და კუთვნილებასთან ახლო იქნება...

ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული ერთი შტრიხი სომეხი პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან. როგორც ცნობილია, მის დღემთავრებული დარჩა დიდი პრიზული ნაწარმოები, რომელიც უფრო საყოფაცხოვრებო ეპოპეა უნდა ყოფილიყო. ამ დიდ ტილოს ავეტიქ ისაყიანი წერდა ათეული წლების განმავლობაში და ამდენსავე ხანს აგრძელებდა მისთვის მასალებს, თითქმის სიცოცხლის სულ ბოლო წლებამდე. ამ ეპოპეას უნდა რქმეოდა „უსტა კარი“, — „ოსტატე კარი“, რომელზეც ავეტიქ ისაყიანმა მღწობა დიწყო ჯერ კიდევ ოციანი წლების დასაწყისში, თურმე მის ავტორს მღვე, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უთქვამს, რომ თანავეტორად მას სურდა გაეხადა ჩვენი შალვა დადიანი...

ჩვენ გვაგონდება მწერალ ალიო ადამიის საინტერესო მოგონება — „სამი ვახსენება“, რომელიც ამას წინათ ფერხალ „ციხკარში“ იყო გამოქვეყნებული. ამ სამი ვახსენებთან კვე-

ლავე კოლორიტული, ვეფქობით, პირველია, მადაც აღწერილია შალვა დადიანის სურათობა სოფელ რუხში იმ არტისარეთი განთქმულ მაქანკალთან. შალვა დადიანს რუხელი მაქანკალი დასპირებები მხატვრული მოსახრებით. ამის შესახებ იგი ვარკვევით ამბობს: „...მაქანკლების მებტი რა შემხვედრია ცხოვრებაში და სცენაზე, მაგრამ ერთმა ჩემმა ნაენობმა შევერტე გადამრია: სოფელ რუხში ერთი სხვათი მაქანკალია, რომლის შესაღარი ჯერ დედამინაზე არ ვაჩენილიაო. სოცარი სიტყვა-პასუხი აქვსო, რუხელთ გონჯი ქალები ულაბანეს ყმაწვილებს მიათხოვა და არც ერთი რუხელი ქავეტი არ დარჩა დავქორწინებულთ...“ რალაც სასწავლოთქმეღია თბრემე. სწორად რომანისათვის მჭირდება ესეთი მაქანკალი“.

ა. ადამიის მოგონებით, ეს ამბავი უნდა მომდარდყო ამ ოციადე წლის წინ და სავსებით დასაშვებია, ისიც, რომ ეს ხალხური ტაპაგის შექმნისა და შეკრების საქმიანობა უცვ დაკვეშირებული იყო სომეხ მწერალთან ერთად ჩაფქვრებულ მხატვრულ ქმნილებასთან. რა ნაბიჯები გადაუდგამთ ამისათვის ორივე ერის მტკოვან მწერალთ?

ცნობილია, რომ ავეტიქ ისაყიანი მოგზაურობდა საქართველოში ქართველ მწერლებთან ერთად. კერძოდ, შალვა დადიანთან ერთად შემოიარა დასავლეთ საქართველოს მრავალი ადგილი, იყო კახეთში, დაყო ახალციხეში. ამ მოგზაურობას ორივე მწერალი იყენებდა იმისათვის, რომ გაეკეთებინათ ცალკეული დაკვირვებანი, ჩანასტები ადგილობრივი ყოფა-ცხოვრებებიდან, ჩაენიშნათ ზოგი რამ მათთვის საინტერესო პირობებზე.

სიმონ ჩიქოვანი 1941 წლის „ლიტერატურული საქართველოს“ იანვრის ნომერში წერდა: „საქართველოში მოგზაურობის დროს მადეებელმა შთაბეჭდილებებმა, ქართველი ხალხის ცხოვრების შესწავლამ და ჩვენი ხალხის კულტურის ძეგლების ვაცნობამ მისცა ავეტიქ ისაყიანს ახალი შემოქმედებითი მასალი. რომელიც უნდა შევიღეს მის დიდ რომანში „უსტა კარი“. მასსოვს, თუ როგორ იყო იგი დანტერქსებული სახალხო გმირ არსენა ოძელაშვილის პიროვნებით, მისი ბრძოლია და ცხოვრებით. პოეტმა ინახულა ოძელაშვილის საფლავი მცხეთაში, მიიტანა ყვაილები და პატრულ სცა ქართველი ხალხის მებრძოლის ხსოვნას“.

როგორ უნდა ყოფილიყო აგებული, მირითადად, ეს ნაწარმოები? ვინ უნდა ყოფილიყენნ მისი შთავარი გმირები?

უპირველეს ყოვლისა, „უსტა კარი“ უნდა ყოფილიყო პერთეული და, ამასთანავე, სატირულ-უმორისტული ფართო ვლერადობის ნაწარმოები. რომელიც ვრცლად უნდა დაჰყრდნობოდა ფოლკლორული წარმომავლობის ხალ-



ხერ სახეებსა და ტიპებს. მისი გმირები თუ ქმები არა, ბიძაშვილები ან გარბილიშვილები შინაც უნდა ყოფილიყვნენ სომხური ქაჯანაზარისა ანუ ქართული ნაცარქვეპისი. ამ მხრივ, ავეტიქ ისააკიანი ძალზე გატაცებული იყო და თავის მასწავლებლად „დონ-კიხოტის“ დიდებულ ავტორს თვლიდა. ქართველი და სომეხი დონ-კიხოტები, მიუნაქუზენები და ნაცარქვეპი-ქაჯანაზარები უნდა ყოფილიყვნენ ამ საინტერესოდ. ღრმად და ეროვნულად ჩაფიქრებული ტუპიის მთავარი პერსონაჟები. როგორც ავეტიქ ისააკიანი, ისე ჩვენი შალვა დადიანი ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ როგორც ჩვენში, ისე სომეხთის დამაქალაქებში ისინი მრავლად წააწყდებოდნენ ამგვარ ადამიანებს და მათ შესაფერის ისტორიებსაც!

1921 წელს ვენეციაში ა. ისააკიანს შეუქმნია ორი პატარა ნოველა, რომელნიც „უსტა კაროს“ მონტაჟში შედიოდნენ. ნოველები გამოქვეყნებულია სათაურით: „გიუმრბელი კაპიტანი ლაზარი“. ეს კაპიტანი ლაზარი (ჩვენებურად — ლაზარე) გვაროვნული წარმომავლობით წარჩინებულ ხორ ხორტუნების შთამომავალია, მაგრამ თავისი თვისებებით ნამდვილად ხალხის შვილია, ყველა მათი სიყვითლია და სუსტი მხარებით დაჯილდოვებულია. იგი იშვიათი ვაჟკაცია, მეომარი, სუღრტაძელი დუბლანტი, მაგრამ მეტად ბაჭია და მყუხარა, რაც სამხრეთულ ტემპერამენტის კაცისთვის შეუამოებელი თვისებაც ვახლავთ.

მინდა ორიოდ პატარა ადგილი მოვიყვანო ნოველიდან ამის საილუსტრაციოდ. ალა ლაზარი ისაიდლებდა თუ არა შინ, ჩვეულებრივსებრ გამართებოდა პაჯი-ბაბას ყავახანისკენ, სადაც მოხსნიდა პირს თავის გაუთავებელ ხიფათთან თავდასხალებს. ერთხელ იგი პაჯი-ბაბასთან შეკრებულ ძველ მეგობრებს უამბობდა, თუ როგორ დამარცხა შამლის უჯარი მთავარმართებლის ნებართვის გარეშე, რისთვისაც დიდი სასჯელი ევლოდა. „...მთავარმართებელი მომიახლოვდა, გულსსპიერად მათვალერებდა და უცებ თვალში ეცა ჩემი ტანსაცმელი — ყვება ალა ლაზარი, — ფაფახი, ზოხი, წილები—ყველაფერი დაცხრილული აყო. მიბრძანა ტანისამოსი გამეძრო. ახლა როგორ ვეჭყა—სწორე ვითხრათ, აღარც კი მახსოვს: ორმოცდაათი თუ ასი ტყუილი ჩამომეცვიდა.

— ვაჰ, შე ღვთისნიერო ადამიანო, ამდენი ტყუილი ჩაგიყლამავს და ყელზე ვართყ არ დავადგა: სასწაულია, მე და ჩემმა ღმერთმა!

გამოხსნა პერანგი, ხედავს — მკერდი მთლად ჩამღურჯებია, ტყუილები ზედ მაგრად ეხლებოდნენ, მაგრამ ძვალსა და რბილში ვერ ატანდნენ. დაინახა ეს მთავარმართებელმა და გული ისე მოუტლბა, რომ მომხვებია და მავოცა შებღზე ამ სიტყვებით:

— კაპიტანო ლაზარე, ჩემო მკერდსკო ლაზარე...
სხე გავხდი კაპიტანი“.

აი, მეორე „ეპიზოდი“.

„უწინ ყოველ ცისმარა დღე ვიპარსებოდი, — ჰყვება ალა ლაზარი—ომში კი, მთებსა და ხეობებში მავისთვის ვისა სცხელოდა? ჩემი წვერი სულ უფრო და უფრო გრძელდებოდა. ხანდახან ამხანაგები შემიკეთებოდნენ: „რა რიცხვია დღეს, მალხაოვ, რა დღეა?“

შეც — ვიტაცებდი ხელს წვერზე და ზუსტად ვამბობდი დღესა და რიცხვს: იმიტომ რომ ჩემი წვერის მსხვილი და წვრილი, მოკლე და გრძელი ომები დროს აღნიშნავდნენ. შე ვიპასობებოდი უკანასკნელი გაპარსების დღესა და რიცხვს, მივათვლიდი ზოლმე იმ დღეებსაც ჩემი წვერი რომ მიჩნევებდა, ჩემს კეუში შეუდღომლად წავეშატებდი და გამოვითვლიდი დროს“.

ამგვარი ადამიანების სახეებისგან მხატვრული გაღერის ტექნიკა, უდავოდ საინტერესო, ღრმად ეროვნულ სტილს მოგვეყვება, როგორც სომხურ ისე ქართულ ლიტერატურაში, მაგრამ ეს დიდი ამოცანა ავეტიქ ისააკიანსა და შალვა დადიანს განუხორციელებელი დარჩათ. ღრმა მწუხარების გრძნობით იგონებდა შ. დადიანი დაკარგულ მეგობარს.

„...პირველი შეხედვა ავეტიქისა თითქმის მოლუშულ კაცის სახეს მიჩვენებს, — წერდა პოეტის გარდაცვალებამდე 1957 წლის ოქტომბერში შ. დადიანი, — სხეულებრივ კარგად ჩამკერივებულს და შექვიდის, როგორც იმ ხალხის ისტორიკოსი, რომელსაც ის ეკუთვნის.

მოღუშულობა ამ ისტორიის მანძილზე მისი ქვეყნის წარსულში ბევრ სიღუპსიერის გამო გამოწვეულია სეკდა, ამ საუცხოო პოეტის სახეზე აღბეჭდილი.

იგერ მისი შუბლი. ფართო და დიდი მოედანი აზროვნებისა და ნაზი პოეზიისა. აი პატარა, მაგრამ მეტად ცოცხალი თვლები შეუმჩნევლად, თავისთვის ციმციმებენ... და თუ თქვენ ჩაწყვიტ მის ციმციმს — იხიბლებოდა. ხშირად დავმტობარკარ ამ მისი დანიკა, გონიერული, მაგრამ მოციმიციმე და ჰუმორით შემკული თვლების გამოშვებულებით.

ჩემთვის ის მუდამ წარმოადგენდა თავისი გარეგნობით სომეხი ხალხის უკვდავ სახეს, ხოლო როცა უფრო ახლოს თავის სულიერ არსში ჩავხედებოდათ, რა ნათელი, პემანური ადამიანი გამოჩნდებოდა!

სიტყუაძვირი ჩანდა თითქმის, მაგრამ ამჟამად იგერმობ, თუ რა დიდი პატრიოტი და მოქალაქე იყო თავისი ქვეყნისა და იმავე დროს რა გამეგები და მოუყარული მოამე რესპუბლიკების ეთარტებისა. ასეთ მოპერობას მუდამ ეგრძნობდი მისგან საქართველოსადმი. ბუნდირი ვიყავი მისი პირადი მეგობრობით“.

არაერთგზის დაბეჭდილა ქართულ ენაზე ავერტოქ ისააკიანის ნაწარმოებები: ლექსები, პოემები, მოთხრობები, ზღაპრები. ისინი იბეჭდებოდნენ ზეენს პერიოდულ პრესაში და ასევე ცალკე წიგნებადაც გამოდიოდნენ. აღსანიშნავია, რომ ავერტოქ ისააკიანის მოთხრობები ქართულ ენაზე გადმოღებულ და დაბეჭდილ იქნა ჯერ ისევ ამ ნახევარი საუკუნის წინ — 1909 წელს ეთრნალ „ნაქადელში“.

ცნობილია ისიც, რომ ავერტოქ ისააკიანი ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობასაც. მის სომხურ ენაზე თარგმნილი აქვს აკაკი წერეთლის ლექსები: „აქლაციის მკოდნე“, „ქუთაისი“, „ხატის წინ“ და „ავადმყოფი შვოსანი“. ი. გრიშაშვილის ლექსებიდან მის ქართულ გადათარგმნილი: „მარიაჟანს“, „შვიი ტანსაცმელი“, „რევოლუციონერის სიმღერა“ და „თბილისი, ბაქო და ერევანი“.

1951 წელს „პიიპეტრატიკა“ გამოსცა ი. გრიშაშვილის ლექსების კრებული სომხურ ენაზე, რომელსაც წინ ერთვის ავერტოქ ისააკიანის წინასიტყვაობა. წინასიტყვაობაში პოეტი წერდა, რომ ი. გრიშაშვილი სიმბოლოა სომეხი და ქართველი ხალხის მეგობრობისა, სხვათა შორის, ამ კრებულში შედიოდა ის ლექსიც, რომელიც ი. გრიშაშვილმა უძღვნა სომხეთის პოეზიის დიდოსტატს:

სომხეთის ლექსის ხანძარო,
ანათებ, აღარ გვიქრებო:
აღსრულდა შენი ოცნება,
შენი აზიზი ფიქრება.
ვით ცისარტყელა ძმობისა
მუღამ ზეენს შორის იქნები...

1941 წელს თბილისის მხატვრულმა ინტელიცენციამ თბილი შეხვედრა მიუწყო საქართველოს დედაქალაქში სტუმრად ჩამოსულ ავერტოქ ისააკიანს. საქართველოს მწერალთა კავშირში სომეხი პოეტის საბატოეცემლოდ გამართულ საზეიმო სხდომაზე ისააკიანმა წარმოთქვა ერთეული სიტყვა, რომელშიც ის აზრი იყო გატარებელი, რომ საუკუნეებით განმტკიცებელი მეგობრობა ორ მომე ხალხს შორის არის კიდევ საწინდარი მათი ბედნიერებისა, როგორც წარსულსა და აწმყოში, ისე მომავალში.

თითქოს ვარაუდის ამ ბრძნული მოწოდების საპასუხოდ გაისმა პოეტ გიორგი ლეონიძის სიტყვები: „საქართველოს პოეტები, — თქვა გ. ლეონიძემ, — თავის მშურ ხმას უფროებენ იმ ზეიმს, რომელიც საბჭოთა კავშირის უშესანიშნავეს პოეტს, საოცარ მგოსანს, განთავისუფლებული მშერის მომღერალს ეუფენის.

ურძნის მტკენებით დამძიმებელი ვაზის

მსგავსად, პოეტი უბრუნებს მის მშობელ ხალხს საერთო შემოქმედებანი წინაშე: მითწეულ ნაყოფს...

ავერტოქ ისააკიანის პოეზიას ახასიათებს ჰემ-მარიტი სიღრმე და სილამაზე, უტყუარი ხალხტრობა, მშობლიური ქვეყნის ბუნების სიყვარული. ის — სიყვარულს პოეტია, უბადლო ოსტატია ხატოვანი მეტყველებისა, ნოვატორია სომხური პოეზიის. მის წარმტაც ლექსებს, სრულყოფილს ფორმოთაც და შინაარსითაც აქვთ საკაცობრიო მნიშვნელობა. ჯერ ისევ 1941 წელს ალექსანდრე ბლოკი წერდა ავერტოქ ისააკიანზე „იქნებ იმგვარად ნათელი და უშუალო ტალანტი შეიქმნა ვერობაში იმ იუოსო“.

პოეზია ა. ისააკიანის, მისი მწვენიერებით სავსე ლექსები მსგავსია მის მიერვე ხობტა-შესხმული ლალი ირმისათა. — ასე ამბობდა ქართველი პოეტი.

1942 წელს, როდესაც ზეენი სამშობლო ყველაზე დიდ განსაცდელში იყო და მოითხოვდა მისი ხალხებისგან სულ უფრო და უფრო მეტ დარახმულობას, ავერტოქ ისააკიანი აქვეყნებს წერილს „ამირიკავასიის ხალხთა ძმობა ურყევი“, სადაც სამ მომე ხალხს — აზერბაიჯანს, სომხეთს და საქართველოს მოუწოდებს მტკიცე და ურყევი კავშირისკენ, რომელიც მიმართული უნდა უოფილიყო საერთო მტრის წინააღმდეგ. „მშურ, მეგობრულ კავშირს სომეხს და ქართველ ხალხებს შორის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, იგი აღმოცენებულია ჯერ კიდევ ლეგენდარულ წინასიტორიულ ხანაში, მერისა და ამირანის დროიდან — წერდა პოეტი. — ზეენმა ხალხებმა ერთობლივად შექმნეს თვითუღმა თავისი ნაციონალური სულით და თავიანებურებით ის ვასაოცარი და სახელოვანი კულტურა, რომელიც საოცრულთაოდ აღიარებულია ერთ-ერთ უძველესად საბჭოთა კავშირში...“

ზეენ ერთნაირად ვერძობთ ზეენ საზს და ჩონგურსაც, ისინი ზეენს ქვეყნასს უმღერიათ, აღიღებენ ზეენს ლეგენდარულ გმირებს, გამოხატავენ ხალხს მუწხარებასა და სიხარულს, სიყვარულსა და სიძლიერს. საზისა და ჩონგურის სიმეტი ამოკრტილია ზეენი ხალხის გულების სიმეტიდან“.

ამბობენ, რომ, განსაკუთრებით სიცოცხლის ბოლო წლებში, ავერტოქ ისააკიანი თავის სახლს რომ მიუახლოვდებოდა, შემოუვლიდა მის შორიდან, ზემოდან, რათა ამით შესაძლებლობა მისცემოდა ჯერ კიდევ მოუკრწეად გზაზე გაველო. — კარგია მიწასთან ახლო ყოფნათ — ამბობდა თერთმე ახალგაზრდობაში ცის ყველაზე წმინდა ლეგეარდზე მეოცნებე ეს დიდი მწერალი. მიწასთან სიახლოვე, მშრომელი მუშის ბედი მას უწინასწარმეტყველეს ახალგაზრდობაშივე. ერთმა მისმა თანამეამებელემ ამ სა-

უქმის დასაწყისში მასზე თქვა: და, იმ ეს მომღერალი ლაფიარდოვანი ცისა, ეს პეპელა — დაქცევაეს თავის ფრთებს, დაეშვება მიწაზე და შეუსვენებლად იმუშავებს, იმუშავებს აქ დაბლა, სულ ძირს, იბრძოლებს სამართლიანობისთვის, ხალხის გათავისუფლების საქმისთვის, ყველაფერს მოკიდებს ხელს, დაწვებულს ყველაზე სპასუნისმგებლოდან და გათავებული შავი სამუშაოთი, იმუშავებს დაუღალავად, უჩინრად, თავდავიწყებამდე...

ქართული კრიტიკა დიდის გულიწყურით ეცდებოდა ავეტიქ ისაყიანის შემოქმედებასა და სალიტერატურო მოღვაწეობას, ქართულ პერიოდულ პრესაში იმუშავებოდა. მრავალი წერილი და მიმოხილვა მის შესახებ. ტიციან ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, სიმონ ჩიქოვანის, ვიორატი ლეონიძის, ალექსანდრე ბარამიძის, ლეონ მეღვიპეთ-ბევის, ე. გრიშაშვილის, შალვა დადიანის, არჩილ სულაქუჩის, სერგეი აგნიანის და სხვათა სტატიები არასრული სიბა იმ კრიტიკული ლიტერატურისა, რომელიც შექმნილია ქართულ ენაზე ვარბეტის შესახებ. მაგრამ ეს არის მცირე ხარკი იმ სიყვარულისა, რომელსაც ვარბეტი აქვადენება საქართველოსა და მის მკვიდრთა მიმართ. სომეხი პოეტის ეს სიყვარული ჩვენ ყველაზე კარგად დავინახეთ, როდესაც მისი პროზით დაწერილი ლექსი — „ქართველი გუგანის სიმღერა“ წაეკითხეთ. ეს იყო ადამიანის მიერ საკუთარი გრძობის განდობა მთელი ერისადმი; ამ პოეტურ ქმნილებაში ავტორმა გამოაშკარავა თავისი საუკეთესო სურვილი და შემუშავებული აზრი ქართველი ერის სულიერი ღირსებისა, კულტურისა, ისტორიის და, რაც მთავარია, მომავლის შესახებ.

„ქართველი გუგანის სიმღერა“ დაწერილია თითქმის ამ მეოთხედი საუკუნის წინ, მაგრამ მისი დიდი გრძნობიერება, მაღლი და მაღალი აზრი საუკუნეებში გაუძლევა წინ სომეხი და ქართველი ხალხის მფეობრობას. პოეტი წერს, რომ ვერობიდან დაბრუნებული, ის სამშობლოში მივმავარებოდა და ბათუმში ჩამჯდარა მატარებელში. მატარებლის ფანჯრიდან ის აღევენება თვალს ქართული შემოდგომის ოქროსფერ პეიზაჟს და უფრს უგებდა ქართულ

ლაპარაკს, რომელიც ასე ბევრს ეტანებოდა მის სულს. მას სწყინდა, რომ არ ესმოდა, ვნებდა საკუთარ თავს ადამაშთლებდა, რომელიც მისთვის წაეწავლა იგი. პოეტი მიეცა შოგონებებს, არჩევდა, იგონებდა თუ რამდენ ქართველს იცნობდა, სად და როდის შეხვედრია მათ. მის მეხსიერებაში აღსდგა არა ერთი ნაცნობი სახე... მას აგონებოდა საქართველოს შესახებ წაკითხული წიგნებით ქართველი მწერლების ნაწარმოებში... „წარმოსახვაში მესახებოდა ბარათაშვილის ცეცხლოვანი მერანი — წერს ავეტიქ ისაყიანი — ყურებში მესმოდა ვაჟა-ფშაველას არწივისებური ყვირილი, მეროდი კი მუცსებოდა უახზვევის რომანების სუნთქვით. სულში გაცოცხლდა ქართულ ხალხურ სიმღერათა მელოდები, მე კარგად ვიცნობდი მათ, როცა ახალგაზრდა ვიყავ და დავებტებოდი საქართველოს სამხედრო გზაზე“.

წიფის გვირაბს რომ გამოცდენ, ვაგონში შემოსულა ქართველი მოხეტიალე მომღერალი — გუსანი და სწორედ მის მიერ ნამღერმა მშვენიერმა სიმღერამ შთააგონა კიდევ პოეტი დაეწერა ეს პატარა ლირიკული მოთხრობა.

მოხეტიალე გუსანი ბრმა იყო და მისი სიმღერა ასე იწყებოდა: „უბედური ვარ, ჩემო საქართველო, რადგან ვერ ძაღმომს ვიხილო შენი შეუღარებელი სახე.“

ამბობენ — შენი ცა ფირუზისფერი ტბა არის, ჩვენს მაღალ მთებზე რომაა...

შემოდგომა დამდგარა, შენი ტყეები შეიშოსნენ ოქროთი და ბილიკები ოქროცურვილია.

იღმება გარბინ შენ მოქროვილ ბილიკებზე, მზეთუნახავო საქართველო“...

უსახელო მგონის მშვენიერი სიმღერა ასე მთავრდება:

„ვიმ გაგიბედავს წაგართვას შენ შენი პური, შენი თავისუფლება, ჩემო ვაჟაკო საქართველო“...

შეიძლება ასეთი ბრმა მომღერალი მართლაც შეხვდა სამშობლოში მობრუნებულ ავეტიქ ისაყიანს გზად, შეიძლება ისიც, რომ საქართველოში გავლით მომავალს, მას თვით დაეხადა სულში ამგვარი მელოდია. ყოველ შემთხვევაში, გუსანის სიტყვები მისი გულის ხმასაც წარმოადგენდა.

პ. ხახუაძე

მართალი ღმსი

ტაბიძიანთ გვარმა ქართულ მწერლობას ორი ჩინებული პოეტი შესძინა. ორივეს იმერეთის ცის ქვეშ აეხილა თვალი. შუა მთისა და ჭყვიშის შთაგორიანი არე-მარე იყო მათი აკვანი, მათი ბავშვობის ბუდე და ასპარეზი. შემდეგში საყრმის დღეების ეს სიტყბო და მშობლიური ბუნების ფერადონება თითოეული მათგანის ლექსებს გამოჰყავდა. მაგრამ სრულიად სხვადასხვა იყო ბიძაშვილების პირადი ბედი და შემოქმედებითი გზა-კვალი: გალაკტიონმა, რომელმაც წილად ზედა უბაღესი ქართული ლექსის მემკვიდრეობა, გამოაჩინა გმირული შემოქმედებითი გზა რევოლუციების ქართველი ბიძიდან დღევანდლამდე და ხალხის სრული აღიარება და დაფასება ჰპოვა, ხოლო ტიციანს ბედმა არგუნა არანაკლებ რთული ლიტერატურული ბრძოლები სიმბოლიზმიდან რეალიზმამდე და, პოეტურ გამარჯვებათა ხანაში, მტკბარ ნაადრევი გედის სიმღერა.

ტიციან ტაბიძე ცხოვრებას უშიშრად, პირდაპირ თვალში უყურებდა. იგი გვერდს არ უვლიდა ცხოვრების საძინელებს და მათთან ბრძოლაში, დამარცხებების დაძლევაში ზედაედა სიცოცხლის აზრს. სიცოცხლე დაუდგარიმელი და მოუხეხარი, ზრუნვიითა და მოქმედებით აღსავსე, მაღალი იდეალებითა და მიზანწრაფვით განათებული — იგი რა განსაზღვრავდა ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების მრწამსს. როცა ოცდაათიანი წლების დასაწყისში ტაბიძის ლექსებს პირველად ეკითხებოდნენ, მათი ავტორი მე წარმომედგინა იარაღისმზღველ ქართველ ვაჟაკად, რომელიც ვეღვანე ოპარის ჭაღებში თუ მუხრანის ველზე, არაგვზე თუ ალაზანთან, თრიალეთზე თუ დარიალში, გამოხდელია სიცოცხლის სენსიტივითან პირისპირ შესახვედრად, სიცოცხლის დასაშვიდრებლად და დასაცავად.

სულ პატარა, ერთი შეხედვით შეიძლება უმნიშვნელო ამბავი განსაკუთრებით აღიბუქდა ჩემს მესხიერებაში. ეს იყო, თუ არა ვცდები, 1935 წლის ზამთარი. ტაბიძე ნელი ნაბიჯით მოპყვებოდა რუსთაველის პრისიპეტს, თითქოს სიშვარეს უსინჯავდა თბილისის მიწას და ზედ თავისი მტკიცე ნაფხურების დაბე-

ვას ცდილობდა; საბეღამის წინ მოყინულ ტროტუარზე ფეხი დაუსხლტა... შეტორტმანდა... მაშინვე არგორდაც თავი შეიკავა, ისე რომ არ წაქცეულა, მერე ისევე დინჯად, თავიწვეული განაგრძო გზა. ეუუუბრებლი და მიკვირდა, არაფრით არ მინდოდა დამეკვირა, რომ ოდესმე, სადმე შეიძლებოდა დაცემულიყო ავტორი ამ სიტყვებისა:

ქარს მიაქვს თოვლი და მიიხვეტავს,
ვადაფარებს ყაზბეგს შეინდებად,
შერცხვეს ვაჟაკი თუ ამ მზეს ზედავს
და სიკვდილს კიდევ შეუშინდება.

მიუჩრებვიარ ცას გაკვირვებით
და აღმიტაცებს სიცოცხლის ფეოქვა.
ვაფა-ფაველას ვსუნთქავ ფაღბებით,
ხამიკაურის ვული ჩამედა.

შემოქმედების ძნელ გზაზე ტაბიძე არავის არ უნახავს ღონეზიბილი და დაცემული; შეიძლება ადრე იგი ზოგჯერ წაბორბიკებულა კოდეკაც ცხოვრებასთან და შთაგონებასთან ბრძოლაში, შეიძლება მაშინ მასაც ვანუღლია მწვევედ „თავისმკვლელობის დემონის ფრთების შეხება“, მაგრამ წონასწორობას ყოველთვის ინარჩუნებდა და ფეხზე მდგარი მიიწედა აბაღლი რუბიკონებისაგან. მისთვის საბოლოოდა არასოდეს არ უმტყუნია რწმენას სიცოცხლისაგან, ისევე, როგორც არასოდეს არ უმტყუნია მისთვის არც თვალს, არც გულს და არც ფილტვებს, რათა ნამდვილი სიცოცხლის მშვენიერება მთელი სისრულით შეეგრძნო. ტაბიძე სამუდამოდ დარჩა სიცოცხლის ამაუ ტრუბადრად, რომელიც არაფრის და არავის წინაშე არ იხრდა ქედს და თუ დაიჩოქებდა ოდესმე, მხოლოდ ცხოვრების დიდი სიმღერის წინაშე, რომ ისევ მისთვის მიეძღვნა სიცოცხლისა და გამარჯვების მრავალგამიერი:

თუ ჩემი ძმა ხარ ერთიც მიმღერე
და დავუჩოქებ მიწას მუხლებით,
მამ გამარჯვება, ტკბილი სიცოცხლე,
მსოფლიო ცხოვრების ჩვენ განუყრელი.
ტიციან ტაბიძე ალალი გულისა და სათუთი



გრძნობის ადამიანი იყო; ეს შესანიშნავი ადამიანური თვისებები მთელი ძალით გამოვლინდა მის პოეზიაშიც. თუ საერთოდ ამბობენ, ლექსი ავტორის ცხოვრების გამოხატულებაა, მისი სულის ამღვრებააო, ეს ნათქვამი ზედგამოჭრილია ტიციან ტაბიძეზე. მის ლექსებში თავშეუკავებლად იღვრება სწორედ ის თავანკარი განცდა, ის ზღვა ენერჯია, რომლითაც სწორედ და მათი შემოქმედელი და ურომლისოდაც საერთოდ არ არსებობს ნამდვილი პოეზია. სწორედ ამის გამო იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენი პოეტი, მთელი თავისი სიციცხლით ფიზიკურად უსისხლბორცვება თავისი შემოქმედების ნაყოფს, და ასე, ერთსებოდ ქცეული ლექსის მთქმელი და ლექსი აღიქმება მკითხველის მიერ, როგორც ერთი მთლიანი ენთუზიასტური ფენომენი.

ყოველი ახალი ლექსი ტ. ტაბიძისათვის ახალი სიმღერის დაბადებას ჰგავს, რომელსაც ავტორის სული უღვას. მან უნდა შეეღოს სისავსით გადმოგვეცეს პოეტის ვულისნადები. ტ. ტაბიძე წინააღმდეგია უსუღველო, მომამზერებელი ლექსისმთხველობისა, რომელიც მოკლებულია რაიმე გარკვეულ ემოციურ საფუძველს და ავტორის ღრმა შთაგონების პროტესტს არ წარმოადგენს. ხოლო თვით მას კი სიტყვის ფალოს ძებნა არასოდეს არ დასჭირვებია. („შეჯერა, გულშიაც გამკრავს წელსავე და ლექსი თვითონ ამოდუნდება“). აი ასეთი მძლავრი და უშუალო განცდა წარმოშობს ტ. ტაბიძის სტრაქიონებს, რომელთა შესახებაც თვითონ ამბობდა:

მე არ ეწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს, ჩემი სიციცხლე ამ ლექსს თან ახლავს. ლექსს მე ვეწოდებ მოვარდნილ მეწყერს, რომ გავიტანს და ცოცხლად დავმარბავს.

იშვიათია ქართულ პოეზიაში ისეთი პოეტური აღსარება, სადაც ამგვარი სიმკვეთრითა და ლირიკული მღვდვარებით გადმოცემული იყოს ლექსის, როგორც მხატვრულ-ემოციური მოვლენის, ტიტანური ძალა, ლექსისა და მისი შემოქმედის ორგანული შერწყმა-მთლიანობა; ამ მხრივ ტ. ტაბიძე ზელს უწევს შორეულ დიდ წინაპარს დ. გუტარამიშვილს, რომელსაც თავისი შთაგონების ნაყოფი საკეთარ პირმოშემგვიღვრებლად მიანდა.

ამგვარად, პოეზიის, ლექსის, როგორც სიციცხლის განუყოფელი ნაწილის შეგრძნება, ერთერთი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია ტ. ტაბიძის პოეტური წარმოსახვისა.

ტიციან ტაბიძე, როგორც ლირიკოსი, ბუნების მიერ, სხვათაშორის, ერთი მეტად სახარბიულო თვისებით არის მომადლებული. ეს არის მისში საოცრად განვითარებული უნარი მკითხ-

ველთან ერთბაშად კონტაქტის დამყარებისა. პოეზიისათვის, საერთოდ, ეს უნდა იყოს უმთავრესი მომენტია; რა თქმაუნდა — არ უნდა წერდეს პოეტი, როგორც არ უნდა ფლობდეს იგი ლექსის ტექნიკას, მაინც ვერ მიატანს ამოღებულ ნიშანს, თუ მას არ შესწევს ძალა, სწრაფად დაიპყროს მკითხველის გრძნობა გონება და ზაათრიოს იგი საკეთარ განწყობილებათა ორბიტაში. ეს კარგად იცის ტ. ტაბიძემ და ყოველთვის ცდილობს თავიდანვე შეათვისოს მკითხველს, აზიაროს იგი თავისი ემოციების სამყაროს, რომ ბოლომდე მასთან მხარდამხარ გაიაროს პოეტური შთაგონების უხილავი სივრცეები. მისი ყოველი ლექსის გაცნობის შერე მთლიანად აღმოვჩნდებით ხოლმე ავტორის ემოციებისა და განწყობილებების ტყვეობაში, ისე რომ მცირე ადგილიც აღარ რჩება ეჭვისა და გულგრილობისათვის. ნათქვამის დასადასტურებლად საგანგებო ძებნა არ დაგვიჩრდება; საკმარისია წავიკითხოთ მისი რომელი ლექსიც არ უნდა იყოს, რომ ჩვენს წინაშე წამოიმართოს სააღსარებოდ მოწმადებული ადამიანი.

გულწრფელი და პირდაპირი ტ. ტაბიძე ყველასა და ყველაფერს მიმართ. „ხალსაც მიმართე, გული გაუხსენა“ — ეუბნება იგი თავის თავს და მზად არის სამშობლოსა და ხალხის სიყვარულს სიციცხლე ანაცვალოს. ასევე გულბობიით გამოირჩევა პოეტის დამოკიდებულება მშობლიური ბუნების სიმდიდრისა და სიმშვენიერისადმი, ისტორიული პაროენებებისა თუ თანამედროვე ადამიანებისადმი. თვით მშველი სატრფიალო გრძნობის გამედანვნების დროსაც პოეტი რჩება კეთილშობილ, გულგია მოკრულად, რომელსაც სიყვარულს იქით სხვა გზა არა ეჭვს:

მინდა, რომ ეიყო მჭირი გულადი საშინელ ღამეს ვეფხვი რომ დაბდღენა. ვარ ავსებელი შენით გულამდე და მოვარდნილი ცრემლების წარღენა.

მინდა მოვიფრთხილ ამ შარავზაზე, მინდა გავიხსნა გული ალალი, მე ყანაღებმა მომკლეს არაგვზე. შენ ჩემ სიციცილში არ გიდევს პრალი.

ყველაფრიდან ჩანს, ტ. ტაბიძე არ არის სიტყვაშიერი და გრძნობაძენწი პოეტი. იგი მართალი, გრძნობის ავთანდილია და უშურველად აბნევს თავისი განცდის ნაებრწყლებს. ასეთი გაღაპარებული ხელგამლილობა შეიძლება ზედმეტ ფუფუნებადაც კი მოგვეჩვენებოდა, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ მის ამ თვისებას არაფერი არ აკავშირებს გრძნობის დახურდავებასთან, მაშინ აღვიღად მივხვდებით, თუ რა

სამდიდროს შერეულ შემოქმედებებთან გააქვს საქმე. სისადავე და უბრალოება ყოველთვის არის დიდი პოეზიის დამამყუანებელი ღირსება. ფიქრებისა და განწყობილებების ჩამოყალიბება სადა, გასაგები, მაგრამ ამავე დროს მიწვილველი მხატვრული ენით, პოეტური შესაძლებლობის უპირველესი საწინააღმდეგო ხელოვნების ქმნილებაში ჩვენ ვხვდებით, უპირატესად, მისი მალალი, დახვეწილი სისადავე, რომელიც შორსა დგას ყოველგვარი პოზიტივიზმისა და მანქანაგრებისაგან, შორსა დგას აგრეთვე პრიმიტივიზმისა და სიტყვის გაუბრალოებისაგან. ტ. ტაბიძის პოეტური პრაქტიკავე დაკვირვება ნათელს ხდის, რომ იგი თავისი მხატვრული აზროვნების ამოსავალ საფუძვლად იღებს დახვეწილი უბრალოების პრინციპს. ეს გარემოება არაერთხელ იჩენს თავს მის ლექსებში მხატვრული პროგრამის სახით. პოეტის მიზანია ის არის, რომ მართალი და სადა ლექსით გამოხატოს გარემომცველი სამყაროს მრავალფეროვნება, სინამდვილესთან თავისი დამოკიდებულება:

მინდა დაეტოვო უბრალო ლექსში
რასაც ვუღო გრძნობს და ხედავს თვალს,
ვარ შემოდგომის უბნით აღერხით
და ერთბაშად ერთბაშად მთვარალი.

მაგრამ დავაკვირდეთ, გრძნობის როგორი ხისავსე, პოეტური შეტყუებულების რა მალალი ხარისხით მიღწეული ამ მართლაც უბრალო და უპრეტენზიო სტრუქტურებში.

სწორედ ადამიანურმა სიმაღლემ და შინაგანმა პოეტურმა უბრალოებამ შეუწყო ხელი ტ. ტაბიძის შემოქმედების გარდატეხას, რის შედეგადაც იგი საბჭოთა პოეზიის წინა რიგებში მოექცა. ადრეც და შემდეგაც სისადავისა და გულგანულოლობის ნოყიერი დგრიტა ასაბრლოებდა ტ. ტაბიძის ლექსს.

გადამრთი შეიძლება ითქვას: ყველაზე დიდსა და საბატოთ თემაზედაც კი უბრალო და სადა ლექსით ამტკიცებდა ტ. ტაბიძეს საოცრად ემარჯვებოდა. ამ მხრივ ბუნების მიწვილველი სისადავე მისთვის მისაბამ ნიმუშს წარმოადგენდა; ეს თვისება პირდაპირ ტ. ტაბიძის ლექსის სტიქიაა:

ისე უბრალოდ, როგორც მუხრანზე
გაზაფხულისთვის მოდის ზღაბი;
ისე უბრალოდ, როგორც არაგვზე
აღაღალალება მზეზე კალმახი;

ისე უბრალო და ისე სადა,
როგორც ურბული გუთნის დედისა,
როგორც გადიას დაკრული ქადა —
ხმა მშობლიური მე დღეს მუღირსა.

ამის შემდეგ საკვებით ბუნებრივად გასმის პოეტის სტრუქტურა: „ისე უბრალოდ მშენდება“ ვუმღო; რო ჩემ განახლებულ სამშობლომ მამამსაქა

განახლებული საქართველოს მოტივი თანდათან ორგანიზალად იჭრებოდა ტ. ტაბიძის პოეზიაში; ამ პროცესისათვის ნიადაგი უკვე იყო მზადებული პოეტის მხატვრულ აზროვნებაში, რამდენადაც მას ყოველთვის ცხოვლად აინტერესებდა თავისი სამშობლოს ბედობლილი. სამშობლოს თემა მზის სხივებით ექსპოვება ტ. ტაბიძის ლექსებს. რამდენი სიხარული, რამდენი სევდა, რამდენი მიწწარღვება და ოცნება აღძრავს პოეტის გულში მშობელ ქვეყანას, მის ბუნებას, ხალხს ისტორიულ თავგადასავალს და თანადროლობას, და რამდენი შესანიშნავი მხატვრული სახედ ჩამოუყალიბებია ეს ყოველივე პოეტის მდიდარ ფანტაზიას? უკანასილი დაკვირვების უნარმა და პირდაპირი სამოლოოდ გათანტეს გავრცეელობისა თუ დღესტრუბელი ძიებების ნისლი და ტ. ტაბიძეს, ერთხელ და სამუდამოდ, სამშობლოს წამდელი ბედნიერების დღე დაინახეს. ეს იყო ახალ, სოციალისტურ საქართველოს გამარჯვებათა დღეები, რომლებმაც ქვეყანა უმაგალითო პროგრესის გზაზე დააყენეს. ტ. ტაბიძეს შესწევდა ძალა დაქალაქი სიმბოლისტური ხელოვნების ზეუღეები და, სოციალისტური გარდაქმნებით აღფრთოვანებული, გამხდარიყო ახალ საქართველოს მშენებელთა გულწრფელი მომდგირალი. არც ეს შემოქმედებითი გადასალისების ძნელი პრაქესა დაუმაღავს ტ. ტაბიძეს ხალხისათვის; ლექსში „ნუ გაიკვირებ“, რომელიც პოეტის შემოქმედებაში განსაკუთრებული მნიშვნელობის ნაწარმოებად გვევლინება, მან ჩვეული სიმაღლით გადაუმალა გული მკითხველს, გაბედვლად უამბო მას თავისი წარსული ლიტერატურული ძიებებისა და ახალი სტრუქტურების შესახებ:

რა საჭიროა აქ პირტერობა,
მართლა მზიბლავდა მე ერთ დროს „დადა“,
მტარჯავი იყო ეს გაორება,
შინანიება კი არის სადა.

დაფასთან ედგავარ და ეშლი ძველ ლექსებს,
ცარკით კი არა სისხლით რომ ვწერდი.
საბჭოთა მიწის გიკოცნი ფესვებს,
ახალ ცხოვრების ვარ აღევრდი.

ახალი ცხოვრების ტ. ტაბიძისეული მხატვრული აღქმა გულისხმობს სოციალისტური სინამდვილის ასახვას მის ზოგადსა თუ კონკრეტულ გამოცდილებაში. საბჭოთა ქვეყნის წინსვლა-განვითარების დიად ექსპეში პოეტო გამოკუთხს ყველაზე უფრო ძირითად, ყველაზე უფრო დამახასიათებელ მოვლენებს, რომ უფ-



რო ნათლად წარმოგვიდგინოს ჩვენი დროის მთავარი შინაარსი. ამასთანავე პოეტის თვალ-უფართოვს პორბონონტებსა სწვდება და იქ და-ნახულ მოვლენებს უტყუარი აღოთი უყვამი-რებს ერთმანეთს. პოეტმა კარგად იცის, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაშლილი დიდი გარდამქმნელი სამუშაოები წარმოადგე-ნენ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვე-ბის პირდაპირ შედეგს და ერთმანეთთან მჭი-დრო ურთიერთობაში იმყოფებიან, ერთი სე-როთ, დიდი საბჭოთა აღმშენებლობის შემად-გენელი რგოლებია. პოეტი ზედვს რომ ახალ ეპოქის უდიდეს ეპოსს აღარ სჭირდება უკვე მედეა, რომ ახალ ცხოვრების მშვენიერებას შეენის ახალი ადამიანი, რომ „გამოიქცედა ეს საქართველო, ფოლადის, რკინის ახალ ჯავშან-ში“.

როგორცა ვხედავთ, ტ. ტაბიძის პოეზიაში თავის კუთვნილი ადგილი დაიჭირა მღვლეარე ხმამ თავისუფალ საქართველოზე, ახალ სამშობ-ლოზე; ასე დაიწერა ლექსი „სამშობლო“, რომელიც თავისებური პოეტური სიტყვაა ჩვე-ნი ქვეყნის მიმე წარსულსა და ბედნიერ თანა-მღვლოვობაზე; აყვებულა სამშობლოს სიხა-რულს დიდი შინაგანი ძალით ერთწყემის ლექსის ავტორის შემოქმედებით აღმავლობა. რომე-ლიც უკვე თავისი ძლიერების ზენიტზეა შემდ-გარი:

ორმოცი წლის ვარ, კიდევ ორმოცის
უფრო მტანჯველის, რომ ვიყო მოვლელი,
ვერ შემეჩერებს გათხრილი ორმოც,
ვარ ყრმა უცადი და პირტიტველი.

ჩემშიც ვადმოდის, ჩემშიც იღვრება,
ჩემი სამშობლოს ფენიქსის ზედი.
არ უნდა კვესით ვულს ამღვრება,
ცეცხლოუფებლად იწვის აბედი.

ტ. ტაბიძე ერთერთი პირველი ქართველი პოეტია, რომელმაც თავის ლექსებში შთამა-გონებლად უმღერა საბჭოთა ქვეყნის ხალხთა მშობა-მშვეობრობას. ამ თემაზე პოეტმა ბევრი გულთბილი და საგულისხმო აზრი გაუზიარა მკითხველს. ჯერ კიდევ 1932 წელს მან დაწე-რა ლექსების ციკლი „სომხეთში“. მასში პოეტმა გაეკისის ხალხთა ურდვეი მეგობრობის იდეა ამბიტყველა მხატვრულ სახეებში. „შეერთდნენ ერთი კავკასიისა და ამღვრიან ერთ ხალხურ-ში“—სიხარულით ვგამცნობს პოეტი აღნიშნულ ციკლში. ამავე აზრით არის გამსკვალელი ლექ-სები: „დაღესტნის ვაზაფხული“, „ალექსანდრე პუშკინი“, „ელადიმერ შააკოვსკის დედა და დები“ და სხვანი, რომლებშიც რუსეთ-საქარ-თველოს ისტორიული ურთიერთობა და თანა-

დროული კავშირის მოტივი ოტივიანდურ და მიმზიდველ ტონებში იქსოვებტრკენსულს. ტ. ტაბიძის ლირიკას არ აკლავს მღვლოვობა ალღო და პუბლიცისტური სიმახვილე. პოეტი ცხოვრების შუაგულშია მოქცეული, იგი გა-ვლენთილია, როგორც უშუალოდ მომცველი ატ-მოსფეროთი, ისე მნიშვნელოვანი საერთაშორის-სო მოვლენების სიმხრეგალით. ტ. ტაბიძის მკვეთრი პოეტური სიტყვა ერთნაირი ძალით თანაუგრძნობს და ეხმარება შეუდარეველ რე-ვოლუციონერს ტელმანს ფაშოზმის წინააღმდეგ ბრძოლაში („და ბელადობას, ტელმან, გავა-ლებს“) და რესპუბლიკის დამცველ სახელოვან ესანელ მეთომებს („დაო დოლორეს, ძმებო ბასკებო...“). ეს ლექსებზე მოწმობენ ტ. ტაბიძის ღრმა მოკალაქობრივ-შემოქმედებითის ინტერესს თანამედროვეობის აქტუალური საკითხების მი-მართ.

ტ. ტაბიძე თავის პოეტურ პრაქტიკაში ერთ-გული მიმდევარია სახეობრივი აზროვნებისა, რაც ბელანსკის განსაზღვრით პოეზიის არსს შეადგენს. საკუთარ აზრებსა თუ განწყობილე-ბებს იგი, როგორც წესი, რთულ და შთამბეჭ-დავ სახე-მეტაფორებში აყალიბებს. ვფიქრობ, სახეთა ასეთი სისტემა ჩვენი პოეტის ლექსებ-ში, ნასაზრდობია, უმთავრესად, ბუნების სუ-რათებითა და მოვლენებით. ბუნების მრავალ-ფეროვნება არის ის ერთერთი საიმედო ძალა, რომელიც ტ. ტაბიძის ლექსს დიდ სიმტკიცესა და შნოს ანიჭებს. დროდადრო მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, რომ პოეტი თითქოს ერთიანად იბრება ბუნების წიაღში, თითქოს ვადაშდნარია დედამიწის სუნთქვას-თან. ამიტომაც არის, რომ ტ. ტაბიძის მხატვ-რულ სიტყვას თან ახლავს მიწის, ყვავილებისა და ახლად ამოხეტილი კვირტების ღიმილი. ის უღაო ფაქტი, რომ ტ. ტაბიძე ძალუმაღ ვანიც-ლის ბუნების სილამაზეს, რომ მისი მხატვრული სახეები გაყლებთილია ქართული ლანდშაფტის სინდლით, მიუთითებს იმაზე, თუ რა ახლოს დგას ამ მხრავ ჩვენი პოეტი ერთერთი მწერ-ლობის ტრადიციებთან.

უღარესად განვითარებული შეგარნება ბუ-ნების მოვლენებისა და რთული ფენების შემ-ცველი პოეტური წარმოსახვა საშუალებას აძლევს ტ. ტაბიძეს შექმნას განსაკუთრებულ სიმღერის მხატვრული სახეები. აი, მაგალითად, ისტატის ყაღმით შესრულებული საქართვე-ლოს განთიად:

ამომავალ მზის ოჭრის ნათელი
თავზე ადგება საქართველოს მოებს
და ნამჭერებში დამე ნათევი
მთიარე ანათებს და არც ანათებს.

იშვიათი ძალის სტრიქონებია, რომლებიც პოეტის მდიდარ წარმომსახველობით უნარზე მეტყველებენ!

ამის შემდეგ ვასაკვირი არ არის, რომ ტ. ტაბიძე ავტობიოგრაფიის ხატვის დროს, უმთავრესად, ბუნების ფერებსა და საგნებს მიმართავს. ამ მიზნით უფრო სწორად იყენებს აპრილის, ვაშლის ხისა და შავნაბადას მხატვრულ სახეებს, მაგალითად: „მე დავიბადე აპრილის თვეში, ვაშლების გაშლილ ყვავილებიდან“, „დღეს აპრილი, აპრილია იცი ვაშლის ხეებით სულის ვატანა“, „ვაშლის გაშლილი ხის სილამაზე, ტანზე მასკდება მისის ლამე“, „სულში ვაშლის ხე ვილაყამ დარგო, სიყვარულისთვის ნუ შემდრებინი...“ შემდეგ „რა მამადა — ან რა მებადა, მე ვარ ტიტველი მთა შავნაბადა“, „მე რა მაქვს ალა; რა შექნება ან რა მებადა, ვარ უზრუნველი და ტიტველი მთა შავნაბადა“. პოტიანილი ციტატები ნათელს ხდის, თუ რა შიდა ხარისშია ასული პოეტის სულიერ სამყაროში ბუნების ძალაქველი მოვლენების ესთეტიკური შეგრძნება.

იქნებ ყოველივე ამის გამოა, რომ ზოგჯერ ტ. ტაბიძის ლექსი მოგვაგონებს ბუნების პირველყოფილი მშვენიერების მძლავრ გამოხატობას, რომელიც ატანს მოველინა მკვლავის და გარემომქმნელ ძალას უცდის. ამის იმიტომ ვამბობ, რომ ტ. ტაბიძე, ეტყობა, დიდად არა ზრუნავდა ნაწარმოების საბოლოო დახვეწა-დაშეწვებაზე და თავისი წუთიერი ვანუყობილების ნაყოფს საჭრელთათვის აღარ მიუზრუნებოდა ხოლმე. ამაზე მიუთითებენ ის თითოერთი გაუმართავი სტრიქონები, გამოთქმები და რითმებიც, რომლებიც ალაგ-ალაგ გვხვდება მის ლექსებში. მაგრამ ეს ოდნავადაც არ ანელებს ტ. ტაბიძის სიტყვის ზემოქმედების ძალას. თავისი ზოგიერთი ლექსის ნაწილობრივ დაუხვეწაობას თვითონ ავტორიც კარგად გრძნობს და ცდილობს ამ ფაქტისათვის შესაფერი გამართლებაც მოგვეცეს. ერთ ადგილას იგი პირდაპირ ამბობს: „სულმოუთქმელი ასე ვიმღერე, ლექსი დამწმენდას ვეღარ მოუცდის“. ხელშეუხებელი სილამაზის მხრივ ტ. ტაბიძის ლექსი შეგვიძლია შევადაროთ ავრთვე ოქროს ბუნებრივ ნატებს, რომელსაც ეს არის ახლა მიაგნეს მიწის წიაღში ჯერ ღონღონის მობზარობების გმირებმა.

ასეთ შთაბეჭდილებას ტ. ტაბიძის ლექსის მიმართ შეიძლება ისიც უწყობდეს ხელს, რომ პოეტის მეტყველებაში საქმით რაოდენობით გვხვდება დიალექტიზმები, რაც მას ნასესხები აქვს ჩვენი დასავლური კოლონიდან. ქართულ თანამედროვე პოეზიაში ბევრი ნაშუში შეიძლება მოიძებნოს, როცა კეთხური გამოთქმის მოშველიებით პოეტობად სრულყოფილი სტრიქონებია გამართული.

უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი მოვლენა ტ. ტაბიძის ლექსების ენობრივ კლასიფიკაციაში. სახელდობრ ისა, რომ პოეტის მიმართვის სტრიქონებში სიტყვების თავისებურ წყობას, გადაადგილებას, რითაც ხშირ უჩვეულო ალაგს არის ხოლმე მოქცეული. მაგალითად: „ტიტველ ღრუბლების ხანან აფრებია“. ცხადია, აქ ხშირს სხვა ადგილი აქვს მიიწინაო. ეს საესეებით დასაშვები ხერხია და ასეთ მაგალითებს შეეხვედებით ქართულ პოეზიაში, მაგრამ ტ. ტაბიძის ნაწარმოებებში ეს მოვლენა სისტემატურად, ყოველ ნაბაჯზე იჩენს თავს და იმიტომ იგი უნდა მივიჩნიოთ მწერლის სტილისტური თავისებურებად; რომ ეს თვისება მართლაც ტ. ტაბიძის პოეტური სინტაქსის ერთერთი დამახასიათებელი ნიშანია, შეიძლება დადასტურდეს მრავალი მაგალითით; მოვიტანოთ ზოგ მაგონს: „საპოთა მიწის დალოცოს ყველა მტკაველი“, „ბატონიშვილის მშობავს ხალათი“, „ქვათა მუსიკის ვახვდი სადი“, „მეც პოეზიის შიდა აღზევანს“, „ამაღამ ზენა ამოვა ქართი“. და ბოლოს, სტრიქონებში ზმნების ამგვარი ვანლაგებით არის შექმნილი ტ. ტაბიძის ისეთი ცნობილი, ბრწყინვალე მხატვრული სახეები, როგორცაა: „საპოთა მიწა გიკონი ფესვებს, ახალ ცხოვრების ვარ აღავერდი“ „დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა, და საქართველოს მედგას უღელი“, „დალე ვანდი და არ ვემშლოს, ტუბილი კახეთის ზგამ საღღვგრძელოს“; დასასრულს ერთი შესანიშნავი სტროფიც:

მივიღ, მივდივარ და მივიმღერი,
თან საქართველოს მიმაჭვს ოცნება,
ვარ გაუთლელი ღერწამის ღერი
ტუნ-მიუღებლად რომ იყოცნება.

თვალნათლივ ჩანს, რომ პოეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს წინადადების ამგვარ წყობას, ზმნის თავისებურ აქცენტირებას, და სახეობრივ აზროვნებაში მას დიდ ნდობას უცხადებს. ეს კი თავისთავად ამახვილებს მისი სიტყვის ინტონაციურ ელემენტობას. ჩემს მიერ შენიშნული ზმნის გადაადგილების ეს ხერხი ტ. ტაბიძის მხატვრული სინტაქსის მხოლოდ ერთი ნიშანია. რასაკვირველია, ამ მხრივ შეიძლება მოიძებნოს სხვა თავისებურებებიც.

პოეტური ფერწერის თვალსაზრისით ტ. ტაბიძე სქელს საღებავებითა და ძალოვანი ნიშანსებით ხასიათდება. მის მიერ შექმნილი სახეები უმეტესად გამოიცნობიან სიმკვრივითა და ფერების სინოყიერით. მისი ხატოვანი თქმების ანალიზი დავანახებებს, რომ პოეტი უფრო მეტ ყურადღებას აქცევს აღებულ საგნისა თუ თემის მკვეთრ განსხვავლებას ვიდრე მათი გარეგნული პერსონების ჩვენებას. ამის შედეგ-

გად შკითხველი რეალური საგნებისა და ნაცნობი სახეების გარემოში ტრიალებს.

თუ მაინცდამაინც აუცილებელია ფერმწერლებთან ანალოგიების ძიება, მაშინ ტიციან ტაბიძის სახეობრივი ხელწერა ლადო გუდიაშვილის მხატვრულ მანერას უნდა მივაშვავსოთ. ამ ორი შესანიშნავი შემოქმედის თვალი, ზოგ შემთხვევაში, ვფიქრობ, ერთნაირი სიმახვილით იჭერს და ილიქვამს გარემომცველი სამყაროს ცალკეულ მოვლენებს; ორივე მათგანისათვის ნიშანდობლივია მხატვრული წარმოსახვის რელიეფურობა და საღებავების სისხლსავსეობა. გავიხსენოთ ტ. ტაბიძის სტროფი: „დიდებულია ყაბაზზე დილა, ახალი მთების ვხედავ კენძულებს, ორბელიანთა გაუთხოვარ ქალების ძეძუებს“; ზომ ძალიან მოგვაგონებს ეს სურათი ლ. გუდიაშვილის ნახატების კოლორიტულ

სერიას ძველი თბილისის ბანებიდან და ჭაბაჭის ლხინებით. ასეთივე ანალოგიის სურვილს გვებადება, როცა ვკითხვლობთ ტ. ტაბიძის სტროფებს: „გამოუცლით ღვინის რუმბები ხატობას მოსულ ვაჟას აფშინებს“, ან კიდევ „რომ დაეჯდებოდეთ ჩვენ პერის ჭამათ მოვიგონებდეთ, ძმებო ფიროსშანს“. მაგრამ ზემოთქმული, რასაკვირველია, არ ნიშნავს, თითქოს ამ ორი ხელოვანის მხატვრული მეთოდი სინამდვილის ასახვისა ერთნაირი იყოს. მე მხოლოდ ცალკეულ, შსგავსებაზე გავაშახვილე ყურადღება; ისე კი, როგორც ტ. ტაბიძე, ისე ლადო გუდიაშვილი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და თვითმყოფადი ოსტატებია, რომელთაც ხელოვნების სხვადასხვა დარგში თავიანთი ორიგინალური მხატვრული სტილი აქვთ.

მედიკალიზაცია

საქართველო-იტალიის ურთიერთობები

იტალიელი და ქართველი ხალხის ურთიერთობათა ისტორია სათავეებს ანტიკური დროიდან იღებს. 65 წელს (ძვ. წ.), როცა რომის სარდალმა პომპეუსმა საქართველოზე ილაშქრა, ქართველები მომხდურ მტერს ჩვეულებრივი სიმაჰიციო დახვდნენ. შემდგომი რომისა და საქართველოს შორის ურთიერთობა მოწესრიგდა. საქართველო მაშინ წინააზიის ერთ-ერთი საქმიოდ ძლიერი სახელმწიფო იყო და, როგორც ჩანს, რომმა მასთან კეთილშეგობრობა არჩია.

ძველი წელთაღრიცხვით 15 წელს საქართველოს (იბერიის) მეფემ ფარნავაზმა რომთან შეგობრული ურთიერთობის დამყარება განიზრახა და ავგუსტუსს კეთილმოიხილა ელჩებიც წარგზავნა. ეს ამბავი ავგუსტუსს აღწერილი აქვს ე. წ. ანეკიდის ერთ-ერთ წარწერაში. იმპერატორ ვესპასიანეს დროს (69-79 წ. ახ. წ.) საქართველოსა და რომს შორის შეგობრობა საკმაოდ განმტკიცებულა. იმპერატორმა საქართველოს, შეგობრობის ნიშნად, მცხეთის კედელი გაუშავრა (ამას გვეუწყებს მცხეთაში აღმოჩენილი წარწერა, რომელიც ახ. წ. 15 წლით თარიღდება). იმპერატორმა ადრიანემ (117 — 138) იბერიის მეფეს ფარსმან II დიდი ძღვენი გამოუგზავნა, მათ შორის 20 საბრძოლო სპილო და 500 მხედარი; ფარსმანმა, თავის მხრივ, რომის კეთილმოიხილა და მისი მხრივ უპასუხა. დაახლოებით 117 წელს, როცა ფარსმანი ოჯახითურთ ესტუმრა რომის კეთილმოიხილა, იმპერატორმა ადრიანემ სტუმარი დასახიქქა, იბერთა მეფეს საზღვრები გაუფართოვა და ქართველთა მიერ გამართულ სამხედრო ასპარეზობას დაესწრო (ასპარეზობაში თვით ფარსმან მეფეც მონაწილეობდა). ქართველთა პატივსაცემად იმპერატორმა ფარსმანის ქანდაკება აღამართინა რომში. არსებული ცნობების თანახმად ქართველთა და რომაელთა ურთიერთობა კეთილმოიხილა ანტონინ პიუსის (138 — 161) დროსაც გაგრძელდა. (ახალი გამოკვლევების საფუძველზე სპეციალურ ლტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფარსმანის სტუმრობა რომში მხოლოდ ანტონინ პიუსის დროს მომხდარა).

ანტიკური რომის პერიოდში ქართველებმა და რომაელებს შორის კულტურული ურთიერთობები

დაც დამყარებულა. რომის ეპოქის წერტილებმა და ისტორიკოსებმა საქართველოს შესახებ შემოგვიჩინეს მრავალი უფარდასაღები ცნობა, რომელთაც საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლის საქმეში ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ. ამ ისტორიკოსთა შორის უფარდასაღების იპყრობენ: სტრაბონი, პომპეუს ტრიგესი, პომპონიუს მელა, კვინტუს კურციუს რუფუსი, გაიუს პლინიუს სეკუნდუსი, კორნელიუს ტაციტუსი, ავლუს გელიუსი, გაიუს იულიუს სოლინუსი, იულიუს კაბიტოლინუსი, ევტროპუსი, ამაინე მარკელინე, პაულ ოროზუსი, ფლავიუს არიანე. პლუტარქე, ამაინე ალექსანდრიელი, პროკოპი კესარიელი და სხვ.

შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით ჯვაროსანთა ომების პერიოდში, ევროპისა და კრძოლიტალიის (რომის პაპის) საქართველოსთან ურთიერთობა საკმაოდ ფართო და სისტემატურ ხასიათს იღებს. ეს იმით აიხსნება, რომ XI—XIII საუკუნეებში საქართველო ძლიერი სახელმწიფო იყო და აღმოსავლეთში ქრისტიანობის ერთ-ერთ უმთავრეს დასაყრდენს წარმოადგენდა. ჯვაროსანთათვის საქართველოს დახმარება და თანაგრძობა მუსლიმანური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატების მნიშვნელოვანი საწინდარი იყო. ევროპისა და საქართველოს შორის კავშირის დამყარების საქმეში რომის პაპი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

XV საუკუნიდან ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკაში ე. წ. „აღმოსავლეთის საკითხმა“ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ევროპის საეპიტრო კაბიტალი აღმოსავლეთისაკენ მოიწვეს. საქართველო, რომელიც აღმოსავლეთთან სავაჭრო გზების მნიშვნელოვანი გზაჯვარედინი იყო, ევროპის პოლიტიკოსთა დაინტერესების საგანი გახდა. როგორც წესი, ევროპის სავაჭრო კაბიტალს წინ კათოლიკე მისიონერები მოუძღოდნენ. ამ საქმეში დომინირებდნენ იტალიელები. მასობრივად მოდიან საქართველოში იტალიელი მისიონერები. მათი შეწყობით ევროპა კონტაქტს იწყობს საქართველოსთან. ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, საქმიანი კონტაქტი. ამისთან ერთად მყარდება კულტურული ურთიერთობები. მისიონერები ევროპას აცნობენ სა-

პაპმა — კლიმენტოს XI-მ. ფრანგი მისიონერის რომისის (იგი ახლდა საბას ევროპაში მოგზაურობის დროს) ხელით პაპმა ლეი XIV სპეციალური წერილი გაუგზავნა, სადაც საქართველოს მეფის ვახტანგ VI-ისადმი დახმარება სთხოვდა. რომის შემდეგ საბა ფლორენციას ესტუმრა, ფლორენციიდან ქ. პიზაში ჩავიდა, შემდეგ ქ. ლივორნო ინახულა, ლივორნიდან სიცილიისკენ გაემგზავრა და ქ. პალერმოს მივიდა. პალერმოს შემდეგ საბამ ქ. მესინა ინახულა, სიცილიიდან საბა კონსტელ მალთას ესტუმრა, აქედან კა სამშობლოში გამოემგზავრა. იტალიაში მოგზაურობა საბამ იწერა ნაშრომში — „მოგზაურობა ევროპაში“.

იტალიელ მისიონერებს ევროპასთან ურთიერთობის დასამყარებლად ერეკლე მეორეც იყენებდა. ევროპის მონარქებთან საქმიან მიწერ-მოწერას იგი ძირითადად იტალიელი მისიონერების საშუალებით ახორციელებდა.

როგორც აღვნიშნეთ, რომსა და იტალიის სხვა ქალაქებში ბევრი ქართველი ახალგაზრდაღებულობდა განათლებას. XVII საუკუნეში იტალიელი მისიონერები ბევრს იღვწოდნენ რომში ქართველ ახალგაზრდათათვის სპეციალური კოლეჯებში მოსწავლობად. იტალიაში მრავალი შესანიშნავი ქართველი მწიგნობარი აღიზარდა. იტალიაში მიიღო განათლება სახელგანთქმულმა ქართველმა მეცნიერმა, ისტორიკოსმა მიხეილ თამარაშვილმა (მიქელ თამარატი). 1911 წელს ქართველი მეცნიერი მდინარე ტიბარში დაიხრო, როცა ერთი იტალიელის გადაჩენას შეეცადა. მისი ნეშტი იტალიის მიწაში მიიხარა.

გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა, ქართველოლოგმა მიხეილ თარხნიშვილმა (1897—1958) თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმეტესი პერიოდი გაატარა იტალიაში, კერძოდ რომში, სადაც გარდაიცვალა კალეც. იტალიაში მოღვაწე ქართველ მწიგნობართა შორის აღსანიშნავია ავრეთვე შილვა ბერიძე, რომელმაც იტალიურ ენაზე თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და იგი 1945 წელს გამოესტა კალეც მილანში.

ფორადსაღებობა ის ფაქტიც, რომ იტალიის მეცნიერულმა წრეებმა ქართველ მეცნიერებთან კონტაქტი უკვე XX საუკუნის 20-იან წლებში დაამყარეს. 1924 წელს ნეაპოლის უნივერსიტეტის 700 წლის სათბილეთი ზეიმზე თბილისის უნივერსიტეტიც მიიწვიეს. სათბილეთი ზეიმზე გაგზავნილი იქნა მსოფლიოში სახელმწიფველი მეცნიერი, კლასიკური ფილოლოგიისა და პაპირესოლოგიის დიდი სპეციალისტი გრიგოლ ფილიპონი-სჟე წერეთელი (1870 — 1937). ნეაპოლში მან ჩაიტანა აღწერა—შედგენილი ქართულ და ლათინურ ენებზე. ქართველ მეცნიერსა და იტალიელ მეცნიერებს, კერძოდ გ. წერეთელსა და ნეაპოლის უნი-

ვერსიტეტის რექტორ ბენ ცამბონისის შორის მჭიდრო მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა დამყარდა. გრიგოლ წერეთელს „შექმნილი“ სახელით წარდგენილი მოხსენება, რომელიც იტალიელ და ქართველ ხალხთა შორის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიას შეეხებოდა, შეტანილი იქნა დასაბუქდად „ნეაპოლის უნივერსიტეტის ისტორიის“ სათბილეთი გამოცემაში. იტალიაში მოგზაურობა პროფესორ გრიგოლ წერეთელს აღწერილი აქვს შესანიშნავ ნაჩვენებში — „ნეაპოლი, რომი, ბერლინი“, რომელიც 1925 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „კავკასიონის“ პირველ ნომერში. ნეაპოლის უნივერსიტეტმა თბილისის უნივერსიტეტს სამასობორო ვერცხლის მედალი გამოუგზავნა.

ამ მოკლე ხნის წინ, იტალიურმა მეცნიერებამ ქართული კულტურის საქმეს კიდევ ერთი სასარგებლო სამსახური გაუწია. მხედველობაში ვაქვს იტალიელი არქეოლოგის ვიკტორ კობოს მიერ 1954 წელს პალესტინაში ძველი ქართული მონასტრის გათხრები. ვიკტორ კობომ 1955 წელს, ამ გათხრებთან დაკავშირებით, გამოაქვეყნა ვრცელი მონოგრაფია. კობო მეცნიერულ კონტაქტში იყო მიხეილ თარხნიშვილთან. ამ უკანასკნელმა ამოიკითხა გათხრების შედეგად მოპოვებული ქართული წარწერები, რაც კობომ თავის წიგნს დაერთო კლდეც.

ქართველ და იტალიელ არქეოლოგთა შორის კონტაქტის დამყარების თვალსაზრისით საინტერესო იყო ქართველი არქეოლოგის ა. აფაქიძის მონაწილეობა არქეოლოგთა მსოფლიო კონგრესზე რომსა და ნეაპოლში 1958 წლის სექტემბერში. მან რომის უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში წაიკითხა მოხსენება თემაზე — „ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა საქართველოში“.

1958 წელს ქართველ ფოლკლორისტებს იტალიიდან მეტად უტრადსაღებები მასალა მოუვიდათ, სახელდობრ, ქართული ზღაპრების ჩანაწერები XVII საუკუნისა. მეოცე საუკუნის დამდეგს მიხეილ თამარაშვილმა XVII საუკუნის ერთერთი მისიონერის ბერნარდე ნეაპოლელის არქივში ქართული ხალხური ზღაპრების ჩანაწერებს მოაკვლია. ნაწილი გადმოიწერა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება. ნეაპოლის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ ქართული ზღაპრების მიკროფიჩები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას გადმოუგზავნა. აქამდე ცნობილი იყო, რომ ჩვენში ხალხური შემოქმედების ნიმუშების ჩაწერის ტრადიცია XIX საუკუნის მიწურულიდან იწყებოდა. ნეაპოლიდან გამოგზავნილი მასალა ქართული ფოლკლორისტიკისთვის მნიშვნელოვანი შენაძენია. ეს ტექსტები საინტერესოა ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისითაც.

იტალიის წინასასაყვესა და მუზეუმებში უამრავი ისეთი მასალა დაცულა, საქართველოს რომ შეეხება. მისიონერთა და მოგზაერთა ცნობების გარდა, აქ ინახება სხვა უძვირფასესი მასალა: ქართული უნიკალური ხელნაწერები, უძველესი წიგნები, ქართველ მეფეთა მიწერ-მოწერა რომის მღვდელმთავრებთან და ვერონის მონარქებთან და სხვ. ამ მხრივ განსაკუთრებით მდიდარია ვატიკანის ბიბლიოთეკა, Torre del Grecco-ს მონასტრის წიგნთსაცავი, სანტერესო მასალა დაცული ნეაპოლსა და პალერმოში.

იტალიაში დაცული მასალის გამოყენების საქმეში დადი დამსახურება მიუძღვით მიხეილ თამარაშვილსა და მიხეილ თარხნიშვილს. მიხეილ თამარაშვილმა ასეთი უძვირფასესი მასალის რამდენიმე ასეული თაბაჩი აღმოაჩინა, ჯადმოიწერა და საქართველოში ჩამოიტანა. მასალა საქართველოს მუზეუმში ინახება. ეს არქივი შესწავლასა და დამუშავებას მოითხოვს. ამ მხრივ მისასალმებელი იყენე ჯეაბანიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის ბეკან გიორგაძის საქმიანობა (ბ. გიორგაძეს განათლება იტალიაში აქვს მიღებული, დამთავრა ვატიკანის წმინდა ვრიგოლის სახელობის უნივერსიტეტი). მან დაიწყო თამარაშვილის არქივის შესწავლა და ქართულ ეტრნალ-გაზეთებში მრავალი სანტერესო ახალი მასალა გამოაქვეყნა. მაგრამ ის, რაც თამარაშვილმა ჩამოიტანა, „წვეთია ზღვაში“. იტალიაში დაცული ქართული მასალის შესწავლა ქართველოლოგიის ვადადებულ ამოცანად უნდა იქცეს.

*

აღსანიშნავია ის უდიდესი დაინტერესება, რომელსაც ქართველები იტალიური კულტურისა და ხელოვნების მიმართ იჩენდნენ ყოველთვის — წინათაც და ახლაც.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველებმა გაიკნეს იტალიური ოპერა: თბილისში 1851 წლიდან მოღვაწეობას იწყებს იტალიური ოპერის დასი. დიდი მუსიკალური კულტურის მქონე ქართველმა ხალხმა შეიყვარა დასავლეთ ევროპის კლასიკური მუსიკა და იტალიური ვოკალური ხელოვნება საქართველო, კერძოდ, თბილისის მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა. საქართველოს არა ერთი გამოჩენილი იტალიელი ვოკალისტი სწევია სავასტროლოდ, მათ შორის: ანჯელო მანინი, რენე მაეტო, რუბინატო, ჯუზეპე ფუჩარა, ლიონა ბირტაცინი და სხვ. საქართველოში მოღვაწეობდა გამოჩენილი იტალიელი ბარბტონი ევგენი ჯირალდონი, რომელმაც ცოლად ქეთთისელი თამარ ერისთავი შეირთო.

ჯირალდონი ვანო სარაჯიშვილის ახლო მეგობარი იყო. ჯირალდონების ოჯახში მცხოვრებნი დასდო ქართულ კულტურას. მან, მამაკაცისა და ევგენი ჯირალდონის დედამ, თავის ღრის განთქმულმა მომღერალმა — „სიმღერის ღმერთმა“ — ფერნი ჯირალდონმა აღზარდა ქართველ მომღერალთა მთელი პლეადა. მათ შორის, მსოფლიოში განთქმული ტენორი მიშელ დარიალი (მიხეილ ნანობაშვილი) და ცნობილი ბარიტონი დავით აკოფაშვილი. თვითონ ევგენი ჯირალდონთან სწავლობდა სსრკ სახალხო არტისტი სანდრო ინაშვილი.

საქართველომ არა ერთი გამოჩენილი ვოკალისტი მისცა მსოფლიო საოპერო კულტურას. მათგან უმრავლესობამ იტალიური სკოლა განვილი და იტალიურ საოპერო დასებში წამყვანი იდგვილი კი დაიკავა. ვანო სარაჯიშვილი წარმატებით გამოდიოდა იტალიის საოპერო სცენაზე, იგი მღეროდა მილანში ლასკაას ცნობილ თეატრში, პლეროდა პარმის საოპერო თეატრში, ტრიესტში, ნიციამი და სხვ. იტალიელებმა შეიყვარეს ვანო, მას გვარკი კი შეუცვალეს და სარაჯინად მონათლეს. ვანო სარაჯიშვილის უხსლოესი მეგობრები იყვნენ: ტრაპ რუფო, ევგენი ჯირალდონი და სხვ. იტალიის საოპერო თეატრებში, მათ შორის მილანის ლასკააში, წარმატებით გამოდიოდა ცნობილი ქართველი მომღერალი, ბანი ფილიპო ქორაძე.

იტალიაში მიიღო ვოკალური განათლება ქართველმა ბარიტონმა დავით აკოფაშვილმა. რგი მღეროდა პალერმოს თეატრში და მართავდა კონცერტებს იტალიის სხვადასხვა ქალაქში. მიშელ დარიალმა ვოკალური განათლება მილანში დაასრულა. მილანში აღიზარდა ბრწყინვალე ქართველი ტენორი პ. მ. კაკაბაძე. საშუალოდ, საშობლოში დაბრუნების შემდეგ (XIX საუკუნის დამლევს), იგი უდროოდ ვარდაოცვალა. იტალიაში სწავლობდა ქართველი მომღერალი, ბარიტონი ს. ა. ველახიშვილი, რომელიც შემდეგ ხანგრძლივად მოღვაწეობდა იტალიაშივე. იტალიაში სწავლობდა განთქმული ქართველი მომღერალი ოლდა ალექსანდრეს ასული ბახტაშვილი-შელდინასი და თავის ღრის ცნობილი ბანი იოსებ ტომაშვილი.

იტალიაში მოღვაწეობდა ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი მომღერალი ქალი — ელენე იოსების ასული თარხნიშვილი (თარხანიშვილი). მან გამოჩენილი მომღერლის სახელი მოიხვეჭა, შემდეგ ცნობილი იტალიელი კომპოზიტორის მასკანის დასში ჩაირიცხა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა სავასტროლოდ. მარმე კვლავ იტალიაში დაბრუნდა. როცა სცენას ჩამოშორდა, პედაგოგობას მიჰყო ხელი და აქაც სახელი გაითქვა. ამჟამად მსოფლიო მსახიობი ელენე თარხნიშვილი საზნრეთ იტალიაში ცხოვრობს. გამოჩენილი ქართ-

ველი ანტრეპრენიორის — ალექსანდრე აკაის-ძე წერეთლის (აკაის ვაჟი) ხელმძღვანელობით არა ერთ მსოფლიო მომღერალს უმუშავნია, მათ შორის: მახარის, ლანა კავალიერის, ანსელმს, ბატისტინის, ნავარინის და სხვ.

1890 წელს თბილისს საგასტროლოდ ესტუმრა დიდი იტალიელი მსახიობი ერნესტო როსი. მისი მონაწილეობით თბილისში რამდენიმე სპექტაკლი გაიშარა, როსის პატევისაცემად გამოთულ ბანკეტზე სიტყვებით გამოვიდნენ: ილია, აკაი, ივანე მაჩაბელი და სხვანი. აკაიმ ერნესტო როსის ექსპრომტად დღესიკი უძღვნა. ბათუმიდან ერნესტო როსმა „ივერია“ (იხ. 1890 წ. № 135) ასეთი დეკემბა გამოუგზავნა: „დაირგვა გემზედ ზარი და დადგა ეამი სამწუხარო განმორებისა, ეამი მეტად მძიმე, მეტად გულსაკლავი. ენა მიდუმდება და გამოთხოვება ვერ მომიხერხებია. ვინ იცის, საუკუნოდ გვთხოვებით თუ კიდევ განხავთ ოდესმე. მაგრამ არა, ისევე ნახვამდის, ჩემი სასტრუქლო თბილისის საზოგადოებას! ნახვამდის, ყველა ჩემო კარგო მეგობრებო, წარმომადგენელო მწერლობისა და ახალგაზრდობისანო! ჩემი უმხურვალესი ნატვრა ის არის, რომ ერთხანეა და მაღლი უფლისა კვლავ არ მოაკლდეს თქვენს სტუმართმოყვარე ქვეყანას, რაათა შევიძლო და კვლავ ვიხილო უფრო განდიდებული და უფრო გამშვენებულნი“.

XIX საუკუნიდან საქართველო ახლოს გაეცნო შესანიშნავ იტალიურ ლიტერატურას. ქართული ეურნალ-გაზეთები — „ივერია“, „მოამბე“, „თეატრი“ „ციციატა“, „მწათობი“ და სხვ. — დიდ ადგილს უთმობდნენ იტალიური ლიტერატურის შედევრების ქართული თარგმანების ბეჭდვას. ამ დიდი საქმის პიონერად გვევლინება სახელოვანი ქართველი მწერალი და დრამატურგი გიორგი ერისთავი. მან თარგმნა და „ციციას“ 1852 წლის პირველ ნომერში გამოაქვეყნა პეტრარკის ლექსი „ეურთხევა...“ საქართველო გაეცნო იტალიური ლიტერატურის მრავალი გამოჩენილი მოღვაწის ნაშრომებს. მათ შორის: ვიტორიო აღფიერის, ფრანჩესკო დომინიკო გვერაციის, ედმონდო დე ამიჩისის და სხვ. ქართულმა საზოგადოებამ შეიყვარა იტალიის კლასიკოსები — პეტრარკა, დანტე და ბოკაჩო. დიდი იტალიელი დრამატურგი კარლო გოლდონი არა ერთხელ ამტკველებულა ქართულ სცენაზე. ურადნალებია ის ფაქტიც, რომ ცნობილმა იტალიელმა დრამატურგმა კარლო გოციმ (XVIII ს.) თავისი ნაწარმოებ „ქალი-ველი“ ქართულ თეატრისა დაუკავშირა, ხოლო კარლო გოლდონიმ ერთ ნაწარმოებს „მშვენიერი ქართველი ქალი“ უწოდა და იგი ქართულ თეატრზე ააგო.

ჩვენს დროში ცნობილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ თედო საბოკიამ ქართულ ენაზე თარგმნა ჯიოვანნი ბოკაჩოს უკ-

ვდავი „დეკამერონი“ (პირველად გამოიცა 1934 წელს). კონსტანტინე გამსახურდიამ და კონსტანტინე ჭიჭინაძემ თარგმნეს დანტე „უღმრთე ბრძივი კომედია“ (გამოიცა 1933 წელს). საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობენ თანამედროვე იტალიელი მწერლები.

რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ დამონებული საქართველოში XIX საუკუნეში ფართო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაჩაღდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადებმა ამ ბრძოლის დიდი პროგრამა შეიმუშავეს და მის განხორციელებას შეუდგნენ. ეროვნული სულიცხეთებითა და განათავისუფლებით აუცილებლობის შეგნებით ქართველი ხალხს აღზარდა ამ პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი იყო. საქართველოს ძველი დიდებისა და საქართველოსათვის თავდადებულ ისტორიულ მოღვაწეთა პოპულარიზაცია, რომელსაც XIX საუკუნის მწერლობაში და პუბლიცისტთაში ფართო ადგილი დაუთმო, სწორედ ზემოთ აღნიშნულ მიზნებს ემსახურებოდა. ილია „სლავური აღორძინების“ ერთ-ერთ დიდ საწინდარს სწორედ იმაში ხედავდა, რომ მათ „თავიანთი წარსული ხელახლა ააყენეს საფლავიდან, გამოიხრაცეს, მისხლობით ასწინეს, გოჯით გაიშოვნეს ყოველისფერი, რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათ ეროვნებას, მათ ენაობას, წაკითხვალობას შეადგენდა და სარჩულად ედგა. გააცოცხლეს თავიანთი ერის პოეზიის შემწეობით დიდებული სახენი ძველის გმირებისა, ქვეყნისათვის თავდადებულებისა, ძველის ქველობისა, ძველის კაცურ-კაცობისა. მოაგონეს, ისტორიის შემწეობით, დავიწყებული სახელოვანი დღენი წარსულისა, აღადგინეს, გააშინდეს, გააძლიერეს დედა-ენა, ეამთა ვითარებისაგან გარყვნილი და შელახული. ამ გზით გამოაბრუნეს, გამოაცოცხლეს თითქმის სასიყვედილოდ გადადებული ერი, ერმა თავისი ვინაობა გაავსო, შეიტყო რა ყოფილა, რა არის და რის იმედი უნდა ჰქონდეს, შეიტყო და ფეხზე დადგა, ფრთა შეისხა. ამისი მავალითი სხვათაშორის ჩეხელები არიან... ასეთივე გზას უნდა დაადგეს ქართველი ხალხი, ქართული აღორძინების“ ერთ-ერთი საფუძველი წვენი ისტორიის და ძველი გმირების წარმოსახვა უნდა ვახდეს. უნდა აღორძინდეს ქართული ენა და მისი ძველთაძველი კულტურა. „თი საგანი და თი გზაც მისდა მისაღწევად. თი ჩისთვის უნდა მომზადდეს წვენი ემაწვილ-კაცობა“, — აღნიშნავდა ილია.

მაგრამ ეს როდია საქმარის დამონებული ხალხის აღორძინებისათვის. მარტო წარსულით გატაცება არ იკმარებს. არანაკლებ საჭიროა მოვართოთ აგრეთვე თანამედროვეობას, თავისუფ-

¹ ეურნალი „ივერია“, 1881 წლის მაისის ნომერი (შინური მიმოხილვა).

ლებსათვის მებრძოლი ხალხების მავალით და იმ გმირებს, რომლებიც თანამედროვეობამ შობა. ქართული საზოგადოებრივი აზრის ამ განწყობას შესანიშნავად გამოხატავდა ანტონ ფურცელაძე. იგი წერდა: „რაც შეეხება ხალხის ისტორიულ გამოჩენილი პირების ჩვენებას ამას თქმა არ უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ გასაჩხვრებლად, ვაშლიანობის მისაცემად და არა წინანდელ ცხოვრების აღსადგენად... იმისათვის კი არა, რომ წარსული გაუხადოთ ხალხს სანატრელად, მხოლოდ იმისათვის, რომ ამ პირების მავალით აღვიძებდეს ხალხში მშენობას და აძლევდეს ძალას, რომ გასწიოს ბრძოლა წარსულზედ უკეთესი მომავლის დასაშვარებლად. ამასთან ერთად საქირია თანამედროვე ხალხებიდანაც ვადავილოთ მავალით, „რომლებიც დღეს თვალწინ გვიდგანან და რომელთაგანაც ყოველდღე შეგვიძლიან ვადავილოთ ჯდეუ ეს მავალით“. ანტონ ფურცელაძე მიუთითებდა, რომ: „ჩვენი დიდი უფრადლება უნდა იყოს მიქცეული ახალი ცხოვრების გმირებზედ. დღევანდელი გმირები იბრძვიან იმ საქმისთვის, რომელიც ძველათ. თითქმის სიზმრათაუ არ სჩვენებათ: ესენი იბრძვიან უფრო აზრ-გამორკვევით, უფრო ცხადს მიხვით, უფრო საზოგადო ინტერესებით გატაცებულნი, უფრო ვრცელი პროგრამით, უფრო მკვიდრი მეცნიერული სწავლითა და გონებით შეკურვილნი, უფრო დიდი სახალხო საქმის და საბოლოოოსათვის. რაც შეეხება გმირულ გამბედაობას, ამაში ეხლანდელნი არ დეუარდებიან ძველთა. ავილოთ თუნდა ზოგიერთა ვერობის ხალხების დაწინაურებული საზოგადოების გმირები... ავილოთ ახლა უფრო ცნობილი გმირები: გ ა რ ი ბ ა ლ დ ი, რომლის ბადალს ვერას წარმოგივლდენს ძველი ისტორია“¹.

ვერობის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გამოცდილებისა და მეთოდების ქართულ სინამდვილეში დანერგვის საქმეს უდიდეს უფრადლებას აქცევდნენ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე ქართველი მოღვაწეები, ი. ჭავჭავაძე მიუთითებდა, რომ ახალი თაობა უნდა მომზადდეს „ბევრითი და ზედ-მიწევნილ ცოდნით, უნდა, რამდენდაც შესაძლოა, ძირითადად შეისწავლოს ევროპული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება და ამ თოფიარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს... ჩვენის მხრით ამაზედ უკეთესს საგანს, ამაზედ უკეთესს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილს და გამოყენებულს სხვას ვერას ვუჩვენებთ ჩვენს საიმედო უსწავილ-კაცობას“².

ამ მხრით იტალიის ხალხის ქვეშაირტად სსს-წაულებრივი წარმატებანი საშობლოს ვანთა-

ვისუფლებსათვის ბრძოლის საქმეში, ყველაზე საუკეთესო მავალით იყო ქართველთათვის — და ამდენად ის დიდი გამოხატულება იქცემებოდა გულწრფელი თანაგრძნობა რომლითაც, რისორჯიმეტრო საქართველოში სარგებლობდა, სრულებით არ იყო შემთხვევითი. ასევე ვასაგებია ის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა, რომლითაც საქართველოში სარგებლობდა იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირი ჯუზეპე გარიბალდი.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი, დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე პირდაპირ აღმერთებდა ჯუზეპე გარიბალდს. არის ცნობა, რომ ახალგაზრდა ილიას ვადაწვეტილი ჭქონდა იტალიაში ვაგზაურება და გარიბალდის რაზმში მოხალისედ ჩაწერა. ილია ჭავჭავაძის საშუაო კაბინეტს სამი პიროვნების პორტრეტი ამშვენებდა: შოთა რუსთაველი, ერეკლე მეორე და ჯუზეპე გარიბალდი. ამ ფაქტს თავისებური სიმბოლოები მნიშვნელობა ჭქონდა. შოთა რუსთაველი სიმბოლო იყო ქართული კულტურისა და პოეზიისა, ერეკლე მეორე — ერთ დროს ძლიერ, აწ კი დაკარგულ ქართულ სახელმწიფოებრივობისა, ჯუზეპე გარიბალდი — იმ გმირისა, რომელიც სამავალით უნდა გამხდარიყო ყველა იმ ქართველისთვის, რომელსაც საშობლოს გამოხსნა ჭქონდა განზრახული.

ილია ჭავჭავაძემ იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას 1860 წელს შესანიშნავი ლექსი — „შესმის, შესმის“ — მიუძღვნა. პოეტმა იხატა, რომ მონობის პორკილის მსხვერვეის ხმა, რომელიც იტალიაში გაისმა, მის საყვარელ საშულშიც გაეგონა.

ილია 1882 წელს გარიბალდის შესახებ წერდა: „განათლებულმა ვერობამ დიდი ხანია ჩვეულებად მიიღო ამისთანა კაცების მიმართ პატივისცემის და საყვარულის გამოცხადება საჯაროდ, საქვეყნოდ. ვის არ ახსოვს გარიბალდის სადღესასწაულო მსეულებობა იტალიაში, მინამ ცოცხალი იყო; ვის არ ახსოვს საქვეყნო ვიღოა იტალიისა, როცა იგი, დიდებული გმირი იტალიისა მიიქცა? 1886 წელს ილია ცვლავ დიდებით მოიხსენიებს ჯუზეპე გარიბალდის და მასთან ერთად ბენზო კაპილო კავერს, რომელთაგან, მისი აზრით, ერთი „იყო ჭკუა და მეორე — ხმალი იტალიისა“.

ილიასთან ერთად, ჯუზეპე გარიბალდის თითქმის ყველა ქართველი პროგრესული მოღვაწე დიდების შარავანდლით მოსადეა. გიორგი წერეთელი გარიბალდის ასე ახასიათებდა: „გამინდა დასავლეთით დიდი ეარსკვლავი, ძალიან მალე მატულობს მისი სხივი. გუშინ რომ ამ ვარსკვლავის სხივი ძლივს კიაფობდა, დღეს მოფარებუ უფრო ბევრს სინათლენ ვაფენს...“ გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი და გამა-

¹ უფრნალი „იმელი“, 1882 წ., № VII.

² „ივერია“, 1881 წ., მაისი.

ნათლებელი სერგეი შესხი გარიბალდის უღი-
დეს პატივს სცემდა. „ვის ამ გაუგონია გარი-
ბალდის სახელი! — წერდა იგი, — ესლანდელ
რომში მეორე ისეთი კაცი არ მოიძებნება,
რომელთაც იმდენს პატივს სცემდნენ, რამდენ-
საც გარიბალდის და რომელიც ყველას ისე
უყვარდეს, როგორც უყვართ გარიბალდი“¹.
საყმაწვილო ნახატებიანმა ერწანლა — „ჯე-
ჯილი“ ახალგაზრდა ქართველ მკითხველებს
გარიბალდი გააცნო, როგორც დიდი და შესა-
ინძავი ადამიანი: „გამოჩნდა კაცი, რომელმაც
დაქაქსელნი მამული შეაერთა, შექმნა ძლიერი
სახელმწიფო და სამშობლოცა და თავისი თანა-
მეგობრებზეც დაღუპვისა და გაქრობისაგან
იხსნა, ეს კაცი იყო ჯუზეპე გარიბალდი“². —
კვითხულობთ ერწანლაში. „ჯეჯილის“ მიხედ-
ვით, გარიბალდი „ადამიდა მამულისათვის,
იხანჯა მამულისათვის, შესწირა მას თავი, სა-
მაგიეროდ მამული იხსნა: ამისთანა პირით მთე-
ლი ქვეყნიერება ამპარტანოზს და სანამ დე-
დამიწის ზურგზე ერთი ადამიანიც იქნება ცო-
ცხალი, გარიბალდის სახელი უყვადეა იქნება“.
ერწანლა „საქართველოს კალენდარი“ გარი-
ბალდის შესახებ წერდა: „მისი საფლავი ნამდ-
ვილი სამლოცველოა დღეს იტალიის ერსათ-
ვის. მისი სახელი მოწიწებით და გულმხურვალე
მადლობით მოსახსენებელია იტალიელებისათ-
ვის, და მართლაც ათასობით მილიან დღეს იტა-
ლიელები მისი ნეშთის თავიანთს საცემად, მას
თანს ადგილას ათვენს იტალიელებმა ძეგლი“³.
იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი
მოძრაობისა და გარიბალდის ქართველ ხალხში
პოპულარიზაციის საქმეში მნიშვნელოვანი რო-
ლი შეასრულა ანტონ ფერცელაძემ. 1862 წელს,
ერწანლა „ციცქრის“ მეათე ნომერი ამცნობდა
ქართველ მკითხველს, რომ 1863 წლიდან ერწა-
ნალი დაიწებდა ჯუზეპე გარიბალდის ბიოგ-
რაფიის ბეჭდვას. ერწანალი ბოდიშს იხდიდა
მკითხველთა წინაშე: „ჩვენ დიდად დამნაშავე-
თა ვრაცხთ ჩუენს თავსა, რომ აქამდისინ არ
გვაცაინათ „ციცქრის“ მკითხველებს ეს გამოჩე-
ნილი და სამაგალითო თავისის კეთილშობილე-
ბით და უბრალო მოქმედებებით კაცო, ცნობილი
მთელს ხმელეთზედ...“
„ციცქრის“ 1862 წლის № 12-ში ანტონ ფერ-
ცელაძემ მოათავსა წერილი გარიბალდის შესა-
ხებ. წერილის აუცილებლობა გამოიჩინა შემ-
დგენმა გარემოებამ: საქართველოში მოვიდა
ცნობა ჯუზეპე გარიბალდის ასპრომონტრესთან
(1862 წ. 29/VIII) ვიქტორ ემანუელის ჯარებ-
თან ბრძოლაში დაქირს შესახებ. ამ ვერაკოპამ
მთელი პროგრესული კაცობრიობის სამართ-
ლიანი აღშფოთება გამოიწვია. საერთო აღშფო-

თებას ქართველმა ხალხმა შეუერთა თვისი
ხმა.

ციცქრის

როგორც ცნობილია, **ციცქრის** გადურჩა მძიმე კრილოზებს, სწორედ ეს სა-
სამიოვნო ფაქტი ახარა ქართველ მკითხველს
„ციცქრისში“. ამასთან ერთად, ანტონ ფერცელა-
ძე ელოკავს ქართველ მკითხველს რატაცის
სამინისტროს დაცემის ფაქტს. „რომელიც იყო
მიზეზი გარიბალდის საქმის გაერცელების დაბრ-
კოლებსა და მისი დაქრობისა“.

თანხმად დაპირებისა, ერწანლა „ციცქრის“
1863 წლის პირველ ნომერში იწვევს ჯუზეპე
გარიბალდის ბიოგრაფიის ბეჭდვას (ბიოგრა-
ფიის მიმდებნა „ციცქრის“ №№ 1, 2, 3, 4).
ბიოგრაფიის ავტორი ანტონ ფერცელაძე იყო.
ამავე ნომერში მოთავსებულია ანტონ ფერცე-
ლაძისავე ლექსი, მიმდენილი გარიბალდისადმი.
ლექსში, რომელიც ცენტრის მიერ პირდაპირ
„გამოშვებულია“, ივარძობა თუ რაოდენ ძვირ-
ფასია გარიბალდის სახელი ყველა ქართველი-
სათვის, რომელიც სამშობლოს თავისუფლები-
სათვის ბრძოლის სურვილითაა გაელენილი.
ანტონ ფერცელაძე, მისივე სიტყვებით რომ
ვთქვათ, ბიოგრაფიის საშუალებით ცდილობს
უჩვენოს ქართველ მკითხველს გარიბალდის
ცხოვრება, უჩვენოს ის, თუ „სადამდენ არის
მიღწეული გარიბალდის თავდადება საზოგადო
საქმისა და ქვეყნის სარგებლობისათვის, რომ-
ლისთვისაც ასე თავგანწირულია გარიბალდი
თავისი დღენი“.

ბიოგრაფია დაწერილია გარიბალდის, მძინი-
სა და სხვა რესპუბლიკელთა მიმართ სიმათო-
ით; გაიკეთებულია ყველა რეაქციული ძალა,
რომელიც რისორჯიმენტოს დიდი საქმის წინა-
აღმდეგ მოქმედებს. ასე, მაგალითად, გაიკეთ-
ულია ყველა ის, ვინც „ცდილობდა, რომ გარი-
ბალდი ეჩვენებინათ ქვეყნისათვის ავაზაკით და
ხალხის მძარცვათა“, სასტიკლად დაგმობილი
საფრანგეთის მაშინდელი მთავრობის პოლიტიკა.
ერწანლა, გენერალ უდინოს მიერ რომის რეს-
პუბლიკის ჩახშობა (1849). ა. ფერცელაძე
რაცეს გარიბალდელებს რეაქციული პრესის შე-
შობტვისაგან. იგი წერს: „ერთი სიტყვით, რომ-
ელია ვაზეთიც კი ცდილობდა გარიბალდის
გასერასა თითონ იმათ სიტყვებშივე იპოვი-
თ მათ სიმტყუნესა და ცოლის წამებას...“ შეწრა-
ლი კიციხავს ყველას, ვისაც არ ვყო გამოუდ-
ობა და ვაქცეა მამულისათვის ბრძოლის დიდ
საქმეს. ვინც ბოლომდე ერაგული დარჩა გარ-
იბალდისა და იტალიისა, „ისინი იყვნენ ვასაო-
ცებლათ თავდადებულნი ამ საზოგადო საქმი-
სათვის და ერთგულად ემსახურებოდნენ ამ
კეთილ საქმესა...“ ა. ფერცელაძე სასტიკად აკ-
რიტიკებს ანაოლონ III ორქოფულ, ვერაგულ
პოლიტიკას იტალიელთა მიმართ, რამაც 1859
წელს ვილაფრანკეს ცნობილ შეთანხმებაში
იჩინა თავი: „ვილაფრანკეს შერიგებამ მოსპო-

¹ „დროება“, 1875, № 19.
² „ჯეჯილი“, 1897, № 10.
³ „საქართველოს კალენდარი“, 1903 წ.

გარიბალდის მოქმედება. იმ დროს, როდესაც ისე იყო მარჯვე მოქმედებისათვის ვაცხოველებული... ამ შერიგებამ მოსპო ყოველი იმედი გარიბალდისა, შესახებ მრთელის იტალიის თავისუფლებისა და ერთიანობისა*.

მართალია, ფურცელამის ნარკვევს გარკვეული ნაკლავება გააჩნია (მოკარბებულადაა წარმოდგენილი ლეგენდები, რომლებიც მაშინ შეიქმნა გარიბალდის ირველი, ზოგი ფაქტი თუ განმარტება არაა ზუსტი), მაგრამ, თუ ვაითვალისწინებთ იმას, რომ იგი წარმოადგენს გარიბალდის ბიოგრაფიის დაწერის ერთ-ერთ პირველ ცდას (არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპაშიც), მაშინ ადვილი ვასაგებია მისი მნიშვნელობა.

ანტონ ფურცელამის გარდა, ჯრუზემ გარიბალდის ბიოგრაფია დაწერა სერჯეი მესხმა. ეს ბიოგრაფიული ნარკვევი დაიბეჭდა ვახუთ „დროებაში“ 1875 წ. (იხ. №№ 19, 20, 21). სერჯეი მესხმა გარიბალდის ბიოგრაფია დაწერა პარიზში. მის ზღუთ იყო ბევრი ახია და უფრო საინტერესო მასალა, რომლებიც გარიბალდის პირველ ქართველ ბიოგრაფს — ანტონ ფურცელამეს, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ გააჩნდა.

მოკლე, მაგრამ მეტად საინტერესო ბიოგრაფიული ნარკვევი გარიბალდის შესახებ მოათავსა ეურნალმა „კვალმა“ (1901 წ., № 12). უნდა აღინიშნოს, როგორც სასიამოვნო ფაქტი, რომ გარიბალდის „კვალისეული“ ბიოგრაფია დაწერილია საკმაო მეცნიერული სიღრმით. ბევრი ფაქტისა და მოვლენის ახსნა დამაჯერებელი და სწორია. გარიბალდის ბიოგრაფია დაიბეჭდა აგრეთვე ეურნალ „ნაქალაქში“ (იხ. „ნაქალაქი მოზრდილათვის“, 1905 წ., № 11). ბიოგრაფია ორიგინალური არაა, იგი თარგმნილია იტალიურიდან ვასო ლამბაშის მიერ. გარიბალდის ბიოგრაფია დაიბეჭდა საყმაწვილო ნახატებთან ეურნალ „ჯეჯილიში“ (1897 წ., № 10).

პოპულარობით სარგებლობდა საქართველოში ჯრუზემ მაძინის სახელი. მის შესახებ ქართული გაზეთები და ეურნალები (ვანაკეთრებით „დროება“, „ქრებელი“) საკმაოდ ბუერს წერდნენ. საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მაძინისა და გარიბალდის სახელები ყოველთვის ერთად მოიხსენიება ზოლებე; ვახუთმა „დროებაში“ 1872 წლის მეოთხებეტ ნომერში მოათავსა სერჯეი მესხის წერილი: „მაძინი (შემოკლებული ბიოგრაფია)“. აინც მაძინის თუთრ წერებმა, ვამხმარ პირის-სახეს და მშვენიერ თვლებს შეხედავდა, იმას უნებლეთ პატივისცემის გრწობა აღენათობდა გულში; და ვინც იმის წარსულ ცხოვრებასა და იმის მამულისათვის შრომასა და წვალებას გაიხსენებდა, იმას ამ პატივისცემის გრწობასთან თაყუანის-ცემის სურვილიც დაერთობოდა“, წერდა სერჯეი მესხი. მაძინი სერჯეი მესხის მიერ წარმოდგენი-

ლია, როგორც უდრევი რესპუბლიკელი დემოკრატი და სახალხო საქმისათვის დამებეჭდილი მამულიშვილი.

როგორც ვნახეთ, იტალიელ და ქართველ ხალხებს ურთიერთობის დიდი ტრადიციები აკავშირებს და, ბუნებრივია, იტალიის ეროვნულ გამათავისუფლებელ მოძრაობას — რისორჯიმენტოს, გამომსახილი უნდა ებოვა საქართველოში.

იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის რთული პერიპეტეების ახსნისა და გარკვევის საქმეში ქართული საზოგადოებრივი აზრი საკმაოდ მალად დონეზე იდგა. იმდროინდელ ქართულ პრესაში რისორჯიმენტოს მეტად რთული საკითხები ძირითადად სწორადა გაშუქებული. დამაჯერებელადაა წარმოდგენილი გარიბალდის, მაძინის, შეფისა და პაპის პოზიციები. ვანსაკუთრებთ საინტერესოა, რომ ქართული საზოგადოებრივი აზრი რისორჯიმენტოს წარმატებაში ძირითად მნიშვნელობას ხალხის აქტიურობას ანიჭებს.

რისორჯიმენტოს ისტორია — ესაა იტალიელი ხალხის ნაციონალური დამოუკიდებლობისა და იტალიის გაერთიანებისათვის ბრძოლის ისტორია. ფრიდრიხ ენგელსი მიუთითებდა, რომ „იტალია განათავისუფლებულ და გაერთიანებულ იქნა, მაგრამ არა ლეი-ნაპოლეონის ხრიკებით, არამედ რევოლუციით“¹. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია, როგორც ძველად, ისე ახლა, უგულვებელყოფს ხალხის როლს ამ დიდ საქმეში და ეთარებას ისე წარმოგვიდგენს, რომ ძირითადად გაერთიანება ზემოდან მოხდა, რომ იტალიის გაერთიანების საქმეში ძირითადი შაინც საგარეო ფაქტორი იყო. ვთქვათ, ინგლისისა, საფრანგეთისა და პრემონტის შეთანხმება უიცი-მის ომის დროს (მსგავს პოზიციებზე დგას, მსგავსოდა, ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი დებედერი) ან პრემონტ-საფრანგეთის 1859 წლის შეთანხმება (შეთანხმება კავერსა და ნაპოლენი III შორის) და სხვ.

საქართველოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწეებმა რისორჯიმენტო შეფასეს როგორც სახალხო-რევოლუციური მოძრაობა. „გარიბალდი, თანახმადა ხალხის სურვილისა (ხაზი ჩვენი — გ. კ.) თითქმის თავის დღენი იბრძვის იტალიის ერთობისა და კეთილდღეობისათვის. — წერდა ანტონ ფურცელამე, — რაც შეეხება იტალიის მთავრობას, მათ ამ უკანასკნელ დროებში გარიბალდი ვასცალეს ნაპოლეონის პოლიტიკაზე... ხალხი დარჩა გარიბალდისკენ, რადგან ზედავენ ამაში თავის შემწესა და ჯარები დარჩნენ მთავრობის

¹ Маркс и Энгельс. Соч. т. XVI, № 1, გვ. 461.

მხარესა¹, განაგრძობს ფერცელაძე. გარიბალდის წარმატებები რომ სახალხო რევოლუციური ენთუზიაზმის ნაყოფია, ეს კარგად ესმოდათ საქართველოში. რით განიარაღვა გარიბალდი, როგორ ამარცხებდა იგი შტრის დაცოლებით უფრო მრავალრიცხოვან რახშებს, ამხვე, მაგალითად, ევრნალი „ჯეჯილი“ ასე პასუხობს: „ეს ადვილი ასახსნელია, თუ მხედველობაში მივიღებთ მას, რომ შტრის ჯარს აბრძოლებდა მხოლოდ უფროსების ბრძანება, გარიბალდელეებს კი მამულის განუღმარებელი სიყვარული და თავისუფლების წყურვილი“² (ხაზი ზევია — გ. კ.).

ენობილია, რომ იტალიის გაერთიანება, დამყვებული „კეპოდანი“, დამთავრდა „ზემოდანი“ გაერთიანებით. ეს კარგად ესმით XIX საუკუნის საქართველოში. „ვიქტორ ემანუელი“ იმის (გარიბალდის) წყალობით არის იტალიის მეფე, — წერდა მესხი, — მან კი გარიბალდს იმით გადაუხადა, რომ ასპრომონტესთან დასჭრა და დააყვავა³. ამასვე მიუთითებს იონა მეუნარგია: „გარიბალდის წყალობით დაგვირგვინებულმა ვიქტორ-ემანუელმა თავის მისიკეთეს მავიერი იმით გარდაუხადა, რომ 1862 წელს ასპრომონტესთან იმით შეება და დასჭრა“⁴.

აქ, როგორც ვხედავთ, მხედველია იტალიის მეფისა და მისი მთავრობის ორკოფული პოლიტიკა. სახალხო-რევოლუციური აღტყინებით დამინებული მეფე, ყველაფერს აყვებებს იმისათვის, რათა შეაჩეროს სახალხო მოძრაობის აზვირთებული ტალღა, არ მისცეს ხალხსა და მის ბელადებს მოქმედების თავისუფლება, გამოიყენოს მათი წარმატებები. თვით მოიმკას განაგრძეებს ნაყოფი.

ქართული ევრნალი-გაზეთები აღნიშნავენ ამ ფაქტსაც, რომ გარიბალდმა, მართალია, გაერთიანებული იტალია „ძღუნად მიართვა“ ვიქტორ-ემანუელს, იგი მაინც ბოლომდე რესპუბლიკელი რჩებოდა. იმის შესახებ „საქართველოს კალენდარი“ ვკითხვლობთ: „თუმცა იტალიის გაერთიანების საქმეში გარიბალდი იტალიის მეფესთან ერთად იღწვოდა, მაგრამ ამავე დროს იგი თავის რწმენით იყო წმინდა რესპუბლიკანელიც და ეროვნულად განათვისუფლებასთან სპირიტულ სთვლიდა თავის სამშობლოს სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას“⁵.

იონა მეუნარგია წერდა, რომ გარიბალდი პოლომდე ერთგული დარჩა რესპუბლიკური იდეებისა: „გარიბალდის მოქმედებაში ბევრნი

ერთს შავს მხარეს ხედავენ, რომელიც ეთომც მის მნიშვნელობას ამცირებს, ბევრს — აყვირვებს, მაგალითად, გარიბალდისაგან, ერთის მხრით მაძინის დროშის ქვეშ ბრძოლა და მეორეს მხრით იმისგანვე ვიქტორ-ემანუელის მხარის დაჭერა და დამხარება. მაგრამ გარიბალდის არასოდეს, არც ერთ შემთხვევაში თავის ცხოვრების იდეალისათვის არ უღალატნია. მაძინის დროშის ქვეშ ის სამშობლოს თავისუფლების მოსაპოვებლად იბრძოდა — გარიბალდი ხშირად და მაძინი კალმით“. ვიქტორ-ემანუელს კი მხარს აძლევდა მხოლოდ იმტომ, რომ თავის სამშობლოს პატარა და განცალკევებული სახელმწიფოები ერთს მთელ იტალიად შეექმნა და თავისი დაუწყვარებელი ბრძოლით ეს მოახერხა კიდევ“¹.

გარიბალდისა და მაძინის მეტად საინტერესო პოლიტიკური დახასიათება მოცემული ვაზეთ „დროების“ 1872 წ. მეორე ნომრის პოლიტიკურ მიმოხილვაში: „თავიდანვე მაძინის სურვილი ის იყო, რომ ხალხის არეულობის შეშწიებით, წყრილწერილი იტალიის ხელმწიფეები გადაეყვებოდა ტახტიდან და აწაიარათ იტალიაში პირდაპირ რესპუბლიკა დაეწესებინა. გარიბალდი სულ სხვაანაირად ფიქრობდა. იმას უნდოდა ან ხალხისა და ან თვითონ ხარდინის კოროლის შეშწიებით ჯერ შეერთებინა ყველა იტალიის პატარა სამეფოები, დაეწესებინა იტალიაში ერთი სამეფო, რა შერე, იმის აზრით, რესპუბლიკის დარსებაც უფრო ვაადვილებული იქნებოდა... პირველი ნაწილი თავის სურვილისა გარიბალდმა უკვე შეასრულა. მთელი იტალია ახლა შეერთებულია, წაიღმანო მეფეები გადააყენეს ტახტებიდან და იტალიაში მფლობელებს ერთი მეფე — კოროლი ვიქტორ-ემანუელი. დარჩა აუსრულებლად მეორე ნაწილი გარიბალდის სურვილისა და თავდასაკი ნატვრა მაძინისა: იტალიაში რესპუბლიკის დაარსება. მაძინი პოლიტიკური (და არა სოციალური) რევოლუციონერი: იმის პასრით ხალხის ბედნიერებისათვის საქაროა, რომ... სახელმწიფოში პირველად მმართველობის ფარმა შეიკვალოს, რესპუბლიკა დამკვიდრდეს და შერე თვითონ ხალხი დაადგენს ისეთ კანონებს, რომელნიც დაიცავენ იმას კაბიტალისტების და სხვა წოდების პირების შევიწროებისაგან“.

ამ ამონაწერებიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მაღალ დონეზე მდგარა მაძინი ქართული საზოგადოებრივი აზრი.

როგორც ენობილია, რისორჯიმენტოს ირგვლივ არსებული ბერძენული ისტორიოგრაფია ამ მოძრაობას წარმოგიდგენს როგორც მხოლოდ ნაციონალურ და პოლიტიკურ მოძრაობას. მიჩქმალული ან სახეებით იგნორირებულია ეკონომიური და სოციალური ფაქტორ-

¹ „ცისკარი“, 1962 წ., № 10.

² „ჯეჯილი“, 1897 წ., № 10.

³ „დროება“, 1875 წ., № 19.

⁴ „დროება“, 1875 წ., № 21.

⁵ „საქართველოს კალენდარი“, 1903 წ.

¹ „დროება“, 1875 წ., № 21.

რები, რომელნიც რისორჯიმენტოა შინაარსსა და ხასიათს განახლებუავენ. იტალიელი ხალხი თურმე მხოლოდ ერთი მიზნისკენ მიისწრაფოდა, ეს იყო ქვეყნის ტერიტორიული და პოლიტიკური ერთიანობა, სულერთია, რა ვხით ან რა ფორმით განხორციელდებოდა იგი. იტალიის კომპარტიის დამაარსებელი ანტონიო გრამში ასეთი ისტორიკოსების შესახებ წერდა, რომ მათ ხელში „ისტორიის მთავარ მოქმედ პირებად ხდებოდნენ აბსტრაქტული მითოლოგიური პერსონაჟები... ფედერაცია, ერთიანობა, რევოლუცია, იტალია“.

XX საუკუნის დამდეგს საქართველოში უკვე შექმნა აზრი, რომ რისორჯიმენტოში ნაციონალური და სოციალური პრობლემების გადაჭრა ურთიერთ მჭიდრო კავშირში იყო. აი, რას წერდა ჟურნალი „კვალი“ (1901 წ., № 12): „მაშინ, როდესაც საფრანგეთის, გერმანიისა და ინგლისის პოლიტიკური მოღვაწენი მთელს თავის ძალსხმევს სამოქალაქო კითხვების გადაჭრას ანდომებენ, იტალიის მოღვაწენი — კი იძულებულნი იყვნენ სამოქალაქო კითხვასთან ნაციონალური კითხვაც შეერთებინათ და ორივე ერთად გადაეჭრათ...“

ცნობილია, რომ ჯერზევე ვარიზალების საზოგადოებრივი შეხედულებანი საქმაოდ ბევრ ხარვეზს შეიცავდნენ, ზოგჯერათი სოციალური ან პოლიტიკური პრობლემა მეტად ბუნდოვნად ქმონდა წარმოდგენილი, ზოგჯერ იგი იჩენდა გარკვეულ არათანმიმდევრობას. XIX ს. ქართული საზოგადოებრივი აზრი იმდენად იყო განვითარებული, რომ ცხადია, ამ ხარვეზების შემჩნევა შეეძლო. საქმე იმაშია, რომ ქართული საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელ არც თვლიდნენ საჭიროდ გამოეტანათ საჯაროდ ვარიზალების შეცდომები და ისინი კრიტიკის ობიექტად ვაგხადათ, რადგან საქართველოს ეროვნულ-ვამათიისუფლებელი მოძრაობის წინაშე მდგარი ამოცანები იმ პერიოდში საჭიროებდა არა ვარიზალების მოღვაწეობისათვის დამახასიათებელ შეცდომათა მხოლბას, არამედ ამ გვირის დადებითი თვისებების რაც შეიძლება ფართო პოპულარიზაციას.

1862 წლის 2 ივნისს ჯერზევე ვარიზალები ვარდაიცვალა. მთელი პროგრესული მსოფლიო შეპირწუნა ამ დიდი ადამიანის, „მსოფლიო პარტიოტის“ დაკარგვამ. გლოვის ზარი ქართველებმაც ჩამოკრეს. ვახუთმა „დროებამ“ 1862 წლის 25 მაისს (№ 105) ვარიზალების ვარდაცვალის შესახებ ცნობა და ვრცელი ნეკროლოგი მოათავსა. „დროებამ“ წერდა: „ყველა კაცურ-კაცისთვის, ყველა ნამდვილ მამულის-შვილისათვის, რომელსაც გონებით ესმის და რომელიც გულით ვრწმობს — თუ რა არის სამშობლოს სიყვარული, სამწუხარო შესაძრწე-

ნებელი ამბავი მოუტანა ტელეგრაფმა. ვარდაიცვალა კუნძულზე ვარდაიცვალა დიდებულნი სტეტი — ჯერზევე ვარიზალები“. „ბუნდოვნისის“ კაცურ, რომელსაც თავისი სიბერის დროს შეუძლიან სთქვას, ჩემს სამშობლოს ვეშახტრეო. ბედნიერია ის ვარი, რომელსაც ვარიზალებისთანა შეილი ებადება“ — აღნიშნავდა ვახუთი.

ვარიზალები მთელმა საქართველომ გამოიტორა. ქ. ვორის საზოგადოებამ სამშობლის დეკლარაცია გაგზავნა იტალიაში. დეკლარაცია ნათქვამი იყო:

„პატივისმცემლნი ხალხთა დიდებულ განმითავისუფლებელისა, ყველა დროების დიდ მოქალაქის ჯერზევე ვარიზალებისა... მთელ იტალიის ვრს ვუცხადებთ, რომ ამ კეთილ-შობილების გენიოსისა და ადამიანის უფლებებისათვის დაუღალავ მებრძოლის სიკვიდილმა იმგვარადვე შეგვაპირწუნა ჩვენ, როგორც შეპირწუნებულთა ამქამად მთელი კეთილშობილური იტალია“.

მეორე მსოფლიო ომის წლებში საქართველოსა და იტალიის ხალხების მეგობრობის ახალი ფურცელი დაიწერა. იტალიის ხალხი აღდგა გერმანიისა და იტალიის ფაშიზმის წინააღმდეგ, რითაც მან თავისი ქვეყნის ისტორიამაც კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა. იტალიის ხალხის ამ ბრძოლას მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანი თანაუგრძობდა და ბევრმა ბრძოლაში უშუალო მონაწილეობაც კი მიიღო.

ფაშისტური ტყვეობიდან თავდაღწეული ბევარი საბჭოთა მეომარი შეუერთდა იტალიის პარტიზანებს, რომლებიც ჯერზევე ვარიზალების სახელით იბრძოდნენ.

რუსებთან, უკრაინელებთან, ბელორუსებთან, სომხებთან, აზერბაიჯანელებთან, უზბეკებთან და საბჭოთა ხალხების სხვა წარმომადგენლებთან ერთად იტალიის პარტიზანულ მოძრაობაში ბევრი ქართველი მონაწილეობდა. იტალიაში ქართველთა გმირული ბრძოლის ისტორიის მიუძღვნენ გამოკვლევა — „ქართველი პარტიზანები ფაშისტებისაგან იტალიის განთავისუფლებისათვის (ბათუმი, 1958 წ.). იტალიაში 300-ზე მეტი ქართველი პარტიზანი მოქმედებდა. ბევრი მათგანი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე და იტალიის ხალხის საქმეს შესწირა თავი.

დღეს იტალიელი ხალხი, მსოფლიოს ყველა პროგრესულ ხალხთან ერთად, ერთგულად იბრძვის მშვიდობისათვის, პროგრესისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისათვის. საბჭოთა და იტალიელი ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა ამ დიდი საქმის წარმატების უდიდესი საწინააღმდეგობაა.

პახანს ბარიძე

თურქეთში*

საინტერესოდ, მხატვრული ტექნიკითა გაკეთებული საწაბრო, რომელსაც მთელ სიგრძეზე უზარმაზარი პალმების მწკრივი მისდევს (ეს ერთადერთი ადგილი იყო ჩვენს მარშრუტში, სადაც სტებროპოიკელი მცენარეულობა ვნახეთ). ქუჩა ნახევარი შერტის სიმაღლეზე არც კი იჭნება ზღვის დონიდან. ნაპირის ზანს დაბალი, სრულიად მარტივი, ბარიერი მისდევს. ასევე მარტივია ბარიერზე შედგმული დაბალი სვეტები ლამპიონებისათვის და ქუჩის მეორე მხარეს ჩამწკრივებული უფრო მაღალი სვეტები დღის შუქის ნათურებისათვის. ქუჩაზე ბეტონის დიდი კვადრატული ფილებია დაგებული. ზღვის მხარეს მდებარე ტროტუარს მთელ სიგრძეზე ტალღისებრი ნახატი აქვთხს: ბეტონითაა გამოყვანილი მონაცვლეობით ღია ფერისა და უფრო მუქი ტალღოვანი ზოლები, წინ რომ იყურებდი, მთელ ტროტუარი თითქოს მოძრაობს, ტალღასვით დელავს. კარგად მიგნებული „ვადანსვლა“ ზღვიდან ჰქვლავთხ. ერთი წუთით იჭნებოდა იგივეს დასაჯდეს, მაგრამ სწრაფად ეხვევი და გსიამოვნებს კიდევ.

სანაპიროს ხაზზევეა ნახევარწრიული შთავარი მოედანი ათათურქის ძეგლით. აქ ზღვის მხარეს ბარიერი სულ მოხსნილია. ათათურქი ცხენზე ზის და ხელი ზღვისკენ აქვს გაწედილი. ეს არაა მშვილობიანი ვესტი: წარწერაში, რომელიც ათათურქის ერთი მიწოდებთანაა ამოღებული, ნათქვამია: „არმია, შენი პირველი მიზანია ჰმელთაშეაზღვა. წინ ზღვისკენ“.

თვით ძეგლის ღირსებაზე რა ითქმის — ქანდაკება პატარაა კვარცხლბეკთან შედარებით. ცხენი კარგადაა გამოძერწილი, ადამიანის ფიგურა ნაყლებ საინტერესოა, დიდი პორეციფი კვარცხლბეკის წინა მხარეს (მებრძოლნი დროშისათვის ჭაღის მეთაურობით) — ქაოსური. იზმირში ათათურქის სტა ძეგლებიც ვნახეთ (ბიუსტები). მისი ძეგლი ყოველ ქალაქში დგას, ცხე-

ნოსანი თუ არა, ბიუსტი შინც. მისი სურათი-ყოველ დაწესებულებაში, ყოველ რესტორანსა და სასტუმროში, ყოველ ვიტრინაში. მაღაზიებში, მის ფოტო-სურათებთან ერთად, პატარა ბიუსტებიც იუიდება (ძალიან ცუდი). ქალაქებში უმთავრეს ქუჩას მისი სახელი ჰქვია. იზმირის ვარეუბანშია დაკრძალული დედამისი: საფლავზე ძალიან მარტივი და ნაშლევილად მონუმენტური ძეგლი დგას: შეკრებილი მცენარეების მშალერით გარშემორტყმული პატარა მრგვალი ბეჭანი და — მის შუაში კლდის პირამიდული ნაგლეჯი (მაგრამ ეს უბრალო კლდე კი არ ყოფილა, არამედ ის, რომელზედაც ათათურქი იდგა, როცა რომელიღაც შეტევის განკარგულება გასცა). დასასრულ, ანკარაში, თვით ათათურქის საფლავზე, დიდი არქიტექტურული ანსამბლია შექმნილი. ათათურქის — „თურქების შამის“ ელტი მტკიცედაა დანერგული...

სადამოს პორტის უბნისკენაც გავეყვით სანაპიროს. აქ დამახასიათებელი საჩივიებია — ასეთი სტა ქალაქებშიაც ვნახეთ. მამაკაცთა კლუბებივითაა: სხედან, სთებრობენ, ქალაღს თამაშობენ, გაზეთებს კითხულობენ, ჩიის სვამენ. ნარგილეებს აბოლუბენ. ზოგი შიგ დარბაზშია (ძალიან ღრმა, უბრალოდ გამართული დარბაზია, ქუჩისკენ სულ ღია), ზოგი ტროტუარზე გამოსულა. არავითარი ხმაური და მოძრაობა. აღმოსავლური გარინდება...

იქით — კაბარეები, ფრიალ ფრიგოლური ვიტრინებით (მეზღუარებს შორის სიარული რომ არ დაჰიროდეთ).. შემდეგ — ბანკების გაუთავებული მწკრივი: დიდი, სოლიდური სახლები.

დალაშქის შემდეგ ქუჩებში ძალიან ცოტაა ხალხი. ზოგ პრესკეტზე სულ არ იყო ადამიანის ქაქანება. სრული სიწყინავე. მხოლოდ სანაპიროზე ერთი სახლიდან ისმოდა მთვარელების დრინანელი... ჩერდებოდა მანქანები, ვადმოლოდნენ სავეჟო ყოფაქცევის ქალები და შეკვიფიანებული ვაყებია ისევ იმ „ნატოს“ შოსაშახურთა და ჯარისკაცთა კლუბი ყოფილა.

* ვაგრძელება. იხ. „ნათობი“ № 8.



ზმირიდან წამოსვლის დღეს მე და ლეო რჩეულიშვილმა, ვიდრე ერთად, დავათვალიერეთ არქეოლოგიური მუზეუმი, რომელიც ცენტრალურ პარკშია მოთავსებული. ექსპონატებისთვის ერთი მონადირე პეილიონია. ზოგი ვხოშვივა, მის წინ. აქ ბევრი რამაა ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულია — არქაული, კლასიკური და ელენისტური ხანისა და, მერე — რომაული. კერამიკა და სკულპტურა. ბევრი რამ — იზმირის თავდაპირველი ადგილის — ბაიარის — შესწავლის დროსაა მოპოვებული. ჩამოთვალს რა აზრი აქვს — აქ ზომკატალოგს ვერ ვაღმოიწერ. მაგრამ რამდენიმე კერამიკული ნივთი იყო, რომლის მსგავსიც ბევრი არაფერი მინახავს საერთოდ: ერთი მეცელამობერილი თიხის დოქა იღვა ვიტრინაში, ამ დორმისა, რომელსაც ჩვენს უძველეს კერამიკაშიც ხშირად შეხვდებით. ზედ, ღია ოქროს ფერ ფონზე, შავი და წითელი საღებავით შესრულებული ნახატები იყო: ცხოველების ფიგურები: ლომები, ტახები, ჯიხვები... ტექნიკური შესრულებით, მოხაზულობის სილამაზით, პროპორციის დახვეწილობით, ნახატის მეტყველებითა და რაფინირებულობით — ეს დოქა აუწერელი ხილამბისაა (I ათასწლეულის პირველი ნახევრით ათარიღებენ). იქვე არა ნაკლებ საოცარი თიხის ქანდაკება: შიშველი ქალღმერთი (ვენერა? იზტარი?); მერე — ჰალიკარნასში ნაპოვნი ბრინჯაოს დემეტრე, რომელი ხანის პირი ელინისტური დროის მონადირისა — რაღაცით პერგამონის ფიზიკის მონათესავე ბოლოს არტემისას, ეფესოს მთავარი ლეთაბის, მთლიანი ფიგურა: სიმბოლური მნიშვნელობის ატრიბუტებითა და სამკაულებით სავსე: მარტო ეს ერთი ფიგურა ამოუწერავი თემაა სხვადასხვა რწმენათა და რელიგიურ გადმოწამათა საკვლევა!

• •

სამი ანტიკური დღე: ეფესი, პერგამონი, პერგამონი.

ეფესის სახელთან უამრავი ისტორიული ფაქტი და ლეგენდა დავაშორებელი. ვაღმოვივით ქალაქი უკვე ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულია დაარსებული. აქ ძველთაგანვე გავრცელებული იყო ანატოლიური ლეთაბის — დმერთთა დედის — კულტი. უფრო გვიან ეს ქალღმერთი ანტიკურ არტემიდელ აქცეოდა. მეექვსე საუკუნეში ეფესი ზღუთ იგდო ლიდოსს მეფემ, თავისი ზღაპრული სიმდიდრით ცნობილმა, კრებულმა. მის დროს აშენდა არტემიდეს სახელგანთქმული ტაძარი, ძველი ქვეყნიერების ერთი შეიქ საოცრებათაგანი. ეს ტაძარი იყო, პეროსტრატემ რომ დაწვა 356 წელს, სწორედ ალექსანდრე მაკედონელის დაბადების დღეს. შემდეგ ქალაქმა ალექსანდრეს ბატონობაც გამოისცადა. მისი შემკვიდრებისაც, პერგამონისაც. ბოლოს

რომის ხელში გადავიდა, რომელი პროვინციის აზიის მთავარ პორტად იქცა, გაქვრდებულ ქვეყნად და დამშენდა. მისი სახელწოდება ქალაქის მის შემდეგაც კარგა ხანს ბრწყინავდა: ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, აქ სამ წელიწადს ცხოვრობდა და ქადაგებდა პაულ მოციქული, რომელსაც ეფესში პირველი ქრისტიანული თემი შეუქმნია, აქვე დაფუძნდა იოანე მახარებელს თავისი სახარება, აქ გაუტარებია ბოლო წლები და აქვე მიუძინა ქალწულ მართიამს, რომელიც ეფესშივე 431 წელს მოწვეულმა საეკლესიო კრებამ ღვთისმშობლად აღიარა. შეთავაზებებში ქალაქი დაქვეითდა. პირტი ამოწამა (ახლა ეფესი ოცივე კილომეტრით მაინცაა დაშორებული ზღვას), მალარია განდგა, ხალხი გაიკრიფა. შეათე საუკუნეში ძველი ქალაქი უკვე მიტოვებული იყო. ახალი მოსახლეობა ახლო-მახლო ბორცვებზე იკიდებდა ფეხს. XIV საუკუნეში, ერთი სულჯერო მთავრის დროს, ეფესი ოცბა წინთ კვლავ წამოიწია, მაგრამ წინანდელი მნიშვნელობა მას აღარ მოუპოვებია. დღეს ეფესის მახლობლად სოფელი სულჯურა მდებარეობს, თვით ძველი ქალაქი კი მხოლოდ არქეოლოგთა ყვლევა-ძიების საგანსადა შეადგენს. უკვე რამდენიმე ათეული წელია აქ აესტრელები აწარმოებენ გათხრებს. შემოაბა დიდი შეცნირული სიზუსტითა და კეთილსინდისიერებით წარმოებს (ეს ადვილი შესამჩნევია), მონაპოვარი — უმდიდრესია, მაგრამ გამოკვეყნებული ჯერ მცირე რამაა. ზოგი ძველი სულ რამდენიმე თვის გათხრული იყო, როცა ჩვენ იქ ვიყავით. ეფესის განაპირას ადრინდელი ქრისტიანული ხელოვნების დიდად მნიშვნელოვანი ძეგლი — იოანეს ბაზილიკა დგას. იქვეა სულჯურების დროინდელი დიდი მხეგითი და ზოგი სხვა შენობა. შიგ ქალაქში აქა-იქ ბერძნული და ქრისტიანობის პირველი ხანების ზოგი ნაშთიცაა, ბიზანტიური ეკლესიის ნანგრევები. მაგრამ ძირითადად ეს მიიწვ რომაული ხანის ქალაქია.

დღეს ქვეყნიერებაზე საოცრებათა რიცხვი დიდად აღემატება შედს. სულ სხვაა მთი ხალითი. მაგრამ ეფესი — იც ეს მკედარი, მიწიდან ამოღებული დანგრეული ეფესი — მიიწვ საოცრებაა.

ქალაქი მთავრობის იღვილას მდებარეობდა. გარშემო ბორცვებია, ქალაქის ქუჩები აღმადგომი მიდის, მხოლოდ დაბავლეთი ნაწილია ვერებ. შენობები ბევრგან დაქანებულ კალოებზე დგას. ახლა, აპრილში, იკატრობა მწვანედ მიბინებდა და ჩვენ რამდენიმე საათის განმავლობაში დახვეტალობდით ამ მწვანე ბორცვებს შორის თვალისმომკრელად მოეღვაერე მარმარილოს ქალაქში. ქუჩები, რომლებიც კილომეტრებით ვრცელდება, ერთიანად დიდი სწორკუთხა ფილანთაა მოკებული, ისე როგორც

ჩვენი ქალაქების ტროტუარები. მიყვები ამ ქუჩებს და ერთი მეორის მიყოლებით გზავდა გინასიონი, ოღონი, ბუღეცტერიონი, მოხუცებულთა თავშესაფარი, აბანო, აღრიანეს ტაძარი, სერაპისის ტაძარი, ბიბლიოთეკა, შადრევნები, კიდევ თეატრი, აგორა, მალაჩები, საროსკიპოც კი. ცოცხალი ქალაქის ცხოვრების ყველა მხარეა წარმოდგენილი! შემდეგ იწყება იმპერატორ არკადის დროს აგებული ფართო ქუჩა, რომელზეც ძველი პორტისკენ მიემართებოდა: ორსველ მხარეს მას კოლონადა მისდევდა და ყოველ სვეტზე ჩირაღდანი იყო მიმაგრებული... და ყველაფერი ეს — ქუჩის ფენილიც, მრავალი ასეული მეტრის სიგრძის კოლონადებიც, ტაძრებიც, თეატრებიც, ყველა შენობა, ყველა ეს უპირავე ფრაგმენტი ქანდაკებისა, სვეტისა, სვეტისთავებისა, — ყველაფერი თეთრი მარმარილოსია (ეს მარმარილო — სუფთა, უძარღვო, დროთა განმავლობაში სილოს ძვალეით შეუვითლებული — პროკონეზიდან მოქონდათ გაღვრებით: პროკონეზი მარმარილოს ზღვის პატარა კუნძულია. ახლა მას მარმარა ჰქვია და თვით ზღვის სახელიც მისგანაა წარმომდგარი). შთაბეჭდილებას ტოვებს, ცხადია, არა მარტო მარმარილოს ფაქტასტიკური რაოდენობა და სილამაზე. აქ, როცა ადგილზევე ხედავ შენობებს, გრძობ ბუროთმომპღვრელი ფორმისა და საშენი მასალის სრულ თანხმობას. სიტყვიერად ეს ძნელი ვაღმოსაცემია: ისე როგორც ძველი ქართული ბუროთმომპღვრება მხოლოდ ქვისა შეიძლება ყოფილიყო, ამ ანტიკური პროფილებისა და ორდერებისათვისაც მარმარილო იყო ორგანული.

იქ რამდენიმე შენობა განსაკუთრებით აღშებულა მესსიერებში: ჯერ ოღონი — მცირე თეატრი 1500 მაყურებლისთვის. ბორცვის კალთაზე; ქვემო საფეხურები მთლიანადაა გადარჩენილი, ზემოთ — ნაწილობრივ, სკენეს კედლებისა ნაწილი-და დგას, მის წინ, ქუჩის მხარეს, ეტყობა, სვეტებიანი ვალერია იყო... აქ ისეთი მყუდროებაა, თვით შენობა ისეთი ინტერიერი და „თბილა“, რომ, როცა მარმარილოს საფეხურზე მოეთავსდით, წამოსვლა აღარ გვინდოდა არავის. სულ ზემოთ ჰრედალ ჩამოვლი გულხის გოგონები ისხდნენ და ინტერესით გვეყურებდნენ.

მერე — დიდი თეატრი I—II საუკუნისა. შორიდან, როცა მთის ფერდზე მისი გვერდის ფსადაი ჩნდება, ცოცხლების ნაშენი გვეგონება. ისეთი მშაღარი წყობაა. ორქვისტრას იატაკზე რომ დგახარ, თითქოს სამი მხრიდან მთებში ხარ გარშემორტყმული, ისე შალადა ამფითეატრი: 66 რიგა და 24500 მაყურებელი ეტეოდა... ოღონიშაი, აქაც მეორე დღეს პეერაპოლისში, მესამე დღეს პერგამონში, ადვილი შესაძლებელი იყო აქსტიკური ღირსებები: ჩვეულებ-

რები ხშირ ლაპარაკიც კი ვარკვევით ესმოდა სულ ბოლო რიგებში...

გერკენესული

აი ამ თეატრებში კი მოიღებინეს ვერცხვები! კეორმა და ეროსი მანჯვალაძემ! ხან სკენესკენ ჩაირბენდნენ, ხან ამფითეატრს თავში მოეჭკეოდნენ, ზოგჯერ ხმისაც სინჯავდნენ, მაგრამ მონოლოგი მაინც არსად არ წარმოთქვებს, თუმცა ყველა ამას თხოვდა მათ...

ადრიაეს მშვენიერი მინიატურული ტაძარი: ოთხსვეტიანი ფსადაი აღუდგენიათ დარჩენილი ფრაგმენტებით (ეფესში იმდენი ფრაგმენტია მოპოვებული, რომ შენობების აღსადგენად ხშირად მცირე დამატება კმარა). ორი შუა სვეტი ბერონისაა, ახალი, საერთო კომპოზიციის გვიანი რომაული არქიტექტურის დამახასიათებელია, ასე რომ გამოვირდა კიდევ, ადრიაეს ხანას რომ აკეთებდნენ: არქიტრავის ხაზში შუაში ჩართული თალი (ეს ის კომპოზიციისაა, რომელიც აღორძინების ხანის დიდმა ბუროთმომპღვრამ ბრუნულესკომ გააცოცხლა პაეის კაბულის ფსადელი).

აგორა, ქალაქის მოედანი — ვადრატი 111 X 111 მეტრზე. დიდი კამაროვანი დუქნების შწყობი, დაუშუშავებული შერჩეული კვით ნაწყობი. აღმათ, წინათ ეს კედლებიც მოპირკეთებული იყო. ავესტოსდროინდელი ლათინური წარწერები. აგორადაწვე — საზეიმო შესასვლელი ვინმე ელესისის მიერ ჩ. წ. 135 წელს აგებულ ბიბლიოთეკაში. ქვემოთ საკითხველო დარბაზი იყო, ზემო სართულში ხელნაწერთასაკაცი, ფსადზე — ორსართულიანი პორტიკი. ეს რომაული საერო ნაგებობათა ერთი საუკეთესო ნიმუშიათაგანია. ქვაზე ამოკარული ზოგი ნიშნის მიხედვით მიაჩნიათ, რომ მის მშენებლობაში ქრისტიანი მონებიც მონაწილეობდნენ და ებრაელებიც. აგორაზე ახლა პატარა სასადილოა. აქ დენაიტურის ქვეშ ვსაუბრობთ, ანტიკური ქანდაკებებით, კედლებითა და ბერძნულ-რომაული წარწერებით გარშემორტყმული.

რა თქმა უნდა, მუზეუმი ასეთ შთაბეჭდილებას ვერასოდეს ვერ დატოვებს, ანტიკური სკულპტურის როგორი შედევრებიც არ უნდა იყოს თავმოყრილი. ძველები უნდა ნახო აქ, თავის ბუნებრივ წიაღში, იმ ადვილას, სადაც და რომლისთვისაც შეიქმნა, სადაც ცოცხლობდა. მაშინ იგრძნობ შექმნილის ნამდვილ მასშტაბს, საუკუნეებით შეშუშავებული კულტურის სიღრმესა და ორგანულობას, კლასიკური ფორმების კუმშირატ პარპონიელობას. რომის სამშენებლო გაქანება იმ დროისთვის მართლაც უსაზღვრო იყო, თუკი აქ, იმპერიის შორეულ კუთხში. ასეთი რამ იქმნებოდა. ეფესს ვარდა, ხომ ასობოდა სხვა დიდი ცენტრიც არსებობდა, არსებობდა პალმირა, ბაალბეკი... უფრო ღრმად თუ წავალთ, საკუთრივ ბერძნულსა და ელინისტურ

ქალაქებსაც თუ დაეუბნებოდათ, თავბრუდამბვევით სიმდიდრე გრავდება!

ეფესიდან სოფელ სელჯუკის გამოვლით დაებრუნდით. მის მახლობლად ერთი დაცემული ადგილია, გზის ქვეშით, დაკაობებული. ჭაობში რამდენიმე დიდი სვეტის ფრაგმენტი ჩანს. ეს-ღა დარჩა არტემიდის ტაძრის შენობისაგან. სოფელში არქეოლოგიური მუზეუმიც: ერთი მოზრდილი ფარდული და ეზო. ეფესში მოპოვებული სველბრტყეზია სულ, ელინისტური და რომაული. მსოფლიოს ყოველი დიდი მუზეუმში თავს მოიწონებდა იმის ნახეარიც რომ ჰქონდეს ანტიკური ძეგლებისა, რაც მხოლოდ სოფელ სელჯუკის მუზეუმშია.



შეორე დღეს — პიერაპოლისისკენ. გზად, ხეყვით, რომაული აქედუქო თეთრი მარმარილოსი. მშვენიერი წყობა, მარტივი, კეთილშობილი პროფილები. შერე — ქალაქი აიღინი, ძველი ტრალესი — აია-სოფლის ერთ-ერთი ავტორის ანთემიოსის სამშობლო. აქედან არც ისე შორსაა სახელგანთქმული ელინისტური ცენტრები — მილიტი, პალიკარნასი, პრიენა.

პიერაპოლისი — „წმინდა ქალაქი“, ძველ ბერძნულ სამყაროში დიდად ცნობილი თავისი მინერალური სამკურნალო წყლებით და თავისი პითითი. დღესაცაა დარჩენილი ის აუზი, სადაც პითის წმინდა სამღებები იდგა. ახლაც ამოდის წყალი და ვახი — ნახშირორგანოვანი, რომლის ზანგრილივე შესუნთქვაც აბრუნებდა პითისს. ძველებს მიაჩნდათ, რომ ამ აუზიდან მიწისქვეშა გზა პლუტონის სამეფოში მიდიოდა.

დღეს ამ მიტოვებულ ქალაქს, რომელიც მაღალ შიშველ პლატოზე მდებარეობს იზიაროდან დაახლ. 250 კმ. მანძილზე სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჰამუკალე, ანუ ბამბის ციხე ეწოდება.

სრულიად უჩვეულო სანახაობაა: ამ პლატოს წინა პირი, ფერდი, რომელიც გზისკენაა მიმართული, უზარმაზარ გაყინულ ჩანჩქერს ვაეს: რძისფერი ტალღოვანი კასკადი საფეხებრებად მოედინება ზემოდან ქვემოთ, მაგრამ კასკადი გაქავეებული და უძრავია. მხოლოდ აქა-იქ მარკრაკებს „ნამდვილი“ ცოცხალი წყალი, აქა-იქ წყალი საფეხებრებშიც ჩამდგარა ტბორებვად. ზემოდან დიდი სიერცე იშლება: ქვემოთ — თვალწიფენი ველებია და მათ გადაღმა — თოვლიანი ქედი...

პლატოზე მთელი ცხოვრება კვლავ ბუნებრივ ცხელ მინერალურ წყაროებთანაა დაკავშირებული, შემოდობილი ადგილი; შუაში — აუზი, ნაბირას — რესტორანი.

არავითარი მოსახლეობა. ტრიალ, უმცენარო ზეგანზე გაფანტული გრანდიოზული ნანგრევები:

ბი: რომაული თერმებისა, ყახარმისა... უძრავი ძველი ბერძნული აკადამა (ზოგჯერ კლასიკური ხანისა) კი), კონსტანტინეს დროინდელი კლასიკური ბაზილიკა ფილოპოსი და იაკობისა — გიგანტური ნანგრევი, ნამდვილი „რომაული“ მისშტაბისა... და ვეულისის დომინანტი — ძველი ბერძნული თეატრი. მარმარილოს ამფითეატრი, მრავალი ათასი ადგილი, საპატიო ლოჯა... პროსკენიონი და სკენე — რომაული ხანისა — ქარვისფერი ძლიერი ნასვეტოვანი ტრავერტინით ნაშენი. მშვენიერი ფერია, თვალი ვერ მოეწყვიტე, მაგრამ ეს კვლევები სულ მარმარილოთი იყო მოპირკეთებული თავის დროზე. აქაც ციკლოპური მისშტაბებია: სკენეს პორტალის მოჩუქრობებული, პროფილიანი ჩარჩოები, სხვა უზარმაზარი ფრაგმენტები. სიდიდისა და „ძალის“ სიყვარული მაინც წმინდა რომაულია (და აღმოსავლური), და არა ბერძნული...

დრო აღარ გვჭონდა, რომ აკადამები რიგიანად დაგვეუბნაოთ: ერთი ციკქნა შენობებია და ყოველი მათგანი — პროპორციით, დამუშავებით — მხატვრული დონის ძალიან დიდ სიმაღლეზე მებრუნებულს...



უკან რომ ვბრუნდებოდით, გზად ერთ დაბაში გავიარეთ, ატ-ჩა ერჭვა, აღმინისტრაციული ერთეულის ცენტრი იყო. დაბის შუაგული კარგად ჰქონდათ მოვლილი: პატარა მრგვალი მოედანი პარკით; გარშემო — მოსახლეობის ქუჩა ახალი კოტეჯებით. შემოგვეხვია ხალხი. მოვიდა ხელისუფლების წარმომადგენელი. არც უკითხავს, ვინა ვართ, მიგვიპატივა — ჩაი მიიროთვით, ეისაუბროთ, ჩვენი სოფლის ამბავს გეტყვითო. დრო აღარ გვჭონდა, მაღლობა ეუთხარით, გამოვემშვიდობეთ. ავტობუსში რომ ჩავსებდით — ტაში დაუქრეს, მეგობრულად გამოგვიცილეს...



პერგამონში ჩვენთვის მოულოდნელი იმდენი არაფერი იყო, რამდენიც ეფესში. ერთ-ერთი ელინისტური სახელმწიფოს ოდესღაც მდიდარი და ბრწყინვალე დეაქაქაქი უკვე კარგა ხანია ლიტერატურაში ცნობილია: იგი კარგა ხანია გათხარეს და... გაძარცვეს კიდევ.

აქ მარმარილოს ელვარება თვალს არ გჭრის. არც ქანდაკებების ფრაგმენტებია მრავლად. ყველაფერი წაიღეს. წაიღეს პერგამონის უმთავრესი სიმდიდრეც: ზევსის საქვეყნოდ სახელმძღვანელო სამსხვერპლო თავისი გიგანტური ფრინოზურთ, რომელიც მისშტაბით თითქმის

ვერადღერს აღმატება, რაც ანტიკურ სამყაროს ქანდაკების დარგში შეუქმნია. ახლა მთელი ეს სამსხვერპლო ბერლინის მეზუემშია.

აერობოლისი მაღალ მთაზეა. ჩვენ მის უმაღლეს ბაქანზე ვდგავართ და სივრცეს ვაფურებთ: პერსიკი დაახლოებით ისეთია, საფურამოში რომ ჩანს ილიის სახლიდან. მხოლოდ ბერად უფრო ვრცელი. აქვე, ჩვენ ქვემოთ, სწორედ იმ ზეცის სამსხვერპლოს ნაკედეგია... ძლივს-ღა აჩნია რაღაც საფეხურები. შიგ ბუნებები და ხეებია ამოსული, ძალი დარბის. მეორე მხარეს — თეატრის რიგები ვშვება ციკაო კალთაზე და თეატრის საღაღე ღრმადია, ძალიან შორს. თეატრის მყურებელიც ხედავდა ამ თვალწინდენ სივრცეს, რომელსაც ჩვენ ვხედავთ. აქით, ზემოთ ბიბლიოთეკის ნანგრევია: აქ რამდენიმე ასეული ათასი ხელნაწერი იყო. აქვე, პერგამონში, გამოიგონეს ახალი მასალა ხელნაწერებისთვის, როცა ეგვიპტიდან პაპირუსის მიღება შეწყდა. ამ ახალ მასალას პერგამენტის სახელით იცნობს ქვეყანა.

ციცხლად რომ შეგვექმნოს ამ ქალაქის წარმოდგენა! მაყურებლებით სავსე თეატრი, ღვთისმსახურება ზეცის სამსხვერპლოსთან, სიბრძნის მოყვარულნი ბიბლიოთეკაში, ხალხი სვეტებიან ქუჩებში...

ბერად უკეთესად და ცუდესად ასკლებიერონის კომპლექსი, რომელიც ქვემოთ, მთის ძირში მდებარეობს: ეს ანტიკური ეპოქის ერთი უმათარესი ბალნეოლოგიურ-სამკურნალო ცენტრთაგანი იყო. ეს არც ისე დიდი ხნის გათხრილია და ნაკლებად ცნობილი. მსივეური მრგვალი შენობა ტრეუსფოროსი — ტიარის, განაზანსა და მურხანლოსის ადგილიც. დიდი ცენტრალური ეზო, რომლის გაყოფებით დღესაც დგას პორტიკის სვეტები. აქვე — დონოსოს თეატრი ხუთი ათასი მაყურებლისთვის (ვიორტი და ეროსი ნეტარებენ — უკვე ხუთი ანტიკური თეატრი ნახეს!).

შიგ ახლანდელ ქალაქში, რომელსაც ბერგამა ჰქვია, მე და ლეო, კვლავ ვიღვანე ერთად, მეორე დღით, უფროსი, კიდევ ერთი ძველი ვნახეთ: „ბაზილიკა“. ოდესღაც რომელი სისამართლო, შემდეგ — ქრისტიანული ეკლესია. ახლა აგურის კედლები დგას. წინათ მარმარილოს პერანგე ჰქონდა. კედლების სისქე მაშინ ორ მეტრამდე იქნებოდა. შესასვლელი — ზღურბლის ქვა: მარმარილოს ბლოკი, სივანით ორ მეტრამდე, სივრცით — ექვსი-შვიდი! კამარები ჩამოქცეულია, მაგრამ ასე დანგრეულიც მოქმედობს მაყურებელზე. ყოველი ახალი ანტიკური ძეგლი ახალი ძალით შავრძნობინებს ელნისტრები და რომული მშენებლობის მასშტაბს. და თუ ვისმე ჰქონდა მინერვეტალობის ვრძნობა — იმ ოსტატებს ჰქონდათ!


თვით დღევანდელი ბერგამა: თელავის ან

ახალციხის ოდენა თუა, იქნებ უფრო პატარა. ძველ უბნებში — დუნები და კახელონდები, როგორც ძველი თბილისის, ან უფროსი, კრიგები“ იყო. მუნები ისეთი ვიწრო, რომ ჩვენს ავტობუსი ძლივს გაეცია. ძალიან ბევრია ისეთი სისივე, იზმირში რომ ვნახეთ. არის სავსებით ევროპული კაფეებიც. ჩვენ ერთ ასეთ კაფე-რესტორანში ვვახშობდით, ღია ცის ქვეშ. ბევრი სხვა ხალხიც იყო, უმეტესად ახალგაზრდობა. ისლენი და ხმადაბლა საუბრობდნენ, არც იქ, არც ქუჩაში ხმაური არ გავიგონია.

აქაც ბევრია ძველებური საცხოვრებელი სახლი პოლიგამიის დროისა. მაგრამ ვეღარ ახლად-ამუნებულ სახლს სავსებით თანამედროვე იერს აქვს.

7

ბერგამიდან დილის ცხრა საათზე ვაველით ბურსისკენ და ათიორე საათი დავეყავით გზაში. იზმირის ვარშეში და იზმირიდან ბურსამდე მოგზაურობით თურქეთის დასავლეთ ზღვისპირეთის ბუნება კარგად გავიცანით. ჩვენი თავი საქართველოში, უფრო კი ქართლში, გვეგონა: დიდი დამუშავებული ველები, მოშორებით — ბუნქნართი დაფარული მთა-გორები, პორიზონტზე — მთავრებიც, ფერებიც კი მსგავსია. მაგრამ აქ დიდი ადგილი უჭირავს ღვთის ბაღებს და ასეული კილომეტრების მანძილზე ერთმანეთს მისდევს ზეთისხილის პლანტაციები — ნამდვილი ტყეები, რომლებიც ხშირად მთის კალთებზეა შეფენილი (ღვთის ხარი და ზეთისხილი უმათარესი სავსეპორტო საქონელთაგანია). ვენახებიც ვნახეთ. მაგრამ ვაზი აქ ბუნებრივად იზრდება. ათავლიყდან ბურსისკენ რომ მივდიოდით, ფიჭვის ტუთი დაფარული მთები გადავიარეთ. ბურსიდან ანკარისკენ რომ მივდივარ, ე. ი. ცენტრალური ანატოლიისკენ რომ იზამ პირს, ბუნება იცვლება. ჯერ ისევ მუწანე ველებია, მაგრამ ზეთისხილი და ღვთის აღარაა. ჩნდება ატმის ბაღები, რომლებიც ილივის ხეებიდანა დაიცილი ქარისაგან (ზოგან ალესხეები ოთხმხრივ ფარგლავს ნაკვეთს ღვთისხილით) — მერე მთაში შედისარ. მცენარეულობა მტკნავა. ჯავახეთს გავს. ანკარას რომ უახლოვდები — უღამნოსავითაა გადახრეული. ძალიან ღამაზია ეგვიოსის ზღვის სანაპირო: ჯერ თვით ზღვის ფერი — კრალია ღურჯი — გზობლავე, მერე — კუნძულების სიმრავლე. ერთი რამ გხვდება თვალში, საქართველოს ბუნებასთან დიდად განმასხვავებელი: მდინარეები ნაკლებ ჩანს. ჩვენში ხომ თითქმის ყველა გზა ხეობაშია. მდინარის გაყოფებით: მდინარე გზაზე მდგომი კაცის მუღმევი თანამგზავრი. თურქეთში რამდენსამე ადგილს კი გადაეკეთეთ მდინარე, მაგრამ ბუნების სავრთში მდინარეები ნაკ-



ლებ როლს თამაშობდა, „მეორე პლანზე“ იყო. მხოლოდ ბოლო მოგზაურობის დროს — ანკარის სტამბოლისკენ — როცა კიდევ მოგვიბდა ტყიანი მთა-გორების გადალახვა (ხოგჯერ დავით კაკაბაძის იმერეთს ვაძლავ), მდინარეს მივყვებოდით. ამოდენა გზაზე თითქმის არც ერთი წყარო არ შეგვხვებოდა. თურქეთში, ეტყობა, საერთოდ სასმელი წყლის ნაკლებობაა (ყველა რესტორანში, სადაც ვიყავით, სასმელი წყალი საგანგებოდ მოჰქონდათ პატარა პოთლებით. ოქსანის წყალი არ დაიდევია).

მთელი ჩვენი მოგზაურობის დროს მხოლოდ ერთხელ დავინახე ერთადერთი ტრაქტორი, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია ძალიან ჩამორჩენილია. მიწას გუთნითა და ხის კავით ხნავენ. მაგრამ შრომას დიდს ალყვენ და მიწა ყველგან კარგი დაუმუშავებელია, ბაღებიც მშენებია მოვლილი.

სოფლის სახლები სხვადასხვა კეთებში, ცხადია, განსხვავებულია, მაგრამ ორი უმთავრესი ტიპი შევნიშნეთ: ა) ჩაყეტარეზიანი, ერთსართულიანი სახლი, მაღალი ვალანით, რომელიც ხიშაღლით თითქმის სახლს უსწორდება. გარე სამყაროსთან კავშირი მხოლოდ ჭიშკრით შეარდება. ბ) ღია სახლი, უმეტესად ორსართულიანი, აივნით, ან ვალერით. ძალიან ხშირია ხე-აგურის კედლები: ბევრგან დავინახეთ დაწვეებული სახლი: ჯერ მხოლოდ ხის ჩონჩხი იდგა, შეეუწებლად.

დასავლეთი რაიონების სოფლებში მშენებლობა უფრო თვალსაჩინო იყო. ზოგან ახლებური კოტეჯებიც შენდებოდა. ცენტრალურ ანატოლიის ტრადიციული და საყმაღობო მწირი შესახედავი შენობებია, აღიზთ ნაშენი. ახალი სახლი უფრო იშვიათია.

თ რა იყო ჩვენთვის უჩვეულო თურქეთის გზებზე: აქლემებს ქარავნები, რომლებიც პირველად ოზბეკების მახლობლად ენახეთ (კიდმა მითხრა — მომთაბარებს ეკუთვნისო, მამ თურქეთში მომთაბარე მოსახლეობაც ყოფილა?); და — ყარაყატების დიდი სიმრავლე: სახლის თავებზე მათი უზარმაზარი ბუდეები ჩანდა, მინდვრად არხებიდან დასეირნობდნენ გლეხების გვერდით; ბერგამის ზაზლიკაც ყარაყატებით იყო გაყვებული: კედლებზე იყვნენ თავმოყრილი და ნისკარტის ტყავებით აყრუებდნენ იჭაურობას. როგორც ჩანს, სავსებით შეჩვეული არიან ადამიანს, შინაურ ფრინველებით, მხოლოდ, ცხადია; მაინც ინარჩუნებენ „დამოუკიდებლობას“ და თავისუფლებას (ამ ყარაყატებზე ჩვენმა გიდმა უცნაური რამ მიაჩნო: ერთი სოფლის რაიონში თურმე ყოველწლიურად, დაახლოებით ერთსადამიანე დროს — აპრილში ან მაისში — ყარაყატებისა და არწივების ბრძოლა ხდება. ამასობაშით ფრინველი მიწაშიაღვობს, ეტეკტე ერთ-მანეთს. იბრძვიან რამდენიმე დღე, მთელი კეთ-

რა. სანამ ყარაყატები „ომობენ“, მათს ბარტყებს თურმე გლეხები ვეებავენ. ბუნებრივადვე უნდა არ აღხსნათ ეს მოვლენა, როგორცაც შორეული „ტრადიცია“ უნდა ჰქონდეს).

ბერსა. ოსმალთ თურქების სახელმწიფოსა და კულტურის აყვანი. ძველ თურქეთს პირველად აქ შევხვდით.

ბერსა ულუდაგის (მიზის ოლიმპოს) მთის ძირში მდებარეობს, თურქეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მარმარილოს ზღვის მახლობლად. სტამბოლიდან იგი სამხრეთითაა, პარდაიზი ხაზით ისიოდენ კილომეტრის მანძილზე. მისი უბნების ერთი ნაწილი ისეთ ციკაბო ფერდზეა გაშენებული, რომ ჭიათურაში შეგონა თავი. მაგრამ მეორე მხარეს ფართოდ გამოილი ველი (ისევე შორეული მთები პორნოზონტზე) და ქალაქის ნაწილი აქაა. ამ მხარეს ძალიან ბევრია მცენარეულობა, ჩვენი სასტუმროდან ჩანს მწვანეში ჩაფლული, ერთმანეთს დამორებული, სახლები, ქორფა ბაღებით დაფარული მიწა, უამრავი ალვის ხე.

თეთრ ჩვენი სასტუმრო — ჩელიკ-ოტელი — ქალაქის შესასვლელშივეა, გზის პირას. მის წინ ფართო ტერასები საფეხურებად ჩადის ქუჩისკენ. პოლები კარგი გემოვნებითაა მორთული, ნომრები ფართოა, სინათლიანი. აბაზანაში ბუნებრივი ცხელი მინერალური წყალი მოდის. ბერსა ცნობილია ამ წყლებით. ჭვემით, ჩვენი სასტუმროს მახლობლად, დიდი ძველი აბანო (XIV საუკუნისა), ისეთი ნახვეარფერული გუმბათებით, როგორც წინათ ყარაღა ჩანდა თბილისში, აბანოების უბანში. შიგ წყლის ბუნებრივი ტემპერატურა 89° აღწევს და ზოგიერთ სააბაზანოში ისე ცხელა, ისეთი ორთქლია, რომ რამდენიმე წამი ვერ გაძძელით (თუმცა თვით პაციენტები არხეინად გრძობდნენ თავს).

ქალაქში ბევრი ახალი ფართო ქუჩაა გაუყვანილი, ახალი სახლიც ბევრია (კოტეჯები, საჭმიანი დაწესებულებების შენობები), მაგრამ ახალი უბნების ყოველ კუნძულშიაც გხვდება „ისტორია“ — მთელი ზეორომომღვრული ანსამბლები, ცალკეული შენობები და ნანგრევები — მიხვითები, ტურბეები, მედრესეები, ქარავან-ლები, აბანოები.

აქაა ოსმალთა სახელმწიფოს დამაარსებლის ოსმანისა და პირველი სულთნების საფლავები, აქაა მათი ზეორომომღვრების ადრინდელი პერიოდის — XIV — XVI საუკუნეთა — უმნიშვნელოვანესი ძეგლები. ისლამური ქვეყნების ხელოვნებაში მორთულობას, ორნამენტაციას, დიდი ადგილი ეჭირა. დეკორატიულობა მათი ხელოვნების ერთი უმთავრეს თავისე-

ბერებთანაა. მაგრამ ბერის ძველები, როგორც ყოველი ხელოვნების ადრინდელი საფეხურის ძველები, ამ მხრივ უფრო ზომიერი და თავდაპირველია. მაგალითად, უღუ-ჯამი, ადრინდელი ხანის ყველაზე დიდი მიზებით (აგებულია 1379 წ.), გარედან სულ მარტივია: ესაა დიდი კუბური მასივი მორუხო-მოვარდისფრო შირიმის ფართო გლუვი კედლებით, უსამკაულოდ (ფასადები მთლიანად აღდგენილია რამდენიმე წლის წინათ). შიგნით — დიდი სივრცეა, ოცი გუმბათით. შუა გუმბათი უფრო დიდია (წინათ ახალი იყო: ამის ქვეშ აუზი და შადრევანია), მაგრამ მაინც ვერ „ბატონობს“: სივრცე კომპაქტური და შეკრული კი არაა, არამედ თითქოს უსასრულო, მსგავსი ნაწილების განმეორებით შედგენილი (აქაა თურქული ხელოვნების სახელგანთქმული ძეგლი — ვირტუოზულად შესრულებული ხის მორჩეპრთმებული მინარე). XV—XVI საუკუნეთა ძეგლებში — მექმედ ჩელების მავზოლეუმში, მწვანე მიზებით (1421 წ.), მურადეს მშვენიერ ანსამბლში, სადაც მიზითის გვერდით რამდენიმე მდიდრული მავზოლეუმი, უკვე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ფერს. მექმედ ჩელების მავზოლეუმში გარედანაც გასაოცრად ინტენსიური ზღვისფერი კერამიკული ფილებითაა მოპირკეთებული, მწვანე მიზითის მარმარილოს ფასადი აქვს, მურადეს მენობების ფასადები ქვისა და ავურის მონაცვლეობითაა ნაწყობი. ხუროთმოძღვრული ფორმები ნათელი და მკაცრია, მენობების ტექტონიკა დაფარული არაა (მურადეს ძეგლებში აშკარაა ბიზანტიური არქიტექტურის გავლენა). სამაგიეროდ, მთელი ფერადი ფაზანი ბრწყინვალეობა შიგნითაა გადამოილი: ჩვეულებრივ, კედლის ქვემო ნაწილები ფიანის ფილებითაა დაფარული: ღერჯი — ფერფხისფერი ოქროს ვარაუთი; ან — თეთრი ფონი ღერჯი-წითელი ყვავილებითა და მწვანე ფოთლებით. ტექნიკურად უველაფერი ძალიან დიდი ისტატობითაა შესრულებული, ფერადი ფაზანი შეფარდება ფაქიზი და მდიდარია. კედლების ზემო ნაწილებში თურადაა დაცოვებული, ხედ ზოლებად უხვი ორნამენტულია, მაგრამ ეს მორთულობა ერთიანად მაინც არ „ნთქავს“ კედლებს. კერამიკული ხალიჩისებრი ორნამენტაცია და წარწერები ფაჩავს საკუთრივ საფლავის ძეგლებს, რომელთაც სარკოფაგების შესახებდაა აქვს (ნამდვილად საფლავი იატაკქვეშაა, ეს ე. წ. „სენოტაფები“).

მიზითებში შესვლისას, ბუნებრივია, ფეხსაცმელს ვიხილდით და გარეთ ვტოვებდით. შიგნით მთელი იატაკი ხალიჩებითაა დაფარული. ზოგან ძალიან ძველი და ძალიან ლამაზი ხალიჩები იყო. მწვანე მიზითში ახალგაზრდა მეუძინე შეგვხვდა. ვკითხვინე, სხვა საქმე თუ აქვს რამე, მეუძინობის გარდა მეთქი. სხვა არაფერ

რიო. თანაც, ოთხი მუქიანი ყოფილა. შემოსავალი, აღბოთ, რივიანი აქვთ, საჭმელიც მარტონად, არაერთად.

მეზობლები

ძველებური საცხოვრებელი სახლები ბერსაში ბევრია დარჩენილი: ჩვეულებრივ, ფახურკის სახლებია: ვრცელებით, ე. ი. ჩონჩხი ხისაა, შეესება ავურისა, თეთრად შეღესილი. ღია აივანი არც აქაა არსად. ძველ თბილისურ სახლებს არც გავს და ვერც შეედრება. მაგრამ ამ სახლების ანსამბლი მაინც ლამაზია, თუნდაც ფერთი: ხის ჩონჩხი, კარსარკლების ჩარჩოები — გაშავებულია, კედლების შეღესილობას მოყვითალო-სპილოს ძვლის ფერი გადაკრავს.

მშვენიერია მდინარის ნაპირები. მდინარე სულ პატარაა, ჩვენი ღელეთა-ხევის მსგავსი (მისი სახელი არც ვიცი) მაგრამ ძალიან ღრმა ხევში მიედინება. ქვემოთ, მის ნაპირებზე, გაზონებია და გაზონებში ქვის ფილებით გამოყვანილი მარტივი ნახატები დიდი მასშტაბისა, რომლებიც ხიდიდან ფართოდ გაშლილ ხალიჩასავით „კოთხება“.

ბურსაში გამაჯივრება ასწლოვანი ხეების სიმრავლემ. ბევრი ასეთი ხე — 300 — 400 წლისა მაინც — შუა ქუჩაში დგას. მათ უვლიან, ყოველი მათგანი ბუნების ძეგლადაა გამოცხადებული, ყველას საგანგებოდ დღეა აქვს მიკრული სათანადო წაწერით.

აქ კიდევ ორი რამ დავათვალიერებ — არქეოლოგისა და ეთნოგრაფის მუზეუმი ძველი მდინარის სანაპიროს (ანტიკური სკულპტურა, ისლამური ხელოვნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების ნიმუშები: იარაღი, ჭურჭელი, მოკაშხელი ხელნაწერები) და საფეიქრო კომბინატი — ყველაზე დიდი თურქეთში. ორსულითად ამ ფაბრიკის ღირსებასა და ნაკლებ შე არაფრის თქმა არ შემიძლია. გარკვეულ დამამასხურება საამქროების უზარმაზარი დარბაზები (ზოგი, აღბოთ, 200 მ-მდე მაინც იქნება სიგრძით), მანქანების აუტანელი ხმაური, მშვენიერი ეზო და პარკი ფაბრიკის ტერიტორიაზე და კიდევ ერთი, სპეციფიკური. რამ: საამქროებში კედლები ღია მწვანედაა შეღებული, ყოველ საამქროში მუშა ქალებს განსხვავებული სპეცდორმა აცვიათ, მაგრამ ყველანაირად ძალიან ხალისიანი ფერებია შერჩეული: ცისფერი კაბა — წითელი წინსაფარი და თავსაფარი; ცისფერი კაბა — ღერჯი წინსაფარი და თავსაფარი; ყვითელი (მდოვეისფერი) კაბა — მწვანე წინსაფარი და თავსაფარი; ზოგან ფრქვლი ანარჯისფერი ხალათები. რუხი ან შავი ფერისა არიან არაფერი ცეცხა. ეს „კოლორიტილი გადამწყვეტი“ ძალიან აზრიანად შეჩვენა: საამქროს მთელი ინტერიერიც სასიამოვნო და ხალისიანი სანახავია.

მუზეუმში აქაც ბევრი რამაა სიინტერესო. ჩვენი თურქოლოგები გახარებული იყვნენ — ძლივს არ ვნახეთ თურქეთში! ანტიკური სტუ-

ლა, სარკოფაგი და ფრაგმენტი იმდენია, რომ გარეთა ეზო სულ გავსებულია. შედარებს შიდა ეზომ მომხიბლი: კობია, ინტიმური, თაღებიანი პორტიკო გარშემორტყმული; შუაში შადრევანი მორქნებებს, მიწა კენჭებითაა მოფენილი, რამდენიმე ხეც დგას. იქაურობა სრულიად მოწყვეტილია გარე სამყაროს... კარგი ადგილია სამუშაოდ და საოცნებოდ.

ქუჩანი ჯგუფად მოსიარულე ხალხი ყოველთვის იზიდავს ყურადღებას. ბურსაშიაც გვეტობა ერთმა კაცმა — საიდან ხართო. როცა ვუთხარი — საქართველოდან-თქო, გვიპასუხა — ძო, ვიცო, წინათ თურქეთს ეკეთვნოდით...

8.

კიდევ ერთი დიდი „გადარბენა“: ბურსა — ანკარა. ოთხას კილომეტრზე მეტი. გზაში შესვენება და სადილი ქალაქ ესკიშეჰარში. ინდუსტრიული ცენტრია (ცემენტი, შაქარი, საფეიქრო მრეწველობა), ორას ათასამდე მცხოვრებით. ამერიკულ მიწებთან ერთად — ძველებური ეტლები (ზენანი ფაეტონს რომ უწოდებდნენ) და დახურული კარტაე კი (ძალიან დაბავებული და დახვრეული). ორი ახალი დიდი სასტუმრო ულტრათანამედროვე სახისა. აქაც გაბედულადაა გამოყენებული ფერი.

მერე — ორასამოცდაცხრამეტი კილომეტრი ანკარამდის, რომელსაც საღამოს ხუთ საათზე მივაღწიეთ.

«ანკარა — ეს არის ქალაქი, შექმნილი ერთი ადამიანის ნება-სურვილით, თურქი ერისათვის იმის საჩვენებლად, რომ თუ კაცი მოისურვებს, შეუძლია უდაბნო სამოთხედ აქციოს». ასე თქვა რამდენადმე პათეტიკურად ჩვენმა გიღმა. ის „ერთი ადამიანი“, როგორც ცნობილია, ათათურქი იყო, ხოლო ანკარა დედაქალაქად 1923 წელს გამოცხადდა.

სამოთხედ ქვეყანად ანკარას ძალიან ბევრი უკლია, მაგრამ თუ გაითვალისწინებ, რომ 40 წლის წინათ აქ სულ უმნიშვნელო ქალაქი იყო — იგი დიდად გაზრდილა. ახლა ნახევარ მილიონზე მეტი მცხოვრებია, ქუჩაში ბევრია ხალხი, მანქანა: იზირისა და ბურსის შემდეგ, ერთბაშად გაძნობ სხვა რიტმს, დედაქალაქურ ტონუსს.

ძველი ანკარა ბორცვზეა შეფენილი, ციტადელის გარშემო და თვით ციტადელში. კედლების შიგნით არაფერია არ შეცვლილი: ძალიან ვიწრო მოკლებულ-მოკიბული ქუჩები, ძველი ფახვერკული სახლები გადმომჯდარი ზემო სართულებით — ნამდვილი შუასაუკუნეებია (თვით სახლები, აღბათ, XIX ს-ზე აღრინდელი არაა); უფრო ძველი ნაშთებიც იწყობება აქა-იქ: აგურ სახლის კედელში ბერძნულ და ლათინურ წარ-

წერებიანი ქვები ჩატანებული, ვეერ, სულ მალე, ციხის კედელში, რომელიც სარკოფაგის ხარულია

ახალი ქალაქი ქვემოთაა, მაგრამ რელიეფი, ბორცვები აქაც ჩანს, აქაც გხვდება აღმართ-დაღმართები. საღამოს წავედით ქუჩებში სახეტიალოდ. თავიდანვე დიდი მასშტაბით აუგიათ უმთავრესი ქუჩები, მაგ. ათათურქის ბულვარი, რომელიც თითქმის მთელ სიგრძეზე ქვევოს ქალაქს, სტამბოლისა და განი მუსტათა ქემლის პროსპექტები და ბევრი სხვა; ასევე თურქურის პარკიც, უზარმაზარი ხელოვნური აუზით, რომელსაც ცხელი ანკარის ვასაგრილებლად გარკვეული მნიშვნელობა უკონია. მაგრამ ათათურქის ბულვარზე დიდი სახლების გვერდით ნამდვილი ქუვეყანი ქობებია, ახალი სახლების უკან ნამდვილი ჯურღმულები ჩანს; სადაც კი ახალი რამ შენდება — მიწა გადამხრიალია, ნაგავი და ტალახია. ქალაქს ჯერ კიდევ არა აქვს საესები ჩამოყალიბებული სახე. ამას ერთგოდა ქუჩების აფორაქებული მოჭრაობა და რაღაც არეულობისა და ქაოსის შთაბეჭდილება დაგვჩანს. თვით არქიტექტურა უმეტესად ოციანოცდაათიან წლების ხასიათისაა და ახლა, როცა მშენებლობაში ფერმა არსებითი აღვლი დამკვიდრა, მონოტონური და მოსაწყენი ჩანს. აქა-იქ იმავე ხანების „ეროვნული სტილის“ შენობებიცაა, რომელთაც ჩვენი გიდი „ნეოკლასიკურს“ უწოდებს: უფერული „ისლამური“ სტილიზაცია. მაგრამ პირველსავე დღეს ენახეთ უახლესი შენობებიც, ზოგი ძალიან კარგიც, მაგ. სავაქრო რიგების სახლი, მშენებლად გამოყენებული ფერადოვანი მახვილებით მოზაიკური მანკლების კედლებზე.

მეორედ დღეს გავიარეთ ბაჩჩელი ველურის უბანში, სადაც საელჩოები და შეძლებულთა კორტეჯებია. ეს — უახლესი დასავლური არქიტექტურის გამოფენას გავს. ზოგი შენობის არქიტექტურა ძალიან მახვილი და გაბედულია, რა თქმა უნდა, საინტერესოა.

ერთი რამ მაინც მომხვდა თვალში, ქალაქში სიარულის დროსაც და, მით უფრო, როცა მის გვემას ვეცნობოდით: თუ იზირში გარკვევით ჩანს მთელი ახალი ქალაქის დაგეგმარების ერთიანი იდეა, აქ ახალ ქალაქსაც მოუწყეს რიგბეული გეგმა აქვს. როგორც ჩანს, თავიდან, როცა დედაქალაქი გადმოიტანეს, მშენებლობა გენერალური პროექტის გარეშე დაუწყიათ.

სიძველეთა ნაელებობას ვერც ანკარა დაიჩივლებს. შუა ქალაქში რომელი თერმების ნანგრევია ჰიპოკაუსტების უსასრულო შწყრივებით. ეს ყველაზე დიდი რომაული თერმები ყოფილა მცირე აზიაში. მისგან არც ისე შორს — აფგუსტის დროინდელი ტაძრის მარმარილოს კედლე-

ბი დგას. ამ ტაძარზე უზარმაზარი წარწერაა —
«ვეესტის სიტყვა სენატისადმი — ყველაზე დიდი
ოფიციალური დოკუმენტი რომის იმპერიისა,
დღემდის მოღწეულთა შორის. ლათინურ ორიგინალს
ანტების სიბრტყეები უჭირავს, ბერძნულ
თარგმანს — მთელი ერთი ფასადი. გაჩვენებულ
ფრიგიელი დროის ნაშთებია (ანკარა ძველი
ფრიგიის თარგმანში), ზედ შესასვლელთან კი
მიწიერი და წერილი მინარეთია მოტმანილი.

მაგრამ ანკარის უდიდესი და უძვირფასესი
განძი, მართლაც მსოფლიო მნიშვნელობისა —
მისი ხეთური მუზეუმი, ძველი დახურული ბაზრის
შენიშნავს გამართული. ჩვენ ისე ვჩვენებთ
დღით, რომ არაფრის ჩაწერის საშუალება არ
მქონდა. შემოძლია მხოლოდ ვთქვა, რომ ვისაც
ხეთური კვლევების ღრმად შესწავლა სურს,
უპირველეს ყოვლისა, აქ უნდა მოვიდეს. სხვა
რომ არაფერი იყოს, აქაა კარხემის რელიეფების
მთელი ციკლი, რომელსაც რამდენიმე ათეულ
მეტრი უჭირავს, აქვეა უმარავე სხვა სკულპტურული
ნაწარმოები, კერამიკა, საბუქდავები
ხეთური სამუაროს მრავალი პუნქტიდან. მე შგონა,
ტელ-ალაფის ვარდა, აქ არცერთი ხეთური
ციტრი არ აქვია.

მეორე მუზეუმი, ფრიგიელი სიძველეებისა,
სულ არ გვიჩვენებს, ვეღარ მოვასწარი. სამაგიეროდ
ვენახეთ თანამედროვე თურქების ერთი
„ღირსესანიშნაობათაგანი“ — ათათურქის მავ-
ზოლეუმი, რომელზედაც ღირს ორიოდე სიტყვის
თქმა.

თურქეთის რესპუბლიკის დემოკრატიის, ახალი
თურქეთის იდეოლოგიის, ქვემოთ ათათურქის
მავზოლეუმის მოფიქრებელი და განხორციელებ-
ველია, როგორც დიდი ეროვნული ძეგლი. იგი
განცალკევებით დგას, ბორცვზე და დიდი მან-
ძალიდან ჩანს. შორიდან ცოტა მშრალი მჩვენე-
ნა — სრულიად მარტივი, სწორკუთხა ფორმებია
და რამდენიმე ხისტი ჩანდა. ახლო სხვაა: მას-
შტაბის, სიმარტივისა და მონუმენტურობის წყა-
ლობით, ძეგლს ემოციური ზემოქმედების ძალა
აქვს. იგი შედგება გრძელი შესასვლელი ალივის,
დიდი საზეიმო ეზოსა და საკუთრივ მავზოლეუ-
მისაგან: შესასვლელის ორსავე მხარეს ორი
მცირე ნაგებობაა პროზილიეზიით და მათ წინ
სამ-სამი სკულპტურული ფიგურა თეთრი ქვისა —
ახალი თურქეთის სიმბოლური განსაზღვრება: სამი
კაცი — ინტელიგენტი, მწვემისი, ჯარისკაცი; სამი
ქალი — ასევე სხვადასხვა ფენების წარმომად-
გენლები. ქანდაკებები ხაზგასმით გეომეტრიზე-
რული და სქემატიზებულია, მაგრამ არც მეტყ-
ველია, ვერც მასშტაბია შერჩეული, მასალაც
შეუფერებელია: პრიმიტიულ შთაბეჭდილებას
ტოვებს. აქედან იწყება ის შესასვლელი გზა
სამსაიდოდე მეტრის სიგრძისა; მის ორსავე მხარეს
ხეთური ტიპის ლომებია ჩამოჭრილებული; მიწა-
ზე თლილი ქვის სწორკუთხა ფილებია მოკე-

ბული თანხარი ინტერვალებით, რომლებშიაც
მაღალი ამოღის. ეს ალვა უკვე წმინდა საზეიმო
განწყობილებას. როცა სვეტქმინში მხარტკით
გარემომორტყმულ მთავარ ეზოს მიადგები, განწყ-
ობილება კიდევ უფრო საზეიმო ხდება. მოფ-
ლოდნელია ეზოს სიდიდე: არსებითად ეს მოზრ-
დილი მოედანია, 200-ოდე მეტრის სიგრძისა, და
რამდენიმე უფრო ვიწრო. ყველაფერი ყვეთე-
ლი ტრავერტინითაა ნაშენი. პორტიკოს სვეტები
სწორკუთხაა, სამკაულისა და პროფილების გა-
რეშე. შესასვლელი გზის ღერძზე, მოპირდაპირე
მხარეს, პორტიკები გახსნილია და ეზო დიდი
ეროვნული კრების შენობას გააუტებს (სიმ-
ბოლი).

მარცხნივია თეთი აკლამა, შესასვლელი გზის
ღერძის პერპენდიკულარულ ღერძზე. იგი ანკა-
რის ციტადელზეა დამხნელებული ცვლავ სიმბო-
ლო ეს ციტადელი ეროვნული აღორძინებისა
და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბო-
ლოდ მანჩანათ).


მავზოლეუმის ფასადიც, რომელიც ფართო
კიბეების კვარცხლბეკზე დგას, გეომეტრიულად
მარტივი და მკაცრია: ათი სწორკუთხა ბოძი.
შიგ დარბაზში საზეიმო განწყობილება მწვერ-
ვალს აღწევს: ძალაუნებურად გადაღვებს სწორ-
კუთხა, ძალიან მაღალი დარბაზის უზარმაზარი
სივრცე, რომელიც არაფრით არაა დანაწევრე-
ბული. მის სიღრმეში, კიდევ რამდენიმე საუე-
ხურით ამოღებულ ბაქანზე, ღია ცის ფონზე
(უკანა კედელი გახსნილია), დევს დიდი საფლა-
ვის ქვა სარკოფაგიით. მარცხნივ და მარჯვნივ
რუბი მარმარილოს კედლებია. ქვები სივანეზე
დაწყობილი კოჭებითაა დაყოფილი: ხალხური
არქიტექტურის მოტივითაა. ქვების მთელი უზარ-
მაზარი ზედაპირი, კოჭებიანად, დღემდელია
ოქროსფერი მოზაიკით (ბიზანტია), რომელზე-
დაც თურქული ხალხური ორნამენტებია გამოყ-
ვანილი (ზომიერად, კარგი გემოვნებით). კედლე-
ბის გასწვრივ ჩაყოლებულია ჩირაღდნები, წინის-
კენ ვაღმობხრილი ტარებით: თითქმის ყარაულში
ჩამოჭრილებული მცველები იყვნენ.

ღაგანს ცოცხალი მცველები: ახალგაზრდა
ჯარისკაცები. შესასვლელ პროზილიეზითან, ეზო-
ში, მავზოლეუმის კიბეებზე. ეზოს ცალ მხარეს,
პორტიკიდან შედიხარ მემორიულ მუზეუმში,
სადაც თავმოყრილია ათათურქის ცხოვრების
საბუთები, პირადი ნივთები, ფოტო-სურათები.

ამ ანსამბლში ნამდვილად დიდი შთაბეჭდი-
ლება: ეს მნიშვნელოვანი არქიტექტურაა, კარ-
გად ნაგრძნობი და გააზრებელი.

9.

უკანასკნელი დღენახევარი სტამბოლში.
თოფ-კაფის სასახლე, რომელსაც ძველი სტამ-
ბოლის სწორედ კონცხი უჭირავს, ბოსფორისა



და მარმარილოს ზღვის ნაპირზე. შესასვლელი წმ. სოფლის ტაძრის უკანა. იქვეა წმ. ირინეს ტაძარიც, რომელიც მხოლოდ ვარდნას ვნახეთ. სასახლეს — 1924 წლიდან მეზღვის — დიდი ტერიტორია უკირავს: რამდენიმე ეზო, რამდენიმე გალავანი, ბაღები, ცალკეული კორპუსები, პავილიონები. შენობები სხვადასხვადროისაა, მთლიანი შთაბეჭდილება ძნელი მისაღებია. არსებითად, აქ რამდენიმე მეზღვისა თურქული (და არა თურქული) ხელოვნებისა: იაზარისა და საჭურჭლის უაღრესად მდიდარი და საინტერესო კოლექცია, ყრამიკა, ხალიჩები, ნაქარგობა, მორთული ხელნაწერები, კალიგრაფია. ერთი შემოფოთი, ბუნებრივია, კალედოსკოპის ციმციმი ვრჩება გონებაში, სხვა არაფერი. თუ სერიოზულად დაინტერესდები — სანახაიეც ბევრია და შესასწავლიც.

რამდენიმე დარბაზი უკირავს საგანძურს. აქ ვერ ნახე ეროვნული ხელოვნების ორგანული განვითარების სურათს. თურქულ ნაშეგვრებთან ერთად, დასავლეთ ევროპულიც არის, ირანულიც და სხვ. ზოგი შეძენილია, ზოგი ნახუქარი, ზოგი — წართხელია, ნადავლია. ახლა რომ ვიკონებ ამ დარბაზებს, რომელიც ცალკეული ნივთი კი არ წარმოიშობება, არამედ ოქროსა და ძვირფასი თვლების ბრქვეილი. როცა ხელოვნების დიდ ნაწარმოებს ვუფრებ, თავში არ მოგდის წმინდა „მატერიალური“ აზრები, იმას არ ფიქრობ, თუ როგორი უნდა იყოს ამ ნაწარმოების ღირებულების ფულადი გამოხატულება. აქ კი ხელოვნების სიმდიდრე უკმაშ, აქ ოქრო, ფული უფროს: აგერ მთლიანად ქარავით ნაკეთები ტუალეტი დგას (ავსტრიული), იქით რომ სულთნის ტახტია — ერთიანად ოქროს ფურცლებითაა დაფარული, მეორე ტახტის ბლდაქინ ქვეშ ინდუარის კვერცხის ოდენა ზურმუხტი ჰკიდია, იმის გვერდით რომ ტახტი დგას, იმის შესახებ გიდი გუბუნება — ზედ 25000 მარგალიტიაო, სულთნების აყვანი, მგონი, ერთიანად ოქროსია... ხელისნური თვალსაზრისით ზოგი რამ ოსტატურია. მაგრამ ეს „აღმოსავლური“ სიყვარული თვალისმომჭრელი. დახევეებული, შევირაღა სიმდიდრისა, შალე გლლის და გუზრდება... ისე წამოვივდი, რომ იმის მეორედ ნახვის სურვილი არ გამოიყოლია.

და სულ ბოლოს — თექვსრ-სერაი — ბიზანტიელ იმპერატორთა სასახლის ნანგრევი (სასახლის თარიღზე დავაა), კაპრიე-ჯამის მე-14 საუკუნის მოზაიკები და იმპერატორთა აღრინდელი სასახლის ნანგრევებში აღმოჩენილი იატაკის მოზაიკები, რომელთაც მეზღვის საუკუნით ათარბლებენ.

თექვსრ-სერაი სპეციალისტებისთვისაა საინტერესო. უშუალო ემპირიური ზეგავლენის ძალა მას აღარა აქვს. სამაგიეროდ, იმ მოზაიკების

(ერთისაც და მეორისაც) აუღელვებლად ნახვა წარმოუდგენელია.

კაპრიე-ჯამის (წინანდელი ქორის საპონსატრო ეკლესიის) მოზაიკები ბიზანტიური ხელოვნების უკანასკნელი გამოხატულება იყო. იმავე დროს, ეს ციკლი, შექმნილი იტალიური ტრენენტოს ძეგლების პარალელურად, ახალ საფეხურსა და შემობრუნებასაც მოასწავებდა ბიზანტიურ მხატვრობაში. ბევრი არ მოიხივება ხელოვნების ძეგლი, რომელსაც მკვლევართა აზრის ასეთი სხვადასხვაობა გამოეწვიოს, ამდენი თავსამტრევეი საკითხი წამოეჭრას. მის მხატვრულ ღირსებაზე, ცხადია, არავის უდავია. მაგრამ ყველას აინტერესებდა, და ყველას სხვადასხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი მის თავისებურებათა პირველწყაროები და მიზეზები. იყო ეს ახლანდისაბული იტალიური რეალიზმის გამოხატულება, თუ აღქმანდობილი ტრადიციების აღორძინება? თუ ძირები სირიაშია საძებნელი? იქ, როცა თავადერილი ვუყურებდი კარიბჭეებს კამარათა მოზაიკებს, სრულიად არ მაინტერესებდა ეს საკითხი: მე მხოლოდ უდიდეს სიამოვნებას ვგრძნობდი. რთული და პირობითი ხერხთაგან ერთი ფონი, რომელშიაც სრულიად გათვლილი პერსპექტივის კანონები, წერილი, უზომოდ დაგჭამებულ, ფიგურები, კონტურების კაპრიზული ხაზების რიტმი, გასაოცარი მერყეულებით გადმოცემული ექსტაჯულია და შიძრბობა, განსაკუთრებით კი რაფინირებული, უმდიდრესი ნივანსებით სავსე, კოლორიტი უმაღლესი ოსტატობითაა შერწყმული ერთ მთლიან, განუყოფელ ორგანიზმად. ფერის ინტენსიობა ისეთია, რომ ამის შემდეგ მეზობელი კარიბჭის ფრესკების ყურება აღარც კი შეიძლება. მიინც სულ სხვაა, როცა ცალკეულ მოზაიკურ ფიგურებს ან სცენებს კი არ ხედავ, არამედ მთელ ციკლს, რომელიც ერთიანად ფარავს თაღებსა და კამარებს. აქ სულ სხვა გაცანება და ძალა იგრძნობა.

კარიბჭეების მოზაიკები ლიტერატურაში დიდი ხანია ცნობილია. მაგრამ შივ ტაძრის ნაშთაც გულშემოთით მარიაშისა და იოანე ნათლისმცემლის დიდი ფიგურები საყურთხველის მარცხნივ და მარჯვნივ, და „მარიაშის მიძინება“ დასავლეთის კედელზე. ეს ფიგურები — შავ. მარიაშის სახე, მისი სახის გამოშვებულია, ფერები — მგონი, კიდევ უფრო მალა დგას, ვიდრე კარიბჭის სცენები.

როცა კაპრიე-ჯამის ნახვის შემდეგ მეზღვის საუკუნის მოზაიკები წარმოვივდივა თვალწინ, შეგვეძალა ვეთქვა, რომ ნახეარი საათის განმავლობაში ენახეთ ბიზანტიური მხატვრობის ბოლო და თავი. ამ ხელოვნების რაკალი თითქოს ჰყენ თვალწინ შეიკრა. იქ, კაპრიე-ჯამის უღამაზეს მოზაიკებში, მიუხედავად მრავალი სიახლისა, ნამდვილი შესასთქუნები იყო — პირო-

ბითი, არაბორციელი, არამიწიერი... აქ ჯერ კიდევ ანტიკური ფორმაც და შინაარსიც, აქ სულ სისხლი და ხორცია, მიწიერი ცხოვრების ფეოქვია. ცალკეულ წვრილმანში შეიძლება უკვე შეინიშნო ზოგი ახალი, ანტიკური ტრადიციებისთვის უცხო. ნიშანი, მაგრამ ეს არსებითი არაა. ნახატი თავისუფალია, ანატომიური აღნაგობა — სწორი, ხედავ ჩრდილსა და შუქს, ხელშესაბებ მოცულობას, რაქურსებს, ცოცხალ საყოფაცხოვრებო სცენებს, მახვილი თვალის დავიერებას, იუმორს: აქ ცოცხალი, მიწაზე მდგომი, აღამიანი ხატავს მიწისავე ამბავს: ბიჭს, რომელიც სახედარს საკვებს აწვდის კალათით (პროფილით დაყენებულ სახედარს თავი მაცურებლისკენა აქვს შემობრუნებული), კვიცს, რომელიც ძეძუს სწოვს თავის დედას, ზურგზე გალია მოკიდებულ მაიმუნს, რომელიც გრძელი ჭოკით პალმის ზის ნაყოფის ჩამოგდებას ცდილობს, მოთამაშე ბავშვებს, მებრძოლ მტაცებელ ცხოველებს, გლადიატორს, ვიდაც მოხუც კაცს იშვიითი, მებრძოლი სახით! ეს ყველაფერი დიდი დარბაზის იატაკის ფონზეა გაბნეული გარკვეული დეკორატიული რიტმით...

სხვა, უფრო მცირე, ფრაგმენტები გადატანილია ღუქების ძველ კამაროვან რიგში, რომელიც თურქებს აუშენებიათ ამ ნასასახარზე, აშქედის მიზგიითის გვერდით: ყოველი ღუქანი ვიტრინადაა ქვეული, ვიტრინები გასასულელის ორ მხარესა (სასახლე ინგლისელებმა გათხარეს

და ეს „მოზიკის მუზეუმი“ ინგლისელებს მოუწყვიათ — ძღვნად ქალაქ სტამბოლსათვის). იმპერატორთა სისახლის მონაწილე გვიანი ანტიკური ხელოვნების ერთი უკველ შედევრთაგანია. ჩვენ უკეთეს „გვირგვინს“ ვერც ვინატრებდით მხატვრული შთაბეჭდილებებით სავსე მოგზაურობისთვის.

• •

და ეს მოგზაურობაც დამთავრდა... რაც დრო დაგვრჩა, ისევ ქუჩებში ხეტიალს მოვანდომეთ, ოთხ საათზე კი ჩვენი ავტობუსი უკვე ნათესადურისკენ მიგვაქანებდა ვიწრო ქუჩებში.

ისევ საბაჟო და კვლავ ჩვენი „ფელიქს ძერჯინსკი“, რომელმაც ამასობაში — სანამ ჩვენ თურქეთში ვმოგზაურობდით — საბერძნეთი, ეგვიპტე და სირია მოიარა.

ორიოდე საათი გემბანიდან ვუყურებდით და ვეთხოვებოდით აია-სოფიას, ბოსფორს, კონსტანტინოპოლს, საკვირველი მიწილდევი ძალის მქონე კონსტანტინეპოლს, რომელიც საუკუნეთა განმეფლობაში ორი სამყაროს მიჯნაზე იდგა ხიდად და ბურჯად.

ბიხდდებოდა, როცა გემმა ღუზა ახსნა... კიდევ ორიოდე საათი და ჩვენ უკვე შავ ზღვაში მივეცურავდით.

3. შაბათიანი

ხალხის შვილი

კიევში, დნეპრის პირას, დიდების პარკში განისვენებს ოკლათოთხმეტი გმირი. ფრონტის სარდალი გენერალი კირპონოსი და ნაწილის მეთაური ოფიცერი პროკურეო, სერჯანტი შელდენკო — იმ შეწინავე საბჭოთა ტანკის მეთაური, რომელიც პირველი შევიდა გამარჯვების დროშით კრემლიანკაზე, 1943 წლის 6 ნოემბერს...

აქ განისვენებენ მოჭმე ხალხთა მამაცი შვილებიც, რომლებიც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდნენ ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

«ქ განისვენებს საბჭოთა კავშირის გმირი ზემდეგი მიკოლა ივანეს-ძე გოგინაიშვილი», — ასეთი უკრაინული წარწერა გვამცნობს ქართული კაცის სასუფევლს. მისი ნეშტი მადლიერმა უკრაინელებმა დიდი პატივისცემით მიიბარეს იმ მიწას, რომლის ღირსებისა და თავისუფლებისათვის გმირი სისხლსაღწერდა. თანამებრძოლებთან ერთად მას აღმართეს დიდების ძეგლი ძმთა სასაფლაოზე, უკვდავებს მამაცი ქართველი კაცის ნათელი ხსოვნა.



მშრომელი კაცის ჩვეულებრივი, მაგრამ თავისებური და სახელოვანი ცხოვრების გზა განეწინაურდა ნიკოლოზ გოგინაიშვილმა. 1930 წელს მონაწილეობა მიიღო პირველი სასოფლო-სამეურნეო არტელის ჩამოყალიბებაში და მისი აქტიური წევრი გახდა. საკოლმეურნეო სოფლის სიახლემ, ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოჩენამ, უკვე საკმაო ხნის კაცს, კომუნისტი გოგინაიშვილს შთააგონა ახალი პროფესიის დაუფლებაზე ეფიქრა და ისიც მალე მონდომებით დაეწეა ტრაქტორისტის კურსებზე სწავლას.

ნაყოფიერად იმუშავა ნ. გოგინაიშვილმა ტრაქტორისტად და მშრომელი კაცის სახელი და ღირსება მოიხვეჭა მადლიერ თანასოფელელთა შორის, მაგრამ ბოლომდე არ დაცალდა მას ტრაქტორის საპონ მართვა... საშობლოს საბრძოლო ძახილებზე ივანე გულისტკეიელი ტოკეებს მშვიდობიანი შრომის იარაღს და დაზვის ტყვიამფრქვევის ოსტატი ხდება.

გოგინაიშვილების მთელი ოჯახი მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში.

ნინო და ნიკოლოზ გოგინაიშვილები შრომისა და ბრძოლის ჯარისკაცები იყვნენ. მათი საქმიანობა საბჭოთა ზურგისა და ფრონტის ერთიანობისა და სიმტკიცის თავისებური გამომხატველი ნიმუში იყო.

კომუნისტი ქალი ნინო არა მარტო მამაცობას იჩენდა შრომაში, არამედ ოჯახს ედგა ზურჯად, შვილებს ზრდიდა, უნარიანად უძღვებოდა საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციას, სოფლის კომუნისტების მეშვეობით თანასოფლელებს რამზავდა არმიისა და ფრონტისათვის საჭირო დახმარების გასაწევად. დედას უმცროსი შვილებიც მზარში ედგა.

ნიკოლოზი, კომუნისტი მეომარი, არა მარტო პირად მამაცობასა და მხედრულ უნარს იჩენდა ბრძოლის ველზე, არამედ მართალი, დამრახმეული სიტყვიანობა და მისაბაძი ჯარისკაცური საქმიანობით აღმაფრთოვანებულ მავალითს უჩვენებდა თანაბოლკელებს, აღნათებდა მათ მტერზე გამარჯვების მისაღწევად. ნიკოლოზს ფრონტზე თავისი უფროსი ვაჟიშვილიც ედგა საბრძოლო მწუბრში, მასთან ერთად იზიარებდა ბრძოლის ველის სიმწარესა და სისასტიკეს.

... 1942 წლის ზაფხულში ნ. გოგინაიშვილი მოქმედ არმიის, კავკასიის გმირ დამცველთა საბრძოლო რიგებში დგება...

1942 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე სამკვრო-სასიციტელო ბრძოლები წარმოებდა კავკასიის მთების ძირში.

... გამაძვრებული ცდების მოხედდავად, პიტრერელთა სარდლობა ვერ აღწევდა ვერაგული გვემების განხორციელებას. ბოლოს, 1942 წლის ოქტომბრის მიწურულში, მტერმა უკანასკნელ გაცოფებულ ღონისძიებებს მიმართა, ცდილობდა როგორმე თავის სასარგებლოდ წარემართა ბრძოლის ბედი ფრონტის ამ უბანზე, რადაც უნდა დაჯდომოდა, დაუფლებოდა ვლადიკავკასს /ორჯონიკიძეს/, ხოლო წარმატების შემთხვევაში განეითარებინა შეტევა გროზნოს, ბაქოს მიმართულებით და საქართველოს სამხედრო გზით თბილისისაკენ ვაჭრილიყო.

ნაღიკის მიმართულებით გადამწყვეტი ოპერაციის მოსაწყობად დიდხანს ემზადებოდა მო-

წინააღმდეგე. თავისი მთავარი დარტყმის მიმართულენის დასაფარავად, საბჭოთა ჯარების სარდლობის შეცდომაში შესაყვანად მტერმა არაერთგზის მიმართა თვალის ამხვევ მანევრს, აწინააღმდეგა რა თავისი ძალებისა და რაზმების მოწყობებით ადგილგადანაცვლებასა და თავმოყრას სხვადასხვა მიმართულებით. მოწინააღმდეგის ეს შეცდომები მანევრები დროზე გამოიყენო ჩვენი შენაერთის სარდლობამ.

25 ოქტომბრისათვის მოწინააღმდეგეში ნაღიჯის მიმართულებით, ფრონტის ვიწრო უბანზე, თავი მოუყარა დიდძალ სატანკო ნაწილებს და საავიაციო შენაერთების მხარდაჭერით, პირველი სატანკო არმიის ძალებით დაიწყო შეტევა. განვითარა რა შეტევა ამ მიმართულებით განლაგებული ჩვენი ჯარების თავდაცვის რაიონში, რომელიც ნაღიჯის მისადგომებთან, მდინარე ბაქსანის მარჯვენა სანაპიროებზე მდებარეობდა, მტრის ასზე მეტმა ბომბდასმენმა პირველ რიგში დაბომბა არმიის შტაბი და მე-2 გვარდიული მსროლელი დივიზიის პოზიციები. საბჭოთა ჯარების მედგარი წინააღმდეგობის მოუხედავად, არმიის შტაბმა დაკარგა ქვეით შენაერთებსა და ნაწილებთან კავშირი, დამარცხდა მათი მთავისა და ურთიერთთანამოქმედების შესაძლებლობა. ამან საშუალება მისცა მოწინააღმდეგეს, მის სატანკო და მოტო-ქვეით შენაერთებს დაეკავებინათ ნაღიჯი და განეგრძათ შეტევა ჩიკოლას, დიგორასა და ალაგორის გზით ვლადიკავკაზისაკენ.

ნაღიჯის მიმართულებით მოწინააღმდეგის მიერ ძვირად მოპოვებული წარმატება ხანმოკლე აღმოჩნდა. 1942 წლის 5 ნოემბრისათვის საბჭოთა ჯარებმა შეუზოგარ და მკაცრ თავდაცვით ბრძოლებში მოქაჩეს, სისხლისაგან დაცალეს პიტლურელთა შემტევი ჯარები და 6 ნოემბრისათვის მისი დამკვეთი სატანკო ძალები საიმედო „ტომარაში“ მოაქციეს ვიზულის რაიონში და მძლავრი კონტრდარტემა მოაყენეს. ამ დამარცხებით აღნაზღურებული ზარალი განიცადა მტრის ცოცხალმა ძალამ და სამომავალ ტექნიკამ. ერთი კვირის შეუნელებელი და მკაცრი ბრძოლების განმავლობაში საბჭოთა ჯარებმა მძიმე დამარცხება აყენეს გერმანულ ფაშისტ-დამპყრობთა პირველ სატანკო არმიას.

ამ მკაცრ ბრძოლებში თავისი მამაცობითა და გმირობით ბევრმა საბჭოთა მეთომარმა ისახელა თავი. მოძმე ხალხთა შეილებთან ერთად, აქ ცოტა ქართველი მეთომარი როდეს იბრძოდა სისამუდლოდ. ამ მხრივ საინტერესო და დამაბასიათებელია მსროლელი დივიზიის მამაცი მებრძოლები, კომუნისტი სერგანტის ნიკოლოზ გოგინაშვილის გმირობა. ამ რა გვიამბო მან ერთ-ერთ შეხვედრაზე ჩვენი შენაერთის მეთომარებთან სტუმრად ყოფნისას: „ეს იყო გიზულის რაიონში, 1942 წლის 2 ნოემბერს. საღამოს ზემდგომი შტაბიდან მივიღეთ ბრძანება—

დანიშნულ დროზე, მიცემულ ნიშანზე დაუყოვნებლივ გადავსულიყავით შეტევაზე მეთომარმა მომცა საბრძოლო დავალებები წინააღმდეგე უსახელო გორაკი, რომელსაც მტერი განსაკუთრებით უტედა და ხელიდან ხელიმ გადაიღოდა, საიმედოდ გავცემარტყმისა და წინწაორეული მოწინააღმდეგე მოგვეწყვიტა თავისი ძირითადი ძალებისაგან. მძიმე ბრძოლის ცეცხლში შეიჭრა ჩემი ათეული და აღნიშნულ გორაკზე, მოხერხებულ ადგილზე, საგულდაგულოდ ჩავსაგრდით, შევახამეთ და გვემართეთ დაზღის სატყვიამტრქვეით გუნდი. მდგომარეობა მეტად დამაბული და სახიფათო იყო: ცეცხლის წვიმა მოდიოდა ზემოდან, მოწინააღმდეგის მსხვილკალიბრიანი ნაღმსარტყორცნებისა და ქვეშეშების ყუშპარები ახლომხლო სკდებოდა და ქვას ქვა ზე არ ტოვებდა. სანგრებიდან თავის წამოწყება არ შეიძლებოდა, რადგან ირგვლივ უვლოდგარა ცეცხლის აღში იყო გახვეული. გერმანულ დამპყრობთა წინა რიგები ჩვენი პოზიციის ხაზში შემოიჭრნენ და გორაკს სამი მხრიდან მოაწყვდნენ, განიზარაბეს ჩვენი ათეულის რკალში ბრძოლაში. ამ უთანასწორო, მავრამ სასახელო ბრძოლაში დიდ ზარალს ვაყენებდით მტრს, თხელდებოდა ჩვენი რიგებიც, რამდენიმე საბჭოთა მებრძოლი ჩემს გვერდით გმირული სიკვდილით დაეცა. ბოლოს დავჩინით ოთხი ამხანაგი: თედო ბერიშვილი, სიმონ ქადაგიშვილი, პატლაცე და მე.

— არ წახდეთ, ბიჭებო, ვიბრძოლოთ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე! — გადაეძახე ამხანაგებს... — მებრძოლებმა ერთგულემა შემომფიცეს და, რითაც შეგვეძლო გერმანულ ფაშისტებს გრგობისებური ცეცხლი დავაჯებეთ თავს. მავრამ ყველზემ მთავარი დაზღის ტყვიამტრქვევის მცელავი ცეცხლში აღმოჩნდა. განწუხებულეც ვისროდით ჩვენი საყვარელი „მაქსიმიდან“, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, ხან კი ფრონტალურ ჯერს ვაძლევდით. მებრძოლები მარჯვედ უშენდნენ პირადი იარაღიდან, თუ „ჯიბის არტილერიიდან“, როცა ტყვიამტრქვევის ლენტი დაიკლებოდა, ამხანაგები სწრაფად მაწვდიდნენ ახალს. ასე ვისროდით ექვსი საათის განმავლობაში... „უაზნა გამოიღია“ — მოულოდნელად მომესმა ამხანაგის ხმა და გავოგნდი. როცა გემოვერკვიე, უდებად გამახსენდა, რომ კიდევ მჭონდა სათადარიგო ლენტე გადამხებული. — „სიმონ, მომავლეე ვაზნები, ლენტე ჩანთაში მაქვს!“ ელვის სისწრაფით მივაძახე ქადაგიშვილს დ იერიშზე გადმოსული ფაშისტები დიდი ზარალით ავლავ დაუძაქციეთ ტყვიამტრქვევის ცეცხლით.

ასეთი ცხარე ბრძოლები ამ უბანზე ოთხ დღეს გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში 15 ათასი ვაზნა გავისროდეთ და ასამდე პიტლურელი გამოვახალმეთ წუთისოფელს, მოწინააღმდეგეს არ მივეციეთ წინ წამოსვლის საშუალება და უსახელო გორაკი ბოლომდე შევიწარჩინეთ. ამ

უსახელო მდღობზე ჩვენი იარაღი და მებრძოლებმა ღირსეული სახელი და დიდება მოიხვეჭეს. შეიძლება დღის ბოლოს ჩვენი მსროლელი ბატალიონი გადაწყვეტდეს იერიშზე გადავიდეს, ძლია მტრის გამაგებელი წინააღმდეგობა და მისი წინ წაიძვრული ქვეყანაიფი ტყვედ ჩაიგდოს.

უსახელო გორაკი ჩვენს ცხებ-სიმაგრედ ეკცით და აქედან დაწყებული და განვითარებული შეტევა შეზობლებთან ერთად, ვიხელის რაიონში მტრის სასტიკი დამარცხებით დაგვირგვინდა. ამ ბრძოლაში ჩვენი ჯარისკაცური წვლილი უმეტესად ჯილდოთი აღინიშნა: მე მომანიჭეს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება და ჩემი მებრძოლი ამხანაგებმა დააჯილდოეს მედლებით „მამაკობისათვის“.

გერმანულ ფაშისტ-დამპყრობლებს ძვირად დაუჯდათ ფრონტის ამ უბანზე თავიანთი უკანასკნელი გამაგებელი შეტევა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ჯარების მიერ განხორციელებულ გიხელის ოპერაციას გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიის დაცვისა და მოწინააღმდეგის ჯარების განადგურების ამოცანის წარბაქებით შესრულების საქმეში. აქ საბოლოოდ დაიშალა პიტლერელთა გიერის გვიმასაბჭოთა კავკასიის დაპყრობის შესახებ. საბჭოთა ჯარების ამ დარტყმის შედეგად ფაშისტთა სარდლობამ საბრძოლო მოქმედებათა ამ უბანზე საბოლოოდ დაკარგა ინიციატივა და იძულებული გახდა თავდაცვანზე გადასულიყო, რაც საბოლოოდ დამთავრდა გერმანულ დამპყრობთა დამარცხებითა და კავკასიიდან განდევნით.

თითქმის ოთხი წელი იბრძოდა დიდი სამამულე ომის დროებებზე ნ. გოგვიანიშვილი. კავკასიის კარბებებიდან ბერლინის მისადგომებამდე — ასეთი იყო მისი ძვილი და გრძელი მეომრული გზა. მრავალ ბრძოლაში მიუღია მას მონაწილეობა, ბევრი გაჭირება და სიძნელე გადაიტანა, მაგრამ ყოველთვის უმწიფკლოდ უტარებდა კომუნისტის მაღალი სახელი და ღირსება დეალმობად კაცს ბოლომდე შეუსრულებია თავისი პატრიოტული მოვალეობა დედამამშობლოს წინაშე.

აი, მრავალთა შორის კიდევ ერთი დაუთქყყარი საბრძოლო ებიზოდა:

— გადარჩინეთ პოლკის დროშამ! — მოისმა მეთაურის ბრძანება. ეს ნიშნავდა გადაწყვეტილ დიდმნიშვნელოვან საბრძოლო ამოცანის შესრულებას — რადგან საბრძოლო დროშის ხაცვა ეს ნაწილიდან სიყვარულია, ეს მისი სახეობისა და ღირსების დაცვაა. და უმალ შედროშეთა შეგნებაში, თითოეული საბჭოთა მეომრის შეგნებაში ახალი ძალით გასბოვონდა ჯარისკაცური მცნების ძირითადი მოთხოვნები: პოლკის საბრძოლო ორბა ეს მეომრული ღირსების, მამაკობისა და დიდების სიმბოლოა. იგი შთაავიენებს

ყოველ საბჭოთა მეომარს მის წმიდათქმობა მოვალეობას, რომ ერთგულად და უმწიფკლოდ ემსახუროს საბჭოთა სამშობლებს. **გ. ბაზინი**
 აქ, ბრძოლის ველზე, ეს მოწოდება და მოვალეობა ზოგადი მცნება კი არა, რთულ ვითარებაში საბრძოლო მოქმედების კონკრეტული პროგრამა იყო და ამ ამოცანის შესასრულებლად ისინიც არაფერს იშურებდნენ.

აი, როგორ მოხდა ეს ბრძოლები მიმდინარეობდა საბჭოთა უკრაინის მიწა-წყალზე. ჩვენი ჯარები მიიწვედნენ დასავლეთისაკენ, სასტიკად უტრტამდნენ მტერს, აუნაზღაურებელი დამარცხებით გაბორბტებული პიტლერელები გამაგებით ცდილობდნენ საბასუხო დარტყმის მიყენებას, რათა გადაეკადებინათ თავიანთი გარდუვალი განადგურება. და ასეთ ვითარებაში საბჭოთა არმიის ჯარები, მათ შორის მსროლელი დივიზიის მეომრები, სწრაფი კვეთებით წინ მიიწვედნენ... მის ერთ-ერთ მსროლელ პოლკ მოუღოდნენ და წინ გადაეღობა მძლავრი საცეცხლე საშუალებებით აღჭურვილი მტრის დიდი კოლონა. გახალდა მამფრი ბრძოლა მოწინააღმდეგის რიხობობრივად უარბი ძალების წინააღმდეგ. უთამასწორი ბრძოლაში ძალები თანდათანობით ელვადათ. გაცოფებული პიტლერელები ვიწროულთა გამაგებით ავიროებდნენ რკალს მამაცი საბჭოთა მეომრების ვარშემო, პიტლერელთა ბინძური ხელები წინ მოიხრათეზ ბილდნენ, რათა მხეცური გაბორბტებით ხელთ ევლოთ პოლკის დროშა. მაგრამ მათი ხელი მოკლე აღმოჩნდა, მათი ძალა უძლეური აღმოჩნდა ასეთი ბორბტების ჩასადენად, რადგან ამის ნებას არ იძლეოდა მამაცი და ამაცი საბჭოთა ჯარისკაცი.

— ეს არ მოხდებამ! — მოისმა პოლკის მედროშის, პირველი ჯარისკაცის, კომუნისტის გოგვიანიშვილის ძახლი და უმალ იელვა სხვიმოისლმა პოლკის დროშამ. ამ ელვარებამ გაათრეცა საბჭოთა მეომრების ძალები, რადგან საბრძოლო დროშამ, და მოწოდებამ — „ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის“, საბრძოლო აღტკინება გაასცეცა. საბრძოლო დროშის გადარჩენა ჯარისკაცური მამაკობისა და თავდადების ნიშნული იყო და აქ გამომჩენილი გმირობისა და მამაკობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის, ზემდევი ნ. გოგვიანიშვილის ახალი საბრძოლო წარჩინება მაღალი საბრძოლო ჯილდოთი — „დიდების“ ორდენით აღნიშნა მადლიერმა საბჭოთა სამშობლომ.

გმირი მუდამ ბრძოლის ველზე იყო, ცეცხლში ტრიალებდა, თავისი წვლილი შექონდა მტრის განადგურების დიდ სახალხო საქმეში. ამ შიშიმ ვითარებაშიც, სანგრებსა და ბლინდაებშიც არ ავიწყდებოდა მას თავისი ოჯახი, ცოლ-შვილი, პატარა შვილიშვილი, ახლობლები და ამხანაგები. ბრძოლებს შორის ნახულებდა დროს, რომ ნაჩქარევად დაეწერა წერილი და მეტელისათვის

გამოვგზავნა, მოკლედ მოეთხორო ფრონტის ამბები და გაეგო ოჯახისა და ნათესავ-შეგობრების შესახებ. ეს სამეფთხა ჯარისკაცური ბარათები მოკლე იყო, მაგრამ ბევრის მოქმელი, თავისი სიმზნევითა და პატრიოტული სულისკვეთებით ძალებს მატებდა და გამარჯვების რწმუნას განუმტკიცებდა ზურგის შრომელებს.

1945 წლის გაზაფხულზე ბრძოლები პიტლერული გერმანიის ტერიტორიაზე წარმოებდა. ახლოდებოდა ფაშისტთა აღსასრული. საბჭოთა ჯარები მკაცრი და შეუპოვარი ბრძოლებით პიტლერულთა ბუნაგისაყენ — ბერლინისაყენ მიიწვედნენ. მიუხედავად იმისა, რომ ფაშისტთა ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, ისინი განწირულთა გაათრებით წვედნენ წინააღმდეგობას. ბერლინისაყენ მიმავალ გზებზე გერმანელები გაცოფებულ წინააღმდეგობას უწევდნენ ჩვენს შემტევ ნაწილებს. ამ ბრძოლაში პიტლერელებმა ბევრ ჯარს და საომარ ტექნიკას მოუფარეს თავი, დედამიწა ჯარითა და ტექნიკით იყო საესე, ხოლო ზეცა თვითმფრინავებით დაფარული. ორმხრივ მძაფრ შეტაკებაში იწოდა მიწა, ნადგურდებოდა ტექნიკა, იღვრებოდა სისხლი, ვეცემოდა ადამიანი. „მესერშმიტები“ მიზანზე თუ უმიზნოდ ყრიდნენ ბრძოლის ველზე ასეულთა ბოთლს სიკვდილის მთეს ყუმბარებს. ამ დაბომბვის მსხვერპლთა შორის იყო გმირი ადამიანი, მამაცი მეთაური ზემდევი ნ. გოგინაიშვილიც... პიტლერის გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციამდე 25 დღით ადრე, 1945 წლის 14 აპრილს, ბრძოლაში მამაცთა სიკვდილთ დაეცა

ნაცალი კომუნისტი და მეთაური ნიკ. გოგინაიშვილი.

დიდი პატივისცემითა და მოწიწებით მოასვენეს გმირის ცხედარი მოქმე უკრაინის დედამიწაში — კიევი. ხალხმრავალმა სამგლოვიარო პროცესიამ მიაცილა სამშობლოსათვის თავდადებული მეთაური ძმთა სასაფლაოზე, გულში ჩამწვდომი გამოსათხოვარი სიტყვა უთხრეს და მეთაურული პატივისცემით მიიბარეს საიანეში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე 1951 წლის 10 იანვარს გმირის ნიკოლოზ გოგინაიშვილის მეუღლის სახელზე გამოვგზავნილ წერილში წერდა: „საბჭოთა სამხედრო სარდლობის ცნობით, თქვენი ქმარი ნიკოლოზ ივანეს-ძე გოგინაიშვილი მამაცთა სიკვდილთ დაეცა საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლაში.“

გმირული თავდადებისათვის, რაც თქვენმა ქმარმა ნიკოლოზ ივანეს-ძე გოგინაიშვილმა გამოიჩინა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 13 დეკემბრის ბრძანებულებით მას მიენიჭა წარჩინების უმაღლესი წოდება — საბჭოთა კავშირის გმირების წოდება.

შესანახავად გიგზავნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელს თქვენი ქმრისთვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ, გმირი ქმრის ხსოვნის უკუდავსაყოფად, რომლის გმირობა მუდამ ემშობს ერება ჩვენს ხალხს.“

მთელ საბჭოთა ხალხს, მუდამ ემშობს ერება თავისი მამაცი და თავდადებული შეილები ნათელი სახე.

ეთერ რაზიკაშვილი

ცოტა რამ მამაჩემ-ბიძაჩემებზე*

ბევრი რამის თქმა შემიძლო, მაგრამ ამ-
ჯერად ესეც კმარა, მხოლოდ ვიტყვი, რომ
მასწავლებლის პირადი ცხოვრების მავალით,
საუბრებით, წაკითხვის მოსმენით, თავის
ცხოვრებაზე დაკვირვებით გლახები მართლაც
ხედებთან, რომ ვინც არა შრომობს, მან არც უნ-
და ჰქონდეს, რომ უსწავლელ კაცს ყველა იტყუებს
და ადვილად, რომ „სწავლა სინათლეა, უს-
წავლელობა — სიბნელე“ და ბნელით ყველა
ბოროტი ადვილად სარგებლობს. მასწავლებელი
ხომ ყოველ წუთს ამას ჩასახოდა: სწავლა რომ
გვქნებათ, ბრძოლასაც უფრო შესძლებთო.
ბევრი ახალი რამ გაიგონეს მათ მასწავლებლი-
საგან. მათთვის ჯერ ასე აშკარად არაფერს
უთქვამს: „მშობა, ერთობა, თანასწორობა“, და
სხვა მრავალი. ამასთან ერთად ისინი აშკარად
ხედავდნენ, რომ მასწავლებელთან ბევრი უცხო
აღმართი დაიარებოდა. მათ მოჰქონდათ სხვა-
დასხვა ნაბეჭდი საეჭვო წიგნები და ფურც-
ლები და ავრცელებდნენ სოფელ-სოფელ. „მიწა
მიწის მუშას, ძირს თვითმპყრობლობაო“, —
ეწერა ხოლმე იმ ფურცლებში. რუსეთის მეფის
ამბებელი მოსდოდათ. ერთხელ მღვდელი გაპო-
ნიც ახსენეს.

ბევრს ესთამოვნებოდა მამაჩემის ასეთი მუ-
შაობა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელთაც არ
მოსწონდათ და, ეტყობოდათ, მიუბრუნებ-
დნენ ამბებს „ბატონის ქალებს“, ვისთანაც ბინა
ჰქონდა დაღებულ ხელისუფლების სხვადასხვა
წარმომადგენელს — ზაფრიდან დაწყებული გენ-
ერალამდე. „ვინც არა მუშაობს, არც სჭამს“
ხომ პირდაპირ იმით ეხებოდა. მამასაღამე, ეს
ვიღაც ფშვაველი ყოველთვის ყურადღების ცენ-
ტრში უნდა ჰყოლოდათ და, რაც შეიძლება,
შეტი მასილი დაეკრებინათ მის ასაღამად.
აბუბა, იშვდიცა ჰქონდათ, მალე ნატერა აგვის-
რულდებო.

თელ დედლადავად მუშაობს. მუშაობს, მაგ-
რამ მარტო ჯამაგირით რას უნდა ვახდის?! მიწა
მას არა აქვს, სახლი და კარი. ყველაფერს ამას
კი ფული უნდა! ფშვადან მას არა მოპოვოდა
რა. სკოლის ნაკეთს, მართალია, ამუშავებდნენ,

მაგრამ იქ ვანა რამდენი მოვიდიოდა, მოსწავლე-
ებსაც რომ ჰყოფნოდა ისინი მასწავლებელთან
ერთად მუშაობდნენ, თანაბრად თუ არა, ნახე-
ვარს ხომ მაინც ციურ მანანასავით ელოდნენ
თავიანთი შრომის ნაყოფისაგან. მასწავლებელ-
საც უნდა რგებოდა რამე, თორემ მას ხომ
სხვა საარსებო წყარო არ გააჩნდა. ჩარგლიდან
არაფერს ელოდა. უბედურებას კი უბედურება
მოსდევდა. პირველ წელსვე მშობლები დაეხო-
ცა, ძმებს კი თავთავიანთი ოჯახი ჰქონდათ შე-
სანახი, მამის სიყვდილის შემდეგ ნარგები: მისი
კვრახი, მისივე ჩიბუხი, ერთი ხალიჩა და სპი-
ლენძის ქვაბი წმიდათაწმიდა ნიუთებელ მიარნდა
და მათი ვაყიღვა — დანაშაულად. მაგრამ, იო,
ერთი ბაზა ცხენიც არგუნეს, ვინალო იმას
როგორმე გამოეყვანა გავირვებიდან. აბაათ,
ახნაურმა იაშვილმა (სოფელში რომ „სამხანა-
ხას“ ეძახდნენ!) იმითმე დაადგა თვალა თედოს
„რაშს!“ ფიქრობდა, მასწავლებელს თავისთვის
არა აბადია რა და ცხენს რა უნდა აკომოსო?
მით უმეტეს, იცოდა, თელ მიწის ნაკრისთვის
სულს არ დაზოგავდა. იაშვილს ერთი კაობიანი
მიწის ნაჭერი ჰქონდა (რამდენი ძროხა ზახრ-
ნობიით იქ მენახირებებს), და ფიქრობდა, იქნებ
რამე გამოვიდესო.

დაიძრნენ შუაკაცები ჩვენი ოჯახისკენ. მალე
საქმე გაიჩარხა. იაშვილმა ცხენი მიიღო, მამამ
კი მიიზომა ერთი დღიურის ოდენა ბაყაყების
ბუდე, ლელიანი ჰაობის ნაჭერი.

— ჩვენი მასწავლებელი ან სულელია, ანდა
ძალიან ჰყვინოა, — ამბობდნენ მეზობელი
გლეხები, — თორემ, რად უნდა ეს ციებ-ცი-
ლების ბუდე ჰაობით?!

თედომაც დიდხანს არ ალოდინა დაინტერესე-
ბული პირები და დაიწყო ჰაობში ლელის გა-
ჩეხვა და რუბლის თხრა. აწყაყებული წყალი
რუბში გადაიყვანა, რუს პირებზე და ნაკვეთის
გარშემო დარგო წყლის ამოსაშრობი ტირიფი
და ყვითელი მანეული, რომელიც მალე ორნაი-
რად გამოადგებოდა: როგორც ცოცხალი ლობე
და როგორც საწვავი მასალა: ყვითელი მანეუ-
ლის წნელი კი გოდრებისა და ლსტების საწ-
ნავად იყარებოდა. ჰაობის წყალი მალე რუბში
ჩააწრტა და ახლა საჭირო იყო მისი დანაყ-

* გაგრძელება. იხ. „მშათობი“ № 7.

ლებს. სოფელში ყოველ ნაბიჯზე პატრიის ზეინები იდგა. თუკი ვინმე გაუზიდავდა, ის ჯამაგირის დროს გაუსწორდებოდა და მადლობასაც ვერცოდა. სოფელლებიც კმაყოფილები დარჩებოდნენ: ამოდენა ნევხე ყრია წლობით და, თუ გაასაღებენ, ეს ზომ მთლად უკეთესია. სოფელი ნევხისაგან განთავისუფლდა, თედოს ქობიანი მიჰყო გაპატრედა და გასქდა.

ოჯახში მას საკმაო შრომითი ჩვევები ჰქონდა მიღებული. სემინარიამ კი ბაღის მოვლა-მოწყობა ასწავლეს. მხოლოდ საჭირო იყო ნაწყვენი ნერგების მოვლა, ნაწილი თავისმა ყოფილმა მასწავლებელმა და დიდმა მეგობარმა ნიკოლოზოტრმა უშოვა იასე და ანტონ ფერცელაძეების სანერგოდან. ნაწილიც ახალმა მეგობარმა ასეც ერისთავმა გამოუტანა თავისი ბიძაშვილის — მ. ერისთავის ბაღიდან.

ამრთავად, მზად იყო ერთი დღეური ბაღ-ვენახი. სამაგიეროდ ქობიანი აწყალებულ წყალში დგომამ და შრომამ მას დამალი ციებ-ციხებზე შექარა და მთელი ექვსი წელიწადი იავადყოფდა. მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა, თავს არა ზოგავდა და ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო აუმჯობესებდა როგორც ხილის, ისე ვენახის და მოსტნეულის ხარისხს.

თედო განუწყვეტლავ შრომობს: ასწავლის, იწერს გაგონილს, წერს თვითონ, შრომობს ფიზიკურად, ვალითა და ვახშით იძენს საკარმიდამო ადგილს. თუკი ამ ბაღიდან მოსავალს მოესწრება, შეიძლება სახლის საძირკველიც ჩაყაროს. ყოველთვის ზომ სკოლის შენობაში არ იქნება! მაინც შესაძლებელიც ვახლებს თვითველ განყოფილებას თავისი ოთახი ჰქონდეს და სწავლავ უფრო ხარისხიანი გამოავა! მიიღე სარგებლიანი ვალიც კი წამოიღო, მაგრამ — მეზობლებისა და მეგობრების დახმარებით, სახლი მაინც აიშენა.

მოკეთებთან ერთად თედოს მოშურნეებზეც ჰყავდა. მართალია, იმათი რიცხვი თითებზე ჩამოითვლებოდა, მაგრამ მაინც საკმარისი იყო, რომ მისთვის ზიანი მიეყენებიათ. მათ არ მოსწონდათ მასწავლებლის ასეთი შრომა და ხალხში თავისუფალი ლაპარაკი. ეს სახლი და ბაღი ზომ მთლად თევზას უქარგავდათ. ვიღაც ვადამთიელმა ფშაველმა რამდენიმე წელიწადში ბაღიც გაიწერა და სახლიც აიშენა. და გადასწყვიტეს მისი გამწარება. „ამ ფშაველს“ ნაშენები შეიღავით უყვარდა და თავს დახმარობდა. აი საიდან შეიძლებოდა მისი გულის მოკვლა! და ერთ ღამეს ბაღი დაუზოგავად გადაჩებეს. გადაჩებავიც იყო და თედომ, ვინც იყო (ბატონიანთ ყურმოჭრილი ყმა და, თანაც — ლოთი და უქნარა). ერთი ბოლოდი არაყით ყველაფერს გააკეთებინებდა. მაგრამ მამის ესეც არ აკმატრეს და ერთი კვირის შესული არ იყო საკეთარი სახლში, რომ თავს პოლიცია დაეცა. იმ

დროს ჩვენსას იყო ბიძაშვილი ვაჟა-ფშაველა.

ექვს წლამდე — ვაჟა-ფშაველას რჩინების — სულ არ მახსოვს. ის ვიცი მხოლოდ *რაჭოვარ ქაჯანა* — ზედა ზოლზე მამანქმით თავის შრომებზე, მშენებელი ვიორის, ლუკას, ბაჩანას, სანდროს, გვიციხხევა მათ ნაწერებს. მათი წერილის მიღება ზომ ზეიმი იყო ჩვენს სახლში.

პირველად ბიძაშვილი ვაჟა-ფშაველა ჩემს ხსოვნაში აღიბეჭდა მაშინ, როდესაც გველირსა სახლის დამთავრება და მამანქმს მშენებ — ვაჟა და სანდრო ეწვივნენ მოსალოცად. სანდრო მეორე დღესვე წავიდა, ვაჟა კი დარჩა, როგორც ეტყობოდა, კარგაზანს დარჩებოდა და იმუშავებდა. მამანქმს უკვე ოთახიც ჰქონდა მოშენებული იმისათვის, მაგრამ ჩავეშხამდა, როცა ღამით პოლიცია დაგვესხა თავს და მოყვია ზსრეკას. სახლში ყველა აფორიაქებული ვაჟა-ვით.

უეცრად ერთმა პოლიციელმა ბუხრიდან ნიკოლოზ II-ის სურათი გადმოიღო, რომელიც თურმე თავდაფირა იღო. გადუცხლებული პოლიციელი გააყვიროდა.


ამაზე ვაჟამ თავისი დინჯი ხმით რაღაც წარმოთქვა, რის გამო პოლიციელი სწრაფად მიუბრუნდა და შეეციხა: — რა თქვი? ვაჟამ უპასუხა: ყრუებისათვის რაჯერ არა რეკავენო, და სანამ პოლიციელი რამეს მოიფიქრებდა, გავიდა მეორე ოთახში.

მე მაშინ არც რუსული ვიციდი და ვერც კარგად მივხვდი იმ სიტყვების მნიშვნელობას, მაგრამ მამანქმით დაპატიმრებული რომ წაიყვანეს, ეს კი კარგი ამბავი არ იყო, ვაჟაც მეორე დღეს წავიდა და დედამჩემს დაუბარა, ოჯახს უშეშობა არ დაანჩოდა.

შემდეგ, მშენების ლაპარაკის და სიცილის დროს გამოირკვა, რომ ბუხარში შენახული ნიკოლოზის სურათის დანახვისას ვაჟას უთქვამს: „У всякого вещи свое место!“ ბაჩანას დაცინებაზე; რა ვაჟაკი ხარ, პოლიციელმა დააფრთხო და მეორე ოთახში დამალე, იღბათ — დონ კიხტი ვგონე, არა ჰკვეხარ თუ რაო! — ვაჟამ მხოლოდ გაიღიმა და უპასუხა: — განა დაგავიწყდა, სადაც არა სჯობს გაცლა სჯობს, კარგისა ვაკაცისაგან, განა უკეთესი იქნებოდა ენდარმს ჩავეარდნოდი ბრძოლა.

ბუხარში თავდაფირა დაღებული ნიკოლოზის სურათი კმაროდა მიუხედავად, რომ დიდი ხნის სურვილი შეესრულებინათ და სოფლის მეამბოზო მასწავლებელი საციმბიროდ გაემზადებინათ, მართლაც არ დაუყოვნეს, დაპატიმრეს, და ხელ-ფეხში ბორკილგაყრილი, ფეხით ციმბირისკენ გაამგზავრეს 13 წლის ვაღით.

მაგრამ მამას 1905 წლის რევოლუციამ მოუსწრო და მანიფესტით ყაზანის ციხიდან უკან დააბრუნეს. ეს ამბავი მამას აწერილი აქვს თავის ერთ-ერთ დაღებულე მოთხრობა „ყოჩაღანი“. რაკი მოთხრობა ამ დრომდე გამოქვეყ-



ნებული არ ყოფილა, ვსარგებლობ შემთხვე-
ვით, და მოგვეყვს მთლიანად.

უო რ ა ნ ი

„ჩვენ ექვსნი მივდიოდით. ოთხნი ჩვენ და ორიც ახლადშემოგრთებულნი. ყველამ იცოდა, რა პანაკეც ევეუთვნოდით და სადაც ვიყავით გაგზავნილი. ხოლო ის ორნი გერ უცნობნი იყვნენ. მათი გარეგანი შეხედულება გამოქრე-
ბინებდა, რომ ისინი უფრო იმით ეცუთვნოდნენ, ვიდრე ჩვენ. მივდიოდით ჩემათ, ხმაამოუღლებ-
ლად. სინამდის მიზენი ყველას კარგად გვეონდა შეგნებული და არ უყოყნებდით ერთმანეთს. ჩვენ ყველას ერთი ღარი გვეონდა: გამოურ-
ვეველი და მღელვარე ღრო იყო. ყველა რაღა-
ცის ელოდა შინით და სიხარულით. ბევრს შევხედებოდით ფანატისს, წინანდელ წინას-
წარმეტყველებივით მორწმუნეთ. იმათ ეს მღელ-
ვარე ღრო უკვე განველოთ და ახლა ნაყოფს იშკიდნენ და ხალხთა შორის ასამაგისტდნენ. ბევრი ფიცხი და დაუდევარი დაუდევრად და-
სერიანობდა და თავის აზრებს ხმამალა ელაპა-
რაკებოდა მობასეებს, რომ ყველას გაეგონა. ის ყველაფრით უკმაყოფილო იყო, არავინ აკ-
მაყოფილებდა, ყველას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა.

იყვნენ შეტისმეტი ფრთხილნიც. შინი ინს-
ტიტუტრად ჩისკევიროდა ყურში სიფრთხილს. იმათ იმდენი ძალა და ენერგია არ შესწევდათ, რომ აშკარად ებრძოლათ. იყვნენ შრავალნი. ღრო მოდიოდა და იმათ ჩენიც ეშინოდათ და იმათიც...

მივდიოდით, ხოლო გულში შინი გვეპარე-
ბოდა. — იცი, — მოხსრა ჩემმა ამხანაგმა, — მოდი, გზა გამოვიცვალოთ, თორემ ჰაერი როგორღაც შიმშიდება, სახლები და ხალხი მღუ-
მარებს მოუცავს და რაღაც მიზენზეა სიფრთხი-
ლისათვის. უცებ ფრთხილს ტელაშენი მოგვეს-
მა. მე შევკრთი. გულმა კანკალი დამიწყო. შე-
შინებულმა აქეთ-იქით დაიფრეც ცქერა.

— რა იყო, რა მოხდა? — შეკითხებოდნენ ამხანაგები.

მივდიოდით და კისერში ცხელი სულისქცე-
ვას ვგრძნობდი, ტანი მეჭინჭრებოდა, აქეთ არავინ ჩანდა და იქით.

უცებ თვალი დამჩნა. ჩვენს თავზე შავი უორანი ურანტალით მოფრინავდა.

— ურანი ურანი — ზღუოდა საზარლად უორა-
ნი. — შშია, შშია!

ჩემს ამხანაგებს თავზე თმა აეშალათ. შეე-
ტყვე, შეშინდნენ. თვალს ვერ ამორებდნენ შავ უორანს.

— რას ამბობს? რა, შშია? ჩვენ რა, რომ მაგას შიოდეს!

გერ ახალგაზრდები იყვნენ, არ ენახათ, თუმ-

ცა გაეგონათ კი, რომ უორანი კაცის ლეშს სქამდა! ჩვენ ბევრჯელ ვეიცლიამყრდნენ სქამ-
ტის გემო. ბევრი გემრიელი ლეშმა მარცხველსა-
ჯია ჩენი სხეულიდან. ბევრი ჩენი ამხანაგი გამოსრა წყველმა.

— წაიდიეთ, მივერიდოთ, — იყინებდნენ გამოუღდენი. ის კი არ იცოდნენ, რომ ჰე-
რივთ ყველაგანყოფი იყო უორანი. შორი-
დნევე ივებდა თავის მსხვერპლის სუნსა.

სიცოცხლის ინსტიტუტი კაცში დიდია. მიზანი კაცისა სიცოცხლეა და დანახრენი ურველოვე ისე უნდა მოეწუოს, რომ სისამოვნო იყოს, ხოლო ბევრჯელ სიყველი საჭიროა სიცოცხ-
ლის გასამშვენებებლად.

შშია! შშია! — ყრანტალივებდა უორანი. მე უნდა კაცის ლეშით ვაეღუ-
თქვენ, ვიცი, ახალი მოძღვრების მოცემულები ხართ, გინდათ ყველა კმაყოფილი და ბედნიერი იყოს, რასაკ-
ვირველია, მაღარიც. მე კაცის ლეშს შშია. მო-
კედები უმისოდ, რომ არ ვეპაიო. მაშინ მეც მართალი ვარ, როცა კაცის ლეშს ვჭამ, ამა-
მაშ შინშილით ხომ არ მოეკედები! აი მეორე ჩემი ამხანაგი: იმას სისხლს სწყურია თქვენი, ის მოსისხლეა, კაცის დაუნდობელი. მე რა ვარ? არაფერი, შშია! გუდა, რომელიც უნდა აიე-
სოს და ვინ დასდევს, გინდ დამპალი ლეში იყოს, გინდ თქვენისთანა ახალგაზრდების ზორცი. ის კი, უმ, რა საზარელია, როცა კაცის სისხლ-
სა სერებს. მე თვითონ შეზიზნება ხოლმე, შშია-
რავს და თავზარსა მცემს.

ჩვენ გზას განვაგრძობდით. უორანი ბედის-
წერისავით თანა გვედვდა. დადგებოდით, ისიც სახლის სახურავზე ჯდებოდა. მოპყვებოდა ქვევას, ვითომ ჩვენ დაეაიწულებოდით, მაგრამ შეგვატყობდა თუ არა, რომ ჩვენ გვიდოდა თავის დაძვრენა, ისიც მზად იყო.

— ურანი ურანი დიჯერეთ, ყმაწვილებო, მე თქვენთვის მუდო არ მინდა. ჩემი გამომგზავნე-
ლი ძალთან მინდობელი დავრჩებათ, თუ თქვენც ჩემსავით კაციქამაობას დაიწყებთ. ყველა ხომ თანაბარი არ არის ქვეყანაზე. ყველა ხომ უკმა-
ყოფილებას არ გამოთქვამს. ბევრიც კმაყოფილი ნაგავში ნამცეცების ქენით. ერთი ფრთხილანი ლეშმა რომ იშოგოს სადმე ნაგავში გაყოლოდი, ის სიხარულით ყვირის: იყვენ ეგერი, რა მე-
ნაღლეუბა, ვჭამოთ ჩვენ მათი ლეშა. დარწმუ-
ნებულთ იყავით თავისივე სხეულის ლეში რომ ჩაუღოთ პირში, უთბრათ, ქამეო, ის შორი-
ლებით გაიღიმებს, არ გაწყვინებს. თქვენ სხვა ხართ. გღუენით იმტომ, რომ გვეშინია თქვენი. მაშინვეს თქვენს სხენებაზე კანკალი აიტანს ხოლმე.

ურანი ურანი ჩემი ფიქრი ნუ ვაქვთ. მეც თქვე-
ნი ძმა ვარ. მეც უკმაყოფილო ვარ, რადგან შშია. შშიალის მოსაკლავად ჩვენს თავს რამ-

დენჯერ ვადებთ საფრთხეში. ნუ გეშინიათ, თქვენ თამამად განაგრძეთ თქვენი გზა. ახლა ყველა პატროსანი კაცი შავ გზას ადგია. თქვენ ხომ თქვენი თავი მარტოცა არა გვინათ!

ასე გულში გვიძვრებოდა ყორანი, უნდოდა ჩვენც გვეთქვა რაზე. ხედავდა, უბაზრონი ვიყავით, უმწიონი და ცარიელი ხელი გვექონდა ჩვენს მშველად და მფარველად. აგერ ერთი მხრისაკენ მიისწრაფიან ყორნები. სათითაოდ. ზოგიც წყვილ-წყვილად და უფრო მეტიც კლან-ქმებაგაშლილი და რაღაცის ნისკარტებგაღებულნი მიეხვივნენ. საბრალო მსხვერპლი ვინ იცის, ჩვენ როდის მოგეშველებთ. მივაჭკარებთ ფეხს.

ციხე სამარის სუნი სულ გვიხუთავდა. თვით ყორანს ლეშის სუნი ასლიოდა. — თა, თა! — იძახდა შშიშარა, გამოუკრეკავი. მკლავს ლეშის სუნი, გული მიმდის. გავეცალეთ ამ გოგონების მოციქულს. ამის მეტი აღარ შემიძლია.

ჩვენ გზას გადავუხვიეთ და ყორანს მოვერიოდით. მალე მჯდომარე ყორანი მობრუნდა, იუდასავით ღიმილმა გადაჰკრა სახეზე, ნისკარტი გააკაშუნა, აფრინდა და ქალაქს ჩაუბრა. არც ის გრძობდა უშეშრად თავს. ბევრით ჯერ ისევე ჩვენი სჯობდა. გეშინოდეთ, უბადრუტო!

მონადირე განგებ იყო იმათზე სანადიროდ გამოსული. — ეი, ყორანო, სად მიფრინავ? ვეღარსად წამიხვალ! — ამბობდა წითელ ხალაში გამოწყობილი ახალგაზრდა მეთოფე. — უნდა კლანჭი და ნისკარტი შევეშოყლო შავათ, უნდა შევათხოლოთ შავათი რიცხვი. საწყალი მსხვერპლი, ყორნებისგან ნაწიწენი და ნაწამები, რომ ნახავს თოფიან ბიჭს, ყორნის მოსაყლავად გამოქანებულს, თვითონაც სული ჩაეღვმის, წინაღმდეგობის გრძობა გაიღვიძებს მასში და თვალდახუჭვით აღარ მიუშეკრს გულს ყორნის ნისკარტს საწიწენივად. ის იმედიადად დაიწყებს ცქერას იმ მხარეს, საიდანაც თოფის ქუხილი ისმის და ყორნის მომავლადვი ყრანტალო.

ჩვენ მივდიოდით და ეჭვრჩეულებდით. უცებ ყოიანი შემოგვესმა. ქუჩაში ხალხის ბრბო გამოჩნდა.

— გამიშეთ, ერთი თავი წაველიჯო, — ყვიროდა ვაცოფებით ერთი.

— უნდა ყელიდან წამოვადინო ჩემი ძმის ხორცი, ჯერ ისევე დაუღუპავი უჭირავს პირში.

— მანვენეთ, მანვენეთ! — იმუღარებოდა ერთი თამაგაშლილი ქალი. — ჩემი დის სისხლი მაგაზეა ჯერ ჩემგან აუღებელი!

მონადირეს ჩაექვიდა კისერში ხელი დაჭრილი, მხარმოტეხილი ყორნისათვის და დროდადრო მალა აქნევდა, რომ ხალხს დაენახა.

კაცის სისხლით მოსვრილი კლანჭებითა და ნისკარტით, დაჭრილ ყორანს თვალები დასწითლებოდა, კლანჭებს ფარჩხავდა და ცდილობდა

ბლა მონადირესათვის მოეხვედრებინა, რომ ყელში წაჭერილი ხელი მოეშორებინა.

ყორანს სულაც არ ეტყობოდა, რომ მხრისაკენ მისწრაფებდა და ხორცისმკამელს შებრალება აღარ ეღიარებოდა კაცთაგან. თითქოს იცოდა, რომ ბოლო ეს იყო. ჩვენ ვიცანით ჩვენი თანამგზავრი ყორანი. იმანაც დავეინახა და უფრო ძალიან გაიფთხრიალა, თითქოს ნანობდა, რა გამოუძღვლი ლეშები წამივიდნენ ხელიდან.

ხალხი კი ყოიანს აყრიდა და წაველა-კრულვას უგზავნიდა. (1905 წ.)

როგორც ვთქვით, ერთი წლის ციხეში ჯდომის შემდეგ, მანამდე პატიმრობიდან დაბრუნდა. სახლს ისევე გავივსო პროპაგანდისტებითა და რაზმელებით, მხოლოდ ახლა უკვე აღარ იმალეობოდნენ. აშკარად გამოდიოდნენ სოფელში, აშკარად ელაპარაკებოდნენ და უხსნიდნენ ხალხს, რისთვის იბრძოდნენ ისინი და რას მოითხოვდნენ მათგანაც. ასეთები იყვნენ ხალხის წიაღიდანვე გამოსული დათა ბერძენი, კოლა კირბალელი, ფედოა ზერტელი, ლადო ათუაშელი და შაქრო ხელთუხელი (გავხსნე). იმათი გვარები მაშინ ჩვენ არ ვიცოდით, აღნივ, მალაყდენ, ბავშვებია და არ წამოცდეთო, — გარდა შაქროსი, რომელიც დიდბაჩის ქმარი იყო და პირადადაც კარგად ვიცნობდით. სოფელი გამოცოცხლდა. გაისმა შემახილები: „გაუმარჯოს ერთობას, ძირს ბატონები!“ დაიბრა მარსელიოზის კანგები და გულს მალამოსავით ეღებოდა მისი სიტყვები: მღეროდა დიდო და პატარავ

აღსდევ, შშიერო, წამებულნო,
მშროშენო ყველა ქვეუნისა.

ჩვენი ხელთუხანი ჩაება რვეოლუციის ფერხელში.

ერთ დღეს რაღაც არჩვეულბერივი მოძრობა და მზადება სოფელში. ყვეილებით და წითელი ქსოვილებით რთვენ გზას. ყველა ფაციფუტობს. მეთოფრი, რასაკეირველია, მამანეშია. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იკრებება და მალი-მალ გზისკენ იუტრება. ჩვენი სახლის წინ, კაცლის ხეებს შორის გაკრულია წითელი ქსოვილის ნაჭერი წარწყითი — „გაუმარჯოს თავისუფლებას!“ უცბად გაისმა: „მოდან, მოდინო!“ ჩვენ, ბავშვები, როგორც ყვეელთვის ხდება ხოლმე, ყველაზე წინ მივქრით შესახვედრად. აგერ მოგრიალეებს ექვნიებიანი ეტლი. ეტლიდან მონანს ყაყაოსავით წითელი ბაიარალი. ეტლში სხედან ძველი ნაცნობი ავიტატორები. მისულეებმა გადმოიღეს აბრეშუმი წითელი ღროშა და გადასცეს მამანეშს, რომელიც მოწიწებით ემზობა სანატრლო თავისუფლებების სიმბოლოს და დაიწყო მიტინგი. „გაუმარჯოს ერთობას“.



„გაუმარჯოს თავისუფლებას“, „მიწა მიწის მუშას“ გაისმოდა აღტაცებული შემახილები. გვიანობამდე არ დაშლილა ხალხი.

მაგრამ დიდხანს როდი გაგრძელდა ეს ბედნიერი დრო. რამდენიმე დღის შემდეგ გაისმა: დამსჯელი რაზმები მოდიანო. მართლაც, შორიდან ქუხილივით მოდიოდა ურე გრუხუნები და თავხარსა სცემდა უველას, წითელრაზმელები გაუჩინარდნენ. ჩვენს ბაღში თუ შეეხვდებოდით ზოგჯერ სადილის ჩატანისას, თორემ აღარავინ ჩანდა. ერთხელ მამაჩემი სახლის უკან ბაღს ბარაღად. უველად თავს ორი კახაი წამოადგა და უბრძანეს, გამოგვეყვირო. დღეაჩემს დენახა და სასწრაფოდ ევენანო გავგვზავა წითელრაზმელებთან, რომლებიც დაუყოვნებლივ მამაჩემთან გაჩნდნენ. ამ დღეს კი უველა გადაჩა, მაგრამ საჭირო იყო გარიდებოდნენ სოფელს. მოვიდა ამბები: წითელრაზმელები დახოცესო. მეგჯობისხევეში მოჰლეს ათლაშვილი, კოლა კირბაული ცხენს გამოაბეს და ისე თრევიტ ჩაიტანეს გორამდლა. დათა ბერაშული დაიპირეს, დანარჩენებსაც ეძებნო.

მამაჩემმა და მისმა ქვისღმა — შაქრო გაგნებამ გადაწყვიტეს მიშალუღაყენენ. მამაჩემი წავიდა ფშავში, თავის ძმებთან, მიუვლად ჩარგლისკენ.

უანდარმერია გაფაციცებით ვძებდა და იჭერდა უველას, ვიხედავ კი ოდნავი ეჭვი ჰქონდა. თეოდზე კი ვანა ცობა ფაქტები აქვთ? მისი გამოსწორება მხოლოდ ფიზიკური მოსპობით შეიძლება! ამისთვის ბევრჯერ ღამითაც კი დაეცნენ მის ოჯახს, მაგრამ თედოს ასავ-დასავალს ვერ მიაგნეს. მაშინ ჩვეულ ზერხს მიმართეს: 1906 წლის 22 იანვარს დაუშინეს ზარბაზნები ჩვენს სახლს, მერე ცეცხლი წაუთქადა და მთლად გადაბუფეს. ჩვეს კი წინასწარ შეგვატყობინა მეზობლებმა, დამსჯელი ჯარი მოდის და გამოდით სახლიდანო.

ოჯახიდან ოჯახში გადაყავდით მეზობლებს. ერთხანს სამადლოდ პურს გვაჭმევდნენ, სანამ არ მოგვივიდა ამბავი, გორში გიბარებდნო.

ჩავედით ჩვენს მამიდაშვილ მიხა რაზიკაშვილთან. იქ დედამს დახვდა თედოს წერტილი „უფას გამოჰყვეთო“.

მიხა მცხეთამდე წაგვიყვანდა მატარებლით. იქ კი ვფა-ფშაველა გვიცდიდა ცხენებით. უჰ, რა სინტერესო იყო! ჩვენ არც მატარებელი გვინახავს მანამდე და ცხენებით ხომ საიდან ვისეირანებდით!

მცხეთაში ღამით ჩავედით. რა ღამაში სადგურში იყო და რა ღამაში ჰრეღკრეღო ღარინაკები ეწყო. ისეთი ღამაში ხომ ჯერ ჩემს სიკოცხელში არაფერი მინახავს. მაგრამ რა გრძელი და ცივი ღამეა! ეს ღამაში ღარინაკები რომ ღრა, ისე რა გაათუნებდა ამ ქალაქია ღამეს!

საერთოდ სიტყვაქმუნწი ბიძაჩემი ცდილობდა ჩვენს გართობასა და ვახარებას. გვიამბობდა სხვადასხვა ამბავს. ფოჩინის კამფეტუნებზე გვერქვდა. ვუგელისა და ნინოს, როგორც პატარებს, მამალებოდა, რომ ჩარგალში დაგვეხვდებოდა მელია კვლეგრძელია, რომელსაც კუდი სულ ბეჭდებით აქვს მოჭედილიო. თანაც, თუ კარგი ბავშვები იქნებით, კდევე ვილაცს გაჩვენებთო. ეს ვილაც თურმე მამაჩემი უოფილიყო. მე უფრო მოზრდილი ვეყავი და ეჭვი მემარებოდა, მაგრამ ჩემს უმცროს დებს სჯეროდათ ეს ამბავი და მოეთმენლად ელოდნენ ჩარგალში ჩასვლას.

ჩარგალამდე სამი დღე და ღამე ვიარეთ. ერთი ღამე დღეშეთში გავათიეთ. შემდეგ თელავამდე მივალწვიეთ და ღამეც იქ დავრჩით. ზამთარი იყო. თოვლით შევსული აღმართ-დაღმართი ფრთხილ სიარულს მოითხოვდა. მით უმეტეს, ცხენებით პირველად ვმგზავრობდით. ფრთხილად, ფრთხილად, — მალ-მალე გვეტუროდა ბიძაჩემი, — თორემ დამეშტრევიეთ და თვედორეს რალა პასუხი გავეყო. მივალწვიეთ, როგორც იქნა, ჩარგლის მიდამოებს. მადაროსკარში ბიძას თავისი შეგობარი გოგოთური შეხვდა, რაჟაც ძალიან გაახარა იგი და გაამხიარულა. ისლა უფრო გაგვიადგოლებოდა სიარული. გაუვლა ადგილზეში გოგოთური ჩამოდიოდა ცხენიდან, გვიჭერდა ცხენის სადავეს და მანამ არ გავივლიდით იმ ადგილს, ცხენზე არ შეჯდებოდა. აღმართ-დაღმართები კი უფრო და უფრო ემატებოდა. ცხენებმაღ დაიწყეს ბორბოცა და ამან სულ დაგვიკარგა იმედი, რომ ოდესმე კიდევე ენახებდით მამას. მაგრამ ჩვენი ფიქრი ნაჩქარევი გამოდდა. ვხა თითქმის უფრო გაგრძელდა. საცა კიდეც შემოღამდებოდა, და, ალბათ, კიდეც სადმე მოგვიხვდებოდა ღამის თევა? მაგრამ აი, გაისმის ბიძაჩემის დიღინი: მოვდოვართ მოგვიხარიაო, და შემოგვესმა საყვარელი ნაცნობი ზნა: ოჰ, მოხვედით?! — ეს მამაჩემია. მაგრამ თვითონ რომ არსალა ჩანს, არც სახლები მოჩანს სადმე!

მამაჩემს მოთმინება აღარა ჰყოფნოდა და წამოსული იყო ჩვენს შესახვედრად. თურმე არცა სჯეროდა, რომ უენებლად ვიყავით გადარჩენილი და თვალებიდან სიხარულის ცრემლები სცივლიდა.

აი, მივედით სახლშიც. სახლს ჰრატა ანათებს. ბუხარაც ანათა, სადაც ზედადგარზე დიდი ქვაბია წამოდგმული. ის ხინკლისთვის არის გამოხადებული. სტუმრები მოვედით, უხინკლოდ როგორ შეიძლება! ხინკლის მოლოდინში ვათვალღერებთ იჭაურობას. ორი პატარა ოთახია. ორივეში თითო დიდი ტახტია გაწყობილი, რომლებზედაც უნდასწოვი ფარდავებია ვადაფარებელი. ბუხართან დგას ერთი ძველი რკინის საწოლი. იმაზედაც ფიცრებია გაწყობილი და ქეჩის ნაგლეჯი გდია. ის ბიძაჩემის საწოლი

ყოფილა. ბუხრის რაფაზე წიგნები აწევია. ბინკლით დანაწერებულები მეორე ოთახში წაგვიყვანეს მოსასვენებლად. ჩვენს ბიძაშვილებთან ერთად ტბილად დავიძინეთ.

დილა სუსხიანი გათენდა, მაგრამ არ გვაშინებს, მიჩვეულები ვართ. თან ჩვენთვის ჩვენს ბიძაშვილ თამარს პრელი, თბილი წინდები დაუქსოვია. ან კი რა შეგვაცუებეს, შემოსარბენი გვაქვს კარ-მიღამო, გარეთ უფრო საინტერესო უოფილა!

პატარა ბექობზე, არწივის ბუდეზავით განმარტობები, ვადაზღვეული ქვატალახის პატარა სახლი ზევიდან ვადაპურებს კალმახებით საცხე ანარაწყულიან ჩარგულას. მარცხნივ კიუბუკევა საზღვრავს. მართალია, ეს ზევი წყნარ და მშრალ ამინდში უწყინარი და საყოფადიე კია, აქა-იქ თუ საღმე მოწაწყარებს ბროლივით წმიდა წყალი. სამაგიეროდ ნახეთ ავღრიან ამინდში! ღრიალებს, ბობოქრობს, მოაგვრებს შთის ტოლა ლოდებს და ვაი იმას, ვინც მამინ წინ გადაელომება ავღრიან ღამით ხომ ნამდვილი დევების შემოსევა გვგონებთ. დასაყვითთი კოწა-ბურის ბუჩქებია, რომლებიც შემდეგ ტყეზე გადადის. სამხრეთით გაქიმულან შვენიე ხაყერდისკალთებიანი მთები, სადაც აქა-იქ მოსხანს რამდენიმე მოსახლე.

სახლის ოღნავ მოშორებით გომურია. სახურავის ქვეშ, ბანზე ზალა-თივა ინახება, რომელიც საწოლადაც არის გამოყენებული (თუ ვინმე უცხო კაცი მოვიდა) და საქონლის საკვებადაც. ეზოშივე პატარა ფურან, სადაც პურს აცხობენ. აქ ჩვენი ერთხანს მოგვიხდა დარჩენა, თუმცა ურევოდ ბოლოს იყენენ. ვაჟა-ფშაველას ხუთი შვილიდან ოთხი შინ იყო. ვახტანგი, მეორე ცოლის შვილი, ჯერ ისევ აყენში იწევა, ჩვენც ხუთნი ვიყავით, სამი სულ პატარა ბავშვი, და ასეთ სიუჟროვეში წარმოუდგენელი პირობები იქმნებოდა საუბრად. შემდეგ მამაკემ-მა აფხუროში გადავიყვანა ბიძაჩემ ბიანასთან. არც აქ იყო უკეთესი პირობები. თვითონ ბიანა მღაროსკარში მასწავლებლობდა და კვირამთი ერთხელ ძლივს ამოდოდა, დატვირთული ხორავითა და წაშლებით, რაც მეორე კვირამდე აღარ უოფნიდა მის წვრილშვილს.

ჩვენ თითქმის მთელი წელიწადი დავრჩით ფშავეში და ხშირად მინახავს, როგორ მუშაობდა ვაჟა ფშავერად თუ გონებრივად.

სახლის უკან პატარა ადგილი ჰქონდა, სადაც ხორბალს სთესავდა. ის ერთი ცხენით და კვიანი გუთნით ხნავდა, ჩვენ კი დავდედით უკან და ბელტებს ამოყოლილი უნტორით ვიტბარუნებდით პირს.

ჩვენი ჩარგალში უოფნის პირველი გაზაფხულის დღეებია.

დაიხილენენ ვინღაოდა. ცა შავად იყო ჩამობურული. ეტუბობდა, წვიმა ფესს იყიდებდა.

ჩვენ ადრე დაგვაძინეს. ვინილან, ისედაც სიუჟროვეში, ყველას ფეხებზე წყნარად მიიხილემს კი, ეტუბობდა, მუშაობდა და მალე ნიაღვრად იქცა. კიუბუკევი ახმაურდა.

ბავშვების ძილი, მოგვსვენებთ, როგორც მავარს, მაგრამ იმ სამხსოვრო ღამეს კი ძილი რაღაც საშინელმა დაგვიფრთხო.

— დედა-ა! — მესმის გუგულის ხმა. — შეშინია, ვინ მოვიდა?

— არაინ, შვილო, გენაცვალოს დედა, დაძინე. რამ შეგაშინა?

— დევები მოვიდნენ, დედა-ა! დევები! — განაგრძობს გუგული.

— არა შვილო, დევებს აქ რა უნდათ? დაძინე.

— პო, პო-ო! დევებია, დევები, — უდასტურებს ნინო.

ნინო თავიდანვე სუსტი და ავადმყოფი იყო, ამიტომ ის მუდამ ნერვული იყო და ფანტაზიაც ღიღად ჰქონდა განუთარებელი.

— პო, დევებია, დევები-ი! გესმით, როგორა ღრიალებენ?

მართლაც, ღამის წვედიადში ვაისმის რაღაც სახარი გრუხუნე, გრაილი, წივილი, კვილი, სტენა, ბუნუნე, მტერევისა და მსხვრევის ხმა. გავგონებთ, მართლაც დაშრულან მთელი ქვეყნის დევები, შემოსევან იჭაურობას და სურთ ქვეყნის წალკვავო.

ლოგინში წამოვსხედით. დედაჩენა ცდილობს დაგვაწინაროს, გვარწმუნებს, არავითარი დევები არ არსებობენო. მა ბოლოს და ბოლოს მამა თქვენიას და ბიძა თქვენიების წინით ცაში ფრინველს ვერ გაუღლია და დედაჩენაზე ჰიან-პველას და დევები როგორ გაბედადნენ აქ მოსვლას! დედაჩენის სიტყვები გუჯერა, მაგრამ ეს ხმაურობა რომ აშკარად გვესმოდა!

— დაძინე, დაძინეთ! — შემოგვესმა მამაჩემის ხმა. — რისა გუშინიათ, ბიძათქვენი ვაჟა აქ არ არის? სულ უკრებთ მოათრევს მაც დევებს და, ნახეთ, რა დღეს დააყრის!

ჩვენიც გვაქვს, რომ ჩვენს ბიძა ვაჟა-ფშაველას ყველაფერი ემობჩილება. მამამ ხომ თქვა, მინდია თვითონ არისო. მამ იმას ხომ ყველას ლაპარაკი ესმის და დევების გასაქავებელ წამალსუ ბალახები ეტყვიან.

„შე ვარო ამის წამალი“

სხვა გაიძახის — „იმიხა“.

მართლაც დილაღე ყველაფერი მიწნარდა. მზე გაშოვიდა. ღამის ალიაქოთის ნიშანწყალიც აღარსად იყო.

— ბიძა, დევები დაბაი? — ეკითხებიან ვაჟა-ფშაველას ნინო და გუგულო.

ვაჟა-ფშაველა იღიშება და მიყვებით კიუბუკევისკენ, რომელიც ოღნავ მომატებულა და აჩქარებით მოწაწყარებს. მხოლოდ აქა-იქ მოჩინს კლდის ვეებერთელა ნამტერევეები. კიუბუ-



ხევის გარდი-გარდმო კი გაწოლილა ფესვებში-
ნად მოგლეჯილი და წყლისგან ჩამოტანილი
უშველებელი ხე.

— ხედავთ? — გვეუბნება ვაჟა-ფშაველა. —
იი ესენია ის დევები, წუხელი რომ შეგაშინათ.
ახლაც გეშინიათ?! პირველად რომ გაეცვიონ,
მეც დევები შევანა.

ჩვენ გაოცებულები შევეუბრებთ ხან ბიძანემს,
ხან კი კვიპაყვას.

— გახსოვთ, წუხელი რომ წეიშდა. აი, იმ
ნიაღვარმა წამოიღო აღმართიდან ეგ ლოდის
ნაბერტრეკები და აქ მოვიტანა. გზადგავა ისინი
მაგვრ ხმურობდნენ.

— მართლა დევები არ იყვნენ? — კითხულა-
ხენ ბავშვები და აღტაცებით შევეცქირით ბიძა-
შემს — ვაჟა-ფშაველას და ვიცით, რომ ამიე-
რიდან ჩვენ აღარაფრისა შეგვეშინდება.

მეშობა ვაჟა-ფშაველამ საღამოობით იცო-
და, როცა ბავშვები მივწებებ-მოეწებობდით. ბავ-
შვები კი, როგორც ვთქვი, ბლომად ვიყავით
და, აურზაურის შეტს აბა რას შეეიტანდით
ოჯახში!

მიუჯდებოდა ფიჩხით ავიზიზიებულ ბუნარს
და წერდა თავაუღებლად.

გახატულზე ვაჟა-ფშაველა თბილისისკენ გა-
ეშურა თავისი ერთგული ფერადნოლიანი ბერ-
ჯინით. საიდგომოდ დაბრუნდა შინ, სურსათ-
სა, მარილსა და ნავთთან ერთად, ბავშვებს ვარ-
დისფერი ჩითის საკაბეებიც კი ამოგვიტანა.
არ ვიცო, სიხარულისა თუ სხვა რამის გამო,
ცრემლები უბრწყინავდა თვალბუმში, როცა
ჩემს აღტაცებას ხედავდა: ზული არ მეუფო,
თორემ წითელ-წითელ ჩუხტებსაც წამოგვდებ-
დითო, — გვითხრა თითქოს მობოდიშებით. და
ისეთი ლამაზი და გულკეთილი იყო ეს გოლია-
თი, რომ მთელი ქვეყანა რომ მოგვედგომოდა,
ვერავინ დაგვაჯერებდა ამის საწინააღმდეგოში.

ანკი რა ფული ეყოფოდა ამდენი ბავშვის
დაბრუნება და მათ მოკანშვას. თანაც ქალი-
შვილი ჰყავდა გასათხოვარი და შიშველ-ტიტ-
ველს ხომ არ გავეშვებ უცხო ოჯახშიო, —
იტყოდა ხოლმე.

მეორედ, ეს უკვე გვიან მოხდა, გორში, რო-
დესაც ჩვენსას მოვიდა, შოკოლადის შაერთიანი
ბურთებიც კი მოვიტანა. ბურთებში ფერადი
შუშისთვლიანი სხედასხვა სამკაული იღო: გუ-
ლი ქონძისთავი, საყურეები, ბეჭედი და, კიდევ
ვის მონსთელის, რა და რა ბავშვები გახარე-
ბულუბი დავარბენინებდით და ვაჩვენებდით
ყველას. შოკოლადი ხომ ერთ წუთში გავაქრეთ!
როგორ ესიაშოვნა ჩვენი სიხარული. გვიფუ-
რა და გვითხრა: თითო შურად თუკი ასე გა-
ვახარებდა ბავშვებს, როგორ წარმოვიდგენდითო.
შეგრამ იცით, მშისშვილებო, შოკოლადს კი არ
დაეჩვიეთ, თორო, ხომ იცით, საშოკოლადე

ფულები უოველთვის კი არა მაქვსო.

აფხუშო ჩარგლიდან აღმოსაყურედიქ მამქი
კილომეტრის მანძილზეა. გზე ქრულ: ქრანქანს
მიდის მანანას სახლამდე და მთავრდება გოლი-
ათი იფნების ქალით. მართალია, აქა-იქ პანტისა
და მკალო თავლის ხეებიც გამოვრევა, მაგრამ
ეს ქალა თავისთავად ისეთი დიდებულია, რომ
ზღაპარს მოგაგონებთ. აფხუშოს სოფელი ვრქვა,
თორემ მაშინ ერთი კომლის მეტი იქ ჩვენ
მცხოვრებლები არ გვინახავს. სახლის ზურგი
თითქმის ბექობს მიპყრდებოდა, წინ იყო ვაშ-
ლილი მინდორი, რომლის დასასრულს მოპქუბ-
და აფხუშურა და მისა შხუილი დღეულამ არ
გვაძინებდა, ავირის დროს კი ისიც კვიპაყვისა-
ვით ბოპქობდა, თითქოს ვილაყას ვმქრე-
ბათო. პირველად უჩვეულო გუგენი და გრიალ-
ჩხრიალა შიშის ზარს გვეცემდა, მაგრამ შემდეგ
მივჩვიეთ და მშობლიურ ნანასავით ჩავესმო-
და ყურში. აღმოსაყურეთით ისევ შთაა.

მაგრამ მთავარი აქ ქალა. ეს ქალა იქაური
სახატეა. გახატულის ერთ მშვენიერ დღეს
(სახელდობრ, საეკლესიო დღესასწაულ ამაღლე-
ბა დღეს) მთლად გაცოცხლებოდა და ახმურ-
დებოდა იგი. იქ თავს იყრდა მთელი ფშა-
ხეხსტრეთი. აი, მთელ ქალაში აქა-იქ შეაგვ-
ფულა ხალხი და მოყალი დროშით ხელში
მომავალ მლოცვეებს. მეორე ადგილას ახალ-
გახრდები სროლაში ეჯიბრებიან ერთმანეთს.
სხვა ადგილას ფერხელია ჩამხული და ცაყა-
თამაშია გაჩაღებული. ხნერ ქალებს სასაფლავს
ქვებზე ვაუშლიათ მვედრების ტანსაცმელი,
დაუწყვიათ მთიფე ქამარ-ხანჯალი, იქვე ილია
ქალა-ხაქურბანა, და შურად მოსთქამენ შეი-
ლებს გმირობისა და ვაჟკაცობისზე. სამაგა-
როდ მოხუცი მამაკაცები ჩამოშხადარან დინ-
ჯად და ბჭობენ რალაცხე ან იგონებენ აფხუ-
შოზე დაცემული მტრების უწყნადებისა და
მათი სამუდამოდ გაქვების ამბებს.

მაშინ იმ ქალის მნიშვნელობა არც ისე მქო-
ნდა შეგნებულ, მაგრამ შინც მიყვარდა მისი
სილამაზე, სიღიადე, შემდეგში კი, როცა წამო-
ვიხარადე და ვეყას პოემების ახრს ჩაწევდი,
დღესაც ველარაინ დამაჯერებს, რომ იმ სა-
საფლაოზე არა თხრიადა საფლავს მტრის შემო-
ხევის გამო უკაცოდ დარჩენილ სოფელში, მო-
ხუცი სანათა, რომ იქ არ აღუღებდნენ ლდს
მტრებზე გამარჯვების შემდეგ, მაშინ კი ჩვენ
ბავშვებს, ის ქალა სათამაშო ადგილად გვეჩონდა
გადაქცეული და იქ ვერეფდით დამრჩალ პან-
ტის, მკალოს და წიწიბოს.

იმ დღესასწაულზე თვით ვაჟა-ფშაველა, ბა-
ნანა და მამანემი თუდოც იღებდნენ მონაწილე-
ობას საერთო ზეიშში, ესროდნენ თოფს ნი-
შანში, და ისხდნენ ფშაველებსა და ხეხსტრე-
ბთან ერთად, უწყებოდნენ ახალ ამბებს ან უკით-
ხავდნენ საყუთო ნაწარმოებებს.

ვაჟა-ფშაველა გულს არაფერს აკლებს, ყველა-სთან მიღის. ყველას ეკითხება მათი ოჯახისა და ჯანმრთელობის ამბავს და თვითონაც მონაწილეობას იღებს ყველგან.

აი, ვაჟა-ფშაველამ აიღო თოფი, არც დაუმიზნებია და ნიშანი აღებუღია.

მისი ტოლები აღტაცებით და სიამაყით შესტყობდნენ ვაჟას, ახალგაზრდასა კი თითქოს შურითაც. მაგონ ვაჟა-ფშაველა ყველას ამწვილებდა და ახალსებდა: — დაუზარელი ვარჯიშით და მოთმინებით ყველაფერს მიაღწევთ.

მოხუცებს მოწონებით და პატივისცემით მოიკითხავდა, იცოდა, იმთავან უფრო მეტ სანტიმეტრს გააოგნებდა და თვითონაც უზიარებდა გულსინაღებს.

მას ეს მოხუცები თავის მშობლებს აგონებდა. მშობლები კი ისე თავდაფიწყებით უყვარდა, რომ მათი ავიდ სხენებისათვის თავს შეაყვარდა ვინმეს.

წაეთხვა კი მართლაც განსაკუთრებული იყო-დნენ ძმებმა. ვაჟა კითხულობდა თავისი დაბალი დინჯი ხმით, მაგრამ მისი ხმა მოწოდებასავით ვისმირდა და მსმენელებიც, როგორც ძველი პარწმუნენი — წინასწარმეტყველს, ისე სასოებით შესტყობდნენ.

ბაჩანა, როგორც ვეღაფერში, აქაც გამოირჩეოდა თავისი ძმებისაგან. ქოჩორა თავს მალა ასწევდა, თვალებს სივრცეს მიაშტერებდა, გვგონებოდათ, იქ კითხულობსო, და დაიწყებდა ლექსის თქმას. ამბობდა და სულში გაძვრებოდა, ცრემლები სცივოდა და სხვათა აბიტირებდარომელი ლექსიც არ უნდა უთქვამს, ისე მოკვებოდა, ისეთ აზრს ჩაჰსოვდა, მსმენელი იტყოდა, ნუთუ კითხვა არ ვიცა, რატომ აქამდე ვერ ვამჩნევდიო! თან ნერვიულად გაიციუნებდა. გაიციუნებდა, მაგრამ ეს სიცილი ტირილს უფრო ჰგავდა, ვიდრე სიცილს. და კაცს აფიქრებინებდა, რომ მას დიდი დრამა ჰქონდა გადატანილი. მართლაც სიღარიბე, გაჭირვება, ცოლის ავადმყოფობა, და ორი უფროსი შვილის უეცარი სიკვდილი, განა თავისას არ იზამდა!

მამაჩემი ხედავდა ბაჩანას გაჭირვებულ ცხოვრებას და არც აქ გაჩერებულა უსაქმოდ. უსაქმოდ უფიქროსა, როცა მოეკვდებო, მაშინაც მეუფიქროსო, — იტყოდა. სახლის წინ ნაკვეთი გავლორღეთ. შემდგ მოხანა და ნახევარში ხორბალი დათესა, ნახევარში კი კარტოფალი.

მოცილდ დროს შეკვებოდა აფხუშურას, ჩვენც თან წავიყვანდა, ხელში წინასწარ გაკეთებული კაბანი ჯიხებით. თვითონ კალმასს იჭერდა ნემსკავით, ჩვენ ვადმოგვისროდა, რომელიც უფრო მეტს მოვარგოვდით, ყოჩაღიც ის იყო. ასევე დაედოვით მთებზე და დაქვრებოლით სკრდებზე ჩადუნის, კენკვის და დუცის საკრედა. თვითონ კი ირმისტუხა სოკოსაც

მოყოლებდა და იმ დროისთვის სადილი მზად გვქონდა.

მეცამეტე


შინ კი დედაჩემი დიასახლისობდა. დედაჩემს ჰყვარდა, საქმელს ამზადებდა და ბავშვების სისუფთავეზე ზრუნავდა.

მალე ჩვენი წამოსვლის დროც დადგა. ზოგი სკოლაში უნდა წავსულიყავით, ზოგი ახორბელ სახლ-კარს მიინც მიხედავდა. მამაჩემი კი ჯერ-ჯერობით იქვე უნდა დარჩენილიყო, მინამ ამბავს არ შევატყობინებდით, შეველო თუ არა ხელთუბანს დაბრუნება.

რეაქციის მწვევე სიმართლე თანდათან ნელ-ნელა, თუმცა რევოლუციონერების დევნა მიიწეოდა არა წყდებოდა. სკოლა დაკეტილი იყო. სხვა სამუშაო არაფერი იყო. კიდევ რომ ყოფილიყო, მამას აღარსად ამუშავებდნენ, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნებას. მაგრამ რეაქციის ასეთმა ღონისძიებებმა მაინც ვერ ჩაიკლეს მამაჩემის გულში რევოლუციური სულისკეთება და ვერ ააღებინეს ხელი ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლაზე.

საბოლოოდ მაინც დაბრუნდა სოფელში და შეუდგა დანგრეული ოჯახისა და აწეწილი საქმეების მოწესრიგებას. დაბატირებისა და გადახვეწასთან დაკავშირებით ბევრი დღეშთავრებელი მოთხრობა და ლექსი დაიკარგა. ბევრი, ალბათ, სახლის დაწვასთან განადგურდა. სხვადასხვა უზრუნველში გაფარტულ მასალას თავის მოურა უნდოდა. იქნებ მოეხებრებია მათი წიგნად გამოცემა. 1909 წელს გამოვიდა მამაჩემის მიერ შეკრებილი ზღაპრები ორ ტომად. ავტორისათვის გამოგზავნილი წიგნები მამაჩემმა თვით მიტყველებს ჩამოურთავა და ჩვენი თან დაჩვენდნენ ერთ გვგვამლასაც ისე დაარბენინებდნენ ჩვენი დანაწილ-მეგობრები, რომ ბოლოს, მთლად დაფრთხილ-დახეულთ, ვიღაცა მიითვისა, ჩვენ კი დავრჩით უწიგნოდ. ყიდვა არსად შეიძლებოდა. მცირე ტირაჟით იყო გამოსული. მართლაც ზღაპრების წიგნებს კი სანთლით ეძებდნენ!

მამა განავრცობდა ზღაპრებისა და მოთხრობების კითხვის უფროსებისთვისაც და კითხულობდა ისე, რაც უნდა ვაუგებარი უფიქროსი, მაინც გააგებინებდა და დაინტერესებდა მსმენელს. მსმენელებში ჩვენც ვერაიეთ. და ხშირად ცრემლებს ეღვრიდით „მუტრას“ და „ტკიანის“ ამბავზე. სამშობლოს მომორბეული „ციურელი“ ზომ გულს გავიყვანდა! სამაგიეროდ რამდენს ვეციონდიოთ და ნიშნს ეუფლებით მსუნაგ შელას, როცა წარმოვიდგენდით, როგორ ვაგებოდა ჯაგებში, ჩხვივისა და მისი შვილების ვერაგულად დაქვრის დროს და პირის ჩაგებრივლების მაგიერად დაგლეჯილი ქურქითა და დაფხანნილი დინჯით, კედამოქვებული რომ ბრუნდებოდა თავის შვილებთან სორიში (მოთხრობა „მე-ლიას ხრიკები“).



მამას მთელი არსებით უყვარდა თავისი სამშობლო. თუცა რაიმე კარგს აკეთებდა, მშობლოდ იმისათვის, რომ სამშობლო მხარეს შემატებოდა და ესახელებინა ჩვენი ქვეყანა. ფიქრობდა, ჩვენი სამშობლო სხვასთან შეტად თუ არა, ნაყლებად მიიწი არ უნდა იტყენებოდესო, მაგრამ მას ასევე პატივსაცემად მიიჩნდა სხვა ერიც, განსაკუთრებით ჩაგრული და გმირი ხალხი.

ჩვენი სოფლის შეტოვრებთა საგრძნობი ნაწილი სომხები იყვნენ. ქართველებსა და სომეხთა შორის კარგი მეზობლური ურთიერთობა სუფევდა. მამანამე ყველას ერთნაირად ეხმარებოდა, განურჩევლად ეროვნებისა. მამა უფრო სოციალური მდგომარეობით არჩევდა ადამიანებს, ვიდრე ეროვნების მიხედვით. მით უმეტეს, თუ ისიც ჩვენი ერივით პატარა და დამოკიდებულ პირობებში ცხოვრობდა. თვითონაც წერს ავტობიოგრაფიულ ფურცლებში:

„ბევრჯერ დავუფიქრებია ამ საკითხს, — წერს იგი, — მიმტრევეია თავი და მიფათრევი ხელები ჩემს გულში, მაგრამ შემთხვევა სხვადასხვამ დაამარწმუნა, რომ სხვისი სამშობლო ჩემს სამშობლოზე ნაყლებად არა მყვარებია, თუ ის ქვეყანა ჩემს ქვეყანასავით უბედური და გაჭირვებული უყოფია. გაეზისნით ბურკების ომი. მგონი, ბურკებზე ნაყლებ არ მიხატოდა მათი გამარჯვება, იმათი მარცხი რომ გამოგონია, იმ დღეს პური არ მიჭამია და იმათთან ერთად მიტრია მათ უბედურებაზე. აბა ახლა წარმოიდგინეთ, სად საქართველო და სად ბურკების ქვეყანა!

კაცს, ჩემი აზრით, თანდაყოლილი უნდა ჰქონდეს მთელი ქვეყნის სიყვარული, როგორც სიცოცხლისა. სიცოცხლეზე კარგი არა აქვს რა კაცს და, რადგანაც სხვისი ქვეყნის შეილებსაც უყვართ სიცოცხლე, მეც მიყვარს იმათში ეს სიცოცხლისა და მშის შექის სიყვარული. და რადგანაც იმ დღისათვის მინიჭებულს უძვირესესს განძს კაცისას ვინმე ხელს შეახებს, მე ერთნაირად მძულს, ჩემი სისხლი და ზორცი იქნება ის თუ ცხრა-თოხისიქითელი“.

ძალიან უყვარდა მამანამს თავისი მშობლები და ძმები. მშობლები ადრე დაეხოცა და დიდი მწუხარებად ნახა. დედის ზრუნვას შეწვეული, იძულებული გახდა ადრე შეერთო ცოლი. ხელთუბნელმა კეთილმა მეზობლებმა ამოურჩიეს ერთი ღარიბი, მაგრამ პატიოსანი, მშრომელი ოჯახის თითხმეტი წლის გოგო და გატრევეს. იშხანაშვილის ღარიბმა ოჯახმა შეიღიეთ მიიღო ახალგაზრდა მასწავლებელი და ხელი გაუწოდა გაჭირვებასა და სიღარიბეში.

თუდო დაბადებთ მეხუთე შეიღო იყო. ხუთ ძმას ჰყავდათ ერთი და მართა. ერთი ძმა — გიორგი და და მართა, ადრე დაეხოცათ, ისე, რომ ჩემს სსოენაში მშობლოდ სამი ბიძა ჩარჩენილი. თუმცა უნდა ვთქვა, იმ უღროოდ წა-

სულებს ისეთი ხშირი ხსენება იყო ჩვენს ოჯახებში, რომ ახლაც, ზოგჯერ, უწყვეტად მუხარება, ვიცნობდი მათ თუ უცნობდნენ, მათი, მამანამე თავის დროზე მძებნისგან არა მართო ზრუნვას განძობდა, არამედ გავლენასც განიცდიდა. იმისდა მიუხედავად სკოლის დამთავრებისთანავე ეს ცხოვრებაში დამოუკიდებლად ჩაება და გარკვეული გზაც აიარია.

ამ საკითხში ის არც თავის საყვარელი უფროსი ძმის ლუკას (ვაჟა-ფშაველას) წყენინებას მოურადა და, როდესაც მშობლების სიყვდილის შემდეგ — ვეამ წინადადება მისცა: დაბრუნებოდა ოჯახს, დავიჭრა მამის ადგილი და ოჯახი არ მომეშალა, გადაჭრული უარი უთხრა. მომყვას ვეას წერილი:

„ძმაო, თუედორე!

გატეხით გამაგრებთა ხმალმა ბედენად არ ვასკრაო, ნათქვამია, მამასადამე, რაც მე ვითხრა და ვიამბო, შენმა ძმამ, არასასიამოვნო ამბავი, როგორც ვეაკცმა, გულმტკიცედ უნდა მოასმინო. მართალია, ისეთი არაფერი შეგემთხვევია, რომ სხვას არ შემთხვეოდეს, დედ-მამა უნდა დაიხოცოს, შეიღები დარჩნენ. შენი სიზმარი გაგვემართლა. მართალია, მიწის ზევი დავეა ჩვენს სახლს: დედამა დავეხოცა, ძმაო, მაგრამ რა ვუყოთ, მოთმინების მეტი აღარაფერი გემართება. მოთმინება და ამასთან გამოფხიზლება; მტერი ბევრი ვეყავს, ბევრს ვუხზარდა ჩვენი ზარალი, მაგრამ ჩვენ კიდევ იმას უნდა ვეცადნეთ, რომ მტერი ვეამავეთ და ვეაწილოთ... აბა რა ვუყოთ სახლსა და ოჯახს, მეც რომ თავი დავანებო, ხომ სულ გაოხრდა და ვატიალდა იქაურობა. შენი იმედი მაქვს, რომ ქვეიანი კაცი ხარ და გესმის მომავალი. შენ ეხლავე უნდა ეცადო და რაც შეიძლება მალე თხოვნა ვუგზავნო არქიელს, მით უმეტეს, რომ შენ საღდათობა ნარგები გაქვს (№ 61 ბილეთი) და პრისუსტიამ გამომიცხადა შენზე, თუ ამ ექვსი წლის განმავლობაში იმან მასწავლებლობას თავი დაანება და უოველწლე მოწმობა არ წარმოგიდგინა მასწავლებლად უფნაზე, პირდაპირ საღდათად წავაო. რა ვციოთ, კაცის თავს რა შემთხვევია, ძმაო. იქნება დავითხოვონ, ხომ იცი ჩვენი საზოგადოების ამბავი. შენს თხოვნაში არქიელს განუმარტავ ამ გარემობას: და დამარჩა ვასათხოვარი და ძმა ასაზრდელითქო, ამასთან სამრეველო სკოლის გასწავლად დამპირდი, რაც შეიძლება ჩქარა ეცადე. იმას ნუ იფიქრებ, ძმაო, რომ ჩემთვის მინდოდეს შენი მღედლობა. არა, მე ის მინდა, რომ ოჯახში კაცი იყოს ვინმე, მე საითაც იქნება, გზას ვეიოგებო. ჩემი ძმური რჩევა ეს არის და ახლა შენ იცი. შენ იცი და შენმა ქვამე, ჩემი ძმური რჩევა ეს არის, მე, როგორც უფროსმა ძმამ, გირჩიე ჩემის მოვალეობისამებრ და ეხლა შენ იცი,



გაზაფხული

(ვაჟა-ფშაველას მემორუალის მიხედვით)

შენი მარადის კეთილის მოსურნე მამა ლექია რაზონიკაშვილი“.

თუღონი ვადაქრით უარი უთხრა მამას, საშუალოდ ხელთუბანში დაამკვიდრდა და შეუდგა მეფისდროინდელ სოფლის მასწავლებლის გაკვირვებით სავსე შრომასა და მოღვაწეობას. ვაჟა დარჩა ზარბაზნი, ბაჩანა — ხეცურეთში. გიორგი თიანეთში დასახლდა და ვეპილობდა.

გიორგი, მამაჩემის დახასიათებით ყველაზე ნიჭიერი ყოფილა. სიტყვას არ იტყუადა, რომ ლექსით არ ეპასუხა. უმადლესი იურიდიული განათლება ჰქონდა მიღებული. და თვითონაც ბუნებით დიდი სიტყვათმანი ყოფილა. გარეგნობით თითქმის ყველასა სჯობდა. მალალი, მზარბეჭანი, ლამაზი და ღონიერი, განთქმული ხუმარა და მოქიფე. არ დარჩენია არც ერთი სოფლის მოხელე, რომ არ ვაეღუკოს და მას-ხარად არ აეგდოს. ცხოვრობდა თიანეთში და თავისი სიმართლის მოყვარულობით და ხალხის ინტერესების დაცვით დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა ხალხში. მაგრამ დიდი ხნის სიცოცხლე არც მას ჰქონია. ხშირად იგონებდნენ მშენებლის სტუმრობას ვაჟის მიმართ და ბევრსაც იცინოდნენ ხოლმე.

მეორე შვილი — მარათა, ზენი მამიდა, წყნარი, უწყინარი და უჩინარი, მშრომელი და მშენებლის დიდი მოყვარული ყოფილა. გათხოვილი იყო ყვარულში და მშენებლის მისვლა მისთვის ყველაზე უბედნიერეს დღედ ითვლებოდა. «დაბნა-ნაცვალთა თქვენი უბედური და მარათა, ნეტავი თუ კიდევ მოვსწვრები თქვენს ნახვასო». ეს იყო თურმე მისი გამოსაბოჟარი სიტყვები თავის მშენებთან. მართლაც მალე აღარცა აღრისებია მათ ნახვას. დარჩა ორი შვილი. შიხა და პავლე. შიხა ბიძებმა გაზარდეს და თავის გვარზედაც დაიწერეს. პავლე გვიან გაუჩნდა და ათი წლის ასაკში ხუნაგით მოუკვდა.

მშენებში ვაჟა-ფშაველა ყველაზე უფროსი იყო და გარეგნულადაც გამოირჩეოდა ყველასგან. მალალი, გამხდარი (მზარბეჭანი კი იყო). ბაჩანა ყოველთვის იტყუადა: ხორცმა თუკი როგორმე ფეხი მოიკიდა მავის ჩონჩხზე, ბიძა ბოივას! გვერდზე ჩამოიყენებსო. თვალის რომ ჩამოხლტოდა აქვს, თორმეტთავიანი ღვეცი ეპლარ გაუხედავდა მშენებლობასო.

ვაჟა-ფშაველა დინჯი, დარბაისელი, თავის გახუნებულ ჩხანსა და თხელ-ძირიან წულბეშიც დიდებულ შთაბეჭდილებას სტოვებდა. როგორც ყველა, მამაჩემიც მოწიწებით ეპყრობოდა თავის დიდებულ მამას და მას უბღვანა ლექსი:

ბოივასი — რაზონიკაშვილების გარეშე ბიძა ზორბა ვაჟაკი, განთქმული მონადირე და მელაქა.

ია ამოვა მთაშია,
ობოლი შვილი ველისა,
ნახოვარს ადგილებშია
კენცაა აჟოვდებისა,
მერცხაოც დაიჭიკიკებს,
ბუღბუღიე მოფრინდებისა.
მთანი გულს გაგვიხარებენ,
დაგვანებულნი ლილასა,
მეშხეარეც თავის ფარითა
მინდვარდ დაიდებს ბინასა.
გაიყრინებს ნახამორსა,
ირემი ვალამზადება;
ჩირთი შემოვა ტყეშია,
ჩირთს თან გუგუროც მაყვება,
მარინ შენც, ჩემო მშობილო,
დაარლი გულს გადაგვეყრება.

1887 წ. 22 თებერვალს.

საერთოდ მშენებლის ძალიან უყვარდათ ერთმანეთი.

მშენებთან ურთიერთობაში ვაჟა იყო თავდაქუარილი, მოსიყვარულე და დამთმობი. ხშირად იცოდნენ მშენებმა, პირს შეჰკრავდნენ, რომ გა-მოყვანათ წონასწორობიდან, მაგრამ არც ისე ადვილი იყო ამის შესრულება. ის ყველას ღი-მილით შესტყვროდა და თითქოს მთელი არსე-ბით ეუბნებოდა: მოდიოთ, ერთი ვნახოთ, რას დაამალებთო.

ბიძაჩემის მოსვლა ჩვენს ოჯახში დღესასწა-ულს უდრიდა. მამაჩემაც მაშინვე შეატყობი-ნებდა თავის ყოფილ მასწავლებლებს ნიკო ლომოვსა და კოტე გარაყანიძეს, მათთან ერთად წამოვიდოდა სიმღერის მასწავლებელი სიმონ გოგლიძემც.

მობდიდა მამაჩემი ხელთუბნის მარანში «ვაჟას სახედაშე» ორმოცოციანი ქვევრს და იწყებოდა სტუმრობა. თვითონაც ვადიპატიებდნენ ხოლმე. მაგრამ ვაჟა-ფშაველა ერთდებოდა სხვა-გან სტუმრად სიარულს, და ბოლოს ჩვენგანაც მალე გაიქცეოდა ხოლმე: აქ ჭამა-ყლაპვის მერს მე ვერაფერს ვაკეთებო. შენცო, — ეტყოდა მამაჩემს, — აღბათ, ღობი იმიტომ გაქვს დასი-ებულიო. თითონ თითქმის არა სეამდა, ორი ბოქის შემდეგ, ყვილი რომ გამოგვეკრათ, წვეთს აღარ დაღვდა. სამაგიეროდ უყვარდა ქვეყნის ამბების გაგება, ლიტერატურაში ახალ რამეზე საუბარი. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ახსენებდა, როგორც რუს ისე უცხოელ მწერ-ლებს, ზენი ილიათი და აყავით ხომ ამყობდა. შითაზე უბრალო ლაპარაკი არ შეიძლებოდა.

ხელთუბანში უყვარდა სახლის უკან, კაკლე-ბის ქვეშ წამოწოლა და წიგნების კთხვა. უხა-როდა, რომ მამაჩემს კარგი ბიბლიოთეკა ჰქონ-და.

ერთხელ ზემს პატარა დებს უთხრა: — ამა



რომელი ლექსი გყვარობ, მიტხარიტო. უცბად წამოხტა ჩემი სულ უმცროსი და ელიკო და დაიწყო რიხიანად: — „არწივი ვნახე დაკრი-ლი...“ მაგრამ შეა ადგილას შეეშალა, გაიქცა და ტირილი დაიწყო. ვაჟს ესამოუნა, რომ პატარა გოგოსაც თურქულ სკოდნია მისი არწი-ვის ფასი, და შეაქო. — აი, შე კედრაქა, შენა, შენ ელიკო კი არა, გუგული ხარო. — ამ დღი-დან შერჩა მას ეს სახელი და ღღესაც უკვე ხანდაზმულს, მაინც გუგულის ვეძახით.

უხაროდა, რომ ჩვენ სკოლაში ესწავლობდით და შეგვაქებდა ზოლზე. განსაკუთრებით უყვარ-და ჩვენი უფროსი და გულქანი. ჯერ ერთი, იმას ვაჟს დედის სახელი ერქვა; მეორეც ის ძალიან ნიჭიერი და ბეჯითი იყო. გიმნაზიას ოქროს მედლით ამთავრებდა. გარეგნულად ლამაზიც და სულ დედაჩემის მსგავსი იტყო-და ზოლზე. ქუთაისსა და ფოთშიც კი წაიყვანა.

უყვარდა, რომ ჩვენ წიგნებს ვუსხედით, ან სულგანაბლები ვუსმენდით მამაჩემის ან მის მიერ წაყთახულ მოთხრობას, ლექსს და უხა-როდა.

ერთხელ, როდესაც მე ვუკითხავდი ჩემს უმ-ცროს დებს — ნინოსა და გუგულის „შელის ნეტარის ნაამბობს“, ბავშვებმა ვედარ მოითმი-ნეს და თითქმის ტირილით წამოიყვირეს: რად მოუტაღეს შელის ნეტარს დედა, რადა? — ბიძა-ჩემი იქვე იჯდა. ამის გაგონებაზე გაეღიმა და გუკითხა: — მამ ძალიან შეგეცოდით? გინა არა სჯობია მარტო ერთს მოუტაღეს დედა, ვიდრე ყველას უკადებოდესო.

ვაჟს ხუთი შვილი ჰყავდა. ოთხი პირველი ცოლისგან. ერთიც მეორისგან. სკოლაში კი მარტო ერთი სწავლობდა. ადგილობრივ სკოლა არ იყო, სხვაგან წაყვანა კი მას არ შეეძლო უსასწრობის გამო, რად ძალიან სწავებდა მას.

მისი ვაჟი ლევანი თბილისის ქართულ გიმნა-ზიაში სწავლობდა, ეს განთქმული იყო თავისი გარეგნული სილამაზით და ცუკვა-თამაშით, რის გამოც ხშირად პატრობდნენ სადღი-ვახშმად და ხაჭაპურად. ეს მაინცდამაინც არ სიამოვნე-ბდა ბიძაჩემს: ძალია ფეხებში წაუტეა და სწავ-ლას ჩამორჩებაო, და თან დააყოლებდა: — დროს რა ვუთხრა, დროს, რომ ზოგს ფეხები

უოველდღე აქიფებენ და ზოგს თაყიკ კი ვერ აძლებსო.

მამაჩემს ხშირად ჩამოჰყავდა ჩვენთან ვაჟს უფროსი ქალიშვილი თამარი და ასწავლიდა სკოლაში. ლევანიც არღადგებ-ზე ჩვენთან იყო.

ლევანთან და თამართან ერთად ჩვენთან მო-დიოდნენ, მოსე, თამარ და კატო მოსაშვილები, მამაჩემის გარეშე მამიდაშვილები, პოეტ ილო მოსაშვილის და-ძმანი.

თვით ვაჟსთვის ჩვენს სახლში გამოყოფილი იყო ერთი ოთახი, რომელშიც მას შეეძლო როგორც დასვენება, ისე შემოხობაც, მაგრამ ჩვენსას სამი ან ოთხი დღე, ბევრი — ბევრი, ერთი კვირა დარჩენილიყო, მიეშურებოდა თბი-ლისისაკენ სამეშაოდ. ჩვენთან ბევრი ბავშვი იყო. მისთან გორის საზოგადოება მოვალედ ხელედა თავს გადაეწეათ, პატრივი ეცათ, ქვიფო გაეშარათ. მისთვის ქვიფი კი წამება იყო, ვერ იტანდა ვერც სმას, ვერც ბევრ ხმაურს და აურზაურს, სუფრიდან პირველი ადგებოდა, გაიღ-გამოივლიდა და შერყე გაედიოდა მეორე ოთახში, თუკი სტუმრები იქ არ ისხდნენ, ჩაუ-ჯდებოდა თავის საქმეს. ჩვენ დიდი, სტუმრიანი ოჯახი გვქონდა, ღვინოსაც ძალიან სვამდნენ, რასაც ბიძაჩემი ხშირად ვალექსადღა შინაურ მიმოწერაში, ან საღმე ქვიფის დროს. ერთმა ჩვენმა ნათლიამამ დაპატრივა იგი და, როგორც ჩვეულება ჰქონდით, ვაჟს ღვინო მიაძალეს. მასანძლოს მამამ ვაჟს თავის ვაჟისასყიდად ლექსის დაწერა სთხოვა. ვაჟამ უარი არ უთხრა და იქვე ექსპროზიტად უთხრა:

„გულიც შეუოფა საამოდ, ღვინოს ნუ მისმევთ უხვადა, თუ დავთვერ. ეს მამანძლობა მამინ ჩაგვილით ფუქადა... ტუინს ნუ დავჩაგრეთ, ცოდვია, ნუ გაღვიწყევით ძეშადა, თორემ სმით ვერ შემაშინებთ, თედო აქა მყავს ბურჯადა. მთართვით, რამდენიც გსურდეთ, ღვინო ბიძეს ჩასაყურჭადა!“

თედოც მხარს უჭერდა: მოგაკვდეს ძმა, თუ ვაგმიტუნოსო. — იტყოდა და ვაღიყოსკო-სებდა, — მოკლას ხარი თევამაო.

(გაგრძელება იქნება)



პრ. ჩიქოვანის მოთხრობები

გრიგოლ ჩიქოვანის მოთხრობებისა და ნარკვევების თემატიკა მოიცავს კომუნიზმის მშენებელი ზალხის მდიდარ ცხოვრებას. უკვე აღჩინდელი მოთხრობა „სიკვდილი თხრილში“, რომელიც საკოლმეურნეო მშენებლობის პირველ წლებში კლასობრივი ბრძოლის გაწვევებას ასახავს, გამოირჩევა სიუჟეტის ექსპრესიული განვითარებითა და მხატვრული განზოგადებით. მოთხრობის მთავარი გმირი ყარაჰან ხეინგია პირისხლიანი კულაკის სატირულ-სექსუალური კარიკატურა კი არ არის, არამედ გარკვეული ლიტერატურული ხასიათისა. მწერალს აქცენტი გადატანილი აქვს გმირისა და ცხოვრების სინამდვილეს შორის წარმოშობილი წინააღმდეგობის ჩვენებაზე. ძველი ცხოვრების მიერ ზნეობრივად დამახინჯებული ყარაჰანის მოკვლევაში განსაზღვრულია კულაკის მთავარი ნიშანთვისებები. იგი არ არის მშვიდარი, არც უნებისყოფი, არც ერთგვარ ტრადიციას მოყვებული პიროვნება, მაგრამ მარცხდება, რადგან უპირისპირდება ზალხის წინსვლას.


„სიკვდილი თხრილში“ დამაჯერებლად გადმოგვეყვას 30-იანი წლების სოფლის ცხოვრებას, საკოლმეურნეო მშენებლობის პირველ ნაბიჯებს, კულაკობასთან ბრძოლის სურათებს.

იღვერი კონფლიქტი უდევს საფუძვლად მოთხრობას „კაცი გამოკვამულში“, რომელშიც მთაში ახალი ცხოვრების დამკვიდრების სიმძნელებია ნაჩვენები. ჩვენს ლიტერატურაში ამ საკმაოდ გავრცელებული თემის ასახვაზე ავტორის გამოყენებული აქვს მშაფრი და ექსპრესიული სიუჟეტი. კლასობრივი ბრძოლის სიმწვევე აქ გამოვლინებულია მამა-შვილის ურთიერთობაში. ამ შერკინებაში იქნება უველზე მკაფიოდაც გამოვლინდა ახლის ყოვლისგარდაამქმნელი და გადამხალისებული ძლიერება. ქალაქში აღზრდილ კომკავშირელ მგელია ზეიადურს მთელი არსებით შეუგრძნინა და შეუცენია ახალი სინამდვილის სამართლიანობა. იგი ენთუზიაზმით აღსავსე უბრუნდება მშობლიურ მთას, რათა უანგაროდ ემსახუროს ზალხს, მის

ბედნიერ მომავალს, დაუზოგავად შეებრძოლოს ყოველივე დრომოქმელსა და მავნეს. ამ სიმძნელებითან შეებრძოლება მას ჯერ საკუთარ ოჯახში უბედება, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია უფრო ფართო ასპარეზზე გამოსვლა. ძველი ტრადიციებით მოშაპული მამა ნებას არ აძლევს, უღალატოს ამ ტრადიციებს, უბრძონებს მორჩილად მიჰყვეს მამა-პაპის კვალს. მგელიასათვის ეს უფრო ძნელია, ვიდრე ყოველივე დანარჩენის უარყოფა, საკუთარ სიცოცხლეზე ზელის აღება. იგი წინ აღუდგება მამის სურვილს. ამ უაღრესად რთული ფსიქოლოგიური ეპიზოდის მხატვრული სიმართლით გადაწყვეტილსათვის მწერალი პოულობს დამახასიათებელ მოტივს.

პრ. ჩიქოვანი კვლავდავალ მიჰყვება ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას და უყურადღებოდ არ ტოვებს ქალაქისა თუ სოფლის ცხოვრების მაშვენელოვან მოვლენებს.

საკოლმეურნეო სოფლის კოლორიტული სურათები ბუნებრივად დააკვირებული ფინელ თათრგვარდიელებთან ბრძოლაში ქართველი ქაბუცების მამაცობასთან (მოთხრობაში „მეგობრები“). მწერალი სიმპატიითა და დამაჯერებლობით ხატავს ახალი სოფლის მშენებლებს. მომხიბვლელია კოლმეურნე ქალიშვილის ქაბულის, ჯანლიონთ სახე ქაბუცების ჯონდოსა და ბარდალს, ხანდაზმული ფოსტალიონის მუიბალათურის კეთილშობილება, გულწრფელობა, შრომისმოყვარეობა და უბრალოება. ჯონდოსა და ბარდალს სასიყვარულო პაექრობა ავტორს ბუნებრივად აქვს განვითარებული. ორივეს თავდავიწყებით უყვარს სოფლის თვალა -- ახ -- ე, მაგრამ ინტერესთა ეს დამიხრისპირება მათ როდი აქცევს შტრებად, ისინი, როგორც ახალი ცხოვრების პირშომონი, ქართველი ეკიკაციები, განუყვარელი მეგობრები ხდებიან. ეს რთული შინაგანი ვარდაქმნა ავტორს რომ მხოლოდ ახალი ცხოვრების მორალურ-ზნეობრივი საფუძვლებით აეხსნა, იგი უთოვლ თავს ვერ დააღწევდა მხატვრულ სიყალბეს. მაგრამ გრ. ჩი-



ქოვანი აქაც მოხერხებულად პოელობს დამაჯერებელ დეტალებს და ამდენად, ფსიქოლოგიურად ძნელად აღსაქმელი საესეებით ბუნებრივი ხდება.

შრომისა და სიუვარტლის პათოსით გამსჭვალული ეს მოთხრობა ნერვებს საბჭოთა სამშობლოსადმი, ქართული მიწა-წყლია და ხასიათისადმი სიამაყის გრძნობას, მოთხრობის დასასრულს უფრადღებას იქცევს კარგად შესრულებული ბატალური სურათები. სამაშველო ომის დროს დაწერილ მოთხრობაში („მეორე შეხვედრა“) ზვენი ნაყნობი გმირები ვაცილებით უფრო მძიმე სიტუაციაში არიან ჩაყენებული და გაყვლებით უფრო შევეთრად ამქლავებენ ხასიათის შესანიშნავ თვისებებს: სამშობლოსადმი პატრიოტულ თავდადებას, შრომით ენთუზიაზმს, პირად კეთილშობილებასა და უანგარობას. გრ. ჩიქოვანი დამაჯერებლად ხატავს ფრონტისა და უფრვის ერთანობას, საბჭოთა ხალხის ერთსულოვნებას ყველაზე დიდ განსაცდელში. მოთხრობა შთაგონებულია ვერაგ მტერზე გამარჯვების სულისკვეთებით და გარდასულ გმირულ ბრძოლათა საამო რომანტიკით. ჯონდა და ბარდა კვლავ ერთად არიან ფრონტზე, ისინი მამაცურად ებრძვიან გერმანულ თავდასხმულს. ჯონდოს მეუღლე, მამბული, კოლმეურნეობის თავმჯდომარეა და უნაბიანად ზღამდვანელობს სახალხო საქმეს, საერთო სიუვარტლით სარკელობს. ღირსებად, უნდა მივიჩნიოთ, რომ ომის მძიმე წლებზე დაწერილი მოთხრობა გამთბარია თემორით.

ფოსტალიონი — შვია ბალათერია მოთხრობის ცენტრალურ პერსონაჟად გვევლინება. ამ მამიტი, კვიანის და ბევრის მნახველი ქართველი გლეხის სიტყვა და საქმე, მისი შრომის პათოსი, სიყვითე, უბრალოება, ენამახვილობა, უბატურკი დაუდგრომლობა, ზნეობრივი სისპეტაკე ნათლად მტრეველებს ვერავი მტრის წინააღმდეგ შებრძოლი ხალხის ღირსებებზე და ბუნებრივობას მპატებს ავტორის ტენდენციას. მოთხრობის გმირებს უყვართ სახლ-კარი, ეთხებ, ამკობენ სახელოვანი წინაპრებით, შეპხარანი მადლმოსილ ბუშებას და თავგამოდებთ იბრძვიან და შრომობენ სამშობლოს გამარჯვებისათვის. ისინი აღჭურვილნი არიან ღრმა აღმანიური გრძნობებით, მდიდარი მათი ინტიმური სამყარო.

ამავე ციკლს ევთენის მოთხრობა „სიციცხლის სახლდარი“, რომელშიც საბჭოთა ხალხების ურდვერი მეგობრობაა განსახიერებული. ერთნაირი თავდადებით ღბრძვიან გამხვეცებულ მტრის ოთარი და ფელა, ლეიტენანტი შუმილო და ცოტენ მელაძე. სიმტიკითაა შედღელებული მათი ძმობა, ინტერესთა ერთიანობა. საბჭოთა მებრძოლის იღვერი ძღვეამოსილება ავტორის

დასამხსოვრებელი სისხარტით აქვს გაღმეული ამ მოთხრობაში.

მოთხრობა „ქრელი ბურო“ დამაჯერებლად გააჯევილის რიგითი საბჭოთა აღმანიების სულოვანი სიმდიდრეს. ტრავიზშით აღსავსე ეპიზოდი, რომელიც შწერალს აფრჩევია, კონცენტრირებულად ასახავს ომთან დაკავშირებულ სიმწელებს, მისგან მიყენებულ ტყვილებსა და ქრილობებს. ზვენ ვეჯევა ამ მოუსვენარი ბიჭის და თანვეერძობით მას, როცა მამის ფრონტზე წასვლის შემდეგ ის თავგამოდებით შრომობს, ცდილობს მამის მაგვირობა ვაეწიოს გაქირვებაში ჩავარდნილ ოჯახს.

„ქრელი ბურო“ ცხოვრებისეული სიმართლით დასაბუთებული ბრალდებაა ომის გამჩალებელთა წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვინც ვერაგულად დაარღვია საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება, ვინც ახალ ომით იმტრება.

გრ. ჩიქოვანის შემოქმედებაში ფართო გამოხმარება პოვა ქართველი ხალხის შრომითა წარმატებებში ომის შემდგომ პერიოდში. მისი გმირები ბრძოლებში შებოლილი ფარავებით გამოჩნდნენ დაზვებთან, არხების მშენებლობაზე, ჩაის პლანტაციებსა თუ ომის დამთავრების პირველ დღეებშივე აღმართულ ხარაჩობებზე.

ერყელი მოთხრობა „შია“ („ფართო გაზახე“) საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების ამსახველი ტილოა. ეს ნაწარმოები საუურადღებოა, როგორც მშობლიური ბუნების კარგად დაბატული სურათებით და პერსონაჟთა მრავალფეროვნებით, ისე საერთო გაწყობილით, ამაღლებული შრომის პათოსითა და რომანტიკით.

საკოლმეურნეო წყობილებამ ფართო გასაქანი მისცა ხალხს. ხანდაზბული დამჭერული კოლმეურნე მარამიცი ვენერგულად იბრძვის ჩაის უხვი მოსავლისათვის, იგი მთელ სიუვარტლს აქსოვს ამ საამყო საქმეში, თავისი გონივრული წინადადებებითა და გამოცდილებით ერთი ორად ზრდის „მწეანე ოქროს“ მოსავალს. მას საკეთარ წარმატებებზე ნაკლებად როდი ახარებს სხვისი მიღწევები. იგი გულწრფელად ამაყობს თავისი გაზრდილის — შია ქონაქობის სახელოვანი საქმეებით, რომელიც მეზობელ სოფელში გათხოვდა და ფეხზე დაუყენებია წინააღმნილი კოლმეურნეობა. თვით წარჩინებული კოლმეურნე ქალი, საქვეყნოდ ცნობილი მარამი, სიხარულით ეთანხმება რაიკომის მიღენის ლეჟანის წინადადებას — გამოცდილებს მისადებლ მიდის მიახთან, ამ „აღუდა“, „მგელიგლეჯია“ გოგონანთან. შიაამ არ იცის მოსვენება, მან ბევრი ნოვატორული საქმით გაითქვა საბულო და ბოლოს ვეღაზე ჩამორჩენილ ბრიგადაში გადავიდა სამეშაოდ, რადგან იქ მუშაობა იყო საჭირო. გადავიდა და ბრიგადა მოწინავე გაზდა. ეს მოთხრობა 1951 წელსაა დაწერილი და ლიტ-

რატურელმა კრიტიკამ არაერთხელ აღნიშნა, რომ მთავს მოქმედება წინ უსწრებს გავანოველთა მოძრაობას.

ამ მოთხრობაში, ისე, როგორც ვრ. ჩიქოვანის სხვა ნაწარმოებებში, ვრწმუნდებით, რომ მწერალი კარგად იცნობს ახალი სოფლის ცხოვრებას, მის ადამიანთა სამყაროს.

აღსანიშნავია, რომ ვრ. ჩიქოვანის გმირები არასოდეს არ ლაპარაკობენ რომელიმე დიდი-დიდი გონებამახვილურად მიგნებული ინდივიდუალური მეტყველების წყალობით ავტორი უამისოდვე წარმატებით ახერხებს კოლორიტის გადმოცემას.

აქვე შევნიშნავთ, რომ „მკისა“ ერთგვარი ლიტერატურული დახვეწა ესაჭიროება. პირველ რიგში, საჭიროა ამოღებულ იქნას ცალკეული აზრები, რომლებიც ანელებენ მოქმედებას. ასეთად მიგვაჩნია რეპლიკები მატარებლით მგზავრობისას, საუბარში წყლის გადაგდების სცენა... აქა-იქ შესამჩნევია გახვიადება, როგორც, მაგალითად: „მასთან (მარიამთან) წოლა ხომ მთელი დღესასწაული იყო მისთვის (მარიამისთვის)“ და სხვ.

შრომის, ახლის შენების, თანამედროვეობის პათოსითაა გასაქცეული ავტორე მოთხრობები „მეორე ოჯახი“, „ოქროს ველი“ და სხვ.

ვრ. ჩიქოვანის შემოქმედებაში უთუოდ გამოირჩევა მოთხრობები „ბერძენი“ და „სიყვარული“. „ბერძენში“ ავტორის პირველი სტრუქტურებიდანვე შევეყვართ საქართველოში ბედუელმართობით გადმოხვეწილი უცხოელის გიორგიოსის მღელვარე ცხოვრების სიღრმეში. მკითხველს თავიდანვე იხსრობს ამ მღელვარე ადამიანისადმი თანაგრძობა. ავტორი უტრადლებს ამახვილებს გიორგიოსის მორალური სახის გამოკვეთაზე. ამ მიზანს კარგად ემსახურება ცოფიან ძაღლთან შებრძოლების ეპიზოდი, რომელიც უფრო კარგად ავლენს გიორგიოსის შალაღზნეობას, გმირულ სულს, კეთილშობილებას. სამშობლოს თავისუფლებისათვის, კოლონიზატორთა წინააღმდეგ შებრძოლი უცხოელი საყვარელი და ძვირფასი ხდება მკითხველისათვის. რაც შეეხება რევოლუციონერის გადასარჩენად პოლიციელთან შეტაკებას, ეს ეპიზოდი არაბუნებრივი და შემთხვევითია, იგი, არ ეგდება მოთხრობის სიუჟეტურ განვითარებასა და მხატვრულ-ფსიქოლოგიურ წყობას. დიდი სიცოცხლური შინაარსის ეპიზოდი (რევოლუციონერის გადაარჩენა) ნაწარმოებში შერეო მორტივირება სჭირდება, ხოლო შემთხვევითი ეპიზოდისათვის (ცოფიან ძაღლთან შებრძოლება) ასეთი მორტივირება საჭირო არ არის.

ახალგაზრდობის აღზრდის ამოცანას ემსახურება ვრ. ჩიქოვანის მოთხრობა „სიყვარული“, რომლის თემაც, საზოგადოებრივად ასევე აქტუალური საკითხების სფეროს განეკუთვნება.


მოთხრობაში შეიღრო ურთიერთკავშირში, სურათოვნად და შთამბეჭდავად სრულყოფილი სიყვარულის, სკოლის, მშობლების, მშენებლის, კოლქმრული ურთიერთობის, მეგობრობის, აღზრდაში შრომის როლის, საზოგადოებრივისა და პიროვნულის დამოკიდებულების, მავნე პროტექციის, მემხანური უფლის გადმონათეობთან ბრძოლის საკითხები, რითაც ავტორი ხელს უწყობს დადებითის დამკვიდრებას ადამიანთა შეგნებასა და უფრეში.

ნაწარმოების მთავარი გმირი მზია რთული ფსიქოლოგიური სახეა. მთელი მოთხრობის მანძილზე მისი ხასიათი განუწყვეტელი შინაგანი ბრძოლის, ზნეობრივი ვაფაქიზებისა და კეთილშობილური თვისებების გამომწვევებისათვის მძიმე დაბრკოლებათა გადალახვის პროცესშია გამომდევნებული. მზია ნიქიერი, კეთილ-ლადი გოგოა, მაგრამ ოჯახში მას ფაქტურად არ ჰყავს აღზრდელი. დიდ სამსუხისმგებლო თანამდებობაზე მყოფ მამამისს ოჯახისათვის არა სცალია და, ამდენად, მას ქედი მოუხტია მომეშხანო ცოდის წინაშე, ხელი ჩაუქნევია და შვილის აღზრდა, მისთვის მიენდია. ბუნებრივად, რომ ასეთი დედის კალას ამოფარებული ნიქ თბილისშიც ფუქსაგატი, მოდებით გაგიჟებული ახალგაზრდების წრეში მოხვდა. აქ დალუბვის პირას დგას იგი. საქმარისთა ერთი დაუფიქრებული ნაბეჯი, დედისადმი ბრმა მორჩილება, რომ თვითონაც მისი მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

მაგრამ ნაწარმოების შინაარსი, მისი სულისკვეთება მკითხველს ღრმად არწმუნებს, რომ ეს ასე არ მოხდება. მოუხედავად იმისა, რომ მოთხრობაში აქტიურად მოქმედებენ წარსულის მანკიერი გადმონათების მატარებელი პერსონაჟები — ეერიცო თარალაშვილი, ვოლდემარ ჩხეტანი, მიში და სხვები. ნათლად ჩანს, რომ მთაშემხანობას არა აქვს ჩვენში გასაქანი. მოთხრობის განვითარებაში, ავტორის პირდაპირი ჩარევის გარეშეც, მძლავრად ისმის ახალი ცხოვრების ჯანსაღი და მძლავრი სუნთქვა. სწორად ეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ატმოსფეროა ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის საუფუქელი.

„სიყვარულში“ ავტორის ლოგიკური თანმიმდევრობით აქვს გახსნილი თხზულების ძირითადი იდეა, გმირთა ხასიათები, იგი არ ცდილობს სინამდვილის შელამაზებას და თავს არ არიდებს მწევე კონფლიქტებს. ამით უნდა აიხსნას, რომ მთელი ნაწარმოები დაწერილია ობიექტი ეპიკური რიტმით, ყოველგვარი სენტიმენტალიზმისა და ცრუ პათეტიკრობის გარეშე.

ჩვენ მაინც გვაქვს სადავო ავტორთან. გაციონტრებულად გვიჩვენება, მაგალითად, მზიას მგზავრობის აღწერა ღამით საღვრიდან შრობ-



ლიერ სოფლამდე. ვფიქრობთ, აჯობებდა ერთ-
გვარი პაუზა, ავტორის განზრახვი დეპილი. ამ
შემახვევაში იგი უფრო მეტს ეტყობა, მეტს
განადღევენივბდა მკითხველს.

გრ. ჩიქოვანი სულ უფრო მეტ დაინტერესე-
ბას იჩენს თანამედროვე ადამიანის სულიერი

წამოყალიბების პრობლემებისადმი, ეყრდნობა ახალ-
ახალ ასპექტებს, ცხოვრებისეულ წესებს, მხარ-
რთული ფსიქოლოგიის გასახსნელად, სულ უფრო
რო შეაფიქროდ და დამაკრებლად გვიჩვენებს
სულიერი და მორალური სრულყოფის მნიშვნე-
ლობას საზოგადოებრივ განვითარებაში.

ნუნუ ხომარია

იოანე მოსხი (მოსხი) და მისი „ლიმონარი“

ძველი ქართული მწერლობა იცნობს სასუ-
ლიერო ნოველების კრებულს, რომელიც ჩვენ-
ში „სამოთხის“ სახელითაა ცნობილი. აღნიშ-
ნული თხზულება გამოსცა პროფ. ილია აბულა-
ძემ და ამით შეავსო ძველი ქართული მწერლო-
ბის ერთი ხარვეზი. როგორც ცნობილია, ამ
ძველთან დაკავშირებულია ქრისტიანული მწერ-
ლობის რიგი მნიშვნელოვანი საკითხი. მაგრამ
ვიდრე მათ შეეხებოდნენ, მინდა ორიოდ სიტ-
ყვით მაინც აღვნიშნო თვით ხასიათი ამგვარი
ტიპის კრებულებისა.

ქრისტიანულმა მწერლობამ, მიუხედავად კონ-
ფესიური სიმკაცრისა, არსებითად ბევრი რამ
აიღო როგორც წინარე რელიგიებიდან, ისე
ძველი, წარმართული სამყაროდან. ეს ეხება
როგორც რელიგიურ წარმოდგენებს, ისე ფოლ-
კლორულ თუ ლიტერატურულ მასალას, რო-
მელთაც ახალი რელიგია თავის სულიერ პრიზ-
მში ატარებდა. ქრისტიანობა ასევე უხვად
დაესესხა მინამდე არსებულ, სხვადასხვა ხალ-
ხთა ლიტერატურაში არსებულ შხამხარვედ
თქმულებებსა და სიუჟეტებს, გადაამუშავა ისი-
ნი და საკეთარ მიზნებს დაამორჩილა. სწორედ
ამ მწერლობას უნდა ვუმაღლოდეთ უძველეს
სიუჟეტთა გადარჩენას.

საკმარისია აქ გავიხსენოთ რამდენიმე თქმუ-
ლებისა თუ სიუჟეტის თავგადასავალი, რომ
ჩვენ თელწინ წარმოსდგეს ამგვარ სესხებათა
ნათელი სურათი. ქართული მკითხველისათვის
კარგად არის ცნობილი ერთი ადგილი აკაკი
წერეთლის „ბაში-აზუციდან“. პირიშთაგარისს და
ყიზილბაშითა რაზმის უფროსის შეხვედრა. სა-
დაც ქართული ქალის სილაცობებს ვასწიარავს,
მაგრამ შეუბღალავი გადაურჩება მოძალადე
მტერს. ეს სიუჟეტი, რომელიც აკაკი წერეთელ-
ზე აღრე პოტოს ჩაუწერია ქართული ფოლკლო-
რიდან, გავრცელებულია სხვა ხალხის ზემირ-
სიტყვიერებაშიც. მაგალითად, მე შემხვდა ზეს-
ტად ასეთი თქმულება ლატვიის ჩრდილო მთიანე-
თში მოგზაურობისას, ოღონდ სიუჟეტი აქ
უფრო რომანიული ეპიზოდებითაა გამდიდრე-
ბული. ავად. კ. კველიძემ, რომელმაც სპეცია-
ლური ნარკვევი მიუძღვნა მის გავრცელებას,

დადასტურა, რომ თქმულებამ გამოახილი პოე-
თა უკანასკნელი დროის მწერლობაშიც, მაგა-
ლითაა, ჯეკ ლონდონის ცნობილი მოთხრობა
„დაკარგული სახე“ დაფუძნებულია სწორედ აღ-
ნიშნულ თქმულებაზე. ირკვევა, რომ უველა ამ
ტიპის თქმულებათა ძირითადი წყაროა ქრის-
ტიანული მწერლობა (რომელმაც თავის მხრივ,
უფრო ადრეული სიუჟეტი გამოიყენა). კერძოდ,
ბერძნულ ენაზე არსებობს ჰაგიოგრაფიული
ხასიათის თხზულება: „მარტილოზა ევფრასია
ქალწულისა“, რომელიც, სხვათაშორის გიორგი
მოაწმინდელის მიერ ქართულადაც ყოფილა
თარგმნილი (კ. კველიძე, ეტიუდები, ტ. II,
გვ. 68).

ქრისტიანული მწერლობა ასეთი ტიპის თხზუ-
ლებათა შექმნით, როგორც აღვნიშნე, საკეთარ
მიზნებს ისახავდა, აღრევე ცნობილი და გავრ-
ცელებული სიუჟეტების გადაამუშავებით იგი
მეტ დაინტერესებას ქმნიდა მკითხველში და
ამავე დროს, ნოველათა ქრისტიანული ინტერ-
პრეტაციით ახალი რელიგიის იდეოლოგიას გა-
ნამტყეცებდა. ცნობილია ამასთან, რომ ძველი,
წარმართული ნოველების ქრისტიანული თეო-
ლოგიის საბურველში გამოწყოზა ზნორად ნაძა-
ლადევი იყო და შედეგიც სამირისპირო გამო-
დიოდა. „სამოთხის“ რამდენიმე ნოველა ამას-
წინათ გამოაქვეყნა პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა და
სწორად შენიშნა, რომ ზოგ მათგანში ისეთი
ადამიანური ენებები გამოსტვივის, რაც სრუ-
ლიად მიუღებელია ქრისტიანულ-ასკეტური მი-
მართულების მწერლობისათვის (ეურნ. „ცის-
კარი“ № 1, 1958 წ.)

მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი. ქრის-
ტიანულმა მწერლობამ ობიექტურად მაინც დი-
დი საქმე გააკეთა და უძველესი, წარმართული
სიუჟეტების დაცვით კაცობრიობას შემოუნახა
ძვირფასი ნიმუშები.

ქრისტიანული ნოველათა კრებულებს შორის
როგორც სიძველედ, ისე თავისი შემაღლენ-
ლობით განსაკეთრებული ადგილი უკავია თხზუ-
ლებას, რომელიც ბერძნულ სამყაროში ცნობი-
ლია „ლიმონარის“ სახელწოდებით („ლიმონა-
რი“ ნიშნავს „მღვლოს“, ქართულად კი „ბაღს“,

„მტილს“. ეს არის ტიპური ნიმუში „პატრიოკისა“, რომელსაც თავის მიზანდასახულების შესაბამისად სულისმარგებელ თხზულებად მიიზნევენ. აქ ვაღმოცემულია ქრისტიან წმინდანთა („მამათა“) ანა შთელი ცხოვრება-თავგადასაცალი, არამედ ერთი რომელიმე ეპიზოდი, რომელშიც ნოველისტური თხრობით აღიარებულია ქრისტიანული რწმენის უპირატესობა. ნოველების გმირები ე. წ. წმინდა მამები სასწაულებით ებრძვიან ბოროტების ყოველ გამოვლინებას, რაც როგორც სარწმუნოების დაცვას, ისე მორალურ სიწმინდეს შეეხება. „ლიმონარის“ ავტორი თეოთხილველის ოსტატობით აღწერს ნოველათა გმირების მოქმედებებს და ყოველი ეპიზოდიდან რაღაც ვარკვეულ მსჯელობას გამოაქვს. როგორც აღენიშნება, თხრობა-ქადაგების ეს ხერხი მკითხველის დიდ ინტერესს იწვევდა და ამიტომ კვირა ამ ეპიზოდში დიდ გავრცელებას მომდევნო საუკუნეებში. ცნობილია, მაგალითად, რომ სრულიად სხვა მიზანდასახულების ნოველები „ჯოჯოხის“ ბოგაჩიოს თავის მხატვრული ხერხებით სათავეს ამ ტიპის სასულიერო თხზულებებიდან იღებს.

„ლიმონარის“ ეს კრებული მიეწერება მე-7 საუკუნის მწერალს იოანე მოსხს და იგი გავრცელებულია თითქმის ყველა ქრისტიანი ხალხის მწერლობაში. აღნიშნული კრებული მოიპოვება ქართულ ენაზეც „სამოთხის“ სახელწოდებით და როგორც ვნახეთ, მას ჩვენში დიდი პოპულარობა მოუპოვებია.

ქართული „ლიმონარის“ სათაური „სამოთხე“ ერთი შეხედვით უცნაურად ჟღერს, რადგან იგი თავისი მნიშვნელობით სცილდება ბერძნულს („ლიმონარი“ — „მდელი“). მაგრამ ვინც ქრისტიანული აზროვნებასათვის დამახასიათებელ სიმბოლურ მეტყველებას იცნობს, მისთვის აქ ყველაფერი ნათელია. ლიმონარი, როგორც აღვნიშნეთ, მდელის ნიშნავს და სიმბოლურად სულიერი სიბრძნით („ყვავილებით“) მოხატული ველია, ხოლო ქართულად სიტყვა „სამოთხესა“ ზუსტად იგივე მნიშვნელობას აქვს და ავტორს, როგორც ამას მეტაფორულად შევნიშნავს, მიმოღის ამ სულიერ მამათა მიერ შექმნილ ბაღში, რათა მოკრიფოს და გაუნაწილოს მორწმუნეებს საჭირო სიყვით.


„ლიმონარის“ მსოფლიო ლიტერატურაში გავრცელების შესახებ თავის დროზე საქმის ლიტერატურა შეიქმნა და ისე როგორც ამ ძველის ყველა წერსივლით, მათ შორის ქართული, ბერძნულიდან ვერაშეიძინებდა იყო მიჩნეული. ბერძნული თხზულების ავტორად კი, როგორც აღვნიშნეთ, მიჩნეული იყო იოანე მოსხი, მოღვაწე მე-7 საუკუნისა (ტრუმბახერი მის გარდაცვალებას 619 წელზე ღებს, ხოლო სხვა ცნობით 634 წელით ივარაუდება). თხზულების შესავალშივე აღნიშნულია, რომ იოანეს თხზულება

თავისი სულიერი შეიღისათვის — სოფრომ პალესტინელისათვის მიეძღვნა (არქიტონი წახს, ეს ცნობა ვახუა მიხევი იმისა, რომ ქრისტიანული ძველის ავტორად სოფრომი მიიჩნდათ). იოანე და სოფრომი ერთად მოღვაწეობდნენ საბას ლავრაში, მოგზაურობდნენ პალესტინაში, ეგვიპტეში, სირიაში, მცირე აზიაში, რომში და სხვ. თავისი მასწავლებლები სოფრომს დაუმარბავს 1634 წლის მახლობლად თეოდოსის მონასტერში და თავისი შემდგომი ცხოვრება აქვე გაუტარებია (Bill. vet. Patrum Paris 1624. II გვ. 1034—1055, შ. ნუტუბიძე, ფილ. ისტორია, ტ. I, გვ. 472).

კამათს იწვევდა ავტორის სახელიც: იოანე მოსხი. მოსხი, როგორც ცნობილია, ბერძნულად სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება (მოსხი — ნორჩი შტო, მოსხი — ნორჩი ცხოველი, ხბო და ა. შ.), მაგრამ მეტწილად გავრცელებული ფორმა ამ სახელისა „იოანე ო მოსხის“ ადგილებიწებს მკვლევართ, რომ აქ „მოსხის“ მესხს ნიშნავს. მაგალ. იერ. როსვეილი წერდა, რომ იოანე მოსხი ჩამომავლობით, ერევნებით მესხი (ქართული) იყო, მასვე აღნიშნავდა როგორც ძველი, ისე ახალი კომენტატორებიც. მაშასადამე, საყოველთაოდ ცნობილი „ლიმონარის“ ავტორი უოფილა მე-7 საუკუნის მწერალი იოანე მოსხი, ჩამომავლობით ქართველი (მესხთა ტომიდან).

უკანასკნელ ხანებში, როგორც ქართულ, ისე დასავლეთ ევროპის მეცნიერებებში ახლებურად დაიწყო საკითხი და კვლავ აღიჭრა ინტერესი ამ ძველის გარშემო. პროფ. შ. ნუტუბიძემ წამოაყენა მეტად საინტერესო ჰიპოთეზი, რაც ამ ხანების ისტორიულ-კულტურულ ერთობის თავისებურ შუქს ანიჭებს. ქართული „ბალაგარია-ნის“ გადაწვევება რომელი ბერძნული და ლათინური „ავარდი და ოსაფის“ რომანის წარმოშობაში (ხოლო აქედან კი ევროპულ ლიტერატურაში მისი გავრცელება) მკვლევარი მიიყვანა შეხედულებამდე, რომ აქნებ სწორედ ქართულ ენაზე დამუშავდა ინდური თქმულების პირველი ქრისტიანული რედაქცია, ხოლო რამდენიმე საუკუნის შემდეგ იგი ქართულიდან ბერძნულად გადაამეტარისტა ევროპამ ათონელმა. ამ თხზულების ბერძნულ ხელნაწერებში არის ლეშა, რომელიც ინდური თქმულების ჩაწერას ვიღაც იოანე საბაწმინდელს მიაწერს. ამის თაობაზე აღრეც იყო გამოთქმული მოსახერხება და იოანეში ზოგი იოანე დამასკელს ზედაეს, ხოლო ზოგი იოანე საბაწმინდელს (ზუსტად დადგენილი არ იყო მისი ენობა). შ. ნუტუბიძემ განსაკუთრებული ყურადღება ქართულ

I ამის შესახებ იხ. შ. ნუტუბიძის შრომებში და ს. ყუბლიშვილის წერტილი „შეშვიდე საუკუნოველისტი“ „ცისკარი“, 1958 წ. № 1 გვ. 99-100.



ბალავარიანს მიაპყრო, სადაც პირდაპირ აღნიშნულია, რომ ინდურ თქმულებას „გვითხოვდა მამა ისაა, ძე სოფრომ პალესტინელისა“.

სოფრომ პალესტინელი იოანე მოსხის მოწაფეა და იოანემ სწორედ მას მიუძღვნა თავისი „ლიმონარო“. ამავე სოფრომის მოწაფეს მოეტრანია ინდური თქმულება და როგორც ჩანს, იოანე-სოფრომის ლიტერატურულ წრეში უნდა ეცხოთ ბალავარის ავტორიც. შ. ნუცუბიძეს ასეთად თვით იოანე მოსხი (მესხი) მიაჩნია: იოანე მოსხი და მისი „მე“ სოფრომი გვეგვიტისა და პალესტინის მხარეებში მიმოხილავდნენ საეგვიპტოს და კრებდნენ მასალას სულთა მარტებელ ისტორიათა ჩასაწერად. ამ მასალიდან იოანე მოსხმა, შემდეგ „ნოველათა კრებული“ („ლიმონარი“ — „სამოთხე“) გააკეთა, ხოლო მეორე „ძე“ (სოფრომ პალესტინელის მოწაფეო, ს. ც.) ისაიკი ინდოთა მხარეში მოგზაურობდა. იქიდან მან ჩამოიტრანა მასალა, რომელიც საბას ლეონარში მოახსენა ასეთ თხრობათა ჩაწერის ოსტატს — იოანე მოსხს (საბაწმინდელს) და მან იგი ჩაწერა: „გვითხოვდა ზეენ...“ და სხვ. ისე, როგორც იწვევა ყველა ნოველა „სამოთხისა“ (შ. ნუცუბიძე).

ამ პირობებს შ. ნუცუბიძემ სხვა მიმართულებაც მისცა. იოანე მოსხი (მესხი) იყო ტბიურთა წარმომადგენელი მ. წ. ქართულ ორენოვან მოღვაწეთა და მან, აღმათ, ორევე ეს სულის მარგებელი თხზულება („სიბრძნე ბალავარისა“ და „ლიმონარი“) ჯერ ქართულად შეასრულა, ხოლო შემდეგ კი ბერძნულად ვარიანტი (და არა თარგმანი) შექმნა. როგორც ცნობილია, შ. ნუცუბიძის ამ შეხედულებას გაერობამ მკვლევართა (როგორც ზეენში, ისე საზღვარგარეთ) სხვადასხვაგვარი შეფასება დაიმსახურა, მაგრამ ვერაიენ უაზროფს, რომ აქ საქმე გვაქვს მწყობრ, საეულისებმო კონცეფციასთან.

პროფ. ილ. აბულაძის მიერ გამოცემული „სამოთხე“ უძველესად აღგვიჩვენებს კითხვას, თუ რა მიმართებაშია იგი „ლიმონაროს“ სხვა ვერსიებთან. ამასთან იგივე კითხვა პირდაპირ კავშირშია აგრეთვე შ. ნუცუბიძის მიერ შემოთხოვნილ დებულებებთან, რადგან ქართული „ლიმონარი“ შ. ნუცუბიძის აზრით, ერთერთი ძირითადი რგოლია ამ ძველის წარმოშობა-გავრცელების საქმეში.

ილია აბულაძეს თხზულების გამოცემა დაფუძნებული აქვს სამ საკმაოდ ძველ ზღაპარზე (როგორც ჩანს „ლიმონაროს“ სხვა ნუსხები მკვლევარს არ ეგულება). ესენია: ათონის ზელნაწერი № 9, რომელიც გადაწერილია 977 წელს (გამომცემელს ამ ნუსხის მხოლოდ ზუსტი პირი მოგვიწერა), სინას ზელნაწერი № 36, რომელიც გადაწერილია 925 წელს და, დასასრულ, კლავ სინას ზელნაწერი № 88, რომელიც უშედარებით გვიან XIII საუკუნეშია გადაწერილი. ირაკლია,

რომ ქართულ „ლიმონარს“ ანუ „სამოთხეს“ შემდგომში გამგრძელებლები გაწოდებულნი არიან ზოგ ნუსხაში პირდაპირ აღნიშნულია (ამ ნაწილს თვით გადაწერებები „სამოთხის“ მიმსგავსებულს უწოდებენ). სარეცენზიო გამოცემაში შესულია როგორც ძირითადად აღიარებული ტექსტი (92-ე ნოველადღე), ისე მისი დამატებებიც.

ილია აბულაძემ გამოცემას წარუშლდარა საგულისხმო გამოცვლევაც და წარმოადგინა საკუთარი დაკვირვებები ქართული „ლიმონარის“ როგორც დათარიღების, ისე მის მიმართებაზე სხვა ენებზე არსებულ ანალოგიურ თხზულებებთან. როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, მეცნიერებაში აღიარებული იყო მოსაზრება, რომ ბერძნული „ლიმონარი“ ქართული „სამოთხის“ უშუალო დედანს წარმოადგენს. ილია აბულაძემ ერთმანეთს შეუჯერა ეს ორი თხზულება და, ზეენი აზრით, სრულიად მართებულ დასკვნამდე მივიდა ქართული „სამოთხე“ მნიშვნელოვან ნაწილად სცილდება ბერძნულ ტექსტს და არ წარმოადგენს მის თარგმანს. საინტერესოა, რომ შ. ნუცუბიძემაც ადრევე აღიარა, რომ ქართული ტექსტი არ წარმოადგენს ბერძნულს უშუალო გადმოღებას (მაგრამ მას ორივე ეს ვერსია ერთი ავტორისად მიაჩნია. იოანე მოსხმა შექმნა ჯერ ქართული, შემდეგ ბერძნული ვარიანტი „ლიმონარისა“ და ისინი ზუსტად არ ემთხვევიან, თუმცა ზოგჯერ ერთმანეთს აესებენ კიდევო).

მეორე დებულება, რომელიც გამოთქმულია ამავე ნაწილში, ეხება თხზულების დათარიღების საკითხს. ილ. აბულაძის მოსაზრებით „სამოთხის“ ის რედაქცია, რომელიც დატულია მისი გამოცემაში არ იმდენა ნიშნებს რათა იგი პირდაპირ იოანე მოსხს მიეკუთვნებოდ და მე-7 საუკუნისად ვალიაროთ. მთელი რიგი ლექსიკური ფაქტები, როგორც არაბული, ისე ახალი სპარსული ენობრივი სამყაროდან, საეპოსო ხდიან ამ ძველის მე-7 საუკუნით დათარიღებას (ილ. აბულაძის აზრით სიტყვების მთელი ნუსხა მოაქვს: ბერძნული, დუქანი, კოჰში, შერტა, ფუნდუკი, ჯერაკუმელი, დასტური, მიზლი და სხვ.) არაბული და ახალი სპარსულის ლექსიკა მხოლოდ მე-7 საუკუნის დასასრულიდან თუ შეიძლება (და ისიც კანტი-კენტად) შეპრილიყო ქართულ პერსეველებში, მართალია, ეს ძველი შესაძლოა სწორედ არაბეთთან ახლო მდებარე ქვეყანაშივე შექმნილიყო (შ. ნუცუბიძე), მაგრამ ახალი სპარსული ლექსიკის გავლენა მაინც შედარებით მოგვიანო ჩანს ფაქტი უნდა იყოს.

მაგრამ ილია აბულაძემ თავისი ეს შეხედულებები, ჩემი აზრით, კიდევ ერთი საგულისხმო დაკვირვებით გაამაგრა. ქართული „სამოთხის“ ამ რედაქციის ერთგვარად შეიმჩნევა არაბული დღენის კვალი, რაც ზოგი სიტყვის თავისებუ-

რი ფორმით გადმოცემაში ელინდება. მაგალითად, ვეარჯენე (ნაცვლად ველოვისა), ვესტოჯი, სერჯი, ჯერასიმე და სხვ. რაც არაბინის კვალი უნდა იყოს ქართულ ტექსტში. მკვლევარს ამ მიმართულებით ძიება კიდევ უფრო გაეღრმავებია. როგორც ენობილია, არსებობს „ლიმონარის“ არაბული ვერსიები (გ. გრაფის მიხედვით) და მართლაც, ენობილი ორიენტალისტის ე. ვარიითს დახაზვებით მას ერთი ასეთი არაბული ვერსია კიდევ მოუპოვებია (არაბულად მას „მუსთანი“ უწოდებდა). იმუხედავად გარკვეული სახესკობისა, წინასწარი დაკვირვება ამახელს, რომ სწორედ არაბული ვერსიიდან უნდა მოდიოდეს „სამოთხის“ ეს ქართული რედამცია. აქ მხოლოდ ერთი მაგალითს მოვიტან. ბერძნულში სიტყვა „სტაუროფილაქსის“ (ჯერის მკველი) ნაცვლად ქართულში გვაქვს „დევრულარი“, ირკვევა, რომ არაბულ „ლიმონარში“ ამავე ცნების აღსანიშნავად სწორედ „დევტარარ“ იხმარება. ქართული „სამოთხის“ აღნიშნული ვერსია არაბულიდან უნდა იღებდეს სათავეს, მაგრამ ეს ურთიერთობა ამით არ თავდება. თვით არაბული ვერსია ყველა ნიშნით ბერძნული „ლიმონარიდან“ უნდა მოდიოდეს და ამის შემდეგ ვასაგები ხდება ქართულში აქა-იქ არსებული ბერძნულნი, რაზედაც სხვათაშორის ჯერ კიდევ პროფ. ს. უახსნიშვილმა მიუთითა. ბერძნული „ლიმონარი“, არაბული „მუსტანი“ და ქართული „სამოთხე“... იის გზა, რომელიც დასახა ჰარუცენოლი გამოკვლევაში ილ. აბულაძემ და რაც ჩვენი აზრით, ჯერჯერობით ყველაზე შეუძლებად არკვევს ამ ტექსტების ურთიერთ მიმართებას.

აქვე მინდა შევნიშნო შემდეგიც. მიუხედავად ასეთი დასკვნებისა, კონცეფცია, რომელიც შ. ნუცუბიძეს ეკუთვნის, ჩვენი აზრით, მაინც ძალაში რჩება (რასაკვირველია, გარკვეული შესწორებებით). ფაქტია, რომ მე-7 საუკუნის ქართულ მოღვაწეს იოანე მოსხს შეუქმნია ნოველების კრებული „ლიმონარი“, რომელიც დაცულია ბერძნულ ენაზე. ამასთან (უკვე პოპოუზის სახით) შესაძლოა არსებობდა ამავე ავტორის ქართული „სამოთხეც“, რომლის დაკარგვამ შემდგომში წარმოშვა საქიროება ქართულად გადმოცემა აღნიშნული თხზულება. ასევე ძალაში რჩება მეორე კიდევ უფრო საგულისხმო მოსაზრებაც, რომ სწორედ ისაკ-სოფრომ-იოანეს წრეში ჩამოყალიბდა ის შესანიშნავი სულისმარტებელი რომანი („სიბრძნე ზალავარისა“), რომელშიც ასეთი დიდი პოპულარობა მოიხვეჭა შემდგომი ხანის ლიტერატურაში (ექვთიმე ათონელის მეტაფრასტული რედამციის მეოხებით).

ილი აბულაძემ თავისი გამოკვლევის სპეციალური თავი მიუძღვნა „ლიმონარის“ გამო-

ძახილს ძველ ქართულ მწერლობაში ირკვევა, რომ „ლიმონარის“ ერთ-ერთი ტექსტშიც გადმოცემული ამნავე გამოკვლევის მიხედვით ურათა წამების“ ავტორის და მისი თვისებები რედამცია მოუცია. აქ საგულისხმოა, არამარტო „სამოთხის“ გამოძახილი, არამედ ისიც, რომ ამით მყარი საფუძველი ეძლევა „კოლაელთა წამების“ დათარიღების საკითხებს, რაც ზოგ მკვლევარს ბევრად აღრეულ ხანაში გადაქონდა. ილია აბულაძის აზრით, „სამოთხის“ დამატებათა კვლის აღმოჩენა „კოლაელთა წამებაში“ გვაფიქრებინებს, რომ ეს უკანასკნელი XI საუკუნის პირველ ნახევარში უნდა იყოს შექმნილი.

პროფ. ილ. აბულაძე ჩერდება ამ ერთ ფაქტზე, მაგრამ ირკვევა, რომ „ლიმონარს“ ანუ „სამოთხეს“ ფართო გავრცელება ჰქონია ქართულ მწერლობაში. პროფ. ე. კვეციმიძე განიხილავს მე-18 საუკუნის მოღვაწის გაბრიელ მცირეს მოღვაწეობას და შენიშნავს, რომ მის მიერ შედგენილი ერთ-ერთ კრებულში („სამოთხის უვაილი“) მთელი ადგილებია შესული „ლიმონარიდან“, რასაკვირველია, საინტერესოა არასარტო გამოძახილის ფაქტი, არამედ ისიც, თუ როგორი ტონის რედამციას იყენებს გაბრიელ მცირე მის მიერ შედგენილ კრებულში. ასეთივე ექსტრემუტები „ლიმონარიდან“ ჩვენ გვაგვრდებოდა ეთიოპის მტუხუშში დაცული ერთ ნუსხაში, რაზედაც მიგვიითხებს № 190 ზელნაწერის აღწერლობა (ქუთ. მუხუშუმის ზელნ. აღწერ. ტ. 1).

აქვე მინდა შევნიშნო ერთი საგულისხმო მოწინა, რაც „ლიმონარის“ ქართული გამოცემის შესწავლის დროს შევამჩნიეთ. ირკვევა, რომ დამატებების ზოგი ნოველა პირწმინდად იმორჩება „ლიმონარის“ ძირითად ტექსტში მოთავსებულ ნოველას. მაგალითად, ძირითადი ტექსტის იმ ნოველა ზუსტ პარალელს პოულობს მეორე დამატების ერთ-ერთ თავში (რკ.). უფრო მეტიც, შეკერება-შესწავლად გამოავლინა, რომ ამგვარი მოვლენები თვით ძირითადი ტექსტის დარღვევებში გვხვდება. მაგალითად, ნოველა გ ზუსტად ემთხვევა ამბავს, რომელიც მოთხრობილია თ ნოველაში (საკურთხეველზე ანგელოზის გამოჩენის სასწაული).

რასაკვირველია, სასურველი იქნებოდა ტექსტის გამოცემულს ყურადღება მიექცია ამ მოწინაშესათვის და ეცადა ამ პარალელიზმის მიზეზების გამოკვლევა.

რაც შეეხება თვით ტექსტის ენობრივ დამუშავებას, მეცნიერულ ლექსიკონსა და საძიებლებს, ყველაფერი ეს გაკეთებულა ისეთი მეცნიერული დონით, როგორც ეს მოსალოდნელი იყო ძველი ქართული ძეგლების ნაცად გამოცემლის პროფ. ილია აბულაძისაგან.



ახალი ტექსტოლოგიური გამოკვლევა **თორნიკე ერისთავის**
შეკვლილთა

პროკლე კეკელიძის სარეცენზიო წიგნი აკაკი წერეთლის ორი ისტორიული პოემის („თორნიკე ერისთავი“ და „ნათელა“) ტექსტოლოგიური შესწავლის ახალ სინტერესს ელას წარმოადგენს.

ვრცელ კრიტიკულ ნარკვევებთან ერთად ნაშრომში წარმოდგენილია საცნობარო მასალა (ავტორგრაფები, ხელნაწერთა აღწერილობანი, სიმფონია), რასაც უძველეს დიდი მნიშვნელობა აქვს აკაკი წერეთლის როგორც შემოქმედებითი მეთოდის შესასწავლად, ისე მისი ისტორიული პოემების ავტორგრაფებისა და გამოცემათა ურთიერთდამოკიდებულების გასათვალისწინებლად და ნამდვილი, ავტორისეული ტექსტის დასადგენად. ასეთი შინაარსის წიგნი ქართულ ენაზე პირველად იცემა.

ნაშრომის უოკლმბრით შეჯერება ჩვენს მიზანს არ შეადგენს. წიგნი პირველ რიგში ჩვენ ფილოლოგიური, ტექსტოლოგიური კვლევა-ძიების შედეგების თვალსაზრისით გვაინტერესებს.

მკვლევარის მიერ შეკრებილი მასალები მოწმობენ, რომ აკაკი წერეთელს დიდი და ხანგრძლივი შემოქმედებითი მუშაობა ჩატარებია „თორნიკე ერისთავის“ ტექსტის საბოლოო სახით ჩამოყალიბება-სრულყოფისათვის. „ორკვევა, რომ ავტორს პოემის ადრინდელი, ძირითადი ტექსტი მრავალჯერ და მრავალმხრივ უსწორებია, რის შედეგადაც წარმოქმნილია ახალი რედაქციული ფუნქციები და მთელი ტექსტი დეფარულია მრავალი უსწორებების ნაირსახეობანი ქსელით“. (გვ. 033). ავტორს უბოძია პოემის ცალკე თავების, სტროფებისა და ტაბეების განსხვავებული ვარიანტები, რომლებიც მას საბუთს აძლევს განსაზღვროს, რომ „ამგვარი ღრმა შემოქმედებითი მუშაობის შედეგად პოემის გადათვორებულ ტექსტზე სამი ახალი რედაქცია წარმოქმნილა“ (იქვე). მეტიც, მკვლევარი მართებულად მიუთითებს, რომ ავტორგრაფები გვაჩვენებენ პოემის საბოლოო სახეს, ხოლო მისი პირველმონახანი კი ვაცილებით ადრინდელია. პირველმონახანიც ხომ ერთ დღეს ვერ შეიქმნებოდა. მკვლევარს შეუსწავლია „თორნიკე ერისთავის“ ავტორგრაფული პირი, რომელიც ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის კირილე ლორთქიფანიძის არქივშია დაცული და ამის მიხედვით განუსაზღვრავს მისი დასრულების თარიღიც.

ნაშრომი დამაჯერებლად გვაჩვენებს, რომ აკაკის შესანიშნავი ისტორიული პოემები ისევე, როგორც მისი ყველა მხატვრული შედეგის, ხანგრძლივი, რთული, თავდადებული შრომის ნაყოფია.

წიგნში დაწვრილებითაა აღწერილი პოეტის მუშაობა თხზულების ტექსტზე, მის ენობრივ-

გრამატიკულსა და ლექსიკონ-ორთოგრაფიულ სრულყოფაზე. საარტიკო მასალის მონაცემების საფუძველზე აღდგენილია ცენზურის მიერ დამახინჯებელი ადგილები პოემისა. კარგად ცნობილია, თუ მეფის ცენზურამ რა დიდი ზიანი შეაყენა პოემის თავდაპირველ ტექსტს. მკვლევარს ხზგამსული აქვს, რომ „თორნიკე ერისთავის“ 1884, 1898, 1908 წლების გამოცემები დამახინჯებულია ცენზურის მიერ და დამახინჯებელი ტექსტია გამოცემული აგრეთვე 1919 და 1926 წლებშიც. საპარლიამანო მიუთითებელი 1940 წლის საიუბილეო გამოცემაში შეპარულ შეცდომებზედაც. წიგნში აღნუსხულია ყველა ეს შეცდომა-დამახინჯება, აღდგენილია გამოტოვებული ადგილები და წარმოდგენილია ავტორის მიერ დადგენილი დეფინიციური ტექსტი.

„თორნიკე ერისთავის“ დეფინიციური ტექსტის ანალიზისას პროკლე კეკელიძეს გამოურკვევია პოემის ტექსტოლოგიური შინაარსი (გვ. 036—063) და ენობრივ-ორთოგრაფიული მხარე (გვ. 063—0133). ორივე საკითხი შესწავლილია საქმის ცოდნითა და სიყვარულით, მიღებული დასკვნებით დებულებანი ემყარება მდიდარ ფაქტობრივ მასალას.

მკვლევარს შენიშნული აქვს, რომ თხზულების ცალკე ენობრივი მოვლენები თავიანთი გეოგნებისა და მიხედვით შეუცვლიათ შემდეგდროინდელ რედაქტორ-გამომცემლებს. წიგნში დამოწმებულია ამის ბევრი შემთხვევა. ჩვენ მერსაც იტყვიით. ზნორად დღესაც ასე ემყარობიან ჩვენი კლასიკოსების თხზულებათა ტექსტებს. თავისთავად ცხადია, თანამედროვე გამოცემულთა მხრით ძველი ტექსტების ასეთი „რედაქტირება“ სრულიად შეუწყნარებელია. თანამედროვე რედაქტორმა თავისი გეოგნების მიხედვით რომ „გასწოროს“ ჩვენი კლასიკოსების „ძველი ენობრივი“ ნორმები, ძველია იმის წარმოდგენა, თუ ამის შედეგად რას მივიღებდით. თუ რაიმე გასწორებასა და რედაქტირებაზე იქნება ლაპარაკი, ეს მხოლოდ უნებლიე ლაპსუსებსა და ორთოგრაფულ შეუსაბამობებს უნდა შეეხოს. და აქაც დიდი სიფრთხილეა საჭირო. სასაამოვნოა აღინიშნოს, რომ პროკლე კეკელიძე დგას სავსებით მართებულ თვალსაზრისზე: იგი პოემის ტექსტს ადგენს ავტორგრაფებისა და ხელნაწერთა სტვა ნუსხების მიხედვით. ასწორებს მხოლოდ შეუძლებელ ფორმებსა და უნებლიე ლაპსუსებს.

ავტორის კრიტიკულად გაუცხრილავს პოემის ტექსტის ენობრივ-სტილისტიკური თავისებურებანი, ლექსიკა, ხელნაწერებსა და ბეჭდურ გამოცემებში შენიშნული განსხვავებული ფორტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური მოვ-

ლენები. ამ მიზნით შეჯერებულია ხელნაწერები და ბეჭდური გამოცემანი.

დაწერილებითაა გადმოცემული ათეულობით რთული სიტყვის თავისებური მართლწერა აკაკის ავტოგრაფებში, პოეტის შეხედულება მრავალი სიტყვის ხმარებულებაზე. აკაკის მიერ პილვებით ორთოგრაფიული ნორმები, ცალკეულ სიტყვათა თავისებური წარმოთქმა და მართლწერა იძლევა ძვირფას მასალას დიდი პოეტის მდიდარი პოეტური ენის შესასწავლად.

საინტერესოა შეხედულებები განვითარებული „თორნიე ერისთავისა“ და „ნათელას“ ისტორიულ წყაროთა შესახებ (გვ. 0134—0200; 0221—0270). დამაჯერებლადია ნაჩვენები, ისტორიული წყაროებიდან პოეტს, თუ რა აქვდა და როგორ გამოუყენებია იგი მხატვრული სახეებისა და სიტუაციების შესაქმნელად. ქართული და უცხოური წყაროების შეპირისპირების შედეგად გამოყვეთილია თორნიე ერისთავის როგორც, ერთი მხრით, ისტორიული პირის, ისე, მეორე მხრით, როგორც მხატვრული ქმნილების მთავარი გმირის საყმარისად სრული პორტრეტი.

მოსაწონია, რომ წიგნს ერთვის აკაკის „თორნიე ერისთავის“ ავტოგრაფის სრული სიმფონია. წარმოდგენილია მეტად ძვირფასი საცნობარო მასალა, რომელიც ასე საქირთა პოზიტიური ფილოლოგიური კვლევა-ძიებისთვის. სიმფონია გვჩვენებს აკაკის მდიდარსა და მრავალფეროვან ლექსიკას.

წიგნი ქართულ იურისტებზე

ვახტანგ ყვანას შრომა „ქართველი იურისტები“ აღსანიშნავია როგორც პირველი ცდა ქართველ იურისტების მოღვაწეობის შესწავლისა.

თავისთავად ცხადია, რომ პირველი ცდისთანავე არ შეიძლება ამ თემაზე, ყველა ფაქტობრივი მასალის შეკრება და არც მისი ამომწურავად დამუშავება. ამან განსაზღვრა შრომის მოცულობა და მასში მოთავსებული მასალის ხასიათი. სირთულე კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ იურიდიულ მოღვაწეობას ჩვენს ქვეყანაში მრავალმხრივი გამოვლინება ჰქონდა და, ამის გამო, ამ მოღვაწეობის ერთ ასპექტში განხილვა არასრულ წარმოდგენას მვცემდა.

თვით ავტორი თავის შრომას მხოლოდ საკითხის დაყენების მნიშვნელობას აძლევს. მაგრამ ეს ავტორის მოკრძალებულობაზე მიუთითებს. შრომა, რასაკვირველია, სცილდება საკითხის დაყენების ფარგლებს. თემის ზოგადობამ და მასალის ამჯერად ნაკლებობამ, აიძულა ავტორი მრავალი ექსკურსით, ცოდნისა და

ამრიგად სარეცენზიო წიგნი კარგი ფილოლოგიური გამოკვლევაა, ემყარება⁽¹⁾ შეცნობრულად შემოწმებულ მდიდარ ფაქტობრივ მასალას, რომლის მთავარი ნაწილი პირადად მეკლევარის მიერაა მოპოვებული. წიგნი გვაწვდის მეტად საჭირო ცნობებს აკაკი წერეთლის ისტორიული პოემების ენის თავისებურებათა გასათვალისწინებლად. იგი ხელს შეუწყობს ასევე ქართული ენის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენების უფრო ღრმად შესწავლას. მეკლევარს სათანადო სისრულით, კეთილსინდისიერად აქვს გამოყენებული საგნის ვრცელი სპეციალური ლიტერატურა.

ჩვენი შენიშვნა წიგნის მხოლოდ ერთ მხარეს ეხება. როგორც ვნახეთ, სისრულით აქვს წარმოდგენილი აკაკის „თორნიე ერისთავის“ როგორც დეფინიციური ტექსტი, ისე მისი აპარატი. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით „ნათელას“ შესახებ. სასურველი იყო ნაშრომში „ნათელას“ დეფინიციური ტექსტისა და სიმფონიის წარმოდგენა.

წიგნს ერთვის პოემების ავტოგრაფთა ფოტოპირები. თავისთავად ეს ფოტოპირები მეტად საინტერესოა, მაგრამ საყმარისი იქნებოდა აქ მათი არა ასე ვრცლად, არამედ მხოლოდ რამდენიმე ტიპობრივი ნიმუშის წარმოდგენა, რაც მკითხველს ზოგად წარმოდგენას მისცემდა ავტოგრაფებზე.

ა. ლ. ლონია

პრაქტიკის სხვადასხვა დარგებიდან, დაეძლია დასახული ამოცანა. მართალია, ამ ექსკურსებს აქვია ერთიანობა, სმაპეიროდ — ზოგიერთი მათგანი კვლევითი ხასიათისაა, კარგი გემოვნებით დამუშავებული (მაგალითად, ილიას და აკაკის მოღვაწეობა იურიდიულ სფეროში, ნიკო ნიკოლაძე სვანების პროცესზე, ცნობები ჰიპოთურის შეიქვეის მრეწველობის განვითარების შესახებ და სხვ.).

ავტორი ანალიზს უყუთებს აკაკის შესანიშნავ სიტყვას სვანების გასამართლებაზე ქ. ქუთაისში 1876 წ. (სიტყვა დართულია აქვს შრომას), აკაკი მოითხოვს სვანების მიმართ განსაკუთრებულ მიდგომას, მათი წამორჩენილობის გამო. თუ იგი ხაზგასმით მიუთითებს სვანების „წამორჩენილობაზე“, ეს მხოლოდ დაცვის ხერხია, ამასთანავე „წამორჩენილობაში“ აკაკი გულისხმობს სვანთა პატრიარქალურ-გვაროვნულ საზოგადოებრივ წყობილებას, და არა მართლაც მათ ზნეობრივ ან გონებრივ წამორჩენილობას, რადგან სვანებს, ისევე, როგორც

საქართველოს მთის სხვა ტომებს, ფშავ-ხევსურებს, ზნეობრივი და გონებრივი განკითხვის უნარი არა ნაკლები ჰქონდათ, ვიდრე სხვა, ბარში მცხოვრებთ, როგორც ამაში ისტორია, ვაჟასა და ყაზბეგის წაწარმოებები გვარწმუნებენ. ფ. ენგელსის აღფრთოვანებული სიტყვები საგვარტულო საზოგადოების მიმართ, განსაკუთრებით გამოიყენება საქართველოს მთიელთა და, მათ შორის, სეძების მიმართ: „და რა საუცხოო ორგანიზაციაა ეს გვიაროველი წყობილება, მიუხედავად მთელი მისი გულბრყვილო სიმართვისა. აქ არა ჯარისკაცები, ფანდარშები და პოლიციელები, არაა თავადზნაურობა, მეფეები, მეფის მოადგილეები, პრეტექტები ან მსაჯულენი, არაა ციხეები, არაა პროცესები, მაგრამ ყველაფერი თავის წესით მიმდინარეობს“ (ფ. ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. 1953. გვ. 131).

სეძათა „ჩამორჩენილობის“ შესახებ მასალის მიწოდების შემდეგ, აკაკი გაღაღას თავის სიტყვის ძირითადი იდეის დასაბუთებაზე: იმპერატორის კანონების გამოყენების შეუძლებლობაზე სეძათა მიმართ, რაც არა მარტო სეძებს უნდა ეგებოდეს.

„კანონის თავის საფუძვლად უნდა ედგას იმ ხალხის ზნე-ჩვეულება და ადამიწესი, ვისთვისაც ეს კანონია გამიზნული“. „ჩემთვის ცნობილია, — განაგრძობს ორატორი, — ერთადერთი ბედნიერი შემთხვევა ხალხისათვის ზემოდან კანონის მიცემისა. ეს მაშინ, როდესაც მოსემ ღვთისაგან მხოლოდ ათი ცნება სწავს მთაზე. მის შემდეგ მსგავსი მშავალიები არ შეიძლება განმეორებულიყო“. რა დიდი დაცინვაა იმპერატორისადმი, რომლის კანონმდებლობა ყოველთვის შემავლუბოდა ხალხის მოთხოვნილებათა უგულვებელყოფით, და, განსაკუთრებით, მასში შემავალ ერების მოთხოვნილებათა და ტრადიციების გაუთვალისწინებლად. ალბათ, მძიმე გულსტკეილით განაცხადა აკაკიმ შემდეგი: „ხელისუფლების წინააღმდეგ აუცილებელი მოგერიება დღემდებლია. შეიძლება მხოლოდ უკანონოდ მიჩნეული მოქმედების შემდეგში გასაჩივრება. ამ თვალსაზრისით, სეძებს, რომლებსაც ხიტებზე აგებდნენ არავითარი წინააღმდეგობა არ უნდა ვაეწიათ და მათ უფლება ჰქონდათ გეგასაჩივრებითა მთიარ ღვთის ბრძანებათა.“

აკაკი არ შეიძლო არ სცოდნოდა, რომ განვითარებულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, ხელისუფლების უკანონო მოქმედებისაგან აუცილებელი მოგერიება პასუხისმგებლობას არ იწვევდა. შემდეგში, რუს პროგრესულ იურისტებსაც დასაშვებად მიაჩნდათ ხელისუფლების

უკანონო ხელუფლისაგან თავის დაღწევა (ტეგანცევის კომენტარი წიგნში „Уголовное право. 22 марта 1903“. 1904 წ. წიგნი 13-ე ტომი Н. Сергеевский. Русское уголовное право“ გვ. 237. მაგრამ რუსეთის სინამდვილე მას უფლებას არ აძლევდა მაშინ უკიდურესი აზრები გამოეთქვა ამ პროცესზე.

აკაკის სიტყვა არ იყო გამიზნული მარტოდენ რუსეთის თვითმპყრობელობის „შობილბისათვის“, როგორც ავტორი ფიქრობს (გვ. 55). ეს ასე რომ უოფილიყო, აკაკი ვერ განახორციელებდა სწორ დაცვას, რომელიც მიშველ უარყოფის და პროპაგანდას კი არ წარმოადგენს, არამედ კერძო შემთხვევაში არსებული იურიდიული ყოფის მომარჯვების, იმანენტურ კრიტიკის. ამაზე მიუთითებს აკაკის ზემოთმოყვანილი განცხადება აუცილებელი მოგერიების დაუშვებლობის შესახებ, რაც მის სიტყვას პრაქტიკულად და პროფესიულად გამართლებულად ხდის.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ილიას მისამართულობის პერიოდიდან მოუყვანილი ცნობა, მთელი მარტიას გასამართლებასთან დაკავშირებით. ილია კვლავ აღიშნობდა ჩვენს წინაშე, როგორც დიდი მოღვაწე.

ილიას სიტყვები, რომ მარტიას „გაროზგვა შელახავს მთელი იმ ხალხის ღირსებას, რომელსაც ის ეკუთვნისო“ (გვ. 13), გამოხატავს ქართველი ხალხის აზრს კანონმდებლობისადმი, რომელიც შეიძლება სისჯებებს შეიცავდა და მათ შორის სხეულის წინააღმდეგ კავკასიის ხალხებისათვის ყოველთვის გაუგებარი იყო რუსეთის მიერ შემოღებული სასჯელები და მათ შორის როზგება.

მეტად გაოცდა თურმე საქართველოს უკანასკნელი მეფე, როდესაც პირველად შემოსული რუსეთის ჯარში გამეფებული სიმკაცრე დაინახა. „მეტად ფიცილებად ეკადებთან ვგეტრთბუეღნი საღდათთათო“, — უთქვამს მას ამ სიმკაცრის შესახებ. (პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII, 1936 წ., გვ. 170).

ავტორი გვაწვდის საინტერესო ცნობებს, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის, ზოზო ნანუაშვილის, დ. პოლუმორდინოვის და ცნობილი ქართველი ადვოკატების იოსებ ბარათაშვილის და შალვა მესხიშვილის შესახებ. წიგნში მოცემულია ოცდაათიანი წლებში ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლის ა. ჯაფარიძის პროფესიული დახასიათება. განსაკუთრებულ ყურადღებას იმეორებს ცნობები ილიასა და აკაკის მოღვაწეობის შესახებ იურიდიულ სფეროში.

შრომის დართული აქვს ქართული მწვერვლები წველების ნიმუშები: კოლხთა უცნობა ორატორის მიერ თქმული სიტყვა ვებაზ მეფის გასამართლებაზე მე-6 საუკუნეში; აკაისა — სვანთა გასამართლებაზე 1876 წელს, შალვა შესხიშვილის — თბილისის ოპერის დირიჟორის სტოლერმანის დასაცავად — ცოლის მკვლელობის საქმეზე.

შრომში მოთავსებულია სიტყვები წარმოთქმული ლიტერატურულ გასამართლებებზე. აკაისა — გიორგი საყაძის და ზეინაბის (ლაღარდანი) გასამართლებებზე; შ. შესხიშვილის და იოსებ მაჭავარიანის — ლევან ხიმშიაშვილის გასამართლებაზე, სადაც პირველი ბრალს სდებდა, ხოლო მეორე იცავდა ლ. ხიმშიაშვილს.

სანიმუშო სიტყვებში ავტორს ჩართული აქვს პროკურორ ა. ჩიქვანიას სიტყვა თქმული ილიას მკვლელის ბერბეკაშვილის ბრალდასადაგად.

ავტორი ქართველი იურისტების მოღვაწეობის მრავალ მხარეს ეხება, ხოლო არც ერთჯერ ამოწმრავად, და ეს გასაგებია, რადგან მას არ ჰქონდა მიზნად სპეციალურად განებლია იურიდიული აზროვნების ისტორია, ადვოკატურის განვითარება და სხვა სფეროებში იურისტთა მოღვაწეობა.

შრომში სპეციალურად ვარჩევია მხოლოდ შემოთხამითელი იურისტების მოღვაწეობა. არა თანაბარი სიმღერითაა აღდგენილი მათი პორტრეტები. ზოგიერთ შემთხვევაში ცნობები მათ შესახებ არ არის საკმარისი სწორი (მაგალითად, ლ. ანდრონიკაშვილს მიაწერს ეზუანი მკვლელის დაცვას).

არა სრულად არიან დასახელებული პრაქტიკოსი იურისტები. ამ წრიდან განხილულია მხოლოდ ისინი, ვისაც დარჩა გამოქვეყნებული შრომები თუ სიტყვები. თუმცა ავტორი იძულებულია გადაუხეოს ამ წესს, და მოგვითხროს ისეთებზედაც, რომელთა შემოქმედება თანამედროვეებზე და ზნეობრივი სიმამაცე იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ მათი მოუგონებლობა ბევრდროს მასალის უქონლობის მიუხედავად, მეტად მიტოვებული იქნებოდა ასეთი შრომისათვის.


ქართული ადვოკატურის ახალგაზრდა წარმომადგენლებს ავტორი თითქმის არ ეხება. ამ წრიდან ა. ჯაფარიძეა მხოლოდ განხილული, რომელმაც ადვოკატურაში მუშაობა დაიწყო იმ პერიოდში, როდესაც მისი შემადგენლობა ძირითადად შეცვლილი იყო. ამ თაობის წარმო-

მადგენლებმა განსაკუთრებული შრომა გასწერეს მართლმსაჯულების ქართულ საქმეებზე მსჯელობის საქმეში, რისაც ისინი უფროსი თანამებრუნებლებთან ერთად ანობრცილებდნენ იმ დროს, როდესაც საკანონო საჩივრების 60 პროცენტი ქართულ ენაზე არ იწერებოდა. ამ თაობას ეკუთვნოდა ბრწყინვალე ახალგაზრდობა: ვ. ჩანავა, ა. კობეშვიძე, კ. ფურცელაძე, ი. თუმბერიძე, ვ. რობაქიძე, ჰ. ლომია.

ქართული ენის გამოყენებას არ გამოუწვევია სასამართლოებში გამოხატვის და მოსახლეობის იურიდიული მომსახურების გაუმჯობესება, რაც პირველ შეხედვით მოსალოდნელი იყო. პირიქით, გაიზარდა ადვოკატთა პროფესიული კულტურა, ამას კი არ შეეძლო სასიკეთო გავლენა არ მოეხდინა სასამართლო სისტემაზე, რადგან ეს უკანასკნელი და ადვოკატურა მუდმივ ურთიერთ შეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე.

ქარგი ადვოკატურა ისევე აუცილებელია მართლმსაჯულების სწორად განხორციელებისათვის, როგორც სასამართლოების დამოუკიდებლობა, მისი ორგანიზაცია ნამდვილ დემოკრატიულ პრინციპზე, საჯარობა და შეჯიბრებითობა სასამართლოებში. საბჭოთა შთაბრძოლის დიდ მზრუნველობას უნდა მიეწეროს საშობალო სამართლის საპროცესო კოდექსის ამჟამად გამოქვეყნებული პროექტში მხარეთა მონაწილეობის საპროცესო ალიანსება, შემდგომ სასამართლოების პრეზიდენტებში („Советская юстиция“ 1960. № 7).

ბოლოს ჩვენ გვინდა შეეჩერდეთ შრომში მოთავსებულ ა. ჩიქვანიას სიტყვაზე. ა. ჩიქვანიას სწორად აღნიშნავს ცარიზმის როლს ილიას მკვლელობაში. (გვ. 170) მაგრამ სისხლის სამართლის პროცესში ეს ასპექტი საკმარისი არ არის. სიტყვაში ნაჩვენები არ არის, თუ როგორ შესძლო მკვლელობის სულის ჩამდგმელმა დ. ჯაშა „ოხრანის“ საიდუმლო ავტობობასთან ერთად შეეთავსებია „პროგრესიულ ადამიანებთან ერთიანობა“ (გვ. 175). რადგან, ტერორისტთა პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც რევოლუციონერ-ტერორისტთა დაკავთით, ტერორისტული აქტი შესრულებული იყო „ოხრანაში“ მომუშავე პირის მიერ (სტოლმანის მკვლელობა). ამისათვის საჭირო იყო მკვლელების ვერაგობის უფრო გავლილად ჩვენება.



ა. ჩიქვანიას სიტყვაში ეს მომენტები საქმარასად არ არის გაშლილი. მიუხედავად იმისა, რომ მკვლელმა სამართლიანი საზღაური მიიღო, სიტყვაში არ არის გამოყენებული მასალა მენტეციების ორბირობისა ამ საქმეზე, რომელთაც ცხიდან გამოუშვეს დ. ჯაში. მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე

ამ სიტყვაში აღწერილი ილიას მკვლელობის ამბავი.

ამრიგად ე. ქვანიას წიგნი იმსახურებს საკითხის დადებით შეფასებას როგორც პირველი სერიოზული ცდა ქართული იურისტების მოღვაწეობის კვლევისა.

ა. ხოზოლავა,
 ნ. წაბათელი



ახალი წიგნები

„საბოთა მწერალი“



- ვასილ ბარსოვი — თხზულებანი. ტომი 2. რედ. გ. ლეონიძე გვ. 550 ფ. 1 მან. 28 კაპ.
- მოსე გოგობერიძე — რუსთაველი. პეტრიწი. პრელუდიები. რედ. ბ. დონაძე გვ. 320, ფ. 1 მ. 26 კ.
- შეადგინა და მოამზადა ი. მეგრელიძემ
- გიორგი ჯიბლაძე — ესთეტიკური თეორიის საკითხები. რედ. შ. ამირანაშვილი. გვ. 2 მ. 20 კაპ.
- გიორგი ნატროშვილი — უღარდელი კაცის სიკედილი. რედ. ზურა ბერუღია, გვ. 321, ფ. 1 მ. 20 კაპ.
- გრიგოლ ცეცხლაძე — ახალი ლექსები. რედ. შ. ფოცხიშვილი, გვ. 80, ფ. 14 კ.
- ანდრო თევზაძე — შვილიშობა შრომას. რედ. ვ. გორგაძე. გვ. 78, ფასი 10 კაპ.
- აყაი გეწაძე — კეთილი კვალი. რედ. რ. მარჯანი გვ. 80. ფასი 10 კაპ.
- გიორგი წერეთელი — ეს ძეგლი და სხვა ახალი. რედ. კ. კალაძე, გვ. 52 ფასი 7 კაპ.
- ზაურ ბოლქვაძე — ლელვის დასაწყისი. რედ. კ. ლორთქიფანიძე, გვ. 66, ფასი 8 კაპ.
- შაქრო სამადაშვილი — ლირია. რედ. შ. ფოცხიშვილი, გვ. 67. ფასი 10 კაპ.
- ნოდარ წულუღისკირი — შტეტრის პირას გათეთრებული კაცები. რედ. შ. ფოცხიშვილი, გვ. 119, ფ. 20 კაპ.

„ნაბაღალი“

- საუნჯე, ტ. 15 — რედაქტორი გ. ლეონიძე, 700 გვ. ფასი. 2 მან. 30 კაპ.
- ა. იოსელიანი — ცეცხლი ოკეანეში. თარგმ. ი. იოსელიანისა და ი. თევზაძისა. რედაქტორი ლ. ჯაბუა, 428 გვ. ფასი 75 კაპ.
- ბ. კონიალაცხაია — ამბავი ჭიანჭველისა და გოლიათისა. თარგ. ვ. გოგიაშვილისა. რედაქტორი შ. ამაშუკელი. 16 გვ. ფასი 30 კაპ.
- ნაბი პაზრი — ლექსის მოლოდინში. თარგ. ლ. ერამისა. რედაქტორი გ. ჭანტურია 72 გვ. ფასი 9 კაპ.
- ლ. კახასი — იალღესეს პატარა ამბები. თარგმ. ნ. კობიძისა. რედაქტორი შ. გორგაძე. 304 გვ. ფასი 61 კაპ.
- რნდური ზღაპრები — სანტურამი და ანტურამი. თარგმ. ნ. თოფჩიშვილისა. რედ. ლ. გეგელი. გვ. 492, ფასი 43 კაპ.
- ვ. ორჯონიძე — თბილისის განთიადი. თარგ. ი. უიფიანისა. რედ. ნ. ზაჩაფა. გვ. 164, ფ. 23 კაპ.
- შ. რაშიდოვი — ქარიშხალზე ძლიერნი. თარგ. ნ. ჯანაშვილი. რედაქტორი შ. თოდუა. გვ. 75 ფასი 75 კაპ.
- პ. პერფილიევა — დარტანიანის დაშნა. თარგ. რ. ბერძენისა. რედაქტორი ლ. გეგელია. გვ. 15 ფასი 15 კაპ.
- ბ. ფაშალიშვილი — შეხვედრები დაუეწიარ იდამიანებთან. გვ. 172. რედაქტორი გ. ჭანტურია. ფასი 20 კაპ.

3360 00 333.

7334



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО «САБЧОТА МЦЕРАЛИ»